სიმონ ხუნდაძე

# დიმიტრი უიფიანი

მონოგრაფია

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ტფილისი—1936

პ ბგ. რედაქტორი: ლ. ციხისოავი.
კორექტორი: შ. ბერიძე.
მთავლიტის რწმ. № ე—33,

ქაღალდი 62×94
ბეჭდვითი ფორმა 16½
ტირაჟი 2000
შეკვეთა № 347,

პარტგამომცემლობის პირველი სტამბა, ლენინის ქ. № 3.

# გამოცემლობისგან

განსვენებულ პროფ. ხ. ხუნდაძეს, რომელმაც თავისი ხანმოკლე მოღვაწეობა მეტად პროდუქტიულად დაახრელა, აუარებელი ნაშრომები დარჩა დაუმთავრებელი და შავად დაწერილი, ან შენიშვნებით და უბის წიგნში აღნიშნული. მისი საინტერესო მუშაობა, რომელიც მიმართული იყო ქართველის XIX საუკუნის ცხოვრებისკენ, მაშინდელ მოღვაწეთა და მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისკენ, მხოლოდ დასაწყისი იყო იმ დიდი გეგმის შესრულებისა, რომელიც გასვენებულს ჰქონდა დასახული.

წინამდებარე წიგნი, მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ, წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ნაშრომთაგანს, რომელიც მრავალთა შორის დაუმთავრებელი დარჩა პროფ. ხ. ხუნდაძეს, იგი მრავალმხრივად უდგება ერთ-ერთი ქართველი მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებას და მრავალმხრივად იხილავს მის შემოქმედებას საქმიანობას. ასეთ საინტერესო წიგნს აუცილებლად ეტყობა უავტორობა; მრავალი შენიშვნა უბის წიგნაკში რედაქტორს ხაშუალებას მაინც არ მისცემდა ძირეულად გაეძუქებია პროფ. ხ. ხუნდაძის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი აზრები. წიგნი მეტად დატვირთულია კორექტურული და ტექნიკური შეცდომებით, რაც აუცილებლად წიგნის რედაქტორ-კორექტორის უყურადღებობით აიხსნება. ამის გამო ხტამბას ბეკრი მუშაობა მოუხდა შეცდომანი გვერდების ხელახლად დასაბეჭდად და ჩასაკრავად. შეცდომების გასწორებაში ამოწერილია ისეთი ხასიათის შეცდომები, რომელნიც აზრს ასე თუ ისე ცვლიან, ამისთვის, წიგნის წაკითხვამდე, შეცდომები უნდა გასწორდნენ.

ყველა ამაი გამო წიგნი მეტად დაგვიანა.

## თავი პირველი

# დიმიტრი ყიფიანის ეპოქა

დიმიტრი ყიფიანს მეცხრამეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით მისმა თავდადებულმა ბრძოლამ 80-იან წლებში ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ ცალკე ტრაქტატად დაღუპვამ სტავროპოლში „შარავანდედით“ შემოსა დ. ყიფიანის პიროვნება და მოუპოვა ხელსაბატიო ადგილი ხალხის ღირსშესანიშნავ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა გვერდით.

მაგრამ ჩვენ რომ ვიკითხოთ, თუ არსებითად როგორი პოლიტიკური შინაარსისა იყო მისი ბრძოლა 80-იან წლებში, და რით მოიპოვა მან ასეთი სახელი და რით ხასიათდებოდა მისი მოღვაწეობა მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე, — ამაზე ჩვენ გარკვეულ პასუხს ვერავინ მოგვცემს. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება, მისი მოღვაწეობის ხასიათი და პოლიტიკური მსოფლმხედველობა სრულიად უცნობია არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ ცნობილ ინტელიგენტურ წრეებისათვისაც კი. უფრო მეტი: ქართული საზოგადოების აზროვნების მკვლევართათვისაც კი დ. ყიფიანის მოღვაწეობის ხასიათი და პოლიტიკურ-სოციალური შეხედულებანი სადავოდ არის გაბნეული: ზოგიერთათვის იგი კონსერვატიულად მოაზროვნე პიროვნებაა, მაგრამ ეროვნულ საქმისათვის თავდადებული რაინდია (არ. ჯორჯაძე), ზოგნი მასში ლიბერალსა და რადიკალს ხედავენ; მხოლოდ დანარჩენნი არ ერიდებიან—„თავდაუზოგველ ეროვნულ რეაქციონერთა“ გალერეიაში მოაქციონ.[1] რასაკვირველია,

---

[1] ამ მხრივ აღსანიშნავია ამბ. რ. კალაძე, რომელიც ერთ თავის წიგნში სწერს: „განსაკუთრებით დიდ ძალას წარმოადგენდა დ. ყიფიანი, რომელიც შეიძლება „თერგდალეულთა“ მამამთავრად ჩაითვალოს. დ. ყიფიანი თავისი ეროვნულ-რეაქციონერული შეუპოვრობით და მიდრეკილებით „თერგდალეულთა“ შორის ერთად ერთი იყო. ის უკანასკნელი გაელვება იყო იმ ქართულ-რეაქციონერი ძალის, რომელიც 30-იან წლებში ისე ბრწყინვალედ და ელვარებით გამომჟღავნდა სოლომონ დოდაშვილის სახით. ანტონმა (ფურცელაძემ) იცნო და იგრძნო დ. ყიფიანში დიდი ადამიანი, თავდაუზოგველი ეროვნული რეაქციონერი“ (იხ. რ. კალაძე: „ანტონ ფურცელაძე“ გვ. 16). უნდა მოვახსენოთ პატივცემულ ავტორს, რომ იგი სრულიად შეუგნებლად ხმარობს სიტყვა „რეაქციონერს“; მეორე მხრივ, დ. ყიფიანში არავითარი ეროვნულ-რეაქციონერი არ იყო: ვინც ზერელეთ მაინც გაეცნობა დ. ყიფიანის ჩასალებს, მას ამაში იოტის ოდენა ეჭვიც არ დაებადება; მესამე—„თერგდალეულთა“ და დიმ. ყიფიანს შორის ძირითადი განსხვავება იყო. ქართული აზროვნების ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს!

ასეთი აზრთა არევ-დარევა და სხვადასხვაობა აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ დ. ყიფიანის პიროვნება და მისი აზროვნების ხასიათი ბევრს არა აქვს სათანადოთ შესწავლილი მიუხედავათ იმისა, რომ ჯერ კიდევ 1913 წ. არ. ჯორჯაძემ გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია მის შესახებ. [1]

საერთოდ, უმთავრესი და ძირითადი მიზეზი დ. ყიფიანის ასეთი გადიდებისა იმ კლასიურ-ნაციონალისტურ თვალსაზრისში უნდა ვეძიოთ, რომელშაც გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა წინათ ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში. როგორც სხვა სფეროშიაც, აქაც კლასიურმა მიდგომამ და კლასიურმა თვალსაზრისმა თავისი გაიტანა. დ. ყიფიანის მოღვაწეობასა და აზროვნებას აფასებდა ნაციონალისტურად განწყობილი თავად-აზნაურული ინტელიგენტი და ბუნებრივია, რომ იგი ამ შეფასების დროს ვერ გასცილდა თავისი კლასის თვალსაზრისს.

დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის ხასიათსა და მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის შინარსს ჩვენ ვერ გამოვარკვევთ ვერც მისი თავგამოღებული ბრძოლით 80-იან წლებში კავკასიის მართველობის რეაქციონურ რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ და ვერც ამ ბრძოლის გამო სტავროპოლში მისი გადასახლებით და იქ ტრაგიკულად დაღუპვით, თუ შესაფერისად არ გამოვარკვიეთ ის ობიექტური საზოგადოებრივი პიროპები, რომელშიაც დ. ყიფიანს უხდება მოღვაწეობა და ის სოციალ-კლასიური და წოდებრივი საფუძვლები, რომელიც სარჩულად დაედვა მის სოციალ-პოლიტიკურ აზროვნებას. დ. ყიფიანი თავისი ეპოქისა და თავისი წოდების ღვიძლი შვილი იყო. თუ გვინდა გავიგოთ, თუ როგორ ასახა ამ მტკიცე ნებისა და გარკვეული მსოფლმხედველობის მატარებელმა პიროვნებამ თავისი ეპოქის სული და თავისი წოდების მიდრეკილება, ჩვენ უწინარეს ყოვლისა ამ ეპოქის ხასიათი, მისი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა და ტენდენციები უნდა შევისწავლოთ — დაკავშირებით ამ მომენტთან გამო-

[1] მაგრამ, ერთი მხრივ, დ. ყიფიანი თუ „ეროვნულ რევოლუციონერად“ გამოაცხადეს, მეორე მხრივ, ჩვენი საზოგადოების ნაციონალისტურად განწყობილმა ნაწილმა იგი ეროვნულ გმირად (გაიხსენეთ აკაკის ლექსი) და ეროვნულ წმინდანად გამოაცხადა. ამ მხრივ აღსანიშნავია ივ. გომართლის წინასწარმეტყველება. „დიმიტრი ყიფიანი საქართველოს მშვენება, სიამაყე და სიწმინდეა, — სწერდა ი. გომართელი 1914 წ, — მან თავისი თავი მსხვერპლად შესწირა თავის ერს. ქართველმა ერმა დიმიტრი ყიფიანში იცნო თავისი თავი, ხმამაღლა გამოაცხადა თავისი მეობა და არასოდეს აღარ დაივიწყებს მას. დადგება ისეთი დრო, როცა ქართველი ერი დიმიტრი ყიფიანს წმინდანად გამოაცხადებს“ (იხ. ი. გომართელი: „კ. დ. ყიფიანი“ გვ. 11, 1914 წ.).

წინაალმდეგ ავტორის წინასწარმეტყველებისა, დადგა ისეთი დრო, როდესაც საერთოდ ყველა „წმინდანები“ ჩამოიყვანეს თავიანთ „სიმაღლეებიდან“ და როდესაც ყოველი გმირისა და „წმინდანის“ მოღვაწეობა განხილულ იქმნა შეფარდებით თავისი ეპოქისა და კლასის ინტერესების მიხედვით. დ. ყიფიანი პროლეტარულ საქართველოს არ უცვნია და არც შეეძლო ეცნო „ეროვნულ რევოლუციონერად“ და „ეროვნულ წმინდანად“. ასეთად იგი ნაციონალისტებად განწყობილმა თავად-აზნაურულმა და ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ გამოაცხადა.

ვარკვიოთ წოდებათა ურთიერთობა, მათი როლი და მიდრეკილებანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ცნობილია, რომ იმდენად, რამდენადაც იცვლება ძველი სამეურნეო ცხოვრების სტრუქტურა, ისახება ახალი ეკონომიური ფორმები, იმდენადვე ცვლილება ხდება სოციალურ წყობილებაშიც და ირღვევა ძველი ფორმები წოდებრივ ურთიერთობისა; ამ შემთხვევაში ძველი გაბატონებული ფენა სოციალური წოდებისა, ადგილს უთმობს ახალ ფენას, რომლის ინტერესი და საქმიანობა საესებით ეგუება ეპოქის მოთხოვნილებას და მისწრაფებებს. ამრიგად ხდება გადაჯგუფება სოციალურ ურთიერთობასა და წოდებათა დამოკიდებულებაში, რაც თავის მხრივ იწვევს შესაფერის ცვლილებებს იდეოლოგიასა და აზროვნებაში, ასე ვთქვათ, სწარმოებს მძაფრი პროცესი აზროვნების დიფერენციაციისა შეფარდებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან.

ეპოქა, როდესაც პირველად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე დ. ყიფიანი და ჩამოყალიბდა მისი პოლიტიკურ-სოციალური მსოფლმხედველობა საყურადღებო საზოგადოებრივი მომენტებით ხასიათდება საქართველოს ისტორიაში. ეს ეპოქა არის 20—30-იანი წლები. ამ ხანებში გამოდის სამოღვაწეოდ საუკეთესო ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა: სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, გრიგოლ, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, გიორგი ერისთავი, პლატონ იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, კონსტანტინე და იოსებ მამაცაშვილები; ამავე ეპოქის ღვიძლი შვილი იყო თავისი მსოფლ-გაგებით ნ. ბარათაშვილი. ამ მოღვაწეთა პლეიადას ეკუთვნოდა დ. ყიფიანი; მაგრამ მას მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღნიშნულ ინტელიგენტთა შორის.

რა ახასიათებდა აღნიშნულ ეპოქას? რომ ნათელი შეიქნეს ამ ეპოქის შინაარსი, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ისტორიულ ფაქტს. 1801 წლით ახალი ხანა დაიწყო საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რუსეთის მართველობის დამკვიდრებით ამიერ-კავკასიასა და საქართველოში არსებითად შეიცვალა უკანასკნელის პოლიტიკური ვითარება. რუსეთი შემოიჭრა საქართველოში გარკვეული კოლონიალური პროგრამით. ალექსანდრე პირველის „შეერთების მანიფესტი“ შეგნებულად მალავდა რუსეთის იმპერიალისტურ განზრახვას. „აია აღორძინებისათვის ძალთა, — სწერდა თავის მანიფესტში ალექსანდრე, — არა ნივთთვისა, არა გავრცელებისათვის საზღვართა და ესრეთცა ჯერ ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიისა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოს მართველობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედ საღრმთოსა ვალსა მსმენმანვნებულთა ვედრებისა განსანდეგენებლად შეჭირვებათ მათთა დავაწესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ეძლოსცა დამყარება მართლ-მსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშრო-

ებისა, და მიცემად თვითეულისა დაცვა ჰსჯული". [1] ყველასათვის თავიდან-ვე ნათელი იყო, რომ ეს „საღმთო ვალი" სხვა არაფერი არ იყო, თუ არა რუსეთის გარკვეული პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთისა და ამიერ-კავკასიის დაპყრობისა. ამ შეკვთხვევაში რუსეთის დიდ-ტანიან ბიუროკრატიულ აპარატს სავაჭრო კაპიტალის ინტერესები ამოძრავებდა. მაგრამ რუსეთის მართველობის დამკვიდრებას საქართველოში არ შეეძლო ღრმა მნიშვნელობის პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური ხასიათის ცვლილებები არ გამოეწვია საქართველოს ცხოვრებაში. მართალია, იგივე ალექსანდრე პირველი თავის „მანიფესტში" უმაღლეს დაპირებას იძლეოდა: „თვითეული დაგვების უპირატესობათა თანა-ნდგომარეობისა თვისისათა, თავისუფლად და შეუხებლად სარწმუნოებისა და საკუთრისა თვისისა თან"; [2] მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვიერი დაპირება იყო; არსებითად კი რუსეთის დამკვიდრებით საქართველოში დაიწყო ახალი ხანა უკანასკნელის ცხოვრებაში.

რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილება აბსოლუტიზმის სისტემაზედ იყო აგებული; ეს სისტემა არ ითმენდა არავითარ კარჩაკეტილობასა და დამოუკიდებლობას სახელმწიფოებრივ მართველობის საქმეში, ძველი ფეოდალური წესი მართველობისა მისთვის მიუღებელი და დაუშვებელი იყო. როგორც ვიცით, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველი ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზედ იყო აგებული; საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო ფეოდალური კარჩაკეტილობის აღმოფხვრა და ერთი ცენტრალური მმართველობის განმტკიცება. წინაღმდეგ, მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქართლ-კახეთის ფეოდალიზაციის პროცესი უფრო ჩქარის ტემპით განვითარდა: ნაცვლად ცენტრალიზაციისა დეცენტრალიზაცია-ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილების დამახასიათებელ მომენტად გადაიქცა აღნიშნულ პერიოდში. და სწორედ ამ პროცესის ისტორიულ შედეგს წარმოადგენდა ის ტრაგედია, რომელიც 1795 წელს განიცადა ქართლ-კახეთმა აღამაჰმადხანის შემოსევით. [3] მაგრამ ის, რაც საქართველოს შინაგანმა ისტორიულმა განვითარებამ ვერ გადასწყვიტა გარკვეულ ობიექტურ პირობების გამო, უნდა გადაეწყვიტა გარედან მოსულ ისტორიულ ძალას — რუსეთის აბსოლუტურ ბიუროკრატიულ მართველობას. ბუნებრივია, რომ რუსეთის შემოსვლის დღიდანვე უნდა მომხდარიყო შეტაკება აბსოლუტურ სისტემასა და ფეოდალურ წყობილების შორის. ამ ბრძოლაში რუსეთის თვითმპყრობელების ძირითად ამოცანას შემდეგი შეადგენს: 1) მას სურდა ძირიანფესვიანად აღმოეფხვრა ძველი ფეოდალური წყობილების ნაშთები საქართველოში და გადაექცია იგი თვითმპყრობელობის ბიუროკრატიულ აპარა-

[1] პლ. იოსელიანი: „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა", გვ. 293, 1895 წ.

[2] იქვე, გვ. 295.

[3] შად. ს. კაკაბაძე: „საქართველო ერეკლე მეორეს დროს", ჟურნ. „შვიდი მნათობი", 1912 წ.

ტის უბრალო გეოგრაფიულ-ადმინისტრატიულ რგოლად. ამ შემთხვევაში ზის მთავარ ამოცანას შეადგენდა ბრძოლა ფეოდალიზმისა და ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ. აქ გადამჭრელი ბრძოლა უნდა გაემართად რუსეთისათვის „დიდ-დიდ თავადებსა“ და ბატონიშვილებს, რადგან ახალი სისტემის განმტკიცებით ისპობოდა მათი პრიეილეგიური მდგომარეობა და შთელი მათი ფეოდალური აპარატი. 2) პარალელურად ძველი ფეოდალური წყობილების აღმოფხვრისა და ფეოდალური არისტოკრატიის ლიკვიდაციისა, რუსეთის თვითმპყრობელობა ცდილობდა ამიერ-კავკასიასა და საქართველოში მსახური არისტოკრატიის განმტკიცებას. რუსეთის ხელისუფლებას აქ არ შეეძლო გამაგრება, თუ იგი ადგილობრივ სოციალურ ფენებში არ ეოსძებნიდა თავის დასაყრდენ ძალას. ასეთ ძალას კი რუსეთის თვითმპყრობელობისათვის იგივე არისტოკრატია წარმოადგენდა, მხოლოდ სხვა შინაარსისა და სხვა პოლიტიკური მიზნებით ამოძრავებული. რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება მთელი თავისი ძალღონით ცდილობდა საქართველოს ძველი ფეოდალური არისტოკრატიიდან წარმოეშვა და განმტკიცებია ახალი მსახური არისტოკრატია. ფეოდალური არისტოკრატიის მსახურ არისტოკრატიად გადაქცევის პროცესი დიდ დროსა და სისტემატურ მუშაობას მოითხოვდა. მთელი 30—50 წლის განმავლობაში ენერგიულად იბრძოდა რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება ამ ფრონტზე და ბოლოს მან თავის შესაფერის შედეგებს მიაღწია. ამ ბრძოლაში მან გამოიყენა ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალება: მოყიდვა, ჩინ-მენდლების დარიგება, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში გაწესება, ძალდატანება და სხვა. ამავე მიზნებს ემსახურებოდა 1802 წ. ტფილისში დაარსებული კეთილ-შობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წ. ტფილისის გიმნაზიად გადაკეთდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნეში რუსეთის სამსახურში დაწინაურდნენ თავად-აზნაურთა ახალი ფენები და გვარები, ვინემ ეს იყო ძველად, ქართველ მეფეების დროს. ამრიგად რუსეთის დამკვიდრებამ საქართველოში ღრმა ცვლილება გამოიწვია საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

მაგრამ ჩვენ ძლიერ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ღრმა ცვლილებები გამოწვეული იყო მხოლოდ და მარტო რუსეთის პოლიტიკით. რასაკვირველია, ძველი ფეოდალური სტრუქტურის ლიკვიდაციის პროცესი საქართველოში უმთავრესად დაჩქარა იმ ეკონომიურმა ცვლილებებმა, რომელიც თან მოყვა სავაჭრო კაპიტალის განვითარებას საქართველოში: რუსეთის სახით საქართველოში შეიქმნა არა მარტო ბიუროკრატიულ-პოლიტიკური აპარატი, არაშედ დიდი ეკონომიური ფაქტორიც. საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია რუსეთის აღორძინების გზაზე მდგარი კაპიტალიზმის კოლონიად გადაიქცა. სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ ამიერ-კავკასიაში გამოიწვია ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესები და თავად-აზნაურობის ეკონომიური დაცემა, მათი სამეურნეო ცხოვ-

რების კრიზისი, ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი და თავად-აზნაურობის გავლენისა და მნიშვნელობის შემცირება. უნდა აღინიშნოს რომ სავაჭრო კაპიტალის საგრძნობი განვითარება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში 20—30-იან წლებიდან დაიწყო, და 50-იან წლებში იგი მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცა, სამრეწველო კაპიტალიზმისათვის კი ფართოდ გაიხსნა გზა ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ე. ი. 1864 წლის შემდეგ პერიოდში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უახლოესი ისტორიის შესწავლა და გათვალისწინება გარეშე რუსეთის საერთო ცხოვრების ვითარებისა შეუძლებელია. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საქართველო და მთელი ამიერ-კავკასია რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის კოლონიას წარმოადგენდა. ეს ქვეყნები მოყვა რუსეთის პოლიტიკისა და ეკონომიკის საერთო რკალში; ის პროცესები და ცვლილებები, რომელსაც განიცდიდა რუსეთის საერთო ცხოვრება ძალაუნებურად თავის შესაფერის გავლენას ახდენდა ამიერ-კავკასიის ცხოვრების ვითარებაზედაც. არა მარტო პოლიტიკურ-ადმინისტრატიულად და ეკონომიურად დაემორჩილა რუსეთის გავლენას — კავკასიის აქეთა მხარე, არამედ კულტურულადაც იგი რუსეთის ჩარჩოებში მოყვა და ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებაც საესებით მოყვა რუსეთის აზროვნების ვითარების გავლენის ქვეშ.

აქედან ცხადია, რომ ის დიდი მნიშვნელობის ეკონომიური და ნაციონალური ცვლილებები, რომელსაც განიცდიდა ძველი რუსეთი კაპიტალიზმის გავლენით, თავის თავად იწვევდენ მსგავსავე პროცეს ამიერ-კავკასიასა და საქართველოში. ეს ცვლილება კი, როგორც აღვნიშნეთ, უკვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გამოიხატა: 1) ეკონომიურად—ნატურალური მეურნეობის კრიზისში, მისი ძველი ფორმების რღვევასა და სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის განვითარებაში; 2) პოლიტიკურად ფეოდალური წყობილების ლიკვიდაციაში და მთელი საქართველოს ადმინისტრატიულ - გეოგრაფიულ ერთეულად გადაქცევაში; 3) სოციალურად მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის განადგურებაში [1] და ახალი მსახური არისტოკრატიის განკაცებებაში. არისტოკრატიის რომელიც თავისი საზოგადოებრივი ფუნქციით დიდი ბიუროკრატიული აპარატის უბრალო „ვინტს“ წარმოადგენდა და არა დამოუკიდებელ ერთეულს, როგორც ფეოდალურ სის-

[1] სწორეთ ეს მიზეზი იყო, რომ ასე აკვნესებდა გრ. ორბელიანს. ერთ თავის წერილში იგი სწერდა: „ჩვენ ‘ყაფლანიანნი ვიღუპებით, მაგრამ არცა სხვანი ბედნიერობენ; მოგვდევენ დიდად გაჩქარებული სოლალიანნი, ბარათაანნი, ციციანოვანნი, აბაშიძიანნი. თარხნიანნი, ჭავჭავაძიანნი, ვარნაძიანნი და სხვანიცა და დიდად ცდილობენ, რომელი მათგანი უფრო ადრე დაიღუპება... ჩვენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ ჩამოეფერდნენ პოლოსოვები, აბოვიანცები; ფიცარეთი, ჩვენის მამაპაპების სასაფლაო უფალს თაიროვს გაუხდია ცხოვრების ფარუბად: (იხ. ი. მეუნარგია: „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“, გვ. 115, 1905 წ.)

ტემის დროს. უკვე უნდა აღინიშნოს ბურჟუაზიული ელემენტების კონსოლიდაციის პროცესიც.

საერთოდ ამ ნიადაგზედ აღმოცენდა ბატონყმური ურთიერთობის კრიზისი და გლეხთა ან მემამულეთა შორის ურთიერთობის უალრესად გამწვავება. ამ ნიადაგზედ აღმოცენებული გლეხთა აჯანყებანი, არსებითად მთელი მაშინდელი წყობილების ღრმა კრიზისს გამოხატავდა.

მაგრამ ჩვენთვის უფრო დაწვრილებით საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რიგგორ შეხვდენ ამ დიდ ცვლილებებს საქართველოს სხვადასხვა სოციალური წრეები, უკეთ რომ ვთქვათ წოდებანი.

საქართველოს სოციალური სტრუქტურა მე-18 საუკუნის გასულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში სავსებით შეესაბამებოდა იმ ეკონომიურ წყობილებას, რომელიც განმტკიცებული იყო აღნიშნულ პერიოდში საქართველოში. ამ სოციალური შენობის უმთავრეს კლასს (წოდებას) წარმოადგენდა **თავად-აზნაურობა**, რომელიც თავისი როლით სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში რამოდენიმე საზოგადოებრივ ფენად გაიყოფებოდა, და მრავალ რიცხვიანი **გლეხობა**, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა კატეგორიად იყოფებოდენ. ცხადია, საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაში ამ ორი წოდების ურთიერთობას შეეძლო ეთამაშა გადამჭრელი როლი, როგორც ვიცით ე. წ. **მესამე წოდება**, ჩვენი ეკონომიური პირობების გამო არ მოუცია წარსულს საუკუნეებს. მხოლოდ მე-19 საუკუნის 20—30-იან წლებიდან იწყებს ეს წოდება რამდენადმე საგრძნობ ზრდას. 1835 წ. **ევეცკი** სწერდა: „Образовался средний класс граждан; а вместе с ним возникла народная промышленность“ [1]. რასაკვირველია, ეს ახლად ფეხადგმული მოქალაქის წოდება არავითარ საგრძნობ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენდა. ასევე უნდა ითქვას გლეხობის შესახებაც: ბატონყმურ უღლით შებორკილი, უკულტურო და ჩამორჩენილ გლეხობას არ შეეძლო დამოუკიდებლად გამოსვლა და თავისი გარკვეული პოლიტიკური პროგრამის წამოყენება. მაგრამ გლეხობა განიცდიდა მძიმე ეკონომიურ ჩაგვრას და სტიქიურად ახდენდა აჯანყებებს არსებულ წყობილების წინააღმდეგ: იგი ებრძოდა, როგორც ხელისუფლებას, ისე თავად-აზნაურობას, იგი გამოდიოდა თავისი წოდებრივი ინტერესებიდან და ებრძოდა ყველას, ვინც ხელს უწყობდა მის ეკონომიურ ჩაგვრასა და დამონებას. მაგრამ ეს იყო სტიქიური მოძრაობა უსისტემოდ წარმოშობილი მძიმე ეკონომიური პირობების ნიადაგზე.

სხვაგვარი იყო საქართველოს მაღალი წოდების მდგომარეობა. ეს წოდება თავისი როლითა და მნიშვნელობით საქართველოს საზოგადოებრივ სამეურნეო ცხოვრებაში რამოდენიმე კატეგორიად იყოფოდა: „პირველ რიგში იდგა პრივილეგიებით მოსილი უმაღლესი ფეოდალურ-არის-

[1] О. Евецкий: „Статистическое описание Закавказского края“, გვ 244, 1835 წ.

ტოკრატია, რომელიც შეზრდილი იყო ფეოდალური წყობილების სისტემასთან და რომელიც თავისი ეკონომიური პირობების მიხედვით გადამჭრელ მონაწილეობას ღებულობდა საქ. სახელმწიფოებრივ მართველობის საქმეში. ესენი იყვნენ დიდებულები, რომელთაც ეპყრათ დიდი სამფლობელოები და მეთაურობდენ თავიანთ გვარს. მე-18 საუკუნეში ამ უმაღლესი მართველი თავადების გვარს ეკუთვნოდენ: არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, სარდალი ამილახვარი, სარდალი ორბელიანი, სარდალი ციციშვილი და სომხეთის მელიქი. ამ ექვსი გვარის ყველა დანარჩენი წევრები წარმოადგენდენ მეორე კლასის თავადობას, ხოლო მესამე კლასს წარმოადგენდა ყველა დანარჩენი თავადობა, რომელიც მოკლებული იყო პირველი ორის უფლებებსა და პრივილეგიებს. თავად-აზნაურთა წოდების ქვედა საფეხურზედ იდგა მრავალრიცხოვანი აზნაურობა, რომელიც არ წარმოადგენდა თავისუფალ წოდებას; აზნაურები იყვენ ნაწილობრივ მეფის ვასალები, ნაწილობრივ, თავადებისა და ნაწილობრივ, კათალიკოსისა და ეკლესიის. ასეთი ვასალი აზნაურები ვანსაკუთრებულ ძალასა და მნიშვნელობას ანიჭებდა თავადის გვარს. მაგ. ციციშვილებს ყავდათ 34 აზნაური ვასალი; ორბელიანებს—28, აბაშიძეებს—19 და სხვ [1].

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ თვით ე. წ. მაღალ წოდებაში—თავად-აზნაურობაში არ იყო ერთსახეობა და თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით ეს წოდება რამოდენიმე ნაწილად იყოფოდა, რომლის ქვედა საფეხურზედ იდგა ვასალურ მდგომარეობაში მყოფი აზნაური, ხოლო მისი უმაღლესი მწვერვალი ეჭირა—დიდებულს, გვარის მეთაურსა და ხელმძღვანელს.

თავისთავად ცხადია, რომ თავად-აზნაურობის წოდების ზემოდალნიშნული კატეგორიები თავისებური წოდებრივი საზომით შეხედავდენ იმ ცვლილებებს, რომელიც რუსეთის დამკვიდრდებამ და პოლიტიკამ გამოიწვია საქართველოში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში საქ. თავად-აზნაურთა შორის გარკვევით ჩამოყალიბდა თავისი პოლიტიკური შინაარსით სამი მიმდინარეობა:

პირველი—რუსოფილთა მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვდა რუსეთის მართველობის საკუთრებით შემოღებას და საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების ვაუქმებას. ეს ჯგუფი აღარ იცავდა ერეკლე მეფის 1783 წ. ტრაქტატის პირობებს, მისი აზრით საჭირო იყო რუსეთის მართველობის მთლიანად შემოღება საქართველოში. „ზვარია დამშვიდებისათვის ქვეყნისა და ჩვენისა საკუთარისა პატივისა დასაცავად—ამბობენ ამ მიმდინარეობის წარმომდგენელნი—ვისურვოთ დაშთეს

[1] В. Иваненко: „Гражданское управление Закавказьем“, გვ. 5—6, 1901, ‰. С. Авалиани: „Крестьянский вопрос в Закавказии“, ტ. I, გვ. 54—59, 1912 ‰ „Акты“, ტ. VI, ნ. I, ‰. 166.

რუსეთის მეფობა, ნურლა გვინდა მეფედ დავითი"[1] (ბატონიშვილი, ძე გიორგი 13-სა). ამრიგად ამ მიმდინარეობის ინტერესები მოითხოვდა საქართველოს მეფობის გაუქმებასა და რუსეთის მართველობის მთლიანად განმტკიცებას საქართველოში; უკეთ რომ ვსთქვათ, საქართველოს რუსეთის გუბერნიათ გადაქცევას. უდაოდ უნდა იქნეს მიჩნეული, რომ ამ მიმდინარეობას მხარს უჭერდა უპირველესად ის ხაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც საქართველოს მეფობის და ძველი პოლიტიკის წყობილების გაუქმებით არაფერს კარგავდა, წინააღმდეგ მას ფართო გზა ეხსნებოდა სამოღვაწეოდ. ამ მიმდინარეობას ემხრობოდა უმთავრესად პრივილეგიურ უფლებებს მოკლებული თავად-აზნაურობა.

მეორე მიმდინარეობას შეიძლება ეწოდოს ტრაქტატის მომხრეები — ეს მიმდინარეობა ურყევათ იცავდა ერეკლე მეორეს და ეკატერინე II შორის 1783 წ. დადებულ ტრაქტატის პირობებს, ე. ი. მათ სურდათ ხელუხლებლად დაეცვათ ძველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილების ფორმები, დაეცვათ ამ ფორმების საშუალებით თავიანთი პრივილეგიები; მეორე მხრით, მათი მიზანი იყო საქართველო მოექციათ რუსეთის მფარველობის ქვეშ. პირველ ხანებში ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი სოლომონ ლეონიძე ამბობდა: „ლექსი „მეფე" დადუმდა აკა?.. რათა უნდა შეექმნათ მტერი ქვეყანასა? ნამუსიანად უნდა ვიყვნეთ ქვეყნისათვის და მეფობისათვის. დასაწყნარებლად საქმეთა და შინა აღრეულობათა კმარა რუსნი და ტრაქტატი მეფისა გიორგისა"[2]. ასეთსავე პოლიტიკურ ხაზს გამოხატავდა 1802 წ. რუსეთის მეფისადმი გაგზავნილი კახელთა „ადრესი": „როცა ჩვენ ვიფიცავდით ერთგულებაზე, მაშინ გამოგვიცხადდა უმაღლესი მონიფესტი, რომელშიც ნახსენებია, ვითომც ჩვენ თქვენს უძაღლეს კარს მოვეხსენეთ, რომ მეფე აღარა გვსურს, და ვითომ უმეფოდ გვსურს მ. ი. უდ. მფარველობის ქვეშ ყოფნა. ეს ჩვენი მარივ ფრანგული ხასიათის რესპუბლიკანობა იქნებოდა... მეფეებს ჩვენ არ უარეყოფთ, ეს მატყუარებმა მოგვიტანეს. ჩვენი სურვილი და თხოვნა ერთადერთი ის არის, რომ დაცული იყოს ანდერძი მეფე ერეკლესი... მოგვეცეს მეფე, რომელთანაც ერთად თქვენი დიდებულების ქვეშევრდომად დავრჩეთ". ასეთი იყო ამ მეორე მიმდინარეობის პოლიტიკური კრედო. მათ შორის განსხვავება იყო იმის მიხედვით, თუ ვის რომელი ბატონიშვილი უნდოდა მეფედ. მაგრამ ეს არსებითად არ ცვლის ამ მიმდინარეობის პოლიტიკურ პროგრამის ძირითად საფუძველს. რასაკვირველია, მათ სურდათ საქართველოს ძველი პოლიტიკური წყობილება, ფეოდალიზმის ფორმები დაეცვათ რუსეთის აბსოლუტურ მონარქიის ფარგლებში, რაც ისტორიულად შეუძლებელი აღმოჩნდა.

---

[1] პლ. იოსელიანის წიგნი.

[2] იქვე.

**მეხამე მიმდინარეობა** — ეს უკვე გამოხატავდა საქ. უმაღლესი წოდების იმ ფრთას, რომელიც ვერ ურიგდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებას საქართველოში. ისინი გრძობდნენ, რომ რუსეთის გაბატონებით ძირიანად დაირღვეოდა საქ. ძველი პოლიტიკური წყობილება და მასთან ერთად მათი პრივილეგიური მდგომარეობაც. აქედან მათი პოლიტიკური ხაზიც ნათელი იყო: ისინი ებრძოდენ რუსეთის მართველობას და ცდილობდენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. ამ პოლიტიკის საუკეთესო გამომხატველი იყო **ალექსანდრე ბატონიშვილი**, რომელიც თავიდანვე ირანში გაიქცა და თავგამოდებით ებრძოდა რუსეთის ხელისუფლებას ამიერ-კავკასიაში.

ამ ორი უკანასკნელი მიმდინარეობის კლასიური წოდებრივი საფუძვლები აშკარაა: აქ მეტყველებდა უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესები, რომელიც მოითხოვდა მართველობის ძველი სისტემის დაცვას, მაგრამ როდესაც ეს შეუძლებელი შეიქმნა და რუსეთის ბიუროკრატიამ ნათლად გამოააშკარავა თავისი აგრესიული გეგმები და შეტაკება მოსულ ბიუროკრატიულ აპარატსა და დამხვდურ ფეოდალურ ძალებს შორის აუცილებელი გახდა. მართლაც, მე-19 საუკუნის პირველი მეოთხედი დაუსრულებელ პარტიზანულ ბრძოლებს წარმოადგენს ამ ორ ძალათა შორის. (ჩვენ აქ არ ვეხებთ გლეხთა აჯანყებას, რომელიც სულ სხვა წყაროდან მომდინარეობდა და რომელსაც სხვაგვარი სოციალ-ეკონომიური მიზეზები ედვა საჩრდილად). პირველ ხანებში თუ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ დაცული იქნებოდა 1783 წლის ტრაქტატი, შემდეგმა ვითარებამ ნათელყო, რომ ეს ტრაქტატი მხოლოდ უმნიშვნელო ქაღალდის ნაგლეჯს წარმოადგენდა, ხოლო რეალურ სინამდვილეში რუსეთის ბიუროკრატიულ აპარატის ძალდატანებით იმსხვრეოდა საქ. ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების ფეოდალური შენობა. შეტაკება აუცილებელი გახდა. ალ. ორბელიანი თავის მემუარებში სწერს: „რაც რუსები მოვიდნენ საქართველოში, იქიდან 1812 წლამდისინ ექვსი შეთქმა გაუკეთეს რუსებს, საწინააღმდეგოდ იმათი და ამათი გარეკვისა თვის საქართველოდან“. [1] 1803 წ. გენ. მაიორი ლაზარევი სწერდა ციციანოვს: ...„Пламя кроется под пеплем и хотя неопасно, но неприятным быть может; волнение умов приметно... мысль всех сих князей есть та, чтоб восстановить по прежнему царя и царство“ [2] უფრო ადრე 1802 წ. საქართველოში ადგილი ჰქონდა დიდ არეულობას. ამ არეულობას ამწერი ალ. სოკოლოვი სწერდა: „В самом Тифлисе ознаменовалось явное неудовольствие на нынешнее правление. В Кахетии не хотели повиноваться судам, и многие князья на-

[1] ალ. ორბელიანი: „რაც რუსები შემოსულან საქ-ში იქედგან აქამდის ქართველების შეთქმა წინააღმდეგ რუსეთისა“, სახ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი №1656/ბ

[2] „Акты“, ტ. II, გვ. 302—3.

чали удаляться в Эривань к царевичу Александру. Из Карталинии те же получены известия". [1]

ამ ბრძოლის უკანასკნელი გამოძახილი იყო 1832 წ. შეთქმულება, რომელიც ბატონიშვილებმა მოაწყვეს ქართველი ინტელიგენციის დახმარებით და რომელიც, როგორც ვიცით მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყებით რუსეთის მართველობის მოსპობას საქართველოში. ეს შეთქმულება სასტიკად დამარცხდა, მაგრამ უკმაყოფილების შეგნება ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ამის კერძო გამოძახილებს ჩვენ ვორონცოვის ეპოქაშიც ვხედავთ. ვორონცოვის ერთი თანამედროვე სწერდა: „... Раздраженная и оскорбленная угнетением и грубостями предшествовшего управления, аристократия эта стала мечтать о самостоятельности под управлением своего отдельного царя, о чем те из Грузин, которые были поумнее, стали сильно поговаривать в своих кружках". [2] ვორონცოვმა თავისი მოქნილი პოლიტიკით ძირშივე აღმოფხვრა რა ფეოდალური არისტოკრატიის ეს უსიცოცხლო ოცნება, უკანასკნელი გარდატეხა მოახდინა უმაღლესი წოდების პოლიტიკურ აზროვნებაში. მაგრამ ამ გარდატეხის პროცესი დიდი ხნიდან იყო უკვე დაწყებული. ეს პროცესი შორეულად გააღრმავა 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ; ვორონცოვს დასჭირდა მხოლოდ უკანასკნელი ნაშთების განადგურება.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ეპოქიდან ქართველ თავად-აზნაურობის პოლიტიკური სოფლმხედველობა სამი ძირითადი ხაზით განვითარდა: **ერთი ნაწილი** სავსებით შეეხორცა რუსეთის ვითარებას და სავსებით შეითვისა მან რუსული პოლიტიკა. ამ ნაწილისათვის დაცვა „ეროვნებისა" აღარ წარმოადგენდა რაიმე სარგებლიანობას, მისი პოლიტიკიდან ამოშლილი იქნა ყოველგვარი „ეროვნული" და საერთო რუსულმა დაიპირა მისი ადგილი. ამ მიმდინარეობის საუკეთესო იდეოლოგად უნდა ჩაითვალოს სენატორი **გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი**, რომელმაც 1872 წ. საინტერესო წიგნაკი გამოსცა შემდეგი სახელწოდებით: „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных единий". ამ წიგნაკში ავტორი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის ყოველმხრივი ბედნიერებისა და წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა პატარა ერებმა დაკარგონ თავიანთი საკუთარი ხალხსნობა, თავისი ენა, ჩვეულება და განსაკუთრებული ცხოვრება და დიდ ერებს შეუერთდენ. [3] ამ პოლიტიკის მიმდევარნი უსიტყვოდ ასრულებდენ რუსეთის თვითმართველობის პროგრამას ამიერ-კავკასიაში..

---

[1] А. Соколов: „Путешествие мое в Имеретию"... გვ. 142—43. 1874 წ. ამავე საკითხის შესახებ იხ. „აჯანყება საქართველოში 1802 წ." გაზ. „დროება" № 16, 26, 42, 25, 201, 202, 212. 1882 წ

[2] Вл. Толстой „М. С. Воронцов", იხ. „Русский архив" № 11, გვ. 131. 1877 წ.

[3] იხ. ს. მესხის წერილი მუხრანსკის წიგნზე (ს. მესხის ნაწერები, გვ. 96—101) ანრეთვე მ. პეტრიძის (ა. უმიკაშვილის) წერილი 1872 წ. „კრებული".

**მეორე ნაწილი** ქართველ თავად-აზნაურებისა შემდეგი ლოზუნგით გამოდის: „ერთგულება რუსეთის ტახტისადმი და სიყვარული სამშობლოსადმი“. რასაკვირველია ამ ლოზუნგიდან სავსებით ამოშლილი არის საქ. დამოუკიდებლობის აღდგენა და 1783 წლის ტრაქტატის მუხლები. ამ მიმდინარეობას სურდა დაეცვა ქართველი „ერის ინტერესები“ იმდენად, რამდენადაც მას უკარნახებდა თავისი წოდებრივი ინტერესები. **რუსეთის ტახტის ერთგულობას მისი წოდებრივი ინტერესები მოითხოვდა, სამშობლოს სიყვარულს ისტორიული ტრადიცია და მისი ობიექტიური მდგომარეობა.** ის ვერ ამჩნევდა კოლიზიას „ტახტსა“ და „სამშობლოს“ ინტერესებს შორის, სადაც ეს აშკარა დასანახი ხდებოდა, იგი პასიური ხდება და ქედს იხრიდა „ტახტის ცენტრის“ წინაშე.

მაგრამ იყო მესამე მიმდინარეობა, რომელიც იმავე „ტახტის ერთგულებისა და სამშობლოს სიყვარულის“ ლოზუნგით გამოდიოდა, მაგრამ საყურადღებო აქტივობას იჩენდა თავის ეროვნულ ინტერესების დაცვის საქმეში, არსებითად კი ამ „ეროვნულ ინტერესების“ დაცვით იგი თავის საკუთარ წოდებრივ ინტერესებს იცავდა. იგი ნათლად ხედავდა, რომ მომხიბლავი პრინციპი „ტახტისა და სამშობლოს“ ინტერესების იგივეობა რეალურ სინამდვილეში ასე ადვილად ვერ ხორციელდებოდა, რომ ძლიერ ხშირად „ადგილობრივი ინტერესი“ და მაშასადამე ინტერესი მისი წოდებისა უაზროთ მსხვერპლად ეწირებოდა „ცენტრის ინტერესებს“. მესამე მიმდინარეობის წარმომადგენელნი დარაჯად უდგენ ზემოდ აღნიშნულ თავიანთ პრინციპს და სადაც და როდესაც კი გაწყდებოდა შემაკავშირებელი ძაფი „ტახტის და სამშობლოს“ შორის, ენერგიულად ცდილობდენ იგი გაემრთელებიათ, დაეცვათ „ადგილობრივი ინტერესები“ და მოეგონებიათ ხელისუფლებისათვის ამ ინტერესის დაცვის აუცილებლობა. ეს იყო აქტიური ნაწილი ქართველ თავად-აზნაურობისა, უმთავრესად წვრილი თავად-აზნაურობა, მსახური წოდება, ახლად განთავისუფლებული ფეოდალური სისტემის აპეკისაგან, იგი ახლად იპყრობდა ჩვენი ცხოვრების სარბიელს და ხშირად შეხლა-შემოხლაც უხდებოდა მსხვილ არისტოკრატიასთან. ამ წრის საუკეთესო იდეოლოგი და ხელმძღვანელი იყო დიმიტრი ყიფიანი, შთამომავლობით წვრილი აზნაური, შეუდრეკელი ნებისყოფის მქონე და გარკვეული პოლიტიკის მატარებელი. ამას ჩვენ უფრო დაწვრილებით გავიცნობთ შემდეგი თავებიდან.

აქ საინტერესო არის გამოვარკვიოთ, თუ რამ გამოიწვია თავად აზნაურობის და თავად-აზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური მისწრაფების ასეთი ცვლილებები? ამ საკითხის გამორკვევისათვის არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ოთხ მომენტს.

1. 30 და 50-იან წლებში რუსეთის თვითმპყრობელობამ პოლიტიკურ ადმინისტრატიულად საკმაოდ მოიმაგრა ფეხი ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის **მეზობელი** სახელმწიფოები (განსაკუთრებით ირანი, თურქეთი)

უძლური გამოდგენ რუსეთის წინააღმდეგ ბძოლაში. ამ სახელმწიფოებზე საშხედრო გამარჯვებამ პოლიტიკური სიმტკიცე მოუპოვა რუსეთის მართველობას ამიერ-კავკასიაში. მეორე ნახევრ რუსეთმა შესძლო ა/კავკასიის დამოუკიდებელი სახანოების განადგურება და თითქმის მთელი საქართველოს დამორჩილება: 1810 წელს მან დაიპყრო იმერეთი, 1829 წ. საბოლოოდ შემოიერთა გურია, ხოლო სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთის სამთავროები დააყენა თავისი გავლენის ქვეშ. ამით რუსეთის თვითმპყრობელობამ საფუძვლები გამოაცალა ძველ ფეოდალურ წყობილებას ამიერ-კავკასიასა და საქართველოში და ერთი ადმინისტრატული მმართველობის ქვეშ მოაქცია თითქმის მთელი ამიერ-კავკასია. რუსეთის თვითმპყრობელობის ასეთი პოლიტიკური და სამხედრო გაბარჯვება საფუძველიანად აცლიდა ნიადაგს საქართველოს ძველი მეფობის აღდგენის ილუზიებს.

2. მაგრამ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა თავად-აზნაურობის სოციალ-ეკონომიურ დაცემას ჰქონდა. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს ის დიდი გარემოება, რომ საქართველოში სავაჭრო კაპიტალის განვითარებითა და სხვა ისტორიული ფაქტების ზაგავლენით უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე საგრძნობლად დაეცა ეკონომიურად თავად-აზნაურობა, ხოლო მართალია, იგი ჯერ კიდევ გაბატონებული წოდება იყო, მაგრამ მისი ეკონომიური პირობები ღრმა შეეიწროვებას განიცდიდა ახალი სამეურნეო ფაქტორების ზეგავლენით. ნატურალური მეურნეობის კრიზისმა და ფულის გაბატონებამ მას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა. ხოლო ბატონყმობის მოსპობის (1864 წ.) შემდეგ სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ეს წოდება თავშეუკავებლივ დაეცა დაცემისაკენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის რუსულ და ქართულ გაზეთებში არა ერთი და ორი განცხადება მოთავსებულა ყმების და მამულის „ტორგში" გაყიდვის შესახებ: ფულის ბატონობა თავად-აზნაურობას ხელიდან აცლიდა ყმასა და მიწას. ცხადია ეკონომიურად და პოლიტიკურად დაცემული თავად-აზნაურობა ვერ შესძლებდა ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების აღდგენისათვის ბრძოლას. **მისი ინტერესი უკვე მოითხოვდა ახალ პირობებთან შეგუებასა და თვითმპყრობელობასთან თანამშრომლობას.**

3. თავად-აზნაურობის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებაზე დიდი გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე დაწყებულმა გლეხთა მოძრაობამ, რომელიც არსებითად მიმართული იყო ბატონყმურ ურთიერთობისა და ბიუროკრატიულ ჩინოვნიკური მართველობისა და აპარატის წინააღმდეგ. საქმე ის არის, რომ იმავე სავაჭრო ურთიერთობის განვითარებამ და თავად-აზნაურობის ეკონომიურმა დაცემამ მეტად გაამწვავა დამოკიდებულება მებატონეებსა და ყმებს შორის, რადგან პირველნი გაორკეცებული ხარჯვების დაფარვას ყმების გაორკეცებული ექსპლოატაციით ფიქრობდენ. ისტორიული კანონია, იქ სადაც ვითარდება ბატონყმურ ურთიერ-

თობის დროს სავაჭრო კაპიტალი, იგი აუცილებლად იწვევს მებატონესა და ყმებს შორის მდგომარეობის გამწვავებას. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (1804 – 1864 წ.) საქართველოში გლეხთა გრანდიოზულ მოძრაობებს ჰქონდა ადგილი. პირველ ხანებში (1804 წ. და 1812 წ. აჯანყებები) ფეოდალური არისტოკრატია ცდილობდა გლეხთა მოძრაობის თავისი ინტერესებისათვის გამოყენებას, მაგრამ შემდეგ პერიოდში გლეხთა მოძრაობამ გარკვევით მიიღო მემამულეთა საწინააღმდეგო ხასიათი. ამ გრანდიოზული მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალათ მემამულეებმა რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება დაინახეს. ამ წოდებრივმა ბრძოლამ ქართველი თავად-აზნაურობა ბუნებრივად დაუკავშირა რუსეთის თვითმპყრობელობას, რომელიც იცავდა მას ყოველგვარ სოციალურ მოძრაობისაგან, სამაგიეროდ ქართველი თავად-აზნაურობაც რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკის გამტარებლად გადაიქცა საქართველოში.[1]

მაგრამ არა მარტო ადგილობრივ მოძრაობისაგან დამცველ ძალას ხედავდა იგი თვითმპყრობელობაში, არამედ ევროპის რევოლუციონური ქარტეხილების განმანადგურებელი ძალა ამაეე თვითმპყრობელობაში დაინახა. 1848 წლის რევოლუციით დამფრთხალი ქართველი თავად-აზნაურობა ფიცს სდებდა ნიკოლოზის წინაშე „თუ ეს ქარტეხილი რუსეთის საზღვრებს მიადგება, ჩვენ როგორც ერთი კაცი ავდგებით ჩვენი დიდი სახელმწიფოს დასაცავად“.[2] 1861 წ. ჟურნ. „ცისკრის“ ფურცელზე ერთი მემამულე სწერდა:

„არიან დასავლეთის ევროპიაში, რომელნიც ასწავლებენ ხალხთა სიცრუის ჭეშმარიტებასა, რათამცა მით მოსპონ გულთა შინა მსმენელთათა სარწმუნოება, კეთილმოქმედება და პატივი და ჩვენ ვიხილეთ, როგორ მოსპო საზოგადოობა უკუნურებამ და აქედამ დაიბადა მეუ აღრეულება და განხეთქილება ჩასანთქმელად მთელის საზოგადოობისა. — იგინი (შემგინებელნი) ემსგავსებოდენ ცეცხლის სინათლესა, რომელსაც აღაგზნებენ მზაკვარნი სიმაღლესა კლდისასა, რათა მით მეხიმაღლენი დაღუბონ. — ჩვენ ესცხოვრობთ ესრეთს ადგილსა შინა, ოდეს ქრისტიანენი საერთოდ და განურჩეველად უნდა შეაერთდენ თვისა ძალასა და წინა უდგენ ურწმუნეობასა, აღრეულობასა, უზრახებასა... მიუძღვნათ დიდი მადლობა ღმერთსა ჩვენდამი მოწყალებისათვის, რომელ ყმსა დასავლეთის ევროპიას საზოგადოთ აღშფოთებისასა,

---

[1] სენ. ბენიკოვი 30-იან წლების დასაწყისში სწერდა: „საქართველოს მებატონეები საუკეთესო და საიმედო პოლიტიკას წარმოადგენენ და მასთანაც ბევრად უფრო ნრავალ რიცხოვანს, ვიდრე შეუძლია მთავრობას გამოგზავნოს აქ; რომ ქართველ მებატონეთა ყნებს არ უნდა ბიეკეთ თავისუფლება, ან თუ ეს აუცილებელი იქნება დაშვებული უნდა იქნეს უკიდურეს საჭიროების პირობებში“ (იხ. Записки „Сборник материалов для описания губерний“ ტ.I, ნაკ. I, გვ. 253, 1870 წ.)

[2] „Акты“ X გვ. 26. ივანენკოს დასახელებული წიგნი გვ. 350.

ჩვენ ეცხოვრობთ სამფლობელოსა შინა, სადაცა უფლებს მშვიდობა და მყუდროება".[1]

ზემოდმოყვანილი წერილი ნათლად ამტკიცებს, თუ თავად-აზნაურობა როგორი იმედით შესცქეროდა რუსეთის თვითმპყრობელობას; ეს იმედი და მორჩილება ბოლომდე შერჩა ქართველ თავად-აზნაურობას.

4. მაგრამ არა მარტო ობიექტიური პირობები, არამედ მთავრობის გარკვეული პოლიტიკაც მიმართული იყო ოქითკენ, რომ თავად-აზნაურობა მიეშხრო და თავის დამხმარე ძალად და აგენტად გადაექცია ამიერ-კავკასიაში. ამ საკითხის შესახებ ჩვენ ზევით ვისაუბრეთ და იქ დავინახეთ თუ როგორი შედეგები გამოიღო ამ პოლიტიკამ. როგორც დავინახეთ რუსეთის თვითმპყრობელობამ ამიერ-კავკასიაში, თუ ერთი მხრივ, გაანადგურა ძველი პოლიტიკურ ფეოდალური წყობილება და აღმოფხვრა ამ სისტემაზე აღმოცენებული ფეოდალური არისტოკრატია, მეორეს მხრივ, თვით მპყრობელობა ხელს უწყობდა ამ არისტოკრატიის კონსოლიდაციასა და ორგანიზაციას ახალ საფუძვლებზე; იგი ცდილობდა საქართველოს თავად-აზნაურობაზედაც გაევრცელებია ის კანონები, რომელიც რუსეთში იყო მე-18 საუკუნეში გამოცემული თავად-აზნაურთა შესახებ. ამის მიხედვით იგი ჩამოყალიბდა ახალ გარკვეულ წოდების ფორმებში, კანონმა მას სრული უფლება მიანიჭა მიწასა და გლეხობაზე და ამით უზრუნველყო მისი ეკონომიური და სოციალური ბატონობა, მეორე მხრივ, თავად-აზნაურთა საკრებულოს დაარსებით, თვითმპყრობელობამ ეს წოდება ორგანიზაციულად შეაერთა და პოლიტიკურ-ადმინისტრატიული უფლებებიც მიანიჭა. თავად-აზნაურობისათვის ასეთი წოდებრივი პრივილეგიების მინიჭება შესაძლებელია გაგებული იქნეს მხოლოდ გლეხთა მოძრაობასთან დაკავშირებით. ამ პოლიტიკას ისეთივე მიზანი ჰქონდა, როგორც 1775 წლის ცნობილ „გუბერნიების მართველობის დაწესებას", რომელიც პუგაჩოვის მოძრაობასთან დაკავშირებით შემუშავდა. ამით რუსეთის ხელისუფლებას უნდოდა საქ. თავად-აზნაურობა გადაექცია თავის დასაყრდენ ძალად ა/კავკასიაში, პროვინციებში განმტკიცებია თავად-ზნაურთა დიქტატურა და ამით ადგილობრივი ელასტიური ორგანიზაციული ძალა დაეპირისპირებია ყოველგვარ მოძრაობასა და მაშასადამე უმთავრესად გლეხთა რეოლუციონურ მოძრაობისათვის (იხ. ზევით მეჩნიკოვის მოსაზრება). მაგრამ ვინაიდან, თვით თ-აზნაურების ნაწილი მტრულად აყო განწყობილი რუსეთის თვითმპყრობელობის მიმართ, ამიტომ რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი სიფრთხილე და შრომა დასჭირდა ამ მიმართულებით მუშაობის დროს. საბოლოოდ მან თავის მიზანს მიაღწია ვორონცოვის პერიოდში და ქართველი თავად-აზნაურობა ა/კავკასიაში რუსეთის თვითმპყრობელობის

[1] ალექსანდრე სულხანოვი: „მეცხრამეტე საუკუნე", „ცისკარი", № 7, გვ. 259—60. 1861 წ.

ბატონობის უდიდეს დასაყრდენ ძალად გარდაეიქცა. მთელი ამ წოდებისა და თვითმპყრობელობის ინტერესები შეერთდა და ორივე ეს ძალა ურთიერთ დახმარების პრინციპით ხელმძღვანელობდა თავისი მოღვაწეობის დროს.

დ. ყიფიანის მოღვაწეობა, მისი პრაქტიკული საქმიანობა და საზოგადოებრივი პოლიტიკური იდეალები ამ ახალი ეპოქის საფუძვლებზედ აღმოცენდა, იგი გამომხატველი იყო ახალი არისტოკრატიის ინტერესებისა და მისწრაფებისა, იმ არისტოკრატიის, რომლის კონსოლიდაცია ახალი ფაქტორებისა და რუსეთის თვითმპყრობელობის გარკვეული პოლიტიკის ზეგავლენით ხდებოდა.

# თავი მეოთხე

## დიმიტრი ყიფიანის პიროვნება და მისი სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა

დიმიტრი ყიფიანის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების შესწავლისათვის და მისი საზოგადოებრივ პოლიტიკური მოღვაწეობის ხასიათის სისწორით გაცნობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი სოციალური შთამომავლობის გამორკვევა და ცხოვრების პირობების გაცნობა, ჩვენ რასაკვირველია, დიმ. ყიფიანის დაწერილებითი ბიოგრაფიის დაწერას არ ვკისრულობთ, ბიოგრაფიულ ფაქტებს იმდენად შევეხებით, რამდენადაც ეს მოგვცემს გასაღებს ჩვენი მთავარი თემის — ყიფიანის სოციალ-პოლიტიკური აზროვნების დახასიათებისათვის. ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი მომენტები დ. ყიფიანის ცხოვრებიდან. მაგრამ სანამ სწორ ბიოგრაფიულ ფაქტებს შევეხებოდეთ, საინტერესო არის გავიცნოთ პატარა გადმოცემა ყიფიანთა გვარის წარმოშობის შესახებ.

უძველეს დროს ყიფიანები ყოფილან სვანეთში. ბაგრატ მეფის დროს სვანეთის სოფელ წვირმასში სკპოკრობდა მორკინალი მეომარი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ჰყავდა აფხაზი კაცი მორკინალი (გლადიატორი).

ბაგრატ შეფეს ხოსთარმა მეტისზეტად გაუბერა საქმე. ოსმალეთის ჯარი გადმოსხა ზაკი ზღვის ნაპირს და დღე-დღეზე უნდა შემოსეოდა იმერეთს. ბაგრატ მეფემ მაშინვე აფრინა შიკრიკი გიორგი გოგიაძესთან სვანეთში: აბა, ჩემო გიორგი, როგორც ინდი მაქვს შენი, ახლავე შეიარაღდი შენი ათასი კაცით და ცხენისწყალს გადმოღმა მოგეშველეო. გიორგიმ მოისმინა შიკრიკის პირით მეფის ბრძანება და შიკრიკი უკანვე გამოისტუმრა: მოახსენე იმერეთის მეფესა და ჩემს მბრძანებელს, რომ დაუყოვნებლივ გიახლებითო.

გიორგი გაუდგა გზას თავისი მეომრებით და დაბინავდა სოფელს მურს ცხენისწყალის მარცხენა ნაპირს. აქედან მან გაუგზავნა ქუთაისში ბაგრატ მეფეს შიკრიკი და აცნობა: გაიხელი მეფეო.

მეფემ მოუსმინა შიკრიკს და ბრძანა: რას ვაქნევ და რაში მინდა შენი ბატონის მურში დაბინავება, მე ის �ქ მეჭირდებაო. შიკრიკმა მოკრძალებით მოახსენა მეფეს: ის სტუმარია მეფეო, შენ მასპინძელი, როგორც

მასპინძელი, იქ უნდა შეეგებო სტუმარსო. კარგიო, ბრძანა მეფემ:—წადი და ეთხოვნე შენს ბატონს, მოვდივართქო. ზეკრიკი გაბრუნდა. მეფე თავისი ამალით ვაეკვეზავრა მურს გოგიაძის სასახლეად.

ბორიგეებმა ეთხოვნეს გიორგის: მეფე მობრძანდებაო. გიორგი მაშინათვე გამოეიდა თავის ფანჩატურიდან და შეეგება მეფეს.

ჰო, ჩემო გიორგი გოგიაძე, რა ყიფიანი (ყიფი -ამაყი) რამა ხარ. მიაძახა ნეფემ და გადაეხვია გიორგის. მას აქეთ დაერქვა გიორგი გოგიაძეს ყიფიანი: გოგიაძე-ყიფიანი.

შემდეგ და შემდეგ გოგიაძე დაიკარგა და დარჩა ყიფიანი. გოგიაძის შთამომავლობა გამრავლდა და ზოგი ლეჩხუმს გადასახლდა, ზოგი რაჭას, ზოგიც შორაპნის მაზრაში. [1]

ეს გადმოცემა რასაკვირველია, არ არის ისეთი შინაარსის, რომ იგი არ შეიცავდეს რაიმე ისტორიულ სინამდვილეს: ასეთი ფაქტი შეიძლება მოხდარიყო ჩვენი ცხოვრების ისტორიულ წარსულში. მაგრამ ამჟამად ამიგამორკვევა, თუ რა არის აქ ნამდვილი და რა არა, ერთობ ძნელია.

უდაოა მხოლოდ შემდეგი: დიმიტრის მამა-ქოჩო ყიფიანი და მისი ბიძაშვილი მაჩისთვალი — გადმოსულან სვანეთიდან ქართლს და დამდგარან დიდ იანე აბაშიძესთან ნოურავად: ეს აბაშიძე ერთ-ერთი დიდი ფეოდალი და დიდი მკმამულე იყო: მთელი სააბაშიო იწყებოდა ხაშურის ჭალის დან და გადიოდა იმერეთის აბაშამდე. ეს ამოდენი ადგილ-მამული იყოფოდა ექვს ნაწილად აბაშიძიანთა დიდი ოჯახების მეთაურთ შორის. ერთი დოკუმენტი გვიჩვენებს, რომ მარტო შორაპნის მაზრის რამდენიმე სოფელში ივ. აბაშიძეს 452 კომლი გლეხი ყოლია ყმად.[2] ეს მხოლოდ ერთ მაზრაში და თუ ავიღებთ იმ ვრცელ ტერიტორიას, რომელიც მის სამფლობელოს წარმოადგენდა, მაშინ ყმათა რიცხვი რამდენიმე ათას კომლამდე მიაღწევდა. მაგრამ აბაშიძეები მარტო ყმა გლეხებზე კი არ ბატონობდენ,მათ განკარგულებაში იყო წვრილი აზნაურობაც: ამათ რიცხვს მიმატებია ქოჩო ყიფიანიც. ივანე აბაშიძე პოლიტიკურად ცნობილი ფიგურაა მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიაში. იგი დედით შვილისშვილი იყო მეფის სოლომონ პირველისა. იგი იმ აბაშიძიანთა ოჯახს ეკუთვნოდა რომელიც თავგამოდებით იბრძოდა რუსეთის მმართველობის იმერეთში განტმკიცების წინააღმდეგ. მამა მისი ქაიხოსრო და სანი ძმა როსტომ, გიორგი და სიმონი 1810 წ. იმერეთის აჯანყების დროს დაიღუპნენ. თვითონ ივანე მეთაურობდა იმ აჯანყებას, რომელიც 1819—20 წლებში მოხდა იმერეთში.

---

[1] ეს გადმოცემა ჩაწერილი აქვს ილ. გომართელს დ. ყიფიანის შვილის არტისტ კოტე ყიფიანის ბიოგრაფიაში და ჩვენ აქედან მოგვყავს (იხ. გვ. 9—10).

[2] ჩვენ-ხელთ არის დაბეჭდილი დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება: „Опись имени состоявшему в Шорапанском уезде, поступившему л казну за участие и бывшем в 1820 году бунте Князя Ивана Абашидзева“ და რომელშიც ვრცლად არის აწერილი ის გადასახადები, რომელსაც ყმა გლეხი აძლევდა თავის ბატონ-აბაშიძეს.

არსებითად აბაშიძეები იბრძოდენ თავიანთი ფეოდალური უფლებების შენარჩუნებისათვის, რადგან რუსული მფარველობის სისტემა ძირშივე სპობდა ახალი ორგანიზაციის არსებობას. დამარცხების შემდეგ ივანე აბაშიძე გაიქცა თურქეთში, აჯანყებაში მონაწილე თავადები სასტიკად დასაჯეს და გადაასახლეს შორეულ ციმბირში, აბაშიძის და დასჯილ თავადების ქონება და გლეხები გადარიცხული იქნა სახაზინოდ. იმერეთის ფეოდალური არისტოკრატიის ეს მნიშვნელოვანი ბრძოლა რუსეთის მმართველობისა და მისი სისტემის წინააღმდეგ მოხდა იმ დროს, როდესაც დიმიტრი ყიფიანი ჯერ კიდევ ექვსი-შვიდი წლის ბავშვი იყო. მაგრამ ამ ისტორიულ ფაქტებსა და საერთოდ ფეოდალური არისტოკრატიის ბრძოლებს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მე-19 საუკუნის დასაწყისში არ შეეძლო თავისი დიდი გავლენა არ მოეხდინა დიმ. ყიფიანზე. როდესაც მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება დაიწყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა დიმიტრის ცოცხალი მაგალითები ჰქონდა თვალწინ და ნათელი ფერადებით ისახებოდა მისთვის, თუ რისთვის იბრძოდა მსხვილი ფეოდალური არისტოკრატია და როგორი შედეგებით თავდებოდა ეს ბრძოლა. როგორც ქვევით დავინახავთ დ. ყიფიანი წინაღმდეგი იყო ფეოდალურ-პოლიტიკური წყობილების და მომხრე აბსოლუტური მონარქიისა. ამ საფუძველზე ეს შეხედულებანი აუცილებლად მიიყვანა დ. ყიფიანი იმ ისტორიულმა ფაქტებმა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით.

თავისი სოციალური შთამომავლობით დ. ყიფიანი წვრილი აზნაურის შვილი იყო. ნ. ყიფიანი, უფროსი შვილი დ. ყიფიანისა, თავისი მამის მშობლების შესახებ გადმოგვცემს: „ქვემო ქართლში ქ. გორის მახლობლად, სოფ. არბოსა ლა ტყვიავის გვერდით მდებარეობს პატარა სოფელი ბერეთი, სადაც მოსახლეობს ფურცელაძეების გვარეულობა. ამ ოთხმოცი წლის წინად[1], ერთ ფურცელაძის ოჯახში იყო ერთი ჩასიძებული საბაშიოდან გადმოსული აზნაურიშვილი, ქოჩო ყიფიანი. ცოლად ჰყავდა ბარბალე ფურცელაძის ქალი. ქოჩოს და ბარბალეს ჰყავდათ სამი ვაჟი და ორი ქალი. 14 აპრილს 1814 წელსა დაებადათ უმცროსი შვილი, დიმიტრი ყიფიანი“[2]. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება დაწვრილებითი ცნობები დიმ. ყიფიანის მშობლების ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ის ფაქტები, რომელსაც ნ. ყიფიანი იძლევა თავის წერილში, მაინც გვაძლევს შესაძლებლობას დაახლოვებით აღვადგინოთ დიმიტრის ოჯახის პირობები. იგივე ავტორი გადმოგვცემს, „ქოჩო ყიფიანი იყო კარგი აზნაურიშვილი, წყნარი და მშვიდობიანი ხასიათისა, უსიამოვნებას, ჩხუბს და დავიდარაბას ყოველთვის ერიდებოდა და ამიტომ დაანება თავი საბაშიოს, სადაც აბშიძეე-

[1] წერილი დაწერილია 1894 წელს.

[2] ნიკ. ყიფიანი, „დ. ყიფიანის ცხოვრება“, ჟურნ. „მოამბე“ № 4, გვ. 69, 1894 წ.

ბიხაგან შევიწროებული იყო და ჩაესიძა ნწვიდობიანს ფურცელაძის ოჯახში მშვიდობიანსა და წყნარს მერეთში“.[1]

ამრიგად როგორც თავისი მამის ხაზით, აგრეთვე დედის მხრივაც დ. ყიფიანი არ ეკუთვნოდა ჩვენი ბრწყინვალე წოდების უმაღლეს ფენას. როგორც ჩვენი წარსული სოციალურ ცხოვრების ისტორიიდან ვიცით, აზნაურობა, მართალია მაღალ წოდებაზედ იყო მიწერილი, მაგრამ თავისი ციალ-ეკონომიური პირობებითა და იურიდიული უფლებებით საქართველ[illegible] უმაღლესი წოდების ხელქვეით წოდებას წარმოადგენდა: აზნაური რომელიმე თავადის, მსხვილი მემამულის „სვიტაში“ იყო ჩაწერილი და მის ხელქვეითად თვლებოდა. ვახტანგ VI-ის კანონმა აზნაური გლეხს ზევით დააყენა, მაგრამ ეკონომიურ-მატერიალურად და უფლებრივად სავსებით დაუშორჩილა ნსხვილ მემამულე-არისტოკრატიას. ამ ნხრივ აზნაურობა საკმაო შევიწროებას განიცდიდა თავის ფეოდალისაგან. ამის მაგალითს ჩვენ ქოჩო ყიფიანის ცხოვრებიდანაც ეტყობილობთ: როგორც თავად აბაშიძეების ხელქვეითი აზნაური, დიმიტრი ყიფიანის მშობლები დიდ შევიწროებას განიცდიდენ თავიანთ ბატონებისაგან. ეს წოდებრივი ბრძოლა ნსხვილ თავადებსა და აზნაურებს შორის წითელი ზოლივით არის გავლილი საქართველოს ისტორიაში; და მან განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველოში დამკვიდრდა რუსეთის მმართველობა. ეს ბრძოლა, შეიძლება ითქვას, აზნაურების გამარჯვებით დაგვირგვინდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშივე, როდესაც ერთი მხრივ აღმოფხვრის გზას დაადგა ძველი ფეოდალური წყობილება და მ[illegible]რე მხრივ 30-იან წლებში საქართველოს აზნაურობამ რუსეთის მმართ[illegible]ლობის განკარგულებით სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა, ე. ი. განთავისუფლდა მსხვილ მემამულეთა აპეკიდან და თავისუფალი წოდების სახელწოდება მოიხვეჭა. აქრიგად რუსეთის მმართველობის დამკვიდრებით საქართველოში აზნაურთა წოდებამ თავისი ძველი ბორკილები მოიხსნა და თავისუფალი სარბიელი მოიპოვა მოღვაწეობისათვის.

დიმიტრი ყიფიანი, როგორც დავინახეთ, ამ შევიწროებული წოდების შვილი იყო. ახალმა საზოგადოებრივმა პირობებმა, რომელიც აუცილებელი შედეგი იყო რუსეთის ნმართველობის დამკვიდრებისა, მას ფართო მოედანი გადაუხსნა საშოღვაწეოდ. აზნაურების ინტერესები შეესხეულა ამ ახალ პირობებს და შესაფერისად გამოიყენა იგი თავისი კლასიურ-წოდებრივი ინტერესების დაცვისათვის. დ. ყიფიანმა უშიშრად განვლო ეს გზა თავისი წოდებისა და ერთ დროს უმაღლეს ხარისხამდეც მიაღწია.

როგორც ავღნიშნეთ, დ. ყიფიანის მშობლები მატერიალურად არ იყვნენ მდიდრები. აზნაურის ოჯახი და ისიც აბაშიძეებისაგან გამოქცეულის, არ შეიძლება ყოფილიყო ეკონომიურად ძლიერი ოჯახი; მას არ ჰქონდა იმდენი შემოსავალი, რომ თავისი მაბულით ერჩინა თავი და ქოჩო ყიფია-

[1] იქვე გვ. 70.

ნის უფროსი შვილიც—ქაიხოსრო, იძულებული გამხდარა სახელმწიფო სამსახურისთვის მიემართა: დიმიტრის ბავშვობის დროს იგი ყოფილა დ. სურამის „დამოუნის ნაწილის“ მოსამსახურე. [1] პატარა დიმიტრი ამ „დამოუნის“ მოხელის ზედამხედველობითა და მისი დახმარებით გაიზარდა. იგივე ნ. ყიფიანი გადმოგვცემს: „ქაიხოსროს გაუწია თავის პატარა ძმას, ,ალად დარჩენილ შვიდი წლის დიმიტრის, მამობაცა და დედობაც და ,ანასკნელ დღემდინ მათ შორის ერთგული ძმობა და ნამდვილი მეგობრობა არ დარღვეულა. ყმაწვილობაშივე შეეტყო დიმიტრის დიდი ნიჭიერება; წერა კითხვა ქართული, ლოცვები, ანგარიში, ვეფხვის ტყაოსანი და საღმრთო წერილიც კი პატარა დიმიტრიმ ისწავლა დედის კალთაში თავის თავად. ქაიხოსრო, როდესაც მამა მოუკვდა მსახურობდა დ. სურამში დამოუნის ნაწილში და დროს რომ ჩაიგდებდა ხელში, მივიდოდა ხშირად მერეთში დედისა და პატარა ძმის სანახავად, როდესაც დედა მოკვდა და დამარხა [2], პატარა დიმიტრის მოჰკიდა ხელი და თან წაიყვანა სურამში. [3]

ამრიგად, პატარა დიმიტრი უფროსი ძმის მზრუნველობის ქვეშ მოყვა, მაგრამ ვინაიდან ქაიხოსრო სამსახურით იყო გართული, მას არ შეეძლო ძმის აღზრდისათვის შესაფერისი ყურადღება მიექცია და პატარა დიმიტრიც ხშირად მარტოდ მარტო რჩებოდა სახლში, მას არც გამოცდილება ჰქონდა ნიჭიერი ბავშვისათვის განათლებისაკენ გზა გაეხსნა და დროის შესაფერისი სწავლა მიეცა მისთვის. მაგრამ ქაიხოსროს ოჯახში, იმავე ნ. ყოფიანის გადმოცემით, მოხდა ერთი ფაქტი, რომელმაც ხელი შეუწყო დიმიტრის ცხოვრების ახალი გზით მიმართვას. ერთხელ ტფილისიდან სასახურის გამო სურაბში მოვიდა რუსი მოხელე ფეოდოროვი, რომელიც ქაიხოსროს ოჯახში დაბინავდა, ფეოდოროვს ქართული ესმოდა და რამდენიმე დღის განმავლობაში პატარას რუსული კითხვა შეასწავლა, დიმიტრიმ იმდენად დიდი გავლენა მოახდინა თავისი ნიჭით, რომ უკანასკნელმა დაჟინებით ურჩია ქაიხოსროს ბავშვის სასწავლებელში მიბარება.

ეს პატარა ბავშვი იმისთანა ნიჭიერია, რომ უეცველად უნდა მოიყვანო ტფილისში და მიაბარო სასწავლებელშიო — უთხრა ფეოდოროვმა ქაიხოსროს.

ქაიხოსრო აღტაცებული შეიქმნა და, თუმცა არც ჯამაგირი ჰქონდა იმოდენი, არც შეძლება, რომ ადვილად გამგზავრებულიყო ტფილისისაკენ, — ერთ თვეს უკან შეჯდა ცხენზე, შემოისვა თავისი პატარა ძმა დიმიტრი და გასწია ქალაქისაკენ.

— ჩემო სანათლე დიმიტრი, ვინძლო კაცი გამოხვიდე, ვინძლო გაუხარო გული შენს ქაიხოსროსა....

---

[1] იხ. იქვე, გვ. 71.

[2] როგორც ერთი დოკუმენტიდან—დედის წერილიდან—მტკიცდება დიმიტრი არ დაობლებულა ბავშობაში.

[3] იქვე, გვ. 71.

ბევრი დავიდარაბა გასწია, სანამ მოახერხა და მიაბარა ძმა სასულიერო სემინარიაში". [1]

ფეოდოროვმა არა მარტო გზა უჩვენა დიმიტრის განათლებისაკენ, არამედ მატერიალური დახმარებაც აღმოუჩინა მას; ბინა ჯერ კიდევ გამოუცდელმა მოწაფემ ფეოდოროვის ოჯახში მოიპოვა.

სწავლის პერიოდიდან საინტერესო მომენტებს გადმოგვცემს თვით დიმიტრი თავის მემუარებში. აქ ჩვენ ნათელ ფერადებით გვეშლება თვალწინ, თუ რას წარმოადგენდა მაშინდელი სასწავლებელი, როგორ მიზნებს ისახავდა და როგორი იყო საერთოდ მაშინდელი პედაგოგიური სისტემა. ამ სისტემის შესახებ დიმიტრი სწერს: „როგორც სასულიერო სასწავლებელში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავლებელშიაც ერთ ადგენენ: ანიდან ბანამდე უაზროთ გაზეპირებას და რაიმე დანაშაულისათვის ხელის გულზე სახაზავით ცემას. ეს იყო და ეს მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე" [2] და ამ „სიბრძნის" შედეგი სასწავლებელში შესვლის დღიდანვე იგემა პატარა დიმიტრიმ. აი პატარა ეპიზოდი მაშინდელი სასწავლო მეთოდისა: პატარა დიმიტრი ახლად გადაყვანილია კეთილშობილთა სასწავლებელში. მეორე დღესვე მას თავს ესხმის მეცადინეობის დროს სასწავლო ადმინისტრაცია;

„შენ როგორ გაბედე უბრძანებლად ზარის დარეკვა?

—მრისხანეთ მეკითხება უფროსი.

მე ეს კითხვა არ მესმის და სულელივით შევსცქერი.

წამავლებენ ყურში ხელს და ხელახლა მეკითხებიან.

— მე არ დამირეკია — ვუპასუხებ.

— ნამდვილად ეს არის? — მიუბრუნდა ყრმას და ეკითხება შიპულინი.

— ეგ არის, ეგა — უმტკიცებს ის და მასთან მისი ამხანაგებიც.

— ო, ო. შენ უარზედაც ხარ. აბა ერთი სახაზავი. — და მომარტყეს ხელის გულზე გააფთრებით ერთი ოცჯერ მაინც.

— რის გულისათვის. — ვეკითხები ჩემს თავს ქვითინით.

მეც ისეთი დამნაშაეე ვიყავი ამ საქმეში, როგორც თქვენ, ჩემო მკითხველო. [3]

და ასეთი ეპიზოდები არა ერთი იყო დიმიტრის ცხოვრებაში კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლის დროს. და ასეთმა უსამართლო დასჯამ, ასეთმა სასტიკმა სასწავლო სისტემამ დიდი გავლენა მოახდინეს დიმიტრი ყიფიანის აზროვნების ჩამოყალიბებაზე. დიმიტრიმ პატარობიდანვე შეიძულა ძველი სასწავლო სისტემა და პედაგოგიკის სფეროში ბოლომდე დარჩა ლიბერალური პოლიტიკის მატარებელი. უფრო მეტი, ამ ფაქტებს მეორე მხრივადაც ჰქონდა გავლენა დიმიტრის სამოღვაწეო გეგმებზე: მან თავი-

[1] იქვე, გვ. 72.

[2] იხ. დ. ყიფიანის „მემუარები" გვ. 3, 1930 წ.

[3] იხ. იქვე, გვ. 4.

დანვე შეიძულა ბიუროკრატიულ ჩინოვნიკური მეთოდი და ბოლომდე ცდილობდა საღი გონიერება დაედვა სარჩულად ყოველგვარ საქმიანობისათვის. როგორც ქვევით დავინახავთ, დიმიტრი ერთი მხრივ ნათლად ხედავდა, თუ როგორი დიდი წარმატება იყო საქართველოსათვის რუსეთის მმართველობის დამკვიდრება, ხოლო მეორე მხრივ მისთვის არ იყო დაფარული ბიუროკრატიულ აპარატის უარყოფითი შედეგები. ბრძოლა ამ აპარატის გაჯანსაღებისათვის დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის მთავარ მომენტად გადაიქცა, იგი ენერგიულად ებრძოდა ყოველივეს, სადაც მისი აზრით მახინჯდებოდა ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა. ბავშვობაში მიღებულმა შთაბეჭდილებამ დ. ყიფიანს გარკვეული სოფლმხედველობა შეუმუშავა.

როგორც ავღნიშნეთ, დიმიტრი პირველად მიაბარეს სასულიერო სემინარიაში, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს კეთილშობილთა სასწავლებელში. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ სასწავლებელს გარკვეული პროგრამა ჰქონდა დასახული. როგორც ვიცით, რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებით საქართველოში ძირიანად შეიცვალა უკანასკნელის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება: ძველი ფეოდალური კარჩაკეტილობა მოისპო, აზიური წესი მმართველობისა აღმოფხვრის გზას დაადგა — საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება რუსეთის წესწყობილების ჩარჩოებში მოყვა; ძალაუნებურად იგიც უნდა დამორჩილებოდა ცხოვრების იმ პროცესს, რომელსაც რუსეთის საზოგადოებრივობა განიცდიდა. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ახალი ცხოვრების წარმოებისათვის არ აღმოაჩნდა შესაფერისი პირობები და საჭირო ინტელექტუალური ძალები. უკეთ რომ ვთქვათ, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში საქართველო შედიოდა რუსული ხიშტის ძალადატანებით, მაგრამ თავისი მხრივ მოსული ფეოდალურ-იმპერიალისტური ძალა ცდილობდა თავისთვის ადგილობრივ შესაფერისი პირობები შეექმნა. ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენდა შესაფერისი მოხელეობის მომზადება. კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წ. გიმნაზიად გადაკეთდა, დაარსეს 1802-4 წლებში და მას გარკვეული პოლიტიკური ამოცანა ჰქონდა დასახული. მისი საშუალებით რუსეთის ადგილობრივ მთავრობას სურდა ერთი მხრივ— მოემზადებია კადრი გამოცდილი მოხელეებისა და ადგილობრივ თავად-აზნაურებისაგან, რადგან რუსეთის მმართველობის განმტკიცებისათვის საჭირო იყო ადგილობრივი პირობების მცოდნე დიდძალი მოსამსახურენი. კეთილშობილთა სასწავლებელს უნდა დაეკმაყოფილებია სახელმწიფოს ეს მოთხოვნილება. თვით დ. ყიფიანი სწერს: „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მხოლოდ თავად-აზნაურთა შვილებს იღებდენ და სამსახურისათვის ამზადებდენო“. ციციანოვი თავის „უქვეშევრდომილეს“ მოხსენებაში 1803 წ. ხაზგასმით მიუთითებდა ამ გარემოებაზე.[1] მეორე მხრივ მთავრობის მიზანი იყო რუსული კულტურა

[1] „Акты“ ტ. II, გვ. 196.

შეეტანა ადგილობრივ მცხოვრებლებში, გაემტკიცებია კავშირი ამ გზით თავად-აზნაურობასთან და ხელი შეეწყო **ფეოდალური არისტოკრატიის მსახური არისტოკრატიად გადაქცევისათვის**: რუსეთის თვითმპყრობელობას სურდა თავის დასაყრდენ ძალად ამიერ-კავკასიაში თავად აზნაურობა გადაექცია, ხოლო თავად-აზნაურობასთან დასაალოვებელ ერთ-ერთ უდიდეს საშუალებას სკოლა წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ თავად-აზნაურთა შვილებისათვის იყო გახსნილი. ციციანოვი სწერდა: „Поколение (дворянских) вторых летах выше пребывающее, вкусило блаженство, российским правительством для оного участвляемое.“ [1]

უნდა ითქვას, რომ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აღიზარდენ ჩვენი ცნობილი მწერლები და მოღვაწეები. „მაგრამ ამ ეს გამოიზარდა, დავაკაცდა და შემდეგ გამრავლდა ჩვენი ცხოვრების ახალი სოციალური ფენა **ქართველი მოხელეობა** უმთავრესად წარმოშობილი იმავე თავად-აზნაურულ წრეებიდან, მაგრამ დღეს სხვაგვარი ფუნქციების მატარებელი. ეს ახალი ფენა ორგანიულად შეეხორცა, შეეზარდა რუსეთის სახელმწიფოებრივ აპარატს და იგი გადაიქცა რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკის გამტარებლად საქართველოში. ამ ფაქტით ღრმა ცვლილება მოხდა საქართველოს საზოგადოებრივ სოციალურ წყობაში ფეოდალური არისტოკრატიის (ბატონიშვილები, დიდი დამოუკიდებელი მთავარნი, დიდი მემამულენი და სხვ.) ლიკვიდაციის პროცესთან ერთად დაიწყო მეორე პროცესი. **ახალი თავად-აზნაურული მოხელეთა წარმოშობისა**, მაგრამ ამ ახალი ფენისათვის რუსეთის მმართველობის საკითხი არ იყო მხოლოდ ეროვნულ პოლიტიკური საკითხი, იგი მისი არსებობის საკითხიც იყო: იგი წარმოიშვა რუსეთის ბიუროკრატიული წყობილების დამკვიდრებით, შეეზარდა ამ ახალ სისტემას, შეითვისა მისი პროგრამა და ბეთოდი; ამიტომ მას ამ სისტემის გარეშე თავისი არსებობა ვერ წარმოედგინა და არც სურდა რაიმე ცვლილება მოეხდინა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ ახალი სოციალური ფენის სახელმწიფო მოსამსახურე არისტოკრატიის საუკეთესო წარმომადგენელი იყო დ. ყიფიანი. „მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ახალი სოციალური ფენა—მსახური არისტოკრატია-მოხელეთა წრე არ წარმოადგენდა ერთფეროვან მასას: ჯერაც თავს იყრიდა სხვადასხვა სოციალ წრეებიდან წარმოშობილი ფენები და ცხადია მათ შორისაც იქნებოდა სხვადასხვა შინაარსის ბრძოლა. აზნაურთა წოდების დიდ მემამულეთა და თავადთა აპეკისაგან განთავისუფლებამ, ფართო გზა გაუხსნა პირველს სამოღვაწეო ასპარეზისაკენ, ხოლო ბიუროკრატიულმა რეჟიმმა იგი უფლებრივადაც გაათანასწორა მაღალ წოდებასთან. ბრძოლა მსხვილ არისტოკრატიასა და წვრილ აზნაურობის შორის საგრძნობლად დაიწყო 30-იან წლებში და განსაკუთრებული სიძლიერით გამომჟღავ-

[1] „Акты“ ტ. II, გვ. 196.

ნდა 60-70 წლებში, როდესაც ბატონყმობის მოსპობის შემდეგ დაისვა ბანკების დაარსების საკითხი.

დ. ყიფიანი, როგორც დავინახეთ, წვრილი აზნაურის შვილი იყო და როგორც ასეთი თან ატარებდა თავისი წოდების იდეოლოგიას; ყოველი მისი ნაბიჯი გადადგმული ეკონომიურსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში გამომდინარეობდა ამ წოდების ინტერესებიდან, მისი როლი და პროგრამა ახალი რეფორმის (1862-64 წ.) გატარების დროს, მისი საბანკო პოლიტიკა, მისი ეროვნულ-პოლიტიკური იდეალები, მისი ხაზი განათლების საკითხში პირდაპირ გამომდინარეობდა წვრილ თავად-აზნაურთა ინტერესებიდან.

მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება დიმიტრი ყიფიანმა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურში გაატარა, როგორც ვიცით, სასწავლებელი, რომელშიაც იგი იზრდებოდა, პირდაპირ მოხელეთა კადრს ამზადებდა ადგილობრივ ხელისუფლებისათვის. 1830 წ. გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ იგი პირველად ხდება თარჯიმანი თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში, ხოლო შემდეგ მასწავლებლის თანამდებობის ადგილიც მიიღო გიმნაზიაში.[1]

1830-32 წლების შეთქმულების აღმოჩენამ, რომელშიაც დ. ყიფიანი ღებულობდა მონაწილეობას, დროებით შეაფერხა მისი სამსახურში დაწინაურება. მაგრამ ვოლოგდაში გადასახლებული პოლიტიკური მოღვაწე, აქ სახელმწიფო სამსახურში გაორკეცებულ ენერგიას იჩენს და „სამ წელიწადში კანცელარიის კიბეზე საგუბერნიო მართველობის მდივნის საფეხურამდე ავიდა". აქედან იწყება დიმიტრი ყიფიანის კარიერა სახელმწიფო სამსახურში; მართალია მას მრავალი დაბრკოლებანი ეღობებოდა წინ, მაგრამ უბრალო მოხელემ და მასწავლებელმა რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში შესანიშნავად გამოასწორა თავისი 1832 წლის შეცდომა და იმ თანამდებობამდე მიაღწია, რომელიც სიზმარშიაც არ ელანდებოდათ მრავალი მაღალი გვარის შთამომავალთ. დ. ყიფიანი მტკიცე და ენერგიული, მომუშავე იყო; იგი იყო პრინციპის კაცი; სახელმწიფო სამსახურს იგი უყურებდა არა, როგორც თავის გამორჩენის წყაროს, არამედ როგორც საზოგადოებრივ-ეროვნულ მოვალეობას, როგორც საზოგადოებრივ სამსა-

[1] შეთქმულთა შესახებ შედგენილ საგამომძიებლო ოქმში ვკითხულობთ: „დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანს ეჭირა მასწავლებელის თანამდებობა გიმნაზიის მესამე კლასში, ითვლებოდა მეათე კლასის მოხელედ; ხნოვანებით ოცი წლისაა, უცოლოა, მამული აქვს გორის მაზრაში განუყოფელად ძმებთან ერთად; გარდა ამისა აქვს საკუთარი მიწა ტფილისში რომელზედაც პისარ აღმართულების მიერ (ფეოდოროვზეა ლაპარაკი—ს. ხ.) შენებული არის ორი ქვის სახლი; ამ მამულიდან შემოსავალი აღწევს 300 მან. თვითონ ჯამაგირის სახით და კერძო გაკეთილებით ღებულობდა 800 მან. წელიწადში, განათლება მიიღო ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში პროპორჩიკ ფეოდოროვისა და მისი ცოლის აზნაურ ყიფიანის ქალის წყალობით, ორმელთაც იშვილეს ის (დიმიტრი); აგრეთვე სწავლის საქმეში მას მხრუნველობას უწევდა თვით მთავრობა, რომელიც ყოველთვიურად აძლევდა მას. 5 მანეთს. (იხ ცენტრ-ოქიეში: „По делу о грузинском заговоре" ნაწ. IV 166, გვ. 215).

ხურს. ვორონცოვის დროს დ. ყიფიანი დაინიშნა მეფის მოადგილის საბ-ჭოს კანცელარიის მმართველად; მურავიოვმა იგი კანცელარიის დირექტორობამდე აიყვანა, ხოლო ბარიათინსკიმ--მეფის მოადგილის საბჭოს წევრად დანიშნა. ერთი მისი ბიოგრაფი შემდეგნაირად ახასიათებს დ. ყიფიანის მოღვაწეობას,

„მთავარმართებლის სამრჩევლოში (совет) დიდის ნაბიჯით მიდიოდა ყიფიანის სამსახური სხვადასხვა ხარისხებამდინ. არ არის არც ერთი ადგილი და კუთხე საქართველოში, სადაც დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო დანიშნული მთავრობისაგან, როგორც ჭკვიანი და ნიჭიერი კაცი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, ქართლი, კახეთი—ყველა იცნობდენ დიმიტრი ყიფიანს. ამ ოცდა ცამეტი (1830-63) წლის სამსახურის დროს დ. ყიფიანს არ მოუსვენია არც ერთი დღე, არც ერთი საათი, მაგარი და მტკიცე სულით იგი მხნეთ ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჩინოვნიკი, არამედ როგორც პატიოსანი კაცი და დაუცხრომელი მოღვაწე“.[1] 1864 წ. დ. ყიფიანმა საზოგადოებრივ სარბიელზედაც უდიდეს გამარჯვებას მიაღწია, უბრალო აზნაურისშვილი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს და ამ თანამდებობაზე თითქმის შვიდი წელი (1864-70) გაატარა. ეს საგულისხმიერო ფაქტი იყო ჩვენი იმ დროინდელი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი და მან თავისი შესაფერისი წინააღმდეგობაც გამოიწვია მსხვილი არისტოკრატიის მხრიდან. შემდეგ, 1876-79 წ. დ. ყიფიანი ტფილისის ქალაქის თავი იყო. ხოლო 1885-86 წლ. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

ასეთივე საფეხურები განვლო დიმიტრი ყიფიანმა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურში. უბრალო მოხელე კავკასიის მეფის მოადგილის საბჭოს წევრი გახდა--ფაქტიურად ადგილობრივი მთავრობის წევრი, ღარიბი აზნაური—ქართლ-კახეთის და იმერეთის ბრწყინვალე წოდების მეთაური. მაგრამ ამ ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში დიმიტრი ყიფიანი ერთ გარკვეულ იდეას ემსახურებოდა, ერთი გარკვეული პოლიტიკური პროგრამის მატარებელი იყო.

რაში გამოიხატებოდა მისი პროგრამის პოლიტიკური და სოციალური შინაარსი?

დ. ყიფიანი თავის ეპოქისათვის საკმაოდ განვითარებული პიროვნება იყო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 16 წლის ყმაწვილი ოთხი საგნის: არითმეტიკის, გეოგრაფიის, ქართულისა და რუსულის მასწავლებლად იყო დანიშნული გიმნაზიაში, მაგრამ როგორც სჩანს, იგი არ დაკმაყოფილებულა სასკოლო სწავლითა და „თავისი დაუღალავი შრომით და მეცადინეობით განვითარებულა სწავლასა და მეცნიერებაში“. დ. ყიფიანი საუკეთესო

[1] იხ. ხელმოუწერელი ბროშურა: „დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი“ გვ. 8-9, 1887 წ. ამ წიგნაკის ავტორი არის ცნობილი არტისტი ვალ. გ უ ნ ი ა, როგორც ეს ცენტრარჭივის მასალებითა და თვით გუნიას მოგონებით მტკიცდება.

მცოდნე იყო დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა. იგი პირდაპირ ინგლისური და ფრანგულიდან სთარგმნიდა შექსპირს, მოლიერსა და სხვა მწერლებს. იგი სწერდა საქართველოს ისტორიიდან ნარკვევებს, ადგენდა გრამატიკას და სთარგმნიდა სამეცნიერო შრომებსა.

ეპოქამ დ. ყიფიანს თავისი დაღი დაასვა: მან არა მარტო შეითვისა მეცნიერება, არამედ არ ზოგავდა თავს მისი გავრცელებისათვის. მას ყველაზე კარგად ესმოდა, თუ რა დიდი შედეგები მოყვებოდა სწავლისა და მეცნიერების გავრცელებას საქართველოში. ერთ თავის წერილში ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქციისადმი იგი სწერდა: „თქვენი“ „მოამბის“ პროგრამა, რომ წავიკითხეთ, რასაკვირველია გვიამებობდა, რადგან იმედი მოგვეცა, რომ ჩვენი მწიგნობრობაც და ყოველივე შესაძეცნებელი და გამოსადეგი ცოდნა ჩვენს ქვეყანას უფრო ადვილად მოეფინება“.[1] 1885 წ. სენაკის სააზნაურო სკოლაში დ. ყიფიანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლის დედანი დაცულია მის არქივში. მოვიყვანოთ აქედან საინტერესო ვრცელი ადგილი.

„ადამიანი ისეა დაბადებული, რომ რაკი შვილი მიეცემა, სულ იმას ჰფიქრობს და იმასა ზრუნავს, რა დავუტოვო, როგორ დაუმკვიდრო უზრუნველი ცხოვრებაო. ზოგი იმით იოხებს გულსა, რომ ფულებს უგროვებს, ზოგი იმითი, რომ ადგილ-მამულს უმზადებს, მაგრამ, წარმავალია ეს ყოველივე: ფული ადვილად დაიხარჯება; ადგილ-მამული შეიძლება სადავოდ აგახდეს და სასამართლოში წაგებული იქნას... მაგრამ—სად არის ეს ხერხი? ქ არის, ამ სახლში, ამ სასწავლებელში. რა არის მერე ეს ხერხი? ეს ხერხი არის სწავლა, სწავლას დაყვება ცოდნა—და იპოვება ვინმე ჩვენში ისეთი, რომ აღრიცხვას შეიძლებდეს, გამოიანგარიშებდეს, რა და რა საქმეში გამოიყენებს კაცი თავის ცოდნას,—რა და რა გაჭირვებასა და განსაცდელს გადივლებს თავიდან თავისი ცოდნით? სწავლას დაყვება მეცნიერება და მეცნიერება ის ხერხია, რომლის მოხმარებითაც შეიტყობენ და შეგვატყობინებენ, ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილს მზე და მთვარე ამა და ამ გვარად დაბნელდება და ამდენსა და ამდენს წამს შემდეგ ისევე განათდებაო: ის ხერხია მეცნიერება, რომლითაც კაცი განუზომელს ზომავს; განუვალს—განელის; ზღვის ღელვა-ფურთვნთ არაფრად აიდებს; მზისწინათლეს იგდებს ხელში და თავის ნებიერად ამუშავებს; ზოგს ცეცხლით, ზოგს ელექტრონის ძალით, ესე იგი ხელოვნებით ელვა-ჭექის გამოყენებით და ზოგს ცალიერი ანგარიშით... ერთი სიტყვით, სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს, ზე-აღაელენს და ღირსჰყობს დაუსაბამოსთან მიახლოვებისა. ეს დაყვება სწავლას და ამ სწავლისათვის არის ეს სკოლა გამართული“.[2]

ასეთი აღფრთოვანებული ენით მეცნიერების შესახებ და მის მნიშვნელობაზე ლაპარაკი შეეძლო მხოლოდ მას, ვინც განიცადა მეცნიერების

[1] „საქართველოს მოამბე“ № 2. გვ. 1, 1863 წ. დ. ყიფიანის წერილი.

[2] იხ. დ. ყიფიანის არქ. სახ. უნივერს. სიძველეთა მუზეუმში-№5332.

გავლენა და შეითვისა მისი მიღწევები. დ. ყიფიანი ერთი ამ პიროვნებათაგანი იყო, ვინც შეიგნო ეპოქის ვითარება და მეცნიერების გამოყენებას ფიქრობდა საზოგადოების წარმატებისათვის. ამ ენით არ შეეძლო ესაუბრა ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელს, —ეს მხოლოდ „განმანათლებელი“ ეპოქის შვილის ენა იყო და ამ მხრივ დ. ყიფიანმა ნათლად გამოსახა თავისი წრის წვრილ აზნაურობიდან გამოსულ ინტელიგენტ მოხელის სულის კვეთება: იგი ახალი ენით ლაპარაკობდა. თავის „სკოლა სულისა“-ში დ. ყიფიანი ამბობს: „სამოქალაქო სამსახურში მიღებული არ არის მკვახე ლაპარაკი. ჩვენ ხომ ცოტათ თუ ბევრად განათლებული ხალხი ვართ და განათლება კი... ყველას გვათანასწორებს“. [1] ასეთ დებულებებს ჩვენ ვერასოდეს ვერ ენახავთ გრ. ორბელიანის ნაწერებში იმიტომ, რომ გრ. ორბელიანი და დ. ყიფიანი ორი სხვადასხვა წესისა და მისწრაფების წარმომადგენელი იყო. გრ. ორბელიანმა ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ფეოდალური შეხედულება და წოდებრივი უპირატესობა; დ. ყიფიანი, როგორც ახალი ინტელიგენტი-მოხელე ახლად იკაფავდა გზას ცხოვრებაში და ირგვლივ შემოზღუდულ ფეოდალურ-წოდებრივ რკალის გარღვევა მას უხდებოდა თავისი ინტელექტის, თავის ცოდნის, ენერგიისა და შეძენილი მეცნიერების საშუალებით: [2] ერთს უკვე მოპოვებული ჰქონდა უპირატესობა და მას იცავდა წოდებრივობის პრინციპით, გვაროვნობის საზრისით; მეორე ეძებდა ცხოვრების თავისუფალ სარბიელს და ამ ბრძოლაში მეცნიერების ემანსიპაციის პრინციპით გამოდიოდა; ისეთი ემანსიპაციის, რომელიც სრულიადაც არ შლიდა წოდებრივობის ზღუდეებს, მაგრამ მაინც თავისუფალ სარბიელს იძლეოდა მოქმედებისათვის.

ამ მხრივ დ. ყიფიანის და გრ. ორბელიანის შეტაკება 1864 წ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საერთო კრებაზე, წმინდა კლასიურ შე-

---

[1] იხ. „მემუარები“.

[2] ერთ თავის მოთხრობაში დ. ყიფიანი თავის შესახებ სწერდა: „შენ კარგი მამულის პატრონი, სასოფლო მომჭირნეობაში გართულხარ და წელიწადში ერთხელ ძლივს მომაწვდენ შენს ამბავსა; — მე, საწყალი აზნაურიშვილი ნებით თუ უნებლიეთ, ხან ერთ საქმეს წავაწყდები სხვისას და ხან მეორეს. შენ, შენის კეთილ-მდგომარეობით ყოველადვე დამშვიდებული, სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნების კითხვით შენს გონებას ამდიდრებ და შენს გონებას ასაბიერებ;—მე, მართალია, ჭოყვასთათვის, მაგრამ მაინც უცხოთათვის მაშვრალი, ველარცა რასა ვკითხულობ გონების მომასვენებელსა, ველარცა რასა ვჰწერ გამოსადეგს ან შენთვის საამოსა. შენ ამ ორ წელიწადში შენი საოჯახო ეკანომიის საქმეში ყოველივე, ისე კეთილად წარმართავს, რომ „გულ დამშვიდებული მოელი შენს მომავალსა,—მე ტანჯული კაცი, რომ იტყვის, „წისქვილი არ დაბრუნებულა ჩემს თავსა, თორემ სხვა არა დამკლებია რაო“. მეც ისე ათასნაირს გაკირვებაში ვჰტრიალებდი და ახლაც იტანჯულობით შევჰყურებ აბრეზილს მომავალსა.“ ბაკარ. ქართლელი-„თურქმენული ცხენი“ „ციხეკარი“ № 1, გვ. 11, 1863 წ. ეს მოთხრობა მართლაც დამახასიათებელ ავტობიოგრაფიულ ცნობებს გვიშლის: აქ მწვავე ფორმებში გადმოცემული არის წვრილი აზნაური ინტელიგენტის ბრძოლის პირობები.

ტაკების მაღალ წოდების ორი სხვადასხვა ფენის შორის: ერთი იყო წარმომადგენელი წვრილი თავად-აზნაურობისა, მეორე სახელოვან ყაფლანიანთა გვარის შვილი, ძველი ფეოდალური არისტოკრატიის შთამომავალი.

ამრიგად დ. ყიფიანი ახალი ეპოქის შვილია იმდენად, რამდენადაც მან შეიგნო სწავლა-განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელობა და როლი საზოგადოებრივ განვითარებაში, რამდენად ხელს უწყობდა ამ ფაქტორების გავრცელებას საქართველოში. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ დ. ყიფიანი მაშინდელი ეპოქის მეცნიერების სიმაღლეზე ავიდა და საკუთარი შეითვისა მისი მიღწევები. იგი კვლავ დარჩა თეოლოგიისა და ღვთისმეტყველების ფარგლებში. მას სწამდა ევოლუცია, მეცნიერების წინსვლა, მაგრამ მის დასაწყისს მაინც ღვთაებაში, უკეთ რელიგიაში ეძებდა. მიტჩელის „ზეციერი მნათობის“ წინასიტყვაობაში იგი სწერდა: „ვინც კი სარწმუნოებას შეურყეველად ადგია, ვისაც გონება ისე აქვს შეზავებული, რომ რამდენიც უნდა საკვირველება საკვირველებას დაჰყვეს, მაინც არ შეირყევა აღსარება იმისი, რომ ღმერთი არის ყოვლის შემძლებელი, ყოვლის დამყარებელი, ძლიერებით ყოვლად-გარეშე უწერელი, ყოველ ზომასა და განსაზღვრების გარეშე მყოფი“[1]. ამრიგად დ. ყიფიანმა თავისი სოფლმხედველობა რელიგიის საფუძველზე ააგო; მეცნიერებაც და ცხოვრების წარმატების საქმეც რელიგიურ ცრუმორწმუნეობას დაუმორჩილა. ამ მხრივ მას არ ემჩნეოდა არავითარი წინსვლა, არავითარი წარმატება. იგი პირწმინდათ დგას ანტონ კათალიკოსისა და სხვა თეოლოგთა სოფლმხედველობის ნიადაგზე.

როგორი არის დ. ყიფიანის ეროვნულ-პოლიტიკური კრედო, როგორია მისი პოლიტიკური საშოლვაწეო პროგრამის შინაარსი, აქ ჩვენ დაგვჭირდება უფრო ხანგრძლივად ჩაიხედოთ მის არქივში და ცოტა უფრო ვრცლად გადავავლოთ თვალი მის სოფლმხედველობასა და აზროვნების განვითარებას. დ. ყიფიანი შეურყეველი სიმტკიცით დგას მონარქიული პრინციპის ნიადაგზე. მას ერთი წუთითაც კი არ მოუსურვებია ამ პრინციპისათვის ეღალატა, მონარქიზმი საკუთებით შეზრდილი იყო მის აზროვნებასთან და მისი მოღვაწეობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა. 1864 წ. როდესაც იგი აირჩიეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად, დ. ყიფიანმა შემდეგი სიტყვით მიმართა თავის ამომრჩევლებს: **„ერთგულება ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა და მისი უმაღლესი ტახტისადმი აუცილებელია, ჩემი ხინდიხისა და ძალისა და ღონის მიხედვით ერთგული მსახური ვიქნები ამ გრძნობისა; პირდაპირ ვამბობ: მე არ მესმის არავითარი ინტერესები გარეშე ამ წესისა, გარეში ასე ვთქვათ - ჩვენი მოვალეობისა და ღირსების ბუნებრივი შედეგისა: თავად-აზნაურთა ღირსებას კი უძრახველი ხამსახური შეადგენს ტახტისადმი.“**[2]

[1] იხ. „საქართველოს მოამბე“ № 2, გვ. 3, 1863 წ.

[2] „მემუარები“, გვ. 101, კურსივი ჩვენია.

მაგრამ დ. ყიფიანის აზროვნებისა და მოღვაწეობის ერთი ნაკადი რუსეთის მონარქიზმისაკენ მიემართებოდა, მეორე ქართული ნაციონალიზმის გამომსახველი იყო. რუსული მონარქიზმი და ქართული ნაციონალიზმი განუყრელი რგოლებით იყო გადაჯაჭვული ერთმანეთზე დ. ყიფიანის აზროვნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში. სამართლიანად სწერს მის შესახებ არ. ჯორჯაძე: „რუსეთის იმპერატორებისადმი ერთგულების გრძნობა ის ჟინი იყო, რომელზედაც აგებული იყო მისი (დ. ყიფიანის) აზროვნება და მოქმედება, როგორც ქართველი მოღვაწისა, საქართველოს შვილისა.“[1]

ერთ თავის სიტყვაში 50-იან წლებში დ. ყიფიანი ამბობდა: „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომით და მოძმეთა ენით, საკიროა წაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის არის გადებული, საკიროა ორ სიტყვიდან – რუსი და ქართველი — ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის შედეგება ერთ მცნებაში, სიტყვეთა და საქმით, საკიროა აგრეთვე ამ შედეგებულ სიტყვის აღბეჭდვა, როგორც მთავრობის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში.“[2] ჩვენ შეეცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ დ.ყიფიანი ქართველი ერის დენაციონალიზაციისა და რუსებში გაქვეფის მომხრე ყოფილიყოს, წინააღმდეგ ყიფიანის პოლიტიკა და აზროვნება არსებითად ეწინააღმდეგებოდა ამგვარ დასკვნებს. მისი მთავარი ზიზანი_იყო დაცვა ამ ორი პრინციპისა, დაცვა ქართული ეროვნული ინტერესებისა და ინდივიდუალობის რუსეთის მონარქიზმის ჩარჩოებში, მისი-მფარველობის ქვეშ.-ამიტომ იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ ორ ცნებათა შორის—ქართულ ნაციონალიზმისა და რუსულ მონარქიზმს შორის პრინციპიალურად შეუძლებელი იყო რაიმე წინააღმდეგობის არსებობა. რომ დიმიტრი ყიფიანი დენაციონალიზაციის მტერი იყო და პრინციპიალური მომხრე ქართული ნაციონალობისა ამას ამტკიცებს მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა და ბოლოს 80-იან წლებშიშეტაკება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რასაც მოყვა მისი ტრაგიკულად დაღუპვა. აქ საილუსტრაციოთ ჩვენ მოვიყვანთ ერთ მისი წერილიდან ციტატას. 1860 წ. იგი სწერდა, „რაც ამ ერთს კაცზედ ითქმის, ის მთელ ხალხზედაც ითქმის, მაგრამ ყოველივე უფრო საზარელი, უფრო გულის შემაძრწუნებელი, უფრო სულის აღმაშფოთებელი, რომელიც ხალხი თავისს ენას გადაიგიწყებს, იმას ხალხის სახელი აღარა ჰქვია რა, მნიშვნელობა და პატივი სრულიად აღარა აქვს რა და ქვეყნიერებაში ისე გამოწყდება, რომ იმისი სახსენებელიც

[1] არ. ჯორჯაძე: „დიმიტრი ყიფიანი“ გაზ. „სახალხო გაზეთი“ № 797, 1913 წ.

[2] აქ იგივე აზრებია გამოთქმული, რომელიც ნიკოლოზ პირველის აგენტმა ჩევკინმა წარმოსთქვა 1832 წ შეთქმულ. აღმოჩენის შემდეგ 183.- წ. მოწვეულ თავად-აზნაურთა კრებულობაზე, „ბელბწიფის ერთგული რუსი უნდა უთუოდ კეთილი ქართველიც იყოს გრძნობებით, როგორც ერთგული ქართველი უნდა იყოს კეთილი რუსი.“ „აქტები“ ტ. VIII. კ. აბაშიძე: „პოლიტიკური რომანტიზმი“, „მოამბე“ № 1 გვ. 9, 1905 წ.

აღარა დარჩეს რა, — და არა თუ მარტო თვითონ გამოწყდება ეს ხალხი, — თავის სასიქადულოს მამა-პაპათა ხსენებასაც ისე გააქრობს, რომ ქვეყანაზედ არავინ იცოდეს აღარც იმათი სარწმუნეობისათვის მოღვაწეობა, აღარც იმათი ხან მტერთაგან წამება და ხან მტერზედ ძლევამოსილი გამარჯვება, აღარც იმათი კეთილი ზნეობა და სათნოება, სრულიად აღარაფერი, რაც რომ სულის გამწმენდელი და აღმამაღლებელი არის კაცისათვის, გულის გამპატიოსნებელი, ღვთის სარწმუნეობაზედ და ხელმწიფის ერთგულებაზედ მტკიცედ დამაყენებელი".[1] აქ უკვე მოცემული არის დ. ყიფიანის ეროვნული თეორიისა და ეროვნული პოლიტიკის შინაარსი: ენისა და სამშობლოს დაცვა აუცილებელი პირობად არის საზოგადოების წარმატებისა და ტახტის ერთგულებისათვის. დ. ყიფიანის პრაქტიკული მოღვაწეობის მთავარი შინაარსიც აქეთკენ იყო მიმართული: იგი მთელი თავისი ენერგით ცდილობდა მტკიცე კავშირი დაემყარებია რუსულ მონარქიზმსა და ქართულ ნაციონალიზმის შორის. თუ რამდენად შესაძლებელი იყო ასეთი პოლიტიკის შესაფერისად გატარება ცხოვრებაში,—უკეთ, რომ ვთქვათ რუსული მონარქიზმის ინტერესებთან ქართულ ინტერესების შეულლება—ეს მეორე საკითხია. ხოლო დ. ყიფიანის აზროვნებისა და მოღვაწეობის დასახასიათებლად ისიც საინტერესოა, რომ 30-იან წლებში მის მიერ შემუშავებულ პრინციპის ჭეშმარიტებაში მას ერთი წუთითაც კი არ დაბადებია ეჭვი,არც მაშინ, როდესაც იგი სტავროპოლის ტყეობაში იმყოფებოდა.

ამრიგად დ. ყიფიანი უერთგულესი პატრიოტი იყო რუსეთის ტახტისა, მაგრამ იმავ დროს მისი საქართველოს პატრიოტიკაც უდაოა: მისი უალრესი სიყვარული სამშობლოსადმი დადასტურებულია მრავალგვარი დოკუმენტებით. ერთ თავის კერძო წერილში გრ. ორბელიანისადმი 1860 წ. 8 ოქტომბერის თარიღით დ. ყიფიანი პეტერბურგიდან სწერდა:

„სხვა იქნება ვერავინ მიჰყვდეს, ბევრმა იქნება არ დაიჯეროს, მაგრამ თქვენ, მგონია ადვილად დამიჯეროთ, რომ ჩემის სამშობლო ქუეყნის მიწა-წყალი, ჩემი სიყრმითგან თანშეზრდილი მეგობრები და მცნობები; ჩუენი ჰაერი ორმოცდა ხუთს წელიწადს, რომ სიამოვნებით მიყლაპავს; ჩუენი ქუეყნის კიდევაც წრფელი და კიდევაც გულის გამამხიარულებელი ერთმანეთთან დამოკიდებულება, ჩუეულება, ზნეობა, ზრდილობა, — ათასნაირი სხვადასხვა თვისება, რომელსაც კაცი ვერსადა ჰპოებს თუ არ შინა;—ყოველივე ესე ისეთი ძვირფასი რამ არის, ვისაც კი ცოტაოდენი გრძნობა შეჰრჩენია, ნებით არას დროს არ დაჰკარგავს, თუ ძალათ არ დააკარგვინეს.— ღვთის გულისათვის, რას დამახარბებენ აქ ისეთსა, რომ ამაში გამაცვლევინონ, ან ვინ რას დამახარბებს აქა; ვისა ცხელა ჩვენთვისა? — საქართველოს მოშორება ღმერთმა მაშოროს, ამას კი მოგახსენებთ, რომ თუ უსირ-

[1] „ცისკარი" იანვარი, §§. 4—5, 1860 წ. ბაქარ ქართელის (დ. ყიფიანი) წერილი.

ცხვილოდ დაბრუნება გამიკირდა იმავე საქსახურის ხარისხით, რომელშიაცა ვარ, და იმავე პატიოსნების ვალით, რომელსაცა ვმსახურებ, ისევ გუთანს მოუდგები, ნაბადს მოვისხამ და ადვილად ჩემს ქვეყანას ვერ მოვსცილდები". ასეთი პატრიოტული ენით ლაპარაკობდა დიმიტრი ყიფიანი. მისი ნაციონალური შეგნება სალი კლდესავით მტკიცე და შეურყეველი იყო, ეს პრინციპი ვერ გასტეხა ვერც ეორონცოვის ლმობიერმა პოლიტიკამ 40 – 50-ანი წლებში, ვერც დონდუკოვ-კორსაკოვის სუსხიანმა რეაქციამ 80-იან წლებში. ეროვნული პოლიტიკის საზომით დ. ყიფიანმა მტკიცე თანამშრომლობა გააჩაღა ვორონცოვთან; იმავე პოლიტიკის საზრისით დ. ყიფიანი თავდავიწყებით შეებრძოლა დონ.-კორსაკოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და უნდა ვთქვათ გადაჭრით, რომ დ. ყიფიანისათვის პრინციპი უფრო მაღლა იდგა და მიმზიდველი იყო, ვინემ ბედნიერება და კარიერა. ამ დებულებას ნათლად ამოწმებს დ. ყიფიანის ზემოდმოყვანილი წერილი გრ. ორბელიანისადმი.

მაგრამ აქ საჭირო არის დ. ყიფიანის პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის სოციალური შინაარსი გამოვარკვიოთ. დ. ყიფიანი გარკვეული ეპოქისა და გარკვეული წოდების შვილი იყო; მისი სოციალური ფილოსოფია არასოდეს არ გასცილებია წოდებრივ ფარგლებს. თუ ერთი მხრივ, იგი ენერგიული მომხრე იყო მაღალი წოდების ემანსიპაციისა; ამ წოდების შიგნით არსებულ სოციალური გრადაციების მოსპობისა, მეორე მხრივ იგი არასოდეს არ მისულა საერთოდ წოდებათა გათანასწორების შეგნებამდე. მისი იდეოლოგია წოდებრივი შინაარსისა იყო; მისი სოციალური იდეალები ბატონყმურ საქართველოში გამოიხატებოდა. დ. ყიფიანი ღრმად იყო დარწმენებული იმაში, რომ წოდებათა არსებობა აუცილებელი პირობა არის ერის წარმატებისათვის; რომ დაბალი წოდების — გლეხობის მოვალეობას შეადგენს შრომა და ეკონომიური დოვლათის შექმნა, ხოლო მაღალი წოდების ფუნქცია მართვასა, ხელმძღვანელობასა და კულტურის სამსახურში უნდა გამოიხატოს. ერთი — შრომობს, — მეორე — ხელმძღვანელობს, მართავს; ერთი მატერიალურ დოვლათს ჰქმნის, მეორე — კულტურულ დოვლათსა; დ. ყიფიანის აზრით, ასეთი სოციალური ურთიერთობის გასამტკიცებლად წოდებათა შორის საჭირო არის ისეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, როგორიც არის ბატონყმობა, ამრიგად მისი სოციალური იდეალი — მაშინდელი პირობების მიხედვით შეკეთებული ბატონყმური საქართველო იყო. აი, ასეთი საქართველოს პატრიოტი იყო დ. ყიფიანი. მას საქართველო წოდებრიობის გარეშე არც წარმოედგინა და ვერც წარმოიდგენდა. მისი პატრიოტობა უაღრესად წოდებრივი შინაარსისა იყო. ასეთი სიყვარული საქართველოსადმი უშლიდა მას ტახტისადმი სიყვარულიც გამოემჟღავნებია, მაგრამ ჩვენ წინ ერთი საინტერესო პრობლემა არის წამოჭრილი: სად უნდა ვეძიოთ დ. ყიფიანის ასეთი აზროვნებისა და პოლიტიკური პროგრამის წყარო; როგორმა ობიექტურმა გარე-

მოებამ შეუწყვეს ხელი მის წარმოშობას? დ. ყიფიანი გარკვეული სოციალური წრის წარმომადგენელი იყო და ცხადია ამ მომენტს გადამჭრელი როლი უნდა ეთამაშნა მისი ეროვნულ პოლიტიკური სოფლმხედველობის შემუშავების დროს. მონარქიზმის პრინციპის აღიარებით დიმიტრი ყიფიანი ქედს იხრიდა არსებითად მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, რომელმაც მოსპო პროვინციალური კარჩაკეტილობა, ძველი ფეოდალური სისტემა და გააერთიანა საქართველო, ხოლო გაერთიანებული საქართველო დ. ყიფიანის იდეალი იყო, როგორც ქვევით დავინახავთ დ. ყიფიანი პრინციპიალური მტერი იყო ძველი ფეოდალური წყობილებისა და ფეოდალური სისტემის. საქართველოს ისტორიულ წარსულში ბრძოლა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალურ კარჩაკეტილობის, დეცენტრალისტურ სისტემის შორის დიდი ხნის განმავლობაში, წარმოებდა. უდავოა, რომ დიდ ფეოდალებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის გამართულ ამ ცხარე ბრძოლაში თავისი სოციალ-პოლიტიკური პირობების გამო წვრილი თავადაზნაურობა უკანასკნელის დამხმარეთ უნდა გაეოსულიყო. მაგრამ ეს ბრძოლა დამთავრებული აღმოჩნდა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე; უკეთ, საქართველოში არ აღმოჩნდა შესაფერისი ობიექტურ-ეკონომიური პირობები და გარკვეული სოციალური კლასი მესამე წოდების სახით, რომ ისტორიულ ბრძოლას თავისი შესაფერისი დაბოლოვება მისცეოდა ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვებით; ეს ბრძოლა გარედან მოსულმა ძალამ — რუსეთის თვითმპყრობელობამ გადასწყვიტა და ამით საუფლები მოესპო ძველ ფეოდალურ წყობილებას საქართველოში, პოლიტიკურ-კულტურულად გაერთიანდა იგი და შეექმნა პირობები მისი თავისუფალი, უფრო ნორმალური განვითარებისა. მაგრამ თვითმპყრობელობის განმტკიცება ნიშნავდა არა მარტო ფეოდალური წყობილების მოსპობას, არამედ აზნაურთა წოდების ემანსიპაციასაც, მათ განთავისუფლებას ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობისაგან. ამ წოდებრივი საზოგადო წვრილი აზნაურის იდეოლოგი პირდაპირ მივიდა ფეოდალური სისტემის უარყოფამდე და ცენტრალური მონარქიული პრინციპის აღიარებამდე. და აღსანიშნავია სწორედ ის, რომ დ. ყიფიანმა ყველაზე უფრო გარკვევითა და ნათლად შეიგნო რუსეთის თვითმპყრობელობის საქართველოში შემოჭრის პროგრესიული მნიშვნელობა. მას მტკიცეთ სჯეროდა, რომ საქართველოს თავისი საკუთარი ძალით არ შეეძლო გამოსვლა იმ ანარქიულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის იმყოფებოდა უკანასკნელი საუკუნოების განმავლობაში, რომ რუსეთის დამკვიდრებამ საქართველოში მოსპო ეს დამაბრკოლებელი პირობები და შექმნა თავისებური პირობები ნორმალურ განვითარებისათვის.[1] დამახასიათებელია აგრეთვე იმავე დ. ყიფიანის აზროვნებისათვის ის გა-

[1] ერთ თ ვის სიტყვაში დ. ყიფიანი 1878 წ. ამბობს: „ბუნების გამოძიებით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრაკი არა არის რა და ერიც ჩვენი ეროობა და სიმაგრე მდგარა

რემოებაც, რომ იგი არასოდეს არ დასტიროდა წარსულს, დაკარგულს ბედნიერებას, არასოდეს არ მოსთქვამდა დაკარგულ სამოთხეზე, როგორც ეს ნათლად მოსჩანს გრ. ორბელიანის, ვ. და ალ. ორბელიანების, ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის და სხვათა პოეზიაში. დ. ყიფიანი ენერგიულად და იმედიანად უცქეროდა აწმყოს; იგი არც იყო წარსულის იდეალიზაციის მომხრე: როგორც დადებითს, ისე უარყოფითის მომენტებს ბლომად ნახულობდა იგი საქართველოს წარსულში. მისი ინტერესი თანამედროვე საქართველოსკენ იყო მიმართული; აქ ცდილობდა იგი საერთო პირობების გაუმჯობესებას და თავისი წოდების ინტერესების დაცვას.

მაგრამ ეხლა მივმართოდ დ. ყიფიანის არქივს და თვით ავალაპარაკოთ თავისი პოლიტიკის შესახებ. იმ მრავალ დოკუმენტებს, საგაზეთო წერილებსა და სიტყვებს შორის, რომელიც ამჟამად ჩვენ ხელთ არის, აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთი სიტყვის ნაწილს, რომელიც მან წარმოსთქვა 1848 წ. თავადაზნაურთა კრებაზე და რომელიც საფუძვლად დაედვა ნიკოლოზ 1-დმი გაგზავნილ თავადაზნაურთა მიმართვას. ყიფიანი ერცელ სიტყვაში ამბობდა:

„ჩვენ, ქართველები, ძველ ქრისტიანულ ხალხთა მცირე ნაწილი, გარსშემორტყმული ჩვენს წინაალმდეგ მებრძოლ ერებით, დიდხანს, მრავალს საუკუნეთა განმავლობაში ვიბრძოდით მათთან ყველა ჩვენს საზღვრებზე და მხოლოდ ამ საუკუნის დასაწყისში მოვისვენენთ რუსეთის მართველობის ქვეშ. თუ ჩვენ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს სამეფოს უკეთეს ხანის დროიდანვე თუ არ ვუღალატეთ ჩვენს მართლმადიდებლობას, რომ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი; ყველამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმპყრობელობის და ერთ მთავრობის წყალობით. რასაკვირველია, თვითმპყრობელობა და ერთმთავრობა, ერთად ერთი დასაწყისია, საიდანაც ყოველთვის წარმოდგებოდა ჩვენი საერთოც და კერძოც კეთილდღეობა. ეხლა ჩვენ სრულიად მშვიდობიანათ ვიმყოფებით ჩვენს ქვეყანაში, დამშვიდებით ვასრულებთ ჩვენ შინაურ საქმეს. მტერს ჩვენ სახლში კი არ ვეომებით, არამედ მის სახლის საზღვრებში. შვილებს ვზრდით და შეეხარით მათ მომავალს, ჩვენი მართლმადიდებლობა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება არავითარ საფრთხეს არ გაჰიცდის. ვინ მოგვიყვანა ჩვენ ამ მდგომარეობამდე? თვითმპყრობელობამ და ერთმთავრობამ საქრისტიანო მსოფლიოს ერთად ერთი

---

უძრავად. დროთა ბრუნვაში სხვადასხვა შეტაკება მოხდარა და ერთი ისეთიც რომ დაურღვევია ჩვენი გვარტომობის კავშირი. ვინ იცის კიდეკაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, ჩვენ რომ დიდებულის რუსთ ხელმწიფისათვის არ მიგვენდო თავი. იმიტ ღვთიურმა ხალხისათვის ზრუნვამ მოკვმადლა ეს შეერთება ამდენი ხნის დაშორებულებსა... მისი დიდებულებია უჭვეშეერდოვილების მადლობას განუცხომელად ვზრდით ხვენს ზულში“... დ. ყიფიანის სიტყვა „დროება“ № — 238, 1878 წ.

მართლმადიდებელ და დიდ მონარქიამ... ჩვენც გვინდა, რომ მოსსენდეს ხელმწიფე იმპერატორს, თუ რა გრძნობებს განვიცდით იმ შინა მყუდროების გამო, რომლითაც ესტკბებით მის, ზეცით ნაკურთხ თვითმპყრობელოვან მონარქის ფრთის ქვეშ.... გვინდა, რომ მოსსენდეს მის იმპერატორობით დიდებულებას, ჩვენი საერთო ერთსულოვანი სურვილი, რომ აღნიშნულ გრძნობათა მიხედვით მოგვეთხოვოს სამსახური უცხოეთშიაც, თუნდა სახელმწიფოს საზღვრების გარედ.... მოგვეთხოვოს სამსახური, თუ რომ დასავლეთ ევროპაში ამჟამად არსებული არეულობა (1848 წ. რევოლუციაზეა ლაპარაკი — ს. ხ.) მექარა გახდება იმ სახელმწიფოსი რომლის საზღვარში ყოფნის პატივი აქვს საქართველოს, თანახმად ჩვენი ღვთით ნაკურთხ მეფეების გადაწყვეტილებებისა და, თანახმად მის კეთილშობილ თითოეულ წევრის გრძნობა-სურვილისა". [1]

აქ მოცემული არის დ. ყიფიანის პოლიტიკურ-ეროვნული კრედოს ძირეული შინაარსი. ეს მისი სიტყვა არ იყო გამოწვეული ოფიციალური პირობებით, იგი გულწრფელ განცდათა და მრავალ წელთა მოფიქრების ნაყოფი იყო. როგორც ვხედავთ დ. ყიფიანისათვის რუსეთის თვითმპყრობელობა იყო აუცილებელი ეტაპი საქართველოს გაერთიანებისა და მისი წარმატებისათვის. ასე დააფასა ყიფიანმა თავისი კლასის საზომით რუსეთის თვითმპყრობელობის განმტკიცება საქართველოში. [2]

ეს არ იყო მხოლოდ ვორონცოვის პოლიტიკის ნაყოფი, როგორც ზოგიერთნი ფიქრობდენ, [3] ეს ისტორიული პირობების შედეგი იყო, გარკვეულ ობიექტურ გარემოებათა აუცილებელი რეზულტატი.

რომ დ. ყიფიანი პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო ძველი ფეოდალური სისტემისა და მომხრე ერთმეფობის ცენტრალური მმართველობისა — ეს ნათლად მტკიცდება მისი პუბლიცისტური წერილებითაც. უნდა აღენიშნოთ, რომ დ. ყიფიანი იყო პირველი, რომელმაც პრესაში ნათლად და გარკვეეთ უარყო საქართველოს ძველი წყობილების ფეოდალური სისტემა, რაიმე სარგებლიანობა ახალ სამოქალაქო პერიოდში და მოითხოვა ამ წყობილებიდან დარჩენილი ნაშთების აღმოფხვრა, ამ მხრივ აღსანიშნავია ორი მისი წერილი: ერთი 1848 წ. დაბეჭდილი- „О епископии имении в Грузии" [4] და მეორე 1853 წ. დაბეჭდილი — „О том о сем и между прочим о сословиях закавказских". [5] მაგრამ სანამ აღნი-

[1] იხ. „Акты", ტ. X, გვ 26,

[2] რუსეთის თვითმპყრობელობაც მოწყალე თვალით შეხედა თავის ერთგულ, საქართველოს თავად-აზნაურობას. აღნიშნულ სიტყვაზე წაკითხვის შემდეგ ნიკოლოზ I თავისი ხელით წაუწერია: „Душевно благодарить за благородное чувство" „Акты", ტ. X, გვ. 28.

[3] იხ В. Иванеико: Гражданское управление в Закавказьи" გვ. 350, 1901 წ. აქვე მოყვანილია დ. ყიფიანის სიტყვებიც ნაწილიც.

[4] იხ Кавказ". № 2, 1818 წ.

[5] იხ „Кавказ" № 79, 81, 83, 84, 1853 წ.

შნულ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა მკითხველის ყურადღება წინასწარ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე შევაჩეროთ. დ. ყიფიანი თითქოს გარკვევით ხედავდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებლობას, მის წინმსვლელობას და პროგრესს. 1876 წ. გაზ. „დროებისადმი-მიმართულ წერილში იგი სწერდა: „ქვეყანა ისე არის დაფუძნებული, რომ ყოველივე, რაც რამ თვალით სახილველია, ან გონიერებით გამოკვლეული, სულ წიან მიდის ყოველივე... **რაც ამგვარს ნივთიერებით მსვლელობას** ერთველვე უკან ჩამორჩება, უძრავად-ღა რჩება, ირღვევა, იხრწნება და გადადის იმავე გარეშე უწერელსა და ყოვლად განუზომელს არარაობაში, საიდანაც მომავლობდა, რასაცა კანონს ნივთიერებითი — მსოფლიო ემყარება სწორედ იმგვარსავე კანონს ექვემდებარება ზნეობითი მსოფლიოცა. **გულ-მოდგენით ჩვენი საზოგადო თუ სამოქალაქო დაწყობილება დღეს ისე იცვლება, ხვალ ისე: გავა რამდენიმე ხანი, ჩვენთვის მოკლე თუ გრძელი, მაგრამ ქვეყნიერების არსებობისათვის წუთზედაც უზომოთ უმცირესი,—და რაც გუშინ იმ საუკუნეში მკვიდრი რამ დაწყობილება გვეგულებოდა, დღეს იქნება კვალიც აღარსადა სჩანდეს იმათი.** ასე, გუშინდელი, შარშანდელი ან ცოტა კიდევ იმის უწინარესი ჩვენი დამოძღვრება ჩვენი დამრიგებლობა და სწავლა, უკან ჩამოგვრჩენ და რომ შეუფერებელად წინ მივალთ, რაღას მოგვეწევიან, იმათ ფეხში სვა რიგი არის ახლა ჩამდგარი, სხვა წესი, სხვა ძალა, — ეს მიგვიძღვის ეხლა წინა. ამას მივდევთ და ასე მიმავალნი თითქო ჩვენც უფრო თვალხილვით ვმოძრაობთ, ჩვენს საკუთარს პირადს მსოფლიობასა ვეკრძობთ, უფრო გულდასვით ყურის-გულით გარშემო ვიყურებით და საზოგადო მოძრაობას მივდევთ, რა არის ახლა, ან ვინ არის ამ ახლანდელს ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამამღერებელი, ჩვენი მეგობარი და ჩვენი მეინახე? ეს არის სტამბა, ეს არის ბეჭდვა, უეურაალოთ, უვაზეთოთ რიღას მაქნისი ვართ ახლა“.[1]

ეს წერილი მით არის საინტერესო, რომ აქ დ. ყიფიანი თავის „პროგრესის ფილოსოფიასაც“ ააშკარავებდა, ავტორი გადაჭრით ამბობს, რომ „საზოგადო და სამოქალაქო დაწყობილება“ იცვლება დროთა ვითარებაში და ძველის ნაცვლად ახალი წყობილება მყარდება და მტკიცდება თუ ამ წერილს სხვა მის ნაწერებიდან და აზროვნებიდან დამოუკიდებლად განვიხილავთ ჩვენს წინ პროგრესისტი მოაზროვნე წარმოსდგება, რომელსაც ესმის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებლობა და მთელი თავისი ენერგიით მას ემსახურება. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ ასეთს დასკვნამდე დ. ყიფიანი არასოდეს არ მისულა; საკმარისია ეს წერილი შეადაროთ სხვა მის ნაწერებსა და მის სოციალურ სოფლმხედველობას, რომ თქვენს წინ ნათელი ფერადებით წარმოსდგეს მისი ნამდვილი შინაარსი და საერთოდ თქვენთვის ნათელი გახდეს დ. ყიფიანის მთე-

[1] წიგნი დ. ი. ყიფიანისა. გაზ. „დროება № 24, 1876 წ.

ლი „პროგრესის ფილოსოფია". თავისი სოციალური აზროვნების მიხედვით, დ. ყიფიანი არასოდეს არ მისულა და ვერც მივიდოდა საერთოდ წოდებათა მოსპობის იდეამდე და კერძოდ თავად-აზნაურული წოდების მოსპობამდე, დ. ყიფიანისათვის წოდება საზოგადოებრივი წყობილების აუცილებელ ქვაკუთხედს წარმოადგენდა, ხოლო თავად-აზნაურობა ამ ცხოვრების ერთად-ერთ მეთაურსა და სულის ჩამდგმელს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დ. ყიფიანი არსებითად იცავდა ბატონყმობის ინსტიტუტს, ხოლო მომხრე იყო მისი თანამედროვე პირობებთან შეფარდების, როდესაც დ. ყიფიანი სწერს საზოგადოებრივ ცხოვრების წინმსვლელობაზე. იგი ამ შემთხვევაშიაც არ სცილდება ამ წოდებრივობას და მაღალი წოდების თვალსაზრისით იხილავს, თუ როგორ იცვლება ძველი ფორმები წოდებათა ურთიერთობისა და როგორ გადადის იგი უფრო უმარტივესსა და უკეთესს ფორმაში; უკეთ, რომ ვსთქვათ როგორ ხდება გაუმჯობესება და გაჯანსაღება ძველი საზოგადოებრივი წყობილებისა მაგ. დ. ყიფიანი ძველი ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგია, მაგრამ შეკეთებული ბატონყმობა სასურველ ფორმად მიაჩნია: იგი ვაჭრობამრეწველობის მომხრეც არის, მაგრამ ეს ფაქტორები სურსს დაანყნას ბატონყმურ წოდებრივ საფუძველზე; მას განათლება და სწავლა სურს შეიტანოს საზოგადოებაში, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაარღვიოს თავისი წოდების პრივილეგიები და ეკონომიურ უფლებრივი უპირატესობა. ამრიგად დ. ყიფიანის აზრით, შეიძლება საზოგადოებრივი წყობილების გარეგანი ფორმა შეიცვალოს, მაგრამ მისი არსებითი შინაარსი კი უცვლელი დარჩეს.

ფეოდალიზმის საკითხსაც დ. ყიფიანი თავისი წოდების წარმატების და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით მიუდგა.

ფეოდალიზმის წარმოშობის საკითხი საქართველოში ერთ-ერთ საინტერესო პრობლემას წარმოადგენს ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში ამ პრობლემისადმი დ. ყიფიანის განსაკუთრებული ინტერესი გამოწვეული იყო არა მარტო ისტორიული მეცნიერების თვალსაზრისით, არამედ უმთავრესად წმინდა სოციალ-პოლიტიკური მოსაზრებითაც. დ. ყიფიანი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივ საკითხების მოწესრიგების საქმეში; მას ზედმიწევნით აინტერესებდა ჩვენი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ვითარება, მისი ფორმებისა და წინმსვლელობის საქმე. დ. ყიფიანის წინაშე მეტად დიდი პრობლემა იყო წამოჭრილი: როგორი ცვლილებები გამოიწვია რუსეთის მთავრობის დამკვიდრებამ საქართველოში და რამდენად შეესაბამებოდა ჩვენი ცხოვრების წარმატების საქმეს ძველი საქართველოს სოციალ-პოლიტიკური წყობილება. პირველ საკითხზე დ. ყიფიანი გადაჭრით უპასუხებდა დადებითად: მისი გაგებით რუსეთის მართველობის განმტკიცებამ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში უაღრესად პროგრესიული მოვლენა იყო. მაგრამ ამ დასკვნამდე მიიყვანა დ. ყიფიანი ძრა

რუსეთის დამკვიდრების შემდეგ შექმნილმა პოლიტიკურმა პირობებმა ამიერ-კავკასიაში, არამედ საქართველოს წარსული საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრების ანალიზმაც დ. ყიფიანის განმარტებით საქართველოს ძველი პოლიტიკური წყობილებისათვის ფეოდალური სისტემით ალარ შეესაბამებოდა ცხოვრების წინმსვლელობის საქმეს, ხოლო ამ ფეოდალიზმის ნაშთები მაშინაც უშლის ხელს ცხოვრების ნორმალურ მსვლელობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დ. ყიფიანი ასხვავებს ერთი მეორისაგან ძველ ფეოდალურ პოლიტიკური სისტემისა და ბატონყმურ დამოკიდებულებას. პირველი მე-14 საუკუნიდან დამკვიდრდა საქართველოში, როდესაც მან თავისი დრო მოჭამა დასავლეთ ევროპაში, ხოლო მეორე უკვე მე-10 საუკუნიდან არსებობდა, როგორც გარკვეული ხასიათის სოციალური ინსტიტუტი. პირველი გამოხატავდა დ. ყიფიანის განმარტებით პოლიტიკური წყობილების ფორმას, მეორე წოდებათა შორის ურთიერთობას. მაგრამ ავალაპარაკოთ თვით დ. ყიფიანი. თავის წერილში ამიერ-კავკასიის წოდებათა შესახებ იგი სწერს: „დავბრუნდეთ ჩქარა შინ და დავიწყოთ იმ საგნებიდან, რომელთაც ჩვენ ვხედავთ საკუთარი თვალებით; აი თუნდაც აზნაურობის, თავადების ირგვლივ ფუსფუსიდან, ან თავადების და აზნაურების ორთავეული ბატონიშვილების ირგვლივ ფუსფუსისაგან. დიდი ხანი არაა არც მას შემდეგ, რაც ხალხი ფუსფუსებდა თავისი ბატონის აზნაურის ირგვლივ; აზნაურები თავისი კაცებით თავის ბატონის თავადის ირგვლივ; თავადები თავიანთი აზნაურებით და კაცებით ბატონის ბატონისშვილის ირგვლივ; ბატონიშვილი კი, თავადებით, აზნაურებით და დანარჩენი ხალხით თავისი ბატონის მეფის ირგვლივ.

ხომ მართალია, რომ ეს ცოცხლად მოგვაგონებს წაკითხულს შორეულ წარსულის შესახებ, მე-10—15 საუკუნეების ეპოქას, ეგრეთწოდებულ ფეოდალურ ხანას.

შესაძლოა სწორედ ამიტომ ყველა ამ აზნაურებს და თავადებს, რომელთა სახელწოდებაში არ არის არავითარი ფეოდალური მითითება, ჩვენი წარმოდგენა მაინც სვამს ფეოდალურ ჩარჩოებში, ამრიგად ჩვენ გადავდიეართ ფეოდალიზმზე სავსებით ბუნებრივი და უმოკლესი ბილიკების გზით.

მაგრამ როგორ და როდის შემოიჭრა აქ ფეოდალიზმი? ის შემოვიდა უთუოდ დასავლეთიდან და მე-14 საუკუნის მიწურულიდან, როცა დასავლეთის საზოგადოებანი ვითარდებოდენ და უმჯობესდებოდენ თავიანთი მოქალაქეობრივ ცხოვრებაში და საბოლოოდ მოიშორეს თავიდან მისი უღელი და გადაისროლეს ალალ-ბედზე აღმოსავლეთისაკენ.

გაახილა რა თვალები ფეოდალიზმმა ამიერ-კავკასიაში გადასწყვიტა აქ დარჩენილიყო. უკან დასახევი გზა მას საბოლოოდ გადაღობილი ჰქონდა საკუთარი მისდამი მტრულად განწყობილ პოლიტიკურ წყობილების გამო. წინ ნაბიჯის წადგმაც შეუძლებელი იყო: კავკასიის მთიულთა პირქუში თემები, იმდენათვე ურყევნი თავიანთ ზნე-ჩვეულებებში, რამდენადაც უხსოვარ

დროიდან დაქუცმაცებულნი პატარ-პატარა დამოუკიდებელ ერთეულებად სრულიადაც არ იყო მაჩვენებელი იმისა, რომ მიიღებდენ და შეიწყნარებდენ ასეთ სტუმარს. განზე იდგა თურქეთი, მეორე მხრით ირანი. მაგრამ ის მთელი იერარხია თავმოყრილი იყო ერთ პიროვნებაში ალლახის ჩრდილში და მთელი მცხოვრებლები შეფარებულნი იყვნენ ამ ჩრდილში. ფეოდალიზმმა მიმოიხედა ირგვლივ, დაინახა თავისი მდგომარეობის გამოუვალობა და შეესაძლოა ევროპაში თავისი ოთხი საუკუნის, ბატონობას გამოეთხოვა მძიმე ამოოხვრით;—მაგრამ გადასწყვიტა დაკმაყოფილებულიყო მცირედით და შეეფარა ადვილად მიმნდობ ქართველ საზოგადოებას.[1]

ამრიგად მე-14 საუკუნეში ფეოდალური წყობილება დრო მოქმული იყო დასავლეთ ევროპის ცხოვრებისათვის, იქ ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ და მოქალაქობრივმა ცხოვრებამ ზედმეტ ბარგად გახადა ფეოდალიზმი და იგიც დაიმალა, დაუთმო რა გზა და საშოლვაწეო ასპარეზი ახალ პოლიტიკურ წესწყობილებას. მაგრამ იმ დებულებიდან, რომ ფეოდალიზმი დრო მოქმული იყო ევროპაში დ. ყიფიანს სრულიად არ გამოყავს ის დასკვნა, რომ იგი იმ პერიოდში უსარგებლო იყო საქართველოსათვის. ავტორი ისტორიულად იხილავს საკითხსა და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფეოდალური წესწყობილება მაშინდელი ობიექტური პირობების გამო სასარგებლო გამოდგა საქართველოსათვის. მან შეიტანა წოდებათა ურთიერთობაში გარკვეული დამოკიდებულება და სახელმწიფო წესწყობილება გარკვეულ ფორმებში ჩამოაყალიბა.

დ. ყიფიანი განაგრძობდა:

„ხელი აიღო რა ბარონისა, გრაფისა და ჰერცოგის ტიტულებზე, ფეოდალიზმი შეეგუა ადგილობრივ პირობებს და მიაღებია აქაური საზოგადოებას სხვა თავისი კუთვნილებანი, ქვემოთ დავინახავთ, თუ როგორ ყალიბდებოდა ქართველ მცხოვრებლებში ცალკე ჯგუფები, როგორ განვითარდა თუ კი შეიძლება ვიხმაროთ ასეთი გამოთქმა, შინაურ ცხოვრებაში (განკერძოება), როგორ გამრავლდა ციხე-კოშკები...—თუ როგორ გარდაიქცნა სამსახურის წოდება შთამამავლობით წოდებათ, როგორ მოხდა მიწის მუშის განუშორებლად მივაგრება მიწაზე და ბოლოს თუ როგორ აშკარად აღინიშნა წოდება თავადების, აზნაურების მსახურების და გლეხების. თვალდანახული სარგებელი და დამსახურება რაც ფეოდალიზმმა მოგვიტანა, ანდამატის კოლოფი, რომელიც მან დაგვიტოვა, გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ პირველი შეხედვისთანავე ვარჩევთ (განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის; შავი ზღვის ნაპირების მიდამოებში) აზნაურს უბრალო ხალხისაგან და თავადს აზნაურისაგან“.[2]

შემდეგ ავტორი აღნიშნავს იმ ანარქიას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაში მეფობდა ფეოდალიზმის წინა პერიოდში და დაასკვნის.

[1] Д. Кипиани: „О чем, о сем и между прочим о сословиях закавказских“ გვ. 23-4, 1853 წ.
[2] იქვე, გვ. 25.

„ძლიერ ხშირად ხდებოდა, როგორც ნათქვამია ერთ ოფიციალურ ქაღალდში, რომ არა მარტო ერისთავები აღსდგებოდენ ხოლმე მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და მეფე იძულებული იყო შეიარაღებული ძალით დაესაჯა მეამბოხეები და ხან დამარცხებულიც იხეოდა უკან; არამედ ერისთავებიც იბრძოდა ერისთავის წინააღმდეგ მეფის გაუგებრად და მისი სურვილის გარეშე; აზნაური იბრძოდა თავადის წინააღმდეგ, იბრძოდა აზნაურის წინააღმდეგ და უფრო ხშირად ერთი თავადისაგან გადადიოდა მეორე თავადისაკენ, ან ასეც ხდებოდა, რომ მეფის საუფლისწულო დამოკიდებულებიდან გადიოდა ერისთავის დამოკიდბულებაში, რომელიც განთქმული იყო თავისი ძლიერებით და ამით აზნაური არ ჰკარგავდა თავის სამოქალაქო უფლებას არც ერთ შემთხვევაში.

სწორედ ამ გამკებლობის სისუსტეს მოუსწრო ჩვენმა დასავლეთის კონტრაბანდამ—ფეოდალიზმმა.

მან ჩქარა და ადვილად დაამყარა აქ წესიერება, რომლის დროსაც de jure გლეხი უნდა ყოფილიყო აუცილებლად აზნაურისაგან დამოკიდებული და სავსებით მის მორჩილებაში მყოფი;—აზნაური ასეთსავე დამოკიდებულებაში თავადის მიმართ,—თავადი ერისთავის მიმართ,—ერისთავი მეფის მიმართ როგორც სახელმწიფოს მეთაურის მიმართ, რომელიც განსაზღვრული იყო მხოლოდ მატერიალური შეძლებით“.[1]

ასეთმა პოლიტიკურმა წესწყობილებამ თავისებური ცვლილება გამოიწვია საზოგადოებრივ ურთიერთობაშიაც და წოდებათა დამოკიდებულების საქმეშიაც. მე-15 საუკუნიდან დამოკიდებულება ერთისა მეორესაგან გვეელინება ახალი სამოსელით, საკუთრების უფლების სამოსელით, განაგრძობს დ. ყიფიანი—ერთი პიროვნების მეორე პიროვნებისათვის მიკუთვნება პარალელურად მიმდინარეობს, მიწის მიკუთვნებასთან ერთად. გვარი გარკვეულ ორგანიზაციას წარმოადგენს, და მას მეთაურობს გვარის მეთაური. დანარჩენი წევრები გვარისა მის ქვეშევრდომობაში და მორჩილებაში იმყოფებიან; გვარის მეთაური არის პასუხისმგებელი ლმერთის და მეფის წინაშე, იგი ხელმძღვანელია გვარისა და ერთად-ერთი გამაწესრიგებელი გვარის საკუთრებისა. „მხოლოდ გვარის მეთაური მისი უფროსი იყო სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებელი წევრი, ნამდვილი მოქალაქე, რომელთა ნამდვილი Ciwis ontimo jure; დანარჩენი გვარის წევრები, ოფიციალური გაგებით პასუხის მგებლობას მოკლებულნი, როგორც მათ შორის ისე საზოგადოებაში `იწოდებოდენ თავადის-შვილებად, აზნაურის-შვილებად“.[2]

მაგრამ დ. ყოფიანისათვის თუ ერთი მხრივ ნათელი იყო ფეოდალური წყობილების სარგებლიანობა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, როდესაც ნამდვილი ანარქია მეფობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებაში, მეორე მხრივ, მისთვის არა ნაკლებ ნათელი იყო, რომ ფეოდა-

[1] იქვე, გვ. 35.
[2] იქვე, გვ. 38.

ლური წყობილების ფორმები და მისი სოციალ-ეკონომიური საფუძვლები ალარ შეესაბამებოდა ცხოვრების წარმატებისა და წინმსვლელობის საქმეს; ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, საქართველოშიც ფეოდალიზმს უნდა მოეკვეთა თავისი დრო და ადგილი უნდა დაეთმო უფრო უმაღლესი სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის. რუსეთის მართველობის დამკვიდრებით აღმოიფხვრა ფეოდალიზმი და ერთმართველობა დამკვიდრდა. ძველი წოდებრივი ურთიერთობა დაიშალა და საქ. თავად-აზნაურობა გათანასწორდა უფლებებში რუსეთის თავადაზნაურობასთან. ამით საქართველოს ძველ იერარქიაში ძირითადი გარდატეხა უნდა მომხდარიყო და ეს მძიმე საქმე დაწყებული 1818 წლიდან დამთავრდა 1850 წელს სრულიად შეფარდებით ადგილობრივ პირობებთან; გარდაქმნა მოხდა ნამდვილი და მთავრობის ზომები საჭირო იყო იმისათვის, რომ ჩვენ მოვეცილებიეთ ცხოვრების გარკვეულ სამხედრო წესს და გადავეყვანეთ სხვა წესზე. უფრო მშვიდობიანისა და სამოქალაქო წესზე [1]. ასე მსჯელობს თავის წიგნაკში დ. ყიფიანი.

თავის მეორე წერილში დ. ყიფიანი იხილავს საქართველოში მიწის კერძო საკუთრების მდგომარეობას, დ. ყიფიანი ცდილობს გამოარკვიოს თუ როგორი იყო კერძო საკუთრების პირობები ფეოდალურ წყობილების პერიოდში და მე-19 საუკუნეში შექმნილ ურთიერთობის დროს. შესავალში იგი აღნიშნავს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მოუტანა საქართველოს რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრებამ გარეშე მტრების ალაგმით და შინაური ანარქიის აღმოფხვრით. დ. ყიფიანი ამბობს, რომ ახლა სრულიად ახალი პირობები შეიქმნა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის და ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობაც ამ პირობებს უნდა ეგუებოდეს, სამწუხაროდ ჯერ ეს არ მომხდარა სავსებით და ფეოდალური წყობილების ნაშთები ხელს უშლიან ჩვენი ცხოვრების,—რასაკვირველია საქართველოს მაღალი წოდების თავად-აზნაურების ცხოვრების შესაფერისად განვითარებას, საჭიროა შესაფერისი ცვლილება მოხდეს მემამულეთა ეკონომიურ ცხოვრების პირობებში და ძველი იურიდიული ნორმებიც შეიცვალოს თანახმად ახალი ურთიერთობის. დ. ყიფიანი ამ მხრივ დაწვრილებით იხილავს მამულის მდგომარეობის საკითხს საქართველოში ძველად, ფეოდალურ სისტემის პერიოდში კანონი დაუშვებლად აღიარებდა მამულის დაყოფასა და დაქუცმაცებას: მიწა ერთიანად ეკუთვნოდა გვარს, რომელსაც მართავდა გვარის მეთაური; მამულის დანაწილება ნიშნავდა გვარის დაუძლურებას, მისი ეკონომიური და პოლიტიკური როლის დაცემას. ამიტომ ფეოდალური კანონი უარყოფდა ამ დანაწილებას და იცავდა „გვაროვნული მამულის“ პრინციპს. ასეთივე იყო ვახტანგ VI-ის კანონი. „Законы грузинские поддерживали, таким образом феодальные начала“ სწერდა დ. ყიფიანი; მაგრამ მისი აზრით ასეთი წყობილების ფორმები შეუწ-

[1] იქვე, 48—50.

ყობდა ხელს სასოფლო სამეურნეო ცხოვრების წარმატებას და მამულის კულტურულად დამუშავების საქმეს, წინააღმდეგ ასეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა ხელის შემშლელი მოვლენა იყო ეკონომიური ცხოვრების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. საქართველოში მამულის მფლობელობის პატრიარქალურს პერიოდში არ იყო აჩრდილიც ასეთი წარმატების პირობებისათვის— სწერდა დ. ყიფიანი, ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ გვარის მეთაურად ხდებოდა ისეთი პირი, რომელსაც სრულიად არ გააჩნია ის თვისებები, რომელიც აუცილებელია გონიერი პატივისცემა და მიუკერძოებელი მართველისა, სახლის გამგისა და მოსამართლისათვის, აქედან წარმოშობილი ჩხუბი, თვითნებობა, ძალადობა, ცარცვა და მკვლელობა აღელვებდა უმაღლეს წოდებას და ძლიერი უფლება ყოველთვის ინარჯვებდა... აქედან ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ მდგომარეობაში ვარდებოდენ ასეთს პირობებში გვარის სუსტი წევრები, როგორ უმჯობესდებოდა მამული და როგორ წახალისებას განიცდიდა გლეხის შრომა, რომელიც, როგორც პირადათ ისე თავისი ქონებით ეკუთვნოდა ბატონს. მამულის მფლობელობის ასეთს პირობებში უფრო ნათლად შევძლებთ წარმოვიდგინოთ მამულების მდგომარეობა თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმ ხანებში ქვეყანა აფორიაქებული იყო გარეშე და შინაურ მტრებით“ [1]

დ. ყიფიანშა ფეოდალური სისტემის კრიტიკის დროს სრულიად სამართლიანად მიაქცია საზოგადოების ყურადღება ეკონომიურ მხარეზე და განსაკუთრებით მამულების მფლობელობის საკითხზე. ფეოდალური სისტემა აგებული იყო გარკვეულ ეკონომიურ საფუძველზე. მას სარჩულად ედვა მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელზედაც აშენებული იყო გარკვეული გვარის პოლიტიკური ბატონობაც; ვინც ებრძოდა ამ ფეოდალურ სისტემას, მას უპირველეს ყოვლისა მისი ეკონომიური საფუძვლების მამულის მფლობელობის წესის დარღვევისათვის უნდა მიექცია არსებითი ყურადღება. დ. ყიფიანის ეკონომიური კონცეპცია განსხვავდებოდა ფეოდალური სისტემის სოფლმხედველობისაგან. დ. ყიფიანი ფეოდალური უღლიდან განთავისუფლებულ მემამულის თვალსაზრისით უყურებდა საკითხს: მისთვის ცალკე პიროვნების დამოკიდებულობა და კერძო საკუთრების პრინციპი ურყევ საფუძველს წარმოადგენდა ცხოვრების წარმატებისა და წინმსვლელობისათვის: ეს იყო ახალი მემამულის თვალსაზრისი, ფეოდალურ აპეკისაგან განთავისუფლებულ მოწინავე წოდების იდეოლოგია. მისთვის აღარ იყო საჭირო „მამულის განუყოფელობა“ ფეოდალური წყობილების მიწათმფლობელობის სისტემა. დ., ყიფიანი დამოუკიდებლად იკაფავდა გზას ცხოვრებაში, როგორც მოხელე, როგორც ბიუროკრატიულ ცენტრალისტურ სახელმწიფოს ერთ-ერთი მსახური. ეს ახალი სახელმწიფოებრივი წყობილება არა გვარის სიძლიერეს აქცევდა ყურადღებას, არამედ პიროვ-

[1] Д. Кипиани „О состоянии имений Грузии“ „Кавказ“, № 2, 1848 г.

ნების ეკონომიურ სიძლიერეს და მის პირად თვისებებს, ენერგიას, ცოდნას, სამსახურის უნარიანობას, დ. ყიფიანმა ნათლად შეიგნო ახალი ეპოქის ეს ახალი მოთხოვნილება და გარკვევით წამოაყენა კონცეპცია, რომლის ერთი პირი მიმართული იყო ფეოდალური წყობილების და მის საფუძველზე აღმოცენებულ იურიდიულ ფორმების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ეპოქის მოთხოვნილებებს ეგუებოდა: „ვახტანგის კანონებიდან გამომდინარე ცნებამ მამულების განუყოფელობის შენარჩუნების სარგებლიანობის შესახებ, ბუნებრივად დაუთმო ადგილი საქმის ახალ ვითარებაში შეხედულებას, რომ აუცილებელია ყოველმა პიროვნებამ იცოდეს თავის საკუთრება. აგრეთვე სოფლის მეურნეობაშიც წამოიჭრა მისწრაფება „დაყოფისაკენ“ — განაგრძობს დ. ყიფიანი.[1] მაგრამ ცხოვრებაში ეს შეხედულება ჯერ კიდევ არ არის გატარებული: „ახლა ბუნებრივ პირობების მიხედვით, მაღალი წოდების შეგნება და მისი მოთხოვნილებანი შეიცვალა და გაფართოვდა; მაგრამ მამულის მფლობელობის სისტემა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობა თითქმის იმ პირობებში დარჩა, რომელშიაც იმყოფებოდა ასეული წლების წინ“. დ. ყიფიანის განმარტებით ეს გარემოება ხელს უშლის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წინ მსვლელობას, მემამულეები მხოლოდ დღიური ლუკმისათვის ზრუნავენ და არ არის შესაფერისად გამოყენებული ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე. ავტორის განმარტებით, კერძო საკუთრების პრინციპის ცხოვრებაში ურყევად გატარება ხელს შეუწყობს სოფლის მეუნეობის წარმატებისა და მისი რაციონალურად გამოყენების საქმეს; მემამულის ინტერესი და შეგნება გაფართოვდება; იგი კულტურულად დაამუშავებს თავის მამულს არა მარტო თავისი ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ მაზრისათვისაც.

ასეთი არის დიმ. ყიფიანის შეხედულება. თუ ერთი მხრივ, იგი სასტიკად ილაშქრებდა ფეოდალური წყობილების პოლიტიკური კარჩაკეტილობისა და დაქუცმაცების წინააღმდეგ და მოითხოვდა მტკიცე ცენტრალისტური ხელისუფლების დამკვიდრებას, მეორე მხრივ მისი ეკონომიური და სოციალური შეხედულებანიც ვერ თავსდებოდენ ძველი ფეოდალური სისტემის ფარგლებში და იგი ამ მიმართულებითაც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა.

შეუძლებელია გვერდი აუაროთ დ. ყიფიანის აზროვნების ზოგიერთ მომენტებს 40-50 წლებში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ეკონომიური შეხედულებანი.

უნდა ითქვას, რომ მის აზროვნებაზე აუცილებლად დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელმა ეპოქამ. ხოლო შემდეგში ეკონომიურ-პრაქტიკულ ღონისძიებების საქმეში იგი ვორონცოვის პირდაპირი მოწაფე გახდა. დ. ყიფიანს ესმოდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების მნიშვნელობა

[1] იქვე.

საზოგადოებაში, იგი აფასებდა ევროპის ტექნიკასა და კულტურულ მიღწევებს, იბრძოდა სას. მეურნეობის ახალ რაციონალურ საფუძვლებზე გადაყვანისათვის. როგორც ისტორიულად ცნობილია, ვორონცოვმა 40-50 წლ. არსებითი ყურადღება მიაქცია ამიერ-კავკასიის ეკონომიური წარმატების საქმეს, ჩვენში ვაჭრობის განვითარებისა და სასოფლო-მეურნეობის ევროპიულ სისტემაზე გადაყვანას. [1] ამ მხრივ ვორონცოვს უმთავრესად აინტერესებდა რუსეთის კაპიტალისათვის შესაფერისი ბაზრის შექმნა ამიერ კავკასიაში და ნედლეულობის დამზადება რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის, ვორონცოვის პოლიტიკას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეზე. დ. ყიფიანი სავსებით იზიარებდა იმ ეპოქისათვის ასეთს პროგრესიულ პროგრამას და იცავდა მას პრესაშიაც. იგი ვორონცოვის მიერ 1850 წ. დაარსებულ „კავკასიის სასოფლო-მეურნეობის“ საბჭოს წევრი იყო და თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა ჩვენი ცხოვრების ევროპიზაციას. 1856 წ. საზოგადოების წლიურ სხდომაზე მან ვრცელი მოხსენება გააკეთა თემაზე „О путях к достижению к цели общества“, რომელშიაც აღნიშნავდა ამ საზოგადოების და მაშასადამე თავის მიზნებსაც, რომ „**გადმოენერგვათ კავკასიის მეურნეობის წარმოებაში ის მიღწევები, რომელიც განახორციელა. თავიხთვის ევროპის რაციონალურმა მეურნეობამ**“. [2]

დ. ყიფიანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „საზოგადოების მოღვაწეობამ ვერ გამოიღო შესაფერისი დიდი ნაყოფი; ამის ერთ-ერთ მიზეზად ისიც მიაჩნდა, რომ ჩვენ საერთოდ ჩამორჩენილი ვართ; ევროპის სოფლის მეურნეობაში ახალი მიღწევები და ახალი იარაღები ადვილად იჭრება, ჩვენში კი ვერა, იმიტომ რომ იქ ახალი გაუმჯობესებანი არა მარტო სოფლის მეურნეობაში ხდება, არამედ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იჭრება თავისი შეუკავებელი ტემპით“. [3]

ჩვენში ისტორიის მიერ შექმნილი ობიექტიური პირობები ჯერ კიდევ სხვაგვარია. ქართველი მემამულე, ისტორიულ გარემოების გამო, მეომარი იყო, — განაგრძობს დ. ყიფიანი, — ხოლო მეომრისაგან შეგიძლიათ მოითხოოთ ყოველივე, მაკრამ არა სამეურნეო ცხოვრების რაციონალურად მოწესრიგება; იარაღისა და ცხენისადმი მხურვალე გრძნობამ, ქართველ მემამულეს დაუკარგა მეურნეობისადმი მიდრეკილება. ქართველი მემამულეების ასეთი ყოფიდან გადასვლა ახალ პირობებში დიდი ხანი არ არის რაც დაიწყო. მიუხედავათ ამისა საზოგადოებამ შესძლო სასარგებლო საქმეების

[1] იხ. Х. Каладесь „Обзор действий Наместника Кавказского для развития сельского хозяйства“ 1851 წ.

[2] И. Иоселиани „Обзор деятельности императорского Кавказского о-ва сельского хозяйства за пятдесять лет“ გვ. 7, 1901 წ.

[3] Д. Кипиани „О путях к достижению цели общества“ იხ. „Записки Кавк. общества сельского хозяйства“ გვ. 49, 1857 წ.

გაკეთება აბრეშუმის, პურის მოყვანის, ბალისნობის, ბოსტნეულობისა და ღვინის დაყენების სამეურნეო დარგებში. დ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ „საზოგადოებამ" მაინც მოახდინა გაელენა ჩვენს მეურნეობებზე, და იგი ჩამოთვლის მთელ რიგ მებატონეებს, რომელნიც შეუდგენ თავიანთ მეურნეობაში გაუმჯობესების შეტანას და ახალ რაციონალურს საფუძველზე მოწყობას. [1]

დ. ყიფიანს ახარებდა ამ ახალი ხანის დასაწყისი ჩვენ სასოფლო მეურნეობაში და აღფრთოვანებით ეგებებოდა ყოველ ახალ წამოწყებებს ამ დარგში.

ცხადია დ. ყიფიანს ესმოდა, რომ საჭირო არის ჩვენი ცხოვრების ვანახლება და გზის გაწმენდა ახალი ეკონომიური წყობილებისათვის. მაგრამ ამ საკითხის დასმის დროს მან ვერ მოახერხა რადიკალური ნაბიჯის გადადგმა, ძველი შეხედულებისაგან განთავისუფლება და შუა გზაზე შეჩერდა. ნახევრად ლიბერალურ პოლიტიკას დაადგა. მას სურდა ევროპის ეკონომიური და ტექნიკური მიღწევები დაეტანა ბატონყმურ ურთიერთობის ნიადაგზე. ერთი მხრივ იგი ევროპას კულტურითა და ტექნიკით არის გატაცებული, მეორე მხრივ, ცდილობს დაიცვას ბატონყმური სოციალური ინსტიტუტი.

1848 წ. იგი სწერდა: „მთავრობა ზომებს ღებულობს გააღვიძოს მრეწველობა ხალხში. აერცელებს ჩვენში კულტურულ მცენარეთა თესლებს, ხსნის პროდუქტების გასაღების საშუალებებს, გაჰკავს საფოსტო გზები. მოსკოვის დეპომ აღგვითქვა თავისი შეამავლობა რუსეთში ადგილობრივ ნაწარმოების გასაღების საქმეში... რასაკვირველია, რომ შემოღებულ იქნეს მრეწველობის ახალი დარგი ან გაუმჯობესდეს ძველი, ამისათვის უწინარეს ყოელისა საჭიროა საკუთრების საზღვრების განსაზღვრა, შემდეგ შესაფერისი საშუალებანი და ბოლოს საქმის ცოდნა:... თუ ისინი (მეპატრონენი) თვითონ არ მიაქცევენ ყურადღებას მას, რომ გააუმჯობესონ მეურნეობა, განაახლონ მიწის დასამუშავებელი იარაღები, და შემოიღონ სისტემა თავიანთი ხარჯების შეფარდებისა მიწის ნაყოფის დამუშავების საშუალებებთან—მარტო მთავრობა ვერ შესძლებს ააცდინოს მათ მათი მეურნეობის განადგურების ყველა ცუდი შედეგები. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსეთის თავად-აზნაურობა ხიზღით უცქეროდა მრეწველობას, მაგრამ იმავე დროის მოთხოვნილებამ აიძულა უკუეგდოთ ეს ცუდი ცრუმორწმუნეობანი და რამდენი არის ამ ჟამად უნარჩინებულეს თავად აზნაურთა მდიდარი ფაბრიკანტები და მრეწველები, რომელთა მაგალითი შეიძლება გადაიქცეს საუკეთესო წახალისებად მაგალითად ქართველ თავადაზნაურობისათვის. [2]

მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს იწერებოდა 40-იან წლებში როდესაც ჩვენში ჯერ კიდევ ბატონყმური მეურნეობა არსებობდა და რო-

[1] იქვე.

[2] „Кавказ" — № 2, 1878. წ. (ხაზი ჩვენია—ს. ბ.)

დესაც ფაბრიკა-ქარხნები ჩვენში თითზედაც ჩამოსათვლელიც არ იყო. დ. ყიფიანი ამ მხრივ ეპოქის სიმაღლეზე დადგა. მან ნათლად შეიგნო ევროპის ეკონომიური ვითარების შინაარსი, მისი ტექნიკური და საწარმოო მიღწევათა მნიშვნელობა და ჩვენს თავად-აზნაურობას ურჩევდა მიეპაძათ ამ ახალი ვითარებისათვის. როგორც მოყვანილ ცნობებიდან და მისი „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში" მოღვაწეობისაგან სჩანს, დ. ყიფიანის არსებითი ყურადღება მიქცეული იყო ჩვენი სოფლის ეკონომიკის რაციონალურ საფუძვლებზე გარდაქმნისაკენ. ჩვენი ხსნა ევროპის ტექნიკისა და განათლების გავრცელებაში მდგომარეობს — ამბობდა დ. ყიფიანი და ამიტომ იგი პრაქტიკულადაც ცდილობდა ხელი შეეწყო ამ ახალი წამოწყების გავრცელებისათვის. 1860 წ. ერთი თავისი თარგმანის შენიშვნაში იგი ამბობდა: „ჩვენც გვიახლოვდება ისეთი დრო, რომ ურიგო არ იქნება ვიცოდეთ ფერმერობა რას ნიშნავს". [1] ცხადია დ. ყიფიანი ევროპის ფერმერული სამეურნეო კულტურის გავრცელება ჩვენში სასარგებლოდ მიაჩნდა. მეორე მხრივ იგი ფაბრიკებისა და წარმოება—აღებმიცემობის გავრცელების მომხრეც იყო; და, რაც აღსანიშნავია, იგი ურჩევდა ქართველ თავად-აზნაურობას ხელი მოეკიდათ ამ საქმისათვის. აქ ნათლად სჩანს მისი თავად-აზნაურული ლიბერალური ეკონომიური პოლიტიკა, რომლის მიზანი იყო საქართველოს ბრწყინვალე წოდების ინტერესებისათვის გამოეყენებია ახალი ეკონომიური მოძრაობა; უკეთ, ახალი სამეურნეო ცხოვრების მეთაურად იგივე თავად-აზნაურობა გადაექცია, ასეთი იყო დ. ყიფიანის სამეურნეო პროგრამა.

ახლა დ. ყიფიანის საერთო აზროვნება, მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური სოფლმხედველობა რომ შევაფასოთ ისტორიულ-სოციალური თვალსაზრისით უნდა ვთქვათ, რომ მის აზროვნებაში თავმოყრილია კონსერვატორიული და ლიბერალური შეხედულებათა ელემენტები. მაგრამ ასე განყენებულად მსჯელობა მაინც შეუძლებელია. მარქსისტული სოციოლოგიის თვალთახედვით ყოველი აზროვნება და სამოღვაწეო პროგრამა განხილული უნდა იქნეს გარკვეულ ისტორიულ-ობიექტიურ ფარგლების მიხედვით. დ ყიფიანს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა; და ფარრო მაშსტაბით რომ ავიღოთ ეს იქნება პერიოდი ბატონყმური ეპოქისა და პერიოდი რეფორმის დასაწყისის და მისი შემდეგი ხანისა. თუ ამ პერიოდების მიხედვით განვიხილავთ დ. ყიფიანის აზროვნებასა და სამოღვაწეო პროგრამას დავინახავთ, რომ პირველ პერიოდში დ. ყიფიანი არ არის მოკლებული ლიბერალურ აზროვნების ელემენტებს. იმდენად, რამდენადაც იგი ებრძვის ფეოდალურ წყობილების სისტემასა და მის ნაშთებს, რამდენადაც იგი

[1] იხ. „ცისკარი", მარტი, გვ. 143. 1860 წ. ბაქარ ქართლელის (დიმ. ყიფიანის) თარგმანი.

მოითხოვს ევროპის ტექნიკისა და მიღწევების გამოყენებას ჩვენი მეურნეობის საქმეში, რამდენადაც იგი ცდილობს ევროპიული ცხოვრება დაამყნას ჩვენი ცხოვრების მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რამდენადაც იგი ცდილობს განათლება და ცოდნა გაავრცელოს საზოგადოებაში, —იმდენად მასში ლიბერალური მოაზროვნე მეტყველებს. მაგრამ ამ პერიოდშივე დ. ყიფიანის ლიბერალიზმი შექსოვილი არის კონსერვატიულ სოფლმხედველობასთან; რამდენადაც იგი ცდილობს ახალი ევროპიული პროგრამა დაამყნას ბატონყმურ ურთიერთობას სოციალურ საფუძველზე. დ. ყიფიანი ამ მხრივ თითქოს გაორებული არის. ერთი მხრივ იგი ევროპისაკენ მიიწევს—ამით იგი პროგრესისტ-ლიბერალია; მეორე მხრივ—ძველი წყობილების სოციალურ საფუძვლებს იცავს, — თუმცა შეკეთებული სახით, —ამით იგი კონსერვატორულ აზროვნების მატარებულია; ასე ქანაობს დ. ყიფიანი თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ლიბერალურ და კონსერვატიულ მიმართულების შორის.

მაგრამ მეორე პერიოდში, როდესაც უკვე გამოაშკარავდა ბატონყმურ მეურნეობის შეუსაბამობა და ცხოვრებამ ახალი კალაპოტით იწყო დენა დ. ყიფიანის ლიბერალიზმიც საეჭვო გახდა. იგი ვერ მიყვა ბოლომდე ცხოვრების ისტორიულ ვითარებას და დიდი მანძილით ჩამორჩა მას, მისი პოლიტიკა და პროგრამა რეფორმის პერიოდში (1852-64 წ.) უაღრესად წოდებრივი ხასიათისა იყო და გამოხატავდა ჩვენი თავად-აზნაურობის კონსერვატიულ ნაწილის სულისკვეთებას.

ასეთი არის დ. ყიფიანის აზროვნება შეფასებული ისტორიულ სოციოლოგიური თვალსაზრისით. ეს აზროვნება თავისი სოციალური საფუძვლებით გამოხატავდა ახალი სოციალური ფენის—მოხელე აზნაურის სულისკვეთებას და მისწრაფებებს. ეს ახალი სოციალური ფენა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ჩამოყალიბდა: მისი იდეოლოგია თან ატარებდა ამ ახალი ეპოქის პოლიტიკურ-ობიექტურ პირობებისა და ბატონყმურ ურთიერთობის გავლენას. ეს იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის წოდებრივ და გარკვეულ სოციალურ ურთიერთობაში აღზრდილი მოხელის თვალსაზრისი და იდეოლოგია.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენში ახალი ობიექტიური პირობები შეიქმნა, ახალი ამოცანები მომწიფდა და ახალი მოხელეები წარმოიშვა, აღზრდილი სულ სხვა პირობებში. მისი იდეოლოგია უკვე სხვა იყო. დ. ყიფიანიც ისტორიულ ცხოვრების გამო იძულებული შეიქმნა მათთვის დაეთმო ადგილი.

დიმ. ყიფიანის აზროვნება და სოფლმხედველობა მაშინდელი ეპოქის ნაყოფი იყო, საერთოდ იგი გამოხატავდა მომაკვდავი კლასის ინტერესებს, მის მისწრაფებებსა და სულის კვეთებას. თავისი დიდი ნიჭი, ცხოველი ტემპერამენტი და ფართო ცოდნა ისტორიისგან განწირულ ამ მომაკვდავ წოდების ინტერესების დაცვას შეალია დ. ყიფიანმა; მისი მთავარი მიზანი

იყო გადაერჩინა ეს წოდება განადგურებას და შეენარჩუნებია მისთვის ძველი ეკონომიური უპირატესობა და საზოგადოებრივი პრივილეგიები. მაგრამ ისტორიული ცხოვრების შეურყეველი მიმდინარეობის შეჩერება არ შეეძლო ისეთ დიდ პიროვნებას, როგორიც დ. ყიფიანი იყო და ასეთ მოხელენილ პროექტებსაც, რომელსაც ეს ფართო ერუდიციის ქონე პიროვნება თხზავდა.

## თავი მესამე

# 1832 წლის შეთქმულება და დიმიტრი ყიფიანი

### 1

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებიდან ორი დიდი ფაქტი იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რომლის ობიექტიური აწონა და ისტორიული საზომით გაგება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ვისაც სურს დ. ყიფიანის აზროვნება და მოღვაწეობა სისწორით დაახასიათოს. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში, სახელდობრ 30-იან წლებში, ჯერ კიდევ ახალგაზრდა 16—18 წლის დ. ყიფიანი ადგილდობრივ ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგება და ისტორიაში უკვე ცნობილი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ხდება,—იმ შეთქმულების, რომელსაც სურდა იარაღით ხელში დაემხო რუსეთის ბატონობა საქართველოში და აღედგინა მისი დამოუკიდებლობა. ამ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა დ. ყიფიანი დაახლოებით ორი წლით ციხეში ჯდომით დასაჯეს და შემდეგ ვოლოგდაში გადაასახლეს რამოდენიმე წლით საცხოვრებლად. მსგავსივე ბედი ეწვია მის თანამოაზრეებს—ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. დ. ყიფიანმა შემდეგში გამოიყიდა თავისი ენერგიული მოღვაწეობით სახელმწიფო საჩსახურში ეს თავისი პირველი „დანაშაული“ და დიდი ყურადღებაც დაიმსახურა მთავრობის მხრივ. 80-იან წლებში შეხვდა დ. ყიფიანისა და ადგილობრივი ხელისუფლების საბოლოოდ ეგეგმები ერთი მეორეს და ეს სწორედ არის მეორე შესანიშნავი ფაქტი დ. ყიფიანის მოღვაწეობაში. 80-იან წლებში ბრძოლა დ. ყიფიანსა და ადგილობრივ მთავრობის შორის რამოდენიმე წელიწადი გასტანა და ამ უსწორ-მასწორ ბრძოლის პროცესს გულისფანცქალით შესცქეროდა ქართველი საზოგადოება. ეს ბრძოლა დ. ყიფიანის ტრაგიკული დაღუპვით დამთავრდა სტავროპოლში; რეაქციონერმა მთავრობამ ფიზიკურად გაანადგურა თავისი მოწინააღმდეგე ძალა—დიდი ენერგიის მქონე ჭაღარით მოსილი 73 წლის მოხუცი.

როგორც ჭაბუკი ყიფიანის ბრძოლა 30-იან წლებში და მისი მონაწილეობა შეთქმულებაში ისე მოხუცი, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის მქონე მოღვაწის ბრძოლა 80-იან წლებში არ წარმოადგენენ შემთხვევით მომენტებს მის მოღვაწეობაში; ამ ფაქტების აუცილებლობა პირდაპირ გამომდინარეობდა დ. ყიფიანის პოლიტიკური სოფლხედველობიდან და ეროვნული ტაქტიკიდან.

80-იანი წლების მისი ბრძოლის თავგადასავალი გაშუქებული იქნება ცალკე თავში, ხოლო ამ თავში ჩვენ გვინდა შევეხოთ დიმიტრი ყიფიანის მონაწილეობას 1830-32 წლის შეთქმულებაში.

ვინც სწავლობს ქართველ თავად-აზნაურთა აზროვნების განვითარებას, მე-19 საუკუნეში, იგი გვერდს ვერ აუხვევს 1830-32 წლის შეთქმულების ფაქტს. ამ შეთქმულების გამორკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის საქმეში. თავისი კლასიურ-სოციალური შინაარსით ეს უკანასკნელი ისტორიული ცდა იყო ქართველ თავად-აზნაურთა წოდების რუსეთის მართველობის წინააღმდეგ შებრძოლებისა; ამ შეთქმულების დამარცხებამ და შედეგებმა უკანასკნელი მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა ქართველ თავად-აზნაურთა პოლიტიკურ აზროვნებასა და მისწრაფებებში; ამ შეთქმულების საგრძნობ კონტინგენტს მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი წარმოადგენდა: გრიგოლ, ალექსანდრე, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანები, გიორგი ელიზბარ და სხვა ერისთავები, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, დ. ყიფიანი, გ. ავთანდილოვი, ი. მამაცაშვილი—ეი ვინ შეადგენდენ უმთავრესად ინტელიგენციიდან ამ შეთქმულებას, ისინი იყვნენ ის ახალი ინტელიგენტუალური ძალები, რომელთაც განათლება ტფილისისა და რუსეთის საასწავლებლებსა და სამხედრო კორპუსებში ჰქონდათ მიღებული. იმითაც არის ეს შეთქმულება საინტერესო, რომ აქ ისტორიულად ქართველი თავად-აზნაურული ინტელიგენცია პირველად გამოვიდა, როგორც შეთქმულების ხელშძღვანელი და ორგანიზატორი.

მაგრამ ნუთუ ამ შეთქმულებაში არ ჰქონდა ადგილი ერთგვარ წოდებრივ სოციალურ დაყოფასაც და მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია ერთ მთლიან სოციალურ წრეს წარმოადგენდა? ამ კითხვაზე სწორი პასუხის მიცემა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ერთი მხრივ გავითვალისწინებთ შეთქმულების განვითარების ისტორიას, მეორე მხრივ გამოვარკვევთ სხვადასხვა წრეებისა და ჯგუფების მისწრაფებებს, — კერძოდ გავიგებთ რა მოტივები ამოძრავებდა იმ ხანებში დ. ყიფიანსა და როგორ როლს თამაშობდა იგი ამ შეთქმულებაში, ეს უკანასკნელი საკითხი ჩვენი მთავარი თემის უშუალო ამოცანას შეადგენს და ჩვენი კვლევის სასწორიც იქითკენ იქნება გადახრილი. [1]

---

[1] ერთობ სამწუხარო ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამ შეთქმულების მასალები ჯერაც არ არის დამუშავებული და მის შესახებ არ არსებობს სპეციალური გამოკვლევაც. დაინტერესებულ მკითხველს ჩვენ აქ მივუთითებთ იმ ნაშრომებს ქრონოლოგიური წესით, რომელიც ეხება აღნიშნულ შეთქმულებას. 1. ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა: გ. დ. ერისთავის ბიოგრაფია, მ. ერისთავის თხზულებანი, 1884 წ. გამოცემაში, გვ. 19—34; 2. კ. დ. ყ ი ფ ი ა ნ ი: „Из давно минувшего Грузии"; ჟურნ: „Кавказский Вестник" № 11, გვ. 95—116, 1900 წ. 3. В. И в а н е н к о: „Гражданское управление Закавказьем" გვ. 192—4, 1905 წ. 4. კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე: „პოლიტიკური რომანტიზმი", „მ ო ა მ ბ ე" № 1. გვ. 1—48, 1905 წ.; 5. Хаханов:" История грузинской словес-

პირველი საკითხი, როპელიც ჩვენს წინ ისახება—ეს არის იმის გამორკვევა, თუ როდის დაიწყო ეს შეთქმულება, როგორ მიზნებს ისახავს იგი და როგორი მომენტები განიცადა მან თავისი განვითარების პროცესში.

დოკუმენტალურად შეიძლება დამტკიცებული იქნეს, რომ ამ შეთქმულების მტკიცე ორგანიზაციას პირველად საფუძველი ჩაეყარა 1830 წ., როდესაც ტფილისს ეწვია ბატონიშვილი ოქროპირი, შვილი გიორგი მეფისა. ამ შეთქმულების ორგანიზაციის იდეა რუსეთში დასახლებულ ბატონიშვილებიდან გამომდინარეობდა; რასაკვირველია ის იდეები, რომელსაც ისახავდენ შეთქმულების მონაწილენი, — ესე იგი იდეა საქართველოს განთავისუფლებისა რუსეთის ბატონობისაგან, თავიდანვე მომდინარეობდა ქართველ წარჩინებულ თავადთა ნაწილში და ამ იდეების რეალური გამოხატულება იყო ირანში ემიგრანტად გაჭრილი ალექსანდრე ბატონიშვილი, დაუცხრომელი მებრძოლი ბაგრატიონთა ტახტის აღდგენისათვის და რუსეთის მოსისხლე მტერი. სწორედ სამართლიანად სწერდა ამის შესახებ საგანგებოდ შედგენილი საგამომძიებლო კომისია: „Коего имя неразлучно с каждым досюле возмутительным покушением в Грузии".[1]

აღნიშნულმა ოქროპირ იულონის ძე და დიმიტრი ბატონიშვილებმა ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარეს 30-იანი წლების შეთქმულების ორგანიზაციას. „საგამომძიებლო კომისიის" დასკვნებში აღნიშნულია: „კომისიის მიერ წარმოებული საერთო სიებიდან ნათელი ხდება, რომ აღმოჩენილი შეთქმულება წარმოიშვა საქართველოს ყოფილ სამეფო ოჯახის ზოგიერთ წევრების გავლენისა და შთაგონებისაგან".[2] იგივე კომისია დიმიტრი ბატონიშვილის მოღვაწეობას შემდეგნაირად ახასიათებს თანახმად შეკრებილ ცნობებისა და დაკითხვებისა: „თავ. დიმიტრი პეტერბურგში ცხოვრობდა, სადაც მთავრობის მზრუნველობით იზრდებოდა მრავალი ახალგაზრდა ქართველი, რომელნიც წარმოადგენდენ ამ ქვეყნის ახალთაობას, ასე ვთქვათ, ყვავილს და რომელიც ხშირად მიმართავდენ ბატონიშვილების მფარველობას; ამ ახალგაზრდათა ნაწილს ისინი ნათესავად ავდებოდენ... თავ. დიმიტრის ამ სახით შემოხვევა ჰქონდა ხშირად შეხვედროდა ამ ახალგაზრდებს და შთაეგონებია მათთვის თავისუფალი აზრები, ხოლო ზოგიერთებისათვის აღსაშფოთებელი მოსაზრებანი, ამრიგად გა-

ности" ტ. IV. გვ. 28—34, 1906 წ. 6. И. Джавахов: „Политическое и социальное движение в Грузии в XIX-веке" 1906 წ. 7. არ. ჯორჯაძე, ტ. II, გვ. 150—57, 1911 წ., 8. პროფ. მ. პოლიევქტოვი: „საარქიო მასალები 1832 წ. შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში" ჟურნ. „საქართველოს არქიები" წ. II, გვ. 110—23, 1927 წ.; 9. ბ. ინჯოროყვა: „გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ლექსები" „ქართული წერილობა" № 6—7 1928 წ.; 10. უმთავრეს დაბეჭდილ საარქივო მასალას წარმოადგენს „Акты". ტ. VII; „Дело о грузинском заговоре"—ცენტრ. არქივში მოთავსებული 36 ტომი მასალა: ლენინგრადის ფონდი და ტფილისის ფონდი. გვ. 391—423 და 11.

[1] „Акты" ტ. VII, გვ. 408.

[2] იქვე, გვ. 397.

მოუცდელ ახალგაზრდებს თანდათან უბნელებდა გონებას, ზოგიერთ მათგანს ბოროტმოქმედებისათვის აგულიანებდა და აქეზებდა, რათა საქართველოში რუსეთის ბატონობის მოსპობისათვის ემოქმედათ... ამრიგად საქართველოში აღმოჩენილი ბოროტგამზრახვის პირველს დასაწყისს წარმოადგენდა თავისუფალი და აღმაშფოთებელი საუბრები თავ. დიმიტრისა პეტერბურგში".[1] ცხადია ეს მოხდებოდა 1830 წლის ბევრად უფრო ადრე. შეთქმულებისათვის დაპატიმრებულმა გულახდით აღიარეს დიმიტრის მონაწილეობა და გავლენა ამ შეთქმულებისათვის პროპაგანდის წარმოებაში. „განსაკუთრებით ბრალს დებდენ მას ორი ერისთავი—ელიზბარი და დიმიტრი — იმაში, რომ მან (ბატონშვილმა) ბავშვობიდანვე მოამზადა ისინი ამ დაღუპვისათვის და ჩაადო ამ მდგომარეობაში თავისი წასისიანებით. „Я едва вступил в общество, не знал еще ни света, ни людей и уже был преступником"—ასე ლაპარაკობდა ელიზბარი, ტფილისის შეთქმულთა უმთავრესი ხელმძღვანელი, რომელმაც თავისი დანაშაული გულახდილად აღიარა. ორივე ამ ერისათვის თავ. დიმიტრიმ ხელახლა განუმეორა თავისი მოსაზრებანი, როდესაც ისინი პეტერბურგიდან მიემგზავრებოდენ საქართველოში და მისცა თითოეულს ცალცალკე ფურცელი ამოჭრილი ნიშნებით, მასთან საიდუმლო მიწერ-მოწერისათვის".[2]

ამასვე გადმოგვცემენ შეთქმულების სხვა მონაწილენიც. დიმ. ერისთავი დიმიტრი ბატონიშვილის პროპაგანდისა და მისი ქართველ ახალგაზრდა ინტელიგენტ-თავადებთან დამოკიდებულების შესახებ ამბობს:

„1825 წელს მე პეტერბურგში ჩავედი, „ვცხოვრობდი ფარნაოზ ბატონიშვილთან და ხშირად ვხვდებოდი დიმიტრი ბატონიშვილს, რომელთანაც ხშირად იყვნენ თავადები: გიორგი და ელიზბარ ერისთავები. ბატონიშვილი გვიამბობდა ჩვენ ისტორიიდან ამბებს თავისუფლების შესახებ, რითაც ჩვენ ასე ვსთქვათ მოგვამზადა; და დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანების ჩამოსვლის შემდეგ, ჩაგვინერგა რა ჩვენ აზრები თავისუფლებაზე, დაიწყო მათი მომზადებაც. მასთან ხშირად თავს ვიყრიდით: ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ორბელიანი, ელიზბარ და გიორგი ერისთავები და მე. დიმიტრი ბატონიშვილი ყოველთვის იწყებდა საუბარს საქართველოზე და ამბობდა, რომ ქართველები ველურები და გაუნათლებელი ხალხი, უეფოდ არიან დ სხვა. ამით უნდოდა შეურაცხეყო ჩვენი თავმოყვარეობა და თავის განზრახვას კიდეც მიაღწია, რადგან ვის არ უყვარს თავის სამშობლო და ვინ არ გამოიდებს მისთვის თავს? მან ისარგებლა ჩვენი სიტყვის შებრუნებით უკვე აშკარად დაგვიწყო საქართველოზე ლაპარაკი. პირველ საშუალებად იგი ახალგაზრდობისაგან საზოგადოების შედგენას და განათლებას და საზოგადოების გავრცელებას აღიარებდა. ჩემი პეტერბურგიდან წამოსვლის წინ ე. ი. 1832 წ. მან განმიცხადა საი-

[1] იქვე, გვ. 398—9.
[2] იქვე, გვ. 399.

დუმლო მიმოწერის საშუალება, რომლითაც შეიძლება საკუთარი აზრის გადაცემა, ისე რომ მიმღებს ის წაეკითხა როგორც უბრალო წერილი. ამგვარი საიდუმლო მიმოწერა სწარმოებდა ამოპრილი საფოსტო ქაღალდის ნახევარი ფურცლის საშუალებით. [1]

ასეთი იყო ბატონიშვილი დიმიტრის იდეური გავლენა ამ შეთქმულების წარმოების საქმეში. მაშასადამე, პროპაგანდა შეთქმულთა წრის დასაარსებლად, მათი მისწრაფების გამოსარკვევად და სამოღვაწეო გეგმების შესამუშავებლად ბევრად უფრო ადრე წარმოებდა, ვინემ ორგანიზაცია ჩამოყალიბდებოდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნიადაგის მზადება შეთქმულთა ორგანიზაციის მოსაწყობად.

მეორე წყარო მომდინარეობდა ოქროპირ ბატონიშვილის საქმიანობიდან და პროპაგანდიდან. 1829 წ. მან აიღო ნებართვა მოსკოვის სამხედრო გუბერნატორისაგან კავკასიის წყლებზე გამგზავრებისათვის საექიმოდ; წყლების მიღების შემდეგ მოულოდნელად გაემგზავრა (1830 წ.) საქართველოში. ტფილისში იგი გაეცნო სხვადასხვა პირებს, მათ შორის ალ. ორბელიანს და ელიზბარ ერისთავს და ყოველ მათგანს აგონებდა შეედგინა „ბოროტგამზრახველთა საზოგადოება" რუსების წინააღმდეგ. ოქროპირის მიერ ტფილისში გაწეული პროპაგანდის შესახებ „შეთქმულების" მასალებში მრავალი ცნობა მოიპოვება. ხ. დოდაშვილის ცნობებიდან ვტყობილობთ: „ტფილისში ყოფნის დროს ოქროპირმა ერთხელ უთხრა მას (დოდაშვილს) თავისი იმედის შესახებ, რომ საქართველო როდესმე გადაიქცევა თავისუფალ და დამოუკიდებელ სამეფოდ; ამგვარი სიტყვებიდან მან, დოდაშვილმა დაასკვნა, რომ ოქროპირს ჰქონდა სურვილი ოდესმე მეფედ გახდომისა. შემდეგ ბატონიშვილმა დაავალა მას გადაეცა ცნობები ახალგაზრდა ყმაწვილებისათვის ბაგრატიონთა შესახებ, რათა მათ სცოდნოდათ ისინი და აღძროდათ სურვილი მათი მეფობის აღდგენისა; მოთხოვნა მღვდლებისათვის, რათა მათ ელოცათ ბაგრატიონთა შესახებ, ხოლო მოწაფეთათვის შეეგონებინა სამშობლოსადმი სიყვარული. ასეთი დარიგებანი ბატონიშვილმა მისცა მას განსაკუთრებით მისი წასვლის დროს უკან, რუსეთში და როდესაც მან, დოდაშვილმა გააცილა ის მცხეთამდე მასთან მარტოდ რომ იყო და ეკიპაჟში. ბატონიშვილ ოქროპირის სიტყვებმა, დაასკვნის დოდაშვილი, ჩემზე გავლენა იქონიეს. მან მე შთამინერგა დამღუპველი აზრი მთავრობის წინააღმდეგო. მანამდე მე წარმოდგენაც არ მქონდა საქართველოს განთავისუფლებაზე რუსეთისაგან... როდესაც ეს ბატონიშვილი აქ იყოფებოდა, ხშირად დადიოდა ჩემთან ბინაზე, მეფერებოდა, თავის მეგობრობას მიმტკიცებდა, მაგონებდა სამშობლოზე და რომ მეც მეფიქრა მის შესახებ. მან და თავადებმა დამღუპეს მე" [2]).

[1] იხ. რვეული XX. გვ 3861.

[2] იხ. ცენტრარქივში: 1832 წ. შეთქმულთა შესახებ—ლენინგრადის ფონდი, რვეული 25, გვ, 4958.

ალ. ერისთავი გადმოგვცემს იმავე ს. დოდაშვილის სიტყვებს, რომ ბატონიშვილი არიგებდა მას, რომ შთაეგონებია დოდაშვილს ახალგაზრდა მოწაფეებისათვის თავისუფალი აზრები მთავრობის წინააღმდეგ და ამ სახით ესწავლებია მოწაფეებისათვის მეცნიერება".[1]

ს. დოდაშვილის მსგავს ცნობებს იძლევიან ე. ერისთავი და ალ. ორბელიანი თავიანთ ჩვენებებში. ისინიც აღნიშნავენ, რომ ბატონიშვილმა დაიყენა ისინი აჯანყებისა და რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედების გზაზე. ალ. ორბელიანი ამბობს: „როდესაც ბატონიშვილი ოქროპირი ჩამოვიდა ტფილისში ის ეწვია მას; ბატონიშვილი ძლიერ მოეფერა მას, როგორც ნათესავს და ისიც ხშირ-ხშირად დაიარებოდა მასთან. ბატონიშვილი საუბრობდა მასთან საქართველოს შესახებ, მის წარსულ დიდებაზე, სამშობლოს სიყვარულზე; მოყვანდა აღმაფრთოვანებელი მაგალითები საბერძნეთის ისტორიიდან. ყვებოდა ბაგრატიონთა შესახებ, თუ როგორ ბრძანელობდნენ ისინი 1200 წლის განმავლობაში საქართველოში; ხოლო რუსეთმა ნაცვლად ნათხოვი მფარველობისა ყველაფერი წაართვა მათ (ბაგრატიონებს) და გადაასახლა თვით ბატონიშვილები... ამგვარი შთაგონებებით ბატონიშვილმა საესებით დაიმონა იგი და შემდეგ თანდათან დაუწყო მას საუბრობა საქართველოს განთავისუფლების შესახებ რუსეთის ბატონობიდან. ერთხელ ჩამოართვა რა მას ფიცი, რომ მისი სახელი არავისთან არ ეხსენებია, წინადადება მომცა შემედგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად შეთქმულება, რისთვისაც მიმითითა მიმემართა როგორც საიმედო თანამოზიარესათვის: გენერალმაიორ ჭაეჭავაძისათვის, ელიზბარ ერისთავისათვის, მასწავლებელ დოდაშვილისათვის და აგრეთვე ქართველ თავადის ქალის თამარ იულონის ასულისათვის. მასთანავე ბატონიშვილი შაფრთხილებდა, რომ ამ საქმის შესახებ არასოდეს არ მელაპარაკა ორ პირთან ერთად, თუკინდ საკუთარ ძმებთანაც კი; მხოლოდ ცალკ-ცალკე მქონოდა საუბარი. ბატონიშვილმა ოქროპირმა მე ისე მომატყუილა თავისი საუბრებით და გამომიყვანა ჭკუისაგან, რომ მე, ჩემდა საუბედუროდ, თანხმობა მივეცი მის წინადადებებზე და აღუთქვი მემოქმედნა მისი აზრების მიხედვით... შემდეგ ბატონიშვილი ოქროპირი მალე წავიდა უკანვე რუსეთში, მან (ორბელიანმა) გააცილა იგი კუკიამდე, და იქ ბატონიშვილი გამომშვიდობების დროს გადაეხვია მას და უთხრა: „ახლა შენ ყველაფერი იცი, შენზედ არის დამოკიდებული, ეცადე. მე განუმეორე ჩემი დაპირება და შემდეგ ჩვენ ერთმანეთს დავიცილდით„.[2]

---

[1]) იქვე გვ. 4919.

[2]) იქვე, გვ. 4926. შემდეგში ალ. ორბელიანმა უარყო თავისი დამოკიდებულება ოქროპირთან (იხ. იქვე გვ. 4976). მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო მანევრი იყო მისი მხრივ. ბოლო დაკითხვებში კვლავ თავის პირველ ჩვენებას დაადგა. (შეადარეთ აგრეთვე მისივე ჩვენება ტ. VIII, გვ. 136—50)

ამრიგად 1829-30 წლებში ბატონიშვილმა ოქროპირმა ტფილისში ყოფნის დროს ერთი მხრივ ენერგიული პროპაგანდა აწარმოვა თავისი მიზნების გასავრცელებლად, მეორე მხრივ საფუძვლებიც ჩაუყარა შეთქმულთა ორგანიზაციას. ამ მხრივ სწორედ აღსანიშნავია მისი კონსპირატული მუშაობა. კომისიის დასკვნით ოქროპირის პროგრამა და ტაქტიკა შემდეგში გამოიხატებოდა, უკეთ რომ ვსთქვათ, მან შემდეგი სახის დარიგებანი მისცა თავის თანამოაზრე პირებს: „შთააგონონ ახალგაზრდობას სამშობლოსა და ბაგრატიონთა სიყვარული, მღვდლებს სთხოვონ ილოცონ ბაგრატიონებზე (ე. ი. იმის შესახებ, რომ ბაგრატიონები დაუბრუნდენ საქართველოს სამეფო ტახტს); მოაგონონ ქართველებს მათი ძველი ყოფა-ცხოვრება, რა ადვილათ შეეძლოთ მეფესთან მისულიყვენ და როგორი სისწრაფით ტარდებოდა მართლ-მსაჯულება; ურჩიოს მათ ნუ გამოცვლიან ხნ-ჩვეულებას, რათა ამით უფრო ადვილად გაანასხვავონ ისინი რუსებისაგან; თავიანთი საიდუმლო აზრის შესახებ ორ კაცს ერთად არ უთხრან რა, თუგინდ საკუთარი ძმები იყვნენ ისინი; ეძიონ მოკავშირეები ამ ახალგაზრდათა შორის, რომელთაც აქვთ ნიჭი და მოხერხება შეთქმულებისა, ასეთ ყმაწვილკაცებს ჯერ უნდა გაეცნონ, მერე დაუმეგობრდენ, გამოცადონ შეუძლიათ თუ არა საიდუმლოს შენახვა, შეიტყონ მათი აზრი მთავრობის შესახებ და მხოლოდ შემდეგ გაუშვლავნონ საიდუმლო შეთქმულების მიზანი მაგრამ ისე, რომ ერთის მეტი არავინ იყვეს მოწმედ; პირველად სიტყვით გაავრცელონ შეთქმულების აზრი საიმედო ახალგაზრდათა შორის იმ ანგარიშით, რომ საქმეს შეუდგება თვით ოქროპირი, როდესაც იგი დაბრუნდება საქართველოში. ამ მოქმედებისათვის უნდა მოხდეს საერთო აჯანყება, უნდა თავს დაესხენ და დაპირონ უმთავრესი ადგილები ქალაქში, შეჰკრან კავკასიის ხეობის გზა, მოაწყონ რეგულიარული ჯარი, დანიშნონ მასში (ჯარში) უფროსები არჩევის წესით, და ამ საქმის პირველი განწყობისთანავე განაგრძონ ბრძოლა რუსების წინააღმდეგ არა მასიურად, (ე. ი. პოზიციურად), არამედ პარტიზანულად". [1] (დედანმი სწერია.—шапкаи).

ასეთი იყო ის იდეები და სამოქმედო გეგმები, რომელიც შთააგონა ამ შეთქმულების სულის ჩამდგმელმა და მეთაურმა, ოქროპირ ბატონიშვილმა ტფილისის ქართველ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს. შეთქმულების მეთაურის მიზანი იყო რუსეთის მართველობის მოსპობა საქართველოში და დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს იყო ფეოდალური არისტოკრატიის მისწრაფება, რომელიც ვერ ურიგდებოდა ახალი წესწყობილების ფორმებს და ცდილობდა თავისი დაკარგული წოდებრივი ბატონობა თარაზით ხელში აღიდგინა. როგორც ქვევით დავინახავთ, უკმაყოფილების შეგნება და გრძნობა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციის ნაწილში სხვა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ წყაროდანაც მომდინარეობდა:

[1] „Акты" ტ. VIII, გვ. 400; კიტა აბაშიძე: „პოლიტიკური რომანტიზმი" ჟურ. „მოამბე" № 1, გვ. 20—21, 1905 წ.

ეს იყო ლიბერალურად განწყობილ ინტელიგენციის უკმაყოფილება საქართველოს მდგომარეობითა და ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკით. აპრიგად ისტორიულ პირობების გამო ამ შეთქმულებაში ინტელიგენციის ნაწილის პროგრესიულ-ლიბერალური მისწრაფებანი შეხვდა ფეოდალურ არისტოკრატიის მისწრაფებებს; მაგრამ ამ შეხვედრასთან ერთად არ შეიძლება არ მომხდარიყო მათი დიფერენციის ხელახალი პროცესიც; ეს ნათლად გამომჟღავნდა შეთქმულთა ორგანიზაციის მოღვაწეობის დროს. ჩვენც შეთქმულთა ორგანიზაციის მუშაობას უნდა მივაქციოთ მოკლედ ჩვენი ყურადღება.

შეთქმულთა საქმიანობა და მოღვაწეობა 1830-32 წლების განმავლობაში არ მიმდინარეობდა ერთნაირად: იყო მომენტები, როდესაც შეთქმულთა პროპაგანდა და მზადება გაცხოველებით მიმდინარეობდა, მეორე შეხთხვევაში კი—ცხრებოდა და ნელის ტემპით ვითარდებოდა. ამ მხრივ შეიძლება შემდეგი პერიოდები დასახელდეს მათ მოღვაწეობაში: 1830 წლის ბოლო თვეებში და 31 წლის განმავლობაში პოლონეთის აჯანყების ჩაქრობამდე შეთქმულთა საქმიანობა და პროპაგანდა გაცხოველებული იყო. უმთავრესად ეს გამოწვეული იყო პოლონეთის აჯანყების ზეგავლენით; ამ აჯანყების დამარცხების შემდეგ შეთქმულთა აღფრთოვანებას წყალი გადაესხა და 31 წლის ბოლო თვეებში 32 წლის აგვისტოს თვემდე შეთქმულთა მოქმედება შენელდა და რამოდენადმე მიიღო ლიტერატურული სახე; შემდეგ იწყება ახალი პერიოდი, როდესაც აჯანყების მოხდენის სურვილმა მეტი ენერგიით იფეთქა, ამ აღფრთოვანების ერთ-ერთ მიზეზად უნდა აღინიშნოს დაღესტანის მოძრაობის გავლენა; შეთქმულები უკვე დროს ნიშნავენ და დაწვრილებით გეგმებს ადგენენ აჯანყებისათვის. მაგრამ კვლავ კრიზისი იწყება მათ მოქმედებაში და ამას უსწრებს 1832 წლის 9 დეკემბრის ი. ფალავანდიშვილის დაბეზღებაც.

ოქროპირ ბატონიშვილის 1830 წ. ივნისში რუსეთში გამგზავრების შემდეგ მის მიერ მომზადებული პირები ელიზბარ ერისთავი, ალექ. ორბელიანი და სოლომონ დოდაშვილი ჩუმად იყვნენ.[1] მაგრამ 1830 წლის დამლევისათვის, როდესაც პოლონეთის აჯანყების შესახებ ხმა გავრცელდა, შეთქმულნი ამოძრავდენ და ოქროპირის დარიგებების მსგავსად დაიწყეს მოქმედება. ვ. ორბელიანი თავის ჩანაწერში ამბობს: „პოლონეთის აჯანყების დროს, მე შეენიშნე, რომ ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარ ერისთავი და დოდაშვილი ხშირად ჩაიკეტებოდენ ოთახში და დიდი ხნობით იქიდან არ გამოდიოდენ; მე ვთხოვე ძმასა და ელიზბარ ერისთავს ეთქვათ ჩემთვის რაზე ლაპარაკობდენ. მათ მე მითხრეს, რომ ისინი შეთქმულებას აწყობენ. ცოტა ხნის შემდეგ მე ეს გავუმხილე ავთანდილოვს; ჩემი ძმა ალექსანდრე, ელიზბარ ერისთავი და დოდაშვილი ცდილობდენ საზოგადოების გავრცე-

[1] „Акты" ტ. VIII. ვ. 400.

ლებას: მე შეეამჩნიე, რომ ჩემთან და ავთანდილოვთან ისინი საესებით არ იყვნენ გულახდილნი იმიტომ, რომ ჩვენ იშვიათად ვიყავით მათთან, როდესაც ისინი იკრიფებოდენ".[1] კომისიის დასკვნა გადმოგვეცემს, რომ მხოლოდ პოლონეთის აჯანყების დასაწყისში დაუახლოვდენ ერთმანეთს ორბელიანი, დოდაშვილი და ერისთავი და შეუდგენ საქმეს.[2] მაგრამ ეს ცნობა არ არის სწორი. ალ. ორბელიანის „მემუარებიდან" უკვე სჩანს, რომ მანამდეც ქონიათ შეთქმულებს მოლაპარაკება. ალექსანდრე ორბელიანი 1835 წ. დაწერილ თავის მოგონებაში სწერს:

„რუსეთიდან მოსული ყმაწვილი კაცები და მე, ამ საქმისათვის რომ გავერთდით, რჩევა მოვახდინეთ: და პირველად მე მკითხეს—როგორ დავიწყოთ. — აი ჩემი პასუხი: ეს საქმე ჩვენს მეტმა არავინ არ უნდა შეიტყოს. ამისათვის, რომ მინამ გარემოება თავის-თავად არ მოიტანს საქმეს არასგზით არ შეიძლება აღსრულებაში მოვიყვანოთ ეხლანდელს ქართველებში ეს განზრახვა. მაშ ისევ საჯობია ჩვენ ვიცოდეთ და გარემოებას ეცადოთ, ვინ იცის იქნება ღმერთმა მოიტანოს რამე გარემოება შეთქი; ამაში ზოგიერთნიც დამკვნენ, მაგრამ სხვებმა ეს ჩემი რჩევა ქალაქუნობაში ჩამომართვეს. ამაში გავიდა დღეები, გავიდა კვირეები, გავიდა თვეები და ამაში პოლშა აიშალა, ზედ დატანებით კიდევ რუსეთიდან მოვიდა (ალბად მოწერილობა ბატონიშვილებისაგან ირეულობის ჰოხდენის შესახებ—ხ.ხ.)—არ იქნა ვერაა გზით ვერ დავითანხმე მე ისინი და ამის გამო მე ივათ უკუ ვეღარ უდექ და შეუდექით საქმეს დიდის გულმოდგინებით, ისე რომ მშობლის მაბულის მეტის სიყვარულით, ავად ვსაქმობდით თუ კარგად, ვეღარა გავიგეთ რა, ისე რომ მე ჩემი თავი აღარ მოვასვენე ამ საქმეში და ისინიც კი, ჩემი ამხანაგნი, დიდი მცდელნი იყვნენ იმ საქმისა, ნამეტნაგად თ-დი ელიზბარ შანშეს-ძე ქსნის ერისთავისშვილი, რომელიც ყველას ჩვენზედ უმეტველესი მცდელი ის შეიქმნა". ამის გარდა ალექსანდრე ორბელიანს თავის „მემუარში" წაუშლია შემდეგი ადგილი, რომელიც აუცილებლად აქ უნდა აღინიშნოს: „... მაგრამ ეს კი უნდა ვთქვა, „რომ ამასობაში ორი კარგი გარემოება შეკვეთხვა. მოგვეცა ღმერთმა, ერთი პოლშისა გადადგომა რუსეთიდან, მაგრამ თუ ჩქარა არ დაერთოგუნა რუსეთს პოლშა ჩვენი საქართველოც გადადგებოდა. მეორე დაღისტანში ...აზის მთიელთა გამოსვლა[3] მაგრამ ესეც[3] (შემდეგ ვერ ამოიკითხეთ — ს. ხ.) მეორე შეთხზვაში ალექსანდრე ორბელიანს მხედველობაში უნდა ჰქონდეს 1832 წლის დაღესტანის ლეკების მოძრაობა კასი-ბულას და შემდეგ ჰამიბად-ბეგის მეთაურობით. როგორც ალექსანდრე ორბელიანის მემუარებიდან და შეთქმულთა ჩვენებიდან სჩანს, ჩვენი მეამბოხენი თავიანთი მიზნების განხორციელებას და

[1] ლენინგრადის ფონდი შეთქმულთა შესახებ, რვეული I, ვ. ორბელიანის ჩვენება. გვ. 131.

[2] „აქტები" გვ. 400.

[3] ალ. ორბელიანი „სიყმაწვილე, ცოლის შერთვა და შეთქმულებისათვის შეპყრობა", ტფ. სახ. უნივერსიტეტის ხელნაწერთა მუზეუმი № 16591) ა.

სამოქმედო გეგმების სისრულეში მოყვანას გარკვეით უკავშირებდენ რუსეთის კრიტიკულ მდგომარეობას: პოლონეთის აჯანყებას, მთიელთა გამოსვლას, სპარსეთის შემოსევას და სხვ.

შეთქმულთა ორგანიზაციამ 1830 წლის მიწურულებსა და 1831 წელში გააცხოველა თავისი მუშაობა და პროპაგანდა; ამ ხნისათვის მისი შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა. გარდა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენტებისა (ი. მამაცაშვილი, ზ. ავთანდილოვი, დ. ყიფიანი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვ.) ორგანიზაციის წევრები გახდენ ქ. ტფილისის, გორის, სიღნაღის და თელავის მაზრების ზოგიერთი თავადები. მაგრამ პროპაგანდის პერიოდმა თითქმის განვლო და ახლა აჯანყების საკითხი მორიგ ამოცანად დაისვა, განსაკუთრებით პოლონეთის აჯანყების განვითარებით. ელიზბარ ერისთავი ყველაზე უფრო ფიცხელი და ბრძოლით განწყობილი აშკარად ქადაგებდა, რომ „ქართველებიც პოლონელებსავით უნდა აჯანყდენ, მათ შემავიწროებელ მთავრობის წინააღმდეგ".[1] ალ. ორბელიანი მას ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ამ საქმეში,[2] ხოლო ს. დოდაშვილი კი უფრო ინტელექტუალურ-ლიტერატურული მუშაობით ეხმარებოდა ორგანიზაციას;[3] იგი უმთავრესად არა წევრების გამოძებნაში ეხმარებოდა, ოამედ სხვადასხვა რჩევებით წაქეზებითა და კრებებზე მსჯელობით; მანვე დაარსა საქართველოში გაზეთის[4] გამოცემა აზრის ასაღელვებლად, მოამზადა ხალხის ამაღელვებელი პროკლამაცია და „საერთოდ არჩევდა ისეთი წესით მოქმედებას, რომელიც მის სამეცნიერო საბელწოდებას უფრო შეეფერებოდა".[5]

პოლონეთის აჯანყების განვითარებასთან პარალელურად იზრდებოდა ადგილობრივად შეთქმულთა საზოგადოება. ელიზბარმა შეიძინა ახალი წევრი თავგამოდებული მონაწილე გ. დ. ერისთავი (პოეტი — დრამატურგი), რომელსაც ტფილისში ბატონიშვილი ოქროპირიც ენახა. მათ შეატყობიეს თავიანთი აზრი მამუკა ორბელიანს, რომელიც გულით და სულით მიემხრო აჯანყებულთ. ამის შემდეგ დაიწყეს აჯანყებაზე ლაპარაკი. მამუკა და ელიზბარი ურჩევდენ აჯანყება მოეხდინათ შემოდგომაზე, რომელის გათავების შემდეგ, დაეგროვებინათ შეთქმულებაში მონაწილე თავადებისათვის მოემზადებინათ შეიარაღებულ გლეხების საჭირო რიცხვი, მოეყვანათ თათრები დისტანციიდან და, ბოლოს, როდესაც მზად იქნებოდენ, გაემართათ ბალი, რომელზედაც უნდა მოეპატიჟნათ რუსის უმაღლესი მოხელეები, გაეწყვი-

---

[1] „აქტი" გვ. 400; 2 იხ. ალ. ორბელიანის ჩვენება (ლენინგრადის ფონდი რვეული 8, გვერდი 135-50);

[2] იხ. ხ. ვ. „სოლომონ დოდაშვილი" 1832 წ. „დროება„ № 54, 61, 1875 წ.

[3] აქ ლაპარაკია „ტფილისის უწყებათა დამატებაზე, რომლის გამოცემა დაიწყეს 1832 წლიდან. გახ. „ტფილისის უწყებანი", გამოდიოდა 1828 წლიდან 1832 წლის დამატება ჟურნალის სახით გამოვიდა მხოლოდ 5 წიგნაკი.

[5] „აქტები", გვ. 400.

ტათ ისინი და დაეწყოთ საერთო აჯანყება.[1] ეს რასაკვირველია, სისრულეში ვერ მოიყვანეს, მაგრამ აჯანყების იდეას მაინც ავრცელებდენ. მათ-ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თათბირი მოაწყვეს 1831 წ. ალ. ორბელიანის ბალში, სადაც დაიწყეს სადღეგრძელოები საქართველოს განთავისუფლებაზე და აშკარად მსჯელობდენ აჯანყების აუცილებლობასა და საშუალებებზე.

მაგრამ პოლონეთის აჯანყების დამარცხებამ უარყოფითად იმოქმედა შეთქმულთა განზრახვებზე. ვ. ორბელიანი ამბობს: „ვარშავის აღების შემდეგ გაუცრუვდათ მათ იმედები, მაგრამ მაინც ამ წლის (1832) ბოლომდე ცდილობდენ გაევრცელებიათ შეთქმულთა საზოგადოება".[2] ამ ხნიდან რამოდენამდე შესუსტდა შეთქმულთა წრის მოღვაწეობა. შეთქმულება ერთგვარ ლიტერატურულ სახესაც ღებულობს; კომისია სწერს: „Действуя сим однако и самое общество принимает некоторый вид литературный и по сему, даже поступившие члены были более знания ученного"[3]

„ლიტერატორთა ჯგუფს" ეკუთვნოდენ: ავთანდილოვი, ყიფიანი, მამაცაშვილი, ს. რაზმაძე[4] და ს. დოდაშვილი. ამ უკანასკნელის მიერ დაარსებული ჟურნალი, ფ. ციკანაძის მიერ შედგენილი „აქტი გონიერი", გრიგოლ ორბელიანის იმ პერიოდის ლექსები,[5] ს. რაზმაძის პატრიოტული ლექსები — გამოხატავდა შეთქმულთა ჯგუფის მისწრაფებებს. ეს ლიტერატურული დოკუმენტები საუკეთესო მასალას წარმოადგენენ ჩვენი იმდროინდელი ინტელიგენციის აზროვნების დასახასიათებლად.

გრ. ორბელიანის ძახილი:

ვაი მას მხარეს, სად მხოლოდ ძალა რა მსაჯულოვნობდეს...
სად ჰსჯულზედ მჯდომი ხანჯალი კანონია აღასრულებდეს,

გამოხატავდა იმ შეგნებას, რომელიც თავად-აზნაურულმა ინტელიგენციამ შეიმეცნავა საქართველოს მდგომარეობის შესახებ. ხოლო მისივე მოწოდება:

ვამი არს მტერი ზამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა—

1830-32 წლების შეთქმულებაში ჩაბმულ წევრების ლოზუნგი იყო.

დ. ყიფიანის ჩვენებიდან უკვე ნათელი ხდება, რომ ს. დოდაშვილი შეგნებულად აპარებდა თავის ჟურნალში პატრიოტულ-აღმაფრთოვანებელ ლექსებს,[6] რომელიც მიმართული იყო რუსეთის მართველობის წინააღმდეგ. ცნობილი არის თვით დოდაშვილის ლექსი—მოწოდება აჯანყებისაკენ.[7]

[1] იქვე, გვ. 400 — 401.
[2] ვ. ორბელიანის ჩვენება (ლენინგრადის ფონდი, რვ. 1, გვ, 131),
[3] „აქტები", გვ. 402.
[4] იხ, პ. კარბელაშვილი: „სოლომონ ივანეს-ძე რაზმაძე" „დროება" № 259, 1882.
[5] ვ. პ. ინგოროყვა: „გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები" „ქართული მწერლობა" № 6 — 7, 1928 წ.
[6] დ. ყიფიანის ჩვენება, ლენინგრადის ფონდი, რვ. 1, 59, „მემუარები" დამატებაში..
[7] ალ. ხახანაშვილი: „ქართული სიტყვიერების ისტორია", გვ. 16, 1918 წ.

გ. ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა“ რომ გარკვეული საგიტაციო მიზნით იყო დაწერილი — ეს ნათლად მტკიცდება დოკუმენტებიდან და განსაკუთრებით დ. ყიფიანის ჩვენებიდან.[1] ეს პოემა პატრიოტული გრძნობის აღსადგენად იყო დაწერილი, მისი მოწოდება იარაღისაკენ იყო მიმართული. პოემის უკანასკნელ ნაწილში (იგი დამთავრებული არ არის, უნდა ვიფიქროთ, რომ ცენზურამ აღარ გაუშვა) ჩვენ ვკითხულობთ:

„ნუ ჰგონებ მეფევ შეუშინდეთ, შენთა სიტყვათა.
სიყრმით ჩვენიდგან სიყვარული გვაქვს მამულისა,
და გარდავსწყვიტეთ მშობელთათვის დაღვრა სისხლისა.
ვით მოითმენდა გული ჩვენი ესთა ხაქმეთა.
ვხედავდით ცოლ-შვილთ საბრალოთა გყვანდათ თქვენ ტყვეთა.
გსურდათ აღხოცა სრულებითა ჩვენისა სჯულის,
ივერსა შინაარლა გეგონათ ძენი მამულის.
მ-შა თუ ვითარ გვიწოდებენ მხნეთა ივერთა
თუ ვერ გავდეკვით ჩვენის საზღვარით მამულის მტერთა

. . . . . .

შეშვიდობით ივერთ მაშვენებელნო,
მამულისათვის თავშემწირველნო

[ცენზორის მიერ არის გამოტოვებული]

. . . . .

თუ მიებაძათ ჩვენთა ივერთა.
ვით ვერ განკყრიდენ თვისგან თათართა.[2]

ასეთივე პატრიოტულ-მოწოდებითი შინაარსისაა ლ. ლ. სენ. თავადი გიორგი ერისთავის ლექსი: „მოწოდება ივერთა მამულის დაცვისათვის,[3] და გიმნაზიის მოწაფის დ. მაჩაბლის ლექსი: „თოვლი“.[4]

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ს. დოდაშვილის პუბლიცისტურ წერილებში თუ ერთი მხრივ გატარებულია ნაციონალური, აზრი, მეორეს მხრივ ხაზგასმულია რუსეთის ტახტისადმი ერთგულების გრძნობა.[5] ამჟამად ჩვენი წერილის საგანს არ შეადგენს ს. დოდაშვილის ორ ფრონტზე დგომის საკითხის გამორკვევა. მოყვანილი ფაქტი მხოლოდ საილუსტრაციოდ გამოდგება მაშინდელი ახალგაზრდა ინტელიგენციის აზროვნების დასახასიათებლად მაგრამ განვაგრძოთ.

ამ პერიოდიდან აღსანიშნავი არის აგრეთვე ფ. კიკნაძის მიერ შედგენილი „სული გონიერისა აქტისანი“, რომელიც შეთქმულთა წესდებისათვის

---

[1] დ. ყიფიანი „მემუარები“.

[2] იხ. სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათა“ № 4, გვ. 93—4—5, 1832 წ. „ოსური პოემა“.

[3] იხ. იქვე № 3. გვ. 58 — 64, 1832.

[4] იქვე № 4, გვ. 89 — 90, ეს დ. მაჩაბელი შემდეგ „ცისკარში ბეჭდავდა ლექსებს.

[5] ოუკლავთ 1873 წ. ყაჩაღებს (იხ „დროება“ № 7, 1873. წ)

იყო დაწერილი.[1] იგი დაწერილი არის მისტიური ენით, მაგრამ მაინც თვალსაჩინო ხდება მისი არსებითი შინაარსი. საინტერესო არის კომისიის აზრი ამ „აქტის“ შესახებ. „ეს მისტიური ნაწარმოები როგორც სჩანს მასონებისა და სხვა რომელიღაც საიდუმლო საზოგადოებათა წესდებიდან არის აღებული... აქტით განზრახული არის პირდაპირ საიდუმლო, მტკიცე კავშირის შედგენა... არსებითად მტკიცედ მავნე განზრახვისაა და თვისებითაც თავის დროზე დიდი ვნების მოტანა შეუძლია...[2] 1832 წ. გაზაფხულზე ეს „აქტი გონიერი“ კახეთიდან ჩამოიტანა ტფილისში პოეტმა გ. დ. ერისთავმა და გავრცელა საზოგადოებაში, რასაც წერილობით აცნობებს ერისთავი კიკნაძეს.[3] ამრიგად შეთქმულთა ჯგუფში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა, რომელიც ლიტერატურულ ოპოზიციონურ ბრძოლის გზას დაადგა. ამ მიმდინარეობის ზოგიერთი წევრები აშკარად უარყოფდენ შეიარაღებულ აჯანყებას, დ. ყიფიანიც ამ მიმდინარეობას ეკუთნოდა.

მაგრამ აჯანყების სურვილი მაინც არ ჩამქრალა უმეტესობის შეგნებაში, და 1832 წლის ზაფხულის თვეებში კვლავ დაიწყო აჯანყებაზე ოცნება. შეთქმულებმა ს. რაზმაძე გააგზავნეს ირანში ალექსანდრე ბატონიშვილთან მოსალაპარაკებლად. აგვისტოს თვეში ჯერ გარკვევით დაიწყეს აჯანყებაზე ლაპარაკი. ამ შემოხვევაში ხელი შეუწყო დაღესტანში კახიმულასა და შემდეგ ჰამზად-ბეგის მოძრაობამ რუსეთის წინააღმდეგ. გახშირდა კრებები, რომელზედაც გამოიტანეს დადგენილება აჯანყების მოხდენის და დროც დანიშნეს 20 ნოემბერი, როდესაც უნდა მომხდარიყო ტფილისში თავად-აზნაურთა ყრილობა. მეამბოხეებმა შეიმუშავეს „პირველი ღამის აჯანყების განკარგულება“ და მომავალი მთავრობის პროექტიც შეიმუშავეს.[4] აღსანიშნავი არის ამ პროექტის შინაარსი,— აქ სჩანს კონსტიტუციონალური მონარქიის სისტემისადმი მიდრეკილება. ეს პროექტი შეუდგენია პრაპორჩიკ გიორგი ერისთავს. მისი შინაარსი შემდეგია—„პირველი ღამის აჯანყების მეორე დღეს, როგორც კი შეიკრიბება საზოგადოება, მაშინ იმათ უნდა წაეკითხოს ეს (პროექტი) და უნდა დავამშვიდოთ ისინი მით, რომ ამის შემდეგ გახსნილი იქნება ზედა და ქვედა მართველობა: ზედა მართველობაში თავმჯდომარე იქნება თვით მეფე, სამხედრო მინისტრი იქნება თ. ქავქავაძე, ფინანსთა მინისტრი — თავ. ფალავანდოვი, შინაგანი მინისტრი — თ. მუხრანსკი, სასახლო განათლების მინისტრი — ჭილაშვილი; ქვედა მართველობაში იქნებიან დეპუტატები ყოველ მაზრიდან თითო-თითო წარმომადგენელი, სასულიერო მართველობა მიენდობა საქართველოს მიტროპოლიტს. მაზრებში იქნებიან მდივნები, ყველა ამათში წარდგენილი იქნება თითო-თითო თავადი, აზნაური, მოქალაქე და ერთიც

[1] გ. გოზალიშვილი: „1832 წლის შეთქმულების მასალებიდან“ ჟურნ. „საქართველოს არქივი“ წ. II, 1927. წ.
[2] „აქტი“, ტ. VIII, გვ. 404.
[3] ცენტრარქივი: 1832 წ. აჯანყების საქმე: Письма и сочинения Ф. Кикнадзе№ 670
[4] ი. ფალავანდოვის დასმენა (ლენ. ფონდი, რუ. 1 გვ. 3-1

სასულიერო წოდებიდან". [1] ეს „აქტი" საკულისხმოა მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთი წრეების პოლიტიკური იდეალების დასახასიათებლად.

შეიარაღებული აჯანყების გეგმებმა და ტაქტიკამ ძლიერ დააშინა შეთქმულთა საზოგადოების ზოგიერთი წევრები, სწორედ ისინი, ვინც არ იზიარებენ უმეტესობის საერთო ხაზს და ლიტერატურულ-ოპოზიციური გზის მომხრენი იყვენ. კოტისია ამის შესახებ სწერს: „ზოგიერთნი შეთქმულებიდან, განსაკუთრებით მასწავლებლები ყიფიანი, ავთანდილოვი და თარჯიმანი მაჰაცაშვილი, ნაწილობრივ დოდაევიც, დაფრთხენ რა აქ განზრახულის სისასტიკის გამო, ჯერ კიდევ დაჭერამდე ეწინააღმდეგებოდენ მათ და ბოლოს თვით ჩამოშორდენ საზოგადოებასაც"[2]. თვით დ. ყიფიანი თავის ერთ კერძო წერილში ამ ფაქტის შესახებ სწერს: „1832 წლის შეთქმულების მიზანი, როგორადაც იგი გამორკვა თ. იესე ფალავანდოვის კრებაზე, საქართველოს რუსეთის მართველობისაგან განთავისუფლება იყო. ამ აზრის განპორციელებისათვის, ფალავანდოვის რჩევით, მთავარმართებელთან გამართულ მეჯლისზე უნდა დაეხოცათ რუსები. ამავე დროს ქალაქის შავი ხალხი უნდა აეჯანყებიათ და ჩაეგდოთ ხელში არსენალი და ხაზინა. ამ ბედკრულ საღამომდე მე და ავთანდილოვს კიდევ გვჯეროდა, რომ ჩვენს კრებებს უნდა ეცისკროდა სალიტერატურო ხასიათი, ხოლო ამ საღამოს შემდეგ არც ერთ კრებაზე აღარ დავსწრებივართ". [3]

როგორც ვიცით, ეს შეთქმულება სრული დამარცხებით დამთავრდა: 1832 წ. 9 დეკემბერს, შეთქმულების ერთ-ერთმა მეთაურმა იესე ფალავანდოვმა დაამბეზღა შეთქმულთა ორგანიზაცია და რამოდენიმე დღეში ყველანი დაიჭირეს, რასაც ბოლოს მათი დასჯა და გადასახლება მოყვა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში. ასე დამთავრდა 30-იანი წლების შეთქმულება, რომელიც პოლიტიკური რომანტიზმის სახელწოდებით არის მონათლული.

## 2

როგორი იყო დ. ყიფიანის ჯგუფის როლი ამ შეთქმულებაში და როგორი პოლიტიკური მოტივები ახელმძღვანელებდა მათ. უნდა ვსთქვათ, რომ თვით დ. ყიფიანი ამ შეთქმულებაში პასიურ როლს თამაშობს: იგი თითქოს იძულებული სტუმარი იყო ამ ორგანიზაციისა, რომელსაც სურდა სისხლიანი აჯანყებით განდევნა რუსები საქართველოდან. ჩვენ ხელთ არსებული ყველა დოკუმენტები ავთანდილოვის, ვ. ორბელიანის, ერისთავებისა და სხვათა ჩვენებები, თვით დ. ყიფიანის გულწრფელი აღსარება ერთნაირად აშუქებენ დ. ყიფიანის როლსა და პოლიტიკას ამ ორგანიზაციაში. თვით გამომძიებელთა დასკვნაც ეთან ამტკიცებს, რომ დ. ყიფიანი არ უთანაგრძნობდა შეთქმულთა მთავარ იდეიას.

ფიქრობენ, რომ „აღარავითარი ეჭვი არ არის, რომ დიმიტრი ყიფია-

[1] ი. ფალავანდოვის ჩვენება (ლენ. ფონდი, რუ. I, გვ. 3—12.
[2] „აქტი" ტ. VIIIგვ. 406.
[3] დ. ყიფიანის წერილი სემენკისადმი 1885 წ. (დ. ყიფიანის არქივში № 5332)

ნი სრულიად უდანაშაულოდ იყო გარეული იმ შეთქმულთა სიაში, რომელთაც თავისუფლების მოპოვება იარაღით ხელში უნდოდათ".[1] აქ ერთი უნდა იყოს ჩვენთვის გარკვეული: დ. ყიფიანი „უდანაშაულო" იყო შეიარაღებულ იდეის გავრცელებაში, ხოლო იგი შემთხვევით არ მომხვდარა ამ წრეში. დ. ყიფიანიც უკმაყოფილო იყო მაშინდელი არსებული მართველობით, საქართველოს პოლიტიკური პირობებით; იგიც ეძებდა გამოსავალს, მაგრამ არა არსებულ სისტემის მოსპობაში, არამედ მის შეკეთებაში.

რუსეთის პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში და ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ახალი სისტემის პროცესში, რასაკვირველია, დ. ყიფიანს ვერ დააკმაყოფილებდა. მაგრამ ამაში დამნაშავედ მას მიაჩნდა არა რუსეთის თვითმპყრობელობა, არამედ ადგილობრივი ხელისუფლება. ასე ფიქრობდა დ. ყიფიანი ახალგაზრდობაში, ასევე ფიქრობდა იგი მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე. ამ უკმაყოფილებამ იგი ბუნებრივად მიიყვანა უკმაყოფილოთა ბანაკში; მაგრამ მისი გეგმა და პოლიტიკა მაინც სხვა იყო.

უნდა ვსთქვათ, რომ 20-იანი წლების დასასრული და 30-იანი წლები საინტერესო ეპოქას წარმოადგენს ჩვენი ინტელიგენციის ისტორიაში. აქ პირველად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე რუსეთის სასწავლებლებში აღზრდილი ახალთაობის ინტელიგენცია. „ეს ის დრო იყო, — სწერს ი. მეუნარგია, — როცა საქართველოში დაბრუნდნენ რუსეთიდან ჩვენებურნი ახალგაზრდა ყმაწვილი კაცნი... ამ ყმაწვილ კაცებს ზედ დაერთო ის თაობაც, რომელიც გამოიზარდა კეთილშობილთა სკოლაში და ცოტა-ცოტათი ტფილისში დაარსდა ქართულის მწერლობის მოყვარეთა წრე, რომელშიაც დაიბადა შემდეგში ქართულ ჟურნალის გამოცემის ჰაზრი".[2] ამ ახალთაობის რიგებში იყო აზნაურთა წრეებიდან გამოსული ინტელიგენციაც. როგორც თავის ცემუარებში აღნიშნავს დ. ყიფიანი ამ ახალგაზრდობის ინტელიგენციას ბლომად ჰქონდა უკმაყოფილების მიზეზები: ამ მხრივ მაშინდელი ობიექტიური პირობები დიდ მასალას იძლეოდა.[3] მეორე მხრივ, შეუძლებელია არ დაუშვათ ის გარემოებაც, რომ მათზე გავლენას ახდენდა ევროპისა და რუსეთის მოძრაობანი და მოარული აზრები, მაგრამ ამ გავლენას თავისებური სახე უნდა მიეღო ჩვენს სინამდვილეში, თავისებური გარდატეხა უნდა მოეხდინა საქართველოს ნიადაგზე. რასაკვირველია ეს ინ-

[1] არ. ჯორჯაძე: „დიმიტრი ყიფიანი", „სახ. გაზეთი" № 794, 1913 წ.

[2] ი. მეუნარგია: „გ. დ. ერისთავის ბიოგრაფია". იხ. გ. დ. ერისთავის თხზულებანი გვ. 20, 1884 წ.

[3] ამ მხრივ აღსანიშნავია ს. დოდაშვილის წერილობით განცხადება გამომძიებელ კომისიის მიმართ რომელსაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს ინტელიგენციისა და ქართველი საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზებს გამოწვეული ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკით. ეს წერილი, დაწერილი უკვე ავლაბრის ყაზარმაში, საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს იმის გამოსარკვევად თუ როგორი ობიექტური მიზეზებით იყო უკმაყოფილო ინტელიგენციის ნაწილი და კერძოდ დ. ყიფიანის ჯგუფი. (იხ. ლენ. ფონდი: რეგ.)

ტელიგენცია იცნობდა ევროპის მაშინდელ პირობებს. შეთქმულთა ჩვენებიდან ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ ადევნებდენ ისინი თვალყურს პოლონეთის აჯანყებას, საფრანგეთის რევოლუციის და სხვ. გაზ. „ტფილისის უწყებ.“ში განყოფილებაც იყო გახსნილი: **სამძღვარს გარეთნის ახალნი ამბავნი**-ს სახელწოდებით. ამ გაზეთის № 2 — 12-ში მოყვანილია მეამბოხე-ხელოსანთა გასამართლების ამბავი, იქვე აწერილია ქუჩები, თუ როგორ ადგენდენ კოროლისა, მინისტრებისა და დეპუტატთა გასამასხარავებელ წარმოდგენებს და შემდეგ როგორ მოკვა ამას „ამბოხებანი“.[1] გარდა ამისა „ფაქტია უკვე, რომ ქართულად გრ. ორბელიანის მიერ გადმოთარგმნილი იყო დეკაბრისტ რილეევის არალეგალური ლექსი: „ნალივაიკას აღსარება“[2] ცნობილია რომ საქართველოში გადმოსახლებული იყო მთელი რიგი დეკაბრისტებისა:[3] საფიქრებელია, რომ ამხრივაც მიეფინებოდა ახალი შუქი ჩვენს მაშინდელ ინტელიგენციას. რასაკვირველია ამ გარემოებებმა ხელი შეუწყვეს ჩვენი მაშინდელი ინტელიგენციის გამოფხიზლებას, მათი გონებრივი მუშაობის გაცხოველებას. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს ინტელიგენცია ვერ მივიდოდა და არც მისულა დასავლეთ ევროპის რადიკალობამდე და რესპუბლიკანობამდე. ამის საბუთს ჩვენ არ გვაძლევს არც ერთი ისტორიული დოკუმენტი. ჩვენი აზრით აღნიშნული მოვლენები ხელს უწყობდენ ჩვენი ახალთაობის ინტელიგენციის გამოფხიზლებას, მათში ლიბერალურ განმანათლებელ იდეების ჩასახვას. აღსანიშნავია ს. დოდაშვილის ერთი წერილი, რომელიც საუკეთესო გამომხატველია 20 — 30-იანი წლების ახალთაობის მოაზროვნე-ინტელიგენტის დაუცხრომელი მისწრაფებისა განათლებისა და მისი გავრცელებისაკენ. პეტერბურგიდან მოწერილ წერილზე ს. დოდაშვილი შემდეგ პასუხს სწერს:

„შემდგომ დიდის მისა მშვიდობის დამტკიცებისა საგრძნობლად ჰსჩანს განცისკროვნება სხვითა ეშმარიტებისა, განათლებისათა მამულსა შინა ჩვენსა.

გარდა ამისსა, რომელ ტფილისსა შინა არს ღიმნაზია და სემინარია, ყოველთა სხუათა ამიერკავკასიის მხარეს ქალაქთა შინა დაწესებულ არიან საერონი და სასულიერნიცა სასწავლებელნი. მოწაფენი, რომელნიცა ან იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა შინა აღვგვითქმენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა. შესაძლებელ არს, რომელ მზისა მაგის ნაპერწკალი, მცირე მცირედ განვრცელდეს და ოდესმე აღვიდეს მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა. მე აწინდელისა მდგომარეობისათვის

---

[1] იხ. „დროება“ № 50, 1875 წ. აქ გადმობეჭდილია „ტფილისის უწყებანი“-ს ერთი ნომერი (2 — 12).

[2] იხ. პ. ინგოროყვას დასახელებული წერილი.

[3] ამის შესახ ებ იხ. А. Розен: Декабристы на Кавказе—Русская старина № 2, 1884 წ. და. А. С. Гамгеблов: „Как я попал в декабристы и что за тем последовало — Русский архив“ ᲘᲐ. 6, 1886 წ.

მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ, რომელ მომატებული შეუძლებელი არს, გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაითგან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზუა მშვენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვა და სხუათა საგანთა, რომელთაცა იხილავ ქართულსა გაზეთსა შინა.

ყოველმან მემამულემან ჩვენმან ჰსცნა, რომელ განათლება არს უუმტკიცესი და უსაიმედოვესი საფუძველი კეთილდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა, ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება შემდგარი კეთილაღზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდის წყაროდ საეროთა კეთილმოქმედებითა, დიდებისა და შემძლებობისა, მას შინა ჰსცნობს წმინდა ეკლესია ჭეშმარიტთა ძეთა, მოქალაქეობა მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელნი თჳისსა ნუგეშსა. ერთი სიტყვით გითხრა: აწინდელსა განსვენებულსა მდგომარეობასა შინა მამულისა ჩვენისასა ყოველმა კაცმან მიაქცია ყურადღება განათლებასა ზედა, მაშასადამე ყოველი წოდება, ყოველი მდგომარეობა, უნდა მიელოდეს, რომელ მათ ეყოლებათ კაცთ მოყვარენი, სარწმუნონი და ერთგულნი თანამეშრომენი, შემწენი და მფარველნი". [1]

მეორე წერილში ს. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ გაზეთი დაარსეს „უმეტეს ამისათვის, რათამცა მისცემოდა ეს გუარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, გავრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა და **მოახლოებისათვის განგრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა**". [2]

ვიმეორებთ, ს. დოდაშვილი აქ ჩვენ წინ მეტყველებს როგორც **განმანათლებელი ლიბერალი**, რომელმაც შეიგნო განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელობა საზოგადოების წარმატების საქმეში და სურს იგი საფუძვლად დაუდვას ცხოვრებას, „ყოველი წოდებისათვის" მისაწვდომი გახადოს. ეს არ იყო მარტო ს. დოდაშვილის თვალსაზრისი: იგი გამოხატავდა ახალთაობის ინტელიგენციის ნაწილის სოფლმხედველობას და როგორც დავინახეთ მათ შორის დიმიტრი ყიფიანიც ამ თვალსაზრისის მატარებელი იყო.

1830 — 32 წლების „შეთქმულთა წრის" მნიშვნელობა აუცილებლად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში. მაგრამ ამ „შეთქმულთა წრეში" მოქცეულ პირებისა და ჯგუფების ერთნაირად შეფასება შეუძლებელია. პროფ. ალ. **ხახანაშვილი** მის შესახებ სწერდა:" Роль их в историческом развитии Грузии тождественна с значением декабристов в России [3]). ეს აუცილებლად გადაჭრებული შეფასებაა ამ შეთქმულებისა. უდავოა, რომ მასში „დეკაბრის-

[1] ს . . . . (ს. დოდაშვილი): „პასუხი ტფილისიდამ „ეურნ." სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათა" № 2, გვ. 44 — 7, 1832 წ.

[2] იქვე № 5, გვ. 119, 1832 წ.

[3] Д. Хаханов: „История груз. словесности", ტ. IV, გვ. 29, 1906 წ.

ტულ“ ტენდენციებიც იყო, მაგრამ მან ვერ შეუწყო და არ შეიძლო შეეწყო ხელი ჩვენში რადიკალურ მიმდინარეობის გავრცელებას, როგორც ეს რუსეთში მოყვა დეკაბრისტების მოძრაობას. 1830—32 წლის შეთქმულების ხელმძღვანელები ჩვენში მაინც ფეოდალური არისტოკრატია იყო. პროგრესიული ინტელიგენციის როლი მასში ერთობ უმნიშვნელო იყო.

ერთი ფაქტი უდაოა, რომ 1830—32 წლების „შეთქმულთა წრეში“ რამოდენიმე საზოგადოებრივ-სოციალური ელემენტები მოყვენ, რომელთა პოლიტიკური მისწრაფება და სოფლმხედველობა განსხვავდებოდა ერთი მეორისაგან. შეიძლება ითქვას, რომ აქ რამდენიმე ჯგუფი იყო, რომელიც მექანიკურად გაერთიანდა, ამ მომენტზე თვით დ. ყიფიანიც გვითითებს თავის „1832 წლის აჯანყებაში“. ავტორი სწერს: „ერთი სიტყვით, 1832 წლისათვის საკმარისად მოიყარეს თავი ისეთმა პირებმა, რომელთაც ასე თუ ისე შეეძლოთ სჯა სხვადასხვა საქმეებზე და გავლენაც ჰქონდათ იმ წრეში, რომელსაც ისინი ეკუთვნოდენ. ამათ ემატებოდა პეტერბურგიდან ჩამოსული ყმაწვილ-კაცობა, გვარდიისა და არმიის ქართველი ოფიცრები. კავშირი ამ პირთა შორის უფრო ადვილი ხდებოდა მით, რომ ეს განათლებული ყმაწვილ-კაცობა შედარებით ნაკლები იყო და ასე ვსთქვათ, უფრო მეტი მოთაკილე კლასს ეკუთვნოდა. ეი ამ ახალი ელემენტებიდან გამოეყო რამოდენიმე ჯგუფი, თითოეული მათგანი აზრით, საკუთარი უკმაყოფილების მიზეზით და საკუთარი საწადელით. შეხვდენ თუ არა ერთმანეთს ეს ჯგუფები და გაუზიარეს ერთმანეთს გულისნადები, იწყო დეფილი იმათმა ტვინმა და ამნაირად შესდგა წრე შეთქმულებისა. ამ წრის შემადგენლობის სხვადასხვაობა და მიმართულება ვერ შეუწყობდა ხელს იმას, რომ რაიმე საერთო მოქმედების გეგმა გამოემუშავებია, მათ არც საერთო ხელმძღვანელი არ ჰყავდათ, ამ ჯგუფებს საერთო მოლაპარაკებაც კი ერთხელაც არ ჰქონიათ. ცალ-ცალკე ჯგუფებათ შეიკრიბებოდენ ხოლმე და გამოსთქვამდენ მას, რაც გულში ჰქონდათ“.[1] ეს ცნობა ნათელყოფს იმ დებულებას, რომ 1830—32 წლების შეთქმულებაში რამოდენიმე ჯგუფი და რამოდენიმე მიმდინარეობა, არსებობა.

როგორი არის ამ მიმდინარეობათა სოციალ-კლასიური საფუძვლები? ჩვენი აზრით 1830—32 წლის შეთქმულებაში სამი საზოგადოებრივ-სოციალური ფენების ინტერესი შეხვდა ერთიმეორეს და აქედან სამგვარი მიმდინარეობა ჩამოყალიბდა მასში. დაახლოვებით ჩვენ უკვე ვიცით ამ ფენების რაობა და მისი იდეალები: ერთი მხრივ, აქ არის ძველი ფეოდალური საქართველოს წარმომადგენელნი — ბატონიშვილების სახით, რომელთაც სურთ აღადგინონ ძველი პოლიტიკურ-სოციალური წყობილება და ბაგრატიონთა დინასტია. აქ შეთქმულების დამწყები ბატონიშვილებია, რომელთაც სურდათ უკმაყოფილო ძალებზე დაყრდნობა და რუსეთის ბატონობის

[1] დ. ყიფიანი: "Казненное дело 1832 года“ „მემუარები“ გვ. 127—8 (დ. ყიფიანის არქივი № 5732).

მოსპობა საქართველოში; **მეორე მხრივ მაღალი წოდების ახლად აღორძინებული ინტელიგენცია**, რომლის ეროვნული რადიკალიზმი აღმოცენებული არის თავისი წოდების შეიწროვებული მდგომარეობითა და ბატონიშვილების შთაგონებით; ისიც რუსული სისტემის მოსპობის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრეა, მაგრამ საქართველოს ისტორიულმა გამოცდილებამ და ცოდნამ, მეცნიერებამ მას დაანახა, რომ ძველი სისტემის და წესის აღდგენა, მთლიანად საზარალოა,—აქედან წარმოსდგა ამ მიმდინარეობის **საქართველოს კონსტიტუციონალური მონარქიის პროექტიც.** ამით ბრწყინვალე წოდების ახალთაობის ინტელიგენციას სურდა აქტიური მონაწილეობა მიეღო საქ. სახელმწიფოებრივ ცხოვრების მშენებლობაში. ეს ინტელიგენცია უკვე გრძნობდა რომ კარჩაკეტილმა ფეოდალურმა წყობილებამ და გაუნათლებლობამ დაამხო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. განთავისუფლებული საქართველო ინტელიგენციის დახმარებით უნდა აშენდეს; რასაკვირველია, ეს მიმდინარეობა ვერ სცილდებოდა თავისი კლასის უმაღლესი წოდების ინტერესებს, მაგრამ მან მაინც ახალი სიტყვა სთქვა. **მესამე მხრივ** სდგას — **ახლად აღორძინებული აზნაურული ინტელიგენცია**, წარმომადგენელი მაღალი წოდების ყველაზე უფრო დაბალი ფენისა, რომელიც ძველ საქართველოს წყობილების დროს დამორჩილებული ყავდა ფეოდალურ არისტოკრატიას და რომელიც ახლოხან განთავისუფლდა ამ აპეკისაგან. რუსეთის მართველობის წყალობით ამ აზნაურულ ინტელიგენციას (დ. ყიფიანი, ზ. ფალავანდოვი, ი. მამაცაშვილი, ს. რაზმაძე, ს. დოდაშვილი, ფ. კიკნაძე) გზა ეხსნებოდა მოხელეობისა და პედაგოგიკის სარბიელზე, მაგრამ მის უკმაყოფილებას მაინც საკმაოდ ჰქონდა ნიადაგი.

აღსანიშნავია, რომ 20 — 30-იანი წლები არა მარტო „ინტელექტუალური ამოძრავების" ეპოქას წარმოადგენს მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ისტორიაში, იგი ქართული სოციალური კლასების დიფერენციაციისა და მოძრაობის მაჩვენებელიც არის; ერთი მხრივ, გლეხთა მოძრაობამ მემამულეთა წინააღმდეგ გრანდიოზული ხასიათი მიიღო აღნიშნულ პერიოდში,[1] მეორე მხრივ, დიდი უკმაყოფილება დაიბადა ორი მაღალი წრის თავადთა და აზნაურთა წოდების შორის; თვით დიმ. ყიფიანი თავის მოგონებაში სწერს: „პატონისა და ყმის შორის უშინდელი სიამტკბილობა სიმძულვარედ გადაექცათ, ისე რომ ბატონის მოკვლაც ხშირი გახდა, ხანდახან მთელი ოჯახობითაც... ერთი სიტყვით, ოჯახური მდგომარეობა გლეხისაც და მისი ბატონისაც... მთლად მოისპო, დაერღვათ და დაექცათ ამ ახალი მფარველი ტიტულიანები სო

ბენტის შესახებ იგივე ყიფიანი სწერს: „თავადებსა და მათ ხელქვეითა აზნაურებს შორის ისეთი დიდი განხეთქილება ჩამოვარდა, რომ იმათ დაშოშმინებას ერთმანეთში რამოდენიმე ათეული წელიწადი მოუნდა.“ [1]

ამ კლასიურ წოდებრივმა წინააღმდეგობამ თავისებურათ „შეთქმულებაშიაც“ იჩინა თავი. ჩვენთვის უდაოა, რომ პირველი ორი მიმდინარეობის მასაზრდოებელი წყარო მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური პირობები იყო: როგორც აღნიშნული ჰქონდა, მსხვილი თავადობა ვერ შეურიგდა პოლიტიკური უფლებების დაკარგვასა და კაპიტან-ისპრავნიკების სისტემას. ამის დასამტკიცებელი საბუთები ბლომად მოიპოვება შეთქმულთა საქმეებში. ალ. ორბელიანი თავის ჩვენებაში გადმოგვცემს ელიზბარ ერისთავის სიტყვას ერთ-ერთ კრებაზე:

„მოჰყვა ელიზბარი ამ რიგათ, ყველამ უნდა ვიცოდეთ რომ ჩვენ მემკვიდრენი 1000-ს წლისანი მეფენი გადაგვიკარგეს, და ეს უცხო თესლიანი ნაცვლად იმათი დაგვეპატრონენ, უკანასკნელ ლუკმას გვართმევენო, და რაც მამულები და ყმა გყავს გვართმევსო, ჩვენი მზრუნველი თვინიერ ღვთისა კაცთაგანს ვერავის ვერა ვხედავთ: მას უკან ყველამა თქვეს არ ვიცით, ღმერთს ვფიცავთ, რა ვქნათო, ასე შეწუხებულნი იყვნენ ყველანი, ღმერთს ვფიცავთ, ოომ ცრემლით ემსებოდათ თვალები, და ასე თქვეს ყველამ ერთ თანახმად ნეტავი ხელმწიფემ ერთიანათ წაგვართვას ყმა და მამულიო, რომ შევიტყოთ, რომ წართმეული არისო, – თუ არა ერთი იასაული მოდისო, ჩვენ გლეხ კაცთ ჩვენთან სცემთ, და მას უკან მოგვიბრუნდებაო ჩვენც ბევრს გვაგინებსო რომ ხვას ვერ გავცემთ ხოლმეო, და რასაც უნდა ჩვენს სოფელში იმას იმოქმედებს, და მას უკან კარკი ქიფით წავაო“... [2] ეს ციტატა ზემოთ თავიდ ადგილას მოყვანილ ფაქტებთან ერთად ნათელ მასალებს გვაძლევს დიდ მემამულეთა შეთქმულების სოციალ-პოლიტიკურ მიზეზების შესახებ. ამრიგათ თავადების საგრძნობი ნაწილი უკმაყოფილო იყო ადგილობრივ ხელისუფლების პოლიტიკით, მაგრამ მათი დამოკიდებულება გლეხობასთან მაინც შეურიგებელი იყო. როდესაც 1829 წელს საქართველოში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა, შემდეგში შეთქმულების საუკეთესო ხელმძღვანელი ალ. ორბელიანი მთავრობის მხარეზე იდგა და „აღიულ ხალხს“ აწყნარებდა, მას ეშინოდა გლეხთა მოძრაობის და ყოველი ღონით ცდილობდა მის ჩაქრობას. 1865 წელს დაწერილ თავის მემუარში: „1829 წელსა არეულობა საქართველოში“ ალ. ორბელიანი სწერდა:

---

[1] იქვე,

[2] ალ. ორბელიანის ჩვენება — ქართულად (ლენინგრადის ფონდი რვეული VIII, გვ. 135—50).

თვით ელიზბარ ერისთავი ერთ თავის ჩვენებაში ამბობს:

„მე ვამბობდი, რომ როდესაც გლეხები გარბიან ჩვენგან, მაშინ მათ იცავენ სპრიაპჩიკები და პროკურორები და მათ ეს არაფერი არ უჯდებათ. ჩვენ კი ბლომად გვიჯდება (ტომ. III, გვ. 362).

„ამ ჩვენს ლაპარაკში, ერთი პირი დიდი ხალხი, მთის ბილიკის გზაზედ გადმოვიდნენ, მეორე უფრო დიდი ხალხი დევის ნამუხლის ვიწროებიდგან გადმოვიდნენ და ქალაქისაკენ მიეშურებოდნენ, მე და თეიმურაზმა კაცები გაუგზავნეთ ხალხსა: თეიმურაზ მუხრა[ნ] ბატონი და ქალაქის მარშალი აქ არიან, აქ ჩვენთან მოდით ვილაპარაკოთ. ის რამდენიმე ათასი კაცი მოვიდნენ და პირდაპირ დაგვიდგნენ ჩვენ, რომელთაც გაუჭძელეთ ლაპარაკი და ბოლო დროს ზოგიერთი ხალხი კიდევ დაბრუნდნენ, მაგრამ ერთი თეთრ ჩოხიანი ყმაწვილი კაცი იდგა იმათში გაჩერებული, თოფი მაღლა აიღო და მალალის ხმით დაიძახა: სად მიხუალთ? — ამ ჩემს თოფსა ეკრავ ვინც რომ უკან დაბრუნდება. თავადებსა რათ უჭონებთ, სულ ეგენი ღუპავენ გლეხსა კაცს. ხალხი მაშინვე დატრიალდა და ქ. ტფილისისაკენ გასწია. მე და თეიმურაზმა ვთქვით: თუ ამ თოფიარაღიანმა ხალხმა ქალაქში შეგვასწრო, მთელს ქალაქს აშლიან, იმათთან მთელი საქართველო აიშლება, ზედ იმათ მთების ხალხი მოესხმის, მთელი თათრობაც იმათ მიჰყვება და ბოლოდროს კარგი არა იქნება რა“.[1]

ეს დოკუმენტი ძვირფასია იმ მხრივ, რომ ნათლად ააშკარავებს თავადების პოლიტიკას; მათ უნდოდათ არა თავისუფალი საქართველო, არამედ საქართველო თავადების ხელში, უაღრესად წოდებრივი. ამიტომ გლეხთა მოძრაობა თავადაზნაურობის წინააღმდეგ მიმართული მათთვის მიუღებელი და გამოუყენებელი იყო. მათ სურდათ გლეხების გამოყვანაც 1832 წელს, მაგრამ **თავიანთი ხელმძღვანელობით** და **თავიანთი მიზნებისათვის.**

სულ სხვა წყაროდან და საზოგადოებრივ პირობებიდან გამომდინარეობდა მესამე ჯგუფის უკმაყოფილება. აზნაურთა წოდება არ შეიძლება კმაყოფილი არ ყოფილიყო მთავრობისა იმით, რომ მან ეს წოდება გაანთავისუფლა თავადების ხელქვეითობისაგან და დამოუკიდებელ წოდებად გადააქცია. ამ მხრივ ბრძოლა იყო გაჩაღებული მსხვილ მიმამულე-თავადთა და აზნაურებს შორის. ამ გარემოებამ შეთქმულების შიგნითაც იჩინა თავი. აზნაურული ინტელიგენცია რამოდენადმე დოდაშვილის გამონაკლისით, გარკვეულ პოლიტიკურ გზას ადგა და იგი არა ძველ საქართველოს აღდგენაზე ზრუნავდა, არამედ არსებულ პირობების გაუმჯობესებაზე, მის შესაფერისად გამოყენებაზე ქართველი საზოგადოების კულტურულ წარმართების საქმეში.

მაგრამ ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ ეს ახალი თაობის ინტელიგენცია საესებით კმაყოფილი იყო ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკითა და ეერ ხედავდა მისი მოღვაწეობის უარყოფით მხარეებს. რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში თავიდანვე უხეში და მეტად ტლანქი საშუალებებით შეუდგა თავისი ბატონობის გამტკიცებას, ადგილობრივმა ხელისუფლებამ სრულიად ეერ გაიგო ხალხის

[1] ალ. ორბელიანი: „1829 წელსა არეულობა საქართველოში“ (ეროვ. მუზეიმი № 1656—ა).

ზნე-ჩვეულებანი, მისი მისწრაფებები და ცხოვრების პირობები; მან მექანიკურად გადმოიღო რუსეთის თვითმპყრობელობის კანონები და გაავრცელა ჯერ კიდევ ნიადაგ მოუმზადებლად საქართველოში, ქართული ენა გამოიდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან და სასამართლოდან, გაუნათლებელი რუსი ჩინოვნიკები გამეფდა ხალხზე და მრავალი სხვა. ეს ისეთი ხასიათის მოვლენები იყო, რომ მისი არ დანახვა არ შეეძლო მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებს — ახალი თაობის ინტელიგენციას. არ შეეძლო ამ უხეში პოლიტიკის წინააღმდეგ თავისი პროტესტი არ გამოეცხადებია. თვით დ. ყიფიანი თავის მოგონებაში 1832 წლის აჯანყების შესახებ ნათლად მოგვითხრობს იმ მიზეზებზე, რომელმაც ხელი შეუწყვეს ქართველ საზოგადოებასა და ახალთაობის ინტელიგენციის უსამართლობას: ეს იყო ადგილობრივი ხელისუფლების სრულიად ტლანქი და მოუხეშელი პოლიტიკა საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეში. დ. ყიფიანი სწერს:

„მაშინვე საქმის წარმოება შემოიღეს ისე, როგორც შუა-გუბერნიებში იყო შემოღებული, ე. ი. რუსულ ენაზე, რომელიც აქაურ ხალხს სრულებით არ ესმოდა; რუსების მოსვლამდე რაც წეს-წყობილება და კანონები არსებობდა საქართველოში, არა თუ არ ისურვეს მათი გაცნობა, ხალხის ჩვეულებანი და ადათებიც კი არ მიიღეს მხედველობაში. ადგილობრივი ადმინისტრაციის განხრახვანი და მცხოვრებთა ბედი ხელში ჩაუვარდათ ორიოდ-სამიოდ წერაკითხვის უცოდინარ თარჯიმანს. ყიზილბაშთა, ირანელებისა და ლეკების შემოსევა საქართველოში თითქო რომ მოისპო და ამის გამო დრომდისინ მაინც შეიძლებოდა ატანა იმ დამოკიდებულებისა მმართველთა და ხალხს შორის, რომელიც საქართველოში სუფევდა. მაგრამ ეს მოთმენა ვერა შველოდა იმას, რომ ყოველ-დღე მატულობდა გაუგებრობა იმათ შორის, სანამ მმართველობამა და ხალხმა ერთმანეთის ენა ვერ გაიგეს“. [1]

შემდეგ ავტორი აღნიშნავს რა იმ გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 30 წლის განმავლობაში, სწერს: „ამისთანა წეს-წყობილებაში გაუგებრობა თანდათან უფრო მატულობდა და ედებოდა მთელ საქართველოს... ამნაირად, ასეთ ყოფაში ყველა გრძნობდა რაღაც დაჩაგვრას, დამცირებას, რის გამოც გულში იხვევს ადამიანი უკმაყოფილებას, სანამ არ დადგება დრო მისი გულიდან ამოხეთქვისა, სანამ არ გადმოვა ფიალა ადამიანის მოთმინებისა“. ავტორის განმარტებით 30—32 წლებისათვის უკვე მომწიფდა ნიადაგი უკმაყოფილების გამოსამეღაენებლად. „სწორედ ამ დროს, განაგრძობს დ. ყიფიანი, — უკვე გამორკვეულნი იყვნენ ის ელემენტები, რომლებიც სხვადასხვანაირად უჩვენებდნენ საზოგადოებას, როგორც საერთო ზნეობრივ მდგომარეობას, ისე ინდივიდუალურ მიზეზებს უკმაყოფილებისას და მითქმა-მოთქმისას“. [2] როგორც ვხედავთ, ადგი-

[1] დ. ყიფიანი: „მემუარები“, გვ. 120.

[2] იქვე, გვ. 123—26.

ლობრივი ხელისუფლების უხეში პოლიტიკა მართვა-გამგეობის საქმეში საგრძნობ პროტესტსა და უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებასა და ახალ თაობის ინტელიგენციაში. სოლომონ დოდაშვილმა ერთ-ერთ თავის ჩვენებაში გარკვეით მიუთითა გამომძიებელ კომისიას იმ უკმაყოფილებია მიზეზებზე, რომელიც გამოიწვია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობამ ქართველებში.[1] მთელი უკმაყოფილება ქართველებისა,— სწერს დოდაშვილი ჩვენებაში, — გამოწვეულია სასამართლოსა და სხვა დაწესებულებათა ჩაგვრიდან. სასამართლო უსაშინელეს ტვირთად გადაიქცა ჩრდნობიერი ხალხისათვის. სასამართლოსა და დაწესებულებაში შემოღებული წესი დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში და შეურაცყოფას აყენებს მათ; ისინი ხშირად ჩივიან ამის შესახებ. ხოლო ნაწილი კი სიღარიბისა, ენისა და კანონების უცოდინარეობის გამო სრულიად ხელს იღებენ თავიანთ უფლებებზე. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვათა შორის, ს. დოდაშვილი შემდეგ ზომაზე მიუთითებს: მართვის საქმეში არჩეული უნდა იქნეს ისეთი პირები, რომელნიც იცნობენ ხალხს და მიუდგომელნი და კეთილნი იქნებიან, გლეხობა ითხოვს, რომ მათ მოუამინონ და აქიტომ საჭირო არის სასამართლოს საქმეების გაუმჯობესება.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამ მომენტებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ინტელიგენციას უკმაყოფილებისათავის დიდი ნიადაგი ქქონდა იმ პერიოდში; რადგან ეს იყო პერიოდი, როდესაც ძველი ადათ-ჩვეულებანი და წესები ირღვეოდა და იმსჭვალეოდა ახალი რუს-ევროპიული სახელმწიფო აპარატის შემოკრით საქართველოში. მაგრამ ეს უკმაყოფილება ყველგან და ყოველთვის არ იყო მიმართული რუსეთის მართველობის წინააღმდეგ: მაშინ, როდესაც მსხვილი არისტოკრატიის წარმომადგენელნი მოითხოვდენ რუსეთის მართველობის მოსპობას, ძველი მეფობის აღდგენას, ნაწილი ინტელიგენციისა მომხრეა რუსეთის მართველობის და მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების სამოღვაწეო კურსის შეცვლას მოითხოვდა; იგი მომხრე იყო სასამაროლოს გაჯანსაღების და ხალხთან მიახლოების, ქართული ენის დაცვის, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებისა და წესის პატივისცემას, პასუხისმგებელ მოხელეების დანიშვნას და სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებას; ამრიგად მათი მიზანი იყო რუსეთის მართველობის დროს შეექმნათ პირობები ქართველი ხალხის ნორმალური და მშვიდობიანი განვითარებისა და კულტურული წარმატებისათვის. სწორედ ამაში გამოიხატებოდა ამ მიმდინარეობის განსხვავება ზემოდ ნაჩვენებ ჯგუფებისაგან.

მეორე მხრივ, ეს მიმდინარეობა ოპოზიციონურ-ლიტერატურულ ტაქტიკას ადგა და ძირიანად უარყოფდა სისხლიან აჯანყებას. ეს ინტელიგენცია იბრძოდა სწავლა-განათლების ფრონტზე — პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა და ამ საქმეშიაც ლიტერატურულ განმანათლებელი მეთოდი უნდო-

[1] იხ. სოლომონ დოდაშვილის ჩვენება (ლენინგ. ფონდი — რვეული V, გვ. 809—810).

და გამოეყენებია მხოლოდ მათ წრიდან შეიძლებოდა თქმულიყო, რომ „რუსეთის მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქართველოს, ცოტა არის სასწავლო დაწესებულებანი, არ თესავს ჩვენში განათლებას“. [1] მათვე შეეძლოთ დაესვათ საკითხი სწავლა-განათლების დაწესებულებათა გამრავლების და გაფართოების შესახებ საქართველოში, აღენიშნათ რომ „არ არის საკმარისად სასწავლო დაწესებულებანი საქართველოში, და ქართველი ახალგაზრდობის სწრაფი და შესაფერისი განათლებისათვის მთავრობამ უნდა დააწესოს ტფილისში, გარდა გიმნაზიისა, უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსი და სხვა სასწავლო დაწესებულებანი“. [2] ასეთი მშვიდობიანი ლიტერატურულ-პედაგოგიური პოლიტიკა ვერ შეეგუებოდა იმ გეგმებს, რომელსაც მსხვილ მემამულეთა წარმომადგენლები ისახავდენ მიზნად.

მაგრამ მიმდინარეობათა მასის წინააღმდეგობა აღმოჩნდა არა მარტო გეგმებსა და ტაქტიკის საკითხში, არამედ სხვა მომენტებშიაც; წოდებრივი დამოკიდებულების სიმწვავემ შეთქმულებაშიაც იჩინა თავი; თავადებს პირდაპირ ტერორ ქვეშ ყავდათ დაყენებულნი წვრილ აზნაურთა წარმომადგენელნი; მათ ეშინოდათ ნათლად და გარკვევით გამოეთქვათ თავიანთი აზრი. [3] უფრო მეტი, ეს აზნაურთა ინტელიგენცია ნათლად ხედავდა, რომ თუ მსხვილ მემამულეთა გეგმები განხორციელდება, რათ წოდებას, წვრილ აზნაურებს, კვლავ არ აცდებოდა ჩაგვრა და შევიწროება. ი. მამაცაშვილი, — რომლის შესახებაც გ. ერისთავი, ფ. კიკნაძეს სწერდა „რომ ეს არის განათლებული აზნაური რუსულისა და ქართულის მცოდნე, ამას თითქმის არავინა სჯობსო“. [4] თვის ჩვენებაში ამბობს: „შეამომავლობით ქართველი აზნაური ვარ და არავითარი მიზეზი არა მქონია ვყოფილიყავ უკმაყოფილო დღევანდელი მთავრობით; რადგან დღეს ჩვენ მონიჭებული გვაქვს აქაურ თავადებთან თითქმის ერთნაირი უფლებები, მხოლოდ ახლა ვართ ჩვენ დაცული მათი ბატონობისაგან; წინააღმდეგ, ქართული მთავრობის დროს მე აუცილებლად ვიქნებოდი რომელიმე ძლიერი თავადის მონა; მსგავსიევ ხალხიდან მე ვიცი, რომ მაშინ გაბატონებული იყო მხოლოდ ძლიერის უფლება და რომ თავადები ხან ძალით, ხან მეფის ნებართვით აზნაურებს თავიანთ ხელქვეითად აქცევდენ; ამჟამად ვიმყოფები დიდი იმპერატორის სამსახურში... რომლის მზრუნველობის ქვეშ ყველის ჩვენი სამშობლო. ზემოდ მოხსენებული ბოროტი ზრახვების შესახებ შეეძლოთ ფიქრი მხოლოდ ქართველ წარჩინებულთ და მეფის სისხლის შთამომავალთ; რადგან ისინი არიან დღეს შეურაცყოფილი მით, რომ ჩვენ აზნაურები მათთან ერთად ერთნაირი უპირატესობით ვსარგებლობთ როგორც სამსახურში, ისე საზოგადოებ-

[1] ს. რაზმაძის ჩვენება (ლენინგრადის ფონდი, რუ. V, გვ. 1012—1015).

[2] ზ. ავთანდილოვის ჩვენება (იქვე, რუ. I, გვ. 43—58).

[3] იხ. ავთანდილოვისა და ი. მამაცაშვილის ჩვენებანი.

[4] ცენტრ. არქივი: 1832 წ. აჯანყების საქმე: Письма и сочинения Ф. Кикнадзе № 170.

რივ ცხოვრებაში, ხოლო მათ ჩამორთმეული აქვთ მთავრობის დროს მემკვიდრეობით ბოძებული თანამდებობანი და სხვა წარჩინებანი". [1]

დ. ყიფიანი თავისი სოფლმხედველობითა და მისწრაფებებით ავთანდილოვისა, მამაცაშვილისა და სხვანი ჯგუფს ეკუთვნოდა; ჯგუფს, რომელსაც თავისი გარკვეული მიზანი და ტაქტიკა ჰქონდა და რომელიც სრულიად არ ეთანხმებოდა მსხვილ მემამულეთა გეგმებს. დ. ყიფიანის ჩვენებიდან საკმაოდ ვრცელი სურათი იშლება ჩვენს წინ მისი „შეთქმულებთან" დაახლოვებისა, ამ წრეში მოღვაწეობისა და შეხედულებების შესახებ. [2]

აი როგორ ასწერს თვით დ. ყიფიანი თავის ჩვენებაში შეთქმულთა ორგანიზაციის გაცნობის ამბავს:

„წარსული, 1831 წლის ნოემბერში ჩემთან იყო ჩემი ამხანაგი მასწავლებელი ავთანდილოვი, რომელსაც როგორღაც შევხვედი ჩემს მარტოობაზე, რომ სრულებით არა მყავს ნაცნობები, რომელთანაც შემეძლოს თავისუფალი დრო ხეიარულად გავატარო და რომ ამიტომ ხანდახან ვგრძნობ მეტის-მეტ მოწყენილობას". ავთანდილოვი შეჰპირდა მას იმ საზოგადოების გაცნობას, რომელთანაც მას ავთანდილოვს ჰქონდა მეგობრული დამოკიდებულება. დ. ყიფიანი ძალე გაეცნო და დაუახლოვდა შემდეგში ცნობილ ლიტერატორებს: ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანს და გიორგი ერისთავს. ამ ჯგუფიდან გაიგო დ. ყიფიანმა შეთქმულთა ორგანიზაციის არსებობა. საინტერესოა იმ შეთქმულების გაცნობა, რომელიც დ. ყიფიანმა განიცადა შეთქმულთა ორგანიზაციის არსებობის პირველად გაგონებაზე. გიორგი ერისთავი აცნობს მას ამ ორგანიზაციების არსებობის და მოღვაწეობის ამბავს და შემდეგ განაგრძობენ საუბარს.

ერისთ. I — ამრიგად ახლა შენ ჩვენი ხარ. თავისთავად ცხადია რომ მე არ მცოდნოდა რომ შენ გაქვს გონიერება, რომ შენაც სავსებით შეგიძლია იგრძნო სიყვარული და თავდადება შენი სამშობლოსადმი, რომელიც ახლა საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაშია, მაშინ რა თქმა უნდა, ამ ეროვნულ საქმეს არ გაგიმეღავნებდი. აბა, ახლა შენი იმედი მაქვს. მშვიდობით!

მე — კარგი... მშვიდობით!

და თავჩაქინდრული გავსწიე სახლისაკენ. მე დავიწყე ფიქრი ამ მნიშვნელოვან საქმეზე და გადავსწყვიტე დრომდე არ ჩამოვშორებოდი მათ. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე ამბავს ეიცხადებს თავის სახლში თავადი ვახტანგ ორბელიანი; და შემდეგ მისი ძმა ალექსანდრეც. ამ მდგომარეობაში ვადის ზამთარი; დგება გაზაფხული. თავადი ვახტანგი გადადის საცხოვრებლად თავის ბაღში და გვთხოვს ვიაროთ მასთან. ამავე დროს მე ვეებულობ ავთანდილოვისაგან, რომ დიდიხანია მას ეს ამბავი განუცხადეს

[1] ი. მამაცაშვილის ჩვენება (ლენინგრადის ფონდი III, გვ. 402—9).

[2] იხ. ლენინგრადის ფონდი რუ. I, გვ. 59—70 („მეგეკარები" — გვ. 137—47), რუ. III გვ. 374—5; რუ. V გვ. 862—4.

**და რომ ამ შეთქმულების სიხრულეში მოყვანა სურდათ ერთ და იმავე დროს პოლონელებთან ერთად,** მაგრამ პოლონელების დამარცხებამ დაშალა მათი განზრახვები, რომელთაც სავსებით მაინც არ ეშვებიან.[1]

რასაკვირველია დ. ყიფიანი შემთხვევით არ მოხვედრილა შეთქმულთა წრეში და არც შემთხვევით მოუსურვებია იქ დარჩენა. როგორც ავღნიშნეთ, იგიც უკმაყოფილო იყო მაშინდელი საზოგადოებრივი პირობებით, იგიც გამოსავალს ეძებდა ამ მწვავე მდგომარეობიდან და ამიტომ არ არის გასაკვირველი თუ უკმაყოფილოთა ჯგუფში მოისურვა დარჩენა. მაგრამ მისთვის აჯანყების მოხდენა და რუსეთის მართველობის დამხობა მიუღებელი იყო: იგი ცდილობდა მხოლოდ შექმნილ პირობების გაუმჯობესებას შესაფერისი რეფორმების მოხდენით. მართალია დ. ყიფიანი არ ღებულობდა შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას, მაგრამ იგი საქმის კურსში იყო სავსებით. იგი დაესწრო ყველა მთავარ კრებას, რომელზედაც გადაწყდა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, მას გაცნობილი ჰქონდა ფ. კიკნაძის „გონივრული აქტის“ შინაარსი და ფიცი ჰქონდა დიდებული თანახმად ამ „აქტის“ დებულებისა; მან იცოდა საიდუმლო ნიშნის გასაღებიც[2] აქედან უნდა დავასკვნათ, რომ იგი არ იყო შემთხვევითი წევრი შეთქმულებისა, მაგრამ არც მისი აქტიური მომხრე იყო. არსებული პირობების უკმაყოფილებამ იგი შეთქმულების განაკამდე მიიყვანა, მაგრამ შეთქმულთა უმეტესობის ტაქტიკასა და გეგმებს დ. ყიფიანი არ იზიარებდა.

დ. ყიფიანის ჩვენებას სავსებით ადასტურებს თიოქვის ყველა სხვა ჩვენებებიც. ვ. ორბელიანის,[3] ავთანდილოვის,[4] ი. მამაცაშვილის,[5] ს. დოდაშვილისა[6] და სხვა, თვით გამოძიებამის შესახებ შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ყიფიანის შესახებ მოცემულ ყველა ჩვენებათა მიხედვით შემდეგი მტკიცდება: მან 1832 წ. იცოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ არსებული შეხედულება და ეთანხმებოდა მას; იცოდა აკრეთვე იმავე წელში განზრახული აჯანყების შესახებაც, მაგრამ არ გაწოუცხადებია თანხმობა მასში მონაწილეობის მიღების შესახებ“.[7] ასეთი არის დ. ყიფიანის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდების შინაარსი. მართლაც გამოძიებისათვის ნათელი იყო, რომ დ. ყიფიანმა შეთქმულთა მთელ რიგ სხდომებზე მიიღო მონაწილეობა. შეთქმულების უკანასკნელ ხანებშიაც კი იგი იძულებული ხდებოდა კრებებს დასწრებოდა: ასე მაგ. 1832 წ. 19 ოქტომბერს, იგი დაესწრო ფალავანდოვისას მოხდარ კრებას, რომელზედაც დაწვრილებით გა-

---

[1] დ. ყიფიანი: „მემუარები“ გვ. 139.

[2] იხ. მისი მეორე ჩვენება (ლენინგ. ფონდი, რეფული III. გვ. 374).

[3] ვ. ორბელიანის ჩვენება (იქვე, I, გვ. 131—34).

[4] ხ. ავთანდილოვის ჩვენება (იქვე, I, გვ. 43—57).

[5] ი. მამაცაშვილის ჩვენება (იქვე, III, გვ. 402—09).

[6] ს. დოდაშვილის ჩვენება (იქვე, II, გვ. 158—163).

[7] ცენტ. არქივი. „По делу о Грузинском заговоре“ IV, № 166, გვ. 215.

ნიხილეს აჯანყების გეგმა; ნოემბრის დასაწყისში იგი დაესწრო ალ. ორბელიანისას მომხდარ კრებას, რომელზედაც დაადგინეს სისრულეში მოეყვანათ თავიანთი გეგმები და დანიშნეს აჯანყების დღეთ 20 ნოემბერი, როდესაც უნდა მომხდარიყო თავადაზნაურთა არჩევნები.[1] მაგრამ მეორეს მხრივ გამოძიებას მოყავს მთელი რიგი ცნობებისა, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ დ. ყიფიანი სრულიად არ იზიარებდა შეიარაღებულ აჯანყების გეგმას და წინააღმდეგი იყო თავადების ზრახვებისა. ავთანდილოვის ჩვენებით დ. ყიფიანი ძლიერ წუხდა, რომ დამოკიდებულება დაიჭირა თავადებთან, ავთანდილოვი სწერს: მე უთხარი ყიფიანს, როდესაც საქმის დასაწყისში, ბატონი საქართველოს განმათავისუფლებლები, ასე ბრძანებით გვექცევიან, მაშინ ჩვენ როგორ მოგვეპკრობიან, რომ მათი სურვილი განხორციელდეს. მაშინ ყიფიანმა მიპასუხა — მე, ძმობილო, შენ სავსებით გეთანხმები, რომ ისინი ჩვენ სავსებით ამოგვწყვეტენ; დიახ, მხოლოდ ერთი თავადი აბაშიძეები შეშეამენ მთელ ყიფიანთა გვარს, რომელთანაც მათ განუწყვეტელი ომი აქვთ:[2] ახლა მადლობა ღმერთს, კიდევ შეიძლება შესაფერის ორგანოს მიმართო დასაცავად, მაშინ კი, — შენ კარგათ იცი არაკი: ძლიერის წინაშე ყოველთვის უძლური არის დამნაშავე. მე გავიცინე და ვუპასუხე, — დიახ, აზნაურები ძველებურადვე თავადების მოსამსახურედ გადაიქცევიან:"[3] ავთანდილოვმა და ყიფიანმა გადასწყვიტეს მხოლოდ გარეგნულად მიეღოთ ჩონაწილეობა, რადგან შეუძლებელი იყო ჩამოცილება. ალ. ორბელიანის სახლში გამართულ სხდომაზე მათ წინადადება მისცეს შეედგინათ პროკლამაციები ხალხში გასავრცელებლად, მაგრამ ისინი ამაზედ არ დასთანხმდენ. ამას მამაცაშვილიც ამტკიცებს და სწერს, რომ ყიფიანს თავადების განზრახვა უგუნურებად და დამღუპველად მიაჩნდა და ცდილობდა მათ ჩამოცილებოდა. ვ. ორბელიანის ჩვენებით — ყიფიანი ეწინააღმდეგებოდა რა თავადების განზრახვებს, ამბობდა ქართველები მადლიერები უნდა იყვენ რუსების, რადგან მათ დაიცვეს და განათლება შეიტანეს მასში. დიმიტრი ერისთავის ჩვენებით — ყიფიანი ეშვიათად იმყოფებოდა შეთქმულთა კრებებზე.[4]

ასეთი იყო დ. ყიფიანის მონაწილეობა 1830—32 წლების შეთქმულებაში. ტფილისის საგამომძიებლო კომისიამ დ. ყიფიანი და ავთანდილოვი დამნაშავეთა მეოთხე ხარისხში მოაქცია და სასამართლოში მიცემისაგან გაათავისუფლა; ნიკოლოზ პირველმა ბრძანა რა მხედველობაში მისი ახალ გაზრდობა და გულწრფელი აღიარება შეცდომისა, დ. ყიფიანი რამოდენიმე წლით განამწესა სახელმწიფო სამსახურში ვოლოგდაში.

თავის ჩვენების დასასრულში დ. ყიფიანმა სავსებით აღიარა თავისი

[1] იქვე, გვ. 217.

[2] დ. ყიფიანის წინაპრები თავ. აბაშიძეების ხელქვეით აზნაურებათ ითვლებოდენ.

[3] ს. ავთანდილოვის ჩვენება (ლენ. ფონდი. I, გვ 43—58),

[4] „Ио делу о грузинском заговоре — ნაწ. ა. IV, 166. გვ, 217—18.

დანაშაული და ითხოვა პატიება. იგი სწერს: „ვალიარებ რა გულწრფელად ყოველივეს რაც მე მინახავს და გაბიგონია ერთი წლის განმავლობაში, მე არ შემიძლია თავი ვიმართლო და ვჯრძნობ რომ ვარ დიდი დამნაშავე. მაგრამ გულწრფელად ვინანიებ რა ჩემს დანაშაულს, ვანდობ თავს სულგრძელ მთავრობის ნება-სურვილს, რომლისადმი მე გამოვიჩინე უმადურობა ყველა იმ მოწყალებისათვის, რომელიც მიმიღია მისგან და იმედი მაქვს კიდევ რომ ის მიიღებს რა მხედველობაში ჩემს ახალგაზრდობას, რომ მე ძალათ ვიქმენი შეყვანილი შეცდომაში, მაპატიებს და მით საშუალებას მომცემს, ჩემის შეძლებისდაგვარად გულმოდგინეთ ვემსახურო ჩვენს ყოვლად მოწყალე და კეთილ მონარქს თავისი გზააბნეულ შვილების გულშემატკივარ მამას და განოვასწორო ჩემი შეცოდება მომავალში სასარგებლო სამსახურით, რომელიც შეეფერება ქეშმარიტ ერთგულ ქვეშევრდომს, რომელმაც გამოცდილებით ისწავლა, რომ ასეთი დარჩეს სამუდამოთ".[1] ასეთი ნაბიჯის გადადგმა და პატიების თხოვნა არ იყო შემთხვევითი ნაბიჯი დ. ყიფიანის მხრივ — იგი ლოგიკურად გამომდინარეობდა იმ განწყობილებებიდან და სოფლმხედველობიდან, რომელსაც დ. ყიფიანი. იცავდა. უნდა ავღნიშნოთ აგრეთვე, რომ ქედის მოხრა და პატიების თხოვა მარტოდ ყიფიანს არ ახასიათებდა, ამ გზას დაადგნენ თითქმის ყველა მონაწილე შეთქმულებისა და მათ შორის მათი ყველაზე უფრო აქტიური მეთაურები ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი. ისტორიულად 1830-32 წლის შეთქმულთა ორგანიზაციის საქმიანობამ და მისმა აღმოჩენამ ნათელყო, რომ რუსეთის თვითმართველობამ 30 წლის განმავლობაში საკმაოდ მაგრად მოიკიდა ფეხი ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, რომ პოლიტიკური ხასიათის აჯანყების მოსაწყობად საქართველოში იმ პერიოდში აღარ არსებობდა მტკიცე საფუძველი. თავად-აზნაურობა, როგორც გარკვეული სოციალური წოდება, ეკონომიურ დაცემას განიცდიდა და მოწიწებით იყურებოდა ტახტისაკენ; გლეხობა გამწვავებულ ბრძოლაში იმყოფებოდა თვით მემამულეთა წინააღმდეგ და თავად-აზნაურთა ნაწილის პოლიტიკას იგი არ გაჰყვებოდა. ასეთ პირობებში შეთქმულება მხოლოდ რამოდენიმე თავადადებული ახალგაზრდის ნაყოფი იყო და მას არ შეეძლო რაიმე დადებითი შედეგები მოეტანა, მთავრობაც გრძნობდა, რომ შეთქმულება უძლური იყო, რომ იკი საფრთხეს არ წარმოადგენდა მისი ბატონობისათვის ამიერკავკასიაში და რომ თავად-აზნაურების დიდი ნაწილი რუსეთის ტახტს უჭერდა მხარს, განსაკუთრებით იმა ხელმწიფე იმპერატორს თქვენი დასტური, — სწერდა მთავარ ბარათებელ როზენს ჩერნიშევი, რომ ქართველი თავად აზნაურობა საზოგადოდ მხარს არ უჭერდა იმ ბოროტ განზრახვაში, რომელმაც ზოგიერთა მის (თავად აზნაურობის) ბოროტ მომქმედ წევრთა შორის იჩინა თავი"[2] „ამ ულირს ქართველთ თუ გამოვრიცხავთ, მთელი წო-

[1] იხ. „მემუარები" გვ, 147.

[2] ი. კიტა აბაშიძე: „პოლიტიკური რომანტიზმი", „მოამბე" № 1, ტ. 5, 1905 წ.

დება ისევე გულმოდგინეთ ასრულებს თავის მოვალეობასა და არა ჰლალატობს საიმპერატორო ტახტისადმი მორჩილებასა და ერთგულების გრძნობებს“ [1] ამ სიტყვებით ახასიათებდა ნიკოლოზ I წარმომადგენელი ჩევკინი. 1833 წ. თავად-აზნაურთა კრებაზე საქართველოს მაღალი წოდების როლის მნიშვნელობას ტახტის სიმტკიცის საქმეში. არავის ისე გარკვევით და ნათლად არ უგვრძნია 1830—32 წლის შეთქმულთა უნიადაგობა, როგორც ამ შეთქმულების მონაწილეთა და მათ შორის დიმ. ყიფიანს, თუ გრ. ორბელიანი ამბობდა: „უძლურება ჩემი იყო მოულოდნელი და ჩემის გამოუცდელობის გამო“ [2] დ. ყიფიანმა მასზედ უფრო ადრე იგრძნო ეს და თავიდანვე გარკვეულ ხაზს დაადგა. დ. ყიფიანის სასარგებლოდ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მას ერთხელაც არ ეღალატნა თავისი ფზიცისთვის და თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის ტახტს.

[1] იქვე, გვ. 9.
[2] მეუნარგია: „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“, გვ. 29, 1905 წ.

## თავი მეოთხე

# დიმიტრი ყიფიანი საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურში

სასჯელის მოხდის შემდეგ დ. ყიფიანმა სავსებით გამოისყიდა თავისი დანაშაული და უერთგულესი მოხელე გახდა. მას თითქმის 50 წელი მოუხდა მოღვაწეობა, როგორც სახელმწიფოებრივ სამსახურში — მოხელედ, ისე საზოგადოებრივ სარბიელზე როგორც საზოგადო მოღვაწეს.

დიმიტრი ყიფიანი პრაქტიკული მოღვაწე იყო; მოღვაწე, რომელმაც საქართველოში უდიდესი სახელი მოიხვეჭა; პროფესიით იგი არ ყოფილა არც მეცნიერი და არც ლიტერატორი-მოაზროვნე; თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ორივე ამისათვის მას საკმაო ნიჭი და ცოდნა ჰქონდა; მეცნიერებასა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას დ. ყიფიანი სხვათაშორის კიდებდა ხელს; ეს დარგები მას მხოლოდ თავისი პრაქტიკული საქმიანობის დამატებად მიაჩნდა. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რაში გამოიხატა მისი პრაქტიკული პროფესია: იგი რუსი მოხელე იყო; მოხელე რომელმაც უდიდესი პატივისცემა და ჯილდოები დაიმსახურა. ბოლოს კი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბრძოლის გამო ტრაგიკულად დამთავრდა მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა. ჩვენ ვერც ამ მოხელის ფრონტზე ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების მიზეზს გავიგებთ, და ვერც საფუძვლიანად გამოვარკვევთ მისი ტრაგიკულად დალუპვის მიზეზს თუ ჩვენი ყურადღება არ მივაქციეთ ერთ საკითხს: დ. ყიფიანის მოღვაწეობის პროგრამას, მის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ეროვნულ ტაქტიკას. დ. ყიფიანი პრინციპიალური მონარქისტი იყო. მისთვის ხელმწიფის ნებისყოფა და სურვილი შეურყეველი კანონი იყო. „ხელმწიფის წყალობა შეურყეველი და საღვთო უნდა იყოს“ — ამბობდა იგი. ამ პრინციპს შეურყეველად იცავდა დ. ყიფიანი ცხოვრებაში, სამსახური ტახტისადმი დ. ყიფიანის საღვთო მოვალეობას შეადგენდა. პრინციპში, თავის შეგნებაში იგი ერთხელაც არ ცდილა ეღალატა ტახტისათვის. მისი რწმენა ამ მხრივ მტკიცე და ურყევი იყო. მაგრამ დ. ყიფიანს მეორე პრინციპიც ჰქონდა, რომელიც ეროვნული მეობის დაცვასა, შენარჩუნებასა და განვითარებაში გამოიხატებოდა, — ეს იყო პრინციპი ქართველი ნაციონალიზმისა. არც ამ პრინციპისათვის უღალატია დ. ყიფიანს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში. აქაც მისი შეხედულება და რწმენა ურყევი იყო. დ. ყიფიანის ამ ორ პრინციპს ასულდგმულებდა მე-

სამე დიდი რუბენა, შეუდეგულება, რომ რუსეთის მონარქიზმს და ქართულ ნაციონალიზმს შორის შეუძლებელი არის რაიმე პრინციპიალური წინააღმდეგობა არსებობდეს; პოლიტიკური ენით, რომ ვსთქვათ დ. ყიფიანი საესებით დარწმუნებული იყო იმაში, რომ ქართველი ერის ხსნა და მისი წინმსვლელობა შესაძლებელი არის მხოლოდ რუსეთის თვითმპყრობელობის საშუალებით, რომ ერთად ერთი მფარველი საქართველოსი რუსეთის მეფეა. ასე მოიმწყვდია დ. ყიფიანმა თავის მონარქიულ პრინციპის ფარგლებში თავისი ეროვნული პოლიტიკა; მაგრამ ცნობილია, რომ ტახტსა და სამშობლოს შორის კონფლიქტებს ხშირად ჰქონდა ადგილი; უ�d რომ ვსთქვათ, ისტორიული ფაქტია, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა ხელს უწყობდა ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის პოლიტიკას, რომ რუსეთის მონარქიული სისტემა ძირშივე სპობდა ყოველგვარ ეროვნულ თავისუფლებას. ამ შემთხვევაში როგორ ახერხებდა დ. ყიფიანი თავისი პოლიტიკური სოფლმაედველობის უპირველობის შენარჩუნებასა და ისტორიული ფაქტების სისწორით ახსნა-განმარტებას? — სხვაგვარად მოაზროვნე პიროვნებისათვის აქ საკითხი ნათელი იქნებოდა: მისთვის ამ ისტორიული ფაქტების ასახსნელი თვით მონარქიზმის სისტემის შინაარსში იქნებოდა ჩაშარხული, რომ თვითმპყრობელობის სისტემა აგებული არის ისეთს საფუძველზე, რომელიც ერთა დაბორჩილებასა და განადგურებას უწყობს ხელს. მაგრამ დ. ყიფიანს ამ შემთხვევაშიაც თვისებითი თეორია ჰქონდა შემუშავებული ამ კონფლიქტის ასახსნელად. „ხელიაუფლების დაბალი აგენტები მოქმედობენ რა თავიანთ სფეროში საკუთარი გონებით, ისე ვისაც როგორ მოუვა თავში, მხოლოთ თავიანთი მოუსაზრებლობით და შეუგნებლობით, მეტად თუ ნაკლებად დიდ დანაშაულს ბადებენ ხოლმე. ბადებენ იქ, სადაც საქმეთა ნორმალური წაძღოლით არ შეიძლება ამისათვის საბაბი ყოფილიყო“.[1] აქ მოცემული არის დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკური სოციალმბედველობის ერთი დამახასიათებელი და ძირითადი მომენტი: თუ ადგილობრივ პირობებში რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილი, და რომ ჰქონდა გაუგებრობას ადგილი იმაში ნათლად დარწმუნდა დიმიტრი ყიფიანი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში, — ეს აიხსნება არა თვითმპყრობელობის პრინციპის უვარგისობით, არამედ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის უვარგისობით; უვარგისია არა სისტემა, არამედ პოლიტიკა; შესაცვალად უკანასკნელი პირველის შინაარსის მიხედვით და გაუგებრობა თავისთავად მოისპობა; დაე ბეცი პოლიტიკოსები ნუ ამახინჯებენ თავიანთი თავხედური და თვითნებური საქმოღვაწეო გეგმებით სისტემის ძირითად შინაარს, თვითმპყრობელობის უმაღლესს ხალვთო მისწრაფებას, მაშინ მეფესა და ქართველ ერს შორის, რუსულ მონარქიზმსა და ქართველ ნაციონალიზმს შორის სრული ჰარმონია დამყარდება, რადგან ეს ჰარმონია და გონიერი პრინციპი თვითმპყრობე-

[1] დ. ყიფიანი: „მემუარები“, გვ. 29.

ლობის შინაარს წარმოადგენს. ამრიგად დ. ყიფიანის განმარტებით ადგილობრივ ისტორიულ გაუგებრობათა მიზეზი ადგილობრივ ხელისუფლების უგუნური მოღვაწეობა და უხეში პოლიტიკა არის, რომელიც აპახინჯებს ცენტრალური ხელისუფლების მიზნებსა და სურვილს.[1] აქედან წარმოსდგება დიმიტრი ყიფიანის ეროვნული პოლიტიკისა და პრაქტიკულ საქმიანობის ორგვარი ტაქტიკა: ერთი მხრივ, ქართველი მოღვაწისა და მთელი ერის—მისი ბოწყინვალე წოდების სახით, მოვალეობა არის ერთგულად ემსახუროს რუსეთის ტახტს და დაიმსახუროს მისი სრული თანაგრძნობა.[2] ეს არ არის უბრალო გრძნობა ერთგულობის, — ის **ისტორიული ვალის** მოხდა არის იმ დიდი სამსახურისათვის, რომელიც საქართველოს გაუწია რუსეთის მეფემ. ამ ისტორიული ვალის გადახდა ერთგული სამსახურით შეუძლია ქართველ თავად-აზნაურობას: „თავად-აზნაურთა ღირსებას უძრახველი სამსახური შეადგენს ტახტისადმი“, ამბობს დ. ყიფიანი. პრაქტიკულად, ამ ერთგულების პოლიტიკით დ. ყიფიანს ქართველი თავად-აზნაურობა სურდა რუსეთის თვითმპყრობელობის აგენტად გადაექცია საქართველოში; ამრიგად დ. ყიფიანის განმარტებით: თვითმპყრობელობამ დაიცვა საქართველოს თავად-აზნაურობა, თავის მხრივ თავად-აზნაურობამ უნდა დაიცვას ტახტი ყოველგვარ საფრთხისაგან და ყოველგვარ არეულობისაგან და ერთგულად ემსახუროს რუსეთის მეფეს. ამ ხაზით მიემართებოდა დ. ყიფიანის პრაქტიკული საქმიანობა მთელი 50 წლის განმავლობაში. მეორე მხრივ, დ. ყიფიანი ქართველი ნაციონალისტიც იყო; ამიტომ მისი პოლიტიკა ამ ნაციონალიზმის ხაზითაც მიემართებოდა; იქ, სადაც მახინჯდება ადგილობრივ ხელისუფლების მიერ მეფის სურვილი ქართველი ერის სამსახურისა, იქ ქართველმა მოღვაწემ და თავად-აზნაურობამ შედგრად უნდა ამოიღოს ხმა და შეებრძოლოს ასეთ უგუნურსა და მახინჯ პოლიტიკას, და თავისი ბრძოლით დაიცვას, აღადგინოს ტახტისა და ერის ინტერესთა ერთიანობა. ამ მიმართულებითაც თავგამოდებული მებრძოლი იყო დიმიტრი ყიფიანი: აქ მან თავის შეკავება არ იცოდა, მისი მოქმედება პირდაპირი და შეუპოვარი იყო. მას არ სწამდა ამ შემთხვევაში კომპრომისი, წაყრუება ან ზურგს უკან წუწუნი და მოთქმა, როგორც ამას ჩვეული იყო დიდი ნაწილი თავად-აზნაურული ინტელიგენციისა. მოთქმისა და წუწუნის ნაცვლად დ. ყიფიანის პროგრამაში გაბედული საქმიანობა იყო წამოყენებული: სიტყვით, კალმით, საქმით იბრძოდა იგი თავისი პრინციპებისათვის. ამ ტაქტიკის წყალობით იგი მოყვა 1830—32 წლის შეთქმულთა წრეში, ამავე ტაქტიკის წყალობით დაიღუპა იგი 80-იან წლებში. ეი ამ ორი ხაზით მიემართებოდა დ. ყიფიანის პრაქტიკული საქმიანობა 50 წლის სივრცეზე: ერთგული სამსახური ტახტისა და ერისადმი თავგანწი-

[1] ეს მომენტი დ. ყიფიანის აზროვნებისა კარგად აქვს გაშუქებული არ. ჯორჯაძეს (იხ. თხზულებანი ტ. 2 და განოვსკის „დიმიტრი ყიფიანი“ „სახალხო გაზეთი“ 1913 წ.

[2] ჯ. ყიფიანი: „მემუარები“ გვ. 98—101.

რული ბრძოლა ადგილობრივ აგენტების მახინჯ პოლიტიკის წინააღმდეგ, ეი ამ ბოლოვაწეობის შინაარსი. 80-იან წლებში მისი შეურყეველი ბრძოლა ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ ვრცლად იქნება აღწერილი ამ ნარკვევის უკანასკნელ თავში, აქ კი მოვიყვანოთ რამდენიმე მომენტი მისი დანარჩენ პერიოდის მოღვაწეობიდან.

როგორც ავღნიშნეთ, 1832 წლის მარცხის შემდეგ დ. ყიფიანმა ადგალობრივი ხელისუფლების დიდი ნდობა დაიმსახურა. განსაკუთრებით, ფართოდ გაშალა ფრთები მისმა საქმიანობამ ვორონცოვის ეპოქაში, რადგან ვორონცოვის პოლიტიკა, მისი ლმობიერი დამოკიდებულება მკვიდრ თავადაზნაურობასთან იძლეოდა ერთგვარ წარმოდგენას, რომ დ. ყიფიანის ეროვნული პოლიტიკა ტახტისა და სამშობლოს სიყვარულის შესახებ ხორცს ის ხამდა და რეალურ სინამდვილედ ხდებოდა. ვორონცოვმა თითქოს გაუმართლა იჰედები დ. ყიფიანს. მისი ერთგულების გრძნობაც გაცხოველდა, მისმა სამსახურმა სახელმწიფოსადმი გაასკეცებული ენერგია მოიპოვა. ვორონცოვის და დ. ყიფიანის პოლიტიკის შორის აუცილებლად ნათესაური კავშირი არსებობდა. ვორონცოვი ზევიდან მოდიოდა ადგილობრივი ძალების დასაახლოებლად, დ. ყიფიანი ადგილობრივი ძალებიდან მიემართებოდა ცენტრის ყურადღების მისაბყრობად და მოწყალების დასამსახურებლად. ამიტომ დიმ. ყიფიანისათვის ეს და შემდეგი მომყოლი ეპოქა მომხიბლავი იყო; იგი პირად მეგობრულ განწყობილებაშიაც იმყოფებოდა ვორონცოვთან. „ვორონცოვის დროს დიმიტრი ყიფიანი და მეუღლე იმისი ნინო იყვნენ გამამშვენებელნიც ტფილისის მაღალი საზოგადოებისა — სწერს ნ. ყიფიანი. — ვორონცოვს გულით უყვარდა დიმიტრი ყიფიანი. თუ კი ვორონცოვმა რაიმე ღვაწლი დასდო საქართველოს და თვით ქართულს მწიგნობრობას და ენას, ეს, სხვათა შორის, დიმიტრი ყიფიანის მიზეზით. პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“ დაარსდა 1852 წ. ვორონცოვის სურვილით და რედაქტორობა „ცისკრისა“ ვორონცოვმა დ. ყიფიანის რჩევით მიანდო თ. გიორგი ერისთავს, ის იყო ვარშავიდან ახლად ჩამოსულს. ქართული თეატრის დაარსებაც დ. ყიფიანისავე მეცადინეობით მოხდა“.[1] ვორონცოვმა დ. ყიფიანი მის მიერ დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად დანიშნა, სადაც იგი ენერგიულად ცდილობდა საქმემამულეთა და გლეხებისათვის დახმარება გაეწია. არა ნაკლები სახელი მოიხვეჭა მურავიოვისა და ბარიათინსკის დროსაც დ. ყიფიანმა. ესენი დ. ყიფიანის შეგნებით ვორონცოვის პოლიტიკის გამგრძელებელნი იყვნენ. სამაგიეროდ დ. ყიფიანის ერთგულებაც და რუსეთის მთავრობისადმი სამსახური აუწერელი იყო. ამ მარივ აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია ყირიმის ომთან და აფხაზეთის საკითხთან. იმ ხანებში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა თურქეთის ჯარი ომერ-ფა-

[1] ნიკ. ყიფიანი: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“ ჟურნ. „მოამბე“ № IV, გვ. 78 1894 წ.

შას მეთაურობით. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შერვაშიძის მოქმედებამ ერთგვარი ეჭვი გამოიწვია რუსეთის მთავრობაში: ადგილობრივ ხელისუფლებას სურდა გაეგო მ. შერვაშიძე მტკიცედ იდგა რუსეთის ერთგულების ნიადაგზე თუ ღალატობდა მას და თურქეთთან ქონდა კავშირი დაჭერილი. ამ საკითხის გამოძიება და მის შესახებ დაბეჯითებით ცნობების შეკრება დ. ყიფიანს დიავალეს, რომელმაც რამოდენიმე ხნის განმავლობაში შეკრიბა ცნობები, აწარმოვა საიდუმლო გამოძიება და თავისი დასკვნები წარუდგინა ადგილობრივ ხელისუფლებას;[1] ამ დასკვნაში დ. ყიფიანი ამართლებდა მ. შერვაშიძეს და რუსეთის ერთგულად გამოუყავდა, მაგრამ ეს იყო დასკვნა არა ზერელე გამოძიებისა, არამედ საქმის ყოველმხრივი გაცნობისა. დ. ყიფიანი ამ შემთხვევაში გამოდიოდა არა თავისი პირადი სიმპატიებითა და ანტიპატიებით, არამედ რუსეთის სახელმწიფოს თვალსაზრისით: იგი საკითხს მიუდგა როგორც მოვალეობით დატვირთული ერთგული მოხელე, რომლისათვისაც სახელმწიფოს ბედნიერება და მისი მომავალი ყველაფერზე მაღლა იდგა, თავის პირად ინტერესებზედაც და მეგობრულ დამოკიდებულებაზედაც.[2] აღნიშნული საკითხის გამოძიების მიზნით დ. ყიფიანს ერცელი საუბრის გამართვა დასჭირდა მიხეილ შერვაშიძის მეუღლესთან — ალექსანდრასთან, რომელიც იმ ხანებში სამეგრელოში ცხოვრობდა, ხოლო მისი მეუღლე კი ომერ-ფაშას მიერ დაპყრობილ აფხაზეთში იმყოფებოდა. დ. ყიფიანი ცდილობს სხვადასხვა კითხვების მიცემით გამოტეხოს მთავრინა და ათქმევინოს მისი ქმრის შესახებ საიდუმლო ცნობები. იგი ცდილობს თვით კითხვების დასმის დროსაც სახეზედაც კი წაიკითხოს მთავრინას სულიერი განწყობილება.

„უნდა გაგიმხილოთ ერთი საიდუმლოება რომელიც დიდი გაფრთხილებით გადმომცეს,—ეუბნება ყიფიანი მთავრინას,—ერთი თქვენი წერილი ხელში ჩაიგდეს და მე ის წერილი წავიკითხე. ყიფიანი დააცქერდა მთავრინას და მისი სახის გამომეტყველებაზე უნდოდა გაეგო შეურაცყოფილია იგი ამ გარემოებით რომ წერილებს იპერენ, თუ შეშინებულია იმ აზრით, რომ წერილის შინაარსი გაიგეს. მაგრამ მთავრინას შიში არ ეტყობოდა, შეურაცყოფილმა წამოიძახა: „... მერე იპოვეს მაინც იმ წერილში ის, რასაც ეძებდენ საბუთი მისი დანაშაულობისა.“ ეს კითხვა ისეთი დარწმუნებული კილოთი იყო მიცემული, რომ ეტყობოდა უარყოფის პასუხს ელოდებოდა. — „არა. ვერა იპოვეს რა — მიუგო ყიფიანმა.[3]

[1] Доклад д. Кипиани от 14 октября 1855 г.

[2] დ. ყიფიანი თავის მოგონებაში სწერს:“ სრულიად საჭიროდ არ მიმაჩნია იმისი მტკიცება. რომ ჩემს მიერ შეესებულ ცნობების გაშუქებაზე არაჰქონია გავლენა ჩემს პირად გრძნობას, უანგარიშო სურვილის გრძნობას, უანგარიშო სურვილის გრძნობას, რომ პასუხი ყოფილიყო უარყოფითი; მაშინ, როდესაც დადებითი პასუხი იქნება სასაყვედუროდ ყოფილიყო იმ მთავრობისადმი С. Эсадзе, „историческая записи об управление Кавказом“, ტ. I. გვ. 147—55, 1907 წ. რომელსაც მე ვემსახურებოდი და რომელიც ამიტომ ჩემთვის ძვირფასი იყო „ჩემუარები“ გვ. 47.

[3] С. Эсадзе „исторические записи об управлении Кавказом“, ტ. I, გვ. 197—55, 1907 წ. აქვე მოყვანილია შინაარსი დოკუმენტის: „Доклад Кипиани от 14 октября 1855 г.“ ეს დოკუმენტი ინახებოდა მეფის მოადგილის საიდუმლო განყოფილებაში.

ეს მომენტი საინტერესო არის დ. ყიფიანის დასახასიათებლად. რასაკვირველია, ქართველი ინტელიგენტის ასეთ არა სასურველ როლში გამოსვლა გაუგებარი იქნება თანამედროვე ინტელიგენტისათვის. მაგრამ ყიფიანს თავისი ეპოქისა და თავისი წოდების მორალი ჰქონდა; ეს მორალი და პოლიტიკური შეგნება, აღმოცენებული წმინდა კლასიურ-წოდებრივ ინტერესების საფუძვლებზე, პირდაპირ უკარნახებდა დ. ყიფიანს ერთგული სამსახური გაეწია რუსეთის მონარქიისათვის. საფუძვლიანად სწერს არ. ჯორჯაძე ამ ფაქტის შესახებ: „ყიფიანი მოვალეობის კაცი იყო. რაკი ემსახურებოდა მთავრობას, სწამდა, რომ მთავრობის სიკეთე უნდოდა და ჰკისრულობდა ამ აზრის მიხედვით, იმგვარ საქმეების მოწესრიგებას, რასაც ჩვენ დღეს ეკვეის, უნდობლობისა და გმობის თვალით ვუყურებთ".[1]

როგორც ვიცით დ. ყიფიანის ასეთი პოლიტიკა მთელი მაღალი წოდების პოლიტიკურ სოფლმხედველობას გამოხატავდა: 1830-32 წლეების შეთქმულების დამარცხების შემდეგ ჩვენი მოწინავე წოდების დიდი უმეტესობა ამ პოლიტიკურ-ეროვნულ პროგრამის მატარებელი იყო. მაგრამ ვიფიქრებთ, რომ 60—70-იანი წლების რადიკალურად განწყობილი ქართველი ინტელიგენცია მხარს უჭერდა დ. ყიფიანის ასეთ ეროვნულ პოლიტიკას. ეს ინტელიგენცია პატივს ცემდა დ. ყიფიანს როგორც პატიოსან და ენერგიულ პიროვნებას. მაგრამ მისი ერთგულების გრძნობა და პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იყო ამ ინტელიგენციისათვის, ამის შესახებ საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტები არსებობს. 1880 წ. დ. ყიფიანს მინგრელსკის მამულის შესახებ კამათი ჰქონდა გაზ. „დროების" თანამშრომელ ვლ. მიქელაძესთან[2] მოგვყავს მიქელაძის მეორე საპასუხო წერილიდან ერცელი ადგილი: „თქვენ საზოგადოდ დიდს რაღაცა ვალს გვამადლით, — სწერს ავტორი დ. ყიფიანის შესახებ, — თითქოს დიდი რამ მოღვაწეობა მიგიძღოდესთ სამშობლოს წინაშე. ბევრი ესძებნეთ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, მაგრამ თქვენგან გაკეთებული „ბევრი" ვერა ვნახეთ რა; როცა ჩვენ (ახალთაობამ) ცხოვრებაში ფეხი შევდგით, თქვენი ნამოქმედი არა გვიპოვნია რა. თუმცა ბევრი რამ არც ჩვენ გაგვიკეთებია — მაგრამ ჩვენ კიდევ დრო გვაქვს; ჩვენი მოქმედების დამფასებელი მომავალი შთამომავლობა უნდა იქნეს და არა წარსული ან მიმავალი; იმან გაგვკიცხოს, იმან გვაძაგოს, თუ უსარგებლოდ გავატაროთ ჩვენი ცხოვრება, თუ მამულს ვერ ვეესახეროთ. თქვენ არ გეკითხვისთ ჩვენზედ სჯა.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორლაც მონდომებული ხართ ძველი შთამომავლობის შვილები, რომ უეცველად რაიმე მკაცრი ბრალი დაგვდოთ მამულის წინაშე: ზოგნი გვწამებთ, ვითომ ამბოხების და არეულობის მოხდენა უნდა გვწადდეს და ამითი გაუბედურება ჩვენის სამშობლოისა, ზო-

[1] არ. ჯორჯაძე: ტ. II, გვ. 160-61, 1911 წ.

[2] იხ. „სამეგრელოს საქმეები" „დროება" № 205, 2/III — 1880 წ. და დ. ყიფიანის წერილი რედაქტორთან „დროება" № 210, 1880 წ.

გნი — ეითომ უღერეთობას უნდა ვთესდეთ და ვღალატობდეთ სასწავლებლებში და სხვა.... დროა, ბოლო მოეღოს ამ გვარებს; მიკვირს, როგორ არ მოგყირქდათ. ვერ მიმხვდარვართ, რა გნებავთ ამითი მოახდინოთ. რა მიზანა ელტვით? ნამეულს ერთგულობთ? მაგრამ როგორ დავიჯეროთ? თქვენი ერთგულობის ნაყოფი აქამდე არ გვინახავს, აწი კი საეჭვოა. **დრომ ხხვა მოთხოვნილებანი მოიტანა, სხვა მიმართულებისა და სხვა ძალღონის კაცებს თხოულობს:** ეს ჩვენზე ნაკლებ, დარწმუნებული ვართ, არც თქვენ გესმისთ ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ აქ სხვა აზრს ეტრფით, სხვა განძრახვა გაქვთ: ალბათ, გნებავთ **ყურადღება დაიმსახუროთ** და ჩვენის **გაკიცხვით ერთგულება გამოიჩინოთ.** არ ვიცი ვინ დაგრჩებათ მადლობელი; მხოლოდ ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი დაქოლჯაც ადვილი არ არის; **თუმცა ჩვენ იმ იარაღს არ ავიღებთ, რომლითაც თქვენ გზა გაგიკაფავთ და ეხლაც ჰკაფავთ; არც იმ გზაზე გავივლით",** [1]

ეს წერილი დამახასიათებელია იმ მხრივ, თუ როგორ უყურებდა ამ პერიოდის ახალთაობის ინტელიგენცია დიმ. ყიფიანის წარსულ მოღვაწეობასა და საქმიანობას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ ეს განწყობილება 80-იან წლებში შეიცვალა, როდესაც დ. ყიფიანმა აშკარა ბრძოლა გაუმართა ადგილობრივ ხელისუფლებას ქართული ენისა და სხვა საკითხების დაცვის საქმეში.

აღსანიშნავია ნ. ნიკოლაძეს წერილიც დ. ყიფიანის შესახებ. ამ წერილში ავტორი აღნიშნავს დ. ყიფიანის დიდ ნიჭსა და გამოცდილებას, მის ენერგიასა და მტკიცე ხასიათს, — მაგრამ მასთანვე ამბობს, რომ მისი სოფლმხედველობა მისი ეპოქის ბეჭედს ატარებს და დ. ყიფიანისა და, მაგ., ჩვენს (60-იანი წლების ახალთაობის) სოფლმხედველობის შორის დიდი მანძილი არსებობს. [2] ძართლაც დიდი ნაწილი 60-70-იანი წლების მოღვაწეებისა არ იზიარებდა დ. ყიფიანის ეროვნულ-პოლიტიკურ პროგრამას.

## 2

დიმ. ყიფიანის საზოგადოებრივი მოღვაწეობის დახასიათების დროს შეუძლებელია გვერდი აუაროთ მის პოზიციას სამეგრელოს აპეკის საქმეებში როგორც ვიცით, სამეგრელო უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის მართველობაში შევიდა და მისი მთავარი ავტონომიური უფლებებით სარგებლობდა სამეგრელოს მართვის საქმეში. მაგრამ რუსეთის ადგილობრივი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ მთელს ა/კავკასიაში მტკიცეთ დაემყარებია რუსეთის მართველობის სისტემა და ამ მიზნით ზედიზედ აუქმებდენ წინად გაცემულ „ავტონომიურ უფლებებს".

[1] მეთაური წერილი: „ბ. დიმიტრი ყიფიანსა" „დროება", № 211, 1880 წ.

[2] იხ. წერილი: „Наши современники Тифлисский Вестник", № 132, 1875 წ.

ბოლოს ჯერი სამეგრელოზედაც უნდა მოსულიყო. ყირიმის ომის პერიოდში სამეგრელო თურქეთის ჯარის სათარეშო მოედანიც გახდა. ამ გარემოებამ დიდი ეკონომიური კრიზისი გამოიწვია სამეგრელოში და მატერიალურად გააღატაკა ხალხი. 1857 წ. სამეგრელოში გლეხთა გრანდიოზულმა მოძრაობამ იფეთქა, რომელმაც რამოდენიმე თვეს გასტანა და თითქმის მთელს სამეგრელოს მოედო.[1] ამ არეულობის მიზეზი იყო, ერთი მხრივ, გლეხთა და მემამულეთა გამწვავებული ურთიერთობა,[2] ხოლო მეორე მხრივ მართველობის სისტემა რომელიც ფეოდალური სისტემის ნაშტს წარმოადგენდა: მართველისა და სახელმწიფოს ქონება განუყრელი იყო: სახელმწიფოს მართველობა ოჯახურ მართვის სისტემასთან იყო გათანასწორებული.[3] გლეხთა არეულობით ისარგებლა ადგილობრივმა დასავლეთ საქართველოს ხელისუფლებამ და სამეგრელოში ჯარი შეიყვანა. მთავრინა — ეკატერინა რუსის ჯარის მოწვევის მომხრე იყო მხოლოდ იმისთვის, რომ მათი ძალით სასტიკათ დაესაჯა აჯანყებული გლეხობა და განემტკიცებიათ ძველი მართველობა;[4] რუსის მოხელენი კი ცდილობდენ ესარგებლად მომენტით და მართველობის რუსული სისტემა განემტკიცებიათ სამეგრელოში;[5] ისინი სრულიად საფუძვლიანად დარწმუნებული იყვნენ, რომ კვლავ ძველი მართველობის გაგრძელება ხალხის უფრო დიდსა და საშინელს არეულობას გამოიწვევდა, რომლის ჩაქრობისათვის დიდი სისხლი უნდა დაღვრილიყო.[6] აღგილობრივი მთავრობის მოსაზრებებმა გავლენა მოახდინეს ალექსანდრე მეორეზე და უმაღლესი ბრძანებით მთავრინა ეკატერინე თავისი შვილებით გაიწვიეს პეტერბურგში ვითომ. და შვილების აღსაზრდელად, არსებითად კი სამეგრელოში განამტკიცეს რუსული მართველობა სანამ მთავარი ნიკო სრულწლოვანი გახდებოდა, ხოლო როდესაც (1867 წ.) იგი სრულწლოვანი გახდა მას მართველობაზე ხელი ააღებიეს.[7] აი ამ პერიოდში მოხდა დ. ყიფიანის სამეგრელოს არასრულწლოვანი მთავრის აპეკუნად ყოფნა. თვით დ. ყიფიანი სწერს. „1859-დან 1867-მდის აპეკუნად ვიყავ მთავრის სახლის საკუთრებაზედ კანონის ძალით და 1867-დან ამ 1868-ის აუგვისტომდის იმავე საკუთრების მართველად, პატრონებისაგან რწმუნების წერილის ძალით“[8]. ამ საქმეშიაც დ. ყიფიანმა დიდი ენერგია და მუყაითობა გამოიჩინა; მაგრამ ეს ამ ჟამად არ შეადგენს ჩვენს

[1] იხ. „Акты“ ტ. XII, გვ. 252—77. К. Бороздин: „Закавк. воен.. გვ. 69-121, 1885 წ

[2] თვით მთავრობის აგენტები აღნიშნავდენ გლეხთა აუტანელ მდგომარეობას იხ „Акты“, ტ. XII, გვ. 270.

[3] იქვე. გვ. 251.

[4] იქვე, გვ. 267.

[5] იქვე, გვ 275-6.

[6] იქვე, გვ. 268, 265

[7] იქვე.

[8] იხ. ყიფიანის ბროშურა :„ სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ გვ. 4-5 1869 წ ლს. არის იგივე ბროშურა რუსულად: „Мингрельский Князевский дом и Д. Кипиани“ 1868 г.

საგანს. ჩვენ გვაინტერესებს დ. ყიფიანის პოლიტიკა ამ საქმეში. დ. ყიფიანს თავის აპეკუნობის დროს მწვავე დავა მოუხდა სამეგრელოს ახალ ხელისუფლებასთან. თვით დ. ყიფიანი ამის შესახებ სწერდა. „ამ დავების უმთავრესი წყარო ის იყო, რომ მთავრის ოჯახი სამარადისოდ გასული ეგონა ქვეყანას სამეგრელოდან და დამკვიდრდა იმისი საკუთრების დამრღვეველი აზრი, რომელსაც ანდაზა წარმოთქვამს, ბრალი შორეულთაო. ამ აზრის ხალხში დამკვიდრებას მაშინვე დაჰყვა სიძულვილიც აპიკასა და ადგილობრივ მთავრობის შუა, ასე რომ ცალს მხარეზე მარტო აპიკა დარჩა და მეორეზედ ხალხი და მართველნი მისი“.[1] უფრო გარკვევით თავის „მემუარებში“ სწერს დ. ყიფიანი: „...1958 წლიდან არ ვათხოვე ყური სამეგრელოს ხალხის ხმას და ამ ხნიდან მოყოლებული 9 წლის განმავლობაში თავგამოდებით ვიცავდი სამეგრელოს მთავრის სახლობის ინტერესებს“.[2]

საქმე ის არ არის, რომ დ. ყიფიანმა გარკვეული დავალებები მიიღო უმაღლესი ხელისუფლებისაგან, მეფის. მოადგილეს ბარიათინსკის სახით. მისი (მთავრის) მამული დაცული უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში... აპეკის მოვალეობაა დაცვა იმ პირის მამულისა, უმაღლესი მფარველობის ქვეშ რომ უშუალოდ იმყოფება“.[3] მაგრამ ეს უბრალო განკარგულება არ იყო დ. ყიფიანისათვის. ამას ბრძანებდა უმაღლესი ხელისუფლება, რომლის განკარგულების გადახვევა მისთვის დაუშვებელი და მიუღებული იყო. ამიტომ მისთვის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა მთავრის უფლებრივ ინტერესების დაცვა ხოლო ამ უფლებების დაცვის დროს იგი „გამოდიოდა დამცველად იმ გვარი სოციალური წესისა, რომელმაც გამოიწვია სამეგრელოს გლეხთა არეულობა“.[4] ე. ი. დ. ყიფიანი ფაქტიურად იცავდა ფეოდალური მართველობის წესსა და იმ აუტანელ მდგომარეობას, რომელშიაც უკვე იმყოფებოდა სამეგრელოს გლეხობა. დ. ყიფიანმა დაწვრილებითი ცნობები შეკრიბა სამეგრელოში იმის შესახებ, თუ რას იხდიდენ წიეთ მთავრის გლეხები. შეადგინა აქედან საერთო ჯამი, რომელიც მათ უნდა გადაეხადათ არა ნატურით, როგორც წინეთ, არამედ ფულადი გადასახადით.[5] ბოროზდინი თავის მოგონებებში სწერს. „...ყიფიანის ზრხაევები მიმართული იყო არა მარტო ძველი რეჟიმის აღდგენისაკენ მთავრის სამფლობელოში, არამედ ახლად გამოგონებულ საშუალებებით კიდევ უფრო დიდ დამონებისაკენ მიყავდა გლეხობა“.[6] ასე მსჯელობდა სამეგრელოს ახალი ადგილობრივი ხელისუფლება და ამ საზომით ებრძოდა იგი დიმ. ყიფიანს; აქიტომ გასაკვირი არ არის, თუ მისივე სიტყვით ერთ მხარეზე ეს

---

[1] ყიფიანის ბროშურა. „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ გვ. 24.

[2] „მემუარები“ გვ. 65.

[3] იქვე, გვ. 57.

[4] არ. ჯორჯაძის მონოგრაფია, „სახალხო გახვეთი“, № 800, 1913 წ.

[5] ბოროზდინის მოგონებანი გვ. 363.

[6] იქვე გვ. 405.

უკანასკნელი მოყვა, ხოლო მეორეზე — ადმინისტრაცია და ხალხი. დ. ყიფიანის მიზანი იყო არა ძველი პიროპების შეცვლა და განახლება, არამედ მისი დაცვა. ამით იგი აუცილებლად ეწინააღმდეგებოდა თავის სოფლმხედველობასთავის შინაგან რწმენას, სამაგიეროდ პირნათლად ასრულებდა მთავრობის დადგინილებას, უმაღლეს კანონს, რომ შთაჯრის უფლებები შეურყეველად დაცული ყოფილიყო. ამ შემთხვევაში, დ. ყიფიანი პირნათლად და ენერგიულად ასრულებდა კანონს, უმაღლეს ბრძანებას, ამით დაირღვა პრინციპი, სამაგიეროთ ურყევი დარჩა კანონი. საინტერესო არის თვით ყიფიანის ნსჯელობა. ერთ თავის მოხსენებაში რომელიც კავკასიის კომიტეტში იქნა გადაგზავნილი იგი სწერდა: „ყოველთვის, რაც შთავარს ეკუთვნის ხალხი სახასოს, სახაზინოს ეძახის, უძრავი ქონება, რომელსაც არა ფლობენ კერძო მესაკუთრენი სახასოა ან სამთავრო, სადადიანო და ყველა ამ სიტყვებს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. გლეხები განსაზღვრულ გადასახადს იხდიდენ სახასოდ ხაზინაში... აი რატომაც სამეგრელოს მთავრის მამულს შეეხება ამჟამად არ ვხედავ კერძოდ სახელმწიფო საკუთრების შესახებ განსხვავებას და ამიტომ სანამ უმაღლესად დაწესებულ მოვალეობას ვასრულებ და განვაგებ მთავრის ქონებას და სანამ მთავრის მოქალაქობრივი უფლებანი უმაღლესად დამტკიცებულ საზღვრებში რჩება, ჩემ მოვალეობად ვსთვლი ყოველივე ამას უპატრონო აპეკის უფლებებით“.[1]

ასე ფიქრობდა დ. ყიფიანი და მისი სამოქმედო ხაზიც ამ გზით იყო მიმართული. მაგრამ ამ მხრივ იგი შეეტაკა სამეგრელოს მმართველების პოლიტიკასაც და თვით ბარიატინსკის შეხედულებებსაც. როგორც ცნობილია, სადავო საკითხი გადაიტანეს პეტერბურგში კავკასიის კომიტეტში, სადაც სრული გამარჯვებად. ყიფიანს ხელა წილად. სამაგიეროთ ბარიატინსკის ბრძანებით იგი გამოესალმა მეფის მოადგილის საბჭოს წევრობას. მაგრამ დ. ყიფიანი მაინც კმაყოფილი იყო, რადგან მას ადგილობრივი ხელისუფლების „ეს წინააღმდეგობა მიაჩნდა დაუჯერებელ თავხედობად უაღრეს შეურაცყოფათ იმ ხელისუფლების, რომელსაც ემსახურებოდა“.[2]

მეორე მხრით დ. ყიფიანი ვერ ასცდა საყვედურს ლიბერალურად მოაზროვნე ხალხისაგანაც. გერცენის „კოლოკოლში“ იგი სასტიკად გაჰკიცხეს. 1861 წ. უცნობი ავტორი სწერდა მის შესახებ:

„ყიფიანმა ჩამოიარა რა სოფლები, როგორც აპეკუნმა და კავკასიის მეფის მოადგილეს საბჭოს წევრმა, გამოცვალა და დეენა დაუწყო სოფლის არჩეულ მამასახლისებს, მოსამართლეებს და გადასახადის შემკრებთ და თავის მხრით ნიშნავდა სხვებს. ის თხოულობდა, რომ გლეხები, რომელსაც უწინდელ დროში ერთ-ერთ-ერთი გადასახადებით ან დამსახურებით გამოეყიდათ თავი ბატონეთათვის ყოველწლიური გადასახადების მირთმევისაგან და შეეძინათ მიწები, ჩაეწერათ დადიანების ყმებად მათ მიერ ნაყიდ

[1] „სახალხო გაზეთი“ № 800, 1913 წ.

[2] „სკოლა სულისა“ გვ. 53.

მიწებითურთ".[1] ასე სწერდა „კოლოკოლის" კორესპონდენტი, ხოლო 1880 წ. ადგილობრივ პრესაშიაც გაკვრით გადაჰკრეს დ. ყიფიანს. „დროებაში" ვკითხულობთ: „სამეგრელოს უკანასკნელ მთავრის შვილმა ნიკ. დადიანმა-მინგრელსკიმ, მეგრელებს ტყავის გაძრობა და მთელ თავად-აზნაურობას დაუწყო მამულების თაობაზედ დავა".[2] დ. ყიფიანს არ მოეწონა ქართული გაზეთის ასეთი მკაცრი გალაშქრება მის წინაღმდეგ და არა ნაკლები სიმკაცრით უპასუხა გაზეთის თანამშრომელს: „ამას იტყვის ან ისეთი კაცი, რომელსაც სრულიად არა გაეგება-რა თავისი ლაპარაკისა, ან ისეთი, რომელსაც სხვა წადილი არა აქვს იმის მეტი, რომ ამბოხება მოახდინოს როგორმე... მეორე შემთხვევაში უფრო ვწუხვარ, რადგან არ იცის რა საშინელის პასუხის საგებლად ჰხდის თავის თავს თუ საწადელი აღსრულდა და ამბოხება ჩამოვარდა".[3]

ასეთი იყო დიმ. ყიფიანის პოზიცია სამეგრელოს მთავრის საქმეებში. აქ დიმ. ყიფიანი მოქმედებდა როგორც მოხელე, როგორც აღმასრულებელი უმაღლესი ბრძანებისა. მაგრამ თვითმპყრობელობის კანონის ურყევად შესრულების დროს, დ. ყიფიანი არღვევდა სამართლიანობის კანონს, იცავდა დახავსებულ ფეოდალურ წყობილების ნაშთებს და მსხვერპლად სწირავდა ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას მთავრის ინტერესებს.[4]

## 3

დიმიტრი ყიფიანის საზოგადოებრივ მოღვაწეობის დახასიათების დროს შეუძლებელია ბხედველობიდან გამოშვებული იქნეს ერთი ფაქტი, რომელსაც დიდი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს: 1864 წლის დასაწყისში დ. ყიფიანი თითქმის ერთხმად არჩეული იქნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად სამი წლის ვადით (1864-66 წ.); ვადის გასვლის შემდეგ, 1867 წ. განმეორებით არჩეული იქნა იმავე თანამ-

[1] ხელმოუწერელი წერილი: „Введение крепостного права в Мингрелии." („კოლოკოლის" დამატება) № 12, გვ 100—101, 1861 წ.

[2] „დროება", № 205, 1880 წ.

[3] „დროება", № 210, 1880 წ. დ. ყიფიანის წერილი.

[4] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ყიფიანს ნ. მინგრელსკისთან ალეკის სიკითხების გამო საჩივრები ჰქონდა. მინგრელსკი ბრალად სდებდა ყიფიანს ზედმეტი ხარჯების გაწევას, რაც დაუბარალა მამული. იგი მოითხოვდა 113.000 მანეთამდე გადახდევინებას ყიფიანისაგან, ყიფიანი თავის მხრივ მოითხოვდა ზედმეტი ნამუშევარის ანაზღაურებას (ამ საკითხის შესახებ პატარა ბროშურაც გამოსულა: „Заседание тифлисского окружного суда 9 апреля 1876 г. по делу кн. Мингрельского с Дим. Киппани". იხ. აგრეთვე „დროება" № 15 1871 წ. წერილი. „უფ. დიმიტრი ყიფიანის და თ. მინგრელსკის საქმე", „დროება" № 48, 1872 წ. იგივე საქმე. დაუმ დიეზანს გასტანა სასამართლოების სხვადასხვა ინსტანციებში და ბოლოს დ. ყიფიანს შიუსაჯეს 50.000 მან. გადახდევინება მინგრელსკის სასარგებლოდ; რამოდენიმე წლის შემდეგ დ. ყიფიანი და მინგრელსკი შეარიგეს და ყიფიანი გაანთავისუფლეს ამ გადასახადისაგან.

დებობაზე.[1] ამ თანამდებობაზე მეორეთ არჩევისას მან დაყო კიდევ სამ წელზე მეტი (1867-70). ჩვენთვის აქ თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევა კი არ არის საინტერესო, არამედ თვით დიმ. ყიფიანის არჩევის ფაქტი არის, საყურადღებო ისტორიულად და მისი სამოღვაწეო პროგრამაა მნიშვნელოვანი. როგორც ჩვენ უკვე ვიცით, თავისი შთამომავლობით დ.ყიფიანი უბრალო აზნაური იყო, ხოლო თავისი პროფესიით მეფის-მოხელე. და აი ამ უბრალო აზნაურისა და ცნობილ მოხელეს თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩევის ფაქტი არის ისტორიულად საინტერესო; იგი აუცილებლად გამოხატავს ჩვენი ფეოდალური არისტოკრატიის კრიზისს; მათი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის დაცემას. დ. ყიფიანის არჩევას დიდი წინააღმდეგობა გაუწია მსხვილმა არისტოკრატიამ,—განსაკუთრებით კი ორბელიანთა და ბაგრატიონ მუხრანსკთა გვარმა. ეს ბრძოლა არ იყო პიროვნული ბრძოლა: ამ ბრძოლაში თავისი გამოხატულება ჰპოვა იმ წოდებრივ სოციალურმა წინააღმდეგობამ, რომელიც თვით თავად-აზნაურთა წოდებაში წარმოებდა წვრილ და მსხვილ ფენათა შორის. რუსეთის ცენტრალისტურ-ბიუროკრატიული მართველობის განმტკიცებამ პოლიტიკურად დასცა ფეოდალური არისტოკრატია, ხოლო ჩვენი ქვეყნის შემდეგმა ეკონომიურმა ევოლიუციამ — სავაჭრო კაპიტალის ზრდამ — მატერიალურადაც განადგურების გზახე დააყენა იგივე წოდება. ეპოქამ წინ წამოაყენა ახალი ადამიანები და მასთან შეფარდებით ახალი სოციალური წრეები: ნაცვლად ფეოდალური არისტოკრატიისა ეპოქამ მოითხოვა მოხელე-არისტოკრატია—მსახური თავად-აზნაურული წოდება და მთელი გასული საუკუნის პირველ ნახევრის მანძილზე ამ ღრმა მნიშვნელობის სოციალურ პროცესს ჰქონდა ადგილი. დ. ყიფიანი, როგორც წარმომადგენელი წვრილი თავად-აზნაურობისა და ამ მოხელე არისტოკრატიულ ფენების, მიუღებელი კანდიდატურა იყო მსხვილი არისტოკრატიისათვის, რომელიც ჯერ კიდევ სულდგმულობდა თავისი ისტორიული წარსულით. იგი მტკიცედ იდგა თავის ისტორიულ-წოდებრივ უფლებებზე[2] და საქართველოს დაღუპვის საქმეს ამ ფეოდალური არისტოკრატიის დაცემას უკავშირებდა. იგი ჯერ კიდევ ვერ ურიგდებოდა ახალი სოციალური ფენების გამოსვლას სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს ბრძოლა მსხვილ არისტოკრატიასა და წვრილ თავად-აზნაურობის შორის, დაწყებული 20-30 იან. წლებში, გაცხარებული ფორმით სწარმოებდა ჩვენში 60-70 წლებში თავად-აზნაურთა კრებები, სათ.-აზნაურო ბანკები და სხვა ნრეალი გადაიქცა ამ ბრძოლის ასპარეზად.[3] დ. ყიფიანისა და მსხვილი არის-

[1] იხ. „კეთილშობილთა კენჭის ყრაზედ ტფილისის გუბერნიაში“ „დროება“ № 24, 25, 1867 წ. აქვე მოყვანილია დ. ყიფიანის სიტყვაც.

[2] შეადარეთ: Речь П. И. Поселиани о значеньи грузинского дворянства „Кавказ“ № 13, 1816 წ.

[3] ვ. წერეთელი საინტერესოდ გვისურათებს ამ ბრძოლის პროცესებს „გულქანის“ მეორე ნაწილში.

ტოკრატიის შეტაკება 1864 წ. ეს მეტად დიდი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ამ ბრძოლის ისტორიაში, ხოლო აზნაურისა და მოხელის დ. ყიფიანის გაბარჯვება და ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად გახდომა კიდევ უფრო დიდი ისტორიული ფაქტი. 1864 წ. „გრ. ორბელიანის დემონსტრაცია უკანასკნელი დემონსტრაცია იყო ფეოდალურ წყობილებაში წარმოშობილ წოდებრივობის სისტემისა, სადაც თავადსა და აზნაურს სხვადასხვა საფეხურებზე ჰქონდათ მიკუთვნილი სოციალური პოზიცია და სადაც ამ პოზიციების ერთმანეთში გათანასწორება შეუძლებელი იყო".[1]

მართლაც საინტერესო არის გრ. ორბელიანისა და დ. ყიფიანის დაპირისპირება, როგორც სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენელთა. მათ ეროვნულ-პოლიტიკურ სოფლმხედველობაში თითქმის არავითარი განსხვავება არ აოის. მაგრამ მათი საზოგადოებრივ მოღვაწეობის ხასიათი და როგორც ტიპები საზოგადოებრივ მოღვაწეთა სხვადასხვა გვარია. გრ. ორბელიანი გამოსული იყო მაღალი არისტოკრატიული წრიდან და მისი განცდები ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული ფეოდალურ მისწრაფებებისაგან: ლხინი, ქეიფი, მწევარ-მეძებრები, ცხენები და სხვ. ახასიათებს გრ. ორბელიანის ოჯახურ საქმიანობას.[2] დ. ყიფიანი ამის ანტიპოდია: იგი შთამომავლობით წვრილი აზნაური, დატვირთულია „საზოგადოებრივ" საქმეებით და მხოლოდ ამ საქმეებით სუნთქავს. იგი სახელმწიფო სამსახურში გამოიქცა და გახდა **მოხელე—მსახური—არისტოკრატი.** დ. ყიფიანის მდიდარ საარქივო მასალებში თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთს პუკარს იმისას, რაც ახასიათებს გრ. ორბელიანის კერძო წერილებს კერძო ბედნიერებისა, ლხინისა და სხვათა შესახებ. ეს ორი სხვადასხვა ტიპი არის: ერთი ფეოდალური არისტოკრატიის წრიდან **დახული** მოხელე—არისტოკრატიამდე, მეორე—**წვრილი** აზნაურობის ფენიდან **ახული** იმავე პროფესიამდე. ამ ახალმა პროფესიამ ისინი გაათანასწორა, მაგრამ წარსული ტრადიციების სიმძიმე მძიმე ტვირთად აწვა ამ გათანასწორების საქმეს და კონფლიქტიც აუცილებელი იყო.

1864 წ. არჩევნების გარშემო წარმოებული ბრძოლა ვრცლად აგვიწერა თვით დ. ყიფიანმა თავის „მემუარებში." ჩვენ შევეცდებით სხვა წყაროებიდან გავაშუქოთ იგი მოკლედ. ამ ბრძოლის მომსწრე, ცნობილი მწერალი ანტონ ფურცელაძე თავის მოგონებებში სწერდა: „თითქმის მთელი წარჩინებულნი, გრ. ორბელიანისა და ივ. მუხრანსკის მეთაურობით, წინააღმდეგნი იყვნენ ამ (ყიფიანის) კანდიდატურისა, ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ წინამძღვრად არა მარტო გუბერნიებისა, არამედ მაზრებისაც კი აზნაურის კანდიდატურას აყენებდენ. გუბერნიის კრებაზედ უამრავი აზნაურობა ჩამოვიდა, რასაც წინეთ არასოდეს არ ჰქონია ადგილი. ყიფიანის არჩევაში აზნაურობა დაინტერესებული იყო მით, რომ მან აღუთქვა

[1] ალ. ჯორჯაძე: „დ. ყიფიანი". „სახალხო გაზეთი", № 801, 1913 წ.

[2] იხ. ი. მეუნარგია: „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრ. ორბელიანისა" 1905 წ.

გლეხთა განთავისუფლების გამო გამოეთხოვა მთავრობისაგან დიდი თანხები. ასეთმა შეპირებამ თავადების უმეტესობაც დაათანახმა იმ აზრს, რომ წინამძღოლად ყოლოდათ არა თავადი.. არჩევნები დაიწყო. წინა რიგები დაიპირეს გენერლებმა, სტატსკი და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკებმა და ამგვარმა მსხვილმა პირებმა. დაიწყეს კანდიდატთა დასახელება. ხმის დიდი უმეტესობა ყიფიანს ასახელებდა. წინა რიგმა, გრ. ორბელიანისა და ივანე მუხრანსკის მეთაურობით, დიდი რისხვით, ბრძანებისა და მართველის ტონით, დაუწყო ყვირილი საზოგადოებას და პროტესტი განაცხადა ყიფიანის კანდიდატურის წინააღმდეგ. მაგრამ ყიფიანის სასარგებლოდ ძახილი უფრო გაძლიერდა. მაშინ „მუშა ბოქულაძისა“ და „სადღეგრძელოს“ ავტორმა დაიწყო სიტყვა ყიფიანის წინააღმდეგ, რომ სასირცხო არის თავად-აზნაურობისათვის აირჩიოს თავის წინამძღოლად უბრალო აზნაური“-ო. მაგრამ გრ. ორბელიანი ვერ ასცდა პროტესტებს. დიდი ხმაურობის შემდეგ ივ. მუხრანსკიმ კორპუსის კომანდირის ტონით უბრძანა საზოგადოებას; „როგორ?.. ბუნტობთ?!... ეს ხომ ბუნტია!.... პროკურორს დაუძახეთ აქ. მეამბოხე სურთ გაიყვანონ ჩვენს წინამძღვრად! პროკურორი ახლავე!“ არც ამან გასჭრა და მუხრანსკი სასტიკი პროტესტით გაისტუმრეს. „სწორედ ასეთი თავხედობით დამარცხებული გრ. ორბელიანი ამბობს თავის ისტორიულ სიტყვას: **საქართველო მაშინ დაიღუპა, როცა მე და წვიმიტიძე ერთმანეთს შეგვასწორეს**“.[1]

მეორე აეტორი — შვილი დ. ყიფიანისა, ნიკო ყიფიანი — აგრეთვე დამსწრე ამ კრებისა გრ. ორბელიანის სიტყვას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „—მოგმართავთ თქვენ, საქართველოს კეთილშობილს თავად-აზნაურობასა. სად არიან დღესა სახელოვანი გვარნი სოლოლაშვილებისა, ბასტაშვილებისა და სხვ. განიფანტნენ, განჰქრენ, როგორც გაჰქრა ჩვენი დიდება. აღარ გვიბრწყინავენ დღეს იგინი, ვინც უწინ ბრწყინავდნენ ქართ-კახეთში... დავეცნით, დავმცირდით, წარვხდით, ვაი ჩვენს თავსა. მაგრამ, ახლა ვინცა დავრჩით წარჩინებულთა, უკეთესთა გვართა შვილნი, მოგმართავთ საქართველოს კეთილშობილსა თავად-აზნაურობას, მოგმართავთ ჩვენ, თქვენი უფროსი ძმანნი, თქვენ, ჩვენს უმცროსს ძმათა — ნუ გვაჭმეეთ სირცხვილსა, ნუ დაგვამხობთ თავზედ ჩვენ ქართ-კახეთის გამობრწყინებულ გვართა, აზნაურ იაშვილსა, აბაშიძის ნაზნაურევის შვილსა“.[2]

---

[1] Антон Пурцеладзе: „Наши общественные дела и участие в них Вахтанга Туласва“—газ. „Закавказская речь“ № 132, 1912 წ.

აკაკის თავის მოგონებაში მოყავს გრ. ორბელიანის მეორე სიტყვა საბანკო კრებაზე წარმოთქმული: „საქართველო შურმა და მეტოქეობამ დაამხო... ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს, და ვიღაც ცალქალამანიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა... იმასაც ჩემდენი შეუძლია ამ საკენჭო საქმეებში“ (აკ. წერთელი: „რჩეული ნაწერები“ ტ. I. გვ. 92).

[2] ნიკ. ყიფიანი: „დ. ყიფიანის ცხოვრება“. ჟურ. „მოამბე“ № 4, გვ. 93, 1894 წ.

როდესაც ამ ხერხმა არ გასჭრა, დიდი გვარის წარმომადგენლებმა არ მთიელეს მონაწილეობა არჩევნებში, ხოლო როდესაც დ. ყიფიანი არჩეული იქნა დიდი ხმის უმეტესობით, არ დაერიდენ რომ მთავრობაშიაც წარედგინათ „თხზულნა-დანოსი“ ყიფიანის არ დამტკიცების შესახებ.

ვეიდემბაუშის არქივში აღმოაჩინა ერთი დოკუმენტი, რომელიც შეეხება დ. ყიფიანის თ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩევას. ამ დოკუმენტის სათაურია: „Об избрании д.с.с. Кипиани в звание предводителя дворянства тифлисской губерни (1864 წ.) ეს არის მოხსენება წარდგენილი მეფის მოადგილის მიხეილ ნიკოლოზისადმი. მოხსენების ავტორი არჩევს იმ მოხსენებას, რომელიც გრ. ორბელიანსა და გენერალ ლეიტენატ ბაგრატ-მუხრანსკის წარუდგენიათ ტფილისის გუბერნატორისათვის მეფის მაოდგილის გადასაცემად და რომელიც მიმართვული ყოფილა დ. ყიფიანის არჩევის წინააღმდეგ, როგორც ამ დოკუმენტიდან სჩანს,—გრ. ორბელიანი და ბ.-მუხრანსკი თავის ძოხსენებაში ამტკიცებდენ, რომ დ. ყიფიანის წინამძღოლად არჩევა ვერ შეუწყობს ხელს თავად-აზნაურობის გაერთიანებას, რომ იგი მთავრობის მიერ გამოგდებული იყო სამსახურიდან და ვერ სარგებლობს შესაფერისი ავტორიტეტით; მასთანვე განსაკუთრებით ეყრდნობიან ავტორები იმ აზრს, რომ დ. ყიფიანი თავისი წოდებრივი მდგომარეობით წვრილი აზნაურია და მისი არჩევა წინამძღვრად შეურაცყოფა იქნება ბრწყინვალე წოდებისათვის. გარდა ამისა, დ. ყიფიანის მოწინააღმდეგეებს საზოგადოებაში გაევრცელებიათ, რომ დ. ყიფიანი მომხრეა საქართველოს ავტონომიის იდეისა. ასეთი ყოფილა ამ მოხსენების შინაარსი, რომელიც გრ. ორბელიანსა და ი. მუხრანსკის წარუდგენიათ მეფის მოადგილისათვის და რომლის მიხედვითაც მოუთხოვიათ დ. ყიფიანის არჩევნების გაუქმება. ამ დებულებათა საპასუხოთ მოხსენების ავტორი, სხვათა შორის, ამბობს, რომ მართალია წინეთ თავად-აზნაურთა წინამძღოლად თავადებს ირჩევდენ. მაგრამ ამჟამად გლეხთა განთავისუფლების მდგომარეობა შეიცვალა და მასთანვე დ. ყიფიანი მეტის მეტად ცნობილი პირია და ენერგიული. დ. ყიფიანის საქართველოს ავტონომიის იდეის მომხრეობა არავითარ საფუძველზედ არ არის აგებული. თუ მთავრობა დ. ყიფიანის არჩევნებს დაარღვევს, ამით იგი ვერ გამოიჩენს შესაფერის მიუდგომლობას, მიემხრობა არისტოკრატულ უმცირესობას და ეს კი გამოიწვევს უკმაყოფილებას თავად-აზნაურობაში, რომელიც მხარს უჭერს დ. ყიფიანს. როგორც შემდეგ საქმის ვითარებიდან სჩანს, მეფის მოადგილეს თანახმად ამ მოხსენებისა არ შეუწყნარებია მსხვილი არისტოკრატიის პროტესტი და დ. ყიფიანი დამტკიცებული იქნა ახალ თანამდებობაზე.

ამრიგათ, დ. ყიფიანმა საბოლოოდ გაიმარჯვა ამ საქმეში და იგი ენერგიულად შეუდგა თავის პროგრამის შესრულებას. საინტერესოა გავითვალისწინოთ აქ ის, თუ როგორ იქცევდენ ამყარებდა მასზე თავად-აზნაურობა, როდესაც ირჩევდა თავის მეთაურად. ვინმე თავ. გრ. ციციშვილმა

ამორჩევის შემდეგ მიმართა დ. ყიფიანს და უთხრა: „იმედი არის და გუაქვს, რომელი, განამართლებ ჩუენის საზოგადოების (ე. ი. თავად-აზნაურობის—ს. ხ.) ფიქრს და აზრს, მიაყრობ ყურს პირველ ძველად შენიშნულს ნაყოფიერ ხეებს დაუახლავ ვანსაფურჩენელს გრილს წყალს შეუტრილებ დროსგან შემჭკნარსა ფესვს, უხარებ შტოებს და ახლად ნოყიერ ჩჩვილთ ყრმათ აღმოუმდინარებ ახალს წყაროს და მისცემ განსხვავებას ძველის დროისაგან და მათი ყვავილოვნებით, ნაყოფთა სარგებლობით ისარგებლებ შენცა და იხარებ უკუნისამდე და იქნები დაჯილდოებული შემოქმედებისაგან სოფლისა მრავალ ჟამიერ“.[1] ამრიგად დიდი უმეტესობა თავად-აზნაურობისა დ. ყიფიანს ავალებდა „დროისაგან შემჭკნარი ფესვები ვანეგრილებია“ ამ წოდებისათვის და სიცოცხლის ახალი სული შთაებერა მისთვის; ბატონყმობის მოსპობის შემდეგ თავად-აზაურობისათვის ახალი პერიოდი იწყებოდა, პერიოდი როდესაც მას მეტი ენერგია და სიფრთხილე სჭირდებოდა თავისი არსებობისათვის. ამ ახალი ხანისათვის ესაჭიროებოდა წვრილ თავ.-აზნაურობას დ. ყიფიანის ენერგია და გამოცდილება. ანიტომ აირჩია ამ წოდებამ იგი თითქმის ერთხმად. მსხვილი არისტოკრატიისათვის ისე მწვავედ არ იდგა არსებობის საკითხი, როგორც წვრილისათვის და ამიტომ ეძებდა იგი გმირს, ენერგიულ ხელმძღვანელს. დ. ყიფიანი ბატონყმობის განთავისუფლების პერიოდში ენერგიულად იბრძოდა თავად-აზნაურობისათვის ფულის მიცემის შესახებ, მასვე უნდა ეზრუნა შემდეგშიაც ამ წოდების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. დ. ყიფიანი ენერგიულად შეუდგა ამ საქმეს. მისი საპანკო პოლიტიკა აქეთკენ იყო მიმართული. მაგრამ ისტორიის მიერ სასიკვდილოდ განწირული წოდების გადარჩენა ისეთი დიდი პიროვნების ძალასაც კი აღემატებოდა, როგორიც იყო დ. ყიფიანი.

არ შეიძლება აქ არ გავიხსენოთ ის სიტყვა, რომლითაც თვით დ. ყიფიანმა მიმართა თავის ამომრჩეველებს არჩევნების დამთავრების შემდეგ. აქ ნათლად გარკვევით არის გამოთქმული „ტახტისადმი ერთგულების მოვალეობა“ და თავ.-აზნაურთა ამოცანები ამ საკითხებში. დ. ყიფიანი ამბობდა:

„დღეს, ბატონებო, თქვენ გადასდგით ძნელი, უდიდესი ნაბიჯი თქვენს საზოგადო ცხოვრებაში, თქვენი კენჭებით თქვენ მოიხსენით და წარსულის უფსკრულში გადაისროლეთ ჩვენს თავზე მძიმედ დაკიდებული ცრუ შეხედულებანი. თქვენ ღირსი გამხადეთ მაღალი პატივისა—ჩაგიდგეთ სათავეში; ჩაუდგე სათავეში ქართულ თავად-აზნაურობას, რომელიც უძველესია მსოფლიოში. საჭიროა, რომ არც მომავალში ჰქონდეს ადგილი ჩვენს შორის რაიმე გაუგებრობას. უფლება და მოვალეობანი თავად-აზნაურთა წინამძღოლისა გარკვეულნი არიან: მთავრობის წინ ის არის წარმომადგენელი თავისი წოდებისა და შუამავალი მის სასარგებლოდ, წოდების წინ ის მთავრობის ნაკარნახევის აღმასრულებელი; როგორც ერთი, ისე მეორე

[1] „დიმიტრი ყიფიანის მიწერ-მოწერა“, „სახალხო გაზეთი“, № 752, 1912 წ.

ხახის მოლვაწეობისათვის დაწვრილებით ცნობებს იძლევიან კანონები. რაც შეეხება კანონებს, თქვენ იცით, ბატონებო, რომ მათს პატივისცემა-ხა და იმ წესიერებისას, რომელსაც ისინი ამყარებენ, ვერავითარ შემ-თხვევაში ვერ გადაუხვევ—ამაში არის, მგონი, მთელი ჩემი დამსახურე-ბა თქვენს წინაშე".[1]

დ. ყიფიანის პოლიტიკა გარკვეული იყო: მას სურდა მტკიცე კავშირი გაება მონარქსა და თავად-აზნაურობის შორის: უკანასკნელის უაღრესი ერთგულებით დაემსახურებია პირველის (მონარქის) მოწყალება. მისი გან-მარტებით მონარქი მფარველი იყო თავად-აზნაურობისა; თავად-აზნაურობა უნდა გამხდარიყო მონარქიის დამცველი და მისი იდეების გამტარებელი ა/კავკასიაში; ამ ურთიერთ ერთგულებისა და მოწყალების შეგნებაში ხედავ-და დ. ყიფიანი ქართველი ერის სსნას, ხოლო მისთვის ქართველი ერის ინ-ტერესები იფარებოდა თავად-აზნაურობის ინტერესებით. ბედნიერია თავად-აზნაურობა, ბედნიერი არის ერიც, შევიწროვებული არის ეს წოდება—შე-ვიწროვებას განიცდის ერიც. ამ პოლიტიკიდან განდევნილი იყო ის დაბა-ლი წოდება, რომელსაც გლეხობა ეწოდებოდა. იმ პრინციპს ემსახურებო-და იგი და ამ კლასიურ-წოდებრივი საზომით აშუქებდა ახლად წამოჭრილ საკითხებს. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, მან მაინც ვერ დაიმსახურა მსხვი-ლი არისტოკრატიის თანაგრძნობა. ბრძოლა მის წინააღმდეგ მისი ექვსი წლის წინამძღოლად ყოფნის დროს არ შეწყვეტილა.

იაკობ გოგებაშვილის ხელნაწერებში აღმოჩნდა ერთი წერილი (წერილი მოამბის რედაქციის მიმართ ნ. ყიფიანის წერილის გამო რომელიც შეიძლება ე. თულაშვილს ეკუთვნოდეს. (დაწერილია 1859 წ. ახალციხეში) ამ წერილ-ში ჩვენ ვკითხულობთ:

„იმ ხანებში, ე. ი. 1870 წ. განსვენებული იმპერატორ ალექსანდრე II დააპირა საქართველოში მობრძანება. თუმცა დიმ. ყიფიანი ექვსი წელიწა-დი იყო გუბერნიის მარშლად და თავად-აზნაურობამ კარგად ნახა რამდე-ნი სიკეთე და წესიერება შემოიტანა ამ პირმა ჩვენ საზოგადოებაში, მაგ-რამ მაინც კიდევ იმისი მოწინააღმდეგები ვერ დაემორჩილებოდნენ აზრსა, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის წინამძღვარი ყოფილიყო დიმიტრი ყიფიანი, აბაშიძეების ნაზნაურის შვილი, თუმცა ბოლოს დროს იმასაც შეეესწარით, რომ ჩვენი წინამძღოლები იყვნენ თითქმის პირველი თავადის შვილების გვა-რიდან, მაგრამ არაფერი არ გაგვირიგეს კი რა... ხშირად ასმენდენ დიმ. ყი-ფიანს, რომ, რადგანაც ხელმწიფე იმპერატორი უნდა მობრძანდეს საქარ-თველოში, ამიტომ საჭირო არისო თავად-აზნაურობის წინამძღოლი საქარ-თველოს განათლებული გვარი შვილი იყოსო, რომ ხელმწიფეს მოწყალება.

[1] დ. ყიფიანი: „ნაშუარები", გვ. 100. დ. ყიფიანის სიტყვის 1864 წ. დაწერილი დედანი ინახება მის არქივში.

რამ გამოიღოს საქართველოსათვისაო. ამიტომაც, როდესაც 1870 წ. მაისში დაიწყო თავად-აზნაურობის ყრილობა მარშლობის ამოსარჩევად, დიმ. ყიფიანმა უარი სთქვა მარშლობაზედ. თუმცა თავად-აზნაურობა ბევრს ეხვეწა, მაგრამ ვეოაფრით ვერ შეავარაუეთ იმისი სურვილი და დაბოლოებით უარი სთქვა".[1]

ამრიგად მსხვილი არისტოკრატია დიდი ხნის განმავლობაში ებრძოდა დ. ყიფიანს და არ სურდა უბრალო აზნაური თავის წინამძღოლად ყოლოდა. მაგრამ თუ მსხვილი არისტოკრატია ებრძოდა მას, სამაგიეროთ წვრილი თავად-აზნაურობა დ. ყიფიანის მალმერთებელი იყო.

4

არ შეიძლება არ შევეხოთ დ. ყიფიანის მოღვაწეობას ტფილისის ქალაქის თავის როლში. 1874 წ. ტფილისში შემოღებული იქნა „1870 წლის ქალაქის დებულება". ამ ფაქტს ის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ჩვენი ქალაქი თვითმართველობის გზას დაადგა და მისმა მართვა-გამგეობამ ბურჟუაზიული იერი მიიღო, მაშასადამე ეს ფაქტი ჩვენი ცხოვრების კაპიტალისტური გზით განვითარების მაჩვენებელი იყო. მაგრამ ამ ბურჟუაზიული განვითარების გზაზედ შემდგარ ქალაქს პირველ ხანებში მეთაურად ცნობილი—მოხელეები მოევლინენ. 1875 წ. არჩეული იქნა ქალაქის თავად თავ. ი. დ. თუმანოვი, ხოლო 1876 წ. დ. ივ. ყიფიანი.[2] ისინი ენერგიულად იცავდენ ახალი თვითმართველობის პრესტიჟს ხელისუფლების წინაშე, მაგრამ ქალაქის წინაშე წამოჭრილი ახალი ეკონომიური ამოცანების შესაფერისად ხელმძღვანელობა მათ არ შეეძლოთ. ეს ბუნებრივია, რადგან ძველი მოხელე ვერ გახდებოდა კაპიტალიზმის განვითარების მეთაურად. ასეთ პირობებში ბუნებრივად დაიბადა ტფილისის საზოგადოებაში უკმაყოფილება. „ყველგან: საზოგადოებაში, კლუბებში, გაზეთებში აცხადებდენ იმაზე (ქალაქის მართველობაზე) უკმაყოფილებას, ყველა ეშდურობდა",[3] —ამბობდა თვით დ. ყიფიანი 1879 წ. ქალაქის ახალ საბჭოს კრებაზე. მართლაც დ. ყიფიანს გართულებულ პირობებში (1876-79) მოუხდა ტფილისის ქალაქის მეთაურობა: რუსეთ-ოსმალეთის ომმა ძლიერ გაართულა ქალაქის მდგომარეობა და მასთანავე გააცხოველა წარმოებისა და აღებ-მიცემობის საქმე; ხელი შეუწყო კომერციასა და „პოდრიაჩიკობის" განვითარებას.[4] ქალაქის ეკონომიური მდგომარეობა გართულდა. თვით ყიფიანიც აღნიშნავს თავის

[1] იხ. ი. გოკებაშვილის არქივი—სიძველეთა, მუზეუმი.

[2] დ. ყიფიანის მოუნ	აღმდეგე კანდიდატად გამოსულა ცნობილი ი. არწუნი და პირველს მიეცა 36 თეთრი და 28 შავი, მეორეს—35 თეთრი და 29 შავი (იხ „დროება" № 1441, 1875 წ).

[3] „დროება" № 11, 1879 წ. წერილი. „პირველი კრება ქალაქის ახალი რჩევისაო", აქვე მოყვანილია დ. ყიფიანის სიტყვა.

[4] იხ. А. Макаров: „Закавказье в торговом отношении", გვ. 6-12, 1884 წ.

მეორე სიტყვაში, თუ როგორ გაიზარდა იმ პერიოდში ქალაქის ხალხის შემოსავალი: 1875 წ. ქალაქს ჰქონია 345.000 მან. შემოსავალი, 1876 წ. 346.000, 1877 წ.—414.000; 1878 წ.—430.000, 1879 წ.—520.000,[1] ამ ახალ კაპიტალისტური განვითარების მძაფრ ტალღას თავისი შესაფერისი ხელმძღვანელი ესაჭიროებოდა. მეორე მხრივ, ომს თან მოსდევს შიმშილი, გაჭირვება და მდგომარეობის გართულება. გაზ. „დროება“ სწერდა: „ამას გარდა უფ. დ. ყიფიანს ისეთს დროს შეუვდა ქალაქის თაობა, როდესაც ანგელოზიც რომ ჩამოეყვანათ ზეციდამ, ისიც ვერ დაიმსახურებდა საზოგადო თანაგრძნობასა და მადლობას. ომიანობის დრო იყო, საზოგადო გაჭირვების, სიღარიბის, სიძვირის, ქალაქის საქმეები ადრინდელი გამგეობისაგან სრულებით გაფუჭებული, არეულ-დარეული, უგზო-უკვლოდ წაყვანილი და სხვა. ამისთანა დროს ვინ რას გააჩიგებდა“.[2] თვით რედაქტორი დროებისა—ს. მესხი სწერდა: „ჩენ ვიცით მხოლოდ ის, რომ არის ერთი ვინმე, რომელიც ორივეს—გამგეობასთან რჩევასაც თანასწორად და ერთნაირად ემდურის, რომელიც ორივეზედ ერთნაირს უკმაყოფილებას აცხადებს: ეს არის ამომრჩევლები, ქალაქის საზოგადოება, მთელი ქალაქი ტფილისი“.[3] 1879 წ. იანვარში გაბართულ ქალაქის თავის არჩევნების დროს დ. ყიფიანი დამარცხდა. 65 ხმიდან მან თეთრი მიიღო 13.—შავი 51, მაგრამ ამ კრებაზე ვერცერთი ვერ გავიდა ქალაქის თავად; შემდეგ კრებაზე 35 ხმით, არჩეული იქნა ან. ყორღანოვი, რომელსაც მსხვილი „პოდრეზეები“ ჰქონდა ...[4] მაგრამ მან უარი განაცხადა და ამის მაგივრად აირჩიეს მატინოვი ერთ-ერთი მსხვილი ქარხნის „პაიჩიკი“.

დ. ყიფიანის 1879 წ. ქალაქის თავის არჩევნებში დამარცხების საკითხს ჩვენს ლიტერატურაში ნაციონალური მომენტით ხსნიან, თითქოს დ. ყიფიანმა ერთ სომეხს არ მიცა ნება სომხურ ენაზე დაფიცებისა..[5] ეს ახსნა არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და არ გვაძლევს მომხდარი ფაქტის სწორ სოციოლოგიურ განმარტების საშვალებას. ამ ეპოქის მოღვაწე ცნობილი გ. თუმანიშვილი უარყოფს ზემოდ დასახელებულ ინციდენტის არსებობას, იგი სხვა სფეროში ეძებს ამის ასახსნელ ძიზეზებს „საქმე იმაშია, რომ 1878 წლის ბოლოს ტფილისის საბჭოს შემადგენლობა საგრძნობლად განახლდა,—სწერდა გ. თუმანიშვილი,—თუ წინედ მასში დიდ როლს თამაშობდენ მოხელეები, ახალ შემადგენლობაში უმეტესობა იყვენ ახალი კომერსანტები, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელნი. ხმოსანთა ახალმა შემადგენლობამ მოისურვა მთელი ქალაქის თვითმართველობის შე-

[1] „დროება“ № 17“, 1879 წ. წერილი „ქალაქის რჩევის კრება“.

[2] „დროება“ № 10, 1879 წ. სოლოლაკელის ფელეტონი.

[3] იხ. ს. მესხი. ნაწერები—ტ. I, გვ. 506.

[4] „დროება“ № 23, 1879 წ.

[5] იხ. ნიკ. ყიფიანის დასახელებული წერილი გვ. 107—109; არ. ჯორჯაძის მონოგრაფია „სახ. გაზეთი“ № 808, 1913 წ. ა. ხახანაშვილი: „История грузинской словесной“, ტ. IV. გვ. 549. 1906 წ.

მადგენლობის განახლება და საქმე დიწყო ჩით, რომ დ. ყიფიანის ნაცვლად ქალაქის თავად არჩეულ იქნა ანტ. სოლ. ყორღანოვი, რომელსაც იმ ხანებში მსხვილი „პოდრ. ტები" ჰქონდა აღებული. ფიქრობდენ, რომ იგი სამეურნეო საკითხებს უფრო ენერგიულად წასწევს წინ, ვინემ მისი მოადგილე".[1] ეს განმარტება უფრო შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. დ. ყიფიანისა და მისი მოწინააღმდეგების სახით ერთი მეორეს დაუპირისპირდა ორი სოციალური ფენა, რომელთაც თავისებურად ესმოდათ ქალაქის თვითმართველობის პოლიტიკა და მისი საქმიანობა: ერთი ძველი მოხელე არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო, მეორე ახლად აღორძინებულ ბურჟუაზიული კლასის მეთაური. ჩვენი ცხოვრების ეკონომიური განვითარება უკანასკნელი გზით მიემართებოდა და საქალაქო თვითმართველობაში გამარჯვებაც მას ხვდა წილად; ტფილისის ბურჟუაზიას არ შეეძლო თავისი ბატონობის ცრუდელი „ნოხელეების" ხელში დაეტოვებია.

ამ ბრძოლის შინაარს „მოხელეებსა" და „კომერსანტებს" შორის ჩვენ მაშინდელი პრესაც გადმოგვცემს. ქალაქის საბჭოში კამათის წარმოების დროს ბუნებრივად აღიძრა საკითხი: „თუ როგორი უნდა იყოს ქალაქის თავი და საკუთრივ ტფილისს როგორი თავი ესაჭიროება ახლა". ამ საკითხის გარშემო ორგვარი მიმდინარეობა წარმოშობილა იმ ხანებში. გაზ. „დროება" გადმოგვცემს: „ერთნი ამბობენენ, რომ ქალაქის თავს არ შეუძლიან ყველგან გაწვდეს ქალაქსაო, არ შეუძლიან ბაზარსაც მიაქციოს ყურადღებაო, კანცელარიაშიც იმუშაოსო, უმაღლესს მთავრობასთანაც დაიბიროს საქმეო და სხვ. ქალაქის თავის მოვალეობა მხოლოდ ის არის, რომ ქალაქის წარმომადგენელი იყოს მთავრობასთანო, შუამავალი იყოს რჩევასა და მთავრობის შორის". ასეთი იყო ძველ მოხელეთა შეხედულება ქალაქის თავისა და მისი მოვალეობის შესახებ. ამ თვალსაზრისზე იდგა დ. ყიფიანიც. „მეორეები ამტკიცებენენ — განაგრძო ბს გაზეთი, — ქალაქის თავი უნდა იყვეს პრაქტიკული, გამოცდილი კაცი, ბაზრის მცოდნე, აღებ-მიცემაში ესმოდეს რამეო. მთავრობასთან იმას ბევრი საქმე არ ექნებაო; კანცელარიისათვის გამგეობის ერთი წევრიც კმარაო. ქალაქი უპატრონოდ არის, საშინელი სიძვირეა — ამისათვის გკიდია ჩვენ ქალაქის თავეო".[2] აქ უკვე მეტყველებდა ახალი ბურჟუაზიის იდეოლოგია, რომელსაც კომერციისა და აღებ-მიცემობის პრაქტიკული საკითხები აინტერესებდა. ასე შეეტაკა ერთი მეორეს „მოხელისა" და „კომერსანტის" თვალსაზრისი ქალაქის საქმეებში და ეს შეტაკება პირველი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო „ჩინოვნიკურ" და ბურჟუაზიულ საქართველოს ბრძოლის ისტორიაში. დ. ყიფიანი 1879 წლის შეტაკებაში „მსხვილ-მსხვილ ვაჭრებმა და პოდრიადჩიკებმა" დაამარცხეს. დ. ყიფიანის დამარცხებით დამარცხდა „ჩინოვნიკური" პოლიტიკა ქალაქის საქმეებში; ტფილისმა თვითმართველობის მოპოვებასთან

[1] Г. Туманов: „Характеристики и воспоминания", წიგნი I, გვ. 98—9, 1913 წ.
[2] ს. მესხი. „როგორი ქალაქის თავი ღვეპირება" გაზ. „დროება" № 22, 1879 წ.

ერთად „ბურჟუაზიული“ მართველობაც ეოიპოვა. ჩინოვნიკობა დამარცხდა, ბურჟუაზიამ გაიმარჯვა: ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება ტფილისის ბურჟუაზიისა საზოგადოებრივ-საარჩევნო ფრონტზე. ეს ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა დ. ყიფიანის დაჭაოკხებას 1879 წ. საქალაქო არჩევნების დროს.

5

ცნობილია დ. ყიფიანის მოღვაწეობა კულტურულ-განმანათლებელ ასპარეზზე. ერთი მხრივ იგი როგორც ლიტერატორი-მთარგმნელი და პუბლიცისტი ცდილობდა განათლება და კულტურა მეეტანა საზოგადოებაში, მეორე მხრივ, თავისი აქტიური მონაწილეობით სასკოლო მართველობაში და სხვა და სხვა დაწესებულებაში, იგი ხელს უწყობდა სწავლა-განათლების გავრცელებას. დ. ყიფიანი არასოდეს არ დაცილებია წოდებრივ-კლასიერ ნიადაგს, მისთვის წოდებები საზოგადოების ბუნებრივ მოვლენებს წარმოადგენდა. მაგრამ სწავლისა და განათლების კულტურას გავრცელებას წოდებრიობის ფარგლებში არ ამწყვდევდა დიმ. ყიფიანი. მარტალია იგი ბევრს ზრუნავდა თავისი წოდების ეკონომიური წარმატებისა და განათლების საქმეზე, მაგრამ არც სავა წოდებას ივიწყებდა იმიტომ, რომ განათლება და კულტურა ცხოვრების წინწამწევ ფაქტორად მიაჩნდა მას, ხოლო დაბალი წოდების წინწაწევა სასარგებლო იქნებოდა მართველი წოდებისათვის, ასეთი იყო სუბიექტიური აზრი დ. ყიფიანისა, ხოლო ობიექტიურად მისი საქმიანობა მართლაც სასარგებლო იყო ჩვენი დაბალი ფენებისათვის იმდენად, რამდენადაც სწავლა-განათლების შეტანას ხალხში თანმოყვებოდა მათი გათვითკნობიერება.

ამ მხრივ აღსანიშნავია დ. ყიფიანის მეურვალე მონაწილეობა წერაკითხვის საზოგადოების დაარსების საქმეში 1879 წ. და იმ ორგანიზაციის საქმიანობა მისივე თავმჯდომარეობით. დ. ყიფიანის მიერ ხელმოწერილ ერთ-ერთ მოწოდებაში ჩვენ ვკითხულობთ: „რადგან ყველანი იმ ახრისანი არიან, რომ ხელი უნდა შეეწყოთ მთავრობას ხალხში განათლების შეტანის საქმეში, არსდება ქართველთა შორის წ. კ. საზოგადოება კავკასიის სანამესტნიკოში. ამ საზოგადოებას აქვს აზრად: უკვე არსებულ სკოლების დახმარება და ახალი სკოლების გახსნა, ხოლო ყველა საგნებს სწავლა ამ სკოლებში უნდა სწარმოებდეს ბავშვებისათვის გასაგებ სამშობლო ენახე“. ამ საზოგადოების წარმატებისათვის მხურვალედ ზრუნავდა დ. ყიფიანი: იგი ხან ტფილისის შიგნიდან ითხოვდა დახმარებას,[1] ხან ლორის-მელიქოვს სთხოვდა ამ საზოგადოების სასარგებლოდ თანხის გამოთხოვას მთავრობისაგან.[2] დ. ყიფიანს სწამდა დებულება: „კაცი დროს უნდა მაჭყეს

[1] იხ. „დროება“ 1879 წლისა.

[2] იხ. „ძეძუარები“ გვ. 68.

და თავისი ცოდნაც თან მიადევნოს". ეს ენერგიული საქმიანობა კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე დამახასიათებელი ელემენტი იყო დ. ყიფიანის პრაქტიკული მოღვაწეობისა. იგი „განმანათლებელი" დარჩა ბოლომდე. „არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში,—სწერს აკ. წერეთელი,—რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს: ბანკი, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი და სხვანი, სულ იმის ინიციატორობით არის დაწყებული".[1]

[1] აკაკი წერეთელი: „რჩეული ნაწერები" ტ. 1, გვ. 95.

უნდა ავღნიშნოთ, რომ დ. ყიფიანი, როგორც-კულტურული მოღვაწე, როგორც „განმანათლებელი" უფრო მიმხიდველია და ნაკლებად, ვიდრე მოხელე და სახელმწიფოს მოსამსახურე.

## თავი მეხუთე

# ბატონყმობის საკითხი და დიმიტრი ყიფიანი

### 1

დიმიტრი ყიფიანის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ორი დიდი საქმე: ერთი მხრივ, მან მიუძღოდა მონაწილეობა მიიღო (1862—64 წ.) გლეხთა რეფორმის საქმიანობაში და შეიმუშავა გარკვეული პროექტი ამ რეფორმის შინაარსის შესახებ, მეორე მხრივ, იგი იყო ინიციატორი სათავადო-აზნაურო ბანკების დაარსებისა. არც ერთ საკითხში ისე გარკვევით და ნათლად არ გამოძღვანებულა დ. ყიფიანის წოდებრივ-კლასიური სოფლმხედველობა და მისწრაფება, როგორც ამ ორ საკითხში. როგორც ბატონყმობის მოსპობის საქმე, ისე ბანკის დაარსების საკითხი დიმ. ყიფიანმა წმინდა წოდებრივ თავად-აზნაურული საზოგადოებით განიხილა და ამ წოდების ინტერესების მიხედვით შეიმუშავა გარკვეული პროექტები.

ჩვენში გავრცელებულია აზრი, რომ დ. ყიფიანი წინააღმდეგი იყო ბატონყმური წყობილებისა და მხურვალე დამცველი გლეხთა ინტერესების. ცნობილი ზ. ჭიჭინაძე სწერს: „ამავე დროს (40 ან წლებში) ყიფიანმა დაიწყო წეოა, რომ საქართველოში გლეხთა გათავისუფლების ხმები დადისო და გლეხკაცებს ძლიერ უხარიათ ესაო. სანატრელი იქნება, რომ ეს საქმე მოხდეს და გლეხი ხალხი თავად-აზნაურებისაგან განთავისუფლდესო“.[1] ნიკ. ყიფიანი თავის მოგონებაში ამბობს: „ჯლეხების განთავისუფლება გულით უხაროდა დიმიტრი ყიფიანს, რადგანაც ყოველთვის იყო ადამიანთა განთავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის მომხრე. ბატონყმობა, როგორც ადამიანის დამამცირებელი და დამაზიანებელი, ეჯავრებოდა“.[2] მაგრამ ასეთი მოსაზრება სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ დ. ყიფიანი არ ყოფილა პრინციპიალური მოწინააღმდეგე ბატონყმური ინსტიტუტისა. იგი ენერგიული დამცველი იყო წოდებრივობის: მისი სოციალური მრწამსი აშენებული იყო წოდებრივობის საფუძვლებზე; სახოგადოებრივი წყობილება ამ წოდებრივობის გარეშე საფუძვლებზედ აშენებული მას ვერ წარმოედგინა. მეორე მხრივ, იგი დამცველი იყო უთანასწორობისა, არათანაბარი უფლებებისა: დ. ყიფიანს სწამდა, რომ საზოგადოების მეთაური და ხელმძღვანელი კლასი ბრწყინვალე წოდებაა, რომელსაც ხელთ უპყრია ეკონომიური დოვლათი

---

[1] ზ. ჭ. „დიმიტრი ყიფიანი“, გვ. 23, 1892 წ.

[2] ნიკ. ყიფიანის დასახელებული წერილი გვ. 95.

და უპირატესობა; ამ წოდებას უნდა ემორჩილებოდეს გლეხობა. დ. ყიფიანის ასეთი სოციალური ფილოსოფია საესებით თავსდებოდა ბატონყმურ ურთიერთობის ფორმებში. მაგრამ მაინც მომხრე იყო ამ წყობილების ერთგვარი შეკეთებისა, ერთგვარი „რეორგანიზაციის“ იმავე ბატონყმურ საფუძვლებზე და — არა მისი სრული მოსპობის. ჩვენ უკვე ვიცით, რომ დ. ყიფიანი პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო ძველი ფეოდალური საზოგადოებრივ პოლიტიკური წყობილების: დ. ყიფიანს საუცხოოდ ესმოდა, რომ ფეოდალურმა სისტემამ და დამოუკიდებელ „მფლობელთა“ თავაშვებულობამ დალუპა საქართველო, დააუძლურა ის და გადააქცია მეზობელ მტერთა სათარეშოთ; მეორე მხრივ, იგი ნათლად ხედავდა, რომ ფეოდალური სისტემა ხელს უშლის წინმსვლელობას და იგი არ შეესაბამება საზოგადოებრივ წარმატების საქმეს და ინტერესებს. ამიტომ დ. ყიფიანი ენერგიულად ებრძოდა ფეოდალური წყობილების პოლიტიკურ სისტემას და მხურვალე დამცველი იყო ცენტრალური მართველობისა. მაგრამ, თუ იგი ებრძოდა ფეოდალიზმის პოლიტიკურ შენობას, სრულიად არ იყო პრინციპიალურად წინააღმდეგი ამ სისტემის სოციალური საფუძვლების — ბატონყმური ურთიერთობისა. დ. ყიფიანი ფიქრობდა, რომ თანახმად პოლიტიკური წყობილების სისტემის შეცვლისა უნდა შეკეთდეს ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობა, იგი უნდა შეეფარგლოს ახალ პერიოდს, ცხოვრების მიმდინარე მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ფეოდალიზმმა მრავალი ისეთი ელემენტები დასტოვა ბატონყმურ ურთიერთობაში, რომელნიც აღარ შეესაბამებიან ახალ პირობებს. ძველებური მკაცრი ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის უნდა შეიცვალოს ჰუმანიური დამოკიდებულებით; ძველად კანონით განსაზღვრული, ხოლო ზოგან ჩვეულებით, დებულებით დაწესებული მოვალეობა და უფლება ყმასა და ბატონს შორის უნდა შეიცვალოს ახალი კანონით, მტკიცედ შეფარდებულით თანამედროვე ეპოქასთან. დ. ყიფიანი ემანსიპაციას უპერდა მხარს, მაგრამ არა საერთოდ, არა ყველა წოდების წევრთა შორის, არამედ მაღალი წოდების შიგნით. ამ მხრივ მასში მეტყველებდა წვრილი აზნაური, რომელსაც ერთი მხრივ, სურდა თავი დაეღწია ფეოდალური არისტოკრატიის ბატონობისაგან და ემანსიპაცია მოეპოვებია მის ზევით მდგარ სოციალურ ფენის გვერდით, ხოლო, მეორე მხრივ, შეენარჩუნებია თავისი ძველი უფლება დაბალ წოდებაზე ბატონობის სახით; ასეთი იყო დ. ყიფიანის სოფლმხედველობა. იგი მომხრე იყო „რეფორმის“, მაგრამ არა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის საფუძველზე, არამედ მისი შენარჩუნებისა, შეკეთების ნიადაგზე.

დ. ყიფიანი არა მარტო პრინციპიალურად იცავდა მემამულესა და ყმის შორის ჰუმანიური დამოკიდებულების საჭიროებას, არამედ მას თვითონვე ახორციელებდა ცხოვრებაში. იგი პრინციპის კაცი იყო, მისთვის სიტყვა

და საქმე განუშორებელი იყო. დ. ყიფიანი საკმაოდ დიდი მემამულე იყო,[1] ხოლო ბატონყმობის დროს მას ყმებიც ყავდა. ყმებს იგი ხშირად ყიდულობდა. როგორც მემამულე და ყმის მეპატრონე დ. ყიფიანი გარკვეულ უფლებრივ ნიადაგზედ იდგა და ყმებსაც გარკვეულ მოვალეობას აკისრებდა. დ. ყიფიანი შეურყეველად იცავდა კანონს, მაგრამ ეს გარემოება მის ხელს არ უშლიდა ჰუმანიური ურთიერთობა დაემყარებია ყმებთან: ყმა უნდა ემორჩილებოდეს კანონს, მემამულე არ უნდა სცილდებოდეს ლიბერალურ-ჰუმანიურ დამოკიდებულების ფარგლებს — ასე აზროვნებდა იგი. დ. ყიფიანის დასახასიათებლად საინტერესოა შემდეგი დოკუმენტი: 1851 წ. იგი გორის მაზრის უფროსს სწერს: „ჩემმა ყმამ ბლუაშვილმა და მისმა ცოლმა გუშინ ჩემს სახლში საზიზღარი საქციელი ჩაიდინეს. თუ სამართლიანად არ დავსაჯე ცუდ ზნეს წავაქეზებ. ამიტომ ვაგზავნი რა ამ კაცს თქვენ ბრწყინვალებასთან, უმორჩილესად გთხოვ გამოუცხადოთ, რომ მე არ გადავასახლებ სამუშაოდ შორეულ ციმბირში, რადგან პატივსა ვცემ მის ჩემთან ხანგრძლივ უწინდელ სამსახურს, რომელიც გუშინდელი საქციელით საცსებით გააბათილა — და ამ წყალობას ვიჩენ მისადმი, რადგან ერთგულ კაცად ვთვლიდი და მის გასჯას ვაფასებდი. მის ცოლს, რომელიც კიდევ ზედმეტად არის დამნაშავე, არა ვჯი სასტიკად, რადგან შვილები გამომიზარდა, მაგრამ ამ ცოლ-ქმარს ჩემ სახლში ვეღარ დავტოვებ. გთხოვთ დაამწყვდიოთ სამი დღით სიმონ ბლუაშვილი, შემდეგ კი გაისტუმრეთ შორაპნის მაზრაში, სოფ. ზედუბანში მამასთან, ლაზარა ბლუაშვილთან. სახარჯოთ გიგზავნი სამ მანეთს. ცოლსაც მე გავგზავნი აქედან პირდაპირ“.[2] ეს ფაქტი შეეხება ბატონყმობის ეპოქას და იგი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დ. ყიფიანის როგორც მებატონის დასახასიათებლად: მას უფლება აქვს დამნაშავე ყმა სასტიკად დასაჯოს, მაგრამ დ. ყიფიანი არ სარგებლობს ამ უფლებით. აქ ამ კონკრეტულ მაგალითზე ნათელი ფერადით არის მოცემული დ. ყიფიანის ის წესი დამოკიდებულებისა ყმასა და მემამულის შორის, რომელიც მის იდეალს შეადგენდა.

მოვიყვანოთ მაგალითი ბატონყმობის შემდეგი პერიოდიდანაც. დ. ყიფიანს მამულები ჰქონდა გორის მაზრაში, ვრცელი ტყე, საიდანაც სარგებლობდენ ადგილობრივი მცხოვრებნი. ამ გლეხობასთან დ. ყიფიანს ხეტყის სარგებლობის ნიადაგზე უკმაყოფილება ჰქონდა. ერთ დოკუმენტში ჩვენ ვკითხულობთ: „...ქვიშხეთის სოფლის მოსამართლეებთან იჩივლა შე-

[1] დ. ყიფიანის არქივში ბლომად მოიპოვება დოკუმენტები მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. არის აგრეთვე გამოცემული პატარა ბროშურა — „მ ო რ ი გ ე ბ ა ყ ი ფ ი ა ნ თ ა შ ო რ ი ს“ (1869 წ.), რომელშიაც ნაჩვენებია ნაწილი თვითოეულ ყიფიანის ოჯახისა ყიფიანთა საგვარეულო მამულში. სხვათა შორის „მ ო რ ი გ ე ბ ა შ ი“ ვკითხულობთ: „ამჟამად ზემოხსენებული მამულებიდან სარგებლობენ ტყითა თავისი საკუთარი საჭიროებისათვის ჩვენი დროებითი ვალდებული ყმები, რომელთათვისაც მიგვიცია ეს სარგებლობა დებულების ოქმებით და ვილებთ იმათგან გრამოტებში აღნიშნულ ფულსა II.

[2] არ. ჯორჯაძის მონოგრაფია, „სახ. გაზეთი“ № 799, 1913 წ.

ბატონემ დეილტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა დიმიტრი ყიფიანმა, ჩემს დაუკითხავად მთაში ხეხი შეკეთა, ნრაველი ტიკის ხე მოუკრიათ და ჩემგან რომ ამისი დაშლა გამოცხადებული იყო, — ახლა თქვენთვის მომინდვია, რომ ამისი სამართალი თქვენ გამიჩინოთო. საქმე რომ გამოიკითხეთ, ასე გამოვიდა, რომ შარშან (1865 წ.) უფალმა ყიფიანმა სოფლის ხალხს გამოუცხადა — დღევანდლამდინ რაც ჩემს მთაში მოკრილი ხე გაქვთ ამის გამოზიდვის ნება ნომიცია და დღეს იქით ჩემ უკითხავად გთხოვთ ხე აღარ მოსკრათ და რაც ეხლა გამოსატანი ხე გაქვთ ამაზედ სალბაში ტიკზედ ხუთი მანეთი უნდა გადიხადოთ. წარეკანდეს (1866 წ.) გაზაფხულამდინ დარიგებას ადგა სოფელი მაგრამ წრეულს გარეშე სოფლების ხალხი შეეიდა და ეკრა დაუწყო; ქვიშხეთელებმა იფიქრეს, ალბათ ნება გამოსულაო და ამათაც ბევრი ხე მოსკრეს ახლა. ეს დანაშაული ქვიშხეთის საზოგადოებამ ერთხმად აღიარა ღენერალთან (ე. ნ. დ. ყიფიანთან) და სთხოვა მოგვიტეეეთო და კვლავ თუ არ თქვენის ნებით აღარც ჩვენ შევალთ და აღარც გარეშე ხალხს შეუშვებთო. ამასთან სოფელმა ღენერალს ძროხა მიართვა ძღვნად, მაგრამ ძროხა არ მიიღო, ღმერთმა პატრონს მოახმაროს, მე არ მინდაო. ქვიშხეთის სანმანახლისო ხალხისათვის მიპატიებია ის დანაშაული და რადგან სხვა შემოსულ ხალხს არ ეპატიებინა. იმათი მოკრილიც თქვენ გამოზიდეთო და რასაც იმათ მოკრილს გამოიტანთ ნახევარი თქვენთვის მომიცია იმ პირობითა, რომ ამას იქით ტიკის ხის მოსაკრეფლათ თუ არ ჩემის ბილეთით საჩემო ტყეში აღარავინ შემოვიდესო.[1] აღსანიშნავია თვით ხალხის „უმაღლესი თხოვნა“ მისთმეული დ. ყიფიანისადმი, „სოფლების ქვიშხეთის, ტაშკრის და მონასტრის საზოგადო გლეხთაგან“. აღნიშნავენ რა საქმის ვითარებას, გლეხები სწერენ; „თქვენო მაღალამატებულებავ, ცხადად ჩანს ჩვენი სიმტყუნე; ამისათვის დავარდებით მტირალნი და შეწუხებულნი წინაშე ფეხთა თქვენთა და გთხოვთ მოწყალებითის შებრალებასა, რათა მოგვიტევოთ დანაშაული ჩვენი, რადგან თქენ ბრძანდებით მდაბალთა ხალხთა მწყალობელი და მფარველი ყოველის შეწუხებულის და შეეიწროვებულის პირთა, აგრეთვე მომატებულად გვაქვნან ჩვენ იმედნი, რადგანაც ვართ ჩვენ თქვენის მაღალამატებულების ერთგულნი მოსამსახურენი, და რომლითაც ვიქმნებით მარადჟამ მავედრებელნი თქვენის და თქვენის სარდოვნობისა“.[2] ამ „თხოვნაზე დ. ყიფიანს მიწერილი აქვს: „ესე და ამასთან ნოსამართლეების ქალალდი მამასახლისმა, მოსამართლეებმა და ქვიშხეთის ხალხმა ერთად მომიტანეს და თან ერთი ძროხა მოაყოლეს ძღუნათა. ძროხისათვის სოფელს მადლობა შევწირე და უკანვე დაუბრუნე; ამ ქალალდისა და გარდაწყვეტილებისა ეს პასუხი მივეცი სიტყვიერად, რომ ეს დანაშაულიცა და შტრაფიცა მიპატიებია ქვიშხეთის საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ პირობითა, რომ რაც ჩემს წილში მოკრილი ხე არის, სულ ქვიშხელებმა გამოიტანოს მომავლის გაზაფხულამ-

[1] პირი 1866 წ. მამულოვის შემოწმებულ ქალალდისა.

[2] სოფლელების უმდაბლესი თხოვნა, 29 ივნისის 1866 წ.

დინ, — ნახევრის ბაჟი იმით გადაიხადონ და ნახევრისას მე გადავიხდი; და ამას იქით ჩემ დაუკითხავად აღარსად სპრან, — რადგან გარეშე პირთაგან დაუკითხავად მოპრილი ბევრით მეტი ყოფილა. ქვიშხეთელებმა დიდი მადლობა გამომიცხადეს და ამ პირობის შესრულება აღმითქვეს". [1]

როგორც შემდეგი დოკუმენტებიდან სჩანს, საქმე ვერც იმ მეზობლური მორიგებით დამთავრებულა: შემდეგ წლებშიაც გრძელდება ხალხის შეჭრა ყიფიანის ტყეში და მაშასადამე პირობების დარღვევაც. [2] 1870 წ. ქვიშხეთის საზოგადოების თხოვნაზე დ. ყიფიანი შემდეგ განცხადებას უგზავნის ქვიშხეთის მამასახლისს: „1864-ში რომ მე აქაურს ტყეებს ყალაური დაუყენე, სახალხოთ გამოვაცხადე, რომ ჩემ დაუკითხავად ხის საჭრელად ტყეში აღარავინ შესულიყო თორემ სალბაშს მეტს მოვითხოვ მეთქი ესთქვი, — სალბაშს ვ-ლებდი მაშინ ტივზედ ორ მანათს. 1865-ში მე რუსეთს წასვლა მომიხთა; ხალხი ისევ შესულიყო ტყეში და მრავალი ეჩეხა. — 1866-ში რომ ბოველ სოფელმა დამნაშაობა თავს იდვა და კვლავ რომ ამისთანა საქმე აღარ მომხდარიყო, სალბაში ხუთ მანეთამდინ ავიყვანეთ. — იმავ წელიწადს კიდევ მოვიხდა რუსეთში წასვლა და აქ ხალხი კიდევ შესულიყო ტყეში. მაშინ ერთმანეთში მოლაპარაკებით საქმე ასე გავთავეს: ქვიშხეთის სამამასახლისო ხალხს დაუწესეთ სალბაში ტივზედ შვიდი მანეთი იმ პირობით, რომ ჩემს ყარაულს გარდა თვითონ სოფელსაც ჰქონიყო ზედამხედველობა... და თუ კიდევ მოხდებოდა ამნაირი საქმე, როგორც ჩემი ნება იქნებოდა ისე უნდა დამეწყო... წრევანდლამდინ (1870 წ.) საქმე ასე იყო და ერთმანეთზე დამდურების მიზეზი აღარა გვქონია რა... ახლა მე რომ მოველ, შევიტყვე, რომ არა თუ დასახელებულს ტყეებში ბევრათ უმეტესი უჩეხიათ, რაზედაც ბარათები არა ჰქონიათ, ისეთს ადგილზედაც უჭრიათ ხეები, სადაც ნება არავისგანა ჰქონიათ... სახელდობრ ვისი ბრალი არის მე ამის გარჩევაში ვერ შევალ, რადგან ეს თვითონ სოფლის საზოგადოების, საქმე არის. ბე მხოლოდ ამას ვაწესებ". და დ. ყიფიანი გადასახადის ახალ მუხლებს ურდგენს მამასახლისს. უკანასკნელ მუხლში იგი ამბობს: „თუ კიდევ შევამჩნიე ვისმე ამ განწესების აღუსრულებლობა და სოფლის საზოგადოებისაგანაც ამნაირიევ დაუდევრობა, მაშინ სოფელი ნულარ დამენდურება, რომ აქაური ტყეები ისე შეეკრა, როგორც სახელმწიფო ტყეები არის შეკრული".[3]

ავღნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტი, 80-იან წლებში ბორჯომის ხეობის გლეხკაცობა უზომო შევიწროვებას განიცდიდა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულზე დასახლებული ხეთი სოფლის გლეხობა. მათი შემვიწროველელი იყო მამულის მოურავი და წვრილი აგენტები. 186 კაცმა

[1] იგივე თხოვნა

[2] იხ. ქვიშხეთის საზოგადოებისაგან თხოვნა 1870 წ.

[3] ქვიშხეთის მებატონე დიმ. ყიფიანისაგან განკუთვნილი მამასახლისს სახელზე 1870 წ. ივნისის 27.

თხოვნით მიჰმართა დ. ყიფიანს—შედი ჩვენს მდგომარეობაში როგორც მეზობელმა და გაელენიანმა კაცმა და გაგვიწიე დახმარება რომ თავი ვიხსნათ ამ აუტანელ მდგომარეობისაგან. დიმიტრი ყიფიანი სამართლიანობისა და კანონიერების ერთგული დარაჯი იყო. მან დაინახა, რომ გლეხები უსამართლოდ არიან დასჯილნი და ენერგიულად მოჰკიდა ხელი მათ დაცვას: არ მოერიდა იმასაც კი, რომ ეს საქმე ეუბოდა ყოფილ მეფის მოადგილეს დიდ მთავარს.[1] მართალია დ. ყიფიანმა ვერ მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ იგი გამოვიდა უსამართლოდ დასჯილ გლეხების დამცველად.

ჩვენ განგებ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება დ. ყიფიანის როგორც მემამულის კერძო ურთიერთობაზე გლეხობასთან; ამ კერძო დამოკიდებულებაში დ. ყიფიანის ნამდვილი სახე არის მოცემული: დ. ყიფიანის პრინციპები და მისი ოჯახური საქმიანობა ერთიმეორისაგან განუყრელი იყო. იგი მას ატარებდა ცხოვრებაში, რა პრინციპის მომხრეც იყო. ამ კერძო ურთიერთობიდან ჩვენ დავინახეთ, რომ იგი როგორც მემამულე და გარკვეულ უფლებების აღჭურვილი პიროვნება მტკიცეთ იცავს კანონს; კანონი მისთვის წმინდათა წმინდა არის; მაგრამ მისი ურთიერთობა დაბალ, ხელქვეით წოდებასთან ლმობიერი და ჰუმანიურია. იგი ცდილობს მოვალეობისა და უფლების პრინციპი მტკიცედ გაატაროს ცხოვრებაში, მაგრამ არასოდეს არ დაარღვიოს მეგობრული და მშვიდობიანი დამოკიდებულება ხელქვეით წოდებასთან; არასოდეს არ მიჰმართოს მკაცრსა და ტლანქ ზომებს თავისი უფლებების დასაცავათ; არა შევიწროებით, არამედ შეგნებით მიიყვანოს დაბალი წოდება თავის მოვალეობის აღსრულებამდე.

ასეთი არის დ. ყიფიანი კერძო ცხოვრებაში გლეხობასთან დამოკიდებულების საქმეში. გავიცნოთ ახლა მისი საზოგადოებრივი პროგრამა და მისი სოციალური იდეალები.

## 2.

როგორც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, დ. ყიფიანი არ იყო პრინციპიალური მოწინააღმდეგე ბატონყმური წყობილების: ბატონყმობის ინსტიტუტი, —როგორც არ. ჯორჯაძეც აღნიშნავს,—მის თვალში შეურყეველი იყო...[1] მაგრამ დ. ყიფიანი მაინც მოითხოვდა ერთს, რომ ძველად კანონით განმტკიცებული ბატონსა და ყმის შორის ურთიერთობის საქმე, შეკეთებულიყო და შეცვლილიყო თანახმად ახალი პირობებისა; არა მოსპობა ბატონყმური ურთიერთობის, არამედ მის შეკეთებას ახალ პოლიტიკურ მდგომარეობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობის მიხედვით, — აი როგორ დებულებას იცავდა დ. ყიფიანი ბატონყმობის მოსპობამდე. დ. ყიფიანის საინტერესო წერილები: „О том, о сем и между прочим о сословиях за-

[1] იხ. „მემუარები“ გვ. 107 — 12.

[1] არ. ჯორჯაძე: „დიმ. ყიფიანი“, „სახალხო საქმე“.

**кавказских**".[1] სწორედ ამ ხაზით არის გაშუქებული საკითხი. აღნიშნავს რა იმ ღრმა ცვლილებებს, რომელიც მოხდა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მთელს ა/კავკასიაში, ავტორი აყენებს წოდებათა ურთიერთობის საკითხს. მისი აზრით, ძველი კანონებით ან და დებულებით განსაზღვრული ეს ურთიერთობა წოდებათა შორის აღარ შეესაბამება ახალი ეპოქის მოთხოვნილებებს და იგი საჭიროებს სათანადო ცვლილებებს. ის რაც შეესაბამებოდა ფეოდალურ წყობილების სისტემას, დ. ყიფიანის აზრით, აღარ შეესაბამება ახალ წყობილებას, როდესაც საქართველოში ვითარდება სხვაგვარი მოქალაქობრივი ცხოვრება. ამ მოსაზრების დასაბუთებლად დ. ყიფიანს მოყავს მაგალითები ე. წ. **დებულების** განხილვით. დებულება გამოხატავდა მემამულესა და ყმას შორის ისტორიულად დამყარებულ ურთიერთობის ფორმას. იგი არსად არ იყო დაწერილი, ნაგრამ დაწერილ კანონზე უფრო მტკიცე იყო. მაგრამ ეს დებულება შეეფერებოდა ძველ წყობილების სისტემას, — „თანამედროვე წესწყობილებაში, როდესაც არ არის საჭირო მსხვილი მიწათმფლობელობა (როგორც ფეოდალიზმის დროს ე. ი. გვაროვნულ მიწათმფლობელობაზე ლაპარაკობს ავტორი—ს. ხ.) არც აუცილებლობა მისი დაუნაწილებლობის შენარჩუნებისა, ეს ზეპირი დებულება სასაცილო მაგალითებს იძლევა". დ. ყიფიანს ამ ფაქტის დასაბუთებლად შემდეგი ცოცხალი მაგალითები მოყავს. 150 — 200 წლის წინეთ ერთი რომელიღაც მთავარი ფლობდა დიდ მამულს და თავისი შესაფერისი წესები ჰქონდა თავის სამფლობელოში შემოღებული. მისი შორეული მემკვიდრის მამული 1820 წლისათვის საგრძნობლად შემცირდა, ხოლო ამ უკანასკნელის მემკვიდრეებს უფრო ნაკლები მამული ხვდათ რაღაც 200 — 300 გლეხთა კომლთა და **დებულებით**. ავტორი განაგრძობს:

— ეი შენ, ჩხატარეიშვილო, შემიკაზმე ცხენი, — ეუბნება ერთი ბატონიშვილთაგანი თავის გლეხს.

— არ შემიძლია, ბატონო. ვინღა დაატარებს თქვენს წერილებს?

— ბევრს ნუ სტყუი! ჩემს წერილებს ფოსტა ატარებს.

— თუ გნებავთ მომკალით, ბატონო, არ შემიძლია ცხენი გიკაზმოთ. გამაგზავნეთ წერილით სტამბოლში, თუ გინდ მოსკოვში — ეს ჩემი დებულებაა, ხოლო ცხენის შეკაზმა

— მე მეჯინიბე არა ვარ.

— გამიგონე შენ სალუქვაძე, — ეუბნება მეორე გლეხს; რა არის შენ რომ სულ ზურგით ათრევ შეშას. უკეთესი არ იქნება წაიყვანო ხარები და ერთი დღის მოთხოვნილება ერთხელვე შეასრულო.

— ხარები მე ცოტა მყავს, ბატონო.

— მე გაჩუქებ ერთ ჩემ ხარს.

---

[1] იხ. „Кавказ" № 70, 80, 81. 83, 84, 1853 წ. გამოვიდა ცალკე წიგნიდაც იმავე წელს.

— ღმერთმა ნუ მომიშალოს თქვენი მოწყალება, ბატონო და მეუფეო ჩემო.

— იცოდე კარგად დატვირთონ ურემი შეშით.

— აბა, ბატონო, ეს არა გზით არ შემიძლია. თქვენ ჩემი ბატონი ხართ, თქვენ უფლება გაქვთ ათი ხარიც მაჩუქოთ; თქვენ შეგიძლიათ მიბრძანოთ მე ყოველივე, რაც თქვენ გსურთ; და მე, თქვენი მონა, ყოველთვის შევასრულებ, მაგრამ შეშის ბოტანა სხვა მხრივ არ შემიძლია თუ არა ჩემი ზურგით. ასეთია ჩვენი დებულება.

— კარგი, კარგი. წერილი მაინც ჩაუტანე ჩემს ძმას სოფელში.

— როგორ, ბატონო, მე ენდა ვაჭარო წერილები? მე თქვენთან მომაქვს შეშა, ხოლო წერილების ტარება ჩხატარეიშვილის მოვალეობაა.

— ჰმ! მოზეცი ჩიბუხი.

— ამ წუთში. ვეტყვი გიტუას, რომ ჩიბუხი მოკართვას.

— ის შინ არ არის, მომართვი შენ თვითონ.

— ოხ, ღმერთო ჩემო. მე როგორ უნდ მოგართვათ ჩიბუხი როდესაც ჩემი მოვალეობა შეშის მოტანაა. არ შემიძლია, მარილა არ შემიძლია, მომეკლით, მე თქვენი ყაზახი, თქვენი გლეხი ვარ და თქვენ შეგიძლიათ ჩემი მოკვლა, თუ ეს თქვენ გნებავთ, მაგრამ ჩიბუხის მოწოდებას კი ვერ გაგიბედავთ". [1]

ასეთი მაგალითებით ასაბუთებდა დ. ყიფიანი ძველ ჩვეულებათა და წოდებათა შორის განმტკიცებულ დებულების შესაბამობას საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ ვითარებასთან. „ერთმა მოთხოვნილებებმა, განაგრძობს დიმიტრი, — ადგილი დაუთმეს მეორე მოთხოვნილებებს, მოვლენათა მიმდინარეობამ მეხსიერებიდანაც კი ამოშალა დიდი ნაწილი ჩვეულებათა და საკიროებათა, მაგრამ დებულებას არავის ცნობა არა სურს. ზოგიერთ (მებატონეს) ერგო ათეული მეჯინიბე, თუმცა მას ცხენი ორზე მეტი არა ყავს; სხვებს ათეულობით ზზარეულები, მაშინ როდესაც ერთიც საკმარისი იყო; ამათ — ათობით დამტარებელი თუმცა მათი დაგზავნა არსად არ არის საკირო; ამათ ერგოთ ზბლეულები თუმცა რა აზოი ექნება მათ გააცილონ თავიანთი ბატონი. როდესაც უკანასკნელს შეუძლია საფოსტო მარხილითაც გაჰკროლდეს, სხვა პირობებში—კურიერსკითა." [2] აქ დიმიტრი ყიფიანმა საუცხოოდ განმარტა ის გართულებული მდგომარეობა, რომელშიაც მოექცა ძველი ჩვეულებით გმოტკიცებილი წოდებრივი ურთიერთობა: ობიექტური გარემოება შეიცვალა, რაკ ახალ დამოკიდებულების დამყარებას მოითხოვს მებატონესა და ყმას შორის, ძველი დებულება და კანონი ამის წესაძლებლობას არ იძლევა. მაგ. ძველი დებულებით განმტკიცებული იყო, რომ ყმათა ამა და ამ ოჯახს ამდენი მეჯინიბე, ზზარეული

[1] იხ. Д. Кипиани: „О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских" გვ. 44—5, 1853 წ.

[2] იქვე, გვ. 45—6.

და სხვა უნდა მიეცა ბატონისათვის, ძველ პირობებში ეს საპირო იყო და სავსებით შეესაბამებოდა ბატონის მოთხოვნილებებს. მაგრამ ახალ ისტორიულ პერიოდში ასეთი მოთხოვნილება აღარ აქვს მებატონეს და მას ესაჭიროება ყმის შრომის სხვა სამეურნეო სფეროში გამოყენება; ამას კი ეწინააღმდეგებოდა ძველი დებულება, რომლის მიხედვითაც ყმა ძველი დროიდანვე ერთ გარკვეულ მოვალეობას ასრულებდა და ამჟამად, მისი გადაჩვევა არა შემთხვევაში არ სურდა. ასეთს პირობებში ყმის შრომა გამოუყენებელი რჩება ბატონისათვის; იგი უფრო სარჩენად აწვება თვით მებატონეს: მას არა აქვს შესაძლებლობა შესაფერისად გამოიყენოს ათეული მხარეულები, მეჯინიბეები და სხვ. ხოლო რჩენით კი უნდა არჩინოს. დ. ყიფიანი როგორც ზემამეული და საკმაოდ განვითარებული პიროვნება, ნათლად ხედავდა ბატონყმურ ურთიერთობის ასეთს წინააღმდეგობას, კრიზისს და მოწადინებული იყო იგი შეეერთებია, შეესწორებია ახალი პირობების მიხედვით.

შეიძლება ითქვას, რომ დ. ყიფიანი პირდაპირი მოწაფე იყო ვორონცოვის პოლიტიკისა. იგი აღმერთებდა ვორონცოვის, როგორც პოლიტიკურ—ეროვნულ პროგრამას, ისე მის სოციალურს და ეკონომიურს გეგმებს. პირველი ხაზით ვორონცოვი სცდილობდა ყურადღება მიექცია ადგილობრივ მოთხოვნილებებისათვის, კულტურული საქმიანობით (თეატრი, პრესა და სხვ.) დაეინტერესებია ინტელიგენტური ძალები და ამით თითქოს შესაფერისი მფარველობა გაეწია ქვეყნისათვის: [1] მეორე ხაზით — ვორონცოვი ცდილობდა არისტოკრატიული წოდების (თავად-აზნაურობა, აღალარები, ბეგები და სხვ.) განმტკიცებას, მათზე დაყოდნობას, წოდებათა შორის ნორმალურ ურთიერთობის გახმტკიცებას და ფართო აღებმიცემობისა და ეკონომიური აღორძინების გაჩაღებას. დ. ყიფიანი პირნათლად ეესახურებოდა ამ ვრცელ პროგრამას. ვორონცოვის პოლიტიკურ ეროვნული ხაზი მას სასარგებლოდ მიაჩნდა საქართველოსათვის და თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში ერთხელაც არ გადაუხვევია ამ პროგრამისაგან. ისევე ენერგიულად იცავდა იგი მაღალი წოდების პრივილეგიებს. ქვევით უფრო ვრცელად ჩვენ ამას დავინახავთ აღალარების მაგალითზე. ვორონცოვის პოლიტიკა ამ საკითხში იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ფეოდალური არისტოკრატია გადაექცნა მსახურ არისტოკრატიად„ განათლებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზით, დაეყენებია იგი „ბონაპარტულ გზაზე“ [2] და გადაექცია ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის თვითმპყრობელობის დასაყრდენ ძალად ა/კავკასიაში. ამ გზით ვორონცოვი ებრძოდა ფეოდალური წყობილების ნაშთებს და ახალი ურთიერთობის განმტკიცებას ცდილობდა წოდებათა შორის დ. ყიფიანი პრინ-

[1] კულტურის განვითარებას,— სწერს ვორონცოვი თვის მოხსენებაში, — დიდი მნიშვნელობა ექნება „на поощрение правов и на сближение туземцев с русскими“ („Акты“ ტ. X, გვ. 881).

[2] В. Толстой: М. С. Воронцов журн. Русский Архив №, 11, გვ. 301,1877  წ

ციალური თანამოაზრე იყო ამ საკითხშიც ვორონცოვის პროგრამისა. იგიც ებრძოდა ძველ ფეოდალურ წყობილებას და მოითხოვდა მტკიცე ურთიერთობის დამყარებას წოდებათა შორის. „კავკაზში“ მოთავსებულ თავის წერილში იგი სწერს: „უკვე ერთი ამით ნათელი არის, რომ საქართველოს ძველი (წოდებრივ) იერარქიაში უნდა მომხდარიყო ძირითადი გარდატეხა და ეს მძიმე საქმე... დაწყებული 1818 წლიდან—გრძელდებოდა მას შემდეგ ყოველ ხანიჯზე წარმოშობილ მეტად შემაფერხებელ პირობებში და დამთავრდა 1850 წ. სავსებით შეფარდებით ადგილობრივ პირობებთან და მოიერობის ღირსებასთან... ამჟამად ჩვენის ამ ნაწილებში ს

ცდილობდა თავად-აზნაურობა ისეთს პირობებში ჩაეყენებია ეკონომიურად, რომ მისგან მეტი შემოსავალი ჰქონოდა რუსეთის სავაჭრო კაპიტალს. ამ მიმართულებით ცდილობდა იგი ცვლილებები მოეხდინა მებატონეებსა და ყმებს შორის, ე. ი. ვორონცოვი ცდილობდა ძველ ფეოდალურ წესზედ აგებული დამოკიდებულება შეეცვალა ახალით, ისე რომ ყმა კვლავ მემამულის სრულ მორჩილებაში ყოფილიყო. ამრიგად ყმასა და მებატონის შორის დამკვიდრებული ჰუმანიური დამოკიდებულება ვორონცოვს გაგებით, სრულიად არ სპობდა გლეხის ექსპლოატაციის შესაძლებლობას მებატონის მიერ. როგორც აღვნიშნეთ, ვორონცოვი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართლ-კახეთში, იმერეთში და გურიაში მებატონეთა და ყმათა ურთიერთ დამოკიდებულების საკითხის გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბებას.[1] ვორონცოვმა თანახმად თავის პრინციპებისა ამ საკითხის შესწავლა და გამორკვევა მიანდო მთავარმართებლობის საბჭოს, სპეციალურ კომისიებსა და მაზრის თავად-აზნაურთა კომიტეტებს.[2] 1849 წ. 10 იანვარს იგი სწერს ჩერნიშევს, რომ იგი შეუწყვეტლივ სწავლობდა ამ საკითხს და საჭირო მასალების მოკრეფების შემდეგ მიჰმართა ა/კავკასიის მთავარ სამართველოს საბჭოს შეადგინოს დაწვრილებითი წესი მეჰამულეთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც შეტანილი იქნება თანამედროვე ეპოქის სულთან და ხალხის ჩვეულებასთან და იმ განზრახვით, რომ რუსეთში არსებული ბატონ-ყმური უფლების საერთო დადგენილებანი შეძლების და მიხედვით შეჰოლებული იქნეს აქაც.[3] ამ საერთო დირექტივების მიხედვით მთავარმართველობის საბჭომ დაამუშავა პროექტი ამ საკითხის შესახებ და გადაუგზავნა მ. ს. ვორონცოვს. როგორც დ. ყიფიანის მემუარებიდან ირკვევა, აღნიშნულ საკითხის შესახებ „დაწვრილებითი მოხსენების შედგენა წილად ხვდომია“ თვითონ დ. ყიფიანს.[4] ეს პროექტი მოყვანილი არის ვორონცოვის ჩერნიშევისადმი გაგზავნილ მოხსენებაში.[5] გავეცნოთ ამ პროექტის მთავარ დებულებებს—ამით ჩვენ გავეცნობით თვით დიმ. ყიფიანის შეხედულებებს ბატონსა და ყმის შორის ურთიერთობის შესახებ. პროექტი გაძოდის ვახტანგ მე-6 კანონების ძირითად დებულებებიდან, რომლის მიხედვითაც გლეხი და მისი ქონება ბატონს ეკუთვნის (მუხ. 260), რომ მემამულეს აქვს უფლება გაჰყიდოს თავისი გლეხი (მუხ. 162, 260), გლეხის უძრავ-მოძრავი ქონება მემამულის სრულს განკარგულებაში იმყოფება (მუხ. 158). ავტორი ფიქრობს, რომ ძირითადი ცვლილებების მოხდენა აქაურ ჩვეულებებში არ არის საჭირო, მაგრამ იღებს რა მხედველობაში იმას, რომ

[1] В. Иваненко: Гражданское управление закавказьем“ გვ. 373.
[2] „Акти“ ტ. X, № 28 და 35,
[3] იქვე. 37.
[4] დ. ყიფიანი „მემუარები“ გვ. 88.
[5] „Акти“ ტ. X. გვ. 40 — 45.

უფლება ქართველი მემამულეებისა ყმებზე როგორც ვახტანგ მეფის კანონით, ისე ხალხის ჩვეულებების მიხედვით არსებითად ისეთივეა, როგორიც სარგებლობენ რუსეთის თავად-აზნაურები; ამიტომ შეფარდებით თანამედროვე ეპოქის სულთან და მომავალში საკითხებისა და გაუგებრობების გათვალისწინებით — აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია—რუსეთის ბატონყმური უფლების საერთო დადგენილებანი, რომელიც საზღვრავენ მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის არსს, მაგრამ არა ხარისხი და რაოდენობა გადასახადებისა უკანასკნელისა პირველის მიმართ, — გავრცელდეს ამ მხარეშიაც იმ გამოკლებით, რომელზედაც მიგვითითებენ ადგილობრივი პირობები.[1] აღნიშნავს რა რუსეთის კანონების იმ დებულებებს, რომელიც არ უნდა იქნეს გავრცელებული საქართველოს პირობებში, ავტორი გარკვევით განსაზღვრავს ყმათა გადასახადებსა და რაოდენობას შემდეგი სახეების მიხედვით: 1) ფულად გადასახადს, 2) მიწის ნაწარმოების, 3) შრომითი და ბოლოს 4) შემთხვევით გადასახადს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დებულების შესახებ, რომლის უარყოფით მხარეებზე ასე მაგრად სწერდა დ. ყიფიანი 1853 წ. თავის დასახელებულ წერილში,—აქაც მსგავსიე მოსაზრებები არის გამოთქმული: ავტორი მოითხოვს ამ დებულებების შეცვლას უფრო რაციონალური კანონით. იგი სწერს: „...იმერეთისა და გურიის მემამულეთ უნდა მიეცეს უფლება გლეხთა ერთგვარი გადასახადის ნაცვლად, რომელიც მათთვის სრულიად საჭირო არ არის, ხოლო გლეხებისათვის ასე თუ ისე მძიმეა, დააწესონ მეორე სახის გადასახადი, რომელიც ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნება და არ ეწინააღმდეგება ადგილობრივ ჩვეულებებს და დროის მოთხოვნილებებს“.[2]

ეს მოსაზრებანი საინტერესოა იმ მხრივ, რომ გარკვეულ ფარგლებს აწესებენ მებატონეთა და ყმათა ურთიერთობის საქმეში; ამით შესაძლებელი გახდებოდა შეზღუდულიყო მებატონეთა ბოროტმოქმედებანი გლეხთა გაყვლეფის საქმეში, ხოლო მეორეს მხრივ, ნაცვლად ჩვეულებებისა მტკიცე დებულებებზე აშენებულიყო ორივე მხარის უფლებრივი მდგომარეობა.[3] მაგრამ ეს პროექტი მაინც მემამულეთა სასარგებლოდ იყო შედგენილი‘ ხოლო გლეხობა მცირეოდენ გამონაკლისით, არავითარ შელავათს არ ღებულობდა. ეს შეამჩნია შორსმჭვრეტელმა ვორონცოვმა და თავის მოხსენებაში აღნიშნა: „Но составленные советом правила, по мнению моему, слишком недостаточны для определения взаимных отношений крестьян и их помещиков в духе настоящего времени. Эти правила в некоторой степени усиливают более прежнего власть помещиков, ничем не обеспечивая крестьянского быта“[4]

[1] „Акты“ ტ. X., გვ. 41—42.
[2] იგივე, გვ. 43.
[3] С. Авалиани: „Крестьянский вопрос в Закавказьи“. ტ. I, გვ. 128. 1912 წ.
[4] „Акты“ ტ. X, გვ. 45.

აღსანიშნავი ფაქტია: ამიერ-კავკასიის ხელისუფალი—მეფის მოადგილე—უფრო მარცხენა ფლანგზედ აღმოჩნდა გლეხთა საკითხში, ვინემ ქართველი ინტელიგენტი და რუსი მოხელე — აზნაურთა წრიდან გამოსული დ. ყიფიანი. ეს ფაქტი განმეორდა 1862—64 წლებშიაც — რეფორმის წინა პერიოდში, როდესაც დ. ყიფიანმა უფრო მემარჯვენე პოზიცია დაიჭირა ვინემ ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

მაგრამ შემდეგში დ. ყიფიანმა, შეიგნო ვორონცოვის მიზნები. როგორც ცნობილია, ვორონცოვმა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შესძლო თავისი პროექტების განხორციელება გლეხთა საკითხში. იგი ცდილობდა ნიადაგი მოემზადებია ამისათვის საქართველოში, ხოლო მანამდე კი ბატონყმური უფლება „ამჟამად მომქმედ ჩვეულებათა ფარგლებში დარჩენილიყო“ რომ შეუსაბამო „პროექტებს“ არ გამოეწვია არევდარევა წოდებათა ურთიერთობაში. დ. ყიფიანისათვის ხელისუფლების დადგენილება უმაღლესი კანონი იყო. მან ნათლად შეიგნო ვორონცოვის პოლიტიკის აზრი და 1853 წელს სწერდა: „მართალია, მემამულეთა და გლეხთა ურთიერთ დამოკიდებულებაში კიდევ არსებობს ზოგიერთი გაუგებრობანი, — როგორც მაგალითად დებულება იმერეთსა და სამეგრელოში და არავითარი დებულების არ ქონა ქართლსა და კახეთში, — მაგრამ ეს გაუგებრობა ისეთი არ არის, რომ მისი განმარტების საქმის მინდობა არ შეიძლებოდეს დროისათვის — რაც უკვე ნაქნარია“. [1]

აქ კიდევ უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ერთ საინტერესო ფაქტზე. დ. ყიფიანის არქივში აღმოჩნდა ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც აწერია: Часть 5 и последняя о праве владельцев удалять крестьян из владений.. ეს უნდა იყოს მეფის მოადგილის საბჭოს იმ მოხსენების უკანასკნელი თავი, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით. ეს დოკუმენტი საინტერესოა იმ მხრივათაც, თუ როგორი არგუმენტაციით ასაბუთებდენ თვით მემამულენი თავიანთ უფლებების განმტკიცებას გლეხობაზე. მოუსმინოთ ამ დოკუმენტს: „ამ დასკვნის წინა მუხლებში საბჭომ განმარტა რაც შეიძლებოდა ვრცლად ის მიზეზები, თუ რატომ არის აუცილებელი არა მარტო შეურყევლობა ბატონყმურ უფლებისა საქართველოში —არამედ. მისი განმტკიცებაც კანონის ძალით. ამის ერთერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობას, დაუმორჩილებს რა ხალხს უმაღლეს წოდებას... შეძლება უნდა ჰქონდეს, არსებით ცვლილებების მოხდენისა და გაძლიერებულ საშუალებათა გარეშე, მოიყვანოს სისრულეში თავისი განკარგულებანი თავად-აზნაურობის საშუალებით, რომელთა პირადი ინტერესი მჭიდროდ დაკავშირებულია მთავრობის განსაზღვრებთან და რომელთა ზნეობრივ ძალთა გავლენას უფრო ადვილათ შეუძლია მორჩილებაში იყოლიოს ხალხის დაბალი კლასი. მაგრამ თუ მემამულეებს უფლებრივად არ

[1] Д. Кашкаев: „О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских“, —„Кавказ“, № 89, 1853 г.

ექნებათ მიცემული ნაშდვილი ბატონობა (действительная власть) გლეხობაზე, მაშინ ეს მიზანი არ იქნება მიღწეული და თავად-აზნაურობის შეიძლება თავზე დაატყდეს აქაური შავი ხალხის თავხედობის შედეგები. აქაური კანონებისა და ჩვეულებათა მიხედვით გლეხი მშვიდობიან მეოჯახის მოვალეობას ასრულებდა და არ შეეძლო თავისი ნებით გამოსულიყო თავის მდგომარეობიდან იმიტომ, რომ მისი მოქმედება და თვითნებობა დაუყონებლივ ისჯებოდა: მემამულეს შეეძლო იგი სასტიკად დაესაჯა ფიზიკურად; შეეძლო სრულიად გაეთავისუფლებია იგი; დაერღვია მისი ოჯახი წევრების ცალ-ცალკე გაყიდვით; ბოლოს დაესახიჩრებია იგი და არავითარ პასუხსაც არ აგებდა... ამჟამად, როდესაც სამეფომ (მეფის მოადგილის) გადასწყვიტა აქაური ბატონყმური ურთიერთობა შეძლებისდა მიხედვით დაუახლოვოს და გაათანასწოროს რუსეთის ბატონყმურ წყობილებასთან, — მემამულეს აღარ შეეძლება გლეხი დასაჯოს არცერთი ზემოდ დასახელებული სასჯელით და არც გლეხისათვის აღარ იქნება აუცილებელი გაიქცეს მემამულესაგან საზღვარგარეთ; აგრეთვე აქაურ მემამულეს არ ექნება და არც უნდა ჰქონდეს კიდევ ერთი უფლება — დასაჯოს გლეხობა ჯარში გაგზავნით. მაშასადამე მას რჩება უფლება მხოლოდ ოღონ ფიზიკური დასჯისა და მართვა თავის შეხედულების მიხედვით, მაგრამ მასთანვე მან უნდა უზრუნველყოს იგი არსებობის წყაროთი. იმ დანაშაულისათვის, რომელიც თხოულობს უფრო დიდ სასჯელს, მემამულის განკარგულებაში არავითარი საშუალება არ არსებობს... ამიერ-კავკასიის თავად-აზნაურობის თანამედროვე განათლების დონის მიხედვით, რასაკვირველია მათ დიდ უმრავლესობას, — რომ არ შეეხოთ მათ ბუნებრივ შეგნებას, რომ გლეხთა კეთილდღეობაზედ არის დამოკიდებული მემამულის ნამდვილი კაპიტალი, — შეუძლია სავსებით შეიგნოს, რომ მემამულე არის გლეხობის ოჯახის მეთაური, უახლოესი დამცველი, მზრუნველი და მოსამართლე მათი შინაგანი განწყობის საქმეშიც; რომ ის (მემამულე) კანონითაც და სინდისითაც პასუხისმგებელია როგორც უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფლების, საეკლესიო მოთხოვნილებათა წინაშე; და რომ გლეხთა ცხოვრების ზნეობრივი და ქონებრივი განვითარების ხელმძღვანყლობა მინიჭებული აქვს მათ მთავრობისაგან. დასასრულ მთავრობა მოითხოვს მათგან (მემამულეებისაგან), რომ მათ იყოლიონ გლეხობა სრულ სიმშვიდეში და მორჩილებაში არსებულ ხელისუფლების მიმართ და მიიღონ ზომები, თუ გლეხობა იტანჯება ადგილობრივ ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებით ან და თვით ისინი არღვევენ საზოგადოებრივი კეთილდღეობის წესებს. მაგრამ რომ მემამულემ ნათლად შეიგნოს თავისი მნიშვნელობა და მოვალეობანი და იმოქმედოს ამის მიხედვით, აუცილებელია, რომ მას ჰქონდეს უფლება ის თავისი გლეხები, რომელთა დამორჩილება მას არ შეუძლია და რომელნიც მას მიაჩნია თავისი მამულის დანარჩენ საზოგადოებისათვის საზიანოთ, — გადასცეს მთავრობას და სთხოვოს, რომ ის (გლეხი) განდევნილი იქნეს საქართველოდან. ამ უფლების წართმევა,

მემამულისათვის საბჭოს შეხედულებით, უსამართლობა იქნებოდა და არ შეესაბამებოდა ამ მოხსენებაში გატარებულ მოსაზრებებისა და წინადადებების ძირითად საფუძვლებს. [1]

ეს ციტატა ამ საინტერესო ისტორიულ დოკუმენტიდან ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ასე ვრცლად. ეს დოკუმენტი ნათლად ააშკარავებს როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის იმ „რეფორმის“ შინაარს, რომლის გატარებასაც ისინი ფიქრობენ 40-იან წლების დასასრულ და 50-იან წლების დასაწყისში, ამ დოკუმენტის მიხედვით მტკიცდება, რომ იმ ხანებში არავინ არ ფიქრობდა ჩვენში „შეგნების საწინააღმდეგო მონური დამოკიდებულების ადამიანისა ადამიანზე“ [2] მოსპობას. წინააღმდეგ, „რეფორმის“ შინაარსი ამ მდგომარეობის განმტკიცებაში გამოიხატებოდა. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ პროექტის შემდგენელთ შემდეგი ძირითადი დებულებები ჰქონდათ წამოყენებული: 1) მათ შეურყევლად მიაჩნდათ ბატონყმური ინსტიტუტი და სრულიად არ ჰფიქრობენ მის მოსპობაზე; 2) ისინი ფიქრობენ, რომ საქართველოში არსებულა ბატონყმური ურთიერთობის ნორმები და კანონები შეეფარდებიათ რუსეთში არსებულ ბატონყმურ უფლებებთან და ამით მოესპოთ ის ტლანქი და უხეში დამოკიდებულება, რომელიც ძველი ქართული კანონებითა და ჩვეულებით იყო განმტკიცებული; 3) „რეფორმატორები“ მემამულის მთავარ ეკონომიურ წყაროს გლეხის შრომასა და დოვლათში ხედავდენ. მათ გლეხიცა და მიწაც მემამულის სრულ საკუთრებად მიაჩნდათ. ისინი ამ დებულების იურიდიულ საფუძვლებს თავგამოდებით იცავდენ; 4) „რეფორმატორები“ ფიქრობდენ მემამულეებისათვის დაეტოვებიათ ადმინისტრატიულ-პოლიტიკური უფლებები და გადაეტანათ ისინი მთავრობის პოლიტიკის გამტარებლად თავის სოფელში; ყოველი მემამულე ხდებოდა პასუხისმგებელი თავისი გლეხობის მთავრობისადმი მორჩილებაში ყოფნისა. მას უნდა მოეხდინა მორალური და ფიზიკური გავლენა გლეხობაზე და მორჩილებაში მოყვანა მთელი სოფელი. ამით იგი ხდებოდა პოლიტიკური ფუნქციების მატარებელი სოფლად.

ასეთი იყო ის პოლიტიკა, რომელსაც დაადგა 40—50 წლეებში ქართველი ინტელიგენცია ბატონყმობის საკითხში.

ასეთი იყო დ. ყიფიანის პოზიცია გლეხთა საკითხებში 40-იან და 50-იან წლეებში. ზემოდმოყვანილ ფაქტიურ მასალებიდან სრულიად არ გამომდინარეობს ის, რომ დ. ყიფიანი ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეკი იყო. წინააღმდეგ, ფაქტები იმას გვეუბნება, რომ დ. ყიფიანი ენერგიულად იცავდა ამ ინსტიტუტს, მაგრამ მასთანვე იგი მომხრე იყო ძველ ჩვეულებებსა და კანონებში ეპოქის შესაფერისი ცვლილებები შეეტანათ და გარკვეულ ფორმებში ჩამოეყალიბებიათ მებატონეთა და ყმათა ურთიერთობის

[1] იხ. ხელნაწერი: „О праве владельцев удалять крестьян из владиц“.

[2] დ. ყიფიანი „მემუარები“ გვ. 88.

საქმე. ამრიგად მისი ჰუმანიური მიდრეკილება ბატონყმურ ურთიერთობის ფარგლებს არ სცილდებოდა.

3

არა ნაკლებ საინტერესო არის დ. ყიფიანის პოზიცია აღალარებისა და ბეგების უფლება-მოვალეობის მოწესრიგების საკითხში. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც რუსეთმა დაიპყრო ჯერ საქართველო და შემდეგ ა/კავკასიის სახანოები, აღალარების, ბეგების, მელიქებისა და სხვ. საკითხმა მრავალგვარი ცვლილებები განიცადა; 1846-47 წლებში, ვორონცოვის მეფის მოადგილეობის დროს, ეს საკითხი გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბდა, ხოლო ბარიათინსკის დროს 1861 წ. კვლავ წამოჭრა იგი დ. ყიფიანმა, როგორც მეფის მოადგილის საბჭოს წევრმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საკითხის განხილვაში და მტკიცედ დაიცვა ვორონცოვის პოლიტიკური ხაზი აღალარ-ბეგების უფლების დაცვის საქმეში.

როგორ პოლიტიკას იცავდა ვორონცოვი აღალარების საკითხში? უნდა ვსთქვათ, რომ აღალარებისა და ბეგების საკითხი რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის თავიდანვე ერთერთ თავსამტვრევ საკითხად გადაიქცა. რუსეთის მოხელეებმა, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ ადგილობრივი ზნეჩვეულებათა და კანონების, ვერაფერი გაუგეს მუსლიმანურ პროვინციებში არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას და დიდი არევ-დარევა შეიტანეს წოდებათა დამოკიდებულების საქმეში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მუსილმანთა რელიგიური ეთიკა უარყოფს ბატონყმურ დამოკიდებულებას მემამულესა და გლეხთა შორის; ამ ეთიკით უარყოფილია პიროვნების პირადი მიჯაჭვა მიწაზე და მისი დამონება რომელიმე პიროვნებისათვის. ამგვარად მუსლიმანურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ არ იცის ბატონყმური ურთიერთობა. აქედან წარმოსდგა სპეციფიური მდგომარეობა ბეგებისა, აღალარებისა და გლეხობისა მუსლიმანურ პროვინციებში. ბეგსა და აღალარს არ ჰქონდა მესაკუთრის უფლება იმ მიწაზე, რომელსაც იგი ფლობდა; იგი არ იყო მიწის მესაკუთრე, არამედ — მემკვიდრეობითი მფლობელი, რომელსაც იგი ღებულობდა უმაღლეს ხელისუფლებისაგან — შახისაგან. აქედან წარმოსდგა ის სპეციფიკური თვისება აღალარისა და ბეგისა, რომლითაც იგი განსხვავდებოდა ბატონყმური პერიოდის მემამულისაგან. მეორე განსხვავება იმაში გამოიხატებოდა, რომ მუსლიმანური გლეხი იურიდიულად თავისუფალ პიროვნებას წარმოადგენდა და მიწის დამოკიდებულების საკითხში იგი მოიჯარადრე იყო აღალარის და ბეგის მიწებისა; მაშინ, როდესაც ქართველი გლეხი მემამულის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა. აქედან წარმოსდგებოდა ის განსხვავებაც რომელიც არსებობდა მუსლიმან და ქართველ გლეხს შორის მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ამგვარად აღალარი არ წარმოადგენდა მემამულეს ამ სიტყვის მაშინ-

დელი სპეციჯიური მნიშვნელობით, ხოლო მუსლიმანური გლეხი— უმას.[1]

ეს სპეციფიკური მდგომარეობა წოდებრივი უთანიერთობისა მუსლიმანურ პროვინციებში სრულიად გაუგებარი დარჩა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. ჯერ კიდევ 1813 წელს რტიშჩევმა მოულოდნელად შეზღუდა აღალარების დამოკიდებულება გლეხობასთან (Поселянам), რამაც ადამიანური მუსლიმანთა მაღალ წოდებაში დიდი უკმაყოფილება და ღალატი. 1818 წლის განკარგულებით ერმოლოვმა მეტად შეზღუდა აღალარების საბოლოოდ უფლებები. ისინი დაემორჩილენ ძალას, მაგრამ ყოველ შეთანხმების შემთხვევაში ამყარებდენ თავიანთ უკმაყოფილებას არსებული ხელისუფლების მიმართ. მაგ. 1826 წ. აბასმირზას შემოტევის დროს მრავალმა ბეგმა ულალატა რუსეთს და მიემხრო მტერს. მაგრამ ბეკები და აღალარები მეორე მიმართულებითაც აწარმოებდენ ბრძოლას. გაეკვნენ რა ესინი რუსეთის თავად-აზნაურთა პრივილეგიურ მდგომარეობას, იმის ცდაში იყვენ, რომ გაეთანასწორებიათ ისინი რუსეთის ბრწყინვალე წოდებასთან.[2] 1840-იან წლებში გოლოვინი და განი, რომლებიც სრულიად ხელოვნად გაეკვნენ საქმის ვითარებას, უფრო შორს წავიდენ და სრულიად გაუქმეს აღალართა თანამდებობა და მხოლოდ მცირეოდენი თანხა დახმარების სახით დაუნიშნეს მათ ხაზინიდან. ამ პოლიტიკამ უფრო მეტად ააფოთა მუსლიმანთა მაღალი წოდება და გამოიწვია მათში აშკარა მოძრაობა. სწორედ ამ პერიოდში დანიშნეს მეფის მოადგილედ მ. ს. ვორონცოვი კავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ თეორიაში ვორონცოვი ლიბერალობდა, პრაქტიკაში მან ვერ შესძლო ბრწყინვალე წოდების ინტერესებიდან გადახვევა; ვორონცოვის მთელი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ გაეძლიერებია არისტოკრატიული წოდება და ის გადაექცია მთავრობის მტკიცე დასაყრდენ ძალად ამიერ-კავკასიაში. განსაკუთრებული ყურადღებით მიეპყრო ვორონცოვი მუსლიმანთა მაღალი წოდების ინტერესებს; ამ შემთხვევაში გარდა სხვა მოსაზრებებისა, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ თავის ადგილს, ვორონცოვი დაინტერესებული იყო პოლიტიკურ-სამხედრო მოსაზრებითაც: გაცხარებული ბრძოლები დაღესტანისა და მთიელთა მეამბოხეებთან და ირანისა და თურქეთის მუსლიმანური რკალი პირდაპირ აიძულებდა ვორონცოვსა და ადგილობრივ მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ამიერ-კავკასიის მუსლიმანთა მაღალი წოდების ინტერესებისათვის. ამიტომ ვორონცოვი გადაჭრით შეუდგა მუსლიმანურ ბეგებისა და აღალარებისა.

[1] ამ საკითხის შესახებ იხ. С. Авалиани: „Крестьянский вопрос в закавказьи". ტ. III, გვ. 1-16. 1914 წ, Тер- Мосеслв: „По поводу поземельной реформы в южном Закавказьи. ჟურნ. „Юридическое обозрение" № 186, 187, 1884 წ.; В. Иванивко: Гражданское управление Закавказьем" გვ. 351—67 1901 წ,

[2] „Акти" ტ. VIII, № 358 „записки обегах";(ამ მოხსენების ავტ. არის ბილაშვილი)

გან შეექმნა ძლიერი წოდება, ტახტის ერთგული და ხალხზე გავლენიანი. თვით ვორონცოვი სწერდა ჩერნიშევს: „ყველგან, სადაც ხალხი იმყოფება სამოქალაქო ცხოვრების დაბალ საფეხურზე, მთავრობისათვის შეუდარებლივ ძნელი არის იმოქმედოს მთელ მასაზე, ვინემ ერთ წოდებაზე უფრო განათლებულზე და, მაშასადამე, უფრო გავლენის მქონეზე. აქ კი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, სიბნელე უფრო საჭიროებია; ამიტომ აუცილებელია, რომ არამც თუ არ უნდა შევეხოთ უმაღლესი წოდების უფლებას, არამედ ყოველი ზომით უნდა ვეცადოთ მათ დაცვასა და გაძლიერებას, რადგან მხოლოდ ერთს არისტოკრატიულ საფუძველს შეუძლია აღმოფხვრას ის დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც ახლა განვითარდა და რომელმაც ასე ღრმად გაუშვა თავისი ფესვები დაღესტანში და რომლის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, დღემდე გარდა იარაღისა არაფერი არ იყო დაპირისპირებული.[1] ვორონცოვის ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მუსლიმანთა მაღალ წოდებას მიეცა მიწებზე საკუთრების სრული უფლება და არრიგად მან ბატონყმური პერიოდის მემამულის სპეციფიკური თვისებები მოიპოვა; ხოლო რეჩბარები და ყოველთვის თავისუფლად არსებულ რაიატები გადააქციეს ნახევრად დამონებულ წოდებად: 1846 წ. გამოცემულ რესკრიპტის ძალით, გლეხობა დასტოვეს თავიანთ ძველ მიწებზე, ნაცვლად ძველი სხვადასხვა გვარი სახელწოდებისა მისცეს მას ერთი სახელწოდება: მიულკადარ-ტაშიგი (ე. ი. მესაკუთრეთა მიწებზე მცხოვრები). ჩარიცხეს სახელმწიფო გლეხობაში და მიწის მესაკუთრეთა (ე. ი. აღალარ-ბეგების) სასარგებლოდ დაადგინეს მათ განსაზღვრული გადასახადი გადაეხადათ; ხოლო მესაკუთრეებს მისცეს აგრეთვე პოლიტიკური მართველობის უფლება მცხოვრებლებზე.[2] ამრიგად ვორონცოვმა მუსლიმანთა პროვინციაში არსებითად შესცვალა წოდებათა შორის არსებული დამოკიდებულება და ბატონყმური ინსტიტუტის მსგავსი სისტემა შემოიღო: ამით ბევრად მოიგო მაღალმა წოდებამ, ხოლო ბევრად წააგო დაბალმა წოდებამ. დ. ყიფიანი მეურვალე დამცველი იყო ვორონცოვის ამ პოლიტიკისა აღალარებისა და მუალიმან გლეხების საკითხში. თავის მემუარებში იწონებს რა ვორონცოვის პოლიტიკას სწერს: „ხელმწიფის წყალობის ამ განცხადებამ (ლაპარაკია 1846 წ. რესკრიპტზე—ს. ბ.) იმდენად დაამშვიდა ყველა ჩვენი მუსლიმანი მცხოვრები, რომ 1853 — 56 წლების ომში, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოებრივი ხასიათი ეძლეოდა მას, ისინი თავიანთ ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ ჩვენთან ერთად იბრძოდნენ.“[3]

უნდა ვთქვათ, რომ დ. ყიფიანი ბეგ-აღალართა საკითხში საკმაოდ დასპეციალისტდა და საუძველიანად შეისწავლა იგი. ამ ახრივ მას ხშირად

[1] „Акты“, ტ. X.

[3] ივანენკოს წიგნი. გვ. 354.—56.

[2] დ. ყიფიანი: „მემუარები“ გვ. 62.

ანდობენ სხვადასხვა საპასუხისმგებლო ინსტრუქციების წერას, დასკვნებისა და მოხსენებების წარდგენას მუსლიმანთა საკითხის შესახებ. 1860 წ. მეფის მოადგილის საბჭო ადგენს თავ. გიორგი მუხრანსკის განცხადებით, რომ მუსლიმანთა საქმე არავინ არ იცის ისე დაწვრილებით, როგორც ყიფიანმა, რომელმაც შემახის კომისიის ინსტრუქციაც შეადგინა (1846 წ.) და ამიტომ საჭიროა ყიფიანის ჩამოსვლამდე საკითხი გადაიდვას.[1] წინათ ამ საკითხის გარშემო მეფის მოადგილის საბჭო იმას აწერინებდა დასკვნებსა და მოხსენებებს, აღნიშნულ საკითხის შესახებ.[2]

1860—61 წელში, როდესაც ვინ იცის მერამდენეჯერ დაისვა მუსლიმანთა მაღალი წოდების საკითხი მეფის მოადგილის საბჭოში, დ. ყიფიანს ცხარე კამათის წარმოება დასჭირდა მათ წინააღმდეგ, ვინც უარყოფდა ვორონცოვის პოლიტიკას ამ საკითხში და მოითხოვდა მის ხელახლა გადასინჯვას. დ. ყიფიანი თავის წერილებით მოხსენებაში სწერს: „ჩემი ღრმა რწმენით — განსვენებული თავადი მ. ს. ვორონცოვი და გენერალი ჰ. ა. ლადინსკი არა საყვედურის, არამედ ღრმა პატივისცემის ღირსნი არიან მთავრობისაგან იმისათვის, რომ მხოლოდ ისინი დაეხმარენ მთავრობას დაემშვიდებიათ მუსლიმანური მცხოვრებნი და შეენარჩუნებიათ მათში ერთგულება ტახტისადმი უკანასკნელი (1853—56) ომის დროსაც კი, როცა ჩვენი მუსლიმანები იბრძოდენ ჩვენს მხარეზე თავიანთ ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ.“[3] ვორონცოვის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდა საბჭოს წევრი ვას. ი. სმიტენსი, რომელიც ვრცელ მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ რუსეთთან შეერთებამდე მუსლიმანურ პროვინციებში მიწები არ წარმოადგენდა, გარდა მცირედი გამონაკლისისა, კერძო საკუთრებას, იგი საერთო საკუთრების საფუძველზედ იყო აგებული. ამიტომ ვორონცოვის რესკრიპტმა დაარღვია ნულიმან მცხოვრებთა ისტორიულად შემუშავებული მიწადმფლობელობისა და მიწის საკუთრების წესი და ამით დიდი არევ-დარევა შეიტანა აღნიშნულ პროვინციებში. ამიტომ სმიტენსის აზრით, საჭირო არის ძირეულად გადასინჯვა ძველი პოლიტიკისა და აღდგენა წესრიგის. მუსლიმანთა მაღალ წოდებას უნდა მიეცეს საშუალება რესკრიპტის გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში სასამართლოს წესით დაამტკიცოს, რომ მას და მის წინაპრებს რუსეთთან შეერთებამდე ჰქონდათ საკუთრება; ათი წლის შემდეგ ყველა სოფელი და საძოვრები, რომელიც ამჟამად კერძო მფლობელთა ხელშია და რომელთა შესახებ მესაკუთრეების დოკუმენტი არ იქნება წარმოდგენილი, უნდა გადავიდეს სახაზინო უწყებაში.[3]

---

[1] იქვე გვ. 63.

[2] მაგალითისათვის იხ. მიმართვა ყიფიანისადმი 1853 წ. და ყიფიანის „записка о Бакинских бегах“ სიძველეთა მუზეუმი. 5232).

[3] იხ. Мнения члена совета Кипиани по делу о правах высшего мусулманского сословия“ (სიძველეთა მუზეუმი № 5232). იხ. „Первая часть проекта резолюции по бекскому дело“ (5232).

დ. ყიფიანს არ შეეძლო მხარი დაეჭირა სმიტენსის ახალი პოლიტიკისათვის და ამიტომ მკაცრად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. თავის მემუარებში იგი სწერს: „მარტო მე მომიხდა ბრძოლა იმ პრინციპისათვის, რომელიც მიმაჩნდა ჩემთვის მტკიცე ვალდებულებად, რომ დაურღვეველი უნდა იყოს ის, რაც ერთხელ გადაუწყვეტია ხელისუფლებას, რომელსაც როგორც უზენაეს, შეგნებით ვემსახურები“.[1] თვით სმიტენსის მოხსენების დებულებების შესახებ იგი სწერს: „მომხსენებელი პირდაპირ ამხობდა ყველაფერს იმას, რაც 1846 წ. უმაღლესი რესკრიპტით დამყარებულიყო, აღქმებდა იმას, რაც 15 წლის წინათ იყო გადაწყვეტილი უზენაესის საკანონმდებლო ხელისუფლებით, და რაც ერთად-ერთს შეეძლო მრავალრიცხოვან მუსლიმან მცხოვრებთა წოდებრივ ურთიერთობაში დაემყარებია წესი და რწმენა უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებათა სიმკვიდრისადმი.“[2] სხვა დებულებათა შორის სმიტენის წინააღმდეგ დ. ყიფიანს ორი მთავარი დებულება მოყავს: 1. 1846 წ. რესკრიპტი უმაღლესი ხელისუფლების, იმპერატორის მიერ დამტკიცებულია და როგორც ასეთი იგი შეურყეველი და საღვთოა,— რადგან—ამბობს დ. ყიფიანი „ხელმწიფის წყალობა შეურყეველი და საღვთო უნდა იყოს“, „ჩვენს კანონმდებლობაში,— განაგრძეობს ავტორი,—გარდა მონარქის უფლებისა, არ არის არც ერთი შეუზღუდველი და უცილო უფლება“. თუ მუსლიმანთა პროვინციებში დაირღვა ძველი ფორმა კერძო საკუთრებისა ეს უმაღლესი ბრძანებით იყო. კერძო საკუთრებით უფლება არ არის შეურყეველი და აბსოლუტური უფლება, იგი მონარხის ნებასა და სურვილებს ემორჩილება. „კერძო საკუთრების უფლება კანონებით არის განსაზღვრული შიდა გუბერნიებშიაც ისეთი პირობებით, რომელთა დარღვევით იგი ან იზღუდება ან სრულიად ისპობა“; ამიტომ „რად უნდა წამოვედავოთ მთავრობას იმის გამო, რომ თვითონ მან აღნიშნოს საზღვარი და პირობა საკუთრებისა ან მფლობელობის“. „შეიძლება მართლა მეტი მისცეს მაღალ წოდებას, ვიდრე ღირსი იყო; მაგრამ მისცეს უმაღლესი ხელისუფლების სახელით. და მე დღევანდლამდე ეს საკითხი სამუდამოდ გადაწყვეტილი მეგონა, მით უფრო, რომ არ გვქონია მხედველობაში არც ერთი უკმაყოფილება რომელიმე დაინტერესებულ მხარისაგან“.[3] ამ მოსაზრებით დიმ. ყიფიანს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა დაეცვა 1846 წ. რესკრიპტი.[4] დ. ყიფიანის მეორე საბუთი იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნულმა რესკრიპტმა სრული სიმშვიდე შეიტანა მუსლიმან ცხოვრებათა წოდებრივ ურთიერთობაში და პოლიტიკურადაც დიდი სარგებლობა მიუტანა ქვეყანას. „უფრო მეტს მნიშვნელობას მივცემდი მე გლეხთა უკმაყოფილებას იმდროიდან დამკვიდრებულ წესის

[1] დ. ყიფიანი: „მემუარები“, გვ. 64.

[2] იხ. „Мнѣніе члена совѣта Киппьяни“ по делу о правах высшего мусульманского сословія“ 15 апр. 1861 г.

[3] იქვე

[4] იგივე

წინააღმდეგ მიმართულს; მაგრამ არამც თუ ეს საჩივრები განხილული ან შესწავლილი არ არის, არამედ იგი არც ერთი არ არის მოყვანილი მოხსენებაში, წინააღმდეგ... „დებულების შემოღებას ბეგების მამულში საყურადღებო მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურად და ზნეობრივად: გლეხები დაცული არიან ბეგების თვითნებობისაგან; დებულება მათ მიერ გულწრფელ აღფრთოვანებით არის მიღებული; მათ სავსებით შეიგნეს, რომ მთავრობის კეთილგანზრახული ზომები სავსებით იცავს მათ უფლებებსა და მათ საკუთრებას. რაც შეეხება ბეგებს... საერთოდ კმაყოფილნი არიან მათ მამულებში ახალი წესების შემოღებით“. ბოლოს ყიფიანი დაასკვნის: „საჭიროა შეიცვალოს ის შეცდომები, რომელნიც თესენ არეულობას და რევენ გონებას; და არა ის კანონები, რომელნიც ამშვიდებენ მთელი ასიათასობით მცხოვრებთ. [1]

ასეთი იყო ის პროგრამა, რომელსაც იცავდა მუსლიმანთა წოდებრივ ურთიერთობის საკითხში დ. ყიფიანი 40—50—60-იან წლებში. მან სავსებით და მთლიანად გაიზიარა ვორონცოვის პოლიტიკა, რომ აღალარებისა და ბეგებისაგან ჩამოეყალიბებია და განმტკიცებია ნამდვილი, რუსეთის მსგავსი არისტოკრატიული წოდება, რომელიც გადაიქცეოდა თვითმპყრობელობის დასაყრდენ ძალად ამიერ-კავკასიაში საერთოდ და მუსლიმანურ პროვინციებში კერძოდ. მეორე მხრით, იგი ურყევად იზიარებდა იმავე ვორონცოვის პოლიტიკას, რომ იურიდიულად თავისუფალი მუსლიმანური გლეხობა გადაეყვანათ ნახევრად ბატონყმურ მდგომარეობაზე და გადაექციათ უმაღლესი წოდების საექსპლოატაციო ობიექტად.

ახლა განვიხილოთ თუ როგორ პოლიტიკას იკავდა დიმ. ყიფიანი „რეფორმის“ მზადების პერიოდში. და როგორი იყო მისი გეგეძები წოდებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხის შესახებ საქართველოში.

## 4

საქართველოში გლეხთა რეფორმის გატარების საქმეში დ. ყიფიანმა მხრუვალე მონაწილეობა მიიღო. მისი პოლიტიკა ამ მხრივ სავსებით შეთანხმებული იყო თავად-აზნაურთა ინტერესებთან. მან 1861 წ. 19 თებერვლის „რეფორმა“ მიიღო, როგორც უმაღლესი ბრძანება, როგორც მონარქიული მოწყალება და დ. ყიფიანი სავსებით დაემორჩილა ამ ბრძანებას, რადგან მისი პრინციპი იყო „ხელმწიფის წყალობა შეურყეველი და ხამლვთო უნდა იყოს“. ჯერ კიდევ 1861 წ. იგი სწერდა პეტერბურგიდან თავის მეუღლეს: „ხმები დადიოდა, რომ დღეს გამოაცხადებდენ გლეხთა განთავისუფლებას, მაგრამ არ გამოუცხადებიათ, ხოლო საქმე სავსებით დაბოლოვებულია და წინააღმდეგ გაკრცელებული ხმებისა არ არის დაბოლოვებული მემამულეთა საზიანოდ“. მეორე წერილში სწერს: „გლეხთა

[1] იქვე

განთავისუფლება მშვიდობიანად მიმდინარეობს. არსად არავითარი უსიამოვნება და არც შეიძლება, რომ ყოფილიყო უსიამოვნება, რადგან საქმე ორივე მხარისათვის საუკეთესოდ გადაწყდა: გლეხებიც კმაყოფილნი არიან და არც მემამულენი დაზარალდენ. ამ საქმეში შიში აქვთ იმათ, ვისაც არ ესმის ეს საქმე. და თუ საქართველოსათვის ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა ეს საქმე, არ უნდა გვიხაროდეს, არამედ უნდა ვწუხდეთ". მესამე წერილში სწერს: „ახლა დიდძალი ხალხი დადის, ეს მოვალეობაა ყველა წოდებათა მეფისათვის ილოცონ, რადგან მან მიანიჭა ხალხს ადამიანის უფლებები გლეხთა განთავისუფლება მშვენივრად მიმდინარეობს ორივე მხარის სასიამოვნოდ. ბევრს ეგონა დიდი არეულობა მოხდებაო, მაგრამ მე ჩვენი მუსლიმანთა საქმის გამოცდილებით ვიცოდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ არავითარ არეულობას აქ ადგილი არა აქვს და გულწრფელად გახარებული ვარ, რომ ჩემი მოლოდინი მართლდება". [1] ამ კერძო წერილებიდანაც კი ნათელი ხდება, თუ როგორ პოზიციას დაიჭერდა დ. ყიფიანი საქართველოში გლეხთა განთავისუფლების საკითხში.

ხოლო საქართველოში იმ ხანებში საინტერესო ამბებს ჰქონდა ადგილი: ერთი მხრივ, როგორც ქვევით დავინახავთ,—გაბატონებული წოდება შიშის ზარმა შეიპყრო რეფორმის მოლოდინში; იგი ნათლად ხედავდა, რომ მას ხელიდან უნდა გამოცლოდა მის მასაზრდოებელი წყარო. დ. ყიფიანის მიერ შეკრებილ მემამულეთა შეხვედულებებში ბატონყმობის მოსპობის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ: „რა რომ გლეხებს განთავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან; ჩვენ კარითი-კარს უნდა ვეძიოთ და მოწყალება ვითხოვოთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ეენახებისა და მიწის შემჭეშეებელი, აღარც მწყემსი საქონლისათვის და აღარც შვილების გამოსაზრდელი ძიძა. ახალი წესით ცხოვრება არ შეგვიძლია უფულოდ. ვალი გვმართებს მრავალი... ახლა ეს საქმე ვაგვიჩნდა და უნდა ყოველივე საცხოვრებელი მოგვესპოს, თუ კანონით დაწესებული ფული არ მოგვეცა". [2] მემამულე დავით ციციანოვი სწერდა:... „ჩვენ გვმართებს მომადლიერება ჩვენის თავისა და ჩვენის ცოლისა და შვილისა, რ—თაც არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუანზედ დაჯდომა, არც ვენახისა და ბოსტნის ბარვა და თოხნა, არც საქონლისა და ცხურის დევნა და არც სხვაგან მოჯამაგირედ დადგობა, რ-ლთგანაც უკბონი ვართ და უცოდინარნი, რ-ლთათვისაც მხილებელი ვიქნებით თვით სვინდისი ჩვენისაგან; ხოლო გლეხი მარადის მზა არის ყოველთა ამა საგანთა ტვირთად და არც არავისაგან დაიძრახება, რადგან ის ბოძილა ამ გუარის მდაბიო ცხოვრებისა-

[1] „სახალხო გაზეთი" № 799, 1913 წ.

[2] შეკრება ოცდაერთის აზრისა ორეს ორმოცდა საქართველოს მებატონეთა წარმოდგენილისა ბატონყმობაზედ. შერდგენილი აპრილს 1863 წ. (იხ. სახელმწ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი—დ. ყიფიანის არქივი № 5335, გადმობეჭდილი პ. გელეიშვილის წიგნში: „ი. ჭავჭავაძე" გვ. 117-18. 1914 წ.)

თვის და სიყრმიდანვე აღსრდილა ამისთანა ცხოვრებაში". [1] ასეთი იყო ის სულიერი განწყობილება, რომელიც გამოიწვია რეფორმამ საქართველოს მემამულეთა დიდ უმეტესობაში.

მეორე მხრივ, ბატონყმურ მონობაში მყოფი ქართველი გლეხობა ყირიმის ომის შემდეგ პერიოდში ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებდა მემამულეთა წინააღმდეგ. [2] ხოლო რეფორმის დასაწყისშივე გურიის გლეხობამ ერთხელ კიდევ მიმართა იარაღს თავისი უფლებების დასაცავად მებატონეთა თავაშვებულობის წინააღმდეგ. [3] რასაკვირველია, ბატონყმობის მოსპობის ხმამ რეფორმის დასაწყისიდანვე დიდი აღფრთოვანება გამოიწვია გლეხობაში. ბარ. ჯორჯაძის დრამის „შური"-ს ერთი გმირი ამბობს:"... ეხლა ხომ გაიგეთ გლეხი და თავადი სულ გაასწორესო... იმ დღეს გლეხები იყვნენ შეყრილნი, ზოგი ქუდს მაღლა ისროდა, ზოგი ტაშსა ჰსცემდა, ზოგი ხარხარებდა, სიხარულისაგან აღარა გაეგებოდათ რა. ეს არის ამას იქით თავისუფლები ვიქნებითო". [4] ასეთი იყო გლეხთა სულიერი განწყობილება რეფორმის მოლოდინში. ერთი მხრივ ცრემლების ღვრა და გოდება, მოთქმა დაღუპულ ბედნიერების შესახებ, მეორე მხრივ—აღტაცება და სიხარული მომავალ თავისუფლებისათვის—ასეთი იყო ჩვენი მაშინდელი ორი წოდების—მემამულეების და გლეხობის სულიერი განწყობილება რეფორმის მზადების პერიოდში.

როგორც ცნობილია, თავისი პირველი განცხადებით ალექსანდრე მეორე არ აპირებდა დიდი ხნის განმავლობაში რეფორმის გატარებას საქართველოში. შემდეგ, სხვადასხვა მიზეზების გამო მისი პოლიტიკა შეიცვალა და კავკასიის მეფის მოადგილეს წინადადება მისცა შესდგომოდა ნიადაგის მზადებას რეფორმისათვის. თავ. ბარიათინსკიმ დაინახა რა შესაძლებლად დაწყება გლეხთა განთავისუფლების საქმისა პირველად ტფილისის გუბერნიაში გასცა განკარგულება, რომ მაზრებში დაეარსებიათ სამაზრო კომიტეტები, თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით და იმავე წოდების დეპუტატთა შემადგენლობით, ხოლო ტფილისში დაარსდა ცენტრალური კომიტეტი კრუზენბერგის თავმჯდომარეობით. მოვალეობა ამ კომიტეტებისა შემდეგში გამოიხატებოდა: სამაზრო კომიტეტები აგროვებდენ მასალებს და არკვევდენ, თუ როგორი დამოკიდებულება არსებობდა წოდებათა შორის, ცენტრალური კომიტეტი კი ხელმძღვანელობას უწევდა ამ საქმეს. თვით თავად-აზნაურთა მოთხოვნით ზოგიერთ მაზრებიდან, 1862 წ. აპრილში მოწვეული იქნა ტფილისში გუბერნიის თავად-აზნაურთა

[1] იქვე, ბ-ლის წიგნში, გვ. 140-41.

[2] იხ. Рионели ‚освобождение крестян в грузии ჟურნ. „колокол" № 198. 1865 წ. ივალიანის დასახელებული წიგნი, ტ. I.

[3] „Акты" ტ. XII, გვ. 250.

[4] ბარ. ჯორჯაძე: „შური", გვ. 11, 1863 წ. „ცისკარი" № 8.

ყრილობა.[1] სწორედ ამ ყრილობამ დიდი ხნის (25-30 აპრილის განმავლობაში) მსჯელობის შემდეგ დაავალა დ. ყიფიანს საკითხის შესწავლა და მოხსენების დაწერა თავად-აზნაურთა კრებისათვის.[2] აქედან იწყება დიმ. ყიფიანის აქტიურად ჩაბმა ამ საქმის ვითარებაში. იგი საკითხის დამუშავებას ფართო მასშტაბით შეუდგა: დ. ყიფიანი მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობამ აირჩია ამ საქმის ხელმძღვანელად და, ცხადია, მას უნდა გამოეხატა ამ წოდების ინტერესები, მისი სურვილები და პროგრამა. დ. ყიფიანსაც ასე ესმოდა თავისი მოვალეობა. 1862 წ. 30 დეკემბერს.—ნიხ. თუმანიშვილისადმი (ცნობილი მოლაყბე) მიწერილ წერილში იგი პირდაპირ სწერდა: „სანამ არ მივიღებთ პასუხებს იმათგან მაინც, ვისაც რაიმე საყურადღებო აზრის გამოთქმა შეუძლია ამ საგანზე, მე არ შემიძლია საქმის შემუშავება, რადგანაც მე კი არ უნდა შევთხზო, არამედ უნდა შევადგინო".[3] როგორც ამ წერილიდანაც სჩანს, დ. ყიფიანს სურდა გამოეხატა მთელი თავად-აზნაურობის სულისკვეთება, მათი ინტერესები. ამ მიზნით მან მიჰმართა 16 მაისს პირადად თავად-აზნაურთა წინამძღოლებსა და ცნობილ თავადებსა და აზნაურებს მის მიერ შემუშავებული 14 კითხვით აღნიშნულ საკითხის შესახებ.[4] მაგრამ საქმის დასაწყისიდანვე მაისში დ. ყიფიანს უარის თქმა მოუხდა დავალების შესრულებაზე, რადგან ბარიათინსკიმ დაითხოვა იგი მეფის-მოადგილის საბჭოს წევრობიდნ მინგრელსკის მამულის საქმეების გამო.[5] მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არა მარტო ეს ფაქტი აიძულებდა მას უარი ეთქვა საქმის მეთაურობაზე, საქმე ის არის, რომ თვით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა არ იჩენდა სათანადო ენერგიას საქმის ვითარებაში და არ უწევდა დ. ყიფიანს შესაფერისს დახმარებას, სწორედ მას, რასაც მოითხოვდა დ. ყიფიანი მათგან: ბრწყინვალე წოდება თითქოს გამოურკვეველობაში იყო, ჯერ კიდევ არ სჯეროდა ბატონყმური წყობილების მოსპობის შესაძლებლობა, ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მეფე არ გასწირავდა მის ერთგულ ქართველ თავად-აზნაურობას და ამიტომ ისინი გაურბოდენ რაიმე დადებით აზრის ან მოსაზრების წარმოდგენას ბატონყმობის მოსპობის შესახებ. ისინი ფიქრობდენ, რომ თუ რაიმე მოსაზრებას ჭამოსთქვამდენ საჯაროდ, ეს საბაბს მისცემდა ხელისუფლებას დაეწყო რეფორმის გატარება; ამიტომ ისინი არჩევდენ საიდუმლო მოლაპარაკებას, ხოლო ოფიციალურად ჯერ კიდევ ყოყმანობდენ,მიუხედავად იმისა, რომ აპრილის ყრი-

[1] „Материалы к вопросу о крестьянской реформе в тифл. губерни". იხ. К. Зикерман: „Сборник материалов для описани тиф.губени" ტ. I, ნაწ. 1, გვ. 232-36. 1870 წ.

[2] დ. ყიფიანი: „მემუარები".

[3] პ. გელეიშვილის დასახელებული წიგნი გვ. 105.

[4] იხ. Д.Кипиани. Доклад дворянства тифлисской губерни об улучшении быта помещичьих крестьян. (უნივერსიტეტის სიძვ. მუზ. № 5332).

[5] დ. ყიფიანი: „მემუარები".

ლობაზე თავად აზნაურობა იძულებული შეიქმნა გარკვეევით გამოეთქვა თავისი აზრი. ამ მხრივაც დ. ყიფიანს დიდი დაბრკოლებანი გადაეღობა წინ. საინტერესო არის აქ მოვიყვანოთ თვით დიმიტრი ყიფიანის წერილი აღნიშნულ საკითხის შესახებ ტფილისის გუბერნიის მარშალისადმი. 1862 წ. მაისის თარიღით იგი სწერდა: „წარსულის აპრილის 30-ს ტფილისის გუბერნიის მებატონეთა საზოგადო შეკრებილებამ წარმოსთქვა უმთავრესი აზრი ბატონყმობის საქმის დასაბოლოვებელი და რამდენსამე პირს გარდა ყოველმა იქ მყოფმა ხელიც მოვაწერეთ. მეორე დღეს, ამ მაისის პირველს, მე მოვანდევეს ამ საქმის შემუშავება და დაწერა, ჯერ სიღნაღის უეზდის თავად-აზნაურთა, მერე გორის უეზდისა, მერე თელავისა და დასასრულ ტფილისის უეზდისაც. მაშინვე წარმოთქმული ჩემი პასუხი უეჭველად გეხსომებათ, რადგან ჭეშმარიტებაზედ იყო დაფუძნებული; ესე იგი, მე ვსთქვი, რომ თუმცა დიდად სამძიმ არს ჩემთვის, ჩემს ახლანდელს მდგომარეობაში, ეს საქმე, მაგრამ მრთელს შეკრებულებაში არავინ იპოვება ისეთი, რომ ნება ჰქონდეს საზოგადოებისაგან დასაქმების უარყოფისა. მეც შეეწირავ საზოგადო საქმეს შრომასაც ჩემსა და სიცოცხლესაცა მეთქი, მხოლო ეს კი ვითხოვე, რომ რადგან მე ყოველი ჩვენის ქვეყნის გარემოება დაწვრილებით არ ვიცი, და საზოგადო აზრის განმარტებისათვის სხვადასხვა ცნობა მრავალი დამჭირდება, აღმოერჩიათ ყოველს უეზდში რამდენ რამდენიმე პირი, რომ იმათთან მქონიყო მიწერ მოწერა და მოლაპარაკება. ეს აღსთქვეს მაშინვე ყოველთაგე და ტფილისის უეზდი შეუდგა იქავე იმ პირთ აღმორჩევასა, სხვა უეზდებმა სთქვეს, ჩვენც ზინ ამოვარჩევთ და ვაცნობოთ ყიფიანსო. რასაც მე ომითის შეწეობით და ხელის გამართვით შევადგენდი და დავსწერდი, ჯერ უნდა გამეშინჯებინა მებატონეთათვის უეზდებში და მერე წარმოდგენა ისევე საზოგადო გუბერნიის შეკრებილებისათვის განსახილველად და გასასჯელად; ასე დაბოლოვდა საქმე და დაიშალა შეკრებილება ექვსს თვემდის“. შემდეგ დ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ მას დაპირება არ გაუმართლეს და შესაფერისს დახმარებას არ უწევდენ. „აქობამდე რომ ამ მდგომარეობაში ვიმყოფები, ცხადად ვხედავ, რომ თუმცა, ღმერთმა ხომ იცის, არა მეშურვის რა ჩემი საზოგადოს საქმისათვის, არცა ჯაფა, არცა უსიამოვნება, არ ეა რა სხვა შეძლება ჩემი,—მაგრამ—ამაოდ შრომა, ამაოდ მოქმედება ზარალს შეადგენს და არა სარგებლობასა.—და რადგან ამდენმა ხანმა ასე უსარგებლოდ განვლო და ხელის გამართვას ვერსაიდან ვხედავ, მარტო მე საზოგადო საქმის წარმართვა არას გზით არ შემიძლია. საქმის დაგვიანება და შეუსრულებლობა რომ ამას იქით მე არ დამბრალდეს—ამით მომიხსენებია, რომ ვერც მარტოობით ვიკისრებ ამ საქმეში შრომას და ვერც საიდუმლოებით: ყოველმა ამ საქმეში მონაწილემ უნდა იცოდეს ვინ როგორ რას ვმოქმედობთ და ვინ რისთვის რას ვიძიებთ. — ხოლო რადგან მარტოთაც ვრჩები ორის უეზდისაგანაც საიდუმლოებით საქმობასაც მაჩემებენ,—... უარვყოფ ამ იძულების გამო საზოგადოების

მონდობილობასა და ამიღია ხელი ყოველის საქმისაკან ბატონყმობის თა ობაზედ„ [1] მაგრამ თავად აზნაურობა დაბეჯითებით სთხოვდა დ. ყიფიანს არ დაეტოვა საქმე და აესრულებია ის, რაც გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ დაავალა. სიღნაღიდან სწერდენ რომ ისინი გულწრფელად ალიარებენ მას მათი ნდობის ღირსად და გამომსახველად მათი სურვილების. იგივე ჯიმეორა თელავის მაზრის თავად-აზნაურობამაც: [2] ამიტომ 1862 წლის სექტემბრიდან დ. ყიფიანმა კვლავ მოიკიდა ხელი საქმის შესრულების. ამის შესახებ 1862 წ. 23 აგვისტოს იგი სწერს მიხ. თუმანიშვილს: „თქვენი 18-ის ამ თვის წიგნი მოვიდა და პასუხად ამას მოგახსენებთ, რომ თუ-ცა მაისში ვალად ვრაცხდი საზოგადოს საქმისაგან თავის მორიდებასა, რომ ჩემის გარეგით ახლანდელს ჩემს მდგომარეობაშა თვით საქმეს არა ჰენებიყო რა, და ნიხეზი—სხვათა შორის—მ. შინ თქვენც მოგახსენეთ; ბაგრამ ივლისში სიღნაღის უეზდის მებატონეთაგან ქალალდი მომიდა, რომლითაც განმეორებით მიბრძანებენ მონდობილობის აღსრულებასა და ჩემგან მოთხოვნილს პასუხებსაც მპირდებიან. ეს განმეორებითი დასაქმება ჩემი რასაკვირველია მოურიდებელ ვალად მიეითვალე; მაგრამ საქმისათვის ჯერ არ მიმიყვია ხელი.

ა. სხვა უეზდებიდან არა მომსვლია რა.

ბ. არც სიღნაღიდან მიმიღია მოთხოვნილი პასუხები და

გ. გუბერნიის მარშალს არ გადმოუცია ჯერ ჩემთვის არც ის ქალალ-დები, რაც შეკრებულობაში იყო შენოტანილი, და არც ის საქმეები, ან საქმეთაგან გამოკრებილი მასალა, რაც საფუძვლად უნდა ედვას ჩემგან შესადგენს საქმესა და რაცა მოესთხოვე მისს ბრწყინვალებას მაისშიე..

თქვენი ბრწყინვალება თვით მეთანხმება, რომ უამისოდ საქმის ხელ-ყოფა არ შეიძლება და თუ რაც ამ სამს მუხლში არის მოხსენებული, ყო-ველივე არ მომივიდა, ვერც მე შევძლებ საქმობასა.

ამ მოლოდინში ვიმყოფები აქამომდე ყოვლად მოშაჯინებული, რომ საზოგადოების მონდობილობა აღვასრულო იმ წესით, რომელიც მის ბრწყინ-ვალებას ენიაზ გრიგოლ დიმიტრის ძეს [3] ვჰგონებ მოეხსენებოდეს, ესე იგი: რაც ჩემის შემუშავებისაკან შეადგენი გამოვა, ჯერ უეზდებში გავა-შინჯო საზოგადოებას და მერე გუბერნიის შეკრებილებაში და რასაც ეს შეკრებილება არჩევს, ის იქნეს მმართველობის წინაშე წარდგენილი.

მომავალის სექტემბრის დამლევს იმედი მაქვს პირისპირ განხოთ და მაშინაც მოგახსენოთ, რომ საზოგადოს საქმეში მე ჩემის თავის დაზოგვას არა:დროს არ განვიზრახავ.

---

[1] იხ. სიძველეთა მუზეუმი № 5332.

[2] დ. ყიფიანის დასახელებული მოხსენება.

[3] გრ. ორბელიანს.

სხვებრ გახსნილის გულით მოგესალმებით, ძვირფასო კნიაზო, და გთხოვთ ყოველთვის ისე გეგულებოდეთ, როგორც მარადის ვჰყოფილვარ".[1]

ახლა საინტერესო ის არის გავეცნოთ იმ კითხვებს, რომელიც დ. ყიფიანმა 14 მუხლში ჩამოაყალიბა და დაუგზავნა სხვადასხვა მაზრის თავადაზნაურთა მათი შეხედულების გამოსარკვევად გლეხთა განთავისუფლების პირობებში. ამჟამად ჩვენ ხელთ არის რამოდენიმე ასეთი ერთიდაიმავე შინაარსის დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს თვით დ. ყიფიანი.[2] 1862 წ. 7 ოქტომბრის თარიღით იგი სწერს გუბერნიის მარშალს:

მოწყალეო ხელმწიფეო კნიაზო ალექსანდრე დავითის ძეო! გორის უეზდის მებატონეთაგან ბატონყმობის საქმეზედ ჰაზრი მართალია შედგენილი არის; მაგრამ რადგან შიგა და შიგ ბევრი საგანი ჭრჩება კიდევაც შესამუშავებელი და შესათანხმეელი, ვიკადნიერებ და ამასთან მოგარომევთ 14 მუხლად დაწერილს კითხვას და უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალებას თქვენი საკუთარი პასუხები მიბოძოთ, თქვენის მოგვარეების სურვილზედ და ჰაზრზედ დაფუძნებული, რომ სახელმძღვანელოდ მექნეს საზოგადოებისაგან მონდობილის საქმის აღსრულებაზედ. ამ ოქტომბერში, ანგ ნოემბრის ნახევრამდის მაინც რომ მიბოძებდეთ პასუხებს, ამით თვით საქმეს დაავალებდით. ამ ზამთარს მე გახლდები ზუგდიდს, მენგრელიაში და იქ მექნება მოლოდინი თქვენის პასუხისა.

წრფელის ერთგულებით და უსულითადესის პატივის ცემით, დავშთები თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე დიმიტრი ყიფიანი.

„7" ოქტომბერი 1862 წ.

ამ წერილს თან ერთვის შემდეგი 14 მუხლიანი კითხვები.

„ყოველი ჩვენი სხვა და სხვა აზრი ერთს სურვილზედ ტრიალებს. გლეხები ისეთს მდგომარეობაზედ დავაყენოთ, რომ ჩვენ გვიმადლიდენო.

ამ სურვილზედ დამყარებულნი ვანდობთ: ყმებს პირადი თავისუფლება მივსცეთ; სამაჯიერო ფული ვთხოოთ და ადგილ-ჰამული ჩვენსავე კუთვნილებაში დარჩესო.—ზოგსა და ზოგს კიდევ სხვა და სხვა აზრი გვაქვს,— უნდა დავათანხმოთ ახლა ერთმანეთის ლაპარაკი; უნდა კარგად მოვიფიქროთ ყოველივე, რაც ამ საქმეზედ სათქმელი გვქონდეს და ყოველიკე შინაურულად ვაცნობოთ, ვისთვისაც დაწერა მიგვინდეია.

ამ საქმის ასახსნელად და კარგად გამოსარკვევად განმარტება მრავალი დაგვჭირდება, მაგალითად:

1. ფულს რომ ვითხოვთ, რა ანკარიშით ვითხოვთ?

2. გლეხებს ნუ გადახდება ეს ფულიო, რომ ვითხოვთ, რა მიხეზით ვითხოვთ?

ამ ორის კითხვის ასახსნელად უნდა ვსთქვათ:

---

[1] ცენტრარქივი: Дело канцеляриц наместника по устройству крестьян № 9 ვ. 103.

[2] მიხ. თუმანიშვილისადმი მიწერილი წერილი მოყვანილი აქვს პ. გელეიშვილს.

3. კანონით თუ ჩვეულებით, სიმართლე მიგვიძღვის თუ არა კომლზედ ერთი მსახური გამოვიყვანოთ, რომ ამის სამაგიეროთ ვითხოვოთ ფული, სადაც ეს მიზეზი არ გამოსდგება, იქ სხვა რა ესოქვათ საფუძვლიანი.

4. ეს ფული გლეხებს ნუ გარდახდებაო, რომ ვანბობთ, რა მიზეზით ვესარჩლებით გლეხებს? ივარგებს თუ არა? რომ გამოვიკვლიოთ და ავხსნათ, რა ხარჯი გაუწეევიათ რამდენსამე წელიწადში, — სხვა და სხვა გამოსაწვევის მიზეზებით, მილიციისათვის თუ სხვა და სხვა საქვეყნო საქმეებისათვის, — საბატონო და სახელმწიფო დაწესებულს გარდასახდს გარდა?

ადგილ-მამული ჩვენია, ამაზე ეჭვი არ არის; მაგრამ დასაკუთრებით, რომ ვერას ვაძლევთ გლეხებსა ჯერ ეს უნდა ვსთქვათ:

5. რა და რა მიზეზით არ ვაძლევთ თუ ვერ ვაძლევთ? და მერე —

6. იმათი მომადლიერება რომ გვიბრძა, როგორღა უნდა მოვახერხოთ?

ახლანდულს სახლკარობას არ მოუშლითო, ვანბობთ და რაც ჩვენი ადგილ-მამულები უჭირაკთ სულ იმათვე მივაჩეჩეთ დროებითაო; მაშ ამითი ვადას ვაწესებთ.

7. ამ ვადის გასვლამდის რა სარგებლობა უნდა გვეძლეოდეს იმ ადგილ-მამულებისაგან?

ქვეყნის ჩვეულებას ან ხიზნების მაგალითს დავადგებით, თუ არა?

8. თუ ამ ჩვეულებას დავადექით — სად, რა და როგორი ჩვეულება არის სახელდობრ გამოუცხადოთ და ავრიცხოთ თუ არა? რომ, ვინ იცის თუ მომავალში სალაპარაკოდ გაგვიხდა რამე გარჩევა არ გაჭირდეს.

9. თუ ჩვეულებას ვერ დავადგებით, მაშ ახალს დავაწესებთ რასმე; რა რის მაგიერად უნდა დავაწესოთ ახალი, რა მისეზით და შემსუბუქება რაში ექნება მაშინ გლეხს?

10. ჩვეულებაზედ დავემყარებით თუ ახალ წესს დავადგენთ რასმე, რა რომ ან ერთსა და ან მეორეს განმარტებით აღვრიცხავთ, — ემჯობინება თუ არა, რომ სადაც ერთნაირი და ერთი ზომის სამსახური და გარდასახადი არსებობს, ან დაწესდება, ის ადგილები დასახელებით ერთად მოვიხსენოთ და ამისათვის ქვეყანა, გინა უეზდი, ზოლებად დავყოთ ან სხვა გვარად როგორმე, რომ ჩვენც ბეჯითად ვიცოდეთ და მთავრობამაც, ამა და ამ სოფლებში ან ამა და ამ მხარეზედ ეს წესია და ამა და ამაზედ ესაო.

11. თუ ამას საჭიროდ არ ვაძიებთ, მაშ საკმავო იქნება თუ არა, ასე რომ ვსთქვათ: „ადგილ-მამულისათვის პატრონს ის სარგებლობა უნდა ეძლეოდეს, რასაც ყოველი თავისუფალი კაცი აძლევს მამულის პატრონსა, ქვეყნის ჩვეულებითა, და პატრონს ნება არ ექნება ამ ჩვეულების შეცვლისა ვადამდის; — და რა რომ ვადა დასრულდება მაშინ გლეხნიცა და მემამულენიც ერთმანეთში მორიგდებიან ნება ყოფლობით."

12. თუ ამ ჩვეულებით გლეხს მუშის მოხმარება ემმართება ემჯობანება თუ არა, რომ მუშის მაგიერად ფასი გვაძლიოს?

თუ პატრონს მუშა არ დასჭირდება მაშინ რა ექნათ და თუ თავისუფალი გლეხ- არ გამოვიდა, ეაშინ რა?

13. დაწესებულს ვადამდის თავისუფალს კაცს ნება ექნება გარდასახდებისა თუ არა? პატრონსაც ნება ექნება დათხოვისა თუ არა?

რა და რას შემთხვევაში, რა და რა მიზეზებით და როგორ?

14. ვადა მოკლე ემჯობინება თუ გრძელი პირველს მორიგებ.მდის? და სახელდობრ რამდენი ხნისა.

შიგა და შიგ სხვა კითხვაც წარმოსდგება კიდევ განსამარტებელი და მოსაფიქრებელი და უნდა წარმოსთქვათ ყოველივე, რომ მოსალაპარაკებელი გულში აღარა ჩაგვრჩეს რა.

ამ 14- ის კითხვის პასუხები ამავე რიგით გვიბოძეთ, ამავე ნობრებითა, თუნდა ცალ-ცალკე იყოს დაწერილი, ოღონდ გარკვევა არ გაჭირდეს, რადგან მიწერ-მოწერა ზეტად ბევრი გვჭირდება.

პასუხები არა თუ რამდენისამე პირისაკენ, ყოველის შემოტანისაგან, რომ თვითოეულისა გვქონდეს, უკეთესი იქნება საქმისათვის.—

დ. ჯ.

ეს წერილი ძვირფას ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს როგორც ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების შესასწავლად, ისე წოდებათა ურთიერთობის გამოსარკვევადაც. დ. ყიფიანი თავისი კითხვებით მთავრობის მიერ მის წინ დასმულ ამოცანების გადაწყვეტას კი არ ცდილობდა, არამედ მისთვის უკვე გარკვეულ, თავად-აზნაურობისათვის სასარგებლო დებულების უფრო მეტ დამამტკიცებელ. არგუმენტაციებს ეძებდა: მას თავად-აზნაურობამ უნდა მიაწოდოს ცნობები იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ არის საჭირო გლეხთა განთავისუფლებაში მიიღონ მემამულეებმა ფული, რატომ უნდა დარჩეს მიწები თავად-აზნაურობას და სხვადასხვა. და აი ამ დებულებათა დასამტკიცებლად, ე. ი. მემამულეთა ინტერესების დასაცავად დ. ყიფიანმა 1863 წლის მარტამდე 240 მემამულისაგან მიიღო 21 წერილობითი განმარტება. დ. ყიფიანმა მთლიანად და სავსებით ამ 240 მემამულის მოსაზრებებზედ ააგო თავისი მოხსენება; უკეთ რომ ვსთქვათ მან ცალკე წერილებში მოყვანილი მოსაზრებანი მთლიან სისტემაში ჩამოაყალიბა, მტკიცე ლოგიკური და ისტორიული არგუმენტაციებით დაასაბუთა, და ქარვასავით აგებული მონუმენტალური მოხსენება წარუდგინა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას: პირველად იგი მოისმინეს სამაზრო სათავად-აზნაურო კრებებზე, ხოლო საბოლოოდ დაამტკიცეს 1863 წ. მაისში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობაზე. დიდმა უმეტესობამ თავად-აზნაურობისა უკრიტიკოდ მიიღო დ. ყიფიანის მოხსენება, რომელიც სავსებით გამოსახავდა მაშინდელი გაბატონებული წოდების ინტერესებსა და მისწრაფებებს გლეხთა საკითხში.

როგორი არის დ. ყიფიანის მთავარი დასაყრდენი საფუძველი და რო-

გორ გეგმებს იმუშავებს იგი მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის მოსაწესრიგებლად რეფორმის შემდეგ პერიოდისათვის?

სანამ ამ საკითხს შეეხებოდეთ, უნდა ავღნიშნოთ ის მომენტიც, რომ ჩვენში რეფორმისათვის მზადება სწარმოებდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების გამოცოცხლების მეტად მნიშვნელოვან პერიოდში. 60-იანი წლების რუსეთის დემოკრატიულ-რევოლუციონურმა მოძრაობამ ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მეთაურობით, დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ახალთაობის ინტელიგენციის გამოფხიზლებისა და გონებრივი წარმატების საქმეზე.[1] 60-იან წლებში არა მარტო აღორძინება მოხდა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების, არამედ მისი მკაცრი დიფერენციაციაც კონსერვატიულ-ლიბერალურ და დემოკრატიულ-სოციალისტურ მიმდინარეობათა სახით. ამ „დაჯგუფებას“ არ შეეძლო თავი არ ეჩინა ისეთს დიდსა და იმ დროისათვის საპირბოროტო კარდინალურ საკითხში, როგორიც იყო საერთოდ ბატონყმობისა და კერძოდ გლეხთა საკითხები: ამ ეპოქის მოღვაწე ცნობილი ისტორიკოსი ფურცელაძე 1884 წ. სწერდა გლეხთა განთავისუფლების აზრმა ბატონყმურ დამოკიდებულებისაგან მემამულეთა შორის გამოიწვია სხვადასხვაგვარი სიმპატიები: მემამულეთა უმეტესობა მას უარყოფითად შეხვდა; უმცირესობა კი, შემდგარი განათლებულ ახალთაობისაგან, იჩენდა სრულს თანაგრძნობას მისადმი, მაგრამ მას თავისი უმცირესობის გამო არ შეეძლო რაიმე გავლენა ჰქონოდა არც გლეხთა საკითხის გადაჭრაზე და არც მის გატარებაზე. გლეხთა რეფორმის პრაქტიკულად გატარების საქმეში მემამულეთა უმრავლესობის გამარჯვებას ყველაზე უფრო არა სასურველი შედეგები ჰქონდა გლეხებისათვის. მემამულეები, რომელნიც არ უთანაუგრძნობდენ ბატონ-ყმობის უფლების მოსპობას, ცდილობდენ შეესუსტებიათ ახალი კანონდებულებათა ძალა, და ხშირადაც ახერხებდენ ამას. გლეხთა კანონებს, უარყოფდენ, ხშირად მემამულეთა ინტერესებისათვის იყენებდენ, ხოლო გლეხთა ინტერესებს კი უკანა რიგზედ აყენებდენ.“[2] ასე სწერდა „რეფორმის“ მონაწილეთაგანი და ავტორი ცნობილ „გლეხთა გრამოტებისა“ და ჩვენ მას უნდა დაუჯეროთ იმიტომ, რომ იგი სრულ სიმართლეს გამოხატავდა.

თუ ჩვენ 60-იან წლებში გლეხთა საკითხის (ე. ი. ბატონყმობის მოსპობის) შესახებ გამოთქმულ საერთო მოსაზრებებს თავიანთი კლასიურ-სოციალური მისწრაფებების საზომით განვიხილავთ, დავინახავთ შიგ სამ სხვადასხვარგვარ მიმდინარეობას: 1. **კონსერვატიულ-რეაქციონურს**, რომელიც მთელი ენერგიით ცდილობდა მებატონეთა უპირატესობის შენარჩუ-

[1] იხ. ს. ხუნდაძე: „ნ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია“ წიგნი: „ნ. გ. ჩერნიშევსკი“, 1929 წ.

[2] Д. Пурцеладзе: „Крестьянский вопрос в Грузии“—ჟურნ. „Юридическое обозрение“ № 159, გვ. 452—53, 1884 წ. ბატონყმური ურთიერთობის შესახებ საინტერესოა ამავე ფურცელაძის წერილები „Кавказ“ ში № 84, 85, 86, 1864 წ.

ნებას და გლეხთა ხიხანთა მდგომარეობაში გადაყვანას; ასეთი იყო დ. ყიფიანის და უმრავლესობის შეხედულება. 2. ლიბერალურ-პროგრესიულს, რომელიც მხარს უჭერდა გლეხთა მიწით განთავისუფლებას, მაგრამ სრულიად არ სურდებოდა მემამულეთა თვალსაზრისს,—ასეთი იყო კ. მამაცაშვილისა და ჭავჭავაძის პროექტები;[1] 3. დემოკრატიულს,—რომლის წარმომადგენლები იყვნენ 60-იანი წლების რუსეთის აზროვნებაზედ აღზრდილი ახალი თაობის ინტელიგენცია. რასაკვირველია ამ ინტელიგენციას არ შეეძლო თავისი აზრები სავსებით გამოეთქვათ საჯაროთ; ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა მაშინდელი პოლიტიკური პირობები.[2] სხვა შრომაში შეეცდები ამ მიმდინარეობათა უფრო ვრცლად დახასიათებას; ახლა დაუბრუნდეთ დ. ყიფიანის პროექტებსა და მოსაზრებებს.

როგორც ზევით დავინახეთ დ. ყიფიანი არ იყო წინააღმდეგი ბატონყმური ინსტიტუტის. მაგრამ როდესაც მონარქმა თავისი მოწყალება გამოიღო და მოინდომა გლეხთა განთავისუფლება ბატონყმური წყობილებისაგან, დ. ყიფიანისათვის ეს გარდაუვალ კანონად გადაიქცა: მეფისა და ტახ-

---

[1] იხ. ამის შესახებ გრ. გიორგაძე: „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“ გვ. 137—213, 1926 წ. ს. ავალიანის: „Крестьянский вопрос“ ტ. I. კ. მამაცაშვილის საინტერესო წერილი იხ. უნივერ. სიძველეთა მუზეუმში—დ. ყიფიანის არქივი. გელეიშვილის წიგნში გვ. 145—52. იხ. აგრეთვე იმავე მამაცაშვილის წერილები 1862—63 წლის „გუთნის დედაში.“

[2] აქ არ შეიძლება არ დავასახელოთ დ. ყიფიანის წერილი „საქ მოამბეში“ (№ 4, 1863 წ.), რომელშიაც იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი შრომის პრინციპის საზომით აკრიტიკებდა ბატონყმობას, და მოითხოვდა, რომ ყოველი კაცი ყოფილიყო მშრომელი. აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძის გამოსვლა თავად-აზნაურთა კრებაზე გლეხობის მიწით გაათავისუფლების მოთხოვნით (იხ. ქრ. მამაცაშვილის წერილი: „ეპიზოდი ი. ჭ-ძის ცხოვრებიდან“ წიგნში: „ი. ჭ-ძის სიკვდილი და დასაფლავება“ გვ. 66—8, 1907 წ.) ბოლოს რიონელის (ნ. ნიკოლაძის) წერილი: „Освобождение крестьян В Грузии“ —1865 წ. გერცენის „კოლოკოლში“ მოთავსებული, რომელშიაც ავტორმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გლეხთა „რეფორმა“ საქართველოში და სასტიკად გაილაშქრა თავად-აზნაურობისა და თვით დ. ყიფიანის წინააღმდეგ. რიონელის წერილს მკაცრად შეეხო რეაქციონერი კატკოვი თავის „მოსკოვის უწყებებში“ (1865, № 154). სხვა წერილის გამო კატკოვის საწინააღმდეგოდ დაწერილ სტატიაში, დ. ყიფიანი არ სტოვებს უყურადღებოდ კატკოვსა და მ. წერს: „...Почти взялся уже за перо высказать печатно же искреннее спасибо Г. Каткову за правду о Грузии (საქმე შეეხებოდა გლეხთა საკითხს. ს. ხ) по поводу нелепой статьи в „Колоколе“ какого-то г. Рио-Нели—с некоторою в прочем оговоркою—относительно существования здесь будто-бы каких то кровных недоразумений“. (იხ. უნივერს. სიძველეთა მუზეუმი „№ 5332 დ. ყიფიანის ხელნაწერი) Катков о предводителе Грузинского дворянства“ ან გაზ. „Кавказ № 83, 1865 წ.

ეს პოლემიკა ნათლად აჩვენებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობდა ჩვენს ორ რადიკალურად საწინააღმდეგო მიმდინარეობათა შორის. დ. ყიფიანი გლეხთა საკითხში რუსეთ რეაქციონერ კატკოვს ამოუდგა გვერდში ახალთაობის ინტელიგენციის წინააღმდეგ. ს. ხ.

ტის სურვილის წინააღმდეგ მას არც სურდა და არც შეეძლო წასვლა; მას ეს **მოწარჩიული ბრძანება** ურყევად უნდა გაეტარებია ცხოვრებაში. ამრიგად დ. ყიფიანი 60-იან წლების დასაწყისში ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობამდე მივიდა არა თავისი შინაგანი შეხედულების განკითარებით, არა ახალი ლიბერალურ-პროგრესიული აზროვნების შეთვისებით, არა თავისი რწმენით, არამედ — **ზევიდან მოხვეული ბრძანებით**. მაგრამ დ. ყიფიანი თუ, ერთი მხრივ, სახელმწიფო **მოხელე** იყო, რომელიც უყოყმანოდ ემორჩილებოდა უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებას ბატონ-ყმობის მოსპობის საქმეში, მეორე მხრივ იგი **მებატონე** იყო, რომელსაც უაღრესად აინტერესებდა თავისი მამულის, თავისი ყმებისა და თავისი ეკონომიურ მომავლის ბედი; უკეთ რომ ვსთქვათ, — თავისი კლასის მომავალი. ერთი მხრივ მოვალეობა **ხელისუფლების** წინაშე, მეორე მხრივ მოვალეობა **თავისი კლასის** წინაშე — ორად აპობდა დ. ყიფიანის ფოლადივით მტკიცე ნებისყოფას. აუცილებლობის წინაშე მდგარი, იგი შიშით ცახცახებდა იმ დიდი შენობის დარღვევის მოლოდინში, რომელსაც ბატონყმობა ეწოდებოდა და რომელიც, დ. ყიფიანის გამოანგარიშებით, მე-10 საუკუნიდან არსებობდა საქართველოში. დ. ყიფიანის — მასთან მთელი ბრწყინვალე წოდების — გაორება ნათლად სჩანს მის შოხსენებაში. დ. ყიფიანმა თითქოს ასახა არა მარტო მისწრაფებები გაბატონებული კლასისა, არამედ ამავე კლასის სულისკვეთება და ფსიხოლოგიური განცდები, წარმოშობილი ძველი წოდებრივი ურთიერთობის რღვევის პროცესში.

„ერთ დიდიხნის სასახლეში ძველათგანვე პატიოსანი გვარის ოჯახი ჰსცხოვრობდა თუმცა ღარიბად, მაგრამ სხვა და სხვა ბედისტრიალისაგან ძლიეს დამშვიდებული. უკეთეს დროებას რომ ელოდნენ ესმაო მეყვსეულად ხუროთმოძღვართაგან, რომ ახლავე უნდა გამოხვიდეთ მაგ სასახლიდან, თუ არა ზედ დაკენგრევათო. გამოვიდა კიდევ ცოტა რამ ხანი და — აქ იქეა კედელშა, იქ იქეა; რღვევის მომასწავებელი ნიშანი გახშირდა და მაშინ კი სთქვეს უნდა მართლად გავლაგდეთ, თორემ სწორეთ ცუდათ ყოფილა ჩვენი საქმეო; — თავი სად შეეფარებინათ არ იცოდნენ; მაგრამ იწყეს გამოლაგება იმედნეულებმა, რომ ღმერთი და ხელმწიფე არ გაჰსწირავენ მსასოებელთა.

როგორც ისინი იყვნენ შეწუხებულნი, მანამდის მამაპაპეულის სახლიდან გამოსვლას დაადგებოდნენ, იმ გუარად, — მაგრამ ბევრით უფრო უძლიერესად, საქართველოს მებატონენი ვიყავით შეშფოთებულნი,—ხმა რომ გვესმა, ბატონ-ყმობა ირღვევაო. — მომასწავებელი ნიშნები თუმცა აქაც წინასწარვე იხილეებოდნენ, — მაინც დასაჯერებლად არ მიგვაჩნდა პირველში ეს ხმა: „დასაბამიდგან არსებობს ჩვენი ბატონ-ყმობა და ასე ადვილად რა დაარღვევსო“, ვამბობდით; — მერე რომ ლაპარაკი გახშირდა და შემაშფოთებელი ძიზებები გაგვიპართლდა; რა რომ მრავილი წინასწარი მაგალითებითაც, მართებლობის მოხელეების ლაპარაკითაც და რუსეთიდამ მოპავალის ბეჯი-

თოს ამბებითაც გული დავაჯერეთ, რომ უსათუოდ ჩვენც მოგვატანა, ეს არის, ამ საქმემ, — მაშინ, ჩვენის ღირსების შესაბამად თვალი გაუსწორეთ საზარელსა ამ საქმეს და ვიწყეთ მოლაპარაკება ერთი ერთმანეთთან, როგორც შინაობაში და კერძოობითად, ისე უეზდებში საზოგადოების თავის მოყრით. — ამ კრებათა და რჩევათაგან კვალი არა დარჩენილარა, მართალია, — რადგან ჩვენი ჰაზრების ქაღალდით გამოთქმას დიდათ ვერიდებოდით, და ამ საზოგადოს განსაცდელში ერთმანეთსაც ვეღარ ვენდობოდით; მაგრამ სამ და ოთხს წელიწადს რომ ამ მდგომარეობამი ვიმყოფებოდით; ახალს მოულოდებელს და დიდად სამწუხარო საქმეს რომ ფიქრი შევაჩვიეთ და ამ საქმის შესაძლებლად კეთილ წარმართისათვის რომ ვიწყეთ თვითთოეულად ზრუნვა; მაშინ, ჩვენის წინამძღოლების რჩევითა და მმართებლობისაგან მოწოდებით, მებატონეებმა გუბერნიდამ ტფილისს მოვიყარეთ თავი და კანონიერი საზოგადო შეკრებილება შევადგინეთ 25 აპრილს 1862 წელს".[1]

ამ წიგნასიტყვაობას განმარტება არ ესაჭიროება, იგი თავის თავად საკმაოდ ღაღადებს იმ თრთოლვასა და შიშის შესახებ, რომელსაც განიცდიდენ ქართველი მემამულენი საუკუნოებით განმტკიცებულ ძველი წყობილების რღვევია აუცილებლობის წინაშე მდგარნი. მაგრამ ამ წყობილების მოსპობას ვეღარ შეაჩერებდა ვერც თავად-აზნაურთა [2] გამწარებული კივილი და ვერც დ. ყიფიანის ისტორიული და ლოღიკური არგუმენტაციები; საუკუნოებით განმტკიცებული ურთიერთობა ყმებსა და მებატონეებს შორის უნდა მოსპობილიყო: ამას მოითხოვდა ცხოვრების შემდეგი წარმატების აუცილებლობა; რაძაც აიძულა რუსეთის თვითმპყრობელობა სათანადო ნაბიჯი გადაედგა ამ მიმართულებით.

როგორც ავღნიშნეთ დ. ყიფიანსა და მთელ თავადაზნაურობას, მიუხედავათ ღრმა ნწუხარებისა და მათი მდგომარეობის შესახებ მომავალში, არ შეეძლოთ წინააღმდგომოდენ მთავრობის განზრახვას და ამიტომ დ. ყიფიანი იძულებული ხდებოდა თავისებურათ გაეშართლებია ბატონყმობის მოსპობის აქტი. როგორც თავის მოხსენებაში სწერს: „რა მოხდა? მოხდა თათბირი იმგვარ მნიშვნელოვან საქმეზე. რომლის მსგავსი არაძც თუ ჩვენს დროში არ გვინახავს რა, ჩვენს მამაპაპათა ნაამბობშიაც არ გამიგონია. რა გავაკეთეთ? ის გავაკეთეთ, რაც შეეფერებოდა საქართველოს პირველ შვილებს, რომელთაც ძველმა გმირულმა დრომ უანდერძა მაღალი ზნეობა და რომელთა გულში ღვივის მეომართა გრძნობა — ღვთის ნებით, უშიშრად. აუჩქარებლივ შევხედეთ იმ საქმეს, რომელშიც აშკარა იყო, ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას უბედურების მეტს არას გვიქადიდა. რა გამოვიდა აქედან? ის, რომ კრებაზე დამსწრე არ ერთი ქართველი მემამულე წყრომის და უსია-

[1] ცენტრარქივი: „Дело закавказского центрального комитета по устройству помещичьих крестьян" № 1071, გვ, 10—11, (აქ დაცული არის დ. ყიფიანის უკვე დაახელებული მოხსენების ქართული დედანი).

[2] არ. ჯორჯაძე: „დიმიტრი ყიფიანი" — „სახალხო საქმე" № 802, 1913 წ,

მოვნების გრძნობით არ იყო შეპყრობილი. ვერც ეგოიზმმა და ვერც პირადი ინტერესებისადმი ლტოლვილებამა, ვერც გამოურკვეველ მომავლის წინაშე შიშმა, ვერც ჩვენმა — ესეც უნდა ითქვას, გაუნათლებლობამ და უსწავლელობამ არაფერმა მზგავსმა ამისმა არ შეგვიშალა ხელი. და როდესაც საქმე გავარჩიეთ, ერთმხრივ როგორც სამმა და ოთხმა მოსიყვარულე ძმამ, ერთხმად წამოვიძახეთ: ჩვენს გლეხებს მივანიჭოთ თავისუფლება! დე მეცნიერებმა განათლებულებს გვითხრან: რომელ დაწინაურებულ ქვეყანაში მზგავსი რამ საქმე მეტის დამშვიდებით და მეტის ლირსებით გადაუწყვეტიათ. მერე რა საქმე, კარგათ დაუკვირდით ამას". დ. ყიფიანის სიტყვის ეს ნაწილი საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს იმ მხრივ, თუ როგორ ხდებოდა თავად-აზნაურობა იძულებული ქედი მოეხადა აუცილებლობის წინაშე და საპარადო სიტყვაში მაინც გაემართლებია ის, რაც აუცილებლათ გატარდებოდა მთავრობის ბრძანებისა და მისიეე აპარატის საშუალებით. მაგრამ მოხსენების ეს ნაწილი სრულიად არ შეესაბამება იმას, რასაც დ. ყიფიანი მოხსენების დასაწყისში ამბობდა. ეს აშკარა წინააღმდეგობაა და სრულიად საფუძვლიანად სწერდა ამის შესახებ არ. ჯორჯაძე: „განა აქ გამოსახული ფსიხიკა არა ჰგავს იმ ავადმყოფის ფსიხიკას, რომელზაც დოსტაქრის დანისა ეშინიან, რომელიც სასტიკად ეწინააღმდეგება ოპერაციას, არც კი სჯერა, რომ მისი გადარჩენისათვის საჭიროა ასეთი ოპერაცია, ხოლო თანდათან ქედს იხრის აუცილებლობის წინაშე, რწმუნდება რომ სხვა გზა არა აქვს და მერე, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდება ამაში, თავსაც იწონებს, მიყურეთ რა გულადი ვარ, მე თვითონ მინდა, რომ მოხდეს ოპერაცია; გმირულად ავიტან და გავაკვირვებ ქვეყანას ჩემის გულადობით და გმირობით... მაღალის და მჭერმეტყველური სიტყვებით ზნეობა და მსხვერპლზეა ლაპარაკი, ხოლო აქვე გვერდით დაწვრილებით ეაჭრული ანგარიშებიცაა წარმოდგენილი". და ასე დ. ყიფიანის მოხსენების ზემოდმოყვანილი ნაწილი მხოლოდ საპარადოთ წარმოთქმული მაღალი ფრაზები იყო. თვით მოხსენების შინაარსი კი სულ სხვა პრინციპზე და მოთხოვნილებაზედ იყო აგებული. ეს ჩვენ ნათლად დავინახეთ ზევით და კიდევ გავიცნობთ შემდეგში.

1862 წ. 30 აპრილს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობამ გარკვეული პრინციპები მისცა სახელმძღვანელოდ დ. ყიფიანს დავალებული მოხსენების შესადგენად. ეს დადგენილება ამბობდა: 1) „გლეხებს თავისუფლება მიენიჭათ; მათ პირად სამსახურში ჩვენთვის ვითხოვოთ ჯილდო; 2) რაც მიწები უპირავთ გლეხებს, დარჩეს მათ მოსახმარად იმ პირობით, რომ მიწის ჩვეულებრივი გადასახადი იხადონ; 3) ამ ჩვეულებრივ გადასახადს დაედვას ვადა, რომლის გასვლის შემდეგ ნება-ყოფლობით შეთანხმებაზე გადავიდენ". [1] ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს დებულებები თავიდანვე თვით

[1] დ. ყიფიანი: „მემუარები", გვ. 90.

დიმიტრი ყიფიანმა მიაწოდა ყრილობას და შემდეგ გადაიქცა იგი საერთო სახელმძღვანელოდ. დ. ყიფიანის არქივში არის ხელნაწერი „ბატონ-ყმობა“ სამ ეკზემპლიარად: ერთი თვით დ. ყიფიანის ხელით ქართულად დაწერილი, მეორე — სხვისი ხელით, ხოლო მესამე რუსულად. წერილს თარიღი აზის 30 აპრილი 1862 წ. ჩვენ ვფიქრობთ ეს უნდა იყოს დ. ყიფიანის სიტყვა წარმოთქმული 30 აპრილის სხდომაზე, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ დ. ყიფიანი ერთ ადგილას ამბობს: „ბატონმა იოანემაც (ალბად ივ. მუხრანსკიმ ს. ხ.) წარმოსთქვაო“. სიტყვის დასაწყისში დ. ყიფიანი ამბობს: „საზოგადო ჩვენი სურვილი არის: ყმებს თავისუფლება მიეცეს; ჩვენ სამაგიერო ფული ნოგვეცეს და ადგილ-მამული ჩვენ დაგვრჩეს. ეს სურვილი რომ შეწყნარებით მოვასმენინოთ, განვამართლებინოთ და აღსრულება განვაადვილებინოთ, ნგონია ასე გვიჯობდეს ლაპარაკი“. ავტორი აღნიშნავს რა ძველადანვე არსებულ მეგობრულ ურთიერთობას მებატონეთა და ყმათა შორის, თანახმად უმაღლესი ბრძანების სურვილისა, გადადის გლეხთა განთავისუფლების პირობებზე, იგი ამბობს:

„ძველთა დროთაგან ჩვენსა და ჩვენ ყმათა შორის ისეთი დამოკიდებულება არის დამკვიდრებული, რომელიც დიდად ემსგავსება დამოკიდებულებას ერთი ოჯახის, ერთი სახლის შვილებისასა. ჩვენს ყმებს ისე კი არ ვიგულებდით, როგორც ჩვენს მონებსა და ტყვეებსა, ყოველთვის ისე მიგვაჩნდნენ, როგორც თანამშრომელნი და ჩვენთან ერთად შემმუშავებელნი ჩვენის საერთო საპირნახულოსი: იმათაც ისე არ ვეგულებოდით, როგორც მაწუხებელნი და მტარვალები, ისე მივაჩნდით, როგორც მფარველნი მათნი და საერთო ყოფა-ცხოვრების გამგებელნი. — მარადის გაერთებული იყო ჩვენ შორის პირიცა და ლხინიცა. ერთმანეთის დასაცველად და დასაფარავად ერთად ვათხევდით სისხლსა და ერთი ერთმანეთს ხელს უმართავდით ყოველს საქმეში და ყოველ გაჭირვებაში. მართალია, ამგვარს ცხოვრებაში შეეოგვეპარებოდა ოდესმე, აქა-იქა უსიამოვნებაცა, რომელიც აუცილებელი არის ყოველგვარს ცხოვრებაში; მაგრამ საზოგადო თვისება ჩვენის დამოკიდებულებისა მაინც არას დროს არ შეცვლილა ბოროტად ყმათათვის; იმისათვის, რომ არც იმათგან დარღვეულა საზოგადო ვალი თავდადებითის ერთგულებისა ჩვენდა მიმართ და ყოველთვის გამწირველნი ყოფილან თავისა ჩვენდა სანაცვლოდ.

ეს ძველებური დამოკიდებულება იყო უმთავრესი მიზეზი, ეს იყო ის ქვა-კუთხედი, რომელზედაც ემყარებოდა სიმტკიცე ჩვენის სარწმუნოებისა და შეუშფოთებლობა ჩვენი მტერთაგან, რომელნი გარს გვეხვევნენ ჰმძვინვანებდნენ საუკუნოებით მიმდინარეობასა შინა.

რადგან აღსასრულებლად უმაღლესის ნებისა ხელ-ეჰყოფთ ახლა ამ ჩვენს მკვიდრს მოწყობილებასა შესაშლელად, — არ შეგვიძლია გულის სიწრფელით არ ვისურვოთ, რომ ამიერიდგან მათ შორის, რომელნი თავისუფალ იქნებიან ჩვენის უფლებისაგან და ჩვენ შორის, რომელნი ვართ აქა-

მომდე მფლობელნი მათნი, დამკვიდრდეს ახალი განწყობილება ისეთი, რომ შეესაბამებოდეს ჩვენს მადლობითს გრძნობასა და იმ სიკეთით დაუვიწყებლობას, რომელნიც არსებობენ ჩვენ შორის და გვახსოვს ორთავე მხარესა.

ამის გამო ჩვენ გვსურს ისეთი მდგომარეობა მივანიჭოთ ჩვენს ყმებს, ჩვენს გამომზრდელებსა, ისეთს ყოფა-ცხოვრებაზედ დავაყენოთ, რომ თვით შეიძლებდნენ კეთილად წარმართვას თავის ოჯახობისას, თავისუფლად განაგებდნენ თავისს შრომასა და ჩვენც შევიძლებდეთ ჩვენთვის მოვლას ჩვენის საოჯახო საქმეებისას.

მაგრამ შეუძლებელი არის უმსხვერპლოდ აღსრულება ამ სურვილისა. რა რომ მსხვერპლს ვახსენებთ, უსათუოდ თვალი უნდა გადავავლოთ, რაში მდგომარეობს ახლანდელი შეძლება ჩვენი.

შეძლება ჩვენი მდგომარეობს ორგვარს ჩვენს სამართალში: ერთი სამართალი მიგვიძღვის კაცებზედ და მეორე მიწაზედ.

**ჰსჯულდებულებითი სამართალი ჩვენი კაცებზედ** დიდად ჰვრცლად არის გამოხატული ჩვენს ძველებურს კანონებში: ბატონმა ივანემაც წარმოთქვა, „თავით თვისით და ყოველითურთ, რა აქვს მას, ეკუთვნის ბატონსა მისსაო“, ასე გვიწერს კანონი.

ამ კანონის ძალით ძველთაგანვე არის დაწესებული მრავალგვარი პირადი სამსახური და გარდასახადი ყმისა, რომელიც ფრიად დამცირებულის დაფასებით შეადგენს ბატონის შემოსავალს წელიწადში 5 თუმნიდამ თითქმის 45 თუმნამდე თითო გლეხის ოჯახისაგან ან თითო კომლისაგან. ყოველივე ესე თვით მმართველობისაგან არის უჩვენოდ გამოძიებული და უჩვენოდ აღსნილი.

**სამართალი მიწაზედ**, კანონთამებრ და უფროსლა ჩვეულებათამებრ ზემოხსენებულზედ უვრცელესი და უსაცილოდ დასაკუთრებული მფლობელობისადმი, სრულს უფლებას აძლევს მფლობელსა იხმარებდეს და განაგებდეს მიწას თავისი საკუთრის ნებისამებრ. ეს მეორე სამართალი გვაძლევდა და გვაძლევსცა სხვა შემოსავალს, სხვა სარგებლობასა, სარგებლობას **მიწისას**: ვინც უნდა იყვეს შემმუშავებელი მიწისა, მიწის პატრონს ეძლევა მისგან დაწესებული წილი ნაყოფისა და მოჰხმარდება მუშა მისს საოჯახო საქმეებში. ზომა ამ წილისა და ზომა ამ მოხმარებისა სხვა და სხვა გვარ არიან და დაწესებულ არიან ყოველგან მიწის თვისებისა და სასოფლოს ჩვეულების მიხედვით.

აქედან თავით თვისით წარმოსდგება განსაზღვრება იმ მსხვერპლისა, რომელიც შესაწირავ უნდა იქნეს ჩვენის ყმების სამსჯობინარს მდგომარეობაზედ დაყენებისათვის. რა რომ მამაპაპურის ჩვეულებით დაულოცავთ ჩვენ მათ ახალს ყოფა-ცხოვრებას, უნდა დავსთმოთ პირველი ჩვენი სამართალთაგანი; ესე იგი, უნდა აღვჰსნათ ყმათაგან ჩვენთა ყოველი ყმური ჩვენდამი ვალდებულება; უნდა ვაპატიოთ ყოველი პირველის გვარის გადასახადი, თავისუფალ ვჰყოთ ყოველის ყმობის ვალდებულებისაგან. — ამაზედაც ვერ

შევსდგებით: სხვა მსხვერპლიცა დაგვჭირდება, რადგან უნდა სრულ იქნეს კეთილსაყოფელი მათთვის და დასამადლებელი სურვილი ჩვენი, რათა სამჯობინარ ვჰყოთ ცხოვრება მათი. ამ სურვილისამებრ ჩვენისა არა თუ ახლანდელს საბლკარობას არ მოუშლით, იმ ჩვენს ადგილ-მამულებსაც მივინებებთ, რაც რომ ამჟამად ხელთ უჭირავთ, იხმარონ, და ისარგებლონ როგორც თვით არჩევდენ, — ერთითა მხოლოდ პირობითა, მით რომლითაც ყოველი თავისუფალი კაცი, გინა ხიზანი ჰხმარობს და ჰსარგებლობს სხვისს ადგილ-მამულსა, ესე იგი, ერთითა მით, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოდ დაწესებულითა პირობითა, რომ სადაც რა ზომა არსებობს ახლა ნაყოფის წილის ძლევისა პატრონისადმი და მუშის მიხმარებისა, იგივე ზომა დარჩეს ყოველგან შეუცვლელად წლის განმავლობამდე, ხოლო რა ვადა ესე გათავდება, მაშინ მოჰხდეს ცვლილება მიწის შემმუშავებელთა და მიწის პატრონის ურთიერთობის შორის ნებაყოფლობით და დათანხმებითა. ორთავე მხარეთათვის უმჯობესად ვრაცხთ, რომ მუშით მოხმარება დაფასდეს ახლავე, რათამცა ფული გარდიხადოს, ვინც მუშაში [illegible] არ არჩევს. ამ პირობით არ დაეშლებათ [illegible] გავიხედოთ, არსად არ არის აოც ჩვენ-ტყისა, სადაც ახლა [illegible] არავითარი სხვა საშუალება, გარდა იმ ამავე ვაჭრობისა და აღებ[illegible]ც ვღებულობდით ჩვენ უძველეს დროიდან

ესრედ ყმათა ჩვენთათვის [illegible] და ჩვენი მიწიდან".[3]

შემოსავალი კომლზედ 5 თუმნიდ[illegible] [illegible]რგუმენტაცია უჭირავს ხელში: ყმა გარდასახადისა მიწის სარგებლობისძ[illegible]ებთ კეთილ ინებეთ და მიებისა. [illegible]სუფლება, მაგრამ მ[illegible]

(აქ მხოლოდ ერთი აზრი უნდა მოვიხსენიოთ. [illegible]საჭიროება, ამისათვის ლობისათვის გადასახადი და მუშა ან მუშის ფულ[illegible] [illegible]ომავალს ხატავს დაწესდეს, მაშინ ეს ამისათვის იქნება სამსჯობინარ[illegible], რომ: 1. რამდენი დღისაც ჩემი მიწა გლეხს ეჭირება, იმ ანგარიშით მეც ჩემი შემოსავალი სარწმუნოდ მეცოდინება; 2. რა რომ კაცს ეცოდინ[illegible] [illegible]ძ-დენის დღის რომ მიჭირავს, მაინც ხომ დღიურზედ გადამახდევინებენ[illegible] ბარემ შევიმუშავო, იტყვის და ამით სოფლის მომჭივნეობა განვჰრცელდება; 3. რა რომ შემოსავალი იქნება დღიურიდამ, რამდენიც უნდა იყოს ჩემის მიწის შემმუშავებული და მომხმარებელი, ჩემთვის სულერთია; მაშასადამე, აღარც ბევრი ლაპარაკი დაგვჭირდება; თუ სოფლიდამ გასვლა მოინდომა ვინმემ, როგორ და რა პირობით უნდა გავიდეს; სოფელი იკისრებს მაშინ მიწის ვალს და იმ გასვლის კაცის დანარჩენს ჩემს მიწას როგორც უნდა ისე ასარგებლებს, თუ თვით მე არ დამჭირდა ის მიწა).

რა რომ ამას ყოველსივე წარმოვსთქვამთ ახლა იმას უნდა მიუბრუნდეთ, რომ მსხვერპლი ესე ჩვენი,—თუმცა ყმათა ჩვენთათვის უსათუოდ საპირო არის და სამართალსაცა მღვთიურსა შეესაბამება,—მაგრამ ჩვენთვის ისე ძნელი არის, რომ, თუ უსაზიაროდ შეგვხვდა შეწირვა მისი, ჩვენ

ევიქმნებით მაშინ ვერშემძლებელ ცხოვრებისა და საზრუნველ მმართველობისათვის. მმართველობამ რომ ამ მძიმეს საქმის დასაბოლოოებლად ჩვენს მდგომარეობაშიაც მონაწილეობა არ მიიღოს, ამას ვერ ვიფიქრებთ, რადგან — იმავე მღვთიურის სამართლის ვალისამებრ და სადღესასწაულოთ თვისთა აღთქმათამებრ, — უნდა ჯეროვნად პატივდებულ ჰყოს ჩვენი წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული და აწ შესაძლოდი დაწყობილება და გაღვთიერებული მრავალითა საუკუნოებათა მიერ ჩვეულება ჩვენის ქვეყნისა, — და არ შეგვამუსვრინოს ჩვენის ხელით ყოფა-ცხოვრება ჩვენი უნუგეშოდ და უსაფუძვლოთ მომავალში წარმატებისთვის.

ამის გამო სასოებით უნდა მივმართოდ მართებლობას ჩვენის თხოვნითა, რომ ერთდროებით მაინც აღგვიდგინოს და შემოგვიბრუნოს ნაწილი რომელიმე ამ ჩვენის უზომოს მსხვერპლისა.

ამ შემთხვევაშიაც ცხადად ვყოთ უკიდურესი ზომიერება ჩვენი სურვილისა და უმცირესი ზომა დავნიშნოთ იმ სასყიდლისა, რომელსაც ვითხოვთ მმართებლობისაგან და რომლითაც შევიძლებდეთ განვარინოთ თავი ჩვენი უმძიმესს გაჭირვებასა და ვსთქვათ ასე:

ზემოთ რომ [illegible] ჩვენი სამართალი მოვიხსენიეთ, პირველისა [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მინოთ, გულდასმით ვავშინჯოთ და თუ ჭკუაში დაგეიჯდა, მაშინ მოვაწეროთ ხელი და საზოგადოებაშიეე წარვადგინოთ".[1]

30 აპრილი 1862 წ.

დ. ყიფიანის მძლავრი ლოგიკა, არგუმენტაცია და ისტორიული ერუდიცია მიმართული არის იქითკენ, რომ დაამტკიცოს მებატონის სრული უფლება როგორც მიწაზე, ისე ყმის პიროვნებაზე, რომ ამით შეუნარჩუნოს თავის წოდებას თავისი პრივილეგიური მდგომარეობა და მეტი შეინარჩუნოს მომავალ რეფორმიდან. „ამ კანონიერებიდან — ამბობს თავის მოხსენებაში ყიფიანი — ვგონებ, ნათლად გამომდინარეობს ჩვენი (ბატონის) უფლების სრული შეუზღუდველობა და ეს შეუზღუდველი უფლება არის ის ერთადერთი წყარო, რომლითაც იკვებებოდენ და არსებობდენ ჩვენი წინაპრები და ჩვენ ძველი დროიდანვე".[2] გარდა მიწის შემოსავლისა და ყმის პირადი გადასახადებისა, — განაგრძობს დ. ყიფიანი — სხვა შემოსავალი ქართველ მემამულეს არა აქვს. სხვაგვარი პროფესიით თავის რჩენა მას არ შეუძლია: ვაჭრობას და წარმოებას იგი შეუჩვეველია; ეს წყაროც თუ ხელიდან გამოეცალა ქართველ მემამულეს მას სრული დაღუპვა მოელის. „ამრიგად საითაც არ უნდა გავიხედოთ, არსად არ არის არც ჩვენთვის, არც ჩვენი ოჯახისათვის არავითარი სხვა საშუალება, გარდა იმ ორგვარი შემოსავლისა რომელსაც ვღებულობდით ჩვენ უძველეს დროიდან დღევანდლამდე — ჩვენი გლეხებიდან და ჩვენი მიწიდან".[3]

დ. ყიფიანს მაგარი ისტორიული არგუმენტაცია უპირავს ხელში: ყმა ჩვენი საკუთრება არის და თუ მას ათავისუფლებთ კეთილ ინებეთ და მიეცით მისი ეკვივალენტი — ფული; ყმამ მიიღოს თავისუფლება, მაგრამ მემამულეს რას ერჩით, — მას ხომ არსებობის წყარო მაპირობა, ამისათვის ფულია საჭირო. დ. ყიფიანი მემამულეთა არა მარტო [illegible] ხატავს შავი ფერადებით, არამედ აწმყო მდგომარეობაც შემაძრწუნებლად მიაჩნია. იგი სწერს:

„უნდა გამოვტყდეთ, რომ ზერელე გამოანგარიშებამაც კი საკმარისად ღრმა წყლვდიადი მოჰფინა ჩვენს აწმყოს — და განსაკუთრებით კი ჩვენს მომავალს; უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მართლა რომ დიდათ გაჭირვებული ყოფილა ახლაც, როდესაც ჯერ კიდევ ვსარგებლობთ ჩვენი ქონებით, როდესაც ჩვენი თანხა (капитал), გლეხთაგან შემოსავალს რომ შეადგენს, ჯერ ისევ ხელუხლებელია, თანხა 42½ მილიონ მანეთზე მეტი, ვინაიდან როგორც ჩვენ ზემოდ მოვიყვანეთ, თითოეული მეკომურგლეხი ყოველწლიურად საშუალო ანგარიშით გვაძლევს 148 მ. 38 კ. შემოსავალს პირველი კატეგორიით (ე. ი. მიწით კი არა, პირადი ვალდებუ-

[1] დ. ყიფიანი: „ბატონ-ყმობა", (სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი № 5232).

[2] იხ: „Доклад дворянству тифлисской губернии", სიძველეთა მუზეუმი № 5232

[3] იქვე.

ლებით); ამ შემოსავლის კაპიტალიზაცია კი 16 $^2/_3$-ჯერ გადიდებით, ჩვენ მოგვცემდა კომლზე 2,473 მ. ხოლო 17,208 კომლი — ზემოდ აღნიშნულ $42^1/_2$ მილიონ მანეთზე მეტ თანხას.

როგორი იქნება ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ჩვენ სულ არ გვექნება აღარც ეს თანხა და აღარც ეს პროცენტები, ვინაიდგან გლეხთა განთავისუფლებასთან ერთად ხელი უნდა ავიღოთ ამ შემოსავალზედაც და მაშასადამე, მათი (გლეხების) ცხოვრების გაუმჯობესებას უნდა შევსწიროთ საუკუნოებით გადმოცემული ჩვენი მემკვიდრეობა — $42^1/_2$ მილიონის დოვლათი. არავითარი ეჭვი არ უნდა იმას, რომ უკიდურეს ყოფაში ჩავცვინდებით.[1]

ამრიგად დ. ყიფიანის მსჯელობის პირველი დასკვნა არის: გლეხების პირად განთავისუფლებაში მემამულეებს უნდა მიეცეთ ფული.

მეორე მხრივ დ. ყიფიანი წინააღმდეგია გლეხთა მიწით განთავისუფლების, ამ საკითხის განმარტების დროსაც იგი ცდილობს მთელი რიგი არგუმენტებისა წამოაყენოს თავისი მოსაზრებების დასაცავად. მოვიყვანოთ აქედან ზოგიერთი მომენტები: 1) „იქ, სადაც მიწა გლეხის საკუთრება იქნება, მემამულესათვის შეუძლებელი იქნება ცხოვრება და რაც მას ეკუთვნის დანგრევას მიეცემა"; 2) საუკეთესო მიწები ამჟამად გლეხების ხელშია და რომ ისინი დაუმტკიცონ საკუთრებად გლეხობას, თვით მემამულენი ჩაცვივიან გაჭიანურებულ მდგომარეობაში; 3) „მიწა ეკუთვნის მემამულეს და მასზე განკარგულებაც მემამულეს უნდა ეკუთვნოდეს"; 4) თვით მემამულეებს ცოტა აქვთ მიწა, ხშირად ისინი სარგებლობენ საეკლესიო მიწებით და აძლევენ მათ სარგებლობაში განსაზღვრულ პროცენტს, გლეხს რომ მიწა მისცეს თვით დარჩება უმიწოდ; 5) რომ დაუშვათ რომ მემამულე გაიყოფს მიწას გლეხებთან, მაშინ „იმდენ მტერს შეიძენს, რამდენსაც გაანთავისუფლებს ამგვარად გლეხებს, წარმოიშობა დაუსრულებელი ჩხუბი მიწისათვის"; 6) თუ მიწა საკუთრებად გადაეცემა გლეხობას, „მემამულეები ბედის ამარა დარჩებიან და იძულებული დარჩებიან ჩანთით ხელში ეძიონ ლუკმა პური არსებობისათვის"[2]. დ. ყიფიანი საერთოდ დაასკვნის: „ყოველი სამოქალაქო წყობილების ძირითადი უფლებით საკუთრების მოხმარა თვით მესაკუთრის თავისუფალ ნებაზედ არის დამოკიდებული... ამ საქმეში გული ყოველგვარ ეჭვს გარეშე ყოველ ჩვენთაგანს ეუბნება, რომ კარგი იქნება რომ გლეხს დაუმტკიცდეს მამული; მაგრამ გონება ყოველის მხრივ ეწინააღმდეგება ამ შთაგონებას. — ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, რომ დამტკიცება გლეხებისათვის ყველა იმ მიწის, რომელთაც ისინი სარგებლობენ, ყოვლად შეუძლებელი არის."[3]

---

[1] იხ. „Доклад".

[2] „Доклад" ს. ავალიანი „Крестьянский вопрос" ტ. I, გვ. 258-59

[3] იქვე.

ამრიგად დიდი უმეტესობა ქართველ მემამულეებისა — ხოლო დ. ყიფიანი კი ამ დიდ უმეტესობის ინტერესებს გამოხატავდა თავის მოხსენებაში — ერთხმად იცავდენ გლეხების უმიწოდ განთავისუფლებას; ისინი ძალაუნებურად მხარს უჭერდენ გლეხთა პიროვნულ განთავისუფლებას ბატონყმობისაგან, მაგრამ განსაზღვრული კონპენსაციის სახით; ხოლო გლეხებისათვის მიწების დამტკიცებას საკუთრებად შეუძლებლად თვლიდენ მემამულეები. მკვლევარის სიტყვით „გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას ასეთი ენერგიით, ვგონებ არსად არ იცავდენ“.[1] ეს დახასიათება სავსებით სწორი არის; დ. ყიფიანმა მთელი თავისი ერუდიცია მოახმარა იმ დებულების დამტკიცებას, რომ შეუძლებელი არის და დაუშვებელი ქართველი გლეხობის ჩიწით განთავისუფლებაო. როდესაც ამ საკითხში დ. ყიფიანის მსჯელობის არგუმენტაციას აკვირდებით აქ ორი ძირითადი მომენტი ხდება აღსანიშნავი: 1. მებატონეებს სურთ თავიანთი პრივილეგიები და ბატონობა გლეხობაზე კვლავ შეინარჩუნონ; მათი აზრით მთავარი საფუძველი მათი ბატონობისა მიწა მათ ხელში უნდა დარჩეს, ხოლო გლეხს უნდა მიეცეს პირადი თავისუფლება. ამით გლეხი კვლავ დამოკიდებული იქნება ეკონომიურად მემამულისაგან. 2. მაგრამ ეს საკმარისი არ არის; მემამულეებს აფიქრებდათ **მუშა ხელის ხაკითხი** ბატონ-ყმობის მოსპობის შეძლეგ მემამულეებს მუშაობა არ შეუძლიათ, ხოლო თუ გლეხმა საკუთრება შეი- , იგი სხვის მამულზედ აღარ იმუშავებს და მემამულეს ეკონომიური განადგურება მოელის. გორის მაზრიდან თავ. ციციანოვი სწერდა დ. ყიფიანს: „ვერ მივცემთ მამულს გლეხთ შემდგომთა მიზეზთა გამო: 1) ...როდესაც გლეხთ ესე ადგილები გაესაკუთრებათ, მაშინ აღარ მიჰხედვენ მებატონეს და ყოველის საძაგლობით აღავსებენ... 2) ოდეს გლეხს აქვს საკუთრებად სახლ-კარი, მაშინ ის მებატონის ხარჯის ძლევას არ მოინდომებს, რადგან ახლოსვე არის სახელმწიფოც, საეკლესიო და მრავალთა გლეხთაგან ნასყიდი მამულნი... მაშინ გლეხი უთუოდ დაიჭერს იმ მამულს სახნავად და ირჩევს მისთვის მხოლოდ ღალის მიცემას, ვიდრემდის მებატონის ადგილი დაიჭიროს და ისისთვის სხვა და სხვა გვარი სამსახური აძლიოს; — ამის გამო მებატონე მოაკლდება ყოველივე ცხოვრების გზას და მამულიც დარჩება უქმად... 3) გამოცდილებით ვიცით და თვალითაც გვინახავს, როდესაც ხიზანი კაცი მებატონეს ბამულზედ მოვა, ვიდრემდის ან სახლს იყიდდეს ან სახნავს მამულს, მინამდის ბატონს ისე ემსახურება, როგორადაც საკუთარი თავის ყმა; რა სახლ-კარის ადგილი და სახნავი მიწა (თუმცა საკმაოც არ იყოს) დაისაკუთრა, თუმცა მებატონის მამულითაც ჰსარგებლობდეს, გარე მიქცევა იმ სამსახურიდგან, რომელიც ადრე უძლევია; ესეთივე უნდა ვიფიქროთ განთავისუფლებულთა გლეხთათვისაც“.[2]

[1] ს. ავალიანი: „Крестьянский вопрос“ გვ. 259.

[2] დ. ყიფიანის არქივი № 5355.

ამგვარად დ. ყიფიანსა და მთელ თავადაზნაურობას სურდათ, რომ უმიწოდ განთავისუფლებული გლეხი თავის მორჩილებაში ყოლოდა; ეღლეხი არა მარტო ეკონომიურად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მეპატრონისაგან, მას უფლება არ უნდა ჰქონოდა ადგილის გამოცვლისა ბატონის უნებართვოდ. დ. ყიფიანის მოხსენებაში ვკითხულობთ: „აქ უფრო უნდა მოველოდეთ მოძრაობას, თუ კი ახლავე ნება ექნებათ მოცემული გლეხობას გადავიდეს ერთი ადგილიდან მეორეზე, იმ გლეხობას, რომელიც ყოველთვის ბატონყმურ დამოკიდებულებაში იყო და ეს აუცილებლად არევ-დარევას (безпорядок) გამოიწვევს... საბოლოოდ განადგურდება თავად-აზნაურობა... ყველაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა დარდგინება, რომ არვის არ ჰქონოდა უფლება ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისა მიწის სარგებლობის შესახებ ნებაყოფლობითი შეთანხმებამდე“. [1]

ასეთი იყო დიმ. ყიფიანის პოლიტიკა გლეხთა საკითხში. მისი მოხსენება არსებითად ეხებოდა არა საბატონო გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს, არამედ მებატონეთა ინტერესების დაცვას. დ. ყიფიანმა ყველაზე უფრო ნათლად და შეგნებულად გამოხატა გაბატონებული კლასის ინტერესები. იგი ყველაზე უფრო ღირსეული იდეოლოგი იყო ამ წოდებისა 60-იან წლებში. ამ პერიოდში გლეხთა განთავისუფლების საკითხის გარშემო თითქმის მთელი მაღალი გაბატონებული წოდება გაერთიანდა; წვრილი, საშუალო და მსხვილი თავად-აზნაურობა ერთნაირად მოითხოვდა გლეხთა ფულით და უმიწოთ განთავისუფლებას. დ. ყიფიანი შეიქმნა ამ წოდების ნებაყოფლობითი, მისი თეორეტიკოსი და ინტერესების დამცველი.

არ შეიძლება არ შევეხოთ აქ ერთ საკითხს, რომელიც სწორედ იმ პერიოდში წამოიჭრა ქართველი საზოგადოების წინაშე და რომლისთვისაც დიდი ანგარიშის გაწევა დასჭირდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. ჩვენ ვგულისხმობთ — საქართველოში **პროლეტარიატის** წარმოშობის საკითხს. როგორც ვიცით ჩვენი ეკონომიური ცხოვრება საგრძნობი ნაბიჯით მიექანებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობისაკენ. სოციალურად ეს პროცესი იწვევდა ჩვენი ძველი საზოგადოებრივი კლასების დიფერენციაციას და ახალი ფენების წარმოშობას. „პროლეტარიატში ჩაცვენას“ მწვავედ გრძნობდა ჩვენი რადიკალური ინტელიგენცია და ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ხანებში, „დოობა—კრებულ—მნათობის“ პერიოდში იგი თავს დასტრიალებდა ამ მძიმე სოციალურ პრობლემას. მაგრამ ეს საკითხი რეფორმის დასაწყისშიაც წამოიჭრა თავად-აზნაურულ ინტელიგენციის წინაშე. დავამ **გლეხთა** მიწოთა თუ უმიწოთ განთავისუფლების შესახებ ბუნებრივად დააყენა ეს საკითხიც. ამ მხრივ პირველობა პროგრესიულად მოაზროვნე ევროპიულად განათლებულ გენერალს კ. მამაცაშვილს ეკუთვნის. ამ მემამულე-ინტელიგენტმა ნათლად დაინახა,

[1] „Доклад..,“ გვ. 63.

რომ გლეხების უმიწოდ განთავისუფლება უდრიდა პროლეტარიატის განვითარებას საქართველოში; ხოლო ევროპის მაგალითებით კ. მამაცაშვილს გარკვევით ჰქონდა შეგნებული, თუ როგორი არეულობა და რევოლუციები. მოსდევს პროლეტარიატის განვითარებას ამა თუ იმ ქვეყანაში. თავის „პატარა ნაწერში", რომელიც 1862 წ. გაუგზავნა კ. მამაცაშვილმა დ. ყიფიანს უკანასკნელის 14 მუხლიანი შეკითხვის საპასუხოდ, იკი სწერდა: „რაოდენი გაფრთხილება ჰქართებს ქვეყანასა, რომ პროლეტარობა არ დამკვიდრდეს, მრავალნი საქმენი ამტკიცებდენ ევროპაში მომხდარნი. რამდენი სისხლი დანთხეულა მამულის პატრონებისა პროლეტარებისაგან—ანგარიში არ არის და ბევრს ევროპის ქვეყნებში კიდევაც არ დამცხრალან ამ გვარის არეულობისაგან.—იმ მდიდარ ანგლიაშიდაც, რომლისაც მოქალაქეობითი დაწყებულობა სამაგალითოდ უჩნს დედამიწასა (ევროპას), პროლეტარობა ასეთ გამჯდარ სნეულებათ არის ქვეყნისათვის გადაქცეული, რომ იქნება სულაც ვეღარ მოხერხდეს განკურნება, თუ ქვეყანა არ შეინძრა როგორმე. ანგლიას მისი უბინაო და გლახაკი მოქალაქეების გამოსაზრდელად ხარკათ აწევს 30 მილიონი მანეთი წელიწადში. საკვეყნო ეკონომიისათვის პროლეტარობა ამითი არის საკვნელელი, რომ გლეხი სხვის მამულს მხოლოდ იმდენად შეიმუშავებს, რომ თავისი თავი და ცოლ-შვილი გამოკვებოს როგორმე; რადგან დიდი ნაწილი თავის ნაღვაწისა და ნაჭირნახულევისა მამულის პატრონ უნდა აძლიოს,—და სხვისი მამულის გაკეთებას, გაუჭობესებას არ ინდომებს და თუ ინდომა ვერ მოახერხებს". [1] ასეთი შეხედულების იყო „პროლეტრობახე" მამაცაშვილი. რომ ამ „სნეულებას ასცდეს საქართველო, საჭირო არის „ჭლეხს მიწა ჰქონდეს, თუ არა თავისუფლება უმიწო გლეხისა იქნება მხოლოდ ქაღალდით და არა საქმით". [2]

ახლა მოუსმინოთ დ. ყიფიანს: „სადაც კი არსებობენ უსასყარო, უმიწაწყლო ხალხი, პროლეტარები,—იქ საზოგადოება იტანჯება მათგან მით უფრო, რაც მრავალრიცხოვანია ისინი (პროლეტარები). **პროლეტარიატი—პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობაა; სადაც ის აღმოჩდება, მაშინვე საჭირო არის მის განკურნებაზე ზრუნვა, რომ არ განვითარდეს მთელი ორგანიზმის საზიანოდ;** ჩვენს ქვეყანაში ჯერ არსად, ღვის წყალობით არ აღმოჩენილა ნიშანები მსგავსი ავადმყოფობისა; მაგრამ გონება მოითხოვს წინასწარ სიფრთხილეს,—მოითხოვს წინასწარ დაცვითი ზომებს; **ამიტომ უნდა ვსთქვათ, რომ მკურნალობა ახლავე არის აუცილებელი.** რომელ საშუალებას მიკვართავენ ჩვენ. ამბობენ, რომ აუცილებელია გლე-

[1] დ. ყიფიანის არქივი № 5335.

[2] იქვე. დ. ყიფიანი კ. მამაცაშვილის მოსახრებანი გლეხთა მიწით განთავისუფლების შესახებ არ მოიწონებია და გაუგზავნია მამაცაშვილის წერილის ხოგიერთი მუხლები, ოღონ თავის მიხსენებიდან ამოუშლია კარნდაშით ადგილები სადაც მას მოყავდა მამაცაშვილის აზრები და შემდეგ აკრიტიკებდა მას.

ხებისათვის მიწის მიცემა საკუთრებად... ეს ვერ განკურნავს ავადმყოფობას და რადგან ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, — ამიტომ უნდა მივმართოთ მეორე საშუალებას, უფრო სწორს და მე ვფიქრობ, რომ დიდი უმეტესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ამ საშუალებას აღიარებს"...[1] როგორც ვიცით, დ. ყიფიანი მოითხოვდა გლეხების უმიწოდ განთავისუფლებას და მათ გადაყვანას ხიზანთა მდგომარეობაზე; იგი მსჯელობდა ასე: მართალია გლეხს არ ექნება საკუთრებად მიწა, მაგრამ ფაქტიურად მის განკარგულებაში იქნება მემამულის მიწა მოსახმარად განსაზღვრული გადასახადის დაწესებით და გლეხი ეკონომიურადაც და იურიდიულადაც მიკრული იქნება მიწაზე. ამიტომ დიმ. ყიფიანი აყენებს წინადადებას, რომ ბატონყმური წყობილების მოსპობის შემდეგ ქართველი გლეხობა გადაყვანილი ყოფილიყო ხიზანთა მდგომარეობაზე. თავის მოხსენებაში დ. ყიფიანი ხიზანთა შესახებ ამბობდა:

„სიტყვის გამომკიდებელმა შეიძლება სთქვას, — არა ჰსჩივიან ხიზნები მართალია, მაგრამ უკეთესი იქნება არა მოეხერხებათ რა და იმიტომ არა ჰსჩივიან, —და უჩივლელობით კეთილ მდგომარეობა არ დამტკიცდებაო. ქვეყნიერებაში ისეთი მდგომარეობა არა არის რა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდეს და არ ისურვებოდეს. — კეთილ მდგომარეობა იქ არის, სადაც ნაკლულევანება არ აკირვებს ცხოვრებას და უსაზრდოება სიცოცხლეს არ ამწარებს, — ამას გარეშე ძებნა კეთილ მდგომარეობისა კაცისათვის, ჩრდილის გამოკიდებას მიემსგავსება. ადგილ-მამული ჩვენს ქვეყანაში არც ეკლესიას აკლია და არც ხაზინას; არა თუ მათის უწყების კაცნი, საბატონო მამულებზედ ხიზნად მყოფნი, ბევრი იმათზედ უმრავლესნიც მოთავსდებიან თავისუფალს ადგილ-მამულებზედ. სახაზინო მამულების გამგებელი მეცადინეობა არას დროს არ დაუკლიათ, რომ ხიზნები თავისი უწყების ადგილზედ დაებინავებინათ. მაგრამ ზემორე მოხსენებული რიცხვი ხიზნებისა მაინც საბატონო ადგილ-მამულებზედა რჩება და რიცხვი ესე უფრო და უფრო ჰმატულობს, —და აქამდე არც მაგალითი მომხდარა, რომ საქართველოში გაპროლეტარებულიყოს ვინმე, ესე იგი, უბინადრო კაცი იპოვებოდეს სადმე, თუ არ რამდენიმე შინაყმა ობოლი. ქართველი კაცი თავის ადგილიდამ ადვილად არ დაიძვრის: მშობელი ქვეყანა უყვარს, სალოცავს ტაძარს

[1] „Доклад тифлисскому дворянству"... გვ. 34-5 აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ მემამულეები სასტიკად ილაშქრებდენ მათ წინააღმდეგ, ვინც გაბედავდა გლეხების მიწით განთავისუფლების მოთხოვნას. დ. ყიფიანს მოყავს ერთი ასეთი საპროტესტო წერილიც: „Легко судят об этом некоторые педанты, неосновательно обо всем толкующие и имеющие в виду заявить только себя в обществе; ничего почти не имея, ничего и не теряют они, а разсуждают о делах, как бы из человеколюбия и льстя тем сановных лицам, возбуждают толки в низшем классе и тем изменяют пользам родного края" (იქვე გვ. 38). ეს ცნობა საინტერესოა იმის დასამტკიცებლადაც, რომ რაღაც პროპაგანდას ჰქონია ადგილი გლეხების მიწით განთავისუფლების სასარგებლოდ. რასაკვირველია ასეთი პროპაგანდა მემამულეებს „მშრომელ ქვეყნის ღალატად" მიაჩნდათ.

უერთგულებს და მამა-პაპის ძვლებს ვერ განეშორება, თუ საქმე დიდათ არ უპირს; და მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის, რომ ხიზანს არცარა უპირს და არცარა სათაკილოა იმის ყოფა-ცხოვრებაში; მამულის პატრონებსა და მათ შორის შეურყეველად არსებობს ხათრი და პატივი ერთმანეთისა, ორისავე მხრისათვის ძვირად დასაფასებელი, ხიზნობა ძველთა დროთაგან არსებობს საქართველოში და არა თუ თავისუფალნი, საბატონო კაცნიც მრავალნი ეტანებიან ამ მდგომარეობას. რადგან საქმით სასარგებლო არის ორისავე მხრისათვის, — სწორეთ ამ გვარსავე, მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში იქნებიან ყმანიცა ჩვენნი შემდგომ განთავისუფლებისა, უკეთესში ამითი, რომ საუკეთესო ადგილ-მამულები ექნებათ და ყოველად უეჭველია, რომ ამითი მოისპობა ჩვენ შორის ყოველი მიზეზი ერთიერთმანეთზედ დამდურებისაცა და ჩვენს საშინაო საქმეებში მმართებლობისაგან ყოველ დღე გამორეკვისაცა". [1]

ამ რიგად გლეხი განთავისუფლდება იურიდიულად, მაგრამ ეკონომიურად იგი კვლავ დამოკიდებელი იქნება მემამულეზე; მართალია მას კერძო საკუთრებად არ ექნება მიწა, მაგრამ სამაგიეროდ მის განკარგულებაში იქნება მემამულის მიწები; ამ გზით დაცული იქნება მემამულეთა ეკონომიური უპირატესობა, მისი ბატონობის მატერიალური საფუძვლები, ხოლო გლეხი ბუნებრივად სცდება გაპროლეტარებას, რადგან მას ყოველთვის ექნება საშუალება დაამუშაოს მემამულის მიწები და დაიკმაყოფილოს მიწის დამუშავებით თავისი მოთხოვნილებანი. დ. ყიფიანის ასეთს პროექტში სამი ძირითადი მოსაზრება იყო გატარებული: 1. დაცვა მემამულეთა ეკონომიურ-მატერიალური უპირატესობისა, 2. გლეხის მიკვრა მიწაზე და მუშახელით უზრუნველყოფა მემამულეებისა სოფლად და გლეხობის კელავ მათ საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცევა [2]) და 3. ამავე ღონისძიებაში ხედავდა დ. ყიფიანი „პროლეტარობის ავადმყოფობის" სამკურნალო საშუალებას, ასე ვთქვათ, საქართველოში პროლეტარიზაციის პროცესის შეჩერებას, რასაკვი-

---

[1] ცენტრარქივში „Дело Закавказского центрального комитета по устройству помещичьих крестьян" № 1071, 61—2.

[2] დ. ყიფიანის არქივში არის პატარა ხელნაწერილი ბარათი, რომლის ავტორი შემდეგ დებულებებს აყენებს გლეხთა განთავისუფლების შესახებ: „ასე დავაწესოთ:

ა. რა რომ ფელი მოგვეცემა იმ დღიდანვე ვანთავისუფლებთ ყმობისაგან და ყოველის ყმურის ვალდებულებისაგან ჩვენს ყმებს.

ბ. ამას გარდა რაც ახლა სახლკარობა აქვთ არ მოუშლით და რაც ჩვენი ადგილ-მამულები უპირავთ მასაც მივაჩვენებთ.

გ. რასაც ჩვენ ტყესა, საძოვარსა და წყალსა ხმარობენ ისიც იხმაროს.

დ. ამ ორის საგნისათვის ის საჩგებლობა გვაძლიონ, რაც ქვეყნის ჩვეულებით გვერგება ყოველის თავისუფალის კაცისაგან.

ე. ეს ჩვეულება დასშთეს ჩვენგან შეუშლელად, თუ არ ერთმანეთთან დათანხმებისა, ვადამდის და რა რომ ვადა გათავდება, მაშინ ერთმანეთს მოურიგდებით".

ამ რიგად თავად-აზნაურობა მიწას უტოგებდა გლეხობას მხოლოდ მოსახმარათ, დასამუშავებლად, რისთვისაც გლეხობას უნდა ეძლია მემამულეებისათვის ჩვეულებითი განმტკიცებული გადასახადი: უკეთ რომ ვსთქვათ გლეხი კვლავ უნდა [illegible] ეკონომიურად მემამულის სრულ განკარგულებაში,

რეელია, ისტორია ერთობ სასტიკად მოექცა დ. ყიფიანის რეცეპტს; ამ რეცეპტმა არა თუ ვერ შეაჩერა საქართველოში დაწყებული პროლეტარიზაციის პროცესი, არამედ კიდევ უფრო შეუწყო ხელი გლეხობის გაპროლეტარებას; იმ რეფორმამ, რომელიც 1864 — 67 წლებში გაატარა მთავრობამ საქართველოში, ფაქტიურად დააჩქარა ჩვენი გლეხობის გაღატაკება და პროლეტარული მასის წარმოშობა. შემდეგში ეს მასა გამრავლდა, დავაკაცდა და რევოლუციონური თეორიით შეიარაღებული მშრომელთა მასის მეთაური გახდა. დ. ყიფიანისა და კ. მამაცაშვილის შეხედულებებს „პროლეტარობაზე“ და მის ცუდ შედეგებზე ის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, თუ ამ ახალი კლასის მშობიარობის პროცესს,—რომელსაც ინსტიქტიურად გრძნობდა გაბატონებული კლასი, — როგორი შიშით შეხვდა მემამულეთა ინტელიგენცია და როგორი ზომებით ფიქრობდა იგი მის აცდენას. ინტელიგენციამ ვერ შესძლო შესაფერისი რეცეპტის გამონახვა და ისტორიის ბორბლის უკუღმა შეტრიალება. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რომ გაბატონებულ კლასს თავიდანვე შიშის ზარს გვრიდა „უსახლკარო, უმიწაწყლო პროლეტარების“ განვითარება საქართველოში. დ. ყიფიანისა და კ. მამაცაშვილის სასარგებლოდ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ მათ მძაფრად განვითარებული კლასიური ინსტიქტი აღმოაჩნდათ: ქართველი პროლეტარები ქართველი მემამულეების მესაფლავედ გადაიქცენ.

5.

დ. ყიფიანის მოხსენების ყოველი დებულება აშენებული იყო თავადაზნაურთა ინტერესებისა და მოთხოვნილების მიხედვით. აქ წოდებრივ-კლასიური ხაზი სავსებით დაცული იყო. ეს მოხსენება თითქმის სავსებითა და მთლიანად მოწონებული იქნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ. მაგრამ დიმ. ყიფიანის წინაშე უფრო მეტი მუშაობა იყო საჭირო: საკმარისი არ იყო მარტო მთავარი პრინციპების გამომუშავება და ამის მიხედვით მოხსენების დაწერა; გარემოება მოითხოვდა ამ პრინციპების და დებულებების დაცვას და შესაფერისი პროექტის შემუშავებას. დ. ყიფიანმა ამ ფრონტზედაც ენერგიული ბრძოლა გააჩაღა. მან 1863 წელს შეადგინა პროექტი აღნიშნულ საკითხის შესახებ თანახმად იმ დებულებებისა, რომელიც 30 აპრილის 1862 წლის ყრილობაზე შეიმუშავა თავად-აზნაურობამ. ამ პროექტში ხაზგასმით ატარებს დიმ. ყიფიანი გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების აზრსა და მათ ხიზანთა მდგომარეობაში გადაყვანის საჭიროებას. მესამე მუხლი პროექტისა ამბობს: „ბატონყმობაში რომ დამოკიდებულება იყო, მის მაგიერად დაწესდება ამიერიდგან ნებაყოფლობითი დამოკიდებულება, რომელიც ძველის საქართველოს ჩვეულებით, ხიზანსა და მამულის პატრონს აქვთ“.[1] როგორც დ. ყიფიანის ერთი ხელნაწერიდან

[1] „დებულების პროექტი მკვიდრი ყმობისაგან განთავისუფლებულთა გლეხთათვის

სჩანს, ეს „დებულების პროექტი“ განუხილავათ 1863 წ. აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში თ.-აზნაურთს სამაზრო ყრილობებზე, სრულიად უმნიშვნელო ცვლილებით დაუმტკიცებიათ იგი ხმის დიდი უმეტესობით; იმავე დ. ყიფიანის გამოანგარიშებით „დებულების პროექტზე“ ხელი მოუწერიათ 536 კაცს. ხელი არ მოუწერიათ — 16. ამ რიცხვში არის ცნობილი სანოვნიკები: გრ. ორბელიანი, ი. მუხრანსკი, დ. ჭავჭავაძე და სხვები. [1]

დ. ყიფიანს დიდი ბრძოლის წარმოება დასჭირდა თავისი პროექტისა და დებულებების დასაცავად ცენტრალურ კომიტეტში. როგორც ცნობილია, მთავრობის პოლიტიკა რეფორმის გატარების საკითხში რამოდენადმე განსხვავდებოდა თავად-აზნაურთა მოსაზრებისაგან და იგი უფრო მარცხნით იდგა ამ საკითხში. დ. ყიფიანი აქაც მტკიცედ იცავდა თავის დებულებებს. 1864 წ. 21 მაისში წარდგენილ თავის მოსაზრებაში მთავრობის პროექტის შესახებ, იგი კვლავ იცავდა თავისებური მკაცრი არგუმენტაციით განთავისუფლებულ გლეხების ხიზანთა მდგომარეობაში გადაყვანის აუცილებლობას და მათ უმიწოდ განთავისუფლებას. დ. ყიფიანი ამტკიცებდა, რომ ტფ. გუბერნიისათვის ხიზანთა მდგომარეობა სრულიად არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ იგი ისტორიული ცხოვრების მიერ არის განმტკიცებული და მან მიიღო „ნათელი წოდებრივი გარკვეულობა“; კომიტეტის მიერ განზრახულ საშვალებებს მართლაც შეუძლიათ შეიტანოს გაუვებრობა, „რადგან ამ ღონისძიებით, იქმნება ისეთი პირობები, როელიც არ ესმის და უჩვეულოა საზოგადოებისათვის.“ ამ მხრივ ხიზანთა მდგომარეობა ისტორიულად შეთანხმებულია ხალხის ცხოვრებასთან. „როგორი გონებრივი წარმატებაც არ უნდა წარმოვიდგინოთ, ვერც ერთი ჩვენი მემამულე ვერ დაინახავს სამართლიანობას იმ ზომებში, როელიც, აუქმებს რა კანონით განმტკიცებულ ჩვენს უფლებას გლეხობაზე, მასთანავე აუქმებს თავისუფალ მოხმარას მეორე ჩვენი უფლებისას მიწაზე, რადგან, რაც არ უნდა ვსქვათ, მაინც გლეხებისათვის მუდმივ სარგებლობაში მიწების გადაცემა და ისიც ერთხელ განსაზღრული პირობების მიხედვით, — ეს იმდენად გეზღუდავს ჩვენი და ჩვენ საკუთრების უფლებას, რომ იგი განადგურებას (хищению) უდრის“. [2]

ამრიგად ცენტრალურ კომიტეტშიაც დ. ყიფიანი გაბედულად იცავდა თავის დებულებებს; მაშინ როდესაც ზოგიერთი „სანოვნიკები“ ვერ ბედავდენ მთავრობის პროექტის წინააღმდეგ ლაპარაკს, დ. ყიფიანი ენერგიულად ილაშქრებდა მის წინააღმდეგ და თავდაიწყებით იცავდა ტფილისის გუბერნიის მემამულეთა მიერ შემუშავებულ პროექტს.

საქართველოში“. დ. ყიფიანის არქივი ტფ. სახ. უნივ. სიძველეთა მუზეიმში, № 5335. (არის რუსული დედანიც).

[1] ტფ. სახ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეიმში № 5335 უსათაურო ხელნაწერი რუსულად

[2] Архив канц. наместника № 1070. /св. Б, 27—28/. ს. ავალიანი. „Крестьянский вопрос в Закавказьи“, ტ. I. გვ. 354—58.

დ. ყიფიანი დამარცხდა ამ ბრძოლაში: მთავრობამ გლეხთა რეფორმა თავისი გეგმების მიხედვით გაატარა. მაგრამ ეს დამარცხება დ. ყიფიანისათვის მეორე ფრონტზე მაინც გამარჯვებით დამთავრდა. დ. ყიფიანმა თავისი მოღვაწეობით რეფორმის საქმეში უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა თავადაზნაურთა წრეებში. სხვადასხვა მაზრებიდან იგი ღებულობდა თ.-აზნაურთა კოლექტიურ სამადლობელ წერილებს.[1] ამის შედეგი იყო დ. ყიფიანის იმავე 1864 წ. ტფ. გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე არჩევა. ეს უდიდესი გამარჯვება იყო დ. ყიფიანისათვის: უტიტულო აზნაურის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლობა ეს უჩვეულო ფაქტი იყო საქართველოს ისტორიაში. მადლიერმა წოდებამ დიდებით დააგვირგვინა დ. ყიფიანი.

მაგრამ 60-იანი წლების ქართულმა რადიკალურმა აზროვნებამ სხვანაირად შეაფასა დ. ყიფიანის საქმიანობა. იმ ხანებში ემიგრანტი ნ. ნიკოლაძე, აღზრდილი 60-იანი წლების რუსეთის რადიკალური აზროვნების ნიადაგზე, შემდეგნაირად ახასიათებდა რეფორმის პერიოდში ჩვენში შექმნილ განწყობილებასა და დ. ყიფიანის მოღვაწეობას: „გლეხობა, უკმაყოფილო უსარგებლო და სხვადასხვა ხრიკებით გაჭიანურებულ განთავისუფლებით, ისე როგორც თვით ამ განთავისუფლების საფუძვლებით, აშკარად გამოსთქვამდთავის სიმპატიებს „რუსეთის განმანთავისუფლებელ—მტერის“, ე. ი. ევროპის სასარგებლოდ. მეორე მხრივ თავად-აზნაურობა, რომელსაც ბატონყმობის არსებული წესების არავითარი ცვლილებების გაგონებაც კი არ სურდა,— გააოცა მთავრობის დამოკიდებულებამ ტფილისის თავად-აზნაურობისადმი და მანაც აშკარა დრტვინვა დაიწყო მთავრობისა და მისი ქართველი აგენტების წინააღმდეგ. კმაყოფილი დარჩა ბ. დიმ. ყიფიანის მსგავსი რამოდენიმე პირი; მათ გლეხთა რეფორმაში მოხდენილი პროექტების ან „კეთილგონიერი რჩევისათვის“ წარჩინებისა და დაჯილდოების ძიღების საშვალება დაინახეს. მაგრამ ამ ვაჟბატონებზე ლაპარაკიც კი არა ღირს“.[2]

როგორც ცნობილი არის გლეხთა რეფორმა საქართველოში ადგილობრივი მთავრობის პროექტის მიხედვით იქნა გატარებული. ქართველმა თ.-აზნაურობამ მეფისაგან „ერთგულებისათვის“ უავგუსტესი მადლობა და ჯილდო მიიღეს: გლეხთა პიროვნული განთავისუფლებისათვის მემამულეებმა კომპენსაციის სახით ხაზინიდან სულზე 25 მანეთი მიიღეს; სულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ მიიღო—1.654.350 მანეთი, ხოლო გურიისა და იმერეთის—2.833..215 მან. ეს დიდი ჯილდო დ. ყიფიანს ჩაეთვალა აქტივში..

[1] მაგალითისათვის იხ. თელავის თავად-აზნაურთა წერილი 1664 წ. 15 აგვისტოს თარიღით (უნივერსიტეტის მუზეუმი № 5335)

[2] Рио Н-жи: „Освобождение крестьян в Грузии“, ჟურნ. „Колокол“ № 198,- გვ. 1627. 1865 წ.

როგორც ვიცით დ. ყიფიანმა რიონელის გამოლაშქრება არ დატოვა ურეპლიკოთ (იხ. დ. ყიფიანის ხელნაწერი კატკოვის საპასუხოდ № 5332, ან „კავკასი“ № 83, 1865 წ.)

საქართველოში გატარებულმა რეფორმამ დიდი ზიანი მიაყენა ქართველ გლეხობას. ერთი მხრით მან დაკარგა საუკეთესო ნაკრები მის განკარგულებაში არსებულ მიწებისა; თუ რეფორმამდე ერთი კომლი გლეხის განკარგულებაში იყო 6 დესიატინამდე (5,9 დეს.) მიწა,—რეფორმის შემდეგ ბას დარჩა 3,9 დესიატინა; საერთოდ რეფორმამდე ტფ. გუბერნიის 118. 532 სული გლეხის განკარგულებაში ყოფილა 84.665 დესიატინა სხვადასხვა ხარისხის მიწა; რეფორმის შემდეგ ეს ფართობი დაყვანილი იქნა 55.679 დესიატინამდე, ე. ი. გლეხობამ დაკარგა 28.928 დესიატინა. მეორე მხრივ, გლეხობას მის განკარგულებაში დარჩენილი მიწები უნდა გამოეყიდა უფრო მეტ ფასებში; მესამე მხრივ, რეფორმის შემდეგ პერიოდში ქართველ გლეხობას დიდძალი სხვადასხვა გადასახადი დააწვა, ასე რომ გადასახადი ერთიორად გადიდდა. [1] ამრიგად რეფორმამ ეკონომიურადაც „გაანთავისუფლა“ ქართველი გლეხობა; მის წინ უფრო მწვავედ დაისვა თავისი არსებობის საკითხი; ამ ხნიდან დაიწყო ჩქარი პროცესი ქართველი გლეხობის გაპროლეტარებისა და ქალაქებისაკენ ლტოლვა ლუკმა-პურის საშოვნელად. გლეხობა აშკარა უკმაყოფილო იყო რეფორმის შედეგებით; [2] ამის საუკეთესო მაჩვენებელი იყო ის მწვავე წოდებრივი ბრძოლა, რომელიც გაღრმავდა ჩვენში რეფორმის შემდეგ პერიოდში გლეხებსა და მემამულეთა შორის.

საინტერესოა, რას ფიქრობდა დ. ყიფიანი რეფორმის შემდეგ პერიოდში გლეხთა საკითხის შესახებ და როგორ ფიქრობდა იგი იმ წოდებათა უთანხმოების მოწესრიგებას, რომელმაც თავი იჩინა მიწების საკითხის ნიადაგზე გლეხებსა და მემამულეებს შორის.

---

[1] С. Авалиани: „Крестьянский вопрос“ ტ. I, გვ, 415—28. О. Семин: „Великая годовщина“, 1911 წ.

[2]) უკმაყოფილოებას რეფორმის გამოცხადების ხანებშიაც ჰქონდა ადგილი. დ. ყიფიანის არქივში არის ერთი კერძო წერილი, რომელიც დ. ყიფიანის მიერ არის გადათარგმნილი რუსულადაც, 1865 წ. ამ წერილში ერთი თავადი (რ. ვაჩნაძე) სილნაღის მაზრიდან სწერს მეორეს: „მეორე დღეს (რამაზ ანდრონიკოვმა) კარდანეხში ილია აბხაზისას დაიბარა მთელი კარდანები და დაუწყო ქადაგება და ისევე თქვენ მოკეთეს დაემართოს, როგორც იმან დაიწყო და ის თქვენ მტერს დაემართოს როგორც იმან ბოლო გაათავა. ხალხს გამოუცხადა, რომ თქვენ ნება გაქვთ თავისუფლად ტყის სარგებლობისაო და გაფრთხილებით კი უნდა იხმაროთ და მოთმინებითაც და თუ თქვენთვის დაუშლიათ თავადის შვილებს ანუ მოსამართლეს, ეს მომხდარა იმისგან რომ ახალი კანონი ძნელი გასაგები არის... გლეხნი რასაც იტყოდნენ მგონია უნდა იცოდეთ. თავიანთის ჩვეულებით დაიწყეს ყვირილი ტყეც ჩვენია და მინდორიცა ვინ მისცათ თავადიშვილებსაო; ჩვენც არზა გვაქვს გაგზავნილი ხელმწიფესთან და სანამ იქიდან პასუხი არ მოგვივა ვერც არავინ ტყეში დაგვიშლის ტარებას და ვერც არავინ მინდორშიო, და ჩვენთვის სიცოცხლის თავით არ შეიძლება თუ გაღმა მხარეში არ ვსარგებლობთო. ან რაღა საჭირო იყო იმათგან ყვირილი რაც სურდათ ის გამოუცხადდათ და თუ არ უცოდინარეობით რაღა საჭირო იყო მათგან ყვირილი. საუბედუროდ ჩვენდა, ზოგიერთნი ჩვენთაგანიც შეშინდნენ და იქვე გლეხების წინაშე უთხრეს რამაზს, რომ ჩვენ არც დაგვიშლია ტყიდან სარგებლობა და არც დაუშლია... ძლივს დამშვიდებულნი ხელმეორედ აგვიბუნტდა,

ამ საკითხის შესახებ ჩვენ არა გვაქვს საკმაო ცნობები, მაგრამ ვინც იცის დ. ყიფიანის სოციალ-ეკონომიური სოფლმხედველობა, მას შეძლება აქვს შესაფერისი ლოგიკური დასკვნებიც გააკეთოს. ამ მხრივ დიდ დახმარებას გაგვიწევს დ. ყიფიანის 1884 წ. რუსულად დაწერილი წერილი: „Хизанский вопрос".[1] 1884 წ. როგორც პრესაში, ისე ქართველ თავად-აზნაურთა ოფიციალურს და არა ოფიციალურს კრებაზე დაისვა ხიზანთა საკითხი. დ. ყიფიანმა, როგორც ერთერთმა ცნობილმა მცოდნემ ამ საკითხისა, მონაწილეობა მიიღო თავად-აზნაურთა კრებაზე და ბოლოს წერილობითაც გამოსთქვა თავისი აზრი. თავად-აზნაურთა კრებაზე შემდეგი სამი საკითხი იყო დასმული: 1. სცნობს თუ არა ქართ. თავად-აზნაურობა ხიზანთა არსებობას; 2. როგორი ურთიერთობა არსებობს ხიზანსა და მემამულეს შორის; 3. როგორ ფიქრობს თ.-აზნაურობა ხიზანთა საკითხის გადაჭრას. დ. ყიფიანი, როგორ ვიცით, თვით იყო მემამულე და მის მიწებზე რამდენიმე ათეული ხიზანი იყო დასახლებული. ამას თვით დ. ყიფიანიც აღნიშნავს თავის წერილებში.[2] დ. ყიფიანს ხიზნობა ახალი ეპოქის შედეგად მიაჩნია.[3] ძველმა ქართულმა რეჟიმმა—ამბობს ყიფიანი,—არ იცოდა თანამედროვე ხიზანის მდგომარეობა. დამოკიდებულება ხიზანსა და მემამულის შორის მყარდება ხელშეკრულების ნიადაგზე, რომელიც მუშავდება ორივესათვის სასარგებლო საფუძველებზე. ხიზანი—ფიქრობს ყიფიანი, თავისუფალი მოქალაქეა და მას შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც მისი ინტერესები მოითხოვს. „ასეთი სოციალური მდგომარეობა,—განაგრძობს ავტორი,— სულ უახლოეს დრომდე ორივე მხარისათვის (ხაზანთა და მემამულის.—ს. ხ.) იმდენად სარფიანი იყო, რომ მემამულენი იშვიათ შემთხვევაში ეუბნებოდენ უარს მიწის მიცემაზე

---

ამ მომავალს კვირაში მთელი კარდანების გლეხნი გუთნებითაც მიდიან ჩვენს დაუკითხავად. თუ ცა ჩვენ ვქონდა ის ადგილება სათიბათ და საკარლის საძოვლად დაკორებული, ამ საღამოზედ მომივიდა კარდანებიდამ ბარათი ბიბარუნენ საჩივარი შეგიტანიათო და არ ეიცი როგორ მოხდება საქმე. ახლა ისევ რამაზს მიუბრუნდეთ, ხალხი რომ დაიგროვა და შეეფიდით შინ, დაგვიწყო ახლა შინ ქადაგება და სხვათა შორის წარმოსთქო: „ისინი მთელი მასა არისო და თქვენ ერთი გორსტი (горсть) და აბა რასა იქმთ თავისუფლად სიარულს რომ უშლით და წინ უდგებით იქ რომ პალოჩნი სუდი გაგიმართონო" მაშინაც უპასუხე, რომ ღვთის მადლით ჯერ რუსეთის იმპერიაში რესპუბლიკა არ არის მეთქი და ძლიერისა და სამართლიანის იმპერატორის მფლობელობაში ვიმყოფებით მეთქი და რომ დაეიჩაგრებით იმგვარი მასისაგან მეთქი თუ რომ ძალას ენახავთ ჩვენც სამართალს მივმართავთ და იმედი გვაქვს ჩვენის ხელმწიფის მართმსაჯულის კანონებიდან მფარველობა მოგვეცემა მეთქი" (იხ. დ. ყიფიანის არქივი № 5335), ეს კერძო წერილი კარგად გვისურათებს რეფორმის პერიოდში გლეხთა და მემამულეთა ურთიერთ განწყობილებას. გლეხები რომ „რეფორმებით" კმაყოფილნი არ იყვნენ—ეს ამ წერილით ნათლად სჩანს.

[1] Дмитрий Кипиани, „Хизанский вопрос" ჟურნ. „Юридическое обозрение" № 165, 1884 წ.

[2] დ. ყიფიანი: „Хизанский вопрос" დასახელებული ჟურნ. № 165, გვ. 97

[3] როგორც ზევით დავინახეთ, 1862-64 წლებში იგი სხვა აზრისა იყო; ხიზნობის ინსტიტუტი მისი შეხედულებით უკვე ძველთაგან არსებობდა საქართველოში. ასეთი აზრთა ცვლა, ალბად, გამოწვეული იყო იმით, რომ გაეგებინა ეს ინსტიტუტი.

ხიზნებს; ხოლო ხიზნები თავის მხრივ კი იმდენად სინდისიერად ასრულებდენ მიღებულ პირობებს და იმდენად სთვლიდენ თავიანთ თავს უზრუნველყოფილად, რომ გლეხთა რეფორმას რომ გადაეყვანა,— როგორც ამას ითხოვდა მაშინ თავად-აზნაურობა,— დღევანდელი დროებით-ვალდებული გლეხობა ხიზანთა მდგომარეობაზე, ისინი დღეს თავიანთი ბედის მადლიერი იქნებოდენ... ამ სიტყვის თქმის უფლება მე შევინარჩუნე იმ ოფიციალური როლით, რომელსაც შეასრულებდი გლეხთა რეფორმის დროს ტფ. გუბერნიაში... ამის უფლებას მე მაძლევს დროებით-ვალდებულ გლეხთა თანამედროვე მდგომარეობა, რომელსაც თავისთავად მიყავს ისინი (გლეხები) იმ პირობებამდე, (ე. ი. ხიზანთა მდგომარეობამდე - ს. ხ.) რაც მათ შესახებ ჰქონდა განზრახული თავად-აზნაურობას. ყველა სხვა პირობებით ხელშეწყობილი მცხოვრებთა ზრდა მიუთითებს „სანადელო“ მიწებს სიმცირეზე, რაც დროებით-ვალდებულ გლეხებს აახლოვებს ხიზნების იმ ტიპთან, რომელსაც თავისი „ნადელი“ და მიწაც აქვს“.[1]

• როგორ უნდა მავაწესრიგოთ ხიზანთა საკითხი? ამ კითხვაზე დ. ყიფიანი უპასუხებს: თუ ჩვენ საკითხი დაგვიყენეს,— ამბობს დ. ყიფიანი, ჩვენ უნდა უპასუხოთ მასზე, მაგრამ ისე რომ არ ავსცდეთ უფლებისა და სამართლიანობის ნიადაგს, არც იმ გზას, რომელზედაც მიგვითითებს კანონი. თუ შეუძლებელი არის ხიზანთა უზრუნველყოფა სახაზინო მიწებით, მაშინ მთავრობას აქვს უფლება ჩამორთმევისა (отчуждения) გარკვეულ კანონების მიხედვით იმ მიწების, რომელიც საჭიროა ხიზნებისათვის.[2] ე. ი. დ. ყიფიანი ამბობს, რომ მთავრობას შეუძლია ჩამოართვას მიწები მემამულეებს, რასაკვირველია, სათანადო ღირებულების გადახდით და ამ მიწებზე დაასახლოს ხიზნები. ამრიგად, დ. ყიფიანი ხიზნობის ინსტიტუტის მოსპობას სრულიადაც არ მოითხოვს. და როგორც ვხედავთ დ. ყიფიანის შეხედულება გლეხთა საკითხზე სრულიად არ შეცვლილა 20-30 წლის განმავლობაში. იგი წინანდებურად დარწმუნებული იყო იმაში, რომ ხიზანთა ინსტიტუტი საუკეთესო საშუალება იყო გლეხთა საკითხის მოსაწესრიგებლად და წოდებათა შორის ნორმალური ურთიერთობის დასაყარებლად. როგორც სჩანს, დ. ყიფიანი კარგად ხედავდა იმ უარყოფით შედეგებს, რომელიც გამოიწვია 1864 წლის რეფორმამ გლეხთა ცხოვრებაში. დროებით-ვალდებულთა ინსტიტუტი მას არ მიაჩნდა იდეალურ საშუალებად. წინააღმდეგ, დარწმუნებული იყო, რომ ამ ინსტიტუტმა გამოიწვია ცუდი შედეგები გლეხებისათვის. სულ სხვა გზით განვითარდებოდა დ. ყიფიანის აზრით გლეხობის ეკონომიური ცხოვრება, რომ თავიდანვე ბატონყმურ მდგომარეობიდან გლეხი ხიზანთა მდგომარეობაზე გადაეყვანათ: ასეთი ინსტიტუტი

[1] დ. ყიფიანი „Хозяинский вопрос“ დასახელებ. ჟურნ. № 165, გვ. 99-100.
[2] იქვე, გვ. 101-102.

სასარგებლო იქნებოდა როგორც გლეხობისათვის, ისე მემამულეთათვისაც.[1] რასაკვირველია, ამ დებულების დარღვევა და მის შესახებ მსჯელობა დღეს საჭირო არ არის: ასე მსჯელობდა გლეხთა საკითხის შესახებ დ. ყიფიანი 80-იან წლებში და იგი სავსებით შეეფერებოდა მის კლასიურ-სოციალურ სოფლმხედველობას. დ. ყიფიანი გაბატონებული წოდების იდეოლოგი იყო. იგი, როგორც დავინახეთ, მონხრე იყო მაღალი წოდების შიგნით ემანსიპაციისა და გათანასწორების; ამ შემთხვევაში მასში მძლავრად მეტყველებდა მისი სოციალური შთამომავლობა—აზნაურობა და პროფესიონალური მდგომარეობა—მოხელეობა. მაგრამ დაბალ წოდების მიმართ დ. ყიფიანი, არასოდეს არ გასცილებია გაბატონებული კლასის იდეოლოგიასა და მისწრაფებებს; სანამ არსებობდა ბატონყმობა იგი მხარს უჭერდა ამ ინსტიტუტს და მხოლოდ მისი შეკეთების მომხრე იყო, ხოლო როდესაც დაისვა **უმაღლეს ხელისუფლების ბრძანებით** ბატონყმობის მოსპობის საკითხი დ. ყიფიანი მთელ თავად-აზნაურობასთან ერთად ცდილობდა ბატონყმური ინსტიტუტი ხიზანთა ინსტიტუტად შეეცვალა. ამას იქით დ. ყიფიანის აგრარული პროგრამა არც წასულა და ვერც წავიდოდა.

[1] არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში ხიზანთა საკითხში დ. ყიფიანისა და ი. ჭ ვეკუაძის პროგრამა შეხვდა ერთი მეორეს (შად. И. Чавчавадзе: „Что такое хизанство?“, ჟურნ. „Юридическое обозрение“ № 164, გვ. 65-71, 1884 მისივე სრული კრებული ნაწერები საინტერესოა დასახასიათებლად А б—ბ წერილი: „Правда о хизанском вопросе“, იქვე № 187 გვ. 217-24, 1884).

## თავი მეექვსე

# დიმიტრი უიფიანის საბანკო პოლიტიკა

### 1.

1864—67 წლების გლეხთა რეფორმას მიუხედავად იმისა, რომ იგი მატერიალურად პირდაპირ საზარალო იყო დაბალი გლეხური მასებისათვის, საერთოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების წარმატებისათვის. ბატონყმობის მოსპობამ ფართო გასაქანი მისცა კაპიტალიზმის განვითარების საქმეს საქართველოში; ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება თავის განვითარების ახალ სამეურნეო პერიოდში შევიდა, რომელიც ძირეულად არღვევდა ძველი წყობილების ფორმებსა და ახალ ამოცანების წინაშე აყენებდა სოციალურ კლასებს. მაგრამ ბატონყმური ინსტიტუტის მოსპობით ერთი მძლავრი დასაყრდენი გამოეცალა ჩვენს ბრწყინვალე წოდებას. მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ჩვენი თავად-აზნაურობა თავისი დაცემისა და განადგურების პროცესში იმყოფებოდა: მისი ეკონომიურ-მატერიალური პირობები და სოციალ-საზოგადოებრივი წონა თანდათან მცირდებოდა, სავაჭრო კაპიტალის განვითარება ნატურალური მეურნეობის რღვევასთან ერთად ანადგურებდა თავად-აზნაურობის ეკონომიურ დამოუკიდებლობას და გზას უხსნიდა ახალ სამეურნეო ურთიერთობას. ისტორიულად ბატონყმობის მოსპობამ საქართველოში უკანასკნელი მძლავრი გარდატეხა მოახდინა გაბატონებული წოდების ეკონომიურ-მატერიალურ ცხოვრებაში და გამოაცალა მას შემდეგი წარმატებისა და განვითარების შესაძლებლობა. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენი ბრწყინვალე წოდებისა უკვე გრძნობდენ, რომ ეს წოდება დაცემისა და განადგურებისაკენ მიდიოდა, რომ მისი მნიშვნელობა და ეკონომიური პირობები თანდათან უარესდებოდა. ჯერ კიდევ 1859 წ., ე. ი. ბატონყმობის მოსპობის ბევრად ადრე ცნობილი მწერალი ალ. ორბელიანი ჟურნალ „ცისკარში“ სწერდა თავად-აზნაურობის შესახებ“. ისე გავღარიბდით, რომ ღარიბ გლეხკაცზე უფრო მომეტებით, თუ ვაჭრობისათვის არას ვიფიქრებთ და სხვას შესამატს კარგსა... აღარც თოფი, აღარც ხმალი, ვმადლობ ღმერთსა, მაშასადამე აღარც მნიშვნელობა, იქ რა არის საჭირო? სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა ჰქონდეს, ახლა“.[1] ასე სწერდა ალ.

[1] ალ. ორბელიანი: „ჩვენი საზოგადოება“, „ცისკარი“ № 10, 1859 წ.

ორბელიანი თავად-აზნაურობის ეკონომიური მდგომარეობისა და მისი სამოღვაწეო პროგრამის შესახებ. იგი უკვე გრძნობდა, რომ ეს წოდება დაეცა ეკონომიურად, რომ ძველი სამეურნეო საშვალებებით შეუძლებელი არის ცხოვრების ახალ პირობებში ბრძოლა და ამიტომ ვაპრობისა და სწავლა-განათლებისაკენ მოუწოდებდა მას. ალ. ორბელიანს სურდა გადაერჩინა ეს წოდება ეკონომიურ დაცემისაგან და ახალი სამოღვაწეო საშვალებებით დაეკავშირებია ცხოვრების ახალ მიმდინარეობასთან.

მაგრამ თუ ამას გრძნობდენ ჩვენი თავად-აზნაურობის იდეოლოგები ბატონყმობის მოსპობამდე, როგორი უნდა ყოფილიყო მათი განცდა ამ წოდების მომავლის შესახებ, როდესაც დაეცა მათი არსებობის ერთი უდიდესი ინსტიტუტი და გლეხი განთავისუფლდა პირად დამოკიდებულებისაგან? ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორი ღრიალი მორთო ბრწყინვალე წოდებამ ამ საშინელი კატასტროფის მოლოდინში. ეს იყო ბუნებრივი ფიზიოლოგიური შიში, გამოწვეული თავისი არსებობის მომავალი საფრთხით და აქაც ამ მძიმე პირობებში ჩვენს ბრწყინვალე წოდებას ესაჭიროებოდა ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი, ეპოქასთან შეთანხმებული პროგრამის შემმუშავებელი. ამ საქმეშიაც მეთაურობდა და ინიციატივაც წილად ხვდა დ. ყიფიანს. მან ყველაზე კარგად შეიგნო თუ ბატონყმობის მოსპობით როგორი დიდი კატასტროფა დაატყდა თავს თავად-აზნაურობას; მან ნათლად გასჭვრიტა ის მომავალი, რომელსაც ამ წოდებას უმზადებდა ახალი პერიოდი. დ. ყიფიანი როგორც შორს მჭვრეტელი მოღვაწე ამჩნევდა, რომ თავად-აზნაურობას უფრო დიდი საფრთხე მოელოდა ახალ სამეურნეო პირობებში, თუ ეს წოდება არ გამოძებნიდა ახალ შესაფერის საშვალებას თავის თავის გადასარჩენად. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რაში გამოიხატებოდა დიმ. ყიფიანის სოციალური იდეალები; მის წარმოდგენით თავად-აზნაურობა ერის ქვაკუთხედი და მისი მეთაური იყო; ამ წოდების დაცემა აუცილებლად დაასნეულებდა მთელს ერს და ამიტომ დ. ყიფიანმა ერთხელ კიდევ სცადა ახალი რეცეპტის გამოგონება, რომელიც გადაარჩენდა მაღალ წოდებას განადგურებისაგან და შეუნარჩუნებდა მას ახალ საზოგადოებრივ პერიოდში ბატონობის საფუძვლებს.

მაგრამ ჯერ-ჯერობით სიტყვა დაუთმოთ გ. წერეთელს იმ განწყობილების დასახასიათებლად, რომელიც შეიქმნა თავად-აზნაურობაში ბატონყმობის მოსპობის წინა და შემდეგ პერიოდებში. 1872 წ. იგი სწერდა: „სანამ ყმებს გამოიყვანდენ ბატონების უწინდელს დამოკიდებულებისაგან ყველანი დიდი და პატარა სულ იმას იგლოვდენ: რა გვეშველება, უიმათოთ, როგორ შეგვიძლია ცხოვრებაო; ზოგი ხმა მაღლა ყვიროდა ამას, თავჩაკიდებული, ცხვირ ჩამოშვებული თავის გულს აკვდებოდა და ხმა მაღლა სიტყვის თქმისთვის ხმაც აღარ მოსდევდა, ისე დაცემული იყო სულითა. ბოლოს გადაწყდა ეს მძიმე ამბავიც და ამასთან გაიხსნა ხაზინა ყმების ფულების დასარიგებლათ. მანეთების ჩხრიალი რომ გაიგონეს, ყველმა თვა-

ლები გამოაპყიტა, ყველას გულში იმედი შეუვიდა: ამ ყმების ფულს კარგათ წაუძღვებით, გავასესხებთ და სარგებლით ვიცხოვრებთო. მართლაც ფული მიიღეს, ცოტა ხანი გავიდა, ფულს არავინ სესხულობდა; იმ დროს აბა ვინ ისესხებდა. ყველა ყმების ფულით იყო გამძღარი. აქეთ მოიხედეს, იქით მიიხედეს, მაგრამ ვერაფერს საქმეში ვერ გამოიყენეს... ერთი თვე კიდევ გავიდა და მომეტებულს ჩვენს თავად-აზნაურობას ოფლი პირზე შეაშრა, თვალები ყველას ჩაცვინული და დალურჯებული შეექმნა, პირის კანები ჩაყვითლებული, ჯიბე ცარიელნი, ხურგს მძიმე ტვირთიანები ხვალინდელი ლუკმისათვის დადიოდნენ და ახლა კიდევ უფრო ღრმათ და უნუგეშოთ ოხრავდნენ, ვინემც ყმების განთავისუფლების მოლოდების წინათ. ამის შემდეგ ერთიღა იმედი კიდევ დარჩათ: ეს იყო საზოგადო ბანკის დაარსების სურვილი იმ ყმების ფულებიდან, რომელიც ხაზინაში დაარჩინეს, ეს იყო რამოდენიმე ასი ათასი მანეთი. ჩვენი თავად-აზნაურების უკანასკნელი იმედი ამ ფულზელა არის დარჩენილი". [1]

დ. ყიფიანი შვიდი წლის განმავლობაში ითვლებოდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად. ის უკვე თავად-აზნაურთა წინამძღოლი იყო, როდესაც მოისპო საქართველოში ბატონყმობა. ამიტომ დიმ. ყიფიანის მოვალეობა იყო, ეზრუნა პრაქტიკულად თავისი წოდების მომავალი მდგომარეობის შესახებ. 1883 წ. ერთ თავის საპოლემიკო წერილში იგი სწერდა: „საქართველოს თავად-აზნაურობა რომ უკიდურეს განწირულებაში ვიყავით და რა ქვისათვის გვეხეთქებინა თავი რომ ალარ ვიცოდით, ურთ ფიქრს წავაწყდით, მოდი და ჩვენი ბანკი გავხსნათ როგორმე, რომ გაჭირვებაში ხელი მოვითბოთ ხოლმეო. ეს თუ გვიშველის რასმე, თორემ სხვა სახსარი ალარა არის რა ჩვენთვისო, ვსთქვით. და როგორც იყო, ათასნაირი ნაილაჯობითა და ვაივაგლახით, გავხსენით ჩვენი ბანკი, ისევ ჩვენთვისა და იმ ჩვენი მეზობლებისათვის, რომელიც გარს გვახვევიან". [2] აქედან ცხადი არის, თუ როგორ ისტორიულ გარემოებაში დაიბადა ბანკის დაარსების იდეა და როგორი მიზნები უნდა ჰქონოდა მას დასახული. მაგრამ ისიც ალსანიშნავია, რომ ბანკის დაარსებასთან ერთად დ. ყიფიანმა მოიწადინა სწავლა-განათლების თანხის მოგროვება: იგი დარწმუნებული იყო მასში, რომ თავად-აზნაურთა წოდება ვერ გამოდგებოდა ახალ პირობებში ძველი ფარ-ხმალით, რომ მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა სწავლა-განათლების გავრცელება, შკოლების დაარსება და შვილების შესაფერისად აღზრდა. ამრიგად, დ. ყიფიანის პროექტით ბანკი უნდა გამხდარიყო თავად-აზნაურთა წოდების ეკონომიური ბრძოლის იარაღი, მის მატერიალური ბაზის შემანარჩუნებელი და წინ წამწევი, ხოლო, სწავლა-განათ-

[1] გ. წერეთელი: „ჩვენი საზოგადოების ქრონიკა", — „კრებული" № 7, გვ. 113 — 15. 1872 წ.

[2] დ. ყიფიანის წერილი რედაქციისადმი.—„დროება" № 124, 1883 წ.

ლება და შკოლა — იდეური ბრძოლის იარაღი, ასე ვსთქვათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირველობის შემანარჩუნებელი საშუალება.

1864 წ. 31 აგვისტოს თარიღით დ. ყიფიანმა მიმართა ტფილისის გუბერნიის მაზრების წინამძღოლებს შემდეგი მოწოდებით.

„კაცობრიობისათვის და ხელმწიფის ერთგულებისათვის დიდი მსხვერპლი მოგვეთხოვება; ჩვენი ბატონყმობის საქმე, ანგარიშით ამ მომავალ ნოემბერში უნდა დაბოლოვდეს. კეთილ გონიერება გვაწევს, რომ ახლა განსაკუთრებითი ყურადღება ჩვენის შვილების აღზრდაზედ მივაქციოთ, რადგან ჩვენს წარსაგებელს ისე ვერა აღადგენს რა და ვერა შეავსებს, როგორც სწავლა და განათლება ჩვენი შთამომავლობისა.— აქ გვჭირდება სხვა მსხვერპლი საკუთრად ჩვენის საზოგადოების სარგებლობისა და არსებობისათვის. თბილისის გიმნაზიის პანსიონში შესაყვანად ირიცხება ასამდის კანდიდატი; ინსტიტუტშიაც ირიცხება ორმოცი და ათზე უმეტესი და ამათგანი იქნება შ; ვიდნენ წელიწადში ათ-ათი ან თორმეტ-თორმეტი. — დანაშთენთ გარდა სხვანი რამდენი რჩებიან კიდევ შინ უსწავლელნი, რო პატრონებს არა აქვთ ღონე თავისი ხარჯით მათი აღზრდისა, — და ახლა ბატონყმობის საქმის შემდეგ რამდენად უფრო გაუჭირდებათ — ეს თქვენის უეზდის მიხედვით თქვენ კარგათ მოგეხსენებათ. სხვა მრავალ მსხვერპლთან გავბედოთ ერთი ისეთი მსხვერპლიცა, რომ ჩვენს ძველის დროიდან განთქმულს ქველის მოქმედებასა და კეთილშობილების ღირსებას შეეფერებოდეს და ერთი ერთმანეთ ხელი გაუმართოთ ჩვენი შვილებისა და შთამომავლობის სწავლასა და განათლებაზედ.

დროებითი სარგებლობა ქვეშევრდომთ სამუდამო სარგებლობის საჭირო არის ფული და საჭირო არის ზრუნვა.

ფულის მოკრეფის განზრახვა რაოდენგზისმე უწინაც წარმოთქმულა ჩვენს საზოგადოებაში. ამის გარდა ვალი გვმართებს, ველიკი კნიაზის ბალისა, ნასლედნიკის სადილისა, სახლის ქირისა, სადაც ჩვენი კენჭი მოდიოდა, მაგრამ ახლანდელ დროში ფულის მოკრეფა სრულიად აღარ არის საფიქრებელი. ფული ჩვენ გვეძლევა ყმების სამსახურის სამაგიეროდ, ბევრი მოგვეცემა თუ ცოტა ხელმწიფე იმპერატორის წყალობის ზომაზედ არის დამოკიდებული; რაც მოგვეცემა აქედან გადავსდეთ წილი რომელიმე, რომ ამ წილმა იტრიალოს ჩვენს საზოგადოებაშიეე და იმის სარგებლით შევიყვანოთ გიმნაზიაშიც და ინსტიტუტშიაც ჩვენი ქალები და ვაჟები. ზოგი გაპირვებულის და ზოგი შემძლე დედამის შვილები და ვალებიც გავისტუმროთ.

მანათიდამ რომ ერთი აბაზი დავთმოთ, მაშინ შეეიძლებთ ვალების გასტუმრებასაც, რომელიც არის ათას სამას თუმნამდისინ, — და ას ორმოცდა ათამდის ქალებისა და ვაჟების აღზრდასაცა.

ჩვენი საქმე ამითი ერთს კარგ ნაბიჯს გადასდგამს დაწინაურების გზაზედ; და საქმე ხომ მოგეხსენებათ, პირველი ნაბიჯია; მზრუნველობა, ზე-

დამხედველობა, კეთილ-ზნეობის დანერგვა ამ ჩვენი ახალ მოსწავლეთა შორის ვალად დავსდვათ ჩვენგანვე აღმორჩეულს პირებს, რომელიც თბილისში მსახურობენ.

ამაზედ დაწერილებითის პროექტის შედგენა, მმართველობის წინაშე შუამდგომლობა და სხვა საქმის დასაწყობი განკარგულება სხვათა შორის ესეც რომ თავნი მარად ხელ უხლებლად იყოს და იმისი სარგებელი მხოლოდ ამ საქმესა ხმარდებოდეს—ეს ყოველივე საკუთრად ჩემი ვალი არის; და წესდებას შეეადგენ და თავის დროზედ გაგაშინჯებთ.—მხოლოდ მანეთზედ აბაზი გადავსდვათ იმ ფულიდან, რაც ყმების სამსახურის მაგივრად გვეგზავნება. ამას მე ვითხოვდი საზოგადოებისაგან დიდის ვედრებით. მაგრამ ვიცი, ჩვენს საზოგადოებას თხოვნა კი არ უნდა ამისი,—მხოლოდ მოგონება უნდა; წინააღმდეგობას თუ ინებებს ვინმე, მე ამას ვერას დროს ვერ ვიკისრებ და ქართველთ კეთილშობილებს მე ამას ვერ ვაკადრებ.

თვითონ ჩვენი მარშალი რას იმეტებსო თუ იკითხა ვინმემ, — მე დიდის სიამოვნებით გადავსდებ ნახევარს იმ ფულიდამ, რაც ჩემსა და ჩემის ძმების ოჯახს შეხვდება, ე. ი. 50 პროც. ერთის სიტყვით რასაც უეზდის შეკრებილება დააწესებს, მეც სიხარულით თანა წარვსდგები, ოღონდ ნაკლები არ იყოს მანეთზედ აბაზისა.

ეს საქმე დიდი საქმეა ჩვენთვის და განსაკუთრებით თქვენგან უძვირფასესო კნიაზო — დიდს შემწეობას ველი, რომ კეთილად წარიმართოს“.[1]

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დ. ყიფიანი იმდენად დაინტერესებული და გატაცებული იყო ამ ახალი საქმით. იმდენად სურდა დახმარება გაეწია „უკიდურეს განწირულებაში ჩავარდნილ“ ბრწყინვალე წოდებისათვის, რომ არ მოერიდა პირველს გაეწვდინა ხელი გრ. ორბელიანისათვის, რომელთანაც მას დიდი ისტორიული ბრძოლის გადატანა დასჭირდა სულ რამოდენიმე ხნის წინეთ, და მოეწოდებინა მისთვის შეთანხმებული თანამშრომლობისაკენ თავად-აზნაურთა წოდების საკეთილდღეოდ. 1864 წ. უგზავნის რა თავის „უეზდის მარშალებისადმი“ გაგზავნილ მოწოდებას, იგი სწერს გრ. ორბელიანს.

„კერძოობითად მე იქნება დანაშაული მიმიძღოდეს რაიმე ისეთი თქვენს წინაშე, რომ ღირსი ვიყო წყრომისა, — თუმცა კი დიდის სიამოვნებით შევინანიებდი, რომ ვიცოდე; მაგრამ რაც მოხდა მოხდა; მარშალი ვარ ახლა და საკუთრად ამ წოდების ვალდებულობით მოგმართავ თქვენს ბრწყინვალებასა: დიდს შემწეობას გევედრებით, არა ჩემთვის, არამედ საზოგადო საქმისათვის, რომელსაც უეკველია, ყურადღებასაც მიაპყრობთ და არც თქვენის კეთილის გულისაგან შეუწყნარებლად განაგდებთ.

პირი მომირთმევია ამასთანავე უეზდის მარშალებთან ჩემის მოწერილობისა და ოქმს აქედამ მოიხსენებთ. თუ თქვენის სახიერის გრძნობით

[1] სიძველეთა მუზეუმი № 5 332.

სასარგებლოდ ჰპოვოთ ეს საქმე ჩვენის საზოგადოებისათვის, პირადს ჩემს დამდურებას ნუ გაიხსენებთ და თვით საქმეს დაავალეთ თქვენის სიტყვითა და მონაწილეობითა.“

ასეთი იყო დიმ. ყიფიანის სწავლა-განათლების პროგრამა; მაგრამ ამაზე იგი არ შეჩერებულა და სწავლა განათლების საქმე პირდაპირ დაუკავშირა ბანკის დაარსების საქმეს. 9 ნოემბერს 1864 წ. დ. ყიფიანი თავის მოწოდებაში „თავად-აზნაურობის წოდების წევრთა მიმართ“ სწერდა:

„ჩვენმა ყმებმა თავისუფლება მიიღეს: მათი სამსახურის მაგიერად ჩვენ გვეძლევა ხელმწიფის სიუხვიდგან ფული, სიმართლით და წინაშეხედველობის ვალდებულობით რიგი იქნებოდა, რომ ეს ფული ერთიანად ან უმეტესი ნაწილი მაინც შესანახავად გადაგვეცა ჩვენის შვილებისა და მემკვიდრეებისათვის. მაკრამ მეტყვიან რომელნიმე, ამჟამად თვითონ ჩვენ გვიჭირს საქმეო... და ჩვენ შთამომავლობას რომ არა დაუგდიათ რა, ვის რა დავა აქვსო. დიაღ მართალია და დიდად საფუძვლიანი იქნება ეს სიტყვა, მაგრამ ჩვენში მე ისრეთი შვილების პატრონი მამა არ მეგულება, რომ ამ სიტყვას დაადგეს და შვილებისათვის აღარ იზრუნოს, — არც არავინ ისეთი უშვილო მეგულება, რომ იტყოდეს, მე კარგად ვიყო და ქვეყანა წყალმაც წაიღოსო. ამის გამო არა იმათ, არამედ ყოველთავე თავად-აზნაურთა მოგმართავთ, რომელთაც შეგიძლიანთ ნათელი გონიერებითაც ცხადათ დაინახოთ და განწმენდილის გულითაც კარგათ ასწონოთ, ვის რა ვალდებულება გაძევთ წინაშე ღვთისა, ან რა პასუხის გამცემნი უნდა იყვნეთ თქვენის შვილებისა, თქვენის საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე — თუ დღევანდელი ნიჭი უნაყოფოთ მოიხმარეთ... მე მხოლოდ ამას გირჩევთ, გთხოვთ და გევედრებით, რომ ერთი მეხუთედი მაინც გადადვათ თქვენთვისვე სახვალიოდ და თქვენის შვილებისა, შვილის შვილებისა და უშორესის შთამომავლობისათვის... ნუ ასჩქარდებით უარის თქმით, აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისათვის არის კარგი, — და აქ თუ უარი წარმოსთქვით, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, რომ ასეთი ცუდი საქმე დაგვემართება ყოველთავე, რომ გამოკეთება აღარას დროს აღარ შეიძლებოდეს...

„სხვაგან თხოვნისა და ფულის გამსესხებლების მიმართვას ის არ ემჯობინება, უფრო სასარგებლო არ იქნება, რომ საჭირო ფული ჩვენის საკუთარი ბანკიდან გაგვქონდეს, მეტადრე მაშინ, როდესაც დაწესება სარგებლის რაოდენობისაცა და ვალის გადახდის რიგისა ჩვენხედვე არის დამოკიდებული, რომ როგორც საერთო თანხმობით ვამჯობინებთ ისე დავაწესოთ. რა დაგვიშლის, რომ ჩვენს ბანკს ისეთი სარგებელი დაუწესოთ, რომ ჩვენთვის სასარგებლო იყოს? რა დაგვიშლის ისეთი კანონები დაუდგინოთ, რომ ჩვენს ბანკში შეტანილი მამული კი არ გვეყიდებოდეს, დროებითაც შევიდეს ხოლმე ბანკის გამგეობაში, მანამდისინ ვალი გაიწმინდებოდეს — ასე რომ ვისაც ბანკის ვალი ემართება, ან თვითონ იმას, ან იმის შვილსა, თუ შვილის-შვილსა მამულის დახსნა და გატანა ყოველთვის შეეძ-

ლებოდეს და თუ ბანკის შემოსავლისა რომელიმე ნაწილი ჩვენი შვილების და შთამომავლობის აღსაზრდელად გადავსდეთ — გთხოვთ კარგად დაუფიქრდეთ ამასა, რამოდენად შეიმსუბუქებთ თქვენს მამობრივს ვალდებულებასა და რაოდენად მოუმართავთ მთელს საზოგადოების განათლებასა. ხომ კარგად იცით, რომ დღეიდამ განათლება-ღა არის ჩვენი ფეხზე დამაყენებელი იმედი".

ამრიგად დ. ყიფიანს სურდა დაეწესებია ისეთი ბანკი, რომელიც ერთი მხრივ, ისეთ სარგებელს დააწესებდა, რომელიც თავად-აზნაურთათვის საკმარგებელო იქნებოდა. ხოლო, მეორე მხრივ, დაწინდებულ მამულს არას შემთხვევაში არ გაუყიდდა თავის პატრონს; ეს მამული დროებით უნდა გადასულიყო ბანკის გამგებლობაში და ვალების გაწმენდის შემდეგ კვლავ დაბრუნებოდა თავის პატრონს. არ. ჯორჯაძე საფუძვლიანად ახასიათებს დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკას: „სურვილი მამულის გაუსყიდველობისა ისეთი დიდი ჰქონდა დიმიტრი ყიფიანს, ბანკის საშუალებით თავად-აზნაურობას შველის და განკურნების იმედი ისეთი ძლიერი ჰქონდა, რომ იგი ვერ ხედავდა ობიექტიურ ეკონომიურ პირობებს, ეკონომიურ ცხოვრების ულმობელ კანონს, რომელიც შეუძლებლად ჰყოფს ყოველგვარ ქველობას, ფილანტროპიას სოციალურ ცხოვრების ფარგლებში. რომანტიკოსი პოლიტიკოსის რწმენით, იგი რომანტიკოსად აღმოჩნდა ეკონომიურ ნიადაგზედაც. მას სჯეროდა, რომ საქმის გაძღოლა შესაძლებელი იყო ისე, რომ რაც შეიძლება მეტი შეღავათი და სარგებლობა ჰქონოდა იმ წოდებას, რომელიც ეკონომიურად უმოქმედო და თითქმის უკვე მკვდარი იყო".[1]

ასეთი იყო ის ამოცანები, რომელიც ბანკს დაუსახა განსახორციელებლად დ. ყიფიანმა. მისი საბანკო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ გაღატაკების გზაზედ შემდგარი თავად-აზნაურობა გადაერჩინა უფრო უარეს უბედურებისაგან და შეენარჩუნებია მისთვის ძველი ბატონობა. რასაკვირველია, ასეთი დიდი ფუნქციების შესრულება ბანკს არ შეეძლო; იგი ვერ შესძლებდა ეკონომიური კეთილდღეობა თავად-აზნაურობისა გაეჯანსაღებია და ისტორიისაგან განწირული წოდება გადაერჩინა საბოლოო განადგურებისაგან; ეს იქნებოდა ჩვენი ისტორიული ცხოვრების ჩარხის უკუღმა შემოტრიალება, წინაალმდეგ, როგორც ქვეით დავინახავთ ბანკმა უფრო გაანადგურა თავად-აზნაური და დასცა მისი ეკონომიური კეთილდღეობა. მაგრამ დ. ყიფიანს ამის დანახვა არ სურდა და თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარჩა იმ ბანკის მოტრფიალე და მოიმედე, რომლის მთავარი პროექტი მან წამოაყენა 1864 წელში.

მაგრამ თუ ჩვენთვის არის დ. ყიფიანის სამნეო პოლიტიკა უტოპიური და ფილანტროპიული, თვით დ. ყიფიანისთვის იგი რეალურად ადვილად განსახორციელებელი იყო, თუ კი მის მნიშვნელობას ნათლად შეიგნებდა

[1] არ. ჯორჯაძე: „დიმიტრი ყიფიანი" — „სახალხო გაზეთი" № 805, 1913 წ.

თავად-აზნაურობა და მას გამოუჩნდებოდა მეთაური პირი. და დ. ყიფიანი არ ზოგავდა ძალას და ენერგიას შეეტანა თავად-აზნაურობაში ასეთი ბანკის დაარსების მნიშვნელობა და შეგნება. ან. ფურცელაძე ერთს თავის წერილში მიგვითითებს:

„დაუვიწყარი დიმიტრი ყიფიანის შორს გამჭვრეტმა ამ შემთხვევაში გონებამ მოსაზრა და ასწონა მაშინვე, რომ უმთავრესი ფაქტორი ცივილიზაციისა, წარმატებისა არის სწავლა, მეცნიერება, განათლება.

ჩვენს ბედზედ ეს მხნე, დიდი გონისა და ნიჭის კაცი, კაცი მოქალაქეობრივი გაბედულებისა, იყო იმ დროს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალად, როდესაც გამოსდიოდათ მებატონეთა ყმების ფული, ამან ისარგებლა ამითი და შეუდგა ჩვენი სწავლა განათლების სამკვიდრო საქმეს: ამაზედ მარჯვე დროს ამ[illegible]თის ის ვეღარ ჰნახეოდა. იმან განიზრახა გადაედებინა თავად-აზნაურთათვის ბანკის შესადგენად ნაწილი იმ ფულისა, რომელიც გამოსდიოდათ ამათ ხარინიდან ყმებში. ის შეუდგა ამ საქმეს გასაოცარი სიმხნევით და ცოდნით. იმან შესძრა ამაზედ მთავრობა, გუბერნატორი ორლოვსკი, რომელიც ანისი პირადი მეგობარი იყო, შესძრა უეზდის მარშლები, უპირველესი საქართველოს პირები, მთელი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა წერილებით, პირად მოლაპარაკებით შესძახოდა, აგონებდა მომავლის წინ მოელლობას და შეეედრიდა დაჰხმარებოდენ ამას ამ დიდ საქმეში. ჩამოუარა მთელს ქართლ-კახეთს, დაუარა ოჯახებს; აიღო ნება საგანგებო უეზდის თავად-აზნაურთა კრებისა. ესწრებოდა ამ კრებებზედ, მხურვალე გულით, ცხარე რიტორი, შეუწყობილი, დასაბუთებული სიტყვებით რომლებისაც უკეთესი იქნება თვით უმაღლესად განათლებულ ევროპის ერებშიაც ძვირად გ[illegible]ისმოდეს, შეასმენდა თავად-აზნაურთ ამ დიდი საშვილის-შვილო საქმის კისრებას».[1]

ბანკის დაარსების იდეიამ თავიდანვე დიდი გავლენა მოახდინა ქართველ თავად-აზნაურობაზე, მით უფრო, რომ ბატონყმური ურთიერთობის მოსპობით შეშფოთებული თავად-აზნაურობა გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა და თითქმის ბედისანაბარა რჩებოდა. ასეთს პირობებში ბანკისადმი მოწოდებამ, როგორც სჩანს, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ამ წოდებაში; საკითხი განხილული იქნა მაზრების თავად-აზნაურთა კრებაზე და თითქმის ერთხმად, გარდა მცირედი ჯგუფებისა, ესალმებოდენ დ. ყიფიანის საბანკო პროექტს.[2] ბანკის დაარსების საჭიროება საკმაოდ გამოირკვა არა მარტო თავად-აზნაურთათვის, არამედ ხელისუფლებისათვისაც; იმავე 1864 წ. ერთ-ერთ ოფიციალურ მოხსენებაში ჩვენ ვკითხულობთ: „1864 წ. ბატონყმობის გაუქმების გამო ქართველ თავად-აზნაურობაში

[1] ან. ფურცელაძე: „ბანკი და სკოლა". — „ივერია" № 17. 1896 წ. იხ. აგრეთვე ნ. ნიკოლაძის წერილი: „Наши современники: „Д. Кипиани" გაზ. „Тифлисский Вестник" № 132, 1875 წ.

[2] იხ. „Кавказ", 1864—65 წლების.

დაიბადა აზრი აზნაურულ დამხმარე კაპიტალის დაარსების შესახებ, რათა ეს თანხა მოხმარდეს მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს და თავად-აზნაურთა ახალგაზრდობის აღზრდას. ხელმძღვანელი ამ საქმისა გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დ. ყიფიანი იმ აზრისაკ იყო, რომ აღნიშნული თანხა უნდა შედგენილიყო იმ ფულის ნაწილიდან, რომელიც უმაღლესად უნდა მისცემოდა თ.-აზნაურობას პირადი ვალდებულობის მოსპობისათვის განთავისუფლებულ გლეხობისათვის. ამ საქმის დასაწყისში შედგენილი ანგარიშით მილიონ ფულიდან, რომელიც ეძლეოდა თავად-აზნაურობას, მბოლოდ $^1/_5$ ე. ი. 350 ათასი მან. შესდგებოდა საზოგადოებრივი თანხა. 1864 წ. ბოლოში ეს წინადადება შეტანილი იყო განსახილველად უმაღლესად მოწვეულ საგანგებო სამაზრო კრებაზე. თავად-აზნაურობა სრული თანაგრძნობით მიეგება ამ აზრს და 492 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 48 ხმისა გადასწყვიტა, გადაიდოს საქმისათვის გლეხებიდან შემოსულ ფულიდან 20% ამ ფულის ხაზინიდან მიღების დროს"...[1]

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ ბანკის დაარსების წინააღმდეგი იყო უმთავრესად მსხვილი არისტოკრატია, რომელიც ჯერ კიდევ ეკონომიურად ძლიერ საზოგადოებრივ ფენას წარმოადგენდა და ბანკის დაარსება მისთვის მაინც და მაინც დიდ ეკონომიურ სარგებლიანობას არ იძლეოდა. სამაგიეროდ, დიდი უმეტესობა წვრილ თავად-აზნაურობისა აღფრთოვანებით ეგებებოდა ბანკის დაარსების საქმეს და მასთანვე თავის მხ.ნელს დიმ. ყიფიანში ხედავდა. ამ მხრივად ნათლად სჩანს ის კლასიურ-წოდებრივი ხაზი, რომელიც ამოძრავებდა დიმ. ყიფიანს: იგი იყო იდეოლოგი წვრილ თავად-აზნაურობისა და მისი პოლიტიკა საბანკო საქმეში, ისე როგორც გლეხთა განთავისუფლების საქმეშიაც, საესებით ეგუებოდა ამ წრის მიზნებსა და ინტერესებს. მაგრამ დ. ყიფიანის წამოწყებას საბანკო საქმეში არა მარტო წვრილი თავად-აზნაურობა შეხვდა აღტაცებით, არამედ ჩვენი ახალი ინტელიგენციის ყველაზე უფრო პროგრესიული ფრთაც აღფრთოვანებული იყო ბანკის დაარსების საქმის წამოწყებით. „დროებაში" ეკითხულობთ: „დ. ყიფიანი მიხვდა იმას, რომ ვალში ჩაცვივნილ კეთილშობილების საქმის გასწორება შეეძლო მხოლოდ ბანკს და ამის გამოისობით იმან შეადგინა წინადვე ბანკის პროექტი. წაუკითხა რამდენჯერმე მამულების მეპატრონეებს და ბოლოს კეთილშობილებმა გადასწყვიტეს გადადება ბანკის დაწესებულებისათვის მეხუთედი წილი ფულებიდან, რომელიც მოეცათ იმათ მის დიდებულებისაგან ყმების განთავისუფლებაში. ძლივს ჩვენც დავესწარით იმ ბედნიერებას, რომ ქართველებშიაც აღიძრა ბანკის დაარსების მოთხოვნილება.... თუ რიგზე წაიყვანენ საქმეს, მაშინ გაბედვით ვეტყვით, რომ ეს ახოვანი ფონდი ადვილად შეიძლებს ქართველები მატერიალური მხრით შევიწროებიდან გამოიხსნას და გააძლიეროს".[2]

[1] იხ. „სახალხო გაზეთი" № 805, 1913 წ. ჯორჯაძის წერილი.

[2] „დროება" № 44, 1870 წ.

მაგრამ უკეთესი არის ისტორიულ-ქრონოლოგიური წესით განვიხილოთ დ. ყიფიანის აზროვნების შემდეგი ეკოლუკია საბანკო საკითხში.

## 2

ბანკის დაარსების საქმე საქართველოში ერთობ გაჭიანურდა; მთელი ათი-თერთმეტი წელიწადი მოანდომეს ბანკის სტრუქტურისა და ხასიათის გამორკვევას, მისი წესდების შემუშავებას. ამ 10—11 წლის განმავლობაში ბანკის საკითხის გარშემო ცხარე კამათი სწარმოებდა, როგორც მაშინდელ პრესაში, ისე თავად-აზნაურთა სამაზრო და საგუბერნიო კრებებზე. დიდი უმეტესობა აზნაურებისა თავიდანვე დიმ. ყიფიანის აზრს იზიარებდა, რომ დაეარსებიათ საადგილმამულო ბანკი წმინდა თავად-აზნაურულ წოდებრივი შინაარსისა. 1867 წ. 6—8 მაისს მოხდა პირველი საგუბერნიო კრება თავად-აზნაურებისა, საბანკო საკითხების გადასაწყვეტად. ამ კრებამ ერთი მისი წევრის მ. გ. მამაცაშვილის სიტყვით, გარკვევით დაადასტურა ის წინადადება, რომლითაც 1864 წელს მიმართა დ. ყიფიანმა თავად-აზნაურობას წმინდა სათავად-აზნაურო ბანკის დაარსების შესახებ. მამაცაშვილი სწერს: „1867 წ. 6 მაისის პროტოკოლი აღიარებს დებულებას, რომელიც სამუდამოდ ამაგრებს საბანკო დაწესებულებას და ანიჭებს მას წმინდა სათავად-აზნაურო წოდებრივ დაწესებულების ხასიათს. ყოველი თავად-აზნაური ისეთ ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო დაწესებულებასთან, რომ თავისად ჩაეთვალა იგი, დაინტერესებულიყო მისი ინტერესით და თვალი ედევნებია მის საქმისათვის და განვითარებისათვის, რადგან ფაქტიურად იგი, თავადი და აზნაური, უნდა ყოფილიყო მისი დამფუძნებელი და მისი მმართველი... 6 მაისის პროტოკოლი წარმოადგენს ნამდვილ, უსაყვარს და სპეციფიკურ რეაქტივს, რომელსაც უნდა გამოეწვია თავად-აზნაურობაში წოდებრივი ღირსების შეგნების გამოფხიზლება და ეჭვს გარეშეა, რომ ამ პროტოკოლში წოდებრივი შემეცნება სავსებით და სრულიად გამოისახა“.[1]

მაგრამ ბანკის სტრუქტურის, შინაარსისა და დაარსების საქმე აქ ვერ შეჩერდა. სხვადასხვა პირობების გამო წესდების შემუშავების დროს დ. ყიფიანი იძულებული შეიქნა თავის პირვანდელ გეგმისათვის გადაეხვია და „ბანკისთვის საყოველთაო ხასიათი ჩიეცა და არა სათავადაზნაურო“, როგორც ამას წერდა 1886 წ. გაზ. „ივერია“.[2] დ. ყიფიანი თავის საკუთარ ხელით დაწერილ წერილში ამბობდა: „ამით ბანკს უნდა მიეცეს საზოგადოებრივი ხასიათი... არც მე, როდესაც გავიგე განცხადება თავად-აზნაურებისა, არც თავად აზნაურობას, როდესაც მან გამოსთქვა თავისი მოსაზრებანი ამ გაცხადებაზე, იოტის ოდნავად არ გამოგვითქვამს სურვილი ბანკის დაარსების საქმეში წოდებრივობის ჩარჩოებში ჩაკეტილიყავით... წი-

[1] „სახალხო გაზეთი“ № 805, 1913 წ.

[2] გაზ. „ივერია“ № 144, 1886 წ.

ნაალმდეგ ამისა... როგორც მე, ისე თავად-აზნაურობამ გამოვსთქვით სურვილი იმ მიმართულების, რომ ბანკისთვის არ მიგეეცა არავითარი წოდებრივი ხასიათი". [1] უნდა ვსთქვათ, რომ ეს განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს; როგორც ვნახეთ და კიდევ დავინახავთ ქვევით ბარნოვსკის განმარტებიდან, თავად-აზნაურობა თავიდანვე საადგილმამულო წოდებრივი ხასიათის ბანკის დაარსების მომხრე იყო. მაგრამ დ. ყიფიანისთვის ახალ პროექტში ფიეცა ბანკისთვის საზოგადოებრივი ხასიათი სულ სხვა მოსაზრებანი ჰქონდა მხედველობაში. მისი განმარტებით თავად-აზნაურობა მთავრობას დახმარებას სთხოვს ბანკის დაარსების საქმეში იმ განზრახვით, რომ ბანკს ამ დახმარების წყალობით შეეძლოს გლეხობასაც გაუხსნას კრედიტი. ამიტომ განზრახული ბანკი უნდა იყოს საზოგადოებრივი. **მაგრამ ეს მხოლოდ ხურვილია, ნამდვილად კი ბანკი თავად-აზნაურობისაა,** რადგან ბანკი ფუძნდება თავად-აზნაურობის ფულით, თავად-აზნაურსავე უნდა ეკუთვნოდეს როგორც მისი გამგებლობა ისე სარგებლობა ბანკის მოგებით. აქვე უნდა დაუმატოთ, რომ დ. ყიფიანი ამჟამადაც ენერგიულად იცავდა დაკირავებული მამულის გაუყიდველობას, იგი ამბობდა: „დაგირავებული მამული არასოდეს არ უნდა გაიყიდოს, თუ დამგირავებელმა ამის სურვილი არ გამოაცხადა. ბანკს ეძლევა უფლება მამულის შემოსავალზე იმდროამდე, სანამ ვალი არ გაიწმინდება". [2] აღსანიშნავი არის ის ფაქტიც, რომ 1867 წ. დ. ყიფიანი რადიკალური წინააღმდეგი იყო ბანკისთვის აქციონერული ხასიათი მიეცა. 1867 წ. თავად-აზნაურთა ყრილობაზე იგი ამბობდა: „მე არც შესაძლებლობა და არც განზრახვა მექნება დავფარო ის, თუ რა მოჰყვება თავისთავად იმისგან, თუ მთელ ძირითად თანხას დავანაწილებთ აქციებად და შევაგროვებთ კაპიტალს ამ აქციების საშუალებით... მომავლის პერსპექტივებში მაინც იმედებული ვიქნებით დავინახოთ აუცილებლობა იმ ფაქტისა, რომ განსაზღვრულ დროის შემდეგ, ჩვენ ბანკის დამაარსებელთ აღარ გვექნება მასზედ (ბანკზედ) არავითარი უფლება, ხოლო იმ კაპიტალის ნაწილის მეპატრონედ, რომელიც შესდგება აქციების გამოშკებიდან, აქციონერები გადაიქცევიან... სრულიად უნდა მოვსპოთ ეს „Круговая порука", რადგან იგი დიდ უხერხულობას წარმოადგენს". [3]

როგორც სჩანს დ. ყიფიანს პირველ ხანებში ძლიერ აშინებდა ბურჟუაზიული ელემენტების შეკრა საბანკო საქმეში და ამიტომ თავდაპირველად ცდილობდა ამ წრეებისაგან დაეხსნა სათავადაზნაურო ბანკი. იგი მომხრე იყო ამ ბანკს მიეღო საზოგადოებრივი ხასიათი იმდენად, რამდენადაც იგი გლეხს კრედიტს მისცემდა და ხოლო ბანკის მართველობა და ბანკის მოგებით სარგებლობა თავად-აზნაურთა წოდებას დარჩებოდა ხელში. მაგრამ

[1] იქვე.

[2] იხ. „Дело об основании банка", ტ. I „სახალხო გაზეთი", № 805, 1913 წ.

[3] იხ. „Протоколы губернского дворянского собрания" 1867 წ.; გაზ. „ეკერია" № 145, 1885 წ.

დ. ყიფიანი ვერც ამ თავის შეხედულებაზე შეჩერებულა და ბოლოს იძულებული გამხდარა ბანკის წესდება აქციონერთა სისტემახედ აეშენებია. როგორც სჩანს, ბანკის დაარსების საქმე დიდ კრიზისს განიცდიდა მრავალის მხრივ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბანკის ძირითადი თანხა ძლიერ მცირე იყო, მთავრობის დახმარება ამ მხრივ მდგომარეობას ვერ აუმჯობესებდა იმდენად, რომ საქმის დაწყება ძნელი არ გამხდარიყო. მდგომარეობის გამოსასწორებლად დ. ყიფიანი იშველიებს რუსეთის ცნობილ ფინანსისტებს ვოდოვს და ჟუკოვსკის. ამათი ზეგავლენით დ. ყიფიანმა შესცვალა თავისი წინანდელი პროექტი და მოსაზრებანი და შეადგინა ახალი პროექტი, რომლის მიხედვითაც ბანკს უნდა მისცემოდა საააქციონერო საზოგადოების ხასიათი. მთავარ მმართველობის დეპარტამენტის დირექტორი, ნ. ბარნოვსკი სწერს თავის მოხსენებაში: „ახალი პროექტი სათავადაზნაურო კომიტეტის მიერ კომისიაში წარდგენილი, შემუშავებულია იმგვარ დებულებაზე, რომელიც არ შეიძლება არ აღვიაროთ გადახრით იმ აზრიდან, რომელიც თავად-აზნაურთა კრებაზე იყო მოწონებული. საზოგადოებრივ-თავად-აზნაურულ ბანკის ნაცვლად, რომელიც წოდებას ეკუთვნოდა, ამ პროექტით ბანკი ისახება კერძო დაწესებულებად, რომელიც ეკუთვნის კერძო დაწესებულებას“. ახალ პროექტს საგრძნობი ცვლილება შეექონდა საბანკო საქმეში. ამ პროექტის მიხედვით ძირითადი თანხა ბანკისა 500 ათასი მან. უნდა ყოფილიყო: ეს თანხა უნდა შემდგარიყო 10 ათასი „პაიებიდან“, თითო პაის ღირებულება უნდა ყოფილიყო 50 მანეთი. აქედან 6.000 პაი თავად-აზნაურობის იქნებოდა, ხოლო 4.000 პაი განურჩევლად წოდებისა. ვინც მას იყიდდა“.[1] ასეთი დებულების მიხედვით მართლაც იცვლებოდა არსებითად ბანკის ძველი პროექტი: საბანკო პოლიტიკა თითქმის მიმართული უნდა ყოფილიყო საევროპო-საკრედიტო ბაზარისაკენ და მისი პირველი დანიშნულება სასოფლო-სამეურნეო საბანკო დაწესებულების დაარსებისა აუცილებლად დაიჩრდილებოდა. იგივე ბარნოვსკი განაგრძობს: „მაგრამ ამ აზრის გასამარტავად, ეს წინადადება რომ მიეღოთ, ამ შემთხვევაში სრულიად შეიცვლებოდა წოდებრივი ხასიათი ტფილისის ბანკისა, შეიცვლებოდა აგრეთვე ამ ბანკის აზრი — მიწის მფლობელთათვის კრედიტის შოვნა, რაც აზრად ჰქონდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას... ამგვარადვე ირკვევა საკითხი, რომ ახალი პროექტი კომისიაში წარდგენილი (დიმ. ყიფიანისა), რომელიც არსებითად განსხვავდებოდა საზოგადო კრებაზე გამოცხადებულ თავად-აზნაურობის სურვილისაგან და სცელის პირველ პროექტის შინაარსს, რომლის ძალით ტფილისის ბანკი უნდა ყოფილიყო წოდებრივი საადგილ-მამულო ბანკი, რომ ეს ახალი პროექტიც იყოს განსაბილველი თავად-აზნაურთა საზოგადო კრების მიერ“.[2]

---

[1] „სახალხო გაზეთი“ № 805, 1913 წ. არ. ჯორჯაძის მონოგრაფია.

ამრიგად დიმ. ყიფიანმა საგრძნობლად გადაუხვია თავის ძველ პოლიტიკას და ნაცვლად წმინდა წოდებრივი ბანკის დაარსებისა იგი რუსეთის ფინანსისტების ზეგავლენით შეუდგა პაიებზე აგებულ საქციონერო საზოგადოების დაარსებას. ამ შემთხვევაშიაც, ჩვენი აზრით, დიმ. ყიფიანი არ ფიქრობდა უყურადღებოდ დაეტოვებია თავად-აზნაურობის ინტერესები, წინააღმდეგ იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ რაკი თავად-აზნაურობა ვერ ახერხებდა საჭირო ძირითადი თანხის მოგროვებას, ამ წოდების სახელით გამოყენებული უნდა ყოფილიყო კერძო პირთა და ვაჭარ-კაპიტალისტთა თანხები „პაიების“ საშუალებით. ასეთი იყო დ. ყიფიანის პოლიტიკა, როდესაც ის საპაიო ბანკის დაარსებას მოითხოვდა. იგივე მ. გ. მამაცაშვილი, რომელსაც 1870 წ. დ. ყიფიანისთვის გამოუგზავნია თავისი „მოხაზრებანი“ ბანკის შესახებ თავად-აზნაურთა კრებაზე გამოსათქმელად, შემდეგნაირად ახასიათებს ახალ წესდებას: „ბანკის ახალი წესდების მიხედვით, მის დამფუძნებლად ხდებიან არა მხოლოდ თავად-აზნაურობა, არამედ ყოველი პიროვნება, რომელთაც აქვს სურვილი. ამიტომ წესდებას განხრახული აქვს პაიების გამოცემა, რომელთა განსაზღვრული ნაწილი გადადებული იქნება თავად-აზნაურობისათვის, ხოლო მეორე ნაწილი ყველა მსურველისათვის. მასთანვე პაის მეპატრონენი სარგებლობენ ჩვეულებრივი უფლებებით, როგორც აქციონერები, და სწორედ ისინი ღებულობენ 90% ბანკის მოგებიდან; მ. გრამ თავად-აზნაურ პაის მეპატრონეებიდან მასთანვე დაკავებული იქნება ერთი მესამედი მათი კუთვნილი მოკლებისა, ამისათვის, რომ შედ ესე. წ. ძირითადი თანხა, რომელსაც მიემატება სხვა წყაროებიდან შემოსავალიც. ამით თავად-აზნაურობას თითქმის ენიშნება ბანკის საქმეებში მონაწილეობის უპირატესობა. ის ნიშნავს თავის წრეებიდან ზედამხედველი კომიტეტის წევრებს, რომელიც გამუდმებით თვალყურს ადევნებს თვისი წარმომადგენლების საშუალებით ბანკის ყოველივე საქმიანობას, განაგებს კაპიტალს და სარგებლობს ბანკის დამფუძნებელის სახელწოდებით. ამგვარი სახის მონაწილეობა არ არის დამოკიდებული თავად-აზნაურთა რიცხვზე, რომელსაც პაი შეეძენათ... ცხადია, რომ თავად-აზნაურობისათვის ბანკის დამფუძნებელთა სახელწოდების შენარჩუნება, — ხოლო თვით დაწესებულებისათვის — საზოგადოებრივი ბანკის სახელწოდება, სრულებით ვერ გადაარჩენდა მას თავის ბუნებრივ განვითარებიდან. ამიტომ წესდება არდგენს, რომ ყოველწლიურად აზნაურ პაის მეპატრონეთაგან მის მოკლებიდან დაკავებულ ერთ მესამედის ნაცვლად, შეეძინათ ამის თანაბარი პაი. ამით მტკიცდება თავად-აზნაურთა მეტი მონაწილეობა ბანკში“.[1] ამ ციტატიდან ნათელი ხდება, თუ როგორ პოლიტიკას დაადგა დ. ყიფიანი ბანკის საკითხში: მას სურდა ბანკი კვლავ დაეტოვებინა თავად-აზნაურობის ხელში, ხოლო სხვა კლასები გამოეყენებინა მათი ინტერესებისათვის მათი კაპიტალის

[1] მ. მამაცაშვილის მოსაზრებანი. (სახ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი № 5232).

გამოყენების სახით. მაგრამ დ. ყიფიანის ახალ პოლიტიკას თავისი მოწინააღმდეგენი გაუჩნდენ თვით თავად-აზნაურობაში. იგივე მ. მამაცაშვილი [1] თავის მოსაზრებებში სწერს ამ ახალი პროექტის საწინააღმდეგოდ შემდეგს: „საბანკო წესდება წარმოადგენს ერთდაიმავე დროს ორგვარი ხასიათის — თავად-აზნაურულ და აქციონერულ ბანკს. თავად აზნაურულს—მით, რომ თავად-აზნაურობა, იღებს რა მონაწილეობას ბანკში გარკვეულ безвозвратным вкладом, ანიჭებს მთელ თავად-აზნაურობას განსაკუთრებული გაელენის უფლებას ბანკზე, და აქციონერულს — მით, რომ ძირითადი თანხა სდგება აქციონერებისაგან, რომელნიც მასში (ბანკში) სარგებლობენ საააქციონერო უფლებების საერთო საფუძველებით. მასთანვე ეს ორი ინტერესი, თავისი პრინციპების მიხედვით, იმდენად შეკრული არის ერთმანეთში, რომ ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. ასეთი ხელოვნური დამოკიდებულება მიღწეულია როგორც ძირითადი ფონდის შექმნის საშუალებაში და პაის მეპატრონეთა უფლებაში, ისე სხვა ნაწილებშიაც. ამიტომ ამ წესდებას არ შეუძლია დაიცვას, ერთის მხრივ, თავად-აზნაურთა ინტერესები და, მეორე მხრივ — აქციონერთა. ის (წესდება) ვერ იცავს უკანასკნელის ინტერესებს იმიტომ, რომ მათი სარგებლიანობა და მონაწილეობა ნაწილობრივ შეზღუდულია თავად-აზნაურობისათვის მინიჭებული უპირატესობით, ხოლო ვერ იცავს თავად-აზნაურთა ინტერესებს იმიტომ, რომ, როგორც დავინახეთ მისთვის მიუღებელი არის ყოველგვარი მოსაზრება მასში (ბანკში) რომელიმე კომერციული უფლების დაშვება“. [2] მსგავსივე მოსაზრებანი არის გამოთქმული ბანკის დაარსების შეს ხებ გამოყოფილ „თავად-აზნაურთა კომიტეტების“ მიერაც. ერთი დოკუმენტი ამბობს, რომ თავად-აზნაურობა, როგორც მიწათმფლობელი კლასი დაინტერესებული არის ჰქონდეს ისეთი ს. კრედიტო დაწესებულება, რომელიც მისცემს მას სესხს იაფ პროცენტებში, ამიტომ კომერციული ბანკები არამც თუ არ ეთანაბრებიან, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგებიან თავად-აზნაურთა ინტერესებს, რომელთაც სურთ იაფი კრედიტის შილება სასოფლო მეურნეობისთვის. [3]

ჩვენ ამჟამად ბანკის ისტორიას არა ვუერთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ დ. ყიფიანის შეხედულება ბანკზე და მის მნიშვნელობაზე, ამიტომ ისედენად ვუხებით ბანკის ისტორიის საქმეს, რამდენადაც ეს საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ თვით დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკა. ერთი

[1] ამ მ. მამაცაშვილს უნდა ეკუთვნოდეს 70-ან წლების დასაწყისში გამოცემული მთელი რიგი შრომებისა რუსულად ბანკის თაობაზე: M. Г. M. ფსევდონიმი, 1) „ქუთაისის და ტფილისის ბანკის თაობაზე“; 2) „ტფილისის ბანკის დანიშნულება“; 3) „Тифлисский дворянский банк, его застой и затруднения“. სამწუხაროდ, ეს ბროშურები არ აღმოჩნდა ჩვენს ბიბლიოთეკებში. როგორც მამაცაშვილის წერილით მტკიცდება, დ. ყიფიანსაც გამოეცა ბროშურა ბანკის შესახებ. ვერც ეს ბროშურა ვიპოვეთ.

[2] მამაცაშვილის დასახელებული წერილი.

[3] იხ. „Основные пункты соображений дворянской комиссии тиф. губ. о кредитных учреждениях“. (იხ. № 5232).

ედავა, რომ დი. ყიფიანის შეხედულებებმა 60-იანი წლების მიწურულში ბანკის სტრუქტურისა და წესდების შესახებ საგრძნობი ცვლილებები განიცადეს და ეს გარკვევით უსაყვედურა მას ი. ჭავჭავაძემ 1886 წ. მასთან საბანკო საკითხების პოლემიკის დროს.[1] მაგრამ ამ ცვლილებებისა დაძიების პროცესში დ. ყიფიანის პოლიტიკის მთავარი საფუძველი მაინც ურყევი რჩებოდა: მას სურდა მთელ თავად-აზნაურობის გადარჩენა ეკონომიურ განადგურებისაგან და ბანკის დაარსებას სწორეთ ამ მიზნით ელტოდა.

აღსანიშნავი არის ის ფაქტი, რომ 70-იანი წლების დასაწყისში დ. ყიფიანი აღარ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ბანკის დაარსების საქმეში. ბოლოს იგი სრულიად ჩამოცილდა საქმეს და 1875 წ. სათავადაზნაურო ბანკის დაარსებაში დ. ყიფიანს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ 70-იანი წლების დასაწყისში თავად-აზნაურთა საბანკო კომისიებში მსხვილი არისტოკრატია ღებულობდა მონაწილეობას, რომელსაც ამ რიგად ვერ იტაცებდა დ. ყიფიანის უტოპიური გეგმები. გაზ. „დროება“ ეხება ამ საკითხსა და სწერს:

„ამას გარდა პირველი (უფ. დ. ი. ყიფიანის) პროექტის საფუძველიც ათასწილად სჯობდა ეხლანდელისას, იმ პროექტის საფუძვლებში ის ჭეშმარიტება მაინც იყო, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურებს, როგორც ადგილ მამულით მცხოვრებ პირებს საადგილმამულო ბანკი და ხანგრძლივი სესხი უნდათ და არა ურთიერთი სესხის ამხანაგობები და ექვსი თვის სესხი, როგორც ახალი პროექტი გვირჩევს. უკან დაწევა არ არის ეს ბანკის საქმეო, მაშ რა არის?

უფ. დ. ი. ყიფიანის პროექტით, ისეთი პუნქტი, ისეთი ბანკი უნდა დაფუძნებულიყო, რომელიც თითქმის ყველა მცირე-მამულიან თავად-აზნაურებს გამოადგებოდა, რადგან სესხის აღება და გადახდა უფრო გაადვილებული იყო და მით შეუმსუბუქებდა იმათ გაჭირებულ მდგომარეობას. ახლანდელი კომისიის პროექტით კი, თელავის უეზდში, მაგალითად, ბანკიდგან მხოლოდ ორი თუ სამი დიდი მამულის მეპატრონეები ისარგებლებენ, დანარჩენისათვის, წვრილი მემამულეებისათვის, რომელთაც ყველაზე უფრო ეჭირვებად ფულები, ეს ბანკი სრულებით გამოუსადეგარი და მავნებელიც იქნება, ესეც ხომ ბანკის საქმის წარმატებას და უკეთესს მდგომარეობაში ყოფნას არ ამტკიცებს?“.[2]

უნდა ვსთქვათ რომ დ. ყიფიანი ბანკის დაარსების საკითხში დამარცხდა ის უტოპიური გეგმები, რომელსაც იგი უყენებდა ბანკს განსახორციელებლად, სრულებით აღემატებოდა ბანკის ფუნქციებს და მის დანიშნულებას, მაგრამ დ. ყიფიანი თავს დამარცხებულად სრულიად არ გრძნობდა

[1] იხ. „ივერია“ 1886 წ.

[2] ს. მესხი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკი“—„დროება“ № 39 — 1872 წ.

და ამიტომ 80-იან წლებში პრესის საშუალებით კვლავ წამოაყენა ბანკის საკითხი და კვლავ განჰარტა თავისი პოლიტიკა ამ საკითხში.

80-ან წლებში დ. ყიფიანს ორჯერ მოუხდა ცხარე კამათის წარმოება ი. ჭავჭავაძესთან საბანკო საკითხების გარშემო: პირველად 1683 წ., მეორედ—1886 წ. ამ კამათის მიზეზები და შინაარსი გაუგებარი დარჩება ჩვენთვის თუ არ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებას. 1875 წ. დაარსებული იქნა ტფილისის სათავადაზნაურო ბანკი, რომლის თავმჯდომარეთაც აირჩიეს ი. ჭავჭავაძე. თავის პირველსავე სიტყვაში ი. ჭავჭავაძე ამბობდა: „ბანკი თავად-აზნაურობამ დაწესა იმ განზრახვით, რომ ნისიად შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს რომ მაგ ფულის ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და ეხოლოდ ამ მოგებიდან უფრო ბევრი წილი ჩვენი ქვეყნის საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იცათ, ვინც გულალმა წვანან, გულზე ფაფუკი ხელები დაუფარებიათ, პირი დაუღიათ და ყვირინ, მასვით და მაქამეთო“.[1] ი. ჭავჭავაძემ ნათლად შეიგნო, რომ ბანკი უდიდესი ფინანსიურ-ეკონომიური დაწესებულება იყო, რომელსაც ფილანტროპიული გეგმით კი არ შეეძლო არსებობა, არამედ გარკვეული ფინანსიური პოლიტიკით, ფულის ტრიალი იყო მისი არსებობის წყარო და არა მშიერთა და ეკონომიურად დაცემულთა ზრუნვა. მართალია, თავად-აზნაურობამ თავისი ინტერესებისათვის დაიარსა ეს ბანკი, მაგრამ ისტორიულ აუცილებლობის გამო, იგი გასცილდა წოდებრივ ფარგლებსა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას უწყობდა ხელს. ნ. ჟორდანია სწერდა სათავადაზნაურო ბანკის შესახებ: „ჩვენებური სათავადაზნაურო ბანკი ორ დედააზრზეა აშენებული: ერთი მხრით, ის **არის დაწესებულება ბურჟუაზიულ-ფინანსიური**; მეორე მხრით, **თავად-აზნაურულ წოდებრივი**; პირველ შემთხვევაში ის ხატავს პრინციპს ფულის ბატონობისას, ხოლო მეორე შემთხვევაში პრინციპს წოდების განმტკიცებისას. მარა რადგანაც ეს ორი მოვლენა—ფული და წოდება—ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგებიან, ამიტომ ბანკიც იძულებულია ამ წინააღმდეგობაში იტრიალოს და მით თვის თავს ებრძოლოს. ის თავადაზნაურობამ დააფუძნა—იმიტომ, რომ ცხოვრებაში გამოვიყენებ და გავმაგრდებიო. ნამდვილად კი ბანკი მას უფროდაუფრო ასუსტებს და არღვევს: ბანკის საშუალებით დამფუძნებელთ ეყიდებათ მამული და ღატაკდებიან. აშკარაა, თავად-აზნაურობის დასუსტების ერთი იარაღთაგანი სწორედ ის დაწესებულებაა, რომელიც დაფუძნებულია მის გასაძლიერებლად. ასეთ უკუღმართ საძირკველზეა ამოყვანილი სააზნაურო ბანკი და ეს არის იმავე დროს უკუღმართობა ბურჟუაზიული“.[2] ბანკების ამ ორმაგ შენებას თავიდანვე გრძნობდა ი. ჭავჭავაძე და ამიტომ „აღებ-მიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს“ უდებდა საფუძვლად თავად-აზნაურულ ბანკს. 1876 წ. ნ. ნიკოლაძესთან საბანკო საკითხების გამო კამათის დროს ი. ჭავჭავაძე სწერდა: „ნიკოლაძე გვირჩევს ადამიანის ქონებითი უფლება და ეკონომიუ-

[1] „დროება“ № 16 1875წ. ი. ჭავჭავაძის სიტყვა.

[2] ნ. ჟორდანია: „ქართული პრესა“ გვ. 25, 1900 წ.

რი აღებმიცემობის და ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი ხელფეხშეკ-
რული იყოს და შეეიწროვებული".[1]

ასეთი საბანკო პოლიტიკა არსებითად ეწინააღმდეგებოდა დ. ყიფია-
ნის შეხედულებას ბანკის დანიშნულებაზე. იგი თავიდანვე დარწმუნებული იყო
იმაში, რომ ბანკი იხსნიდა ეკონომიურ განადგურებისაგან თავად-აზნაურობას
და შეუნარჩუნებდა მას ძველ სოციალისტურ პრივილეგიებს. სინამდვილეში
კი ბანკის დაარსებას ამის საწინააღმდეგო შედეგები მოყვა: ბანკმა ხელი
შეუწყო თავად-აზნაურობის არა გაძლიერებას, არამედ ეკონომიურ გა-
ღატაკებას. იგი უმთავრესად ფინანსიურ დაწესებულებად გადაიქცა, ვინემ
თავად-აზნაურობის დახმარე ორგანიზაციათ.ეს არ შეეძლო. დ. ყიფიანს გაე-
ზიარებია და 1883 წ. აშკარად გამოვიდა ბანკისა და მისი მართველობის
პოლიტიკის წინააღმდეგ,

1883 წ. თავად-აზნაურთა კრებამ არსებითი ყურადღება მიაქცია ტფ. სა-
თავად-აზნაურო ბანკის საქმეს და მოინდომა მის საქმიანობაში ცვლილებების
შეტანა. გაზ. „დროება" მოწინავე წერილში გადმოგვცემს: თბილისის თა-
ვად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა ამო-
ირჩია თავის შორის სამი წევრი და მათგან შეადგინა კომისია, რომელ-
საც მინდობილი აქვს შეასრულოს წრევანდელი საზოგადო კრების გადა-
წყვეტილება, ესე იგი გასინჯოს ბანკის მოქმედება რვა წლის განმავლობაში
ბანკის დაარსებიდან დღემდე და გამოარკვიოს—რა ცვლილებანია საჭი-
რო, მსესხელებს გაუადვილდეთ ბანკიდან სესხის გამოტანა და სარგებ-
ლის შეტანა; ან რა ცვლილებანი უნდა მოხდეს წესდებაში საზოგადოდ
ბანკის წარმატებისათვის.. ერთ წევრს (დავით ყიფიანს) ამ კომისიისა, კო
მისიის მინდობილობით, მიუწერია წერილი პატივცემულის დიმიტრი ივა
ნეს-ძე ყიფიანისათვის რომელშიაც უცხადებს რა ზედამხედველის კომიტე-
ტის გადაწყვეტილებას და კომისიისაგან გამოსაკვლევ საგანს, უმორჩილე-
სად სთხოვს მიიღოს მონაწილეობ ადა თავის გამოცდილებით და ცოდნით
ელი შეუწყოს კომისიის საქმეს: თან უმატებს, რომ ყოველივე თქვენი-
რჩევა, სიტყვით თუ წერილობით მოცემული, იქნება ღრმა პატივისცემით
მიღებული და ყურადღებით მოსმენილი".[2]

ამ გარემოებამ საბაბი მისცა დ. ყიფიანს აშკარად გამოეთქვა თავისი
ზრი ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის საქმიანობაზე. კომისიის საპასუხოდ
დიმ. ყიფიანი სწერს: „მე არ თანაუგრძნობ თბილისის თავად-აზნაურთა ბან-
კის ეხლანდელს მიმართულებასა, ამიტომ რომ მე მინდოდა ბანკის დაარსება
მიწის მფლობელთა და მიწის მუშაკთათვის, ეხლანდელი ბანკი კი ხელს უწ-
ყობს უფრო ქალაქის სახლების პატრონებს; მის დამფუძნებელთ კი, ე. ი.

[1] ილია ჭავჭავაძე: „ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე". — „დროება"
№ 39, 1876 წ.

[2] „დროება", № 121, 1883 წ.

თავად აზნაურობას, კრედიტი გაძნელებული აქვს, მიწის მუშაკთათვის ხომ სრულიად დაკეტილია ბანკის კარები. ამისთანა ბანკის ინიციატორად მე თავის დღეში არა ვყოფილვარ; უფრო ნაკლებ თანაუგრძნობ სამ პირთაგან შემდგარს კომისიას, რადგანაც იქ არის ნაწყვეტი იმავე ზედამხედველის კომიტეტისა, რომელიც იმის მაგიერ, რომ თხოულობდეს ბანკის ყველა საქმეების განხილვას როგორის ფორმითაც უნდა მოხდეს ეს განხილვა, რასაც შეუძლია მისი რეპუტაციის აწევა და დამკვიდრება, ყოველგვარს წინააღმდეგობას უწევდა საზოგადო ყრილობის სურვილს და ბოლოს დასთანხმდა კომისიის დანიშვნას, მხოლო იმავე ზედამხედველის კომიტეტის წევრთაგანს შემდგარს". [1]

ამრიგად დ. ყიფიანი არ იყო ტფილისის ბანკის საქმიანობით კმაყოფილი ამიტომ, რომ „იგი ხელს უწყობდა ქალაქის სახლების მეპატრონეებს"; დ. ყიფიანი მოითხოვდა ბანკის წესდებისა და პოლიტიკის გარდამქნას იმ საფუძვლებზე, რომელიც შეიმუშავა თვით თავად-აზნაურობამ 60-იან წლების მეორე ნახევარში. დ. ყიფიანი განაგრძნობს: „მე ჩემს დღეში არ მქონია ნიჭი, ვისურვო წარმატება იმ პირთა და იმ დაწესებულებისათვის, რომელთაც არ თანაუგრძნობდი. ეს იყო მიზეზი, რომ ბანკის გახსნისთანავე მე უარი ვყავი ყოველივე მონაწილეობა ზედამხედველობის კომიტეტის მოქმედებაში, თუმცა მას ჰპირდებოდა ვეგულებინე მის წევრად. ეს არის მიზეზი, რომ ეხლაც გადაჭრით უარს ვაცხადებ და მის საქმეებში არაფერს მონაწილეობას არ მივიღებ. ამ სამ პირთა კომისიისას ისე ვუყურებ, როგორც ფრაქციას იმავე ზედამხედველობის კომიტეტისას". [2] დ. ყიფიანის პასუხით უკმაყოფილო დარჩა საზოგადოების დიდი ნაწილი და გაზეთი „დროება" მოწინავე წერილში მის საპასუხოდ სწერდა: „როგორც წერილიდან სჩანს ბ. დ. ყიფიანს ძვირფასი რჩევა უნდა ჰქონდეს მოსაცემი, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ საზოგადო აზრებით იცილებს თავიდან ამ მოვალეობას საზოგადოების წინაშე. ჩვენ ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ საზოგადო აზრები წვრილ შენიშვნებად დახურდაყებულიყო და ბანკის წესდების ყოველივე მუხლი, რომელიც მავნებლად მიიჩნია ბ. ყიფიანს უწყალო კრიტიკის ქვეშ გაეტარებინა, თუ კომისია ღირსი არ არის ცნობების შეძენისა, საზოგადოებას, გვგონია არა დაეშავებინოს-რა, და იმედი გვაქვს, პატივცემული ავტორი წერილისა გულში არ ჩაიმარხავს და საზოგადოებას მაინც გაუზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილების ნაყოფს". [3] დ. ყიფიანმა არ დააყოვნა პასუხი და რედაქციისადმი მიმართულს წერილში აღნიშნა, რომ ბანკი თავად-აზნაურობამ დაარსა თავისი მდგომარეობის გასაუმ-

[1] „Кавказъ" № 141, 1883 წ., იგივე წერილი გადმობეჭდილია დროშაში, № 121, 1883 წ. ჩვენ ხელთ არის აგრეთვე დ. ყიფიანის რუსული დედანიც.

[2] „დროება", № 121, 1883 წ.

[3] „დროება", № 121, 1883 წ. მოწინავე ხელმოუწერელი წერილი. როგორც სხვა წყაროდან სჩანს წერილი ეკუთვნის ივ. მაჩაბელს.

ჯობესებლად, თავისი ინტერესებისათვის: ბანკის დაარსების აზრი დაიბადა მაშინ, როდესაც „საქართველოს თავად-აზნაურობა უკიდურეს განწირულებაში ვიყავით". მაგრამ დღევანდელმა ბანკმა ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. დ. ყიფიანი განაგრძობს: „დავინთეთ ცეცხლი რაღა? დავინთეთ, მაგრამ ხელი მოვითბოთ ხოლმეო კი არა, იმ თავითვე თითქო ისე გამოდიოდა, რომ ხელს სხვანი ითბობდნენ და ჩვენ კი უკან-უკან ვრჩებით. პატრონები! ეს რაღა ღვთის რისხვაა, ვამბობდით, სოფლის მაღაზიისა არ იყოს, ჩვენ მოვხანით, ჩვენ დავთესეთ, ჩვენ დავფარცხეთ, სხვანი კი მკიან და მირთმევენ?".[1] დ. ყიფიანი ტფილისის ბანკის მართველობის მოღვაწეობას იმ მოურავს ადარებს, რომელიც სცარცვავს მამულის მეპატრონეს, ნაცვლად მოვლისა, და დასძენს: „ჩემი კრიტიკა ახლანდელი ბანკისა და იმის გამგეობისათვის სრულიად არაფერში არ იქნება გამოსადეგი, საზოგადოებისათვის კი იქნება გამოდგეს და მოვახსენებ კიდეც, მაგრამ არა იმ საზოგადოებას, რომელიც განაგებს ახლა ბანკსა, — იმ საზოგადოებას, რომელმაც დაარსა, რომელსაც ეკუთვნის და რომელსაც, თუ სამართალი არის სადმე, უნდა განაგებდეს ეხლა. თქვენი გაზეთი (ლაპარაკია გაზ. „დროებაზე", რომელსაც მაშინ რედაქტორობდა ი. მაჩაბელი — ს. ხ.), რომ მიმაჩნდეს ამ საზოგადოების წარმომადგენლად, თქვენ მოგახსენებდით, მაგრამ არც თქვენი გაზეთი მიმაჩნია, არც გამგეობა ახლანდელი, არც იმაზედ მიჩნილი ზედამხედველი კომიტეტი და არც ამ კომიტეტის განაყოფი სამთა კომისია, — ამ საზოგადოების წარმომადგენლად. ამ საზოგადოების ჩვენებური სახელი არის თავად-აზნაურობა. საქვეყნო საქმისათვის რომ გული არ მეწოდეს, გაგიჩუმდებოდით, მაგრამ ველარ გაგიჩუმდებით და იქნება თქვენი ჭექა-ქუხილიც ავიტანო როგორმე.[2]

დ. ყიფიანის წერილი თავისი შინაარსის მიხედვით ერთობ მკაცრად არის დაწერილი, რამაც ი. მაჩაბლის მხრივ რეპლიკაც გამოიწვია რედაქციის შენიშვნის სახით. მაგრამ ამ წერილების მთავარი აზრი ორ რამეში გამოიხატება: 1) ტფილისის სათავადაზნაურო ბანკი არ გამოხატავს თავისი წესდებითა და საქმიანობით თავად-აზნაურობის წოდების ინტერესებს; წინააღმდეგ, ეს ბანკი ხელს უწყობს თავად-აზნაურობის დაცემასა და განადგურებას. 2) ბანკის ახლანდელი მართველობა „არ არის თავად-აზნაურობის წარმომადგენელი", მისი ინტერესების დამცველი იმ გეგმებით, როგორიც ამ წოდებამ შეიმუშავა თავიდანვე. ამრიგად, დ. ყიფიანი მოითხოვს ბანკის სტრუქტურისა და საქმიანობის შეცვლას, და მისი გამგეობის გადარჩევას. უფრო კონკრეტულ და დეტალურ პროექტს იგი 1883 წ. არ აყენებდა; კონკრეტული ზომები 1886 წ. პოლემიკის დროს წამოაყენა დ. ყიფიანმა.

როგორც დავინახეთ დ. ყიფიანის წერილებს პირველად პასუხი გასცა „დროების" რედაქტორმა ი. მაჩაბელმა. უფრო დაწვრილებით მისი წე-

[1] „დროება", № 124, 1883 წ. დ. ყიფიანის წერილი.

რილები განიხილა ი. ჭავჭავაძემ „იერიაში". ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „ბანკის წესები უპირატესობას სოფლის მემამულეებს აძლევს ბევრს შემთხვევაში... თუ რომ უპირატესობა შესაძლოა ყოველივე სოფლის მამულს აქვს მინიჭებული, თუ ყოველივე მაინც არა, ზოგიერთი ხომ მაინც, და ქალაქისას კი არაფითარი, მაშ რა საბუთი ჰქონდა ბ-ნ ყიფიანს, რომ ასეთი მიზეზი მოეპოვა თავის თანაუგრძნობლობას ბანკის მიმართ?". შემდეგ ი. ჭავჭავაძე მუხლობრივ არღვევს დ. ყიფიანის მოსაზრებას და დაასკვნის: „ამას კი ვიტყვით, რომ ასე გზა-კვლის არევა, აგრე სიტყვის ბანზედ აგდება საზოგადო საქმეში, ეგრეთი პასუხი გადაჭრით დაყენებულს კითხვაზედ—ვერავითარი ჭაშნიკია, ამისთანა საქმეში ზღაპრები ვერავითარი საბუთია და ვერავითარი მაგალითი გულის წვისა და სხვა ამისთანა გულკეთილობა." ილია აღნიშნავს, რომ „თვით ეხლანდელი გამგეობა ბევრს რასმე ნაკლსა სდებს იმ სისტემას კრედიტისას, რომელიც უპაღლესის მთავრობისაგან დადგენილია".[1] ამრიგად, როგორც მკითხველი ხედავს, ი. ჭავჭავაძეც და დ. ყიფიანიც ერთ და იგივე შეხედულებიდან გამოდიან: ბანკი უნდა ემსახურებოდეს თავად-აზნაურობას, მაგრამ განსხვავება მით საბანკო პოლიტიკის ზორის მაინც დიდი არის. ეს განსხვავება არ სჩანდა 1883 წლის პოლემიკის დროს: აქ უფრო მართლად არის ლაპარაკი, ჯერ კიდევ კონკრეტული ზომები საბანკო პოლიტიკის გაუმჯობესების შესახებ არ არის დაყენებული. 1883 წლის პოლიტიკა საბანკო საკითხების გარშემო ილ. ჭავჭავაძეს და დ. ყიფიანის შორის ერთგვარი შესავალი იყო იმ დიდი პოლემიკისა, რომელიც დაიწყო ამ ორი პიროვნების შორის იმავე საკითხების გარშემო 1886 წ. გაეცნოთ ამ პოლემიკის შინაარსაც.

როგორც აღვნიშნეთ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თვით თავად-აზნაურთა წრეებში. ბანკის დაარსებას სასოებით მოელოდა ქართველი თავად-აზნაურობა, ეს წოდება ბანკში ხედავდა უდიდეს მხსნელ ძალას. მაგრამ ბანკმა მათი იმედები ვერ გაამართლა და გამოიწვია მათი ეკონომიური დაცემა. თვით ილ. ჭავჭავაძეც აღნიშნავდა თავის გაზეთში იმ უკმაყოფილებას, რომელიც არსებობდა მაშინ თავად აზნაურობაში. 1886 წ. ი. ჭავჭავაძე სწერდა: „ჩვენს საზოგადოებაში ბევრი მითქმა მოთქმაა ბანკის შესახებ, ჯერო და შეუწყნარებელი... მითქმა-მოთქმათა შორის ჩვენ ყურადღება მივ-ქციეთ ორს იმისთანას, რომელთაც უფრო გატაცება შეუძლიანთ კაცისა. ერთი იგი, რომ ბანკები არ ყოფილიყვნენ, ვალსაც არ აიღებდით და მაშასადამე მამულების დაკარგვის განსაცდელში არ ჩავარდებოდით. და მეორე იგი, რომ ბანკებმა დაგირავებული მამულები არ უნდა ჰყიდოსო და ისე ამოქმედოს საადგილმამულო კრედიტიო". ი. ჭავჭავაძის მეთაურ წერილების ასეთმა მოსაზრებებმა, გამოიწვია ცხარე კამათი "იერია"-ს ფურცლებზედვე: ერთი მხრივ,

[1] „იერია" № 5—6, 1883 წ. „შინაური მიმოხილვა" (ი. ჭავჭავაძის თხზულებანი. ტ. VI, გვ. 353—65).

აკაკი წერეთელი,[1] და მეორე მხრივ, დიმ. ყიფიანი გამოვიდნენ ტფილისის საბანკო პოლიტიკის წინააღმდეგ და აღნიშნეს მისი უარყოფითი მხარეები და წამოაყენეს გარკვეული გეგმები. მაგრამ სანამ 1886 წ. პოლემიკაში ჩაერეოდა დ. ყიფიანი, მეორედ 1884 წ. გაილაშქრა ბანკის წინააღმდეგ და დაიწყო მისი სამოღვაწეო პროგრამა, ამ წელს დ. ყიფიანი თავის წერილობით მოხსენებაში გორის თავად-აზნაურობისადმი წარდგენილში, ამბობდა: „ბანკის დამფუძნებლებმა უნდა იფიქრონ თავის უანკარიშო მოვალის (ე. ი. თავად-აზნაურობის—ს. ხ.) შვილებზე და დააწესონ თუმცა ახალი, მაგრამ სრულიად შესაძლებელი საქმე—მამულების გაუყიდველობა. მამული შეუძლებელ მოვალეს აიღოს მოსავლელად ბანკმა ერთის, ორის ან სამის წლით, ან კიდევ იმ დრომდე, სანამ ვალი სავსებით არ იქნება გარდახდილი, და როდესაც ეს მოხდება, დაუბრუნდეს მსესხებელს ან მის მემკვიდრეებს ვალებიდან განთავისუფლებული მამული“. როგორც თავის დროზედ ავღნიშნეთ, დ. ყიფიანის მთავარი მიზანი იყო გადაერჩინა თავად-აზნაურობა ეკონომიურ განადგურებისაგან და სწორედ ბანკის საშუალებით ფიქრობდა ადგილმამულის შენარჩუნებას ამ წოდებისათვის. მაგრამ როდესაც ბანკმა ეს იმედები ვერ გაამართლა, იგი ამხედრდა არა ბანკების წინააღმდეგ, არამედ ტფილისის ბანკების მეთაურებისა და მათი საშინაო პოლიტიკის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძის საპასუხოდ დაწერილ პირველ წერილში იგი კვლავ იმეორებს თავის დებულებებს, რომ ბანკი თავადაზნაურობამ თავისთვის დააარსა, და სწერს: „ბანკი ჩვენი დაწესებულია, ჩვენის ხელით და ჩვენის ფულით არის აშენებული. მართალია თუ არა? ნუ თუ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ კაცთა ამხანაგობა, მიელი თავადაზნაურობა, ეს ხალხში უმაღლესად წოდებული თავად აზნაურობა აშენებდეს რასმეს და არ იცოდეს კი რას აშენებს? რა სათქმელია ღვთის გულისათვის? ახალი განსაცდელი გვედგა მაშინ (1864—5 წლეებში) კრიჭაში, შესაძლებელი იყო ჩვენი ცხოვრების ღონისძიება სულ მოუწყობლივ გამქრალიყო და ყველამ ერთხმად საჭიროდ დავინახეთ, რომ ერთმანეთისაკის ხელი მიგვეცა და ერთმანეთისათვის მეზობლურად გაგვეძლიერებინა, ჯიბიდან ამოვიღეთ ყველამ, უკიდურესად გაქსაქსებული ჯიბიდან, რაღაც საცოდავი ხუთ-ხუთი მანეთი და ასე ფულს საკმაოდ ბევრს მოუყარეთ თავი; ასე დავადგინეთ, ასე ავაშენეთ ბანკი, რომელიც ორმოცის თუ სამოცი ათასის თუმნის ტრიალით ყველას მოავიხერხებდა გაჭირვებაში ხელის გამართვას. ასე ვიმედოვნებდით იმ საშინელის განსაცდელის აცილებას, რასაც მაშინ უშიშარნი ჩვენ სწორედ შეუშინდით. ახლა ჩვენი საკუთრება არის ეს შენობა, ეს ბანკი, თუ არ? ამის მომვლელად, გამგებლად, მეურნედ ჩვენ დაგაყენეთ თქვენ საჭნი, თუ სხვამ ვინმემ? თქვენ სამნი იმ მიზეზით, რომ ასობით და ათასობით მოურავი სად ვარგებულა, რომ აქ ევარგნა! თქვენ კი, ჩვენო

[1] იხ. „ივერია“ № 108 1886 წ.

მეურნეობა და ჩვენგან დაყენებულებო, სწორედ ისე გვეკიდებით პატრონებს, როგორც შესაფერისი იქნება და ეხლოდ შორეულთათვის, ამერიკელთათვის, მაგალითად. რომ ჩვენს ქვეყნაში ნოსულიყვნენ, თავისი ფული მოეტანათ, ბანკი გაეხსნათ და გამოეცხადებინათ: გაიტანეთ ვისაც რამდენი გნებავთ თქვენის მამულის დაწინდრებითო. ჩვენც გავიტანეთ და გაგვაქვს. ამას კი ვერ ავიტანენ დავაკვირდით, რომ ეს ამერიკელები უზომო სარგებელს გვახდეინებენ და ეღარაფრის გაკითხვა ეღარ შეედიან, თუ შესატანი ვადას გადაციღეთ როგორმე, ან დავაკელით რამე. ჩვენ ხომ ვერ ვიფიქრებთ, თქვენ უნდა გეფიქრათ. ჩვენს მინისტრებს, რომ ათისა და თორმეტის ასისთავის გადახდა, ეს იგი 10 და 12-ისა, სასოფლო მამულისაგან ყოველად შეუძლებელი არის. ჩვენ რომ ვერ ვიფიქრეთ, თქვენ ეხდა გაფიქრათ, რომ მე თუ მოულოდნელი უპედურება მეწია რამე, ცეცხლმა გამახადგურა, სეტყვამ ვენახი თუ ყანა ძირს დაჭრა. ჩემს ოჯახს სიკეთილმა გამოუარა, ამ გვარს შემთხვევაში ხელის მოსაბრუნებელი ღონის ძიება უნდა მქონდეს რამე. ამერიკელების სახარბიელი ჩვენი ცხოვრება კი ეს არის, ფულია იმათი. თქვენ ხომ ამერიკელები არა ხართ და ფულიც ხომ სულ თქვენი არ არის". [1]

ამ ვრცელ ციტატაში მოცემული არის დ. ყიფიანის საბანკო პოლიტიკის სრული შინაარსი. დიმ. ყიფიანი აქ იმეორებს იმავე მოსაზრებას, რომელიც მას ერთხელ გამოუთქვამს, რომ თავად-აზნაურობამ ბანკის დაარსება „ახალი განსაცდელის" დროს განიზრახა და ნით ფიქრობდა „გაჭირვებაში ხელის გამართვას". მეორე მხრივ დ. ყიფიანი კატეგორიულად მოითხოვდა თავად-აზნაურობის სახელით, რომ ბანკს დაეცვა ეს წოდება ეკონომიურად და გამხდარიყო მათი აღორძინების ფაქტორად. თავისი მოსაზრებანი ბანკის ლონისძიებებზე დ. ყიფიანმა თავის მეორე საპასუხო წერილში შემდეგ ნაირად ჩამოაყალიბა: „ჩემი აზრის დასკვნა არავისათვის არ არის დასამალავი: 1) სესხის სარგებელი ჩვენ, ფულის პატრონებს, ეროვნებოდეს იმ ზომით, რა ზომითაც სახელმწიფო ბანკი სთხოვს აზნაურობას სახაზინო ფულზედ; 2) ჩვენ, ფულის პატრონებს, ზოგიერთს შემთხვევაში ისეთი შეღავათი ეკეთებოდეს, როგორსაც ის ბანკი აძლევს თავის მოვალეებს, ფულის არა პატრონებს და 3) ჩვენი ვადა-გადაციღებული მა ულები ჯერ თქვენს გამგებლობაში მიიღეთ (ამისათვის გამოსადეგი კაცი ჯერ ხვთით ბევრია ჩვენში) და თუ ვალის აწმენდა უიმედოდ ეღმოჩნდა, --ამას ხომ დროით დაინახავთ, ნაშრომ აიღეთ და გაყიდეთ. ამ საქმეს მეხლეზედ არის ჩვენი გაცხარებული კანაობა, და როგორც უნდა იყოს გაცხარებული, მე ამ საქმეს მეხლიდან ვერ გამომიყვანს". [2] რომ დ. ყიფიანის დებულებანი სრულად გაიცნოს მკითხველმა, აქვე მოვიყვან მის ვრცელ გაქმარტებას ძესამე მეხლის შესახებ, რომელიც შეეხება ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხს — ნაბეჭდის გაუყიდველობას.

[1] იხ. დ. ყიფიანის წერილი „ივერია", № 109, 1886 წ.

[2] დ. ყიფიანის წერილი გაზ. „ივერია", № 136, 1886 წ.

დ. ყიფიანი სწერს: „სრულიად გეთანხმებით, რომ ახლა ყოველად უსაფუძვლო იქნება და ყოველად შეუძლებელი არის ისეთი წესის დადგინება, რომ დაწინდრებული მამულის გაყიდვა არ მოხდებოდეს. (1884 წელსაც კი დ. ყიფიანი მამულის გაუყიდველობის მომხრე იყო.—ს. ხ.). მაგრამ დასაგირავებლად რომ ჩემი მამული ნახევარ ფასად არის დაფასებული და შემოსავლის ნახევარზედ, რომ არის წლიური შესატანის ფულის ანგარიში დამყარებული, რომელი გონიერება და სადაური ლოღიკა გადაგვიშლის, რომ ეს ვადა-გადაცილებული მამული სრულის თვის შემოსავლით მთლად მიიღოს ანკმა თავის დროებითს განკარგულებაში და როდესაც დაინახავს, რომ სრული შემოსავალი ვერ დაფარავს ვალსა და ვერ შეამოკლებს ვადას, მაშინ გაჰყიდოს? ამ ზომაში ან რა იქნება ახალი რომ სხვაგან არსად ყოფილიყოს; ან რა იქნება საწინააღმდეგო ბანკის ინტერესისა... ადმინისტრაციამ სრული შემოსავლის 60 ან 70% ბანკს აძლიოს ვალის გასტუმრებამდის და დანარჩენი ზოკი თავისს მოსაქმეობას მიართვას, ზოგი პატრონს გაუზიაროს, რომ მამულმა არ მოეღოს ბოლო. თუ ამ რიგად ვალის გასტუმრება მოხერხდა, მამული პატრონსავე დაუბრუნეთ, ან მისს მემკვიდრეებს; ამათ მაინც რას ვეპართლებით, და თუ არ მოხერხდა, მაშინ გაყიდეთ, ვინ-ღა რას იტყვის. ერთი გულითადი ვედრება კიდევ: ძმები ხართ ჩვენი და ძმობა გაგვიწიოთ ის ემჯობინება თქვენთვისაც; ჩვენთვის ხომ რაღა თქმა უნდა“.[1] ასეთი იყო დიმ. ყიფიანის მოსაზრებანი ტუ. ბანკის გაუჯობესების შესახებ და მას ვრცელი პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძემ მთელ რიგ წერილებში,[2] რომელშიაც არ შეიწყნარა არც ერთი დებულება დ. ყიფიანისა. ამ შეტაკების დროს საბანკო საკითხში ი. ჭავჭავაძე უფრო რეალურ ნიადაგზედ იდგა ვინემ დ. ყიფიანი. ამ შემოხვევაში იგი პრაქტიკული საზომით უდგებოდა საკითხსა და საბანკო პოლიტიკას გარკვეულ ფინანსიურ დებულებებზე აშენებდა. დიმ. ყიფიანის პროექტი უტოპიური და განუხორციელებელი იყო, ბანკის არსებობა ასეთი პოლიტიკით შეუძლებელი იყო. იმ ბრალდების შესახებ, რომ ბანკმა ხელი შეუწყო თავად-აზნაურობის გალატაკებასა და მიწების მათ ხელიდან გამოცლას, ი. ჭავჭავაძე მკაცრად უპასუხებდა: „ვერაფერი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო ეკონომიისას. მამული და ერთობ ყოველი ქონება უბეერო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ; მკონარეს ეთხოვება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიიზიდება დაუყონებლივ და დაბეჯითებით. ამას არაფერი ღონე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამავე. გაისარჯე

[1] დ. ყიფიანის წერილი გაზ. „ივერია“, № 109, 1886 წ.

[2] იხ. „ივერია“ № 111, 112, 113, 114, 115, 121, 136. 144, 145, 146, 147, 150, 151, 152, 154, — 1886 წ. მეთაური წერილები. დ. ყიფიანის წერილები დაბეჭდილია: „ივერია“ № 109, 116, და 136, 1886 წ.

და ეს აღარ იქნება"[1]. ამრიგად ი. ჭავჭავაძის აზრით ბანკი ვერ იხსნის ამათ განადგურებისაგან, ვინც უხეიროთ ატარებს თავის ცხოვრებასა და ბანკიდან გატანილ ფულს არ ახმარს მამულის გაუმჯობესების საქმეს. „ბანკი არაფერს შეაშია, თუ ვინმე ფულს გაიტანს იმისათვის, რომ წყალში გადაჭყაროს, ან ტყუილუბრალოდ, უხეიროდ გაჰფლანგოს" — სწერს ი. ჭავჭავაძე. „მამულის გაუსყიდველობის" შესახებ ჭ ავჭავაძე ამბობს, რომ მას ჩვენ „ყოველთვის უარვყოფდით, როგორც შეუძლებელს საქმეს.... ნუ თუ ამდენის მაგალითები შემდეგაც ცხადი არ არის, რომ „მამულის გაუსყიდველობა" სანატრელია, მაგრამ ზღაპარია... თუ ზღაპარი არ არის, რატომ ერთი გარკვეული, დაპეჯითებული, ყოველმხრივ განმარტებული პროექტი არ წარმოადგინეს ამის მომგონებელთა... ეგ საქმე მოუთავსებელია, შეუწყნარებელია, შეუძლებელია".[2]

ასეთი არის ამ პოლემიკის შინაარსი, რომელიც 1836 წ. სწარმოებდა დ. ყიფიანისა და ი. ჭავჭავაძის შორის. ჩვენთვის უდავოა, რომ ერთიც და მეორეც თავად-აზნაურული წოდებრივი თვალსაზრისის გამომხატველი იყო, მაგრამ დ. ყიფიანის და ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისები არსებითად განსხვავდება ერთი-მეორესაგან. პირველი წვრილი თავად-აზნაურული იდეოლოგიის გამომხატველი იყო, რომლის მთავარ მისწრაფებას შეადგენდა გალატაკებული წოდების ფეხზე დაყენება და მისი ინტერესების დაცვა. მეორე—მსხვილი აგრარული კაპიტალიზმის იდეოლოგი, რომლის მთავარი პროგრამა სოფლის რაციონალურ საფუძველებზე მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული. დ. ყიფიანს ბანკი სურდა იმისათვის, რომ გალატაკებულ თავად-აზნაურობისათვის იაფი კრედიტი მიეშოდებია და „გაჭირვების დროს ხელი მოემართა", — მისი აზრით, იაფი კრედიტი, მოკლე ვადიანი სესხი და „მამულის გაუყიდველობა" აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენდა გალატაკების გზაზე შემდგარ თავად-აზნაურისათვის; ამრიგად ბანკს უნდა დაეკმაყოფილებია თავად-აზნაურობის ყოველდღიური მოთხოვნილებანი, მის კრედიტს ხელმხმარებლო ხასიათი უფრო უნდა ჰქონოდა, ვინემ საწარმოო დანიშნულება. საწინააღმდეგო თვალსაზრისიდან გამოდიოდა ი. ჭავჭავაძე. მისი მთავარი მიზანი იყო სოფლის ეკონომიური ცხოვრების აღორძინება და მისი რაციონალურ საფუძველებზე მოწყობა; ხოლო ამ აღორძინების მეთაური თავად-აზნაურობა უნდა გადაქცეულიყო. ამრიგად ი. ჭავჭავაძეს სამანკო კრედიტი სურდა „წარმოების გასაძლიერებლად", ეკონომიური ცხოვრების მოსაწესრიგებლად. 1883 წ. ერთ თავის წერილში იგი სწერდა: „კრედიტი ორპირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარს, იგი ვალის დამლუბველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად ერთი

[1] „ივერია", № 121, 1886 წ. მეთაური წერილი.
[2] „ივერია", № 154, 1886 წ. მეთაური წერილი.

ამისთანა ეკონომიური ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიძლიერისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება... ჩვენი ქვეყანა მიწად-მომქმედი ქვეყანაა და ერიად ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა... ეს არის ერთად ერთი წარმოება, რომლის გაძლიერებისათვის ჯვინდა შემწეობა კრედიტისა და რომელიც თითქმის ერთად-ერთი წყაროა ჩვენის სიმდიდრისა".[1] ასეთი იყო ი. ჭავჭავაძის საშინაო პოლიტიკის საფუძველი მაშინ როდესაც დიმ. ყიფიანის თვალსაზრისი უტოპიურს საფუძვლებზედ იყო აგებული და ბანკს ისეთს ნოვალეობასა და ფუნქციებს აკისრებდა, რომელიც ბანკის მოვალეობას ალერატებოდა და განუხორციელებელი იყო მაშინდელს პირობებში. ილ. ჭავჭავაძის თვალსაზრისი რეალურ სინამდვილიდან გამოდიოდა, იგი ნათლად გრძნობდა, რომ საავჭრო ურთიერთობის ხანაში ბანკი ვერ ასცდება „სოციალიტიკო ეკონომიის" ძირეულ კანონებს და იგიც კონკურენციასა და ფულის ტრიალს უნდა დამორჩილებოდა, ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ბანკი ბურჟუაზიულ ფინანსიური დაწესებულება არის და ამიტომ ამ პრინციპებიდან გადახვევა ბანკს არ შეეძლო არაა შემთხვევაში. მეორე მხრივ მან კარგად იცოდა, რომ ბანკი თავადაზნაურობამ დააარსა და არც ამ წოდებისათვის უნდა ეღალატა; აქედან წარმოსდგა ილია ჭავჭავაძის საბანკო პოლიტიკური საჯუძველიც: ბურჟუაზიულ ფინანსიური პრინციპების შეღლება თავადაზნაურულ წოდებრივ თვალსაზრისთან. ეს იყო ლიბერალურ თავადაზნაურული თვალსაზრისი, რომელსაც სურდა ბურჟუაზიული დაწესებულება თავადაზნაურობის ინტერესებისათვის გამოყენებია. ი. ჭავჭავაძე აგრარული კაპიტალიზმის იდეოლოგი იყო ჩვენში და მისი საბანკო პოლიტიკაც ამ ნიადაგზე იყო აგებული. დ. ყიფიანის თვალსაზრისიდან განდევნილი იყო საკითხისადმი ასეთი მიდგომა: მასაც დიდათ სურდა ბანკი თავადაზნაურობის ინტერესებისათვის გამოეყენებია, მაგრამ მისთვის გაუჯებარი აღმოჩნდა ტფილისის ბანკის ბურჟუაზიულ-ფინანსიური მხარე და ამიტომ იგი ისეთს მოვალეობას აკისრებდა ბანკს, რომლის აღსრულება მას არაა შემთხვევაში არ შეეძლო კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარების პერიოდში.

ამ კამათში ნათლად და მკაფიოდ გამოჩნდა დ. ყიფიანის, როგორც წერილი თავადაზნაურობის ფენების იდეოლოგის მისწრაფება: მთლად მისი საბანკო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ დაეხსნა ეს წოდება ეკონომიურ განადგურებისაგან და მიეცა მისთვის საარსებო წყარო. ეს იყო იდეოლოგია და საბანკო პროგრამა იმ ფენისა, რომელიც ყველაზე უფრო გრძნობდა კაპიტალის შემოტევას და ეკონომიურ სიღარიბეს. ის რომანტიული ეკონომიური პროგრამა, რომელსაც იკავდა დ. ყიფიანი, მიზნად ისახავდა იაფი კრედიტისაგან და მამულის გაუყიდველობის საშუალებით ამ

[1] იხ. „შინაური მიმოხილვა" „ივერია" № 1. გვ. 1873 წ. 137 — 33.

წოდების ეკონომიურ სიეიწროეიდან გამოყეანას, მაგრამ ისტორიისაგან განწირული წოდების დახსნა დ. ყიფიანს არ შეეძლო.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კამათმა დ. ყიფიანის და ი. ჭავჭავაძის შორის მეტად მტკივანე და ცხარე ხასიათი მიიღო, ი. ჭ-ვჭავაძე მაინც აღნიშნავდა დ. ყ-ფიანის დიდ როლს ბანკის დაარსების საქმეში. თავის უკანასკნელ წერილში ი. ჭავჭავაძე სწერდა: „დასასრულ უსაჭართლობა, უმ. დურობა იქნება ჩვენ მიერ, რომ არა ვთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-მა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველი მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებია და დიდი ღვაწლი, დიდი ენერგობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყოლია ტფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობა, რომ ფული შეეწირათ ბანკის დასაარსებლად. მან მარტომ იდვა ეს კისრად და მარტომ შეასრულა თავისის სახელის სასიქადულოდ. იგი მაშინ იყო გუბერნიის მარშლად და უნდა ვაღიაროთ, რომ რა ჩვენის ფიქრით, არც ერთს მარშალს არც მანამდე, არც მერმედ ასეთი დიდი ღვაწლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაუწევია ჩვენი ქვეყანისათვის, რაც უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბოროტსა ჰხედავენ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენი ქვეყნისთვის და ამ დიდი საქმის დამწყობი, მეთაური და შესაძლოდ მქნელი ბ-ნი დიმიტრი ყიფიანიანი სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქნება მის სახელთან“.[1]

[1] „ივერია“, № 154, 1886 წ. მეთაური წერილი.

## თავი მეშვიდე

# დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული მოღვაწეობა

დ. ყიფიანის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მარტო სახელმწიფო და საზოგადო სამსახურით; იგი მონაწილეობას ღებულობდა ჩვენს მაშინდელ პრესაში როგორც ლიტერატორი. უნდა ვსთქვათ, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას იგი ვერ ანდომებდა შესაფერის დროს: საზოგადო და სახელმწიფო სამსახური დიდ ენერგიას მოითხოვდა მისგან, ასე რომ ლიტერატურული შრომისათვის მას ალარ რჩებოდა საკმაო დრო. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თავის ძირითად პროფესიად მას საზოგადო და სახელმწიფო სამსახური მიაჩნდა, ხოლო ლიტერატურული საქმიანობა ერთგვარ დამატებად. მიუხედავად ამისა უნდა ალვნიშნოდ, რომ ლიტერატურის სფეროშიაც მან საკმაო ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება გამოიჩინა და თავის დროზე საგრძნობი კვალი დააჩნია ჩვენი ლიტერატურულ-ესტეტიური ცხოვრების განვითარების საქმეს. ჯერ კიდევ 1875 წ. ნ. ნიკოლაძე მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ სწერდა: „ამდენი სხვა და სხვა გვარი მოღვაწეობა ხელს არ უშლიდა დ. ი. ყიფიანს მიეღო მონაწილეობა ადგილობრივ ლიტერატურის განვითარებაში. მან გაამშვენიერა ქართული ლიტერატურა უცხოეთის მწერლების ნაწერების საუცხოვო თარგმნებით. ძისი თარგმანი შექსპირისა (მაგ. „როპეო და ჟულიეტა“ „შეილოხი“) მოლიერისა, ფელიესა, მიტჩელისა და სხვათა საუცხოვო თარგმანთა წყებას ეკუთვნის. გარდა ამისა სხვა და სხვა ფსევდონიმებით, მას მოთავსებული აქვს ქართულ ჟურნალებსა და გაზეთებში მრავალი ნიჭიერად დაწერილი წერილი, რომელიც თავის დროზე საერთო ყურადღებას იპყრობდა“.[1]

დიმ. ყიფიანის ლიტერატურული საქმიანობა სამ უმთავრეს დარგში გამოიხატა: ერთი მხრივ, იგი სიტყვა-კაზმული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს პირდაპირ სთარგმნიდა ინგლისურიდან და ფრანგულიდან და ამ სფეროდან თვითონაც თავის საკუთარ ნაწარმოებებსაც აქვეყნებდა; მეორე მხრივ, დ. ყიფიანი სწერდა ისტორიული ხასიათის ნარკვევებს, მეცნიერული ხასიათის წერილებსა და შრომებს, მესამე მხრივ, — იგი მონაწილეობას ღებულობდა ქართულ და რუსულ პრესაში როგორც პუბლიცისტი და აშუქებდა სხვადასხვაგვარ საპირბოროტო საკითხებს.

---

[1] „Наши современники“, გაზ. „Тиф. Вестник“, № 132, 1875 წ.

დ. ყიფიანი უცხოეთიდან მხატრული ლიტერატურული ნაწერების ქართულად თარგმანს უკვე 30-იან წლებიდან შეუდგა; 1831 წელს მან სთარგმნა ქართულად ვინმე გაბაზოვის ვოდევილი: „Грузины 19-го века“ [1] 1841 წ. დ. ყიფიანს შექსპირის დრამების თარგმნისათვისაც მოუკიდია ხელი. ნ. ბარათაშვილი თავის კერძო წერილში (1841 წ.) გრ. ორბელიანისადმი სწერს ყიფიანის შესახებ: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა. ყიფიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джульетта“ შექსპირის ტრაგედია და მე ვთარგმნე „Юлий Тарепский“ ტრაგედია ლეი ვიციისა“. [2] უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ლიტერატურული ცხოვრების იმ აღორძინებაში, რომელიც დაიწყო 30-იან წლების მეორე ნახევარში ჩვენში, დ. ყიფიანმაც მიიღო მონაწილეობა; 1830 — 32 წლების შეთქმულების აღმოჩენამ ჩვენში დაწყებულ ლიტერატურულ-კულტურულ მუშაობას დროებით საუკეთესო ინტელექტუალური ძალები გამოაცალა ხელიდან. როგორც უკვე ვიცით, ამ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში იქნენ გადასახლებულნი მაშინდელი ჩვენი იხტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და ლიტერატორები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, გ. ერისთავი, ვ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, თვით დიმ. ყიფიანი და სხვები. დიმ. ყიფიანი ვოლოგდის ტყვეობიდან დაბრუნდა სამშობლოში 1837 წ. სწორედ ამ ხანებში დაიწყო ჩვენი ლიტერატურის ახალი გამოცოცხლება; ჩვენი ინტელექტუალური ძალების ხელახალი თავის მოყრა 1832 წლის დარბევის შემდეგ და ახალი ცდა კულტურული ცხოვრების გაჩაღებისა. ეს ახალი ცდა ვერ შეეფერებოდა თავის სივრცითა და სიღრმითა იმ დიდ მუშაობას, რომელიც 1832 წლის წინა პერიოდში წარმოებდა ჩვენში ხოლ. დოდაშვილის მეთაურობით, რომელსაც მან გაზ. „ტფილისის უწყების“ გამოცემითა და მისი სალიტერატურო დამატებას — ამავე სახელწოდების ჟურნალის წამოწყებით დიდ კულტურულ საქმეს ჩაუყარა საფუძვლები. მეორე აღორძინების ხანა მით იყო შესანიშნავი, რომ მის მეთაურად და სულის ჩამდგმელად ნ. ბარათაშვილი გამოდიოდა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ღრმად იყო დაინტერესებული ქართული ლიტერატურისა და ქართული კულტურის გამოცოცხლებისა და აღორძინების საქმით; ყოველი ახალი მოვლენა ქართული ლიტერატურის დარგში ენერგიით და ნეტარებით ავსებდა მის გულს. მაგრამ ლიტერატურული შრომისათვის იმ ხანებში სარბიელი მაინც შემოზღუდული იყო. ნ. ბარათაშვილის მეგობარი ცნობილი ლიტერატორი კონსტანტინე მამაცაშვილი თავის მოგონებაში ნ. ბარათაშვილის შესახებ ამბობდა: „იმ დროს ტფილისში არაფერი საზოგადო

[1] ამის შესახებ თვით დ. ყიფიანიც ამბობს თავის პირველ ჩვენებაში 1832 წ. დაპატიმრების შემდეგ (იხ. ჩემი რედაქციით გამოცემული მისი მეხუთარები, გვ. 137, ან ცენტრარქივში, ლენ. ფონდი, რვეული 1, გვ. 60).

[2] ნ. ბარათაშვილი: „ლექსები და წერილები“ გვ. 94, 1922 წ.

გასართობი ადგილი არ გვქონდა: არც თეატრები, არც კონცერტები, არც კლუბები, — ჩვენი დროს გატარება იყო ან ერთად სადილი ან ერთად საღამოზედ ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან თ. ლ. ი. მელიქიშვილთან, ხ ნ სადილად გარეუბნის ბაღებში. ჩვენი დროს გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზედ, სწავლაზედ, სხვა და სხვა ჩვენს გარემოებაზედ... ქართული დარბაისლური, მეტყველი ხუმრობა, შექცევა, სიმღერა; ვისაც უნდოდა ქაღალდს თამაშობდა, ნარდს, ჭადრაკს... შემდეგ სეირნობა მთვარიან ღამეს ქუჩებში და ზოგჯერ ბაღშიაც.[1] მიუხედავად ასეთი ვიწრო და შემოზღუდული სახოგადოებრივი პირობებისა, ჩვენი ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება მაინც დაიწყო. 1841 წ. ნ. ბარათაშვილი იმავე გრ. ორბელიანს სწერდა: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და ღამე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიდგან, მკუდროებაში და მარტოებაში, შეეწევიან მაშულის ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცს შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“.[2]

აი, ქართული ლიტერატურის ამ ახალი აღორძინების დასაწყისში დიმ. ყიფიანმა ერთგვარი როლი ითამაშა, პირველი მით, რომ ხელი მოკიდა უცხო ლიტერატურის თარგმნას ქართულად და მეორე, მისი ინიციატივით დაარსდა პირველი საამხანაგო ბიბლიოთეკა ტფილისში. ბიბლიოთეკის დაარსება საკმაო წონის კულტურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს გასული საუკუნის 40-იანი წლების პერიოდში. მანამდე ტფილისში არ არსებულა საჯარო ბიბლიოთეკა. ამ პირველი საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსება და ხელმძღვანელობა იკისრა დიმ. ყიფიანმა, ხოლო მას დახმარებას უწევდენ მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და მათ შორის ნ. ბარათაშვილი, ვ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, მ. თუმანიშვილი და სხვები. ამის შესახებ თვით დ. ყიფიანი მოგვითხრობს თავის „მემუარებში“.[3] 1848 წ. ერთ თავის წერილში დ. ყიფიანი ამ საამხანაგო ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ სწერდა: „1840 წლიდან მე ვაწარმოებდი კერძო ბიბლიოთეკის შედგენას იმ მიზნით, რომ შემდეგ მისგან დამეარსებია საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა. 1846 წლიდან, ერთი მხრივ, ჩემი საგანსახურის მოვალეობის გამო და, მეორე მხრივ, სახსრის უქონლობის გამო — იძულებული შევიქენი შემეწყვიტა ჩემი მუშაობა ამ ბიბლიოთეკის გარშემო.“[4] შემ-

[1] კონსტანტინე მ. მაცოვი: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, (მასალა ბიოგრაფიისათვის) — „დროება“, № 206, 1881 წ.

[2] იხ. ნიკ. ბარათაშვილი, გვ. 95.

[3] დ. ყიფიანი: მემუარები, გვ. 104 — 05, 1930 წ.

[4] იხ. ტფ. სახ. უნივერსიტეტის ხელნაწერთა მუზეუმი, 5232. აქვე ინახება წესდება ტფილისის ამ პირველი საამხანაგო ბიბლიოთეკისა.

ლეგ ავტორი მოგვითხრობს, თუ რა პირობებში გადასცა მან ამ ბიბლიოთეკაში მოთავსებული წიგნები ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას.

მაგრამ დ. ყიფიანის კულტურულმა და ლიტერატურულმა საქმიანობამ განსაკუთრებით გაშალა ფრთები ჟურნ. „ცისკარის" დაარსების შემდეგ. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ცისკარის" დაარსებისა და ქართული თეატრის აღორძინების საქმეში დ. ყიფიანმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო;[1] იგი იყო ერთერთი ინიციატორთაგანი ამ ორი კულტურული საქმის წამოწყებაში და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდიდან ჩვენი კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების რენესანსის საქმე შეუჩერებლივ წავიდა წინ. როდესაც გ. ერისთავმა თავი დაანება ჟურნალ „ცისკარის" რედაქტორობასა და გამოცემას 1854 წელს ივ. კერესელიძემ აღძრა მმართველობის წინაშე შუამდგომლობა, რათა მიეცათ მისთვის „ცისკრის" ხელახლა გამოცემისა და რედაქტორობის ნებართვა. წინასწარ კერესელიძე შეთანხმებული იყო ქართულ ინტელიგენტურ ძალებთან ჟურნალში თანამშრომლობის შესახებ. მათ შორის დ. ყიფიანმა აღუთქვა უახლოესი თანამშრომლობა ჟურნალში და ხელმძღვანელობა დასაბეჭდ წერილების შერჩევაში; როგორც დოკუმენტებიდან სჩანს, ივ. კერესელიძეს ეშინოდა, რომ იგი შესაფერისს ხელმძღვანელობას ვერ გაუწევდა ჟურნალის საქმეს, წერილების შერჩევას და ამიტომ დ. ყიფიანი მიუწვევია უახლოეს დამხმარე ხელმძღვანელად. კავკასის სასწავლო ოლქის მზრუნველი ბარონი ა. ნიკოლაი აცნობებს რა ყოველივე ამას კონფიდენციალურად დ. ყიფიანს, მასთანვე სთხოვს მას კონფიდენციალურადვე აუწყოს ივანე კერესელიძეს კეთილსაიმედოების შესახებ და რამდენად შესაძლებელია მიენდოს მას ქართულ ენაზე ჟურნალის გამოცემის ნებართვა.[2] 1854 წ. ნოემბრის 10-ს დ. ყიფიანი კონფიდენციალურადვე უპასუხებს ოლქის მზრუნველს, რომ ივ. კერესელიძემ რაკი აიღო თავის თავზე ჟურნალის გამოცემა, ის ამ ჟურნალის ლიტერატურულ ღირსებას უზრუნველყოფს იმ პირების თანამშრომლობით, რომლებმაც აღუთქვეს ეს თანამშრომლობა და რომელნიც სრულიად კეთილსაიმედონი არიან. მეორე მხრივ, დ. ყიფიანი არკვევს იმ პირობებს, როდესაც იგი შესძლებს მიიღოს თავის თავზე ჟურნალის ოფიციალური ხელმძღვანელობა. უწინარეს ყოვლისა დ. ყიფიანი არკვევს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ჟურნალის გამოცემას ქართულ ენაზე. ავტორი სწერს: შეუძლებელია თქმა, რომ ქართველი საკმაოდ მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურობა არ საჭიროებდეს პერიოდულ გამოცემას, რომელიც გააერცელებდა მათში ცნობებს და ცოდნას მართველობის სურვილების მიხედვით; იმის თქმაც შეუძლებელია, რომ ეს გამოცემა უსარგებლო ყოფილიყოს ადგილობრივ მკითხველთა წრის გარეშე, რადგან მას (ჟურნალს) შეუძლია გამოაქვეყნოს ცნობები ქართული ხალხის ზნე ჩვეულებათა, რწმენასა და გამოცე-

[1] იხ. ხ. ჯიბინაძე; „დიმიტრი ყიფიანი" 1892 წ.

[2] იხ. ბარონ ა. ნიკოლაის წერილი ყიფიანისადმი, 1854 წ. 26 აგვისტოს, სიძველეთა მუზეუმი №5334.

მათა შესახებ.„[1] დ. ყიფიანი მზად იყო ეკისრა ჟურნალის ოფიციალური ხელმძღვანელობა, თუ დაცული იქნებოდა შემდეგი სამი პირობა: 1. ჟურნალს ნაცვლად „ცისკრისა“ უნდა დარქმეოდა **ტფილისის და ხაკართველოს ჟურნალი**; 2. ჟურნალს უნდა მისცემოდა ერთგვარი მეცნიერული ხასიათი და ამისათვის მასში უნდა დაებეჭდათ ძველი ისტორიული ხასიათის აქტები, გუჯრები, დადგენილებანი და სხვა. ყველა ასეთი დოკუმენტების გამოქვეყნება ხელს შეუწყობდა დ. ყიფიანის აზრის ისტორიული საკითხების შესწავლას; 3. ჟურნალში ფართო ადგილი უნდა დათმობოდა მთავრობის განკარგულებებსა და ოფიციალური დადგენილებების ბეჭდვას, რადგან მრავალი დადგენილება მთავრობისა ქართველი თავად-აზნაურობისათვის უცნობი რჩება და ამიტომ მიზანშეწონილნი იქნებოდა, რომ ჟურნალს მისცემოდა ოფიციალური მნიშვნელობა და დადგენილი ყოფილიყო, რომ მასში დაბეჭდილიყო იმავე წესით ოფიციალური დადგენილებანი, განცხადებანი და განკარგულებანი და სხვა, როგორც ოფიციალურ საგუბერნიო უწყებებში. მასთანავე ჟურნალი უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის მთავარ სამართველოს მზრუნველობის ქვეშ.[2] დაახლოებით ასეთივე აზრი გატარებული არის დ. ყიფიანის მეორე რუსულ ხელნაწერში, რომელიც 1857 წელს უნდა ეკუთნოდეს, ე. ი. იმ ხანას, როდესაც უკვე შეუდგენ „ცისკარის“ გამოცემას. როგორც ამ დოკუმენტებიდან სჩანს, დიმ. ყიფიანს სურდა ახალ ქართულ ჟურნალისათვის მიეცა, ერთი მხრივ, წმინდა ლიტერატურულ ესტეტიური შინაარსი და დაეკმაყოფილები მაშინდელი მკითხველის მოთხოვნილებანი სიტყვაკაზმულ მწერლობის მიმართ; მეორე მხრივ, ჟურნალი უნდა ყოფილიყო მეცნიერულ ინფორმაციული: გაერკვია მთელი რიგი მეცნიერული საკითხებისა და მოეთავსებია ცნობები ახალი აღმოცენების მიღწევებისა და სხვათა შესახებ; მესამე მხრივ, ჟურნალი უნდა ყოფილიყო ოფიციალურ დადგენილებათა გამომქვეყნებელი ქართულ ენაზე გამტარებელი მთავრობის პოლიტიკურ-ადმინისტრატიული ხაზისა.

როგორც უკვე აღვამად ცნობილი არის, ჟურნალი „ცისკარი“ გამოვიდა 1857 წ. ივ. კერესელიძის რედაქტორობით; დ. ყიფიანი დარჩა ჟურნალის მხოლოდ უახლოესი თანამშრომელი. ამ ხნიდან დ. ყიფიანმა ხელი მოკიდა უცხოეთის ენებიდან სხვა და სხვა ლიტერატურული ნიმუშების თარგმნას. აქვე მოათავსა მან შექსპირის „რომეო და ჟულიეტას“ თარგმანი;[3] მანვე გადმოთარგმნა ფრანგულიდან „წვიმა“ და მოათავსა იმავე „ცისკარში“.[4] 1860 წ. „ცისკარში“ დაიბეჭდა ფრანგულიდან მისივე ნათარგმნი

[1] იხ. დ. ყიფიანის წერილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი, 1854 წ 10 ნოემბერი, იქვე.

[2] იხ. დ. ყიფიანის წერილი კავკას. სასწ. ოლქის მზრუნველისადმი, 1854 წ. 10 ნოემბ.

[3] არის დარჩენილი თვით დ. ყიფიანის ხელნაწერი-თარგმანი. იხ. სიძველეთა მუზეუმი № 2677.

[4] 1896 წ. გამოვიდა ცალკე წიგნათაც.

ოქტავ ფელიეტის თხზულება: „რომანი ერთის ღარიბის ყმაწვილი კაცისა“;[1] დ. ყიფიანსვე ეკუთვნის მოლიერის კომედიის პირველი თარგმანიც ქართულად: 1861 წ. მან გადმოთარგმნა მისი: „ცოლის შერთვინება“[2] 1863 წლის იანვრის ნომერშივე დაიბეჭდა დ. ყიფიანის ორიგინალური მოთხრობაც: „თურგმენური ცხენი“, რომელშიაც რამოდენადვე ავტობიოგრაფიული ცნობებიც არის გატარებული. გარდა „ცისკრისა“ დ. ყიფიანი თანამშრომლობდა „ხაჭართველოს მოამბეში“[3] (1863 წ.), ჟურნ. „მოამბეში“, რომელშიაც მოთავსებული აქვს შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ თარგმანი,[4] ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „ივერიაში“ და „ქართულ ბიბლიოთეკაში“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა ქართველ ქალთა ხელმძღვანელობით. 1892 წ. ცალკე წიგნად გამოიცა მის მიერ თარგმნილი ვ. ჰიუგოს „ოთხმოცდა ცამეტიდან“. საერთოდ, დიმ. ყიფიანის თარგმნებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ენის წარმატების საქმისათვის, აგრეთვე ქართული ლიტერატურისა და მხატრული სიტყვა-კაზმული მწერლობის ზრდისათვის. იმ ხანებში, როდესაც ძველი ლიტერატურა ძალზე ღარიბი იყო არა მარტო უცხო მწერლობის ნათარგმნით, არამედ ორიგინალური ნაწერებითაც, დ. ყიფიანის მიერ მოლიერისა, შექსპირის, ბომარშეს, ჰიუგოს და სხვების ნაწერების გადმოთარგმნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურის წინმსვლელობის საქმისათვის. გარდა ამისა დ. ყიფიანის თარგმნები ხელს უწყობდა ქართული ენის გამშვენიერებასა და დადგინებას. სწორედ ამ მხრივ აფასებენ დ. ყიფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობას მაშინდელი ახალთაობის მწერლებიც. გ. წერეთელი „ვენეციელი ვაჭრის“ თარგმნის შესახებ სწერდა: „დიმიტრი ყიფიანი დიდი ხნიდგან განთქმულია ჩვენს ლიტერატურაში, როგორც სამაგალითო ენით მწერალი და დახელოვნებული მთარგმნელი შექსპირისა.

აი ამისთანა საქვეყნო მოძღვრის თხზულება პირველად დიმიტრი ყიფიანმა წაგვაკითხა ქართულს ენაზე. მაშ იფიქრე, მკითხველო, რამდენი პატივისცემა და მადლობა უნდა მიგვიძღოდეს მთარგმნელისადმი. შექსპირის თხზულებებთან დიმ. ყიფიანის სახელიც მუდამ ძვირფასი და დაუვიწყარი იქნება ჩვენ ლიტერატურაში; იმედი გვაქვს, რომ დ. ყიფიანი არ შესწყვეტს ამ დიდს მოღვაწეობას სამშობლო ლიტერატურის ასპარეზზედ და ქართველ შთამომავლობას წააკითხებს ყველა საუკეთესო თხზულებას შექსპირისას.“[5]

რასაკვირველია, დღეს დღეობით, როდესაც ლიტერატურულ-ესთეტიკური ცხოვრება და ქართული ენის საქმე ბევრად წავიდა წინ შედარებით

[1] არის ცალკე ამონაბეჭდი „ცისკრიდანაც“.
[2] იხ. „ცისკარი“, № 3, 1862 წ.
[3] იხ. თარგმანი მიტხელის: „ზეზურ მნათობი“.
[4] იხ. „მნათობი“ № 4—5, 1872 წ.
[5] (გ. წერეთელი): ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. „კრებული“, № 8—9, 1872 წ.

მაშინდელ ეპოქასთან, დ. ყიფიანის თარგმანი ვერავის დააკმაყოფილებს მაგრამ მისი ლიტერატურული მუშაობა დაფასებული უნდა იქნეს არა თანამედროვე საზომით, არამედ ისტორიული მიდგომით და მაშინდელი ეპოქის თვალსაზრისით.

როგორც აღნიშნეთ, დიმ. ყიფიანის ლიტერატურული მუშაობა მარტო უკეთ მწერლობის სიტყვა-კაზმული ნაწერების თარგმნით არ ამოიწურებოდა: იგი ერთგული დარაჯი იყო მეცნიერებისა და დიდი მოსურნე საქართველოში მეცნიერული შრომებისა და მეცნიერების გავრცელების. დ. ყიფიანმა, როგორც უაღრესად ევროპულად განათლებულმა პიროვნებამ, კარგად იცოდა მეცნიერების მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში და ამიტომ ცდილობდა მის გავრცელებას საზოგადოებაში. კერძოდ დ. ყიფიანის მეცნიერული მუშაობის დასახასიათებლად საინტერესო არის მისი ისტორიული ხასიათის ნარკვევები საქართველოს წარსულიდან და შენიშვნები და წიგნი ქართული გრამატიკის შესახებ. დ. ყიფიანის სასარგებლოდ ისიც უნდა ითქვეს, რომ იგი პირველი შეეხო ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში საერთოდ ქართული ფეოდალიზმისა და კერძოდ ბატონყმობის განვითარების საკითხს საქართველოში. 1846 წ. გაზ. „კავკაზის" ფურცელზე დ. ყიფიანმა პირველად გამოაქვეყნა ისტორიული ხასიათის წერილი თამარ მეფის ეპოქის შესახებ, რომელშიაც ილაშქრებდა იმავე „კავკაზის" ზოგიერთ თანამშრომლების (მაისუროვის და სხვების) წინააღმდეგ, რომელნიც ამახინჯებდენ მისი გაგებით საქართველოს ისტორიულ წარსულს.[1] 1854 წ. იმავე „კავკაზის" ფურცლებზე დ. ყიფიანი აქვეყნებს ვრცელ წერილს Несколько мыслей о материалах для истории Грузии[2] რომელიც შემდეგ ცალკე წიგნათაც გამოვიდა. ეს წიგნაკი სამეცნიერო ხასიათის კამოკვლევას წარმოადგენს და კრიტიკულად იხილავს საქართველოს ისტორიის მასალებს. ნარკვევში განხილულია შემდეგი საინტერესო საკითხები საქართველოს ისტორიული წარსულიდან. 1. რა ზომად დასახლოვნებულა სასულიერო განათლება ხალხისა; 2. საერთო განათლება როგორ ჰსჩანს; 3. მწერლობა თუ ლიტერატურა როგორი ყოფილა; 4. რა და რა საზღვრები ჰქონია ქართველს ქვეყანასა, როგორც უმეტესს ძლიერებაში, ისე უძლურებაში და 5. რა და რა ქვეყნებამდინ მიეღწევიათ ქართველებსა, თავისს სამეფოს მარტო ოდენობითა და სავაჭრო აღებმიცემობით.[3] ეს წერილებიც არ არის მოკლებული ინტერესს. განსაკუთრებით საინტერესოა თვით დ. ყიფიანის დასახასიათებლად მისი შეხედულება ქართველ ქალის მდგომარეობაზე და როლზე. ავტორი აღნიშნავს რა იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობდა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სოფლმხედველობათა

[1] Д. Киппани: „Век Тамары" — „Кавказ", № 33, 1846 წ.

[2] Д. Киппани: აღნიშნული წერილი: „Кавказ", № 30, 31, 33, 35, 37, 39, 1854 წ.

[3] ეკარგებლობ „ცისკრის" თარგმანით, (№ 4, 1860 წ.) რომ დავიცვა მაშინდელი სტილი და მართლწერა.

შორის საერთოდ და კერძოდ ქალთა საკითხში, დასკვნის: „... ამის გამო უმ-თავრესი ყურადღება ძველის დროებითგანვე მიქცეული იქნებოდა ქალ-ების კეთილს აღზრდაზედა და განათლებაზედ—რადგან ქალია ის ქვაკუთხე-დი რომელზედაცა ჰმყარდება ქვეყნიერი ბედნიერება კაცისა. აქედამ გო-ნიერება ადვილად გამოიხატავს, რომ ქალის განათლებით უნდა განიცდე-ბოდეს საზოგადოთ ქვეყნის განათლებაცა... ამ გვარად გაკეთილშობილებუ-ლი ქალი რასაკვირველია თავის შინაობასაც გააზდილობინებდა და რაღა თქმა უნდა, რომ ხალხის საზოგადოებითი ერთიანეთის დამოკიდებულებაც უსათუოდ კეთილად უნდა წარმართულიყო... იქნება მაგდენი შეცდომა სულ-აც არ მოგვივიდეს, აქედამ რომ ერთი დიდი საგანი დავინახოთ, რომ-ლისაკენაც ბიბიმართებოდა ძველებური ჩვენი ქალების პედაგოგია ანუ აღ-ზრდა: განუწყვეტელი ბრძოლა, რომ ჰქონდა ხალხსა თავისის სარწმუნოე-ბისა და თავისის თვისი მყოფობის მტერთანა, შინაური მყუდროება და ბიბშვიდე იყო გამამანევებელი ამ გმირულის ხალხისა:—შინ რომ კაცს ეს ნეტარება არ ჰგულებიყო, გარეთ უეჭველია, უფრო გულდამწვარი იქნებო-და: — ეს იყო მიზეზი, რომ დიდს პატივის ცემას აუწყავებდენ ნათესაობის კავშირისას; პატიოსნების სახიერებას შეაგონებდნენ და ვალდებულების ულდრტუნველად მორჩილებასა; და ამ გვარი გრძნობა რომ ყოველთვის და ყოველგან დამამთავრებელი და დამამკვიდრებელი ყოფილა საზოგადოები-თისასა და კერძოობითისაც კეთილდღეებისა. ამ რიგათ დიდი ხანია, რაც საქართველოში ქალი გამოყვანილი არის კაცის ბნელობისაგან და სიტყვისა-მებრ საღვთო მოძღვრებისა, ქალს მიეთვისა, როგორც გონიერსა და ნარ-ნარს მეგობარს კაცისასა, დაარსებითგანვე იმისი კუთვნილი დამამშვიდებე-ლი მნიშვნელობა ჩვენ შორის. ასე მიაწია ახალს შუამომავლობამდის ძვე-ლებურმა ჩვენმა საერთო განათლებამ; რასაკვირველია, შორს არის ეს გა-ნათლება იმ განათლებაზედ, რომელსაც ამ დროში განათლებას ვეძახით. მაგრამ ეს იყო ის მტკიცე და შეურყეველი კავშირი ხალხისა, ვერა რამ გარეგანმა ღონემ რომ ვერ დაარღვია საუკუნეობათ მიმდინარეობაში.“ [1]

მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ავტორს მხედველობაში ყავს მაღალი წოდების ქალები; დაბალი ფენა, მშრომელი გლეხობის ქალები, რომელნიც მონობის მძიმე პირობებში იმყოფებოდენ, — ავტორის ყურად-ღებას არ იპყრობოდა. მაგრამ დ. ყიფიანი სრულიად სამართლიანად აღ-ნიშნავდა იმ დიდ როლს, რომელიც საქართველოს წარსულ საზოგადოებ-რივ ცხოვრებაში მინიჭებული ჰქონდათ მაღალი წრის ქალებს. ისტორიულ-მა აუცილებლობამ და პირობებმა მაღალი წრის ქალს დააკისრა კულტუ-რული მისიის შესრულება—მწიგნობრობის გავრცელება საზოგადოებაში: ან როგორც დ. ყიფიანი აღნიშნავს: „ჩვენში ვახტანგ ჯულის მღვდლის დრომდინ მაინც, სტამბა სულ არ ყოფილა და ქალები კი, კეთილშობილნი

[1] Д. Кипиани: „Несколько мыслей о материалах для Истории Грузии“ მოყვანილი ციტატის თარგმანი ეკუთვნის „ცისკრის“ რედაქციას.

ყოველივე გამოურიცხველად, დალოცვილნი იყვნენ მწიგნობრობაში, ანუ ლიტერატურაში.“ [1] მეორე მხრივ, როგორც დ. ყიფიანიც აღნიშნავს. ძველი ქართველი ქალი გაპოდიოდა არსებულ წყობილების დამცველად და ქადაგებდა „ვალდებულების უდრტვინველად მორჩილებახ“; უკეთ რომ ვსთქვათ, დამცველად იმ სოციალური წესწყობილების, რომელიც ბატონ ყმურ ურთიერთობაში გამოიხატებოდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ქალი თავისი წრის შვილი იყო და მას არ შეეძლო გადაელახა თავისი წოდებრიობის ფარგლები.

დ. ყიფიანის ნარკვევში ერთი დიდი აზრი სჩანს: იგი მხურვალე დამცველი იყო ქალთა ემანსიპაციისა და მომხრე ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანის; ამ თავის დებულებას დ. ყიფიანი ისტორიულადაც ამტკიცებდა იმ როლის გაშუქებით, რომელიც მინიჭებული ჰქონდა ქართველ ქალს წარსულ ცხოვრებაში. რასაკვირველია, დ. ყიფიანის ეს თვალსაზრისი არ სცილდებოდა წოდებრივობის ფარგლებს,—მისთვის ჯერ კიდევ გაუგებარი და მიუღებელი იყო წოდებათა გათანასწორების პრინციპი, მაშასადამე, საერთოდ ქალთა გათანასწორების პრინციპიც; მიუხედავად ამისა, თავის ეპოქისთვის დ. ყიფიანის წოდებრივობის საფუძვლებზედაც აგებული ქალთა ემანსიპაციის პრინციპი პროგრესიულ მოთხოვნას წარმოადგენდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ყიფიანის მუშაობა ქართული გრამატიკის საკითხების გარშემო. დ. ყიფიანის გრამატიკული აზროვნების შესასწავლად რამოდენიმე ლიტერატურული დოკუმენტი მოიპოვება; მათ შორის საინტერესოა უკვე აღნიშნული ქართული გრამატიკის ისტორიაში ორი მისი მეცნიერული ხასიათის შრომა: კრიტიკული შენიშვნები პროფ. დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკის შესახებ, დაწერილი 50-იან წლების დასაწყისში [2] და 1882 წ. ცალკე წიგნად დაწერილი „ახალი ქართული გრამატიკა“. [3]

დ. ყიფიანის ინტერესი ქართული გრამატიკის საკითხებისადმი გამოწვეული იყო ორი დიდი გარემოებით: 1. წმინდა პრაქტიკული და პედაგოგიური მოსაზრებითა და 2. მეცნიერულ-პრინციპიალური ინტერესით. 40-50-იან წლებში ვორონცოვის ლიბერალური პოლიტიკის წყალობით ქართულ ენას საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი სასწავლებლებში; ვორონცოვი ცდილობდა ქართული ენის შესწავლით გამოეწვია ქართველ ახალგაზრდობაში ინტერესი რუსული ენის უფრო საფუძვლიანი შესწავლისა; იგი ფიქრობდა, რომ ამ გზით შესაძლებელი იქნება რუსეთის თვითმპყრობელობის

[1] იქვე.

[2] გამოქვეყნებულია პროფ. ი. ცაგარლის შრომაში: „Сведения о памятниках Грузинской письменности“, ტ. I, ნაკ. III, გვ. 54—101, 1894 წ. იხ. აგრეთვე დ. ყიფიანის: საგრამატიკო შენიშვნები, უნივერსიტ. მუზეუმში, № 491,3/2

[3] დიმიტრი ყიფიანი: „ახალი ქართული გრამატიკა“, პეტერბურგი, 1882 წ.

სიყვარულის განმტკიცება ქართველ ახალგაზრდობაში და, რაც აღსანიშნავია, ნამდვილი მოხელეების გამოზრდა. ქართული ენის შესწავლისა და ქართული სახელმძღვანელოების დამუშავების მიზნით ტფილისში არსებულ „კომიტეტ ნაჩერტანია უჩებნიხ პოსობია“-ში გახსნილი იქნა ქართული ენის გაპყოფილებაც. ამ განყოფილების თავმჯდომარეობა მინდობილი ჰქონდა დ. ყიფიანს, ხოლო წევრებად ითვლებოდენ: პლ. იოსელიანი, გ. ყორღანაშვილი, მღვდ. ე. ალექსიშვილი, ივ. თურქესტანიშვილი და მღვ.დ. გ. მოლოდინაშვილი. დ. ყიფიანს წილად ხვდა განეხილა ცნობილ პროფ. დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკა და რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელოდ აქაურ სკოლებისათვის. დ. ყიფიანმა საფუძვლიანი კრიტიკა გაუკეთა პროფ. დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთ გრამატიკულ მოსაზრებებს და მოითხოვდა როგორც თეორიულ-პრინციპიალურ თვალსაზრისით, აგრეთვე პედაგოგიურ-პრაქტიკულ მოსაზრებებითაც მთელ რიგ შესწორებების შეტანას დ. ჩუბინაშვილის მიერ წარმოდენილ ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოში; დ. ყიფიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩუბინაშვილის გრამატიკით უნდა ვასწავლოთ ქართული ენა აქაური მართველობის მომავალ მოხელეებს, ხოლო ჩუბინაშვილის ზოგიერთი მოსაზრებანი დაცილებული არის ნამდვილ ხალხურ ცოცხალ ენასა და ამიტომ მოსალოდნელია მომავალმა მოხელემ დამახინჯებულად შეისწავლოს ქართული ენა და სრულიად ვერ გადმოსცეს საქმის ნამდვილი ვითარება. დ. ყიფიანის შენიშვნებსა და კრიტიკას ერცელი პასუხი გასცა პროფ. დ. ჩუბინაშვილმა. ამის საპასუხოდ დ. ყიფიანმა კვლავ დასწერა თავისი შენიშვნა და გადაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს.[1] ასე გაიმართა ჰერელი მნიშვნელოვანი პოლემიკა პროფ. დ. ჩუბინაშვილსა და დიმ. ყიფიანს შორის 50-იან წლებში ქართული გრამატიკის შესახებ. ამ პოლემიკის შესახებ მე სიტყვას დაუთმობ ქართული ენის მკვლევარს პროფ. აკ. შანიძეს. „მთელი ეს მასალა,—სწერს აკ. შანიძე, — ძალიან დამახასიათებელია იმდროინდელი ქართ. გრამატიკული აზროვნებისათვის და ააშკარავებს დ. ყიფიანის საღ გრამატიკულ ალღოს ბევრს საკითხებში. დ. ყიფიანს ნათლად აქვს წარმოდგენილი გრამატიკის დანიშნულება. მისი აზრით, ცოცხალ ენას თავზე კი არ ახვევენ კანონებს, არამედ იგი თვით იძლევა კანონებს. მკვლევარის საქმეა გამოარკვიოს ეს კანონები და არ უარყოს იგი. რაიცა შეეხება გრამატიკის სხვა და სხვა საკითხს, უნდა ავღნიშნოთ, რომ დ. ყიფიანი კარგად ერკვევა ხმარებიდან გამოსულ ასოების გამოთქმაში, უარყოფს განსხვავებას არსობითი სახელებსა და ზედსართავებს შორის: ზედსართავი, როგორც განსაკუთრებული ნაწილი მეტყველებისა, მისი აზრით, ქართულში არ არსებობს. ქართული „თანდებული“ რუსულად უფრო „предлог“ იქნება, ვიდრე „предлог“. განსაკუთრებით შეუდარებელია დ. ყიფია-

[1] დოკუმენტები დაბეჭდილია პროფ. ა. ცაგარლის ზემოდ დასახელებულ შრომებში.

ნი, როგორც მოსარჩლე მოთხრობითი ბრუნვისა, იმ ბრუნვისა, რომელიც ძველ ქართულში — მან ნაწილაკით იყო ნაწარმოები (მაგ. კაც-მან, დედა-მან და მისთ.) ახალ ქართულში კი მა ან მ ნაწილაკით (მაგ. კაც-მა, დედა-მ და მისთ.). ქართული გრამატიკის ავტორების მიერ ეს ფორმები ბრუნვის ფორმებად იყო და ახლაც არის მიჩნეული. მაგრამ დ. ჩუბინაშვილი ამ ბრუნვას უარჰყოფდა და არ შექონდა თავის გრამატიკაში. ამ ბრუნვის უარყოფა მოვდინარეობს ვენის პროფესორის Alter-ისაგან. რომელმაც ჯერ კიდევ 1798 წელს გამოსცა წიგნი ამ სათაურით: Über Georgianiche Literatur („ქართული ლიტერატურის შესახებ"), სადაც იგი ბიბლიის ქართველურის ენას ეხება და კაც-მან ფორმა ისე აქვს გაგებული, როგორც ბერძნული ἀνάκωπος ე. ი. მან დაბოლოებება ნაწევრად (ე. ი. არტიკლად) აქვს მიჩნეული. შემდეგ ეს აზრი ბროსეს მიერაა სასტიკად გატარებული მის გრამატიკაში. ბროსეს გავლენით კი დ. ჩუბინაშვილიც არ სცნობდა ვას როგორც ბრუნვას. დ. ყიფიანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეგ ბრუნვა რომ არა, ბევრ შემთხვევაში აზრი გაუგებარი იქნებოდაო".[1] აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პროფ. დ. ჩუბინაშვილმა დიდი ნაწილი დ. ყიფიანის მოსაზრებებისა და კრიტიკული შენიშვნებისა გაიზიარა და თავის ახალ გრამატიკაში (იხ. „Краткая грузинская Граматика" 1855) ამის მიხედვით შეიტანა შესწორებანიც.[2]

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს დ. ყიფიანის 1882 წ. სამეცნიერო აკადემიის სტამბაში დაბეჭდილი „ახალი ქართული გრამატიკა". გარდა თეორიულ-პრინციპიალურ მოსაზრებებისა, დ. ყიფიანს წმინდა პრაქტიკულ პედაგოგიური და პოლიტიკური მომენტებიც ამოქმედებდა ამ წიგნის გამოქვეყნების დროს. როგორც უკვე ცნობილია, ვორონცოვის შემდეგ პერიოდში თვითმპყრობელობის პოლიტიკა ადგილობრივ ერებისადმი საგრძნობლად იცვლება, ხოლო შამილის შეპყრობისა და მთიელების საბოლოო დამარცხების (1864 წ.) შემდეგ რუსიფიკატორული პოლიტიკა თავის საუკეთესოზე გამოვიდა. განსაკუთრებით 70-იანი წლების მეორე ნახევარში და 80-იან წლებში, როდესაც ჩვენშიაც რუსეთის რევოლუციონური მოძრაობის ზეგავლენით დაიწყო მოძრაობა ახალგაზრდობაში და ჩამოყალიბდა რევოლუციონური წრეები. რუსეთის თვითმპყრობელობამ სასტიკ ზომებს მიმართა და რუსიფიკატორულ აგრესიული პოლიტიკით იგი ცდილობდა ყოველივე ქართულის აღმოფხვრას; განსაკუთრებით მიზანში იყო ამოღებული ქართული სკოლა და ქართული ენა. ქართული ენის შევიწროვებისა და სკოლის გარუსების საშუალებით შავი რეაქცია ცდილობდა დენაციონალიზაცია თავის ლოლიკურ შესაძლებლობამდე მიეყვანათ. შავი რეაქციის მოცი-

[1] პროფ. აკ. შანიძე: „დ. ი ტრი ყიფიანი, როგორც გრამატიკოსი" (ხელნაწერი). ეს პატარა ნარკვევი აკ. შანიძემ სპეციალურად ჩემი თხოვნით დასწერა, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ.

[2] იქვე.

ქულები საქართველოში იმასაც ამტკიცებდენ, რომ ქართველებს არა ყავთ შესაფერისი კადრი პედაგოგიური პერსონალისა და შესაფერისი სახელმძღვანელოები ქართულს ენაზე, რომ შესაძლებელი იყოს ქართული სკოლის არსებობა და უზრუნველყოფა. როგორც ქვეეით დავინახავთ, დ. ყიფიანი თავდადებით იცავდა ქართულ სკოლისა და ქართულ ენას რუსიფიკატორთა შემოტევისაგან, მისი „ახალი ქართული გრამატიკა" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღთაგანი იყო,ამ შავრაზმელების წინააღმდეგ მიმართული. თავის გრამატიკის შესავალში ავტორი სწერს:

„ყველაფერს თავისი ბეჭედი აზისო, ნათქვამია, და ისეც გამოდის, რომ ამ ჩვენს დროთა ვითარებასაცა ჰსმია თავისი ბეჭედი. რიგი და სამართალი მოითხოვდა სწავლას ისე დაეიწყებდეთ ხოლმე, რომ ადვილიდამ ძნელამდინ და ძნელიდამ უმძიმესამდინ გაუპირვებლად ვიველიდეთ; თორემ რასაც ახლა თვალითა ვხედავთ და რაც გარს გვახვევია, აქედამ მოყოლების მაგიერად, სწავლას იქედამ გვაწყებინებენ ხოლმე, რაც ჯერ მიუწდომელია ჩვენი თვალისათვისაც და გონებისათვისაც და ამითი საქმე მეტად გვიძნელდება თქვენც აგრე იტანჯებით სწავლითა, შვილებო; გეოგრაფიაში, მაგალითად ვიტყვი, ჯერ მთელი ქვეყანა შემოგარბენინეს ფიქრითა და ბოლოს მოგიყვანეს ამ ჩვენს, ქვეყნისოდენა რუსეთში;—საქართველოს გეოგრაფია ხომ ჯერაც არავის უსწავლებია თქვენთვისა,—ენებში ჯერ ფრანცუზულს მოგაყოლეს, მერე რუსულსა **და თქვენი დედა ენა** კი, გეოგრაფიისა არ იყოს, სულაც არავის უსწავლებია,.." იმავე წიგნში პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიმართ დ. ყიფიანი სწერს: „თქვენი გრამატიკა აღარ იშოვებოდა და აღარც სხვების; საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა ენას ვეღარ ვახერხებდით:— მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა გრამატიკა, როგორც მეხერხებოდა და, აი, სტაბაში ვგზავნი კიდეც დასაბეჭდავად".[1] მოყვანილი ციტატები ნათლად ამტკიცებენ, თუ როგორი პრაქტიკულ-პედაგოგიური მოსაზრებანი აინტერესებდა დ. ყიფიანს. იგი არსებითად უარყოფდა სწავლების იმ მეთოდს, რომელიც გამეფებული იყო მაშინ საქართველოს სკოლებში და წმინდა პედაგოგიურ-ეროვნული თვალსაზრისით მოითხოვდა დაბალ კლასებში ქართულ ენაზე სწავლებას ყველა საგნებისა. აი სწორედ ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა იგი, როდესაც იცავდა ქართულ სკოლასა და ქართულ ენასა და სწერდა თავის „ახალ ქართულ გრამატიკას"

როგორც მეცნიერული შრომა ეს წიგნი არ არის ინტერესს მოკლებული. მაგრამ დ. ყიფიანის გრამატიკული აზროვნების შეფასების საქმეში სიტყვა დაუთმოთ იმავე აკ. შანიძეს. უკვე დასახელებულ ნარკვევში პროფ. აკ. შანიძე სწერს:

---

[1] დ. ყიფიანი: „ახალი გრამატიკა", გვ. 5—6, 1882 წ.

„გრამატიკაში, დ. ყიფიანის აზრით, შემოდის არა მარტო მორფოლოგია (დ. ყიფიანის „ეტიმოლოგია“) და სინტაქსი, არამედ ორთოგრაფიაც, რაიცა იმდროინდელი გაგებაა საზოგადოდ და აქა-იქ ახლაც კი გვხვდება ხოლმე, ამ ნაწილთაგან მას გამოქვეყნებული აქვს მარტო „ეტიმოლოგია“. უნდა ითქვას, რომ ავტორი რიგიანად ერკვევა მორფოლოგიურ საკითხებში, განსაკუთრებით სახელთა ბრუნვა აქვს კარგად დამუშავებული. ზმნათა სირთულე და სიძველე, მართალია, მასაც ვერ დაუძლევია სავსებით, მაგრამ ბევრი დეტალი კარგად აქვს გაშუქებული, დ. ყიფიანისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ზოგიერთ საკითხს ისტორიულად არჩევს, მოჰყავს სხვათა აზრი და თავის გაგებას უპირისპირებს, ამასთანავე ერთად იგი ზოგჯერ ქართული ენის გრამატიკულ ფორმებს ადარებს ევროპული ენების ფორმებთან (რუსულთან, ფრანგულთან, გერმანულთან, ინგლისურთან, ლათინურთან), ამ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წყალობით მისი გრამატიკა წინანდელ გრამატიკაზე უფრო მაღლა დგას და მათ შორის დ. ჩუბინაშვილისაზედაც. ზმნებში განსაკუთრებით კარგათ აქვს დამუშავებული საკითხი ასპექტის შესახებ, რაიცა წარმოდგენილია გრამატიკის ბოლოს დართულს ტაბულაში... დ. ყიფიანს, როგორც ჩანს, ქართული ლექსიკონიც აინტერესებდა. გრამატიკის ბოლოს (გვ. 197) მას დაურთავს „ლექსიკონი ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ან იშვიათად იხმარება ქართულ ენაში, ან რომლებიც უცხო ენებიდან არის შემოსული“.[1]

ასეთი იყო დ. ყიფიანის მუშაობა ქართული მეცნიერების ფრონტზე. განსაკუთრებით აღსანიშნავი და საინტერესო არის დ. ყიფიანის მოღვაწეობა როგორც პუბლიცისტის. არც ამ დარგში უწერია მას ბევრი, მაგრამ რაც დაწერილი აქვს თავისებური ინტერესით იკითხება. დ. ყიფიანის ზოგიერთ პუბლიცისტურ წერილებსა და მათში გატარებულ აზრებს ჩვენ უკვე გავეცანით. პირველ ხანებში დ. ყიფიანი უმთავრესად ეხებოდა მიწის მფლობელობის საკითხს საქართველოში, ბატონყმურ ურთიერთობაზე ფეოდალიზმის საკითხს საქართველოში სასოფლო მეურნეობის რაციონალიზაციას, ბატონყმობის მოსპობის პირობებს და მრავალ სხვა კითხვებს, რომელთაც უახლოესი კავშირი ჰქონდა საქართველოს ეკონომიურ წარმატების საქმესთან და წოდებათა ურთიერთობასთან. სწორედ აღნიშნულ საკითხებს ეხებოდა დ. ყიფიანის შემდეგი წერილები: 1) „Состояние имений в Грузии“[2] და 2) „О состоянии имений в Грузии“[3]—ამ წერილში დ. ყიფიანს აინტერესებდა მფლობელობის განყოფილების საკითხი საქართველოში და თავადაზნაურობის სასოფლო მეურნეობის წარმატების საქმე; აქვე არის მოცემული ცნობები მეფე ვახტანგ მე-6 კანონების შესახებ მამულების მფლო-

[1] პროფ. აკ. შანიძე: „დიმიტრი ყიფიანი- როგორც გრამატიკოსი„.

[2] Д. Кипиани „Состояние имений в Грузии“, „Журн. мин. государственных имуществ.“ кн. XXVIII, გვ. 83—91, 1844 წ.

[3] Кавказ“, №-2, 1848 წ.

ბელობაზე საქართველოში; 3) „О том, о сем и, между прочим, о собловиях Закавказских“;[1] 4) „О путях к достижении общества“; მოხსენება წაკითხული 1857 წ. კავ. სასოჯლო-სამეურნეო საზოგადოების წლიურ სხდომაზე; 5) „ბატრნყმობა“ ხელნაწერი 1862 წ.[2] და 6) „Об улучшении быта помещичих крестьян“ – ვრცელი მოხსენება გლეხთა განთავისუფლების პირობების შესახებ წაკითხული 1863 წ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე[3] და 7) ვრცელი წერილობითი მოხსენება წარდგენილი ტფ. ცენტრალურ კომიტეტში 1864 წ. გლეხობის ხიზანთა მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ.

დიმ. ყიფიანის წერილების მეორე წყება შეეხება პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხებსა და ქართულ ენას: ამ წერილებში გამოთქმული არის დ. ყიფიანის პოლიტიკური კრედო და მისი სამოღვაწეო პროგრამა. დ. ყიფიანი მტკიცედ და ურყევად იცავდა იმ ორ სახოვან ფორმას, რომელიც რუსეთის ტახტის ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულში გამოიხატებოდა: ეს იყო მე-19 საუკუნის მთელი თავად-აზნაურობის ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა. ამ პროგრამას ვერ გასცილდა ქართველი თავად-აზნაურობა და არც შეეძლო გასცილებოდა: მისი კლასიურ-წოდებრივი ინტერესები ღრმად იყო შექსოვილი ამ პროგრამასთან და ტახტის ინტერესების დაცვის საქმესთან. ამ მიმდინარეობის თეორეტიკოსი და მისი პრინციპიალური დამცველი იყო დ. ყიფიანი, როგორც თავისი პრაქტიკულ სახელმწიფოებრივი, ისე ლიტერატურული მოღვაწეობით დ. ყიფიანი ამ პროგრამას ემსახურებოდა. 1848 წ. აპრილის თვეში მის მიერ წარმოთქმული სიტყვა ისტორიული ხასიათისა იყო იმდენად, რამდენათაც ქართველი თავად-აზნაურობა ერთგულების ფიცს სდებდა რუსეთის ტახტის წინაშე და მზად იყო დაეცვა რუსეთის თვითმპყრობელობა და ტახტი ევროპის მაშინდელი რევოლუციონური მოძრაობისაგან. ამავე რკალს შეეხებოდა მისი წერილი დაბეჭდილი 1860 წ. „ციხეკარში“ ქართული ენის შესახებ. მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისიდან უკვე იწყება საქართველოში რეაქციის მწვავე სუსხი, განსაკუთრებით 60 იანი წლების მეორე ნახევრიდან რეაქციონურმა პოლიტიკამ საგრძნობლად გამოააშკარავა თავისი ბასრი ბრეტალები. ამას თავისი ისტორიული მიზეზები ჰქონდა. ეორონცოვის პერიოდში მთავრობასა და საზოგადოების შორის თითქოს ნორმალური ურთიერთობა დამყარდა; ეორონცოვმა თავისი ლმობიერი პოლიტიკით სავსებით მოიმხრო თავად-აზნაურობა და ამით თითქოს მტკიცე კონტაქტი დაამყარა მთელ საქართველოს საზოგადოებრივ ძალებთან. მაგრამ ყირიმის ომმა ძირითადი წინააღმდეგობა გამოაშკარავა თვით საქართველოს საზოგადოებრივ ფენებს შორის და მთელი

[1] ცალკე ბროშურად გამოცემული 1853 წ. ან იმავე წლ. „Кавказ“, № 79, 81, 83, 84.

[2] იხ. ტფ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი, № 5232.

[3] იხ. იქვე ქართული დედანი მოთავსებულია ცენტრარქივში.

რუსეთის სოციალ-ეკონომიური წყობილების შეუსაბამობა ცხოვრების ვითარებასთან აშკარა გახადა. ამ დიდი კრიზისის შედეგი იყო ის რევოლიუციონური და დემოკრატიულ სოციალისტური მოძრაობა, რომელმაც თავი იჩინა რუსეთში 50-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში ამ კრიზისის საუკეთესო გამოხატველი იყო, ერთი მხრივ, სამეკრელოს გლეხთა აჯანყება 1857 წელს და მთელი რიგი გლეხთა აჯანყებებისა, რომელიც პერმანენტულად სწარმოებდა საქართველოს ყოველ კუთხეში 1858 — 63 წლების პერიოდში; ამ ხაზის უკანასკნელ გრანდიოზულ აფეთქებას წარმოადგენდა ამქართა აჯანყება 1865 წელს ქ. ტფილისში, რომელმაც შიშის ხარით მოიცვა ადგილობრივი ხელისუფლება და აალაპარაკა რუსეთის რეაქციონური პრესა. მეორე მხრივ, რუსეთის 60-იანი წლების გონებრივ მოძრაობის ზეგავლენით საქართველოშიაც ჩამოყალიბდა ახალითაობის ჯგუფები და წრეები, რომელთა სამოღვაწეო პროგრამა აღარ ეკუთვნოდა ძველი ინტელიგენციის პოლიტიკურ მისწრაფებებს და რომელთაც დემოკრატიულ-რადიკალური მისწრაფებანი გადმოჰქონდათ საქართველოს ნიადაგზე. ეს სოციალურ-რევოლიუციონური მოძრაობა და ინტელიგენციის რადიკალურ-დემოკრატიული მისწრაფებანი აშკარად გამოხატავდა ძველი საზოგადოებრივ ეკონომიურ წყობილების კრიზისსა და ახალი ურთიერთობის დასაწყისს საქართველოში. მაგრამ თვითმპყრობელობასაც არ ეძინა და როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც მკაცრ რეაქციურ ზომებს მიჰმართა. ვორონცოვის პოლიტიკა თითქოს წარსულს ჩაბარდა და „ტახტი" ენერგიულად შეუდგა ყოველივე „ქართულის-ეროვნულის" შეეიწროებას. ამ პოლიტიკამ თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია 80-იან წლებში, ალექსანდრე მესამის რეაქციის ბატონობის პერიოდში.

დ. ყიფიანი ვორონცოვის პერიოდში ვერავითარ გაუგებრობას ვერ გრძნობდა და უკმაყოფილებას ვერ ხედავდა „ტახტსა" და „სამშობლოს" შორის. წინააღმდეგ, იგი ვორონცოვის პოლიტიკით აღფრთოვანებული იყო და მასში ხედავდა თავისი პროგრამის რეალურ განაღდებას. მაგრამ დრო შეიცვალა, ახალმა რეაქციის ქარმა დაბერა და დ. ყიფიანმა რაღაც გაუგებრობის ნიშნები იგრძნო. პირველად ნათლად და გარკვევით ეს უკმაყოფილება დ. ყიფიანმა გამოხატა კატკოვის წინააღმდეგ მიმართულ თავის წერილში 1865 წელს. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ 60-იან წლებში რუსეთის რეაქციონური პრესა კ. კატკოვის მეთაურობითა და თვითმპყრობელობის კარნახით სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა განაპირა ქვეყნის ეროვნებათა მიმართ. 1863 წლის პოლონეთის აჯანყების შემდეგ ეს ნაციონალისტურ „ფელიკოდერჟავნული" დემოკიდებულება დაჩაგრულ ერებისადმი უფრო გაძლიერდა და რეაქციონური „მოსკოვის ვედომოსტი" დაუზოგველად ანადგურებდა ამიერ-კავკასიის ერებს. კატკოვის რეაქციონურ გამოლაშქრებას საქართველოს წინააღმდეგ ხელი შეუწყო ორმა გარემოებამ:

პირველი—ახალი თაობის ინტელიგენციის ამოძრავებამ [1] და—გერცენის „კოლოკოლში“ რიონელის (ნიკო ნიკოლაძის) საინტერესო წერილის მოთავსებამ გლეხთა განთავისუფლების შესახებ საქართველოში. [2] ამ წერილის შესახებ კატკოვმა „მოსკოვსკიე ვედომოსტის„ № 154 ში მოათავსა სასტიკი წერილი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის საქმე ვერ არის კარგად, რომ აქ საბედისწერო გაუგებრობა ინასკვება და აჯანყების სუნი სცემსო. მეორე—1865 წ. 27 და 28 ივნისში ამქართა არეულობამ ტფილისში [3] საბაბი მისცა კატკოვს კვლავ გამოელაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და დაემტკიცებია აქ სეპარატისტული მისწრაფებების არსებობა. კატკოვი ყოველ წერილთან მოშენტს იყენებდა თავისებურად წინასწარ გარკვეული აზრის დასამტკიცებლად და, სხვათა შორის, იმ ფაქტსაც, რომ ტფილისის გუბერნიის თ.-აზნაურთა წინა ძველი თავის თავს ოფიციალურად საქართველოს თავ.-აზნაურთა წინანძველს უწოდებსო. [4]

დ. ყიფიანი იძულებული შეიქნა კატკოვის გამოლაშქრებისათვის პასუხი გაეცა და ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში „კავკაზში“ ვრცელი წერილი მოათავსა, რომელშიაც დაბეჯითებით უარყოფდა კატკოვის წერილის შინაარსს. საერთოდ კატკოვის რეაქციონერმა გამოლაშქრებამ დიდი აღფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. იმავე გერცენის „კოლოკოლში“ მეორეი პასუხი გასცეს კატკოვს ხელმოუწერელ წერილში, [5] ხოლო „კავკაზში“ გარდა დ. ყიფიანის წერილისა მოთავსებული იყო კატკოვის საპასუხოთ ვრცელი წერილი.

წერილის დასაწყისში დ. ყიფიანი ეხება იმ მთავარ საკითხს, რომელმაც გამოიწვია კატკოვის გამოლაშქრება საქართველოს წინააღმდეგ; ეს იყო 1865 წლის ამქართა აჯანყება ტფილისში. უნდა წინდაწინვე ვსთქვათ, რომ ეს აჯანყება გაპოწვიული იყო წმინდა ეკონომიური მიზეზებით; ახალი ეკონომიური ურთიერთობის განკითარებამ საქართველოში საგრძნობლად დასცა ხელოსნობა და შეავიწროვა ხელოსანთა წვრილ ბურჟუაზიული ფენები. მეორე მხრივ, ხელოვნურად ბაზრისა და ქალაქის გამგეობის ახალმა ფინანსიურმა ზომებმა და გადასახადებმა დიდი შეავიწროება მიაყენა ხელოსნობასა და ხელოსანთა კლასს. ამ ეკონომიურ-ფინანსიურ გარემოე-

[1] გერცენის „კოლოკოლ“-ის ერთერთ მიმოხილვაში ვკითხულობთ: „Недавно Кавказский Михаил отвратил страшную беду, висевшую над головой Росии, он открыл двух-трех гимназистов, составивших тайное общесетво „Молодой Грузии и молодой Армении“ и „Колокол“, № 1[illegible] 18[illegible]6 г.) За тем были арестованы в Петербурге какисто грузинские студенты.

[2] იხ. „Колокол“ № 198, 199, 1865 წ.

[3] ტფილისის ამქართა აჯანყების მეორეს 1865 წ. იხ. „Кавказ“, № 53, 63, 64, 1865 წ. და „Колокол“ № 202. 203, 204. 1865 წ.

[4] „Московские ведомости“ № 194. 1865 წ. მეთაური წერილი

[5] Из Грузии „Колокол“ № 208, 1706—08, 1865 წ. ეს წერილი შემდეგ გუთვნოდა ნ. ნიკოლაძეს (უფრო ვრცლად იხ. ნ. ნიკოლაძე: „ჩაჩეული ნაწერები“ ტ. 1)

ბაში უნდა ვეძიოთ ამ აჯანყების მიზეზები. კატკოვს სურდა აქ პოლიტიკური საბაბი დაენახა და პოლონეთის სეპარატიული მისწრაფების მსგავსი დაენახა ამქართა აჯანყებაში. დ. ყიფიანის პასუხიც ამ ხაზით არის მიმართული. იგი სწერს: „რაც შეიძლება 27 და 28 ივნისის ტფილისში მომხდარ ამბავს, რომელიც გამორკვეულია და მთავრობის განხილვაში შედის, მე უფლებას ვაძლევ ჩემს თავს პირადათ ჩემის მხრით ვაუწყო პრესას შემდეგი: 1) სრულიად ეეშმარიტებას შეიცავს, რომ ტფილისის არც ერთ მოქალაქეს ან ამქარს არ ჰქონია თან კარანდაშის სათლელი დანა, ამიტომ ჩვენება, რომ თითქოს იარაღი მათ დამალული ჰქონდათ ტანსაცმელს ქვეშ,—ცილისწამებაა და მეტი არაფერი და 2) სრულიად მსგავსი თავი'ი დასაწყისით, მაგრამ არა თავისი შედეგებით ამბები მოხდა ტფილისში 1829, 1830 და 1853 წლებში. არც ერთს მათგანში არავითარს პოლიტიკურს ადგილი არ ჰქონია; არც ერთ მათგანში რაიმე მსგავსი ხელისუფლების წინააღმდეგობისა არ ყოფილა; და არც ერთს მათგანს ვინმესათვის არ მიუყენებია, არამც თუ რაიმე დარბევა ან მკვლელობა, არამედ ერთი კაპიკის ზარალიც კი. მათი საბაბი ყოველთვის იყო უბრალო გაუგებრობანი; გამოირკვეოდა გაუგებრობა და მასა მშვიდათ მიდიოდა სახლებისაკენ.—რა საჭირო იყო რაღაც გაუგებრობის გამო მთელი ხალხის გამოფენა ქუჩებზე,—იკითხეთ თქვენ,—იმიტომ, რომ განმარტება სხვა გზით რაღაც ვერ ხდებოდა, თუ რატომ დამთავრდა ივნისის ამბები სხვანაირად—ეს გამოირკვევა კანონიერი გამოძიების გზით. მაგრამ რაც არ უნდა აღმოჩნდეს, გეტყვით თქვენ,—როგორც აშკარა მოწმე სამი წინანდელი საქმისა და როგორც შვილი აქაური ქვეყნის, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ტრიალებს აქაურ მცხოვრებლებში,—და იმედი მაქვს, რომ არავინ ადგილობრივ რუსებიდან, რომელნიც ჩვენ კარგად გვიცნობენ—ვერ უარყოფენ ჩემ სიტყვებს: გულწრფელ ერთგულებაში ხელმწიფე იმპერატორისადმი და მორჩილებაში ხელისუფლებისადმი ვერავინ ვერ შეედავება აქაურ ხალხს. გარეშე იმ გზისა, რომლითაც მივუყვართ თვით მთავრობას რაიმე ახალი იდეების, ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეიის ან რომელიმე პოლიტიკური მისწრაფებების ძებნა აქაურ ხალხში... ნიშნავს იმ სულრვილს, რომ ეს იდეები დაიბადონ... იმავე ტფილისის ამბების გამო თქვენი (კატკოვის) წერილი ფიქრობს ამ საქმეში პოლონელების რაღაც ხელმძღვანელობის შესახებ. მაგრამ რა საერთო არის აქაურ ხალხსა და მათ შორის; რომელი შეპაერთებელი წერტილი მოიძებნება იყოს ერთსა (ქართველებსა) და მეორეს (პოლონელებს) შორის“.[1]

[1] Дим. Кипиани: Еще по поводу пароходной статьи. № 194 „Московск. ведомости“. „Кавказ № 33, 1335 г. ანალოგიური ორი ფურცელი მეტი ხელმეტრიალია (იხ. სიძველეთა მეხეეში № 5232). ხოგიერთს ზემოხეეეაში ამ შავი ხელთნაწერით ვსარგებლობ.

დიმ. ყიფიანისა და მ. კატკოვის პოლიტიკა 1865 წელში აღმოცენებული იყო ორ სხვადასხვა ეროვნულ-პოლიტიკურ სოფლმხედველობის შეტაკებაზე. კატკოვი გამოხატავდა რუსულ „ველიკოდერჟავულ“ ნაციონალიზმის იმ მიმდინარეობას, რომელიც მოითხოვდა ყოველი ცალკე „ეროვნების“ გათქვეფას მთლიან რუსული საპელმწიფოს საზღვრებში: მისთვის არ არსებობდა ცალკე „ეროვნება“, ადგილობრივი საკითხი და სხვა; ყოველივე ეს გალესილი უნდა ყოფილიყო დიდ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში. თავის წერილში მ. კატკოვი სწერდა, რომ რუსული ნაციონალური სულის სისუსტის „გავლენით წარმოიშვა აზრი, რომ საჭირო არის ხელოვნური საშუალებებით მივიზიდოთ „ტუზემცები“ სამსახურში, და არა მხოლოდ დაჯილდოებული იქნეს მათი ნამდვილი დამსახურება, არამედ მათ მიმართ გამოჩენილი იქნეს მოწიწება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რუსები კი არა „ტუზემცები“ არიან, აქედან წარმოსდგება აზრი, რომ საჭირო არის არა შიაგანი გუბერნიების მკვიდრი თავად-აზნაურობის გაძლიერება, არამედ განაპირა ქვეყნების, „ინოროდცების“ თავად-აზნაურთა, რომ საჭირო არის შექმნა ადგილობრივ თავად-აზნაურობისა იმ განაპირა ქვეყნებში, სადაც ის ცოტა არის, და ამ ახლად შექმნილ თავად-აზნაურობას უნდა მიეცეს უპირატესობა რუსების წინაშე და მათ უნდა ჩაენერგოს შეპყრობილება, რომ ის თავის სახლში უნდა ითვლებოდეს გამგედ. რა საჭირო იყო ეს არა პოპულარული და უადგილო ზომები? სხვა არაფრისათვის, თუ არა მოდაში შემოსულ თეორიების განსახორციელებლად. თავადი ვორონცოვი სახელმწიფოებრივი კაცი იყო, განათლებული და კეთილმსურველი... მაგრამ მის გონებაში არ იყო ის, რასაც ეწოდება ნაციონალური პოლიტიკა. ის თვითონ არ გრძნობდა... სადაც კი მართველობდა იგი, ყველგან სტოვებდა თავის შემდეგ მოუწესრიგებლობის (неурядицы) თესლს.“ [1] ამრიგად კატკოვი მიწასთან ასწორებდა ვორონცოვის მთელ საქმიანობას და მის პროგრამას; მაგრამ მასთანვე კატკოვი მიწასთან ასწორებდა იმ პოლიტიკასაც, რომელიც მოითხოვდა „ინოროდცების“ სამშობლოსა და ტახტის შორის სრული კონტაქტის დამყარებას. კატკოვისათვის საკითხის ამგვარი სახით დაყენება არ არსებობდა; იგი მოითხოვდა ყოველგვარი „ნაციონალობის“ გალესვას რუსეთის ტახტის ქვეშ: „ტახტი“ მისთვის გამომხატველი იყო რუსული ნაციონალიზმის და სახელმწიფოებრივი ორგანიზმის მთლიანობისა. დ. ყიფიანმა გარკვევით დაინახა თავისი ეროვნულ-პოლიტიკური თეორიის საწინააღმდეგო დამარღვეველი პროგრამა: პირველად იგრძნო, რომ „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის უფსკრული აღმოჩნდა გათხრილი, რომელიც დაღუპვას უქადიდა მთელ მის საქმიანობასა და სამოღვაწეო პროგრამას. ამიტომ ენერგიულად ამოიღო ხმა და გაბედული ტონით დაიწყო თავისი სოფლმხედველობის დაცვა. მაგრამ დ. ყი-

[1] М. Катков: Собрание передовых статей Московских Ведомостей 1865 ст. 534, 1897 г.

ფიანისათვის უფრო განსაცვიფრებელი და გაუგებარი იყო ის მოსაზრება რომელსაც კატკოვი აყენებდა ქართველ თავად-აზნაურობის, როგორც ასეთის, არსებობის საკითხში: კატკოვისათვის არსებობდა მხოლოდ რუსეთის ერთიანი თავად-აზნაურობა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია; დ. ყიფიანის მთელი იმედი დამყარებული იყო ქართველ თავად-აზნაურობაზე, რომელიც მას მიაჩნდა ქართველი ერის მეთაურად და ხელმძღვანელად და რომლის საშუალებითაც აპირებდა იგი ტახტთან უერთგულესი კავშირის დამკვიდრებას. ამ თავად-აზნაურობის დაცვა დ. ყიფიანის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა. უწინარეს ყოვლისა მან დაიცვა ვორონცოვი კატკოვის თავდასხმისაგან. „ვორონცოვის სახელი,როგორც სახელმწიფო მოღვაწისა, — საპატიო ადგილს დაიკერს ამიერ-კავკასიის ისტორიაში“ სწერდა დ. ყიფიანი და ამით აღნიშნავდა იმ დიდ როლს, რომელიც ითამაშა ვორონცოვმა ადგილობრივ მცხოვრებთან დაახლოვების საქმეში. ქართველი თავად-აზნაურობის შესახებ ჩვენი ავტორი სწერს: „ჩემი სინდისის მოვალეობად და პირადი ჩემი გრძნობების მოთხოვნილებად მიმაჩნია, მაშინ როდესაც დასავლეთის ჰაერში არსებობს არსებული წყობილების საწინააღმდეგო სხვადასხვა იდეები და თეორიები, ყოველ შესაფერისს შემთხვევაში განვაცხადო ქართველ თავად-აზნაურობის არსებობის წესახებ, ამიტომ 1) რომ ეს ის თავად-აზნაურობაა, რომელიც გამობრძმედილი არის 22 საუკუნის გმირული დაცვით თავის სახლში კანონიერი წესწყობილებისა; 2) რომ ეს ის თავად-აზნაურობაა, რომელსაც ვერავითარმა უტოპიურმა თეორიებმა, ვერც რაიმე მატერიალურმა ძალამ რწმენა მართლმადიდებლობისადმი მე-4 საუკუნიდან ვერ შეურყია და ვერც შეურყევს. ვერ შეურყია ვერც ერთგულება კანონიერ ხელმწიფისადმი, რომელიც წარმოადგენს სასიცოცხლო საფუძველს ჯერ კიდევ ქრისტიანობის წინა დროიდან; 3) ეს ის თავად-აზნაურობაა, რომელიც მტკიცე კავშირშია ხალხთან და თავის მეფესთან,— შეგნებულად ხელს უწყობდა სამეფოს შეერთებას რუსეთის მართველობასთან და 1801 წ. ამჟამად არსებული, კანონიერი წესწყობილების დამკვიდრებას და, გვერწმუნეთ, ამ ჟამათაც არ არსებობს არავითარი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაახვევიოს მას სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის შეურყეველი ერთგულების გზიდან; 4) ამ თავად-აზნაურობას სავსებით ესმის და შეუძლია თავის წრეებსაც გადასცეს ის შეგნება, რომ ყოველივე ის სიკეთე, რომლითაც ის სარგებლობს და იმედი აქვს მომავალშიაც ისარგებლოს, — უავგუსტესი მონარხიის მოწყალებას წარმოადგენს [1]

ამაზე შორს მორჩილებისა და ერთგულების შეგნება ვერსად წავიდოდა: დ. ყიფიანმა არ დაზოგა ფერადები, არ დაზოგა ენაწყლიანობა, რომ უფრო მიმზიდველად და ღრმად გამოეხატა ქართველი თავად-აზნაურობის

[1] დიმ. ყიფიანის წერილი „Кавказъ“, № 83, 1865 წ. სიძველეთა ბუნეული № 5232

უმორჩილესი გრძნობები და უერთგულესი შეკნება რუსეთის ტახტისადმი. მაკრამ მ. კატკოვის გული მაინც ვერ მოიგო. კატკოვისათვის საკმარისი არ იყო უერთგულესი და უმორჩილესი გრძნობების გამომჟღავნება, მისთვის საქმე იყო აუცილებელი და უპირველესი პირობა, საქმე გაეღენთილი რუსული ნაციონალიზმის შეგნებით და რომელმაც სხვა არავითარი თავისებური ერთგულება არ იცოდა, გარდა მთლიანი რუსული საზოგადოებრივი ორგანიზმისა. თავის სასასუხო წერილში მ. კატკოვი სწერდა: „Мы убеждены, что грузинский патриотизм не может быть ничем иным как чистым русским патриотизмом... Мы не признаем в Закавказьи ни грузинского, ни армянского национализма; мы считаем попытку возбудить там стремления, противныя полному и неразрывному единству их с русским народом, злоумышленным; мы считаем попытки создать там символы армянской или грузинской национальности либо неразумием либо злонамеренностью". [1] მაგრამ ეს ცოტა იყო კატკოვისათვის: მას სურდა არა მარტო ნაციონალური შეგნებისა და ნაციონალური თვითარსებობის მოსპობა, არამედ ყოველგვარი ქართველობის გამომხატველობის მოსპობა. მისთვის მიღებული და გაუგებარი იყო ქართველი თავად აზნაურობის რაღაც თავისებური სახით არსებობა. ამ მხრივ დ. ყიფიანის არგუმენტაცია სასაცილოდ არ ყოფილა და მკაცრი კილოთი სწერდა: „Заявление о существовании Грузинского дворянства должно таким образом служить к очищению западного воздуха от враждебных идей и теорий... но дворянство есть дворянство: дворянство есть политическая организация. Лица, составляющие дворянство могут быть всякого происхождения, но национальност самого института определяется тем государством, к которому оно принадлежит. Коль скоро грузинское царство, некогда существовавшее и имевшее свою верховную власть и свое дворянство прекратилось... — то с упразднением его верховной власти, упразднилось и его дворянство; на место прежде бывшего Грузинского дворянства, явилось дворянство русское, получившее специальные наименования не по упраздненным царствам, а по существующим административным разделениям. Каким бы похвальным побуждениям ни руководствовался почтенный тифлисский губернский предводитель дворянства, мы смеем думать, что употребляемое им в торжественных случаях выражение: г р у з и н с к о е д в о р я н с т в о, есть выражение ошибочное, неправильное". [2]

დ. ყიფიანის არგუმენტაცია მიღებული აღმოჩნდა რუსეთის „ველიკოდერჟავნი" ნაციონალიზმის წარმომადგენლებისათვის. დ. ყიფიანს სურდა ქართველი თავად აზნაურობის როგორც ნაციონალური ერთეულისა და

[1] M. Катков: „Собрание передовых статей..." ст. 727.

ორგანიზაციის არსებობა დაესაბუთებია სამი დიდი არგუმენტით: 1) თავად-აზნაურობას უნდა დაეცვა არსებული წესწყობილება დასავლეთ ევროპის ბოროტი (ე. ი. რევოლიუციური) თეორიებისა და იდეებისაგან, 2) იგი გადაქცეული იყო რუსეთის ბატონობის დასაყრდენ ორგანიზაციად ამიერკავკასიაში და 3) მათი საშუალებით გაბმულიყო უმჭიდროესი კავშირი „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის. დ. ყიფიანის ასეთი უერთგულესი და უმორჩილესი ნაციონალიზმიც კი მ. კატკოვმა რუსეთის ერთიან ორგანიზმიდან გადასვლათ ჩასთვალა.

ასეთი იყო ის საინტერესო ბრძოლა, რომლის წარმოებაც მოუხდა დ. ყიფიანს 60-იან წლებში. ამ ბრძოლამ დ. ყიფიანის ეროვნულ-პოლიტიკური სოფლმხედველობა ვერ შეარყია, იგი ბოლომდე დარჩა ერთგული თავისი ძველი პროგრამისა; მაგრამ დიმ. ყიფიანი დარწმუნდა იმაში, რომ ზოგიერთ პირებს შეეძლოთ თავიანთი უგუნური პოლიტიკური გაუგებრობა გამოეწვიათ „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის; იმაში ღრმად დარწმუნდა იგა 80-იან წლებში, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება შეუდგა ქართული სკოლისა და ქართული ენის აღმოფხვრას და ამკარა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. 60-იან წლებში დ. ყიფიანის მიერ წარმოებულ კამათში კატკოვის წინააღმდეგ მხოლოდ პრელუდია იყო იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც ქართველი საზოგადოება აწარმოებდა 80-იან წლებში დონდუკოვ-კარსაკოვის რეაქციონური პოლიტიკის წინააღმდეგ და რომლის ერთერთ მთავარ მეთაურად იგივე დ. ყიფიანი გახდა. ამ ბრძოლის პერიპეტებს ადგილობრივ ძალებსა და რუსის რეაქციონურ ელემენტებს შორის უფრო ვრცლად ჩვენ შემდეგ გაეცნობით; აქ კი მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ მის ბრძოლას, როგორც პუბლიცისტისას, ქართული ენისა და ქართული სკოლის დაცვის საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, 80-იანი წლების დასაწყისიდანვე საქართველოში ძალი რეაქციის სუსხმა დაუპერა და რუსიფიკატორული პოლიტიკა საშკარაოზე გამოვიდა. უკვე 1880 წელში დაისვა ქართული ენის საკითხი ადგილობრივ ხელისუფლების აგენტების მიერ. მათ სურდათ გამოედენათ ქართული ენა სკოლიდან, ეკლესიიდან, საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან და რუსული ენის გაბატონებით ხელი შეეწყოთ რუსიფიკატორული პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის. ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ქართულმა პრესამ. ს. მესხი და სხვები „დროების“ ს ფურცელზე სასტიკად აკრიტიკებდენ ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამასა და სასწავლო გეგმებს. ქართული ენის დაცვის საქმეში დ. ყიფიანიც ჩაერია და თავისი ავტორიტეტული სიტყვა სთქვა, რომელიც არსებითად აგებული იყო მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და პროგრამის ძირითად საფუძვლებზე. ს. მესხის ერთი წერილის გამო („დროება“ № 254, 1881 წ.) მან მოათავსა იმავე „დროებაში“ რედაქციისადმი წერილი, რომელიც რედაქციის შენიშვნის მიხედვით, საცენზურო პირობების გამო, იმ სახით ვერ

დაბეჭდილა, როგორითაც ეს დ. ყიფიანს გაუგზავნია რედაქციაში. ამ წერილში დ. ყიფიანი პირდაპირ ამბობს, რომ ადგილობრივი მოხელენი ცრუგზაზე დგანან, მაგრამ განა ამაში დამნაშავეა ხელისუფლება? — არა, უპასუხებს ყიფიანი: „ცხადია, რომ აქ ცრუ გზაზედ დგომა უმაღლესი მთავრობის ბრალი არ უნდა იყოს". დ. ყიფიანის მოსაზრება ნათელი არის: რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას, იმპერატორს არ შეუძლია ცუდ გზაზე დგომა, მისი განზრახვა და სურვილები ქართველი ერის სიკეთისაკენ არის მიმართული; მაგრამ ამას ამახინჯებს ადგილობრივი მოხელეები, უვიცნი და გაუნათლებელნი. აქედან ცხადია დიმიტრის აზრით, რომ საჭიროა ბრძოლა ამ მოხელეთა წინააღმდეგ, განმტკიცება იმ აზრისა, რომ მოხელე ამახინჯებს „უმაღლესი ხელისუფლების" მისწრაფებებს. ყიფიანისათვის გაუგებარი იყო და სრულიად მიუღებელი ის დებულება, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის ძირითადი სათავე არა მოხელეებში იყო, არამედ თვით საზოგადოებრივ წყობილებაში, რომ ამ პოლიტიკას ასაზრდოებდენ არა უმნიშვნელო მოხელეები, არამედ გაბატონებული კლასი და მისი ინტერესების გამომხატველი — ცარიზმი. საკითხის ამ სახით დაყენება პრინციპიალურად მიუღებელი იყო დ. ყიფიანისათვის და ამიტომ მისი ბრძოლის ხაზიც სხვა გზით მიემართებოდა: იგი ძირითად ბოროტებას კი არ ებრძოდა, არამედ იმ ბოროტების უმნიშვნელო აგენტებს. ესეც ისტორიულად დასაფასებელი არის იმდენად, რამდენადაც ასეთი ბრძოლა ობიექტურ ისტორიულ პირობების გამო მაინც მიმართული იყო რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და ააშკარავებდა მის ბოროტ განხრახვებს.

აღსანიშნავია ის არგუმენტაციაც, რომლითაც დ. ყიფიანი ამტკიცებდა ქართული ენის უფლებასა და მის სარგებლიანობას. იგი სწერს:

„მაშ სრული ნება გვექნება ვიკითხოთ, ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ გზირებს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაც და რუსეთის მმართველობაც, როგორც ძველს დროებში, ისე ჩვენს მახსოვრობაში? რა დაუშავა ქართველობამ და ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოვსა, პეტრე ბაგრატიონსა, აფხაზოვსა, სავარსამიძეს, გიორგი ერისთავსა, დიმიტრი ორბელიანსა, — ჯერ რომ ქართული იცოდენ და მერე რუსული, ამითი რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდენ თუ? ქვეყნებს ვერ იმორჩილებდენ თუ? მოსე არღუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ ყოველთვის საოცრად უმარცხებდენ და ქვეყნებსაც რომ სახელოვნად უმორჩილებდენ რუსეთსა; ან გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლეონ მელიქიშვილი, — ვითომ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თავისი ქართველობა არ ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს და მერე რუსული. ან მიხეილ ტარიელიჩმა ლორის-მელიქოვმა რა შესცოდა ამითი, ქართულის ცოდნამ რა დაბრკოლება მისცა იმ სამხედროსა და სამმართველო მოღვაწეობაში, რომელსაც მთელი რუსეთი შეჰხარის და მრთელი მსოფლიო შეჰკვირვებია? რა შესცოდეს იმ ქართველებმა, რომელნიც რუსებთან

ძვურად ხელი ხელს გადაბმულნი რუსეთის დიდებისათვის თავის წმინდა სისხლს ერთად ანთხევდენ და რუსეთის მხედრობას მოუხედავად მიუძღოდენ საითაც მსახურების ვალი იწვეოდა" („დროება" № 262, 1880 წ. „დიმიტრი ყიფიანის წერილი").

როდესაც დამ. ყიფიანის მსჯელობასა და მთელ არგუმენტაციას აკვირდებით, თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ავტორი ქართული ენის უფლების დაცვის საქმეში ორ ძირითად დებულებას ეყრდნობა: 1) პრინციპიალურად და პრაქტიკულად შესაძლებელი არის ქართული და რუსული ენების ერთად არსებობა. რუსული ენა, როგორც სახელმწიფოებრივი ენა, იგი ყველასათვის საკალდებულოა; მაგრამ ქართული ენის სწავლა, მისი ცოდნა ქართველებისათვის არავითარ ზიანს არ მოუტანს რუსულ ენასა და რუსეთის პატრიოტობას. ასე მსჯელობს პირველ შემთხვევაში დ. ყიფიანი; 2) მაგრამ ქართულ ენას აქვს თავისი კანონიერი უფლება მოითხოვოს თავისუფალი არსებობა თავის საკუთარ სამშობლოში. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველო თავისით შეუერთდა რუსეთს და ქართველმა მამულიშვილებმა დიდძალი სისხლი დაანთხიეს რუსეთის ტახტის ერთგულებისათვის სხვადასხვა ომებში. ეს დანთხეული სისხლი საუკეთესო საწინდარია იმისა, რომ ქართველი ხალხი და ქართული ენა უზრუნველყოფილი იქნეს რუსეთის ტახტის მფარველობის ქვეშ. ასეთს ძირითად დებულებებს ატარებდა თავის პოლემიკურ წერილებში იანოვსკისა და სხვების წინააღმდეგ 80 იან წლებში. მაგრამ ვერც ამ არგუმენტაციამ დაარწმუნა რუსეთის ტახტის რეაქციონური მოხელეები და მისი აგენტები დ. ყიფიანის დებულების სისწორეში. და ბრძოლამ მეტისმეტად მწვავე და თავდავიწყებითი ხასიათი მიიღო ადგილობრივ ხელისუფლებასა და ქართველ საზოგადოების შორის დ. ყიფიანის მეთაურობით. ეს უსწორმასწორო ბრძოლა დ. ყიფიანისათვის საბედისწერო გახდა, მაგრამ ამაზე ქვევით.

დ. ყიფიანის პუბლიცისტური წერილების შინაარსი მარტო ქართველი ეროვნების, ენის და ქართული სკოლის დაცვით არ ამოიწურებოდა. იგი ცდილობდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში წამოჭრილ ყოველ მნიშვნელოვან ამოცანისათვის მიექცია თავისი ყურადღება და თავისი თვალსაზრისით გაეშუქებია. აღსანიშნავი არის მისი წერილები ამიერ-კავკასიაში სასამართლოს რეფორმის შესახებ[1] და შენიშვნები სასამართლოს წარმოების საქმეებში.[2] უნდა აღინიშნოს, რომ ეს წერილები არ არის მოკლებული ინტერესს და მაშინდელი ეპოქის თვალსაზრისით დ. ყიფიანი მრავალ საინტერესო შენიშვნას უკეთებს ამიერ-კავკასიაში გატარებულ სასამართლოს რეფორმას. დ. ყიფიანის წერილებიდან აშკარად სჩანს, რომ ავტორი არ იყო

[1] Д. Кипиани: „Заметки по поводу применения судебных уставов в Закавказском краю" — журн. „Юридическое обозрение" № 118, 119, 120, 123, 124, 1883.

[2] Д. Кипиани: „Эскизы в „Заметках о Закавказской судебной реформе" журн. „Юридическое обозрение" № 148, 150, 183, 194, 1884.

კმაყოფილი ამ რეფორმით და იგი მოითხოვდა რუსეთში გატარებული სასამართლოს რეფორმა მთლიანად გადმოეტანა ამიერკავკასიის პირობებში. საქმე ის არის, რომ თვითმპყრობელობამ მიიღო რა მეფეველობაში ადგილობრივი პირობები, სასამართლოს რეფორმა, — ისე როგორც სხვა რეფორმები, —კუდშეკვეცილად გაატარა ჩვენში. დ. ყიფიანი ამტკიცებს, რომ არავითარი ისეთი პირობები არ არსებობდა, რომ ამის მიზეზვით აძოეშალათ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მუხლებისა სასამართლოს რეფორმიდან. ავტორი აღნიშნავს რა მთელ რიგ ისტორიულ ფაქტებს საქართველოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებიდან, იგი დაასკვნის: „აქედან ცხადია, რომ აქური ნიადაგი ძველ დროიდანვე უკვე სრულიად მომზადებული ყოფილა, რომ შეეთვისებია ახალი სასამართლოს წყობილება ყველა თავის უმაღლესად მოფიქრებულს სრულყოფილ ფორმებში, რომელთაც განათლებული კაცობრიობა სცნობს როგორც აუცილებელ ატრიბუტს ჩქარი და სამართლიანი სასამართლოსათვის“.[1] მაგრამ ვიკითხოთ რა მოსაზრებით არ იყო კმაყოფილი დ. ყიფიანი. როგორი ცვლილებები შეტანილი საერთო სასამართლოს რეფორმაში იწვევდა ჩვენი ავტორის შენიშვნებს? იმავე წერილში დ. ყიფიანი გადმოგვცემს თავის საუბარს ამ რეფორმის შესახებ 1866 წ. სენატორ ვოიცეხოვიჩთან. დ. ყიფიანი ამბობდა:

„სასამართლოს საერთო რეფორმებს, თუ არ ვსცდები, თქვენ დაუდევით საფუძვლად: ამომრჩევლობითი წესი მომრიგებელ ინსტიტუტისა და სისხლის სამართლის სასამართლოსათვის; საერთოდ ღია და საჯარო სამართლის წარმოება და სრული გამოყოფა სასამართლოსი ადმინისტრაციისაგან.

ამიერ კავკასიის მხარისათვის ანომრჩევლობითი წესი უარყოფილია; მაშასადამე — მომრიგებელი ინსტიტუტის პერსონალი შედგენილი იქნება მოხელეებისაგან; დანაშაულობის ფაქტის გამსაზღვრელნი იქნებიან ისევ მოხელეები, მომრიგებელ მოსამართლეთა დანიშვნა დამოკიდებულია ადმინისტრაციისაგან, სასამართლოს წარმოება არ შეიძლება იქნეს სახალხო. ინაიდან მცხოვრებთა მასას არ ესმის ის ენა, რომელზედაც იქნება სასამართლოს წარმოება. სასამართლოს წარმოება რომ სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს, ამის წინააღმდეგ ვინ რას იტყვის; მაგრამ თუ ხალხს ეს ენა არ ესმის, მაშინ სად არის განმარტებების სწორად გადაცემის გარანტია? მთარგმნელები, რომელნიც რამდენადმე მაინც შეეფერებოდენ დანიშნულებას, რასაც ახლა დიდი მნიშვნელობა ეძლევა, არ მოიძებნება არც მარტო სასამართლოს პალატისათვის საკმარისი. მომრიგებელი მოსამართლის იურისდიქცია შეტის მეტად გაფართოებულია, მისი უფლება იმდენად გადიდებულია და მისი ფუნქციები იმდენად გართულებულია, რომ მისი მოვალეობათა შესრულება შეუძლებელია ერთი პირისაგან, — როგორც და ვისგანაც იყოს არჩეული ამ წმინდა მოწოდებისათვის; საოლქო სასამართ-

[1] Д. Кипиани „Заметки“... იქვე, № 120, გვ. 309, 1883 წ.

ლოს ეძლევა განსაკუთრებული, ორმაგი, ხასიათი; სასამართლო პალატა კი წარმოადგენს ხან პალატას, ხან სენატს, ხან კი საოლქო სასამართლოს. თვით გასინჯეთ განა შესაძლებელია თუ ცბიერებას არ გამოიჩენს კაცი, მოლოცვა წარმატების, რომელიც მიღწეულ იქნა საერთო დადგენილებათაგან ასეთი მნიშვნელოვანი გამორიცხვების შემდეგ?» [1]

ამ შენიშვნიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ დ. ყიფიანი არსებითად უკმაყოფილო იყო იმით, რომ სასამართლოს რეფორმას ამიერ-კავკასიაში ფრთები შეაკრეს და გამოაცალეს ის დამახასიათებელი თვისება, რომელიც მოსამართლის საჯარო არჩევაში გამოიხატებოდა, დ. ყიფიანი სრულიად საფუძვლიანად მოითხოვდა, რომ სახალხო მოსამართლენი თვით საზოგადოებას აერჩია და არა ადმინისტრაციას დაენიშნა. ამით მოსამართლე მეტი პასუხისმგებელი გახდებოდა და სასამართლოშიაც მეტი საზოგადოებრივი ელემენტი შეიკრებოდა. მეორე მხრივ, დ. ყიფიანი გარკვევით აყენებდა საკითხს სასამართლოს წარმოების საქ ეში ქართული ენის გამოყენების შესახებ. დ. ყიფიანის აზრით, სასამართლო უნდა იყოს ღია, ხალხისათვის მისაწვდომი და გასაგები. ეს მოხერხდება მაშინ, როდესაც სასამართლოში გამოყენებული იქნება ქართული ენა, რომელიც ხალხისათვის მისაწვდომი იქნება და გასაგები. ასეთი დებულების წამოყენება იმ ეპოქაში, როდესაც ქართული ენა ყოველმხრივ შევიწროებას განიცდიდა, დიმ. ყიფიანის აქტივში უნდა ჩაეწეროს ეს, მართლაც, საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო დ. ყიფიანის მიერ გადადგმული რეაქციის მძიმე პერიოდში.

მაგრამ აქ შეიძლება წერტილი დაესვათ და დავამთავროთ დ. ყიფიანის პუბლიცისტური წერილების გაანხილვა. ეს იყო საერთოდ დ. ყიფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობას ეხებოდა და როგორც ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან დავინახეთ, მისი შრომა ქართულ მწერლობაში საერთოდ საგულისხმიერო და აღსანიშნავი იყო. მაგრამ მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ დიმ. ყიფიანი თავის დიდ ცოდნასა და დაუშრეტელ ენერგიას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სამსახურს ანდომებდა. და აი სწორეთ 80-იანი წ ლები მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოღვაწეობის ერთერთ შესანიშნავ პერიოდს წარმოადგენდა. ამ პერიოდში უკვე ჭაღარით მოსილმა მოხუცმა თითქოს რაღაც იდუმალი განცდებით იგრძნო მისი წინ გათხრილი რაღაც უფსკრული და უფრო გაასკეცებული ენერგიით შეუდგა თავისი პრინციპებისა და თავისი ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამის დაცვას.

[1] იგივე, № 118, გვ. 258—9, 1883 წ.

## თავი მერვე

# 80-იანი წლები და დიმიტრი ყიფიანი

1

მკითხველმა უკვე იცის, რომ 80-იან წლებში დიმ. ყიფიანმა და მთელმა ქართველმა საზოგადოებამ მკაცრი პარტიზანული ბრძოლა გაუჩაღა ადგილობრივ ხელისუფლებას და დაგმო მისი რეაქციონურ-რუსიფიკატორული პოლიტიკა. ეს ბრძოლა ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო იმ საერთო სოციალ-პოლიტიკური ვითარებისა, რომელსაც განიცდიდა იმ პერიოდში მთელი რუსეთი: ეს იყო ხანა რეაქციის გამტკიცებისა. ხანა ალექსანდრე მესამის აგენტების—პობედონოსცევისა და ტოლსტოის განუსაზღვრელი დიქტატორისა. მაგრამ რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მკაცრსა და შეუპოვარ რეაქციას წინ უსწრებდა 70-იან წლების ფართო რევოლუციონური მოძრაობა და მკაცრი კლასიური პოლიტიკური ბრძოლები. 1861 წ. საგლეხო რეფორმა და მისი მომავალი საერობო სასამართლოსა და სხვა რეფორმების, რომელნიც ალექსანდრე II-ორის ხელმძღვანელობით ჩატარდა, თავისი ისტორიული საზოგადოებრივი მნიშვნელობით გამოხატავდა ნაბიჯს ბურჟუაზიულ ურთიერთობისაკენ გადადგმულს. მაგრამ ვინაიდგან ეს რეფორმები თვითმართველობის კარნახისა და მისი სახელმწიფოებრივი აპარატით იქნა გატარებული. აჰიტომ „რეფორმამაც“ მახინჯი სახე მიიღო და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მისი შემდეგი განვითარებისათვის კვლავ დარჩა უამრავი შემაფერხებელი მიზეზები. უკეთ, რომ ვსთქვათ, კაპიტალიზმს კვლავ უხდება რუსეთში ნახევრად ბატონყმურ პირობებში განვითარება. მართალია, 60-იან წლების ეპოქა ხასიათდებოდა პოლიციურ-მემამულეთა რეჟიმიდან მემამულეთა-ბურჟუაზიულ რეჟიმზე გადასვლის ცდებით და ბურჟუაზიული ფორმების თავისებური შეტანით რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ეკონომიურად და სოციალურად მაინც მსხვილი მიწათმფლობელები წარმოადგენდნენ უდიდეს ძალას და ამიტომ რუსეთის თვითმპყრობელობის სახელმწიფოებრივი აპარატი უმთავრესად კვლავ ამ ნახევრად ბატონყმურ წოდების ორგანიზაციას გამოხატავდა და ვერ ახერხებდა ბურჟუაზიულ მონარქიის საფუძვლებზე გადასვლას. აქედან წარმოსდგა ის ბრძოლა, რომელიც სწარმოებდა რუსეთში ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ძველ პოლიტიკურ წყობილების შორის, აქედანვე წარმოსდგა ის გაცხარებული ბრძო-

ლა, რომელიც 60—70 წლებში წარმოებდა რუსეთში სოციალურ კლასებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის.

როგორც ვიცით, რეფორმამ ვერ გაამართლა რადიკალურად მოაზროვნე ინტელიგენციის მიაწრაფებანი, ვერ გ ან ღდა ის, რასაც ეს ინტელიგენცია მოელოდა და მოითხოვდა ცხოვრების განახლებისათვის და მშრომელი მასების დასაცავად. ამაზედ აღმოცენდა დიდი და მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელსაც ახალი თაობის ინტელიგენციასა და თვითმპყრობელობის შორის გაჩაღდა 60 იან წლებში, ამავე 1861—64 წლებში დაარსდა მთელი რიგი რევოლუციონური ორგანიზაციებისა რუსეთში, რომელნიც თვითმპყრობელობის დასამხობად გადაჭრილ ბრძოლისათვის ემზადებოდენ. ამავე რევოლუციონური ოპოზიციონური განწყობილების გამოხატვილი იყო 1861 წლის სტუდენტთა გრანდიოზული დემონსტრაციები და გაფიცვები რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში. მაგრამ არც თვითმპყრობელობას ეძინა და იგიც ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა რევოლუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. პოლონეთის აჯანყების ჩაქრობა (1863 წ.), რევოლუციონური ორგანიზაციების განადგურება და მათი ხელმძღვანელობის დაპატიმრება—უკვე აღნიშნავდა რევოლუციონური მოძრაობის დამარცხებასა და რეაქციის გამარჯვებას—კარაკოზოვის ტერორისტური აქტი (1866 წ.) უკანასკნელი ცდა იყო რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა: მცირე რიცხოვანი რევოლუციონური ინტელიგენცია დამარცხდა და რეაქცია გამარჯვებული გამოვიდა ამ პირველ მნიშვნელოვან შეტაკებიდან. ამით დაიწყო „თეთრი რეაქციის“ პერიოდი რუსეთის ისტორიაში. 70-იან წლების ნაროდნიკული მოძრაობა მეორე მნიშვნელოვან რევოლუციონურ აფეთქებას წარმოადგენს რუსეთის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიაში. ამ ბრძოლის წინამორბედათ გადაიქცა, ისე როგორც 60-იანი წლების დასაწყისში, 1869 წლის სტუდენტთა გაფიცვები, ხოლო ამ ბრძოლების დაჩქეფებად ნეჩაევის რევოლუციონური ორგანიზაცია 1868 69 წლებში, ჩაიკოვსკის ჯგუფი (1869), 1873—76 წლების ინტელიგენციის „ხალხში სიარული“, ჟურნალ „ვპერიოდის“ და მისი ხელმძღვანელის პ. ლ. ლავროვის თეორიული და რევოლუციონური საქმიანობა, 1876—79 წლებში „მიწა თავისუფლების“ პარტიის რევოლუციონური მოღვაწეობა, 1879—84 წლის სახელოვან „ნაროდნაია ვოლიას“ პოლიტიკურ-რევოლუციონური ბრძოლა და „ჩორნი პერედელის“ რევოლუციონური საქმიანობა, ბოლოს „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ ჩამოყალიბება 1883 წ.—ყველა ესენი გამოხატავდა იმ ბრძოლის ეტაპებსა და ფორმებს, რომელიც 70-იანი წლების პერიოდში განვლო ინტელიგენციამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თვის რევოლუციონურ მოღვაწეობის დროს. ამ მოძრაობის თავისებურ დამატებას წარმოადგენდა მთელი რიგი შუშათა გაფიცვებისა 70-იან წლებში და სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილო-

ეთ რუსეთის მუშათა ორგანიზაციები, რომელიც მარქსისტული მოძრაობის წინამორბედათ უნდა ჩაითვალოს.

თვითმპყრობელობა უკვე გრძნობდა, რომ მისი საფუძვლები ირყეოდა, რომ მას ხელიდან ეცლებოდა ნიადაგი და თავაშვებული კრამოლა უპირებდა განადგურებას. თვითმპყრობელობამაც აამოძრავა თავისი აპარატი და შეუდგა რევოლუციონური მოძრაობის განადგურებას. ამ რეაქციის უმძიმესი და უსაშინელესი პერიოდი დაიწყო 80-იან წლებში, როდესაც ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ (1881 წ) ტახტზე ავიდა ალექსანდრე მესამე და თვით რევოლუციონურ ორგანიზაციას „ნაროდნაია ვოლიას“ ფიზიკურად გამოელია ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა. ეს იყო შავი რეაქციის პერიოდი რუსეთის ისტორიაში, როდესაც თვითმპყრობელობამ მოინდომა თავისი უკვე შერყეული სოციალური საფუძვლების გამაგრება და პოლიტიკური მართველობის განმტკიცება უსაშინლესი ზომებით. ხელისუფლებისათვის უკვე ნათელი შეიქმნა, რომ ის სოციალური ბაზა, რომელზედაც ის ეყრდნობოდა უკვე შერყეული იყო: მსხვილ მემამულეთა ეკონომიურ ბატონობას ნიადაგს აცლიდა ხელიდან ახალი კაპიტალისტური ურთიერთობა, რომ თავად-აზნაურობა, როგორც წოდება, კრიზისს განიცდიდა ახალ სამეურნეო პერიოდში და ეს კრიზისი თავის თავად ასუსტებდა ხელისუფლებას, თვითმპყრობელობის პოლიტიკურ აპარატს; მეორე მხრივ, 60—70-იან წლების რევოლუციონურმა მოძრაობამ მთავრობა დაარწმუნა იმაში, რომ მას კრამოლის საწინააღმდეგოდ დასაყრდნელი სოციალური ძალა ესაჭიროება, რომ რევოლუციონურ მოძრაობას მტკიცედ ორგანიზაციულად დარაზმული თავადაზნაურობა უნდა დაუპირისპირდეს. აქედან წარმოსდგა თვითმპყრობელობის ეკონომიური პოლიტიკა, აღედგინა მატერიალური ეკონომიური ბაზა თავადაზნაურობისა და გადაერჩინა იგი განადგურებას და გადაექცია ეს წოდება უდიდეს სოციალურ ფაქტორად თვითმპყრობელობის ბატონობის საქმეში. ამ მიზნებს ემსახურებოდა სხვათა შორის ის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, რომლის დანიშნულება იყო თავად-აზნაურობისათვის იაფი კრედიტის მიწოდებით აღედგინათ მისი ეკონომიური ბატონობა. მეორე მხრივ თვითმპყრობელობა ცდილობდა ადგილობრივი თავად-აზნაურობა ჩაება ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის საქმეში, გადაეცა მისთვის პოლიტიკურ ადმინისტრატიული ფუნქციები და მით მაზრებსა და გუბერნიებში შეექმნა თავისთვის მტკიცე სოციალური ბაზა და ადმინისტრატიულ პოლიტიკური აპარატი. ამ მიზნებს ემსახურებოდა 1890 წ. საერობო კონტრრეფორმა, რომელიც 1864 წლის საერობო რეფორმის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, რადგან ეს უკანასკნელი მიუხედავათ თავის კლასიურ ხასიათისა, მაინც გადაიქცა საერობო ლიბერალობის ორგანიზატორად. 1890 წ. კონტრრეფორმას საფუძვლად დაედო აშკარა თავად-აზნაურული პრინციპი.

ევროპა პირდაპირ დაუმორჩილდა ხელისუფლებას და გადაიქცა „მთავრობის მოკავშირედ“. ასეთი იყო სოციალ-ეკონომიური შინაარსი იმ რეაქციისა, რომელიც გარკვევითა და ნათლად ჩამოყალიბდა 80-იანი წლების შემდეგ პერიოდში. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო თვითმპყრობელობის სოციალური საფუძვლების გამაგრება და პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი შენობის განმტკიცება. ამ მთავარ მიზანს ემსახურებოდა ყველა ის ღონისძიებანი რომელსაც მთავრობა მიმართავდა ადმინისტრატიულ, სამეურნეო და კულტურულ სფეროებში. ყველაზე უფრო ნათელი და აშკარა გამომხატველი რეაქციონური დიქტატურისა იყო ის, რომ 80-იან წლებიდან მოკიდებული რუსეთი სასტიკი „ოხრანკის“ რეჟიმში ცხოვრობდა: რეაქცია ალარ დაკმაყოფილდა მესამე განყოფილების ჟანდარმთა აპარატით და მის დამხმარედ და პოლიტიკურ პოლიციის მთავარ მეშვეობად დაარსებული იქნა „ოხრანკა“ და მისა განყოფილებები, რომელნიც განსაკუთრებული უფლებებით იქნენ აღჭურვილნი. ამავე რეაქციას ენსახურებოდა ხელისუფლების სასწავლო გეგმები, უნივერსიტეტების და სასწავლებლების სასტიკი რევიზის ქვეშ დაყენება, 1882 წ. საცენსურო ტერორის აღდგენა, ამ ფართო რეაქციონურ ღონისძიებათა რიგს ეკუთვნოდა ის საშინელი ტერორი, რომელიც გამეფდა საერთოდ ყველა ე. წ. „ინოროდცებისა“ და კერძოთ ებრაელთა წინააღმდეგ. ალექსანდრე მესამეს რეაქციონური პოლიტიკა 80-იან წლებში გაგრძელება იყო იმ პოლიტიკასა, რომელსაც ადგა მისი მამა ალექსანდრე მეორე. ის რაც დაიწყო მამამ, უფრო მკაცრი ფორმებით დაამთავრა შვილმა.

ამ შავი რეაქციის სუსხმა როგორც სხვა განაპირა ქვეყნებსა და დაჩაგრულ ერებს, ისე ამიერ-კავკასიასაც და კერძოდ საქართველოსაც მეტად ძძიმე პირობები შეუქმნა არსებობისათვის. რეაქცია დაჩაგრულ ერებს და განაპირა ქვეყნის მცხოვრებთ უფრო მეტათ ავიწროებდა, ვინემ ცენტრალურ გუბერნიების მცხოვრებთ: თუ ერთის ხრივ თვითმპყრობელობა სცდილობდა მკაცრად გაეტარებია აქ ყველა ის რეაქციონური ზომები, რომელსაც იგი ატარებდა შიდა გუბერნიებში, მეორე ხრივ მის გასაკუთრებულ ამოცანას შეადგენდა აღმოეფხვრა აქ ყოველივე ნაციონალური მოძრაობა და გაეთქვიფა ყოველივე ნაციონალური საერთოდ რუსულში. ამ მიზნებს ენსახურებოდა მისი რუსიფიკატორულ-იმპერიალისტური პოლიტიკა.

როგორც უკვე ვიცით, იმ მნიშვნელოვანმა რადიკალურ-დემოკრატიულმა გონებრივმა მოძრაობამ და რევოლუციონურმა საქმიანობამ, რომელმაც მოიცვა 60—70-იანი წლების რუსეთის ახალგაზრდობა, ჩვენს ახალთაობის ინტელიგენციაზედაც ძლიერი ზეგავლენა მოახდინა თავისი ზესაფერისი გაელენა. აქაც დაარსდა რევოლუციონური ორგანიზაციები და წრეები, რომელნიც რუსეთის მოძრაობის დიდ გაელენას განიცდიდენ. აქაც 1876 წელში დაპატიმრებული იქნა რამოდენიმე ათეული ახალგაზრდა რევოლუციონური

ორგანიზაციების წევრები. 70-იანი წლების მოძრაობის დამარცხების შემდეგ 80-იან წლებში საქართველოში უფრო მნიშვნელოვანი მუშაობა გაჩაღდა ნაროდნიკული ორგანიზაციების მხრივ, რომელნიც დიდ პროპაგანდას ეწეოდენ მოსწავლე-ახალგაზრდობასა და მუშა-ხელოსნებში. ქართველმა ნაროდნიკებმა ინტელიგენციამ თავისი ჟურნალიც გამოსცა 1881 — 83 წლებში „იმედის“ სახელწოდებით. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაროდნიკების პროპაგანდამ და სასწავლებლებში გამეფებულმა რეჟიმმა თავისი გაელენა მოახდინა მოსწავლე ახალგაზრდობაზე და მათაც მოაწყვეს მთელი რიგი გამოსვლებისა რაც ბოლოს ლაღიაშვილის ტერორისტული აქტით დამთავრდა. სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის ფაქტებმა საქართველოშიაც მიიღო მწვავე ხასიათი. „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიამ აქაც შესძლო თავისი ორგანიზაციის მოწყობა და აქაც ავრცელებდა თავის რევოლუციონურ ფურცლებს. ის არალეგალური მოწოდებანი და ფურცლები, რომელსაც უშვებდენ რევოლუციონერები ალექსანდრე მეორეს გარდაცვალების შემდეგ საქართველოშიაც ვრცელდებოდა. განსაკუთრებით ვრცელდებოდა იგი ჯარის ნაწილებში და სასწავლებლებში. აი ორიოდე ნიმუში ხელთნაწერად გავრცელებულ ფურცლებისა:

**ხალხო!**

აჯანყდით, არ დაანებოთ იმპერატორს კორონაციის მიღება. ხელმწიფე ხალხის დამღუპველია.

**ხალხო!**

არ აცალოთ ხელმწიფეს კორონაციის მიღება.

მოითხოვეთ კონსტიტუცია, ხომ უყურებთ, რომ ჩვენ უკანასკნელ ლუკმა პურს გვართმევენ.

ურა! [1]

კონსტიტუცია!

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველგვარ რევოლუციონურ საქმიანობას საქართველოში გაფაციცებით ადევნებდენ თვალყურს თვითმპყრობელობის აგენტები და ყოველგვარ ზომებს ღებულობდენ ძირშივე ჩაეკლათ ყოველივე რევოლუციონური მოძრაობა და მისი ორგანიზაციები. ამ მხრივ რუსეთის თვითმპყრობელობის აგენტები იმავე ზომებსა და საშუალებებს მიმართავდენ, როგორსაც შიდა რუსეთის გუბერნიებში.

მაგრამ ამით რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება არ კმაყოფილდებოდა, მას სურდა არა მარტო რევოლუციონური მოძრაობა აღმოეფხვრა არამედ შეეიეწროვებია აქაური ერები და აღმოეფხვრა ყოველივე ნაციონალური. რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება, ერთი მხრით, ცდილობდა გაეძლიერებია ამიერ-კავკასიაში რუსული ელემენტი და ამ მიზნით ფარ-

[1] გრ. გიორგაძე: „თვითმპყრობელობა და რევოლიუცია“, წიგნი პირველი, გვ. 70, 1830 წ.

თო კოლონიზაციური პოლიტიკის წარმოებას შეუდგნენ: მიწის სიუიწროვის ქვეყანაში ხელოვნურად აძლიერებდენ მოსულ ელემენტებს და ამით ამწვავებდენ ღარიბ მცხოვრებთა შორის დამოკიდებულებას. მეორეს მხრივ, ხელისუფლება აშკარათ დაადგა რუსიფიკატორული პოლიტიკის გზას და სასწავლებლიდან, ეკლესიიდან და დაწესებულებებიდან ენერგიულად სდევნიდა ქართულ ენასა და ავიწროვებდა ქართულ კულტურას. მესამე მხრივ, აღსანიშნავი არის, რომ თვითმპყრობელობამ ამიერ კავკასიის თვით პოლიტიკურ-ადმინისტრატიულ წყობილებაშიაც მოახდინა ცვლილება და მთელი ეს მხარე მტკიცეთ დაუკავშირა ცენტრალურ ხელისუფლებას. აქაც შემოიღეს გენერალ-გუბერნატორების თანამდებობები, რომელთაც მიცემული ქონდათ სახელმწიფოებრივი წესწყობილების დაცვის საქმეში განსაკუთრებული უფლებები ჯარია მხედარ სარდლებისა ომის პერიოდში; ეს უკვე სამხედრო ხასიათის დიქტატურის დაწესებას უდრიდა საქართველოში. მაგრამ რაც აღსანიშნავია ეს ის არის, რომ 80-იანი წლების დასაწყისიდან კავკასიაში გაუქმეს მეფის ნაცვლობა და შემოიღეს მთავარ მმართველობის წესი. ამ „რეფორმამ" საკმაო წონის ცვლილება გამოიწვია ამიერ-კავკასიის მართველობის საქმეში", ამ დებულებით გაუქმებული იქნა ის ადმინისტრატიული ავტონომიური უფლებები, რომელიც მინიჭებული ქონდა მეფის ნაცვალს, კავკასიაში შემოღებულ იქნა რუსეთის იმპერიაში არსებული მართველობის საერთო წესი. ხდება კავკასიის და კერძოთ საქართველოს ადმინისტრატიული საბოლოო გათქვეფა რუსეთიის თვითმპყრობელობის აპარატში.[1] აქ მოყვანილ ცნობებიდან მკითხველს თვითვე ნათლად შეუძლია წარმოიდგინოს თუ როგორი მძიმე და შემაძრწუნებელი პერიოდი დაიწყო საქართველოს ისტორიაში 70 — 80 წლებში. ამ ეპოქაში ნათლად და გარკვევით გამოჩენილ ვნდა წინააღმდეგობანი „ტახტსა" და სამშობლოს" შორის: მძიმე წონიანმა სახელმწიფოებრივმა აპარატმა ამიერ კავკასიაში გარკვეული მიზნები დაისახა და ცდილობდა ყველა იმ ფორმებისა და ორგანიზაციების დარღვევას, რომელშიაც ადგილობრივი ნაციონალური კულტურა და ენა გამოიხატებოდა. ბრძოლა რეაქციონურ დიქტატურისა და ადგილობრივ ძალებს შორის აშკარა შეიქმნა.

ამ მძიმე და საშინელ რეაქციის ხანაში მთელი ქართველი პრესა და მრეწველი სასიცოცხლო ძალები ამოძრავდენ და ეავდაცვას შეუდგენ მისაწვდომი საშუალებებით. ამ თავდაცვის მებრძოლთა პირველ რიგებში განსაკუთრებული ადგილი დიმ. ყიფიანმა დაიჭირა. უკვე საკაოდ შეუაღარავებული ძველი მოღვაწე რაღაც გაასკეცებული ენერგიით აღიჭურვა და თავგამოდებით შეუდგა თავდ ცვის წარმოებას, მაგრამ დიმ. ყიფიანს არ შეეძლო ერთგვარი უხერხულობა არ ეგრძნო: ერთი მხრით, იგი თითქოს იზიარებდა რევოლუციონერების წინააღმდეგ მიმართულ მთავრობის ზომებს.

[1] გო. გიორგაძე: „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში", გვ. 208 — 09, 1928 წ.

მეორე მხრივ, იგი ვერ ურიგდებოდა იმ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ატარებდა ცხოვრებაში. მაგრამ მისი უხერხული მდგომარეობა უფრო გაღრმავდება, თუ ჩვენ მოვიგონებთ იმ ეროვნულ-პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელსაც დიმ. ყიფიანი იცავდა: მას არ სწამდა „ტახტსა" და „სამშობლოს" შორის რაიმე წინააღმდეგობის არსებობა და ახლა 80-იან წლებში, როდესაც ეს წინააღმდეგობა აშკარა გახდა დ. ყიფიანმა მთელი ამ „გაუგებრობის" წარმოშობა ადგილობრივ ხელისუფლების უგუნურ პოლიტიკას დააბრალა და მთელი თვისი მძაფრი მახვილი დონდუკოვ-კარსაკოვისა და მისი აგენტების წინააღმდეგ მიმართა. ამ აშკარა რეაქციის ხანებშიაც დ. ყიფიანს არ სურდა დაენახა, რომ რუსიფიკატორულ პოლიტიკის სისტემა არა ადგილობრივი ხელისუფლების ნაყოფი არის, არამედ თვითმპყრობელობის ძირითად შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ „ტახტი" თავისი ძირითადი საფუძვლებით ვერ დაინდობდა „სამშობლოს" და მისს განადგურებას უნდა შედგომოდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მეთაურნი და ჩისი მოხელენი მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების გეგმებს ანხორციელებდენ ცხოვრებაში.

ამრიგად დ. ყიფიანისათვის ამ სუსხიან რეაქციის ხანაშიაც გაუგებარი დარჩა ის წინააღმდეგობა, რომელიც მის ეროვნულ პოლიტიკურ პროგრამასა და სოფლეხელველობაში არსებობდა. მას არც შეეძლო ეს წინააღმდეგობა დაენახა, იმდენად ღრმად შექსოვილი იყო მისი სამოღვაწეო პროგრამა თავისი წოდების ინტერესებთან.

მიუხედავათ ამისა უნდა ვთქვათ, რომ დ. ყიფიანის ბრძოლა 80-ი:ნ წლებში მეტად მნიშვნელოვან მოვენტს წარმოადგენდა საქართველოს უახლოეს ისტორიაში. პირველ ხანებში დ. ყიფიანი, ლიტერატურის, პრესისა და პროპაგანდით ცდილობდა დაეარწმუნებია თავისი მოწინააღმდეგენი თავიანთ პოლიტიკის უგუნურებაში, იგი მთელ რიგ წერილებს ბეჭდავდა ქართულსა და რუსულ გაზეთებში ქართული ენისა და ქართული სტილის დაცვის მიზნით; მიწასთან ასწორებდა ცნობილ იანოვსკის საასწავლო პროექტებს და დაბეჯითებით მოითხოვდა ძველი—მაგ. ვორონცოვის პერიოდის დაბოკიდებულების აღდგენას. მაგრამ, როდესაც მისმა ამ მხრივმა მოღვაწეობამ და საქმიანობამ ვერ გასჭრა, 1885 წლიდან დ. ყიფიანი შეტევაზე გადავიდა და პრაქტიკული ნაბიჯები გადასდგა ცენტრალურ ხელისუფლებამდე ამ აუტანელი პირობების შესახებ ცნობების მიწოდების მიზნით: ამ ხნიდან გაღრმავდა ბრძოლა მასსა და დონდუკოვ-კორსაკოვის შორის, რასაც შედეგად მოჰყვა მისი ადმინისტრატიული წესით სტავროპოლში გადასახლება და შემდეგ ტრაგიკული სიკვდილი. მაგრამ ახლა დრო არის გავეცნოთ დ. ყიფიანსა და ადგილობრივ ხელისუფლების შორის წარმოებულ ამ ბრძოლის პერიპეტიებს ფაქტიური მასალებისა და დოკუმენტების მიხედვით.

2

80-იან წლებში დიმ. ყიფიანს უკვე საკმაოდ დიდი სახელი ჰქონდა შოხვეპილი ქართველ საზოგადოებაში, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობით, თავდადებული და ენერგიული შრომით; სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სამსახურში დ. ყიფიანმა დიდი მოღვაწის სახელწოდება დაიმსახურა. იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებებში. მას ხვდა წილად 1879 წ. დაარსებულ ქართველთა შორის წერაკითხვის საზოგადოების პირველი თავმჯდომარეობა. ამ დიდ კულტურულ დაწესებულებას, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა საქართველოში სწავლა განათლებისა და კულტურის გავრცელების საქმეში, დ. ყიფიანის ინიციატივითა და მეთაურობით ჩაეყარა საფუძვლები და მისივე ხელმძღვანელ მონაწილეობით ახერხებდა ეს დაწესებულება ფართო კულტურული მუშაობის გაჩაღებასა, როდესაც პირველი შემოტევები დაიწყეს 70-იანი წლების დასასრულს იანოვსკის მეთაურობით ქართული სკოლისა და ენის წინააღმდეგ, ქართველი საზოგადოების გულისყური ძალაუნებურად დიმ. ყიფიანზე შეჩერდა: საზოგადოებამ ქართული ენისა და სკოლის დამცველი რუსიფიკატორულ პოლიტიკისაგან დიმ. ყიფიანში დაინახა, თითქოს საზოგადოება ინსტიქტიურად გრძნობდა, რომ იგი შესძლებდა ენერგიული ბრძოლის წარმოებასა და ამ ბრძოლის შესაფერისად დაგვირგვინებას. 1881 წ. 21 აპრილის თარიღით ცნობილი მოღვაწე ნ. ცხვედაძე პირად წერილში სწერს დ. ყიფიანს:

„უ. იანოვსკიმ ხელ-მეორედ დაამტკიცა, თუ რა ცუდი თვალით უცქერის ჩვენი ხალხის განათლებას, თუ რა ცოტა მნიშვნელობას აძლევს საზოგადოების აზრს და მოთხოვნილებას. მკონი ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო სასწავლებლის დირექტორმა უეჭველად უნდა იცოდეს სკოლის ენა, ხალხის მოთხოვნილებანი, მისი ხასიათი, ზნეობა და ჩვეულებანი. უამისოთ იმას არ შეუძლიან მოუტანოს ხალხს განათლების ჯეროვანი სარგებლობა. მაგრამ ყველა ეს ან არა სწამს უფალ იანოვსკის, ან კიდევ სწამს, მაგრამ განგებ სჩადის და სახალხო სკოლების დირექტორად ნიშნავს იმგვარ კაცებს, რომლებმაც არც სკოლის ენა იციან და არც ხალხს იცნობენ. აი ეხლა უ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი, დაინიშნა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორად, ამის მაგივრად კიდევ აქ საქართველოს გულში სახალხო სკოლების დირექტორად დაამწესა უხეირო, გამოუცდელი, ქართული ენის უცოდინარი უ. დარსკი. ამ ათი წლის წინად ჩვენ განმანათლებლებს შეეძლოთ ეთქვათ: „ძლიერ გვსურს ქართველებთაგანი დავნიშნოთ დირექტორებად, მაგრამ საუბედუროდ ქართველობაში არ მოიპოვებიან პედაგოგიის ასპარეზზე გამოსადეგი კაცები, ეხლა კი ამის თქმა არ შეუძლიათ. არც ერთი ქართველთაგანი უ. დარსკზე ნაკლები არ არის. თითოეული მათგანი ჭკუა-გონებით, გამოცდილებით ძლიერ მაღლა დგას ახალ დირექტორზე და ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც სახალხო სკო-

ლებისათვის დირექტორებს ეძებენ, იმას კი არ უცქერიან აღმოაჩინონ მარ-თლად გამოსადეგი პირნი არამედ, — იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი და ეს მოვლენა როგორც განათლებულ რუსისათვის ისე განათლებულ ქართველისათვის, — ერთი სიტყვით ყველასათვის ვისთვისაც კი ძვირად ღირს ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობა, დიდი სამწუხარო მოვლენაა.

ჩვენ დიდად ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ამგვარ საქციელებას საქართველოს განმანათლებელისას მანდ ყველას შეატყობინებთ. მისს ბრწყინვალებას გრაფს ლორის-მელიქოვს, როგორც წარჩინებულ სახელმწიფო მომქმედ პირს არაფრად არ იამება აქაური სწავლა განათლების მთავრობის მოქმედება, დარწმუნებული ვართ, რომ არც ბარონი ნიკოლაი — სწავლა-განათლების ახალი მინისტრი მოიწონებს, თუ კი დაწვრილებით შეიტყონ ყველა ეს.

ღრმად პატივცემულო დიმიტრი ივანიჩ, როგორც თქვენ გტკივათ გული ჩვენი მამულისათვის, როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე არავის. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ. ამისათვის ისევ თქვენ უნდა იხეაროთ ყოველგვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერის მოქმედებით ჩვენი სამშობლო საქმე გაასწოროთ“.[1]

დიმ. ყიფიანმა იმდენად დიდი სახელი მოიხვეჭა მაშინდელ მოწინავე ქართველ საზოგადოებაში, რომ ბევრნი მათგანი სრულიად დარწმუნებული იყო — დ. ყიფიანი თუ მოისურვებს **სიტყვიერი მოქმედებით გაასწორებდა სამშობლოს საქმეს.** მაგრამ ამაში დარწმუნებული იყო საზოგადოების არა მარტო მოწინავე წრე, არამედ უმთავრესად თვით დ. ყიფიანიც: მას ღრმად სწამდა, რომ სიტყვიერი მოქმედებით, ახსნით, განმარტებით ყოველგვარი გაუგებრობა გაიფანტება და ნორმალური ურთიერთობა დამყარდება საზოგადოებისა და ხელისუფლების შორის.

მაგრამ დ. ყიფიანს თავისად სთვლიდა არა მარტო ქართველი საზოგადოება, არამედ თვით ადგილობრივი ხელისუფლებაც. მიუხედავად იმისა, რომ 1860 იან წლების დასაწყისში ბარიათინსკის განკარგულებით დაითხოვეს მეფის მოადგილის საბჭოს წევრობიდან, იგი მთავრობის თვალში მაინც სანდო და ერთგულ კაცად ითვლებოდა. 1880 წლის ერთი დოკუმენტი გვიმტკიცებს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა დ. ყიფიანი გამოეყენებია თავის საქმისათვის. 1880 წ. 17 ნოემბრის თარიღით მეფის მოადგილის მთავარ სამმართველოს გამგის მოვალეობის აღამასრულებელი პესჩეროვი სრულიად კონფიდენციალურად სწერდა დ. ყიფიანს:

[1] იხ. „მიწერ-მოწერა დიმ. ყიფიანთან“- „სახალხო გაზეთი“, № 660, 1912 წ.

სრულიად კონფიდენციალურად

მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანესძე!

მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ ხელმწიფემ დიდმა მთავარმა მეფის მოადგილემ ინება მიეღო ს. — პეტერბურგიდან ცნობები შესახებ იმისა, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სასწავლებლის საბჭოში შედიან ისეთი პირები რომელნიც ან პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი კავკასიის რევოლუციონური წრის საქმის გამო ან მასთან ახლოს იდგნენ.

ამ პირთა შორის, სხვათა შორის, აღნიშნული არიან: ანტონ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი ელენე და ძმა უკანასკნელის ნიკოლოზ ყიფიანი.

დიდი მთავრის მეფის მოადგილის ბრძანებით, წარმოებული ძიების ცნობებით აღმოჩნდა, რომ 1876 წ. ანტონ ლორთქიფანიძე და მისი ცოლი, ნამდვილად იყვნენ პასუხისგებაში მიცემულნი ქუთაისში მაენე პოლიტიკური წრის შედგენის გამო, და ნიკოლოზ ყიფიანი კი 1869 წ. უმაღლეს სასწავლებლებში მოხდარ არეულობათა გამო გადმოსახლებულ იქმნა ს.— პეტერბურგიდან კავკასიაში და იმყოფებოდა პოლიციის თვალყურის დევნების ქვეშ.

როცა ეს ცნობები მოხსენდა მთავარმართებელს, მისმა უმაღლესობამ, მიიღო რა მხედველობაში, დიდი ხანი გასულა მას შემდეგ რაც ამ პირებმა სახელი გაიტეხეს პოლიტიკური კეთილ-საიმედობის მხრივ და გამოააშკარავეს ისეთი შეხედულებანი, რომელნიც არ ეთანხმებიან მთავრობის ნებასა და განხრახვებს, ინება დაედგინა, რომ უხერხულია მათი ხელმძღვანელობის ქვეშ დანარჩუნება დაწესებულებისა, რომელთა ამოცანასაც შეადგენს მცხოვრებთა შორის განათლების გავრცელება.

იმ ნათესაობრივი ურთიერთობის გამო, რომელიც გაკავშირებს თქვენ აღნიშნულ პირებთან და იმიტომ, რომ არა ჰსურთ, ამ შემთხვევაში, წარმოებული იქნას რაიმე ძალდატანებითი ზომები მისმა უმაღლესობამ ინება გამოეთქვა სურვილი, რომ მათი მოშორება დაწესებულებიდან მოხდეს მათივე განცხადებების თანახმად. ამიტომ ხელმწიფემ მთავარმართებელმა ინება ჩემთვის მოენდო, რათა გთხოვოთ თქვენო აღმატებულებავ მიიღოთ ამ საქმეში სრულიად კონფიდენციალური მონაწილეობა და დაარწმუნოთ ლორთქიფანიძე, მისი ცოლი და ნიკოლოზ ყიფიანი, რომ ნებაყოფლობით განაცხადონ უარი აღნიშნული სკოლის საბჭოს წევრთა სახელწოდებაზე.

ვასრულებ რა ამით ხელმწიფე დიდი მთავრის, ჩემდამი დავალებას, მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ თქვენო აღმატებულებავ მიიღო რწმუნება სავსებით ჩემი თქვენდამი პატივისცემასა და ერთგულებაში"

ბ. ბესჩეროვი.[1]

[1] იხ. სახელ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი № 5232.

ამ წერილზე დ. ყიფიანი უპასუხებს

სავხებით კონფიდენციალურად.

მოწყალეო ხელმწიფევ, პეტრე ალექსანდრეს-ძევ!

პასუხად თქვენი აღმატებულების წერილისა, 17/28 წარსული ნოემბრიდან № 152, მოვალეთ ვსცნობ თავს გიპასუხოთ იმ გულახდილობით, რომლითაც მხოლოდ შემიძლია გამოვსთქვა უღრმესი მადლობა ჩემდამი გამოცხადებული ნდობისათვის.

გამოვდივარ რა იმ ფაქტიდან, რომ აქაური სათავად-აზნაურო სკოლასთან არსებობს არა სასწავლებლის საბჭო, არამედ მხოლოდ სამეურნეო მზრუნველობა, მე არ შეშიძლია არ ვსთქვა, რომ სანკტ-პეტერბურგიდან მოწოდებული ცნობები ამოკრებილია იქ არა ნათელ წყაროდან. სკოლა ინახება ქიხეილის სამიწადმოქმედო ბანკის საშუალებებით და ბანკის მხრით ხარჯების სისწორეს ოვალყურს ადევნებს მისი განმანაწილებელი კომიტეტის სამი წევრი,—რომელთა რიცხვშიც შედიან თავადი ანტ. ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ ყიფიანი; — მათ ასეთ მოწოდებას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხრით ინაწილებენ უკანასკნელის რამდენიმე წევრნი მათ შორის კნეინა ელენე ლორთქიფანიძისა;— აღმზრდელობითი ნაწილი მათი გავლენის გარეშეა სავსებით.

იმათთვის რა თქმა უნდა უცხო არ იყო ის ბავშვური ანუ ახალგაზრდული გატაცებები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ერთ დროს ზოგიერთ სასწავლებლებში, მაგრამ ბავშვურ შეცდომათა განმეორება სიმწიფის ასაკში უკვე ფიზიოლოგიურად შეუძლებელია; — მაშინ კი ლორთქიფანიძეს ბრალდებოდა, როი მის ბიბლიოთეკაში ოდესღაც დადიოდენ ისეთი პირნი, რომელნიც შემდეგ აღმოჩნდნენ არაკეთილ საიმედონი;—ყიფიანის დანაშაულობა იყო ის, რომ 12 წლის წინად მან თავის ამხანაგებთან ერთად სთხოვა უნივერსიტეტის გამგეობას, რათა დაეშვათ მათ სასარგებლოდ ზოგიერთი შერბილება უნივერსიტეტის გამგებლობის შინაგან გაწესრიგების საქმეში; კნეინა ლორთქიფანიძისა კი იმაში რომ ის ისმენდა პეტერბურგიდან ჩამოსული სტუდენტის თავისი ბიძაშვილის რაღაც ბოდვებს და არ დაასმინა ის.

დანახვა ყველა ამაში პოლიტიკური არა კეთილსაიმედობისა ნიშნავს —ჩემის აზრით—მოსაჩვენარის სინამდვილეთ აღიარებას.

ლორთქიფანიძეები — ცოლი და ქმარი და ყიფიანი, როგორიც უნდა იყოს მათი მოწაფეობის დროინდელი ცხოვრება, ამ ჟამად სარგებლობენ თავიანთი წრის პატივისცემით, როგორც შეუბღალველი ზნეობის ადამიანები.

თუ იმათ არ შეუძლიათ შეინარჩუნონ სახელწოდება ქუთაისის მიხეილის სამიწადმოქმედო ბანკის საზოგადოების წევრთა და ტფილისის წერაკითხვის საზოგადოების წევრთა, იმიტომ, რომ ისინი, ერთხელ გაჩხრიკეს; მაშინ ნუ თუ არ აღმოჩნდება ამ საზოგადოებებში სხვა უფრო მნიშვნელო-

ვანი წევრები, რომელთა შესახებაც ადამიანთა სიბოროტეს შეეძლო მიეთითებია ასეთიკე ანგარიშით, რაცა აღეძრა მათდამი უნდობლობა?

ვარდაენ რა ყველა ამას თქვენდა საყურადღებოთ, გთხოვთ არ იფიქროთ, რომ მე გაურბი თქვენი მოთხოვნის შესრულებას. საესებით წინააღმდეგ: მე გთხოვთ მხოლოდ მის განმეორებას, თუ კი ეს საჭიროა და მაშინ ის შესრულებული იქნება ყოველ მიზეზს გარეშე.

დავრჩებით. [1]

5 დეკემბერი, 1860
ქ. ქუთაისი.

ეს დოკუმენტები საინტერესოა მრავალ მხრივ. უწინარეს ყოვლისა იგი ააშკარავებს იმ ისტორიულ ფაქტებს, თუ თვითმპყრობელობის წარმომადგენლები როგორი თავგამოდებით აქცევდენ ყურადღებას იმას, რომ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებში არ შეპარულიყვნენ პოლიტიკურად არა კეთილსაიმედო პირები, რეაქციის აგენტები; ყოველ ღონეს ხმარობდენ ძირიან-ფესვიანად აღმოეფხრათ ყოველგვარი ანტი თვითმპყრობელური მოძრაობა და მტკიცე საფუძვლებზედ აეგოთ თვითმპყრობელობის არსებობის საქმე. ბრძოლა რევოლუციური ბაცილების წინააღმდეგ ერთ-ერთ აღგილობრივ ხელისუფლების მთავარ და ძირეულ ამოცანას შეადგენდა ამიერ-კავკასიაშიაც. მეორე მხრივ, ის არის გასაკვირველი, რომ ამ ბრძოლის დროს რევოლუციონერთა და ოპოზიციონერთა წინააღმდეგ ადგილობრივ ხელისუფლებას თავის დამხმარე ძალად მიაჩნია ყიფიანი. ეს დიდი მოღვაწე, პრინციპიალური მტერი ყოველგვარ არეულობისა და ერთგული მცველი რუსეთის თვითმპყრობელობისა, დაჯილდოებული სხვადასხვა შეკრებითა და წარჩინების ნიშნებით, რასაკვირველია მხარს ვერ დაუჭერდა რევოლუციონურ მოძრაობას და მთავრობის მხარზე იქნებოდა მათთან ბრძოლის დროს. იგი მზად იყო „ყოველმიზეზოსგარეშე შეესრულებია" ხელისუფლების განკარგულება ამ მიმართულებით. მაგრამ მაინც ცდილობდა გაუგებრობა გაეფანტა და მოწინააღმდეგე ძალები მოერიგებია.

აღსანიშნავი არის, მესამეს მხრივ, ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: 80-იანი წლების დასაწყისში დ. ყიფიანს დახმარებისათვის მიმართა ბორჯომის ხეობის გლეხობამაც, რომელნიც დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის მამულზე სახლობდენ და რომელთაც საშიილად ავიწროებდა ბორჯომის მამულების მოურავი. გლეხთა შეევიწროვება არ იყო შემთხვევითი მოვლენა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. მემამულეთა და გლეხთა ბრძოლით ეკონომიურ ნიადაგზედ აღსავსე არის ის პერიოდი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ამიტომ არც ბორჯომის გლეხთა უკმაყოფილება წარმოადგენდა რაიმე გამონაკლისს. დ. ყიფიანი თვით იყო საკმაოდ დიდი მენამულე და, როგორც ასეთი გარკვეული უფლებებით სარგებლობდა თავის გლეხების მიმართ. მაგრამ დ. ყიფიანი კანონიერების

[1] იქვე.

ნიადაგზედ იდგა და ერთი წუთითაც არ უფიქრია დაერღვია ეს კანონები. იგი არ იყო წოდებათა გათანასწორების მომხრე, მაგრამ ჰუმანიური დამოკიდებულება წოდებათა შორის მისი აზროვნების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა, ასეთი იყო მისი არამარტო პრინციპიალური შეხედულება, არაშედ პრაქტიკული საქმიანობაც. როდესაც დ. ყიფიანი გაეცნო ბორჯომის გლეხთა შეეიწროებულ მდგომარეობას, მან მხუოვალე მონაწილეობა მიიღო მათი პირობების გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ ჯერ მოვისმინოთ თვით გლეხთა უკმაყოფილებათა და საჩივრის შინაარსი. მოგვყავს გლეხთა ეს საჩივარი მცირედი შემოკლებით, რადგან იგი საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს წოდებათა ბრძოლის ისტორიიდან.

## თქვენო აღმატებულებავ დიმიტრი ივანეს ძეო!

სანამ გამოცხადდებოდა უმაღლესი რესკრიპტი, შესახებ ბორჯომის სახაზინო მამულების, მისი იმპერატორობით უმაღლესობის ხელმწიფე დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძისათვის სამუდამო და საშვილიშვილო გადაცემის შესახებ, მთავრობის განკარგულებით, ჩვენ ვიყავით ჩასახლებული იმ მამულებში სამუდამოთ საცხოვრებლად და ჩაწერილნი ვიყავით კამერალურ აღწერებში შემდეგი სოფლებისა: ახალდაბისა, ნეძვისა, კორტანეთისა, ბეშთისა, ვარდანეთისა, ყვიბისისა, ბერი-საყდარისა, დაბისა, წალვერისა, ტიმოთეს უბანისა, მზეთამხისა, ბაკურიანისა, დიდი და პატარა მიტარბისა, მაჭარწყალისა, თელოვანისა, ტყემლოვანისა, ცემისა, სადგერისა, გომბისა, ჩიბისხევისა, ქვაბისხევისა, ლიკანისა, ეაშლოვნისა და ბანისხევისა. როცა მისი იმპერატორობით უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ხელში გადავიდა ბორჯომის მამულები, მან პირადათ ინება გამოცხადება, რომ ჩვენ მისი გამგებლობის ქვეშ ბედნიერნი ვიქნებით და არავინ არაფელში არ შეგვავიწროვებს და არ დაგვარბევს; იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნება რაიმე შეეიწროვებას, ნებადაგვრთო მივმართოდ თხოვნით მის იმპერატორობითი უმაღლესობას. ბორჯომის მამულების მმართველის კისლის შეცვლის შემდეგ, ბორჯომის მამულების მმართველად ახლად დანიშნულმა ბარონ ვრანგელმა მეტის-მეტად ასწია ფასები ყველა ვალდებულებებზე, რომელსაც ჩვენ ვასრულებდით ბორჯომის მამულების უაგვუსტოესი მფლობელის სასარგებლოთ. შემდეგ ბორჯომის მამულების მმართველად დაინიშნა ვასილიეკი, იმანაც, აგრეთვე, გაადიდა ბაჟი ყველაფერზე და ეხლა ყოველი ჩვენგანი ერთ დღიურ სახნავ-სათეს მიწაზე იხდის 1 მან. 50 კაპ. თვითეულ თივის ზვინში, რაც მოეპრიანება მამულების მმართველს, იმას გვახდევინებს, სათბობი შეშისათვის ვიხდით წელიწადში 3 მან. კომლზე, საფარეხოების გასაკეთებელ ხეებისათვის თვითეულ ხისათვის ვერშოკზე 20 კაპ., ზამთარში საფარეხოების სათბობისათვის 3 მან., შინაური ოთხფეხი ცხოველების საძოვრისათვის, დიდზე და პატარაზე, სულ-

ზე 25 კაპ. და თუ საქონელს გავგზავნით მთებში საიალაღოთ მაშინ კიდევ ზედმეტად უნდა გადავიხადოთ თვითეულ სულ საქონელზე 25 კაპ., ღორეგბის საძოვრისათვის, დიდსა და პატარაზე, სულზე 10 კაპ., ცხვრისათვის 10 კაპ.

ჩვენ ერთად ერთ სარეწაო საგანს და ცხოვრების წყაროს შეადგენს საალმშენებლო ხე-ტყის დამზადება. ბორჯომის მამულების გამგე ნებას არ გვაძლევს მტკვრის ნაპირებზე მიტანილი აღნიშნული ხე-ტყე მიეყიდოთ კერძო პირს, არამედ მიაქვს ის მამულების სასარგებლოთ და შემდეგ თვით ჰყიდის, ჩვენ კი ჩვენ მიერ მოჭრილ და გამოტანილ ხე-ტყისათვის ჩვენი თანხმობის გარეშე, გვაძლევს იმ ფასს, რაც მას მოეხასიათება. თუ ხე-ტყე ღირს 100—200 მან. ის გვაძლევს 15—60 მანეთამდე; ძალდატანებით გვაიძულებს ბორჯომში ჩავიტანოთ შეშა ადგილობრივ აგარაკებიდან და ბაკურიანიდან და ციხისჯვარიდან თიკა, ამ შრომისათვისაც გვაძლევს აგრეთვე ისეთ ხელფასს როგორც მას მოეხასიათება და არა ნამდვილ ღირებულებას.

სახნავ-სათესად მიწების გაკაფვის ნებართვას როცა ვიღებთ გვიბრძანებს გამოვცხადდეთ უფროს ტყის მცველ მირონოვთან და მის ორ შვილთან, ოომელნიც მოწმობებს ხევენ და ჩვენ გვთხოვენ ქრთამათ ფულსა და სხვადასხვა გვარ სანოვაგეს; ვინც მათ მოთხოვნას არ ასრულებს და ამის შესახებ განაცხადებს ბმართველთან ან მის თანაშემწესთან ისინი ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, თითქოს არ სჯეროდეთ განცხადება და ისევ გვიბრძანებენ ვთხოვოთ ტყის მცველს, ეს უკანასკნელი კი ამას შემდეგ პირადი შეურაცყოფის გარდა თხოულობს ქრთამათ მეტ ფულს და ბეტ სანოვაგეს, სასტიკად გვცემენ სულ ყველას და ბრილობებსაც გვაყენებენ ცივი იარაღით. მრავალი წლეების მუშაობით გაკაფულ და ნაპატიებ სახნავ-სათეს და სათიბის მიწებს გვართმევენ ჩვენ ძირითად მცხოვრებლებს და აძლევენ ახალ ჩამოსახლებულ პირებს, რომელნიც არ ეკუთვნიან ჩვენს საზოგადოებებს.

ვინაიდან, ბორჯომის მამულების მმართველისა და ხელქვევითი მოსამსახურეების დესპოტიურ მოქმედების შესახებ, ჩვენ ჩვენი სიღარიბის გამო არ შეგვიძლია ვაცნობოთ ბორჯომის მამულების უაგვუსტოეს მფლობელს ან სხვა ვინმეს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ მიიღოთ თავის თავზე შრომა, რაც მმართოთ თხოვნით სადაც ჯერ იქნება, რომ გვიხსნან ბორჯომის მამულების მმართველის თვითნებურ, განსაკუთრებელი გადასახადებისაგან და მისი ხელქვევითი მოსამსახურეების მიერ შეურაცყოფისა, ცემა-ტყეპისა და დაჭრა-დასახიჩრებისაგან, რომ განსაზღვრულ იქნეს ერთხელ და სამუდამოთ მფლობელის სასარგებლოდ გადასახადის ნიხრი გასატან ხე-ტყეზე, სათბობ შეშაზე, საქონლის საძოვრებზედ და სხვა; აგრეთვე, ვთხოულობთ, რომ იმ ბეგარის გარდა, რომელსაც ჩვენ ვიხდით, არ გვაიძულებდენ ძალდატანებით მამულების სამმართველოსათვის საალმშენებლო ხე-ტყისა, შეშისა და თივის ზიდვას, და არ გვადებ-

დენ სხვა ნატურალურ ბეგარას, რომ მამულების ის მმართველი არ გვიკრძალავდეს ჩვენ მიერ მოჭრილ და მტკვარზე ჩატანილ საალმშენებლო ხეტყის კერძო პირისათვის მიყიდვას და არ გვართმევდეს დამხადებულ ხეტყეს.

რასაც თქვენი აღმატებულება ამის თაობაზე კანონიერად გაარიგებს, მასში ჩვენ თქვენს აღმატებულებას ვენდობით, და მოდავე და მოწინააღმდეგ არ ვიქნებით". [1]

ამ თხოვნაზე ხელს აწერდა 186 კაცი, სულ 18 სოფლიდან.

დ. ყიფიანმა გულდასმით მოისმინა ბორჯომის ყველა სოფლის მცხოვრებთა ეს საჩივარი და როგორც კანონიერი მათი თხოვნა პირველად მოიწადინა შინაურულად გამოესწორებია საქმე და ბორჯომის მამულის მოურავს ვასილიევს მისწერა კერძო წერილი ერთი კეთილი საქმის გაკეთები შესახებ. [2] თავის მხრივ მოურავმა უხერხულად სცნო დ. ყიფიანთან მისვლა და თავის მხრივ სთხოვა დ. ყიფიანს შეხვედროდა მას „ნეიტრალურ" ად გილზე. სხვათა შორის თავის წერილში მოურავი აცნობდა დ. ყიფიანს შემდეგ ფაქტებს გლეხთა უმაყოფილებიდან:

„ამ ათიოდე დღის წინად ქალაქიდან რომ დავბრუნდი, გავოცებული დავრჩი იმ ამბავის გაგებით, რომ ოთხი კაცი: შუქიური, ხუდალი, ჯანთემირი და სალახო, [3] დადიან თურმე მამულში სოფლიდან სოფლად ლამ-ლამობით და მცხოვრებლებს ძალით რაღაცა თხოვნაზე ხელს აწერიებენ მოურავის შესახებ; ვინც თანახმა არ არის „წითელი მაბლით" ემუქრებიან, დაახლოვებით ასე: „ერთი ბოთლი, ან ცოტა მეტი ნავთი არც ისე ძვირად გეღირსო". — ამ ოთხმა კაცმა ახლა ადვოკატის სახელწოდება მიიღო, შემდეგ საქმე თანდათან გამოირკვა, უკეთ რომ ვსთქვათ, გაბოროშკარავდა და ახლა უკვე საიდუმლეოპის ფარგლებიდან გაპოვიდა. მთელ ბორჯომში, ყველგან ბაზარშიაც ლაპარაკობენ, რომ ამათ თხოვნა შეაქვთ მოურავზე და რომ ამ საქმეს ატრიალებთ და ხელმძღვანელობთ თქვენ, დიმიტრი ივანეს ძეო, ამას უკავშირებენ და ამბობენ კიდეე ბევრ რამეს, რასაც მე პირის პირ გადმოგცემთ და რაც არა მჯერა, გეფიცებით პატიოსნებას და ღმერთს, რომ ეიცი როგორ იციან გლეხებმა გადაკეთება და თავისებური კომენტარიები სხვადასხვა ხმებისა. აი რატომ ვამბობ მე ამ წერილის დასაწყისში, რომ მიმხედარი ვარ კეთილი საქმის საგანს და აი, ამიტომ მოითხოვს საქმე გამორკვევას და ჩვენი ერთანეთის ნახვა უთუოდ არის საჭირო. ყოველი ღონისძიებით უნდა მოისპოს თქვენი პატიოსანი სახელის წარა-მარა ხსენება, მე, რამდენადაც შემიძლია, ახლაც ასე ვიქცევი, დანარ-

[1] იხ. სიძველეთა მუზეუმი №5232.

[2] ეს მიწერ-მოწერა მოყვანილია დ. ყიფიანის „შემუარებში".

[3] როგორც ხელწერილიდან ირკვევა: პირველი გლეხის ნაბდვილი გვარი და სახელი ყოფილა — შაქრო ჩადუნელი, მეორესი — ივანე ხრიკაძე, მესამესი — ივანე ჯანკომეჩაშვილი, მეოთხესი — სოლო პატარაძე.

ჩენზე კი, რაც საქმეს შეეხება, ისე მიეპირავს თავი, ვითომც არა ვიცი რა. ხოლო როცა გავიგებ, რომ ამ საქმეში თქვენს სახელს ურევენ, არავის არ ვზოგავ. ზოგიერთებმა კიდევაც იგემა შედეგები ჩემი წყრომისა„ [1].

მოურავთან მიწერ-მოწერით, რომ არაფერი გამოვიდა დ. ყიფიანმა განცხადება გადაუგზავნა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და თავის მხრივ წარუდგინა ორ მუხლიანი პირობა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა გლეხთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. თავის განცხადებაში დ. ყიფიანი სხვათაშორის სწერდა:

„თქვენს უმაღლესობას არა ერთხელ უნებებია, თქვენს მამულში მცხოვრებთადმი შეუწყნარე ყურადღებით გამოგეცხადებიათ, რომ იმათ თავის გაპირვებაში პირდაპირ თქვენი უმაღლესობისათვის მიემართათ. მაგრამ სანამ აქ ბრძანდებოდით, იმათ არ ჰქონიათ საკმარისი მიზეზი, რომ ეს თქვენთვის გაეპედნათ, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი მდგომარეობა მათი იმდენად შეიცვალა, რომ ახლა იძულებულად სთვლიან თავს თქვენს მოწყალებას მიჰპართონ.

„ასეთ ყოფაში მომმართეს მე, მეზობლად მყოფს და აი მეც ვბედავ წარმოვსდგე თქვენს წინაშე მათი თარჯიმანის სახით, — ხოლო თუ ნება მექნება ამის თქმისა — შუამდგომლობის სახითაც.

ამასთან გაახლებთ ცალკე მოხსენებას, რომელიც შეიცავს საქმის ნამდვილ ფაქტიურ გადმოცემას და მთხოვნელები მთრთოლვარე სასოებით მოელიან გადაწყვეტილებას, მოხსენების მოსმენის შემდეგ რომ წარმოსთქვამს თქვენი უმაღლესობის გული“. [2]

რასაკვირველია, გლეხთა კანონიერი მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილა „უმაღლესმა მემამულემ“. მაგრამ აქ საინტერესო არის არა ეს, არამედ დ. ყიფიანის როლი ამ საქმის ვითარებაში: იგი გულწრფელად დარწმუნებული იყო გლეხთა კანონიერ მოთხოვნილებაში და გულწრფელადვე ფიქრობდა კანონიერი გზით დაეკმაყოფილებია მათი თხოვნა.

ზემოთ მოყვანილი ისტორიულ დოკუმენტებში, როგორც ფოკუსში თავს იყრის ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობანი, რომელიც მაშინდელი საქართველოს საერთო ცხოვრების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა: აქ ჩვენ ვეცნობით სოციალ-ეკონომიური ხასიათის წინააღმდეგობას მემამულეთა და გლეხთა შორის; პოლიტიკურ ეროვნულ ხასიათის წინააღმდეგობას მპყრობელ სახელმწიფოსა და დაპყრობილ ერის შორის; და ბოლოს პოლიტიკურ-რევოლუციონური ხასიათის წინააღმდეგობათა მომენტებს შავი რეაქციისა და რევოლუციონურ-ოპოზიციონურ ძალთა შორის. პირველი ხასიათის წინააღმდეგობა აღმოცენებული იყო იმ ეკონომიურ უსამართლობის საფუძველზე, რომელიც განმტკიცდა საქართველოში „რეფორმის“ შემდეგ პერიოდში: ფორმალურად განთავისუფლე-

[1] იხ. „მემუარები“ გვ. 110.

[2] იქვე, გვ. 108.

ბული გლეხი, ფაქტიურად მემამულის სრული საეკსპლოატაციო ობიექტად გარდაიქცა; მეორე წინააღმდეგობა შედეგი იყო იმ რუსიფიკატორული და აგრესიული პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლება და რომელმაც მეტად მწვავე შედეგები გამოიღო 70—80-იან წლებში; მესამე წინააღმდეგობაში გაგრძელება იყო იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც რეაქციონერი თვითმპყრობელობა და რევოლუციონური ინტელიგენცია აწარმოებდა 60—70—80 წლებში.

აღსანიშნავი არის ის ფაქტიც, რომ ყველა ეს ძალები თავისებური მეშტრის თვალით სინჯავენ დ. ყიფიანს და ცდილობენ ჯამოიყენონ იგი თავის ინტერესების დასაცავად: ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობს გამოიყენოს იგი რევოლუციის საწინააღმდეგო ბრძოლაში; ქართველი ხალხოგადოება—სკოლისა და ენის საქმეში, ე. ი. ეროვნული პოლიტიკისაკენ მოუწოდებს; გლეხობა—თავის ეკონომიურ-მატერიალურ პირობების შემსუბუქებაზე ეელდრება. ასე გაინასკვა დ. ყიფიანის გარშემო 80-იან წლებში ჩვენი მაშინდელი ცხოვრების მამოძრავებელი ნაკვეთები და იგიც ამ ეპოქის თავისებურ ცენტრალურ ფიგურად გადაიქცა და დ. ყიფიანიც სცდილობდა ყველა ეს ძალები შეეთანხმებია, მათ შორის აღედგინა კანონით განსაზღვრული დამოკიდებულება და ამით ნორმალური პირობები შეექმნა, მაგრამ გარდაუვალ წინააღმდეგობათა დაძლევა შეუძლებელი იყო მშვიდობიანი და კანონიერის გზით. ისტორიულ აუკილებლობისა და ობიექტიურ პირობების გამო იმდენად მომწიფდა წინააღმდეგობანი ქართულ ნაციონალიზმსა და რუსულ რეაქციის შორის, რომ მათ შორის შემაერთებელი ხიდის გამონახვა უკვე შეუძლებელი იყო. დ. ყიფიანის სოფლმხედველობა და მთელი მისი სამოღვაწეო პროგრამა რუსეთის ტახტისა და სამშობლოს შორის შეთანხმებულ მუშაობაზედ იყო აშენებული. ცხოვრების ვითარებამ ეს ძალები სამკვდრო სასიცოცხლოდ დააყენა ერთი მეორეს და დ. ყიფიანიც ობიექტიურ პირობების გამო იძულებული ხდებოდა თავისი პრაქტიკულ მოღვაწეობის დროს ან ერთ ძალას მიმხრობოდა, ან მეორეს. და ეს იყო ძირითადი ტრაგედია დ. ყიფიანის აზროვნებისა; ტრაგედია საუკუნოებით შემუშავებული სამოღვაწეო პროგრამისა: დ. ყიფიანმა თავისი პრაქტიკული საქმიანობის დროს გარკვეეით დაიცვა „სამშობლოს" ინტერესები, ხოლო პრინციპი კვლავ შეურყეველად იდგა თავის ძველ სოფლმხედველობის ნიადაგზე. მაგრამ ასეთ გახლეჩას პრაქტიკულ საქმიანობასა და პრინციპიალურ შეხედულებათა შორის თავისი ტრაგიკული დასასრულიც უნდა მოყოლოდა. დ. ყიფიანის ტრაგიკული დაღუპვაც შედეგი იყო მაშინდელი საზოგადოებრივ ისტორიული პირობებისა.

განვიხილოთ ამ მიმართულებით დ. ყიფიანის მოღვაწეობა 80-იან წლებში და მისი ბრძოლის ფაქტები.

3

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ბრძოლამ ქართულ სკოლისა და ქართული ენის წინააღმდეგ და საერთოდ რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ გარკვევით გამოაშკარავა თავისი სახე 70-იან წლებში. ი. მეუნარგია საინტერესო ფაქტებს გადმოგვცემს: „ერთმა უბრალო შემთხვევამ — ვიღაც შეგირდის დღიურში ნაპოვნმა ლიბერალურმა მსჯელობამ სწავლა-განათლებაზე[1] დაარწმუნა ამ სემინარიის იმ დროინდელი ინსპექტორი, ნეტარ ხსენებული კუვშინსკი,—და შემდეგ სხვანიცა ამ სასწავლებლის მეუფროსენი, რომ სემინარიის შეგირდნი ღვთის მსახურების მაგიერ სწავლობენ იქ პოლიტიკურ ორგულებას... და რადგანაც პოლიტიკური მოსაზრება ყველა მოსაზრებაზე უფრო უდიდესია, იმათაც „ივიწყეს მცირე ჟამს“ თვისი პირდაპირი მოვალეობა, დახდნენ პოლიტიკის დაუპატიჟებელნი აგენტნი და დაუწყეს დევნა ქართულ წიგნებსაც, ქართულ წერა კითხვასაც, ქართულ გალობასაც, გარიცხეს მრავალი შეგირდები, სასწავლებლიდან დაითხოვეს ქართველი მასწავლებლები და უგუნურად უწესოდ გამოაცხადეს, დაშალეს ერთბაშად თვით სემინარიაში ორი პარტია რუსისა და ქართველების. ამ სტრიქონების მწერალი იყო იმ დროს სემინარიის მასწავლებლად და კარგად ახსოვს, რა საშინელი გავლენა იქონია შეგირდეაზე უსაფუძვლო ცილის წამებამ და დევნამ, რაგვარად შეაწუხა ისინი პროკურორის, ჟანდარმის და პოლიციის დანახვამ სემინარიის ბალკონზე... ის იყო 1873-ს, ქართული ენის დევნამ მიაღწია ამ წელს უმაღლესს ხარისხამდე“[2]...

სწორედ ამ ხანაში სწერდა გრ. ორბელიანი თ. მელიქიშვილს ქართული ენის შევიწროვების შესახებ... „რა სიკეთე წარმოსდგება აქედამ? თუ გარუსებას სცდილობენ, ბრმანი ხომ არ არიან, რომ რუსებზე ჩვენ უფრო რუსები ვართ: თუ მართმადიდებლობისათვის იღწვიან, აი ურიები, თათრები, სომხები და სხვანი; მაგრამ უსამართლობა და ძალადობა მარადის ჰბადებს უსიამოვნებას, ყველრებასა, წყევასა და თვით ორგულებასაცა. მიკვირს, რას უჩუჩუნებენ ამ საბრალოს, მორჩილს, კეთილს და ერთგულს ერსა? საბწუხაროა, ეჰიაზო ლევან, რომელს საუკუნეში ვჰსცხოვრობთ“.[3]

ზემოდ მოყვანილი პირველი ციტატა ნათლად ამტკიცებს იმ დებულებას, რომ რუსიფიკატორული პოლიტიკის გაცხოველება გამოიწვია საქართველოში რევოლუციონური მოძრაობის გაცხოველებამ; იმდენად, რამდე-

[1] ამ ცნობას უახლოესი კავშირი უნდა ჰქონდეს იმ ფაქტთან ტფილისის სემინარიაში, რომელიც 1873 წელს მოხდა და რომლის დროსაც დაჰპატიმრეს რამდენიმე მოწაფე დავით კეხელი, სტ. ბერელაშვილი და ივანე მახვილაძე. ამ ცნობებიდან მტკიცდება, რომ სემინარიის მოწაფეებში არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ უკმაყოფილებამ ფართო ხასიათი მიიღო (იხ. გრ. გიორგაძე „თვითმპყრობელობა და რევოლუცია“. გვ. 20—31).

[2] ი. მეუნარგია: „ცხოვრება და მოღვაწეობა გრ. ორბელიანისა“ გვ. 116—17, 1905 წ.

[3] იქვე, გვ. 119.

ნადაც რუსეთის რევოლუციონური მოძრაობა ღრმავდებოდა და იგი თავისებურ გამოძახილს პოულობდა საქართველოში, იმდენადვე თვითმპყრობელობა სასტიკ ზომებს მიმართავდა და ავიწროვებდა ქართველ სკოლებს. უდავო ფაქტია, რომ რევოლუციონური აზროვნებისა და რადიკალური მისწრაფებების გამტარებელი ჩვენში ახალ თაობის ინტელიგენცია იყო; ხოლო მათი მოღვაწეობა უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობაში სწარმოებდა; ეს იყო იმ პერიოდში ერთად ერთი აქტუალური ძალა, სადაც შეესაფერის გამოძახილს პოულობდა რევოლუციონური აზრი და მოძრაობა. სხვა სოციალური ფენები—გლეხობა და მუშათა ფენები—ამ ხანებში არ წარმოადგენდა რევოლუციონური მოძრაობისათვის მომქმედ ძალას: მათში ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული კლასიური შეგნება და ბრძოლის აუცილებლობა. სამაგიეროთ მოსწავლე ახალგაზრდობაში დიდ გამოძახილს ჰპოულობდა ახალი რევოლუციონური მოძრაობა: სტ. ჭრელაშვილი, ერთ-ერთი აქტიური წევრი 70 იანი წლების მოწაფეთა მოძრაობისა, ერთ თავის წერილში სწერდა: „დამწყებულივით დაეწაფა ჩვენი ახალგაზრდობა 60-იან წელთა მდიდარ ლიტერატურას რუსეთისას, ბევრი საკაცობრიო-მოყვარო აზრები შეითვისა თვით იმ ასაკში, რომელსაც ყმაწვილს თამაშისა და ცელქობისათვის უფრო უნდა ერჩოდეს გული. შეუძლებელი იყო, რომ ამ აზრებს არ ეჩინა თავი ახალგაზრდობის ყოველ დღიურს ცხოვრებაში. იჩიჩნა თავი და საქმე ისე წავიდა, რომ 1874 წლიდან 1878 წლამდე, სულ რაღაც ოთხი წლის განმავლობაში, მარტო ტფილისის სემინარიას მოაკლდა ოთხმოცდარვა საუკეთესო შეგირდი (ე. ი. რევოლუციონური აზროვნებისათვის გამორიცხული იქნენ სემინარიიდან 16) რომლებიც გულმოდგინეთ ემზადებოდნენ ქვეყნის სამსახურისათვის. თითქმის ამისთანავე აღბავი დაატყდათ ჩვენებურ დანარჩენ სასწავლებლებსაც“.[1] ეს ფაქტები ჩვენი ახალთაობის რევოლუციონური მოძრაობიდან გასაღებს გვაძლევს იმისათვის, თუ თვითმპყრობელობას როგორ თანდათან შეექონდა რეაქციონური სისტემა ქართულ სკოლებში და როგორ ადგებოდა იგი მწვავე რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ქართულ სკოლების და ქართული ენის ზევიწროვება 70-იან წლებში აუცილებლად შედეგი იყო იმ რევოლუციონური მოძრაობისა, რომელმაც იმავე პერიოდში იჩინა თავი ქართველ ახალგაზრდობაში. რუსიფიკატორული პოლიტიკა რეაქციონური დიქტატურის ერთ-ერთი მიმზიდავი საშუალება იყო რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად ახალგაზრდობაში. მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით ეს რეაქციონური პოლიტიკა სასწავლო საქმეში საჯარაოზე გამოვიდა, როდესაც საბოსწავლო ოლქის მზრუნველად ჩვენში კარგად ცნობილი იანოვსკი დაინიშნა; მისი სამოსწავლო პროგრამა პირდაპირ მიმართული იყო ქართული ენისა და ქართული სკოლების წინააღმდეგ და ხელს უწყობდა აგ-

[1] სანო (ს. ჭრელაშვილი): „ძველი და ახალი თაობა“, გაზ. „ივერია“, № 189, 1888 წ.

რესიულ პოლიტიკის მკაცრად გატარებას სწავლა-განათლების საქმეში. უკვე 1889 წ. იანოვსკიმ ნათლად გამოამზეურა თავისი რუსიფიკატორული პროგრამა სწავლა-განათლების საქმეში. იანოვსკის ამ პირველ გამოსვლას გამოეხმაურა ს. მესხი და ღია წერილში სწერდა მას შემდეგს:

„ჩვენ მოხარული ვიყავით როდესაც ნეველროვის მაგიერ თქვენ დაგნიშნეს, რადგან გვქონდა გაგონილი განათლებული პედაგოგი ხართ. ეს იმედები თავიდან გამართლდა, თქვენ მომხრე იყავით საშობლო ენის, ისტორიის და ლიტერატურის შესწავლის,—მაგრამ შემდეგ გადაუხვიეთ ამ გზას:

1) ქუთაისის სახ. სკოლების დირექტორს მისწერეთ, რომ გუბერნიის მასწავლებელთა კრებამ გამოიტანოს დადგენილება რომ სკოლაში პირველ წლიდანვე რუსული ენა ასწავლონ.

2) ახალ სენაკში მიმართეთ სიტყვით მასწავლებლებს, რომ თქვენ რუსული გეზარებათ, სხვა მიზანს მიზდევთ და არა პედაგოგიურსო. თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსული ენისო.

მთავრობას არასოდეს არ დაუშლია ერებისათვის თავისი სამშობლო ენაზე სწავლა, თქვენ კი გინდათ წაგვართვათ ენა, მოსპოთ ის...

ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხებისა დაიცვან თავისი საშობლო ენა, შამული, სჯული და სარწმუნოება. თქვენი სურვილი კი დაავიწყოთ ქართველებს ქართული ენა. თქვენ ცილს წამებთ ქართველს ხალხს.“ [1]

ცნობილი პუბლიცისტის ს. მესხის ამ გაბედულმა წერილმა და შიგ მოთავსებულმა ფაქტებმა აიძულა დ. ყიფიანი აეღო ხელში კალამი და ენერგიულად გაელაშქრა იანოვსკის წინააღმდეგ. ეს იყო დიმ. ყიფიანის პირველი გამოსვლა 80-იანი წლების დასაწყისში რუსიფიკატორთა წინააღმდეგ. ჯერ ბრძოლის ფონზე მხოლო სასწავლო ოლქის მზრუნველი სჩანდა, რომელიც შეეპარავი დიპლომატიის გზით ცდილობდა ქართული ენის გამოდევნას სკოლიდან და გარკვეული აგრესიული პოლიტიკის გატარებას სწავლა განათლების საქმეში. დ. ყიფიანმაც პირველად ამ პიროვნებისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ აიმაღლა ხმა. მაგრამ როდესაც შემდეგ სხვა პირებიც გამოჩდენ სამოღვაწეო ასპარეზზე—დ. ყიფიანი ენერგიულად დაუხვდა მათ. ც. 1882 წლების შემდეგ კავკასიის მთავარ მმართველს დონდუკოვ-კარსაკოვს, რომელიც ადმინისტრატიულ პოლიტიკური აპარატის საშუალებით ავიწროვებდა ქართველ ხალხს, დევნიდა მათ სამსახურიდან, აძლიერებდა კოლონიზაციას და შემდეგ დ. ყიფიანს სასულიერო უფლების წარძომადგენელთანაც მოუხდა შეტაკება, რომელიც ეკლესიისა და სარწმუნოების საშუალებით ცდილობდა აგრესიულ—რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას. ამ სამი დიდი უწყების და მათი მეთაურების წინააღმდეგ დ. ყიფიანის ბრძოლა მართლაც მეტად დადებითად ახასიათებს ამ პიროვნების მოღვაწეობას 80-იან წლებში.

[1] ს. მ. (ესრის) წერილი იანოვსკისადმი —„დროება“, № 254, 1880 წ.

იანოვსკის წინააღმდეგ მიმართულ პირველ წერილში, რომელიც ნაწილობრივ უკვე გავიცანით ჩვენ, დ. ყიფიანი სწერდა: საშინელია ს. მ ის წერილი; საშინელია როგორც მგზნებარე წარმოთქმა უსამართლოდ განგმირულის გრძნობისა, როგოგორც გრემა აღმორგებულის გულისა...

„..... თუ ამას ვერ დაფიქრებიხართ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენ ქადაგებასა, ქართველობა ჰგმეთ და ქართული ენა დაივიწყეთო, მე გეტყვით: როგორც სამათემატიკო ჭეშმარიტება ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა, მრთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია. თქვენ თუ არ იცით ესა,—ჩვენმა სათაყვანებელმა ერთ მთავარმა კარგად უწყის და მისმა უხენაესმა მმართველობამაც კარგად იცის. ასე ვართ ქართველები და ასე ვიქცევით, მანამ ქისინ ჩვენ ხალხოსნობა დაცული გვექნება; და ხალხოსნობა ხომ გამქრალია, სადა იმისი ენა აღარ არის. მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაჰქრესო იმ ენისას, რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთ თანასწორი და ათასამეტი სირიელნი მამანი; რომელზედაც ჰმწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულისმდებელი, როგორც ვახტანგი;—რომელსაცა აქვს ანბანი, უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან...

ახლა მიხედით თუ ვერა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს. ჩინგისხანმა, ლანგთემურმა, შაჰაბაზმა, ნადირშამ ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ, როდესაც ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდეთ რუსეთს, რომელსაც გარსშეუწერელი ერთგულება შეურყეველადა გვაქვს გულში ჩანერგილი?!?

არა ბატონებო, თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა... ბ. იანოვსკის ათასწილად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს... თუ ეს აზრი არ შეიმუსრა. ბ. იანოვსკი შემცდარი კი არა, შეშცოდავი იქნება ორგვარად: ჯერ რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულეს თაყვანისმცემელი ხალხის გაორგულება განუზრახავს, და მერე მეცნიერების წინაშე, რომ პეტაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიცა ჰბრძანებს: „წულსა ყრმასა (ესე იგი უმაწვილს) ჯერ საშინაო ენას აასწავლიდე და მერე საქვეყნოსაო“.[1]

ვ. იანოვსკიმ არ დააყოვნა და გაზეთ. „დროშას პასუხი გასცა, რომელშიაც უარყოფდა ს. მესხის მიერ მოყვანილ ფაქტებს, მ. გრამ პრინციპიალურად იცავდა რუსული ენის გაბატონების აუცილებლობას სკოლებში.[2]

---

[1] დ. ყიფიანის წერილი „დროება“ № 262, 1880 წ. გადმოსვლილია ჟურნალ კლდეში № 6, გვ, 3—6. 1912 წ. (ზოგიერთი ადგილი რედაქციას გამოუტოვებია, განაკუთრებით იქ, სადაც რუსეთის ერთგულებ.ზეა ლაპარაკი.) თვით დ. ყიფიანის სრული ხელთნაწერი ინახება სიძველეთა მუზეუმში № 5232.

[2] იხ. „კავკაზ“ № 348. 1880 წ.

როგორც იანოვსკის წერილიდან და შემდეგ მის მიერ ცალკე წიგნად გამოცემულ პირველ დაწყებით სკოლებისათვის სამოსწავლო გეგმიდან („Об учебном плане начальной школы в среде туземного населения по постановке в ней русского языка") ირკვევა, იანოვსკი, როგორც სასწავლო ოლქის მხრუნველი, გარკვევით მოითხოვდა პირველდაწყებით სასწავლებელში სწავლა რუსულ ენაზე დაწყებულიყო, პირველი წლის პირველ ნახევარში ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო სწავლა; ხოლო მეორე ნახევრიდან რუსულად შესაფერისი მოთხრობების სწავლა; მეორე წელს კი — ყველა საგნები რუსულ ენაზე უნდა ესწავლათ. ამ გეგმების შინაარსი მაშინ ქართველი საზოგადოებისათვის ნათელი იყო: სკოლაში უკვე იერებოდა პოლიტიკა და აშკარა რუსიფიკატორული გეგმები; არაპედაგოგიური მოსაზრებანი აინტერესებდა სასწავლო ოლქის მხრუნველს, არამედ ქართული ენის აღმოფხვრა და რუსულის განმტკიცება თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე და მასწავლებლობაზე იანოვსკის მაშინდელმა ახალმა გეგმებმა, ამის საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ერთ პატარა მოგონებას აღნიშნულ საკითხის შესახებ. „წიხანდელი მზრუნველი ნეველოვი, — სწერს დ. ხ-შვილი თავის მოგონებაში, — გამოსცვალა ახალმა იანოვსკიმ 1880 წელსა, ამან კი პირველყოვლისა თვისი ძალა და ღონე თვისი სურვილი და ფიქრები იმას მოახმარა, რათა შეეზღუდა 1878 წლის სასწავლო გეგმა. ნაყოფად მისი ამნაირი ცელილებებისა დაიბადა 1881 წელს 13 იანვრის სასწავლო გეგმა, რომელსაც მაშინ ყველა შეხვდა მეტის მეტად მტრულად. მიიღო იგი ეითაარცა ვერაგული განკარგულება. უარესი ხიხლი დაიბადა ჩვენს მასწავლებლებში, რომელთაც იცნეს მასში სურვილი არა ხალხის განვითარებისა, არამედ წვრილმანი პოლიტიკანობისა რომ ამითი სწავლის, ხალხის თვითცნობიერებას ეღობებიან წინა, ვიწყინეთ და 15-მდე მასწავლებელმა მივატოვეთ მასწავლებლობა„.[1]

იანოვსკის გეგმებმა მკაცრი პროტესტი გამოიწვია ქართულ პრესაში: ერთი მხრივ ი. ჭავჭავაძემ[2] მეორე მხრივ, — ი. გოგებაშვილმა,[3] მესამე მხრივ — დ. ყიფიანმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს იანოვსკის გეგმები და ნათელყვეს მისი ანტიპედაგოგიური შინაარსი. უნდა ვსთქვათ, რომ დ. ყიფიანის იანოვსკის საწინააღმდეგო მიმართული წერილი მისი პუბლიცისტური ნიჭის ერთერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, — სამწუხაროთ აქ ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხებით ამ საინტერესო პოლიტიკურ წერილს. დ. ყიფიანმა მკვეთრი ანალიზით ნათელყო იანოვსკის გეგმების ანტიპედაგოგიური საფუძვლები. ავტორმა, როგორც ძველმა პედაგოგმა და ღრმად

[1] დ. ხ შვილი: „1881 წ. სამოსწავლო გეგმის გამო" — „სახალხო გაზეთი", № 817, 1913 წ.

[2] ი. ჭავჭავაძე: ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო" — „დროება" № 33. 1881 წ. თხზულებანი ტ. VII, გვ. 213—220.

[3] ი. გოგებაშვილი: „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახ. სკოლებისა" „დროება", № 50—57, 1881 წ. რჩეული ნაწერები ტ. I, გვ. 51—59.

მცოდნემ პედაგოგიური საკითხებისა უწინარეს ყოვლისა სწორეთ ამ თვალსაზრისით განიხილა იანოვსკის წერილის შინაარსი. ავტორი აღნიშნავდა, რომ პედაგოგიკის ძირითადი პრინციპები მოითხოვს ბავშვს პირველ დაწყებითი განათლება მიეცეს სამშობლო ენაზე, იქ სადაც ბავშვებს რომელსაც მხოლოდ თავიანთი ოჯახური ენა ესმით, აიძულებენ სკოლაში შესვლიდანვე სწავლა დაიწყონ მათთვის გაუგებარ ენაზე. ამით პირდაპირ არღვევენ პედაგოგიკის ძირითად მოთხოვნილებას და ფეხქვეშ თელავენ ჰეშმარიტებას. დ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ როდესაც საფუძვლიანად შესწავლილი გაქვს შენი საკუთარი მშობლიური ენა, ე. ი. გაქვს სწორი წარმოდგენა მისი ფორმებისა და თვისებების შესახებ—მაშინ ადვილად შეისწავლი უცხო ენასაც, იქ სადაც ეს შეუძლებელია, სადაც პრაქტიკულად ნაცნობი ენა და ენა სრულიად უცნობი, ერთად ისწავლება, იქ გონებრივი ვარჯიშობა ადგილს უთმობს მექანიკურ შრომას; ეს კი ჩაგრავს, ადუნებს ბავშვის ბუნებას. თუ ენის შესწავლის ამ ფიზიოლოგიურ თავისებურებას უარვყოფთ და მოვთხოვთ სოფლის ბავშვებს ერთნაირად ისწავლონ თავიდანვე მშობლიური და რუსული ენები, ამისათვის შესაფერის რესურსებსაც ვერ ვიშოვით. პედაგოგის საქმე არ არის ამა თუ იმ ერის განვითარებაზე ზრუნვა; მისი საქმეა თანაგრძნობა ქართული ენის ყველაზე უფრო შესწავლისათვის; ეს მისი წმინდა მოვალეობაა. მაგრამ ჩვენს სასწავლებლებში არ თანაგრძნობა, არამედ აშკარა მტრობა არსებობს ქართული ენისადმი. ჩვენში იყვენ და შეიძლება დღესაც იმყოფებიან ჩვენს შორის სხვადასხვა სახის ქართველფობები — განაგრძობს დ. ყიფიანი; იყვენ ჩვენში ისეთი მტრულად განწყობილნი (ненавидящие) ჩვენდამი როგორც მაგ., ბარტოლომეი, უ-ლარები, ლევაშოები, იყვნენ მსურველები გამოეწვიათ ჩვენში უკმაყოფილების გრძნობა, სევდა, აღმფოთება,; მაგრამ თვით ქართველი ხალხი საერთოდ და ყოველი მისი მოაზროვნე წევრი კერძოდ, იმდენად ერთგული არის თავის მეფისა და დაპყრობულ წესწყობილების, რომ ეს რწმენის ძალა და ერთგულება ჯერ კიდევ ეყოფა დიდხანს, რომ მტკიცედ გადაიტანოს ასეთი შეურაცყოფები... მეფემ იცის, რომ ჩვენ მისი ერთგულნი ვართ და აი ეს შეურყეველი ნიადაგია რომელზედაც მე ვდგევარ და ვამბობ: რომელიმე ერის ენის შებღალვა — ნიშნავს მისი არსებობის შებღალვას. ქართველები ამისაგან თავისუფალი უნდა იყვნენ. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ ისინი არასოდეს არავის არ დაუპყრია; ხოლო რუსეთის მონარქიის ქვეშევრდომობაში ისინი თავისი ნებით, შეკნებით შეეიდენ". [1]

ასე დაიწყო 80-იან წლების დასაწყისში ბრძოლა დ. ყიფიანმა იანოვსკის წინააღმდეგ ქართული ენისა და ქართული სკოლის შესახებ და ეს ბრძოლა დ. ყიფიანის გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა. წინააღმდეგ, 1885—86 წლებში მან მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და პრესის ფარგლე-

[1] ვისარგებლეთ ხელთნაწერით. იხ. სიძველეთა მუზეუმი, № 5232.

ბიდან ლიტერატურული ბრძოლის საზღვრებიდან უკვე გადავიდა ადმინისტრაციის და ხელისუფლების ხელში — მაგრამ ამაზე ქვევით.

აღსანიშნავი არის 1882 წლის ერთი წერილი დ. ყიფიანისა, რომელიც იმავე რუსიფიკატორებისა და ქართველოფობების წინააღმდეგ არის მიმართული. 1882 წ. პეტერბურგში გამოვიდა დ. ყიფიანის „ახალი ქართული გრამატიკა" და „კავკაზის" (№ 328 1882 წ.) ერთი ცნობის მიხედვით, ვითომ ჟურნ. „Юридическое обозрение"-ს არ მოსწონებია ქართული ლიტერატურისა და ქართული ენის წარმატების საქმე, — შემდეგში ჟურნალმა (№ 93, 1883 წ.) უარყო „კავკაზის" ცნობა, და თითქოს რაიმე საწინააღმდეგო წერილი მოეთავსებიოს დ. ყიფიანის გრამატიკის შესახებ და აღნიშნავს, რომ ის სავსებით იცავს ქართული ენის უფლებას. მიუხედავად ამისა „კავკაზის" ცნობამ გამოიწვია დ. ყიფიანის წერილი ქართული ენისა და საქართველოს შესახებ. ამ წერილში დ. ყიფიანი ამბობს:

„შეუძლებელია მოვითხოვოთ, რომ ერთ სახელმწიფოში ან ერთ საზოგადოებაში, თუ გინდ ერთ ოჯახშიაც კი, ყველა ერთ და იმავე საქმეს აკეთებდეს და მასთანვე ერთ და იმავე საშუალებით, — შეუძლებელია იმ დღესავით ნათელი მიზეზის გამო, რომ მაშინ არავინ არაფერს არ გააკეთებს. ამით კი არ ვინდა მე ვსთქვა: არ-ყოფილა და არც არის მსოფლიოში რომელიმე დიდი სახელმწიფო, რომლის მცხოვრებთა ელემენტები სხვადასხვა სახეს არ ყოფილიყვნენ. მოთხოვნა იმისა, რომ ყველა ამ ერებმა იცხოვრონ, განვითარდენ და იმოქმედონ ერთნაირი სახით, — რომ გამოიკვებონ ერთნაირი საკვლით, ჩაიცვან ერთნაირი ტანსაცმელი, ღმერთი ილოცონ ერთი და იმავე ენით და მიწა დაამუშაონ ერთი და იმავე იარაღებით, — განა ნათელი არ არის, რომ ეს იქნებოდა მზის სინათლეზე ისეთი განხეთქილების გამოტანა, რომელიც მხოლოდ იმისთვის გამოდგება, რომ უდროოდ დაუდვას საზღვარი ყოველგვარ საზოგადოებრივ წარმატების საქმეს." [1]

ასე ახროვნებდა დ. ყიფიანი. იგი მომხრე იყო რუსეთის ცენტრალისტურ მმართველობისა, იგი მთელი თავისი ენერგიით იცავდა რუსეთის ტახტის მთლიანობასა და შეურყეველობას, მაგრამ იმავე დროს სრულიად არ მოითხოვდა ცალკე ერებისა და მათი კულტურის, ენისა და თავისებურობის გაქრობას რუსეთის ცენტრალიზმის საზღვრებში. დ. ყიფიანი ასეთი დებულების წამოყენებით ძირშივე ანადგურებდა რუსიფიკატორთა სამოღვაწეო გეგმებს. მაგრამ შემდეგ წლებში, სასტიკი ცენზურული რეჟიმის შეცვლების გამო, ქართულ პრესას უკვე მოესპო საშუალება ბრძოლისა რუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ და ქართული ენის, სკოლისა და კულტურის დასაცავად. ცენზურამ თავისებური ტერორი გაამეფა საქართველოში და მაგალი არტახებით შებორკა ქართული მწერლობა. ცენზურული პირობების დასახასიათებლად საინტერესო არის გაზ. „კავკაზის" რედაქტო-

[1] ვსარგებლობ დ. ყიფიანის შავი ხელნაწერით: Г-ну редактору газеты „Кавказ" (1882 - 16. 12) სიძველეთა მუზეუმი № 5232.

რის დ. გ. ერისთავის წერილი დ. ყიფიანისადმი ზემოდ აღნიშნულ სტატიის გამო. 1882 წ. 20 დეკემბრის თარიღით დ. ერისთავი სწერს ყიფიანს, რომ მისი მშვენიერი წერილის დაბეჭდვა მას არ შეუძლია „კავკაზში“, რადგან მთავარმა სამმართველომ გასცა განკარგულება აღარ შეეხონ ამ საკითხს. დ. ერისთავი წინადადებას აძლევს დ. ყიფიანს არ დასტოვოს ეს წერილი დაუბეჭდავად და გადაუგზავნოს „გოლოსის“ რედაქციას, რომელიც სიამოვნებით მოათავსებს თავის გაზეთის ფურცლებზე.[1] ამ წერილზე დ. ყიფიანი უპასუხებს ერისთავს:

„Благодарю Вас, дорогой князь за возвращение моей статейки. Значит Кайковская шпичка настолько сильна, что вторит ей и Главное Управление. Нет надобности быть пророком, чтоб сказать, что это не поведет к добру, а я все думал, что Главное Управление только к добру и ведет нас, можно ли сочувствовать делу, которое само по себе до нелепости безнравственно“.[2]

ეს წერილი მით არის საინტერესო, რომ ნათლად გამოხატავს იმ გადატეხას, რომელიც მოხდა დ. ყიფიანის ბრძოლის ტაქტიკაში. ამ მომენტამდე იგი ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ რუსიფიკატორული და ანტი-ქართული პოლიტიკის გამტარებელი სწავლა-განათლების საქმეში მხოლოდ სასწავლო ოლქის მზრუნველი ერის და მისი ბრძოლის ფარხმალიც აქეთკენ იყო მიმართული: იგი ფიქრობდა მზრუნველის შემუსვრით აღედგინა ძველი ნორმალური დამოკიდებულება, მაგრამ დაწყებულმა რეაქციამ დაარწმუნა დ. ყიფიანი, რომ მარტო სასწავლო მზრუნველი კი არ არის ასეთი პოლიტიკის გამტარებელი, არამედ მთელი ადგილობრივ ხელისუფლება, რომ პოლიტიკა კავკასიის მართველობისა მიმართული არის ადგილობრივ ერებისა და ხალხის შემუსვრისაკენ. დ. ყიფიანმა თავისი ფარხმალი ადგილობრივი მართველობის მთელი სისტემის წინააღმდეგაც მიმართა და ამით დაიწყო მეორე პერიოდი დ. ყიფიანის ბრძოლისა ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ 80-იან წლებში. ეს განსაკუთრებით გამომჟღავნდა 1885—86 წ., როდესაც რეაქციამ საქართველოში თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია და საზოგადოებრივი ატმოსფერა ამაფეთქებელი ნივთიერებით გაიჟღენთა. შემდეგ თავში ამ პერიოდსაც გავეცნობით დოკუმენტების მიხედვით. ამ თავს დავამთავრებთ დ. ყიფიანის და გაზ „დროების“ რედაქტორის ივ. მაჩაბლის შორის წარმოებულ მიწერ-მოწერის გამოქვეყნებით. 1883 წ. 16 ნოემბრის თარიღით ივ. მაჩაბელი სწერს დიმ. ყიფიანს შემდეგს:

„გაახლებთ ამასთანავე თქვენს წერილს „ბუნების კარის“ შესახებ და მოგახსენებთ მიზეზს აქამდის დაუბეჭდველობისას. მე ვერიდებოდი, რომ თქვენს წერილს რაიმე უსიამოვნება არ გამოეწვია; რაკი თქვენს წერილს

[1] დ. ერისთავის წერილი დ. ყიფიანისადმი. — სიძველეთა მუზეუმი № 52.32.

[2] იქვე.

დავბეჭდავდი, გოგებაშვილსაც მიეცემოდა უფლება ცხარე კრიტიკაზედ ცხარევე პასუხი დაეწერა და ამგვარი პოლემიკა არ მოუხდებოდა ეხლანდელს დროს, როდესაც იანოვსკიმ სასტიკი ომი გამოუცხადა ქართველთა შორის განათლებისა საქმეს და თავის უკანასკნელს ცირკულიარში „წერაკითხვის საზ. გამგეობის წევრთა უწოდა „Неразумные педагоги". მაინცა და მაინც თუ ისურვებთ თქვენის წერილის დაბეჭდვას, უკანვე გვიბოძეთ და მაშინვე დავბეჭდავთ.

თქვენი ლიქსი პირველსავე ნომერში დაიბეჭდება.

ამ წერილზე დიმიტრი ყიფიანი უპასუხებს ივანე მაჩაბელს შემდეგი წერილით:

„ჩაუბში მე თქვენი მხარე უნდა დავიჭირო და, ჯერჯერობით მაინც, ისეთი აღარა დაგაბეჭდინოთ რა, რომ კვერის დაკვრას ეგვანებოდეს მტრისას, მაგრამ გთხოვთ ეს გადასცეთ ბ. იაკობს, ოომ თუ მეხუთედ დაბეჭდილს წიგნშიაც ამნაირი საბრალო ჩვენი ენის გაუპატიურება ვნახე, მაშინ კი ნურას უკაცრავად, რომ აღარც ჩხუბს მივჰხედო, აღარც არავის ხათრი შეუნახო და მორიდებულადღა ვთქვა ჩემი სათქმელი. ვირიანი რომ ვახსენე, ნე ეს არ მიხუმრია, იქაურია ბ. იაკობი და მგონია იქ არავინ უთხრას ღარი, თუ სიბოვს ვისმე და შინაურულად გადააქართულებინებს, რაც ქართული არ არის". [1]

ასეთი იყო დ. ყიფიანი: იგი ცდილობდა ენერგიულად დაეცვა ქართული ენა და კულტურა მტრის შებოჭვისაგან და ამიტომ ზურგს უმაგრებდა ქართველ მოწინავე ინტელიგენციას ბრძოლის დროს. მაგრამ „ენის გაუპატიურებას" არც შინაურებს აპატიებდა და ცხარე კამათს აწარმოებდა მათ წინააღმდეგაც. მაგრამ დ. ყიფიანისთვის მთავარი და ძირეული იყო პირველი ბრძოლა, ბრძოლა ადგილობრივი ხელისუფლების აგრესიულ და რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ და იგიც ამ ბრძოლის ფრონტზე შეუდგა პოზიციების გამაგრებას.

## 4

დონდუკოვ-კარსაკოვის მთავარ-მართველად დანიშვნით (1882 წ.) საქართველოში დაიწყო აშკარა რეაქციონური დიქტატურა, თავისი მოღვაწეობითა და პოლიტიკით დონდუკოვ-კარსაკოვი სდევნიდა არა მარტო ყოველგვარ ოპოზიციონურსა და რევოლუციონურ მოძრაობას საქართველოში, არამედ ყოველგვარ ქართულს; მან დაჩაგრულ ერებისადმი მიმართა სასტიკ ზომებს: ქართველებს დევნიდა დაწესებულებებიდან და აღარ ღებულობდა სამსახურში. აძლიერებდა რუსულ ელემენტებს მთელს ამიერკავკასიაში და ამით ხელს უწყობდა კოლონიზაციის გაფართოვებას; ებრძოდა ქართულ კულტურასა და სკოლებიდან და ეკლესიიდან ქართულ ენას სდევნიდა. მისი პოლიტიკით სასწავლებლებში უსასტიკესი რეჟიმი გამეფდა: არა მარტო შევიწროვდა ქართული ენა და ქართული კულტურა, არამედ

[1] სიძველეთა მუზეუმი, № 5232.

მძიმე არტახები შემოარტყეს აზროვნებასაც, პიროვნების თავისუფლებასაც. მოსწავლე ახალგაზრდობა, ყველაზე უფრო მგრძნობიერი და აქტიური ელემენტი იმ პერიოდში აუტანელ პირობებში იქნა ჩაყენებული: შავი რეაქცია სასტიკი ზომებით სულს. უხუთავდა ნორჩთაობას, აღრობდა სასწავლებლებში გამეფებული რეჟიმით; მეორე მხრივ, საზოგადოებაში აშკარად მომწიფდა უკმაყოფილების გრძნობა, მაგრამ იგი გამოსავალს ვერსად პოულობდა: პრესა ლაგამაღებული იყო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები არტახებ შემორტყმული. ამრიგად ნეტის მეტად მძიმე და საშინელი ატმოსფერა შეიქმნა. საზოგადოების უკმაყოფილება გამოსავალს ეძებდა, ხელისუფლება კი უფრო სასტიკ ზომებს იგონებდა საზოგადოების შესაკავებლად; ატმოსფერა ამაფეთქებელი ნივთიერებით გაიჟღენთა; აფეთქება რაიმე ფორმებში აუცილებლად უნდა მომხდარიყო. იგი მოხდა, მაგრამ თავისებურ ფორმებში: რევოლუციონურმა ოპოზიციონურმა ძალებმა პირველი რევოლუციონურ ტერორისტული აქტი მოახდინეს საქართველოში სემენარიის რექტორ ჩუდეცკის მოკვლით და თითქოს მოგუბებულმა უკმაყოფილებამ ამ ტერორისტულ აქტში ჰპოვა თავისი გამოსავალი, ხოლო რეაქციამ თავის მხრივ თავისი „ოფიციალური ოპოზიციონური“ აბიერ-კავკასიასა და საქართველოში სახელგანთქმული ძველი საზოგადო მოღვაწე ჯერ სტავროპოლში გადაასახლა და შემდეგ გარეწრებს მოაკვლევინა; ტრაგიკულად დაღუპულ დ. ყიფიანის საქართველოში ჩამოსვენება და მისი დამარხვის დროს მომხდარი ამბები თავისებური ამოხეთქვა იყო იმ მოზღაკებულ ბოღვისა, რომელიც დაგუბდა ქართველ საზოგადოებაში შავი რეჟიმის წყალობით. მაგრამ გავიცნოთ ამ მოვლენათა ვითარებაც,

1884 წ. ამიერ-კავკასიის რეაქციონურ ძალებს კიდევ ახალი ძალა მოეშატა: საქართველოს ახალ ექსარხოსად დაინიშნა პავლე. ახალ ექსარხოსს სიტკვით მიჰპართა დ. ყიფიანმა და ხაზგასმით აღნიშნა ის შეკიწროვება, რომელსაც ქართველობა და ქართული ენა განიცდიდა იმ ხანებში. ორატორი ამბობდა: „სემინარიაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ენას, ასე რომ სემინარიაში კურს დამთავრებული მღვდელი ხშირად არც კი იცნობს ქართულ ეკლესიის ისტორიას და უჭირს კიდეც კითხვა ქართულ ლოცვებისა და საეკლესიო წიგნებისა... ვაძლევ თავს ნებას და ვაწუხებ თქვენს მწყესმთავრულ ყურადღებას იმ ცხადი ტეშმარიტების მიხედვით, რომ ხალხს რომელსაცა აქვს მრავალსაუკუნეთა სახელოვანი წარსული, არ შეიძლება მოეთხოვოს დავიწყება იმისი, რადგან ანდერძი ჩვენი მამა-პაპათა, ჩვენი ისტორიისა არის—ერთგულება ღვთისა, ქვეშეკრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და სამშობლოსათვის თავდადება. ჩვენ, ეხლანდელნი შთამოვავალნი იმ ხალხისა, მოსული თქვენთან, როგორც ჩვენს მწყესმთავართან, რომ მოგილოცოთ მშვიდობით მობრძანება და მივიღოთ-თქვენი მეუფეობისაგან ლოცვა-კურთხევა, გთხოვთ დაგვიახლოვოთ, გაგვიცნოთ, გაგოთ ჩვენი ჭირვარამი და ლმობიერათ მოექცეთ ჩვენს სისუსტეს და ნაკ-

ლულევანებას. ჩვენც ჩვენის მხრ ი ავასრულებთ თქვენს დარიგებას, რადგან ღრმადა გვწამს, რომ იგი მიმართული იქნება ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.[1] მაგრამ ექსარხოსმა პავლემ თავისი სამოღვაწეო პროგრამ „ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილების“ საწინააღმდეგოდ მიჰმართა. თუ დუნდუკოვ-კარსაკოვი—თავისი საერთო ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ღონისძიებითა და აპარატით ავიწროებდა საერთოდ ქართველ საზოგადოებას, თუ იანოვსკი თავისი სასწავლო გეგმებით ანადგურებდა ქართულ ენასა და ქართულ სკოლას, სამაგიეროთ ახალმა-ექსარხოსმა პავლემ ეკლესიის აპარატი გამოიყენა რეაქციის და რუსიფიკატორობის პროგრამის გატარების საქმეში. ექსარხოს მხურვალე დაამარებას უწევდა ამ საქმეში მღვდელი პავლე ჩუდეცკი, რომელიც 1884 წელს ტფილისის სემინარიის რექტორად დანიშნეს. ამ პერიოდიდან სემინარიაში უმძიმესი ატმოსფერა შეიქმნა. ჩუდეცკის დიქტატურამ შემუსრა ნორჩი ახალგაზრდობა. მაშინდელი ამბების მომსწრე და მონაწილე, თ. სახოკია ერთ თავის მოგონებაში სწერს: „ჩუდეცკი. დიდათ განათლებული იყო და იშვიათი ფსიგოლოგი. ნამდვილი ოსტატი იყო მოწაფეებთან ელაპარაკის დროს, მელისებური შემპარავი კილო ჰქონდა, იცოდა ვისთან რა დროს რა ტონით ელაპარაკნა, ასე რომ ბოლოს დამარცხებული, მტკუანი მოწაფე უნდა დარჩენილიყო. მისს აქ დანიშვნას (1884 წ.) მოჰყვა საშინელი დევნა მოწაფეთა იმ ნაწილისა, ვინც თვალის გახელასა სცდილობდა და სემინარიის კედლებს გარეშე ეძიებდა სინათლეს. ჩამოსვლისთანავე ულმობელი ომი გამოუცხადა ეგრედ წოდებულ აკრძალულ ლიტერატურას. ამ კატეგორიაში მოყვა განსაკუთრებით რუსული თვიური ჟურნალები „Отечественные записки“; „Современник“ ნ. ჩერნიშევსკის რომანი „Что делать“, ნაწერები ბელინსკისა, ნ. დობროლიუბოვისა, პისარევისა და საერთო საბუნებისმეტყველო თხზულებანი. პირველი მსხვერპლი დეკანოზ ჩუდეცკისა იყო ჩვენი კრიტიკოსი რომანოზ ფანცხავა (ხომლელი) და რამდენიმე მისი ამხანაგები, რომელნიც მეხუთე კლასიდან დაითხოვეს. მოწაფენი რომ დაიძინებდენ, ჩუდეცკი თავის ფეხით დაივლიდა საკლასო ოთახებს და პარტებში „აკრძალულ“ წიგნებს ეძებდა და ვაი მისი ბრალიცა, ვის პარტაშიც ასეთს რასმეს აღმოაჩენდა.[2] მაგრამ ტფილისის სემინარია უკვე 70-იანი წლებიდან განირჩეოდა თავისი მძიმე რეჟიმით, რაც იწვევდა მოწაფეების უკმაყოფილებასა და ხშირად გაკიცხვებსა და თავდასხმებს ზედამხედველებზე. ეს იყო სტიქიური ფორმა მოწაფეთა უკმაყოფილებისა. ტფილისის სემინარიის ინსპექტორი სტეფანოვი ანდარმთა სამმართველოს უფროსის სახელზე ჩუდეცკის მკვლელობის გამო, სხვათა შორის, სწერდა: „ქუთაისის, ოზურგეთის და სხვა სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი ასობით აკლდებიან ყოველდღე გაკვეთილებს სრუ-

[1] არჩილ ჯორჯაძის მონოგრაფია „სახალხო გაზეთი“, № 810, 1913 წ.

[2] თ. სახოკია: „იოსებ ლალიაშვილი“ (მოგონება) გაზ. „ლომისი“, № 11, 1922 წ.

ლიად უმიზეზოდ და ნება დაურთველად, ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე იშვიათად დადიან, თუმცა სასწავლებლის უფროსები ლებულობენ სათანადო ზომებს ამის შესახებ. დამუქრება და იარაღით თავდასხმა მოწაფეების მხრით სასწავლებლის უფროსებზე და მასწავლებლებზე რეციზიის მიეო დადასტურებულია საექსარხოსოს დანარჩენ სასწავლებლებშიაც.“ [1] ამ რიგად სასტიკმა სასწავლო რეჟიმმა სასტიკივე პროტესტი გამოიწვია ახალგაზრდობაში და ისინიც დროგამოშვებით არეულობას იწყობდენ სასწავლებლებში. მაგრამ ამ სტიქიურ ბრძოლას ბოლოს და ბოლოს ორგანიზაციული სახეც უნდა მიეღო. 1885—86 წლებში ჩვენ უკვე ვხედავთ რომ სემინარიელთა შორის საგრძნობ ორგანიზაციულ მუშაობას ჰქონდა გადგმული ფესვები. გ. ჩიქვილაძე, მეორე თანამონაწილე 1885—86 წლის ამბების, თავის მოგონებებში გადმოგვცემს: „მოწაფეებიც იბრძოდენ ამ დუჩერ პირობების წინააღმდეგ. პირველ ხანებში ბრძოლას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა ჩამოყალიბებულიყო და გარკვეული სახე მიეღო. ამისათვის კი საჭირო იყო მუშაობა, მოხარდი თაობისათვის იმ საბრდოს მიწოდება რომელსაც ის ინსტინქტიურად ეძებდა, სწორედ ამნაირ მუშაობას ეხედავთ ჩვენ მე 80 წლებში სასულიერო სემინარიის მოწაფეთა შორის... მიუხედავად ყოველგვარი დევნა-შევიწროვებისა მოწაფეები მაინც ახერხებდენ წრეებში მუშაობას. ამ ხანებში ინსტიტუტელებთან ერთად გვქონდა რამდენიმე წრე. წრეში ვიკრიბებოდით კვირაში ორჯერ და გამოცდილი აზხანაგების ხელმძღვანელობით სწარმოებდა მუშაობა. ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი პისარევი და მიხაილოვსკი იყო ჩვენი სათაყვანებელი მწერლები. ჩულურეთში მოწყობილი იყო არალეგალური წიგნსაცავი, რომლის არსებობა სულ რამოდენიმე კაცმა იცოდა. რამდენად მოწაფეები აფართოვებდენ არალეგალურ მუშაობას, იმდენად სემინარიის მთავრობა აძლიერებდა „კრამილასთან“ ბრძოლას. ბრძოლა იყო სასტიკი და ულმობელი. ამ ბრძოლამ ბევრი თავდადებული რევოლიუციონერი მისცა ჩვენს ქვეყანას“. [2] გ. ჩიქველაძის მოგონებას სავსებით ადასტურებს სხვა ცნობები და სხვათა შორის ი. ლალიაშვილის 1885—6 წ. დღიური 1886 წლის ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი ჩვენ ვკითხულობთ: „სემინარიის ყოფილ მოწაფეებიდან პროპაგანდას ეწეოდენ მოწაფეები: მოსეშვილი ბართლომე, ჩიტაძე გრიგოლი, მენაბდე ნესტორი, თუთბერიძე თომა, სახოკია თედორე, კუხიანიძე კონსტანტინე, ჩიქილაძე ზოტიკე, ბარნაბიშვილი ივანე, სიდამონიძე ნესტორი და უზნაძე ზაქარია. იმ მოწაფეთა რიცხვს, რომელნიც დაუყონებლივ უნდა იქნენ დათხოვნილი სემინარიიდან ეკუთვნიან: მე-6 კლასის მო-

[1] საქართველოს ცენტრარქივი „Дела по обвинению Лагнева и др.„ 1886 წ. № 58—31. იხ. „რევოლიუციის მატიანე“, № 2-3, გ. 14—1, 1924 წ.

[2] გ. ჩიქვილაძე: „ტფილისის სასულიერო სემინარია გასული საუკუნის მე-80 წლებში“—რევ. მატიანე, № 2-3 გვ. 144—5.

წაფე ცხაკაია მიხეილ, მე-4 კლასის ხახუტაშვილი ნიკოლოზ და მე-2 კლასისა—ჩიკვაიძე როსტომი, პროველიშვილი იოსები და მეექვსეშვილი ნიკოლოზ".[1] აქ ინტერეს არ იქნება მოკლებული ლაღიაშვილის „საბრალმდებლო ოქმიდან" მოვიყვანოთ ერთი ადგილი, რომელიც ახასიათებს მოწ ფეთა მდგომარეობას და მათ ბრძოლას სემინარიაში გამეფებულ რეჟიმის წინააღმდეგ. „ოქმში" იკითხულობთ:

„ამასთანავე ინსპექტორ სტეფანოვმა გამომძიებელს წარუდგინა ლაღიაშვილისაგან ჩამორთმეული „დღიური" ეს დღიური გამომძიებელს ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორისათვის უჩვენებია, ხოლო პროკურორს დღიური საქმეში არ ჩაურთვია და არ განუხილავს. ოქმში მხოლოდ შემდეგი შენიშვნაა დღიურზე: დღიურში 27 ფურცელია in quarto. ამათგან 18 ფურცელი დაწერილია და დ. ნარჩენი სუფთაა. დღიურის პირველ ფურცლის მეორე მხარეზე რაღაცა მცირე ნხატვრობა იყო და შემდეგის წარწერით „ყვავილი", პირველ მხარეზე დაეწერა: „იოსებ ლაღიაშვილი". რვეული რუსულ ენაზეა დაწერილი ხოლო შიგა და შიგა ქართული სიტყვები და რიცხვთა ნიშნებიც (цифры) ურევია. ამ სიტყვების ასახსნელი იმავე რვეულის 7-დე ფურცელზეა. დღიურში შემდეგ სიტყვებს შეხვდებით: „3 ოქტომბერს 1885 წელს 3-მე კლასის სემინარიის მოსწავლეებმა დაარსეს ქართული ჟურნალი „ყვავილი".—„12-ს ოქტომბერს ყველა 3 კლასის მოწაფეებმა არ მიუტანეს სამოქალაქო ისტორიის თხზულებანი, რის გამოც ინსპექტორმა ყოფა ქცევის ნიშანს თითო რიცხვი მოუკლო".—„საყვარელო ძმაო დავით, გთხოვ, შენი შრომა ჟურნალ „ყვავილში" არ მოსპო".—1885 წ. ოქტომბრის 21-ს სემინარიელებმა კიჟინა დასცეს ახალ ზედამხედველს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს იმის გამო, რომ მან უქმად იცის ხოლმე ტანტალი შეგირდების საწოლ ოთახში დღესასწაულ დღეებში".—26 ოქტომბერს მასწავლებელმა ჟორდანიამ გამოუცხადა შეგირდებს, რომ „ამის შემდეგ დავითნს წაგაკითხებთ ქართულ ენაზედ ხოლმე, ზეპირად შეგასწავლით საეკლესიო სიგალობლებსა, და სხვადასხვა იეზუიტურს საგნებსაო"—„ინსპექტორი იაკობ სტეპანიჩი სადილთ უკან შემოდის ხოლმე (5 საათზე) კლასებში, თუ ცოტა შექეიფიანებულია."—„ყველა ჯაშუშადა და ქეციან ძაღლადა სთვლის და ამიტომაც არ იკარებს თინიეს, ინსპექტორის დეპურჩ-ოღლის პირველს ჯაშუშს".—„1885 წელს 9 ნოემბერს მე მთხოვა ბ. ნ №, რომ ყოველ დღე ვიარო იმ წრეში, რომელიც სემინარიელთაგან შესდგებაო; ამ წრეებმა უნდა აღზარდონ ახალი თაობა, მტკიცეს ხასიათით და კეთილი გონიერებით სავსე ნამდვილი მოღვაწეები. მსურს იოსები." „ინსპექტორმა გასინჯა 2-რე კლასის შეგირდები და ერთი რვეული და ერთი ქართული წიგნი გამოართო".—მე-12 ფურცელზე აღწერილია ლავლეის თხზულებიდან წერილები. ეს თხზულება ლავლეისა რეკ-

[1] იქვე.

ტორმა წაართო.—„მე, მაპატოვი, ჩიკვილაძე, მეტათიეი, ხახუტოვი და უზნაძე ვიყავით კრებაზე კუკიაში. იოსები„.—„ამ წრეში კვირაში ორჯერ ვიაროთ, სამშაბათობით და პარასკევობით“.—„აღმოჩნდა, რომ რექტორი ღამ-ღამობით დადის და შეგირდების სასწავლო ყუთებში წიგნებს დაეძებს“.[1]

ეს ფაქტები ამოღებული საბრალმდებლო ოქმიდან, ნათლად ააშკარავებს იმ ბრძოლის პროცესს, რომელიც სემინარიის ადმინისტრაციასა და მოწინავე ახალგაზრდათა შორის წარმოებდა: სასტიკმა რეჟიმმა ბუნებრივად გამოიწვია ახალგაზრდობაში პროტესტი და გარკვევით მიმართა მათი სამოქმედო გეგმა რევოლუციონურ საქმიანობისაკენ; სტიქიურმა მოძრაობამ თანდათან ორგანიზაციული სახე მიიღო; მოწაფეთა პარტიზანული გამოსვლები სემინარიის მმართველობის წინააღმდეგ საერთო მოძრაობად გადაიქცა და რევოლუციონური სახე მიიღო. ერთი მხრივ მოწაფე ახალგაზრდობა და მეორე მხრივ სემინარიის მმართველობა და მთელი ადგილობრივი ხელისუფლება დაუპირისპირდა ერთი მეორეს. ნორჩი თაობა ბორგავს ღელავს იგი, ხან ინდივიდუალურ თავდასხმებს ახდენს სემინარიის ხელმძღვანელებზე, ხან გაფიცვას ახდენს, ხან საპროტესტო ჟურნალს სცემს, ბოლოს კი რევოლუციონურ წრესაც აარსებს. ამრიგად ამაფეთქებელი ნივთიერება უკვე შემზადდა და იგი რაიმე მნიშვნელოვან ფაქტში უნდა გადმოხეთქილიყო. ლადიაშვილის ტერორისტული აქტიც ამ საზოგადოებრივი ატმოსფერის ლოლიკური შედეგი იყო. ეს აქტი გამოიწვია მოწაფეთა არალეგალური ჟურნალის და ორგანიზაციების აღმოჩენამ, მათში რევოლუციონური განწყობილებების გამოაშკარავებამ. ცნობილი ბელეტრისტი შ. არაგვისპირელი თავის მოგონებაში სწერდა: „სემინარიის მესამე კლასის მოწაფეებმა, რასაკვირველია, ზოგიერთებმა განვიზრახეთ ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა... ეს უფრო ჟურნალი გაზეთი იყო... სასტიკად გვადევნებდენ თვალყურს, ქართულ გაზეთსაც კი იშვიათად მალვით ვკითხულობდით. ერთი რედაქტორთაგანი სოსოკ (ლალიაშვილი) იყო. მასალების განხილვისა და დალაგების შემდეგ ისევ სოსო ებეჭოდა, ის ასრულებდა ბეჭედის მაკიერობას... ერთ რვეულში, არ მახსოვს მერამდენე ნომერი იყო, როდესაც ის უკვე დამზადებულს ათვალიერებდა, რომ ჟანდარმ თავს წაადგა კლასის ინსპექტორი... სოსომ ვერ მოასწრო დამალვა. ინსპექტორმა სიხარულით წაგლიჯა ხელიდან და წაიღო. მეც ამავე დროს რობერტ-ოვენის წიგნი წამართვა. ამას ეკითხულობდი იმ დროსმალვით... ორივენი გაფითრებულები დავრჩით და ერთმანეთს შევხედეთ. კარგია, სიჩუმის შემდეგ სოსომ მითხრა: „მე შენი წიგნის შესახებ არა ვიცი. რა, და შენ კიდევ ჟურნალისა“. მაშასადამე პასუხისგება გავიანწილეთ... სასტიკად სდევნიდენ სოციალისტურ წიგნებს რა ენაზედაც უნდა ყოფილიყო. წიგნი

[1] იხ. „ივერია“, № 129, 1886 წ. „სასამართლოს მატიანე“.

ფარულ წიგნთსაცავიდან მქონდა გამოტანილი. სოსო დიდ გაჭირვებაში იყო, თუ თანამშრომლები როგორ დაეხსნა. და მეც ასეთსავე გაჭირვებაში ვიყავი ჩავარდნილი თუ ფარული სამკითხველო და შემნახველი წრე როგორ უნდა დამეფარა... რაკი ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ, მაშინვე ვურჩიე სოსოს ხელთნაწერები თუ ვისიმე მოეპოებოდა უკანვე დაებრუნებინა, ან ეხლავე დაეფია, ვარჩიეთ დახევა."[1]

ამ ხვიდან დაიწყო ლაღიაშვილის ტანჯვისა და წამების ისტორია. თვით ლაღიაშვილი ერთ თავის ხელთნაწერში სწერს: „1886 წელს ტფილისის სასულიერო მართმადიდებელს სემინარიაში ბევრი შეეიწროვების ატანა მომიხდა; სხვათა შორის მე წამართვეს დღიური რომელშიაც ვლანძღავდი სემინარიის მთავრობას უსამართლოებისათვის."[2] სასამართლოს პროცესზე საკმაოდ გამოჩენილ ადგილ ის სასტიკი ზომები, რომელიც გამოიყენა სემინარიის ადმინისტრაციამ ლაღიაშვილის დასასჯელად. სასამართლოს ოქმებში ჩვენ ვკითხულობთ:

„ლაღიაშვილის სადგომში ერევნის ქუჩაზე, მე-6 ვორონცოვის საპოლიციო ნაწილში, შენობა ელიოზოვისა, სახლი ფელდფებელის შაპოვალოვისა, სხვათა შორის აღმოჩნდა რვეული, რომლის 12 გვერდი ყარანდაშით არის დაწერილი. ზემოდ ეპ-გრაფად აწერია: „ცოდნა აზატობაა, ცოდნა—სინათლეა, თუ კაცს ცოდნა არა აქვს, მონაა (ბერანეე). პირველ გვერდზე რვეულს სათაურად აწერია: „ჩემი თავ-გადასავალი 1885/6 წელს". სემინარიის ინსპექტორმა, იაკობ სტეფანეს ძემ სტეფანოვმა აჩვენა, რომ პედაგოგიურის კრების ჟურნალისამებრ 9 დეკემბერს 1885 წელსა, რომელიც დამტკიცებული იქმნა საქართველოს ეგზარხოსის მიერ, მესამე კლასის შეგირდს-ითოსებ ლაღიაშვილს მოესპო სახელმწიფო ხარჯი, რადგანაც უპოვეს დღიური, რომელშიაც ისეთი რამ ეწერა, რომ ამტკიცებდა შეგირდის შეუწყნარებელს მიმართულებას. ეს მიმართულება იმითი გამოჩნდა, რომ ლაღიაშვილი არაფრად აგდებდა საეკლესიო მოძღვრებათა და სასულიერო პირთა, აგრეთვე მძულვარებით ლაპარაკობდა თავის დღიურში ერთერთს მასწავლებელზე და დასასრულ, მონაწილეობას იღებდა საიდუმლო ხელ-ნაწერ გაზეთში, რომელსაც ჭართულად სწერდენ და რომელსაც სახელად ერქვა „ყვავილი". სრულის სახარჯოს მაგიერ, ლაღიევს 6 მანათის ძლევა დაუწყეს თვეში. ამ ღონეზ მაინც თავისი არ დააშლევინა ლაღიაშვილს. 12. მარტს, როდესაც სტეფანოვი მივიდა იმის სახლში ლაღიაშვილმა თავის წიგნები და რვეულები არ აჩვენა იმ მიზეზით, რომ ყველა წიგნები მე არ მეკუთვნისო და ჩემს წიგნებში სხვისიც ურევიაო. როდესაც წიგნები გაუსინჯეს, უპოვეს ერთი მოზრდილი წიგნი: „Отечественные записки"-სა და წიგნში რვეული შემდეგის ეპიგრაფიით:" ცოდნა-სინათლეა, თავისუფლებას აძლევს კაცს: თუ ცოდნა არა გაქვს, არც თავისუფალი ხარ".

[1] შ. არაგვისპირელი, „დიმიტრი ყიფიანი", გაზ. „ლომისი", № 1929 წ.

[2] „ივერია", № 129, 1886 წ.

როდესაც ლალიაშვილს ეს წიგნი სთხოვეს, ლალიაშვილმა უპასუხა, რომ „თქვენ ნება არა გაქვთ წიგნები წაიღოთო“. მეორე დღეს ბევრი შეურაცხობა მიაყენა სტეფანოვს, რომელმაც სემინარიის მართველობაში უჩივლა; რექტორმა სთხოვა, რომ გასვლის თხოვნა შემოიტანეო. თავოვნის თანახმად ლალიაშვილი დათხოვნილი იქნა 13 მარტს და ყოფა-ქცევის ნიშანი (балл) 4 (ძალიან კარგი) დაუსვეს.

ამის შემდეგ ლალიაშვილმა ინსპექტორ სტეფანოვს მიმართა და სთხოვა, რომ წართმეული დღიური მომეციოთო და რექტორს კიდევ რაღაც წიგნსა თხოვდა. უკანასკნელად, მკელელობის 10 დღის წინად, ლალიაშვილი კიდევ მოსულა სტეფანოვთან და მუქარა დაუწყია მისთვის და რექტორისათვის. სტეფანოვმა ეს ამბავი კვლავ შეატყობინა რექტორს და საუბედუროდ, ამ გაფრთხილებაზე ყური არ იქმნა მიქცეული“.[1]

ი. ლალიაშვილი სასტიკმა მოპყრობამ თავგანწირვამდე მიიყვანა და 1886 წ. 24 მაისს ხანჯლით მოჰკლა რექტორი ჩუდეცკი. მაგრამ ლალიაშვილის მიერ გაელვებული ხანჯალი უდიდეს პოლიტიკურ აქტად გადაიქცა საქართველოში. ეს არ იყო მხოლოდ პირადი განცდებით გამოწვეული აქტი: იგი მაშინდელი პოლიტიკური რეჟიმისა და საზოგადოებრივი განწყობილების ნაყოფი იყო. სწორეთ ამგვარად სწვდა ამ ფაქტს ქართველი საზოგადოებაც და ადგილობრივი ხელისუფლება და მისი აგენტებიც. ი. ლალიაშვილის ტერორისტულმა აქტმა ერთის ხმრივ აღფრთოვანება და უსაზღვრო სიხარული გამოიწვია, მეორე მხრივ ბრაზი და სიძულვილი. ქართველი ოპოზიციონერი ძალები ზეიმობდენ ამ ისტორიული აქტით. თ. სახოკია გადმოგვცემს: „სემინარიის მოწაფეთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დაინახეს ჩუდეცკი მკვდარი... არავის, სრულიად არავის შეუბრალებია ეს ჯალათი, რომელსაც ქრისტეს მცნების მოძღვრის სამოსელი ეცვა... და რომელსაც მოყვასის სიყვარულისა, შებრალებისა და შენდობის წილ გულში ედო მარტოოდენ მტრობა, წარწყმენდა და შვილების შეჩვენება... მთელი საქართველო ზეპირივად ი. ლალიაშვილს უქერდა ხმარსა: ხოლო ძლიერნი, როგორც პავლე და თვით კავკასიის მთავარ მართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი, მოითმოვდენ - დამნაშავე სიკვდილით დაესაჯათ“.[2] საზოგადოების ეს აღფრთოვანება ჩუდეცკის სიკვდილის გამო იმას გვეუბნება, რომ საშინელმა რეჟიმმა უდიდესი წინააღმდეგობა გამოიწვია საზოგადოების მგრძნობიერ ნაწილში და ამ აღშაფოთებულ გრძნობას თავისი გამოსავალი უნდა ეპოვა; ტერორიც ამ სასტიკი რეჟიმის ნაყოფი იყო, იგი ღრმა მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი იყო...

მაშინდელი ამბების მეორე მონაწილე ზ. ჩიქვიანაძე თავის მოგონებაში სწერს: „რექტორ ჩუდეცკის მკელელობა ცოტა უფრო ადრე იყო განზრახული. სახელდობრ, აღდგომის წინ, აპრილის პირველ რიცხვებში, იმა-

[1] „სასამართლოს მატიანე“, „ივერია“ № 229, 1886 წ.

[2] თ. სახოკიას წერილი „ლომისი“, № 11, 1922 წ.

ვე 1886 წლისა. ეს ვანზრახვა შეეიშნულ მოწაფეთა დიდმა ნაწილმა იცოდა. ეს გეგმა, როგორც უეარგისი, უარყოფილ იქნა. იმ ხანებში ისეთი აღელვებული იყო მოწაფეთა მოწინავე ნაწილი, რომ თუ ლაღიაშვილს ხანჯალი არ ეშიშვლა, შესაძლო იყო მოწაფეთა გამოსვლა, რომელიც უსათუოდ დიდ მსვერპლს შეიწირავდა. ჩუდეეკის მკვლელობა იყო საპროტესტო აქტი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ რომელსაც აწარმოებდა ჩვენში დონდუკოვ-კორსაკოვი, საქართველოს ექსარხოსი პავლე და რომლის გატარებაშიაც ხელს უწყობდა მათ სემინარიის რექტორი ჩუდეეკი. ეს აქტი მოსწავლე ახალგაზრდობის პროტესტი იყო ქართული ენის, კულტურის აბუჩად აგდებისა და დევნისათვის.[1] ასე აფასებდა ამ აქტს ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილი.

არც მთავრობისათვის იყო დამალული, რომ ჩუდეეკის მკვლელობა პოლიტიკური ხასიათის აქტი იყო და მასთანვე უკმაყოფილო ელემენტების გაბედული ნაბიჯიც. ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებაში პოლიციის დეპარტამენტისადმი ჩვენ ვკითხულობთ: „კავკასიის მთავარმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი ამ საქმეზე შემდეგი შეხედულებისაა: „სემინარიის რექტორის ჩუდეეკის მკვლელობა არ არის საქმე მარტო იმ ერთი პირისა, რომელმაც ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა, არამედ—**ეს არის გადაწყვეტილება მთელი ჯგუფისა სემინარიის იმ არა კეთილ საიმედო მოწაფეთა, რომელნიც სხვადასხვა დროს გამორიცხული იყვნენ სემინარიიდან ცუდი ყოფაქცევისა და ამხანაგებზე მავნე გავლენის მოხდენისათვის.** გარდა ამისა, მისი ბრწყინვალება ხედავს კავშირს აღნიშნულ ბოროტმოქმედებასა და იმ შეურაცყოფას შორის, რომელიც მიაყენა რექტორ ჩუდეეკის 1885 წ. მარტის თვეში სემინარიიდან დათხოვნილმა მოწაფე ჯიბლაძემ, რომ **ტფილისში მცხოვრებ სემინარიის ყოფილმა მოწაფეებმა შექმნეს საიდუმლო ჯგუფი სოციალისტურ მოძღვრების გასავრცელებლად, ხოლო რექტორ ჩუდეეკის მკვლელობის ფაქტს აძლევს ტერორისტულ აქტის მნიშვნელობას,**"[2] ასეთი იყო ადგილობრივი ხელისუფლების შეხედულება აღნიშნულ ტერორისტულ აქტზე. უდაოა, რომ ეს ფაქტი მთავრობის ხელში გადაიქცა უდიდეს საბაბათ, რათა უფრო გაეძლიერებია თავისი რეაქციონური სისტემა, განემტკიცებია სამხედრო დიქტატურა, შეეზღუდა ყოველგვარი საზოგადოებრივი მოძრაობა და უფრო მტკიცედ დასდგომოდა აგრესიულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ამრიგად ხელისუფლებამ სასტიკად დასაჯა არა მარტო ტერორისტული აქტის ჩამდენი, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებაც. მთავრობამ გამოიყენა თავისი პოლიტიკური ადმინისტრატიული აპარატი,

---

[1] ს. ჩიქვილაძის დასახელებული წერილი,—„რევ. მატიანე", № 2-3 გვ. 1-150, 1924 წ.

[2] ცენტრარქივი: „Дѣло об обвиненіи Лагиева" № 58—31 „რევ. მატიანე" № 2—3, გვ. 148.

რომ უფრო შეებორკა და შეეიწროვებია საზოგადოება; ოლქ-ს სასწავლო მხრუნველმა გამოიყენა თავისი სასწავლო — ადმინისტრატიული აპარატი, რომ უფრო სასტიკი რეჟიმი დაეჭყარებია სასწავლებლებში და აღმოეფხვრა ყოველგვარი ანტისახელმწიფოებრივი გონებრივი მოძრაობა მოწაფეებში; სამღვდელოებამ გამოიყენა თავისი აპარატი, რომ აღმოეფხვრა ყოველგვარი ანტირელიგიური მოძრაობა და ღვთის და მეფის მორჩილება განმტკიცებია ყაზოგადოებაში. აი რეაქცია ამ საერთო ფერხულის დროს როდესაც ქართველი საზოგადოების შიშის ზარს ყავდა მოცული, საქართველოს ეგზარხოსმა პაველმ დააგვირგვინა შავი რეაქციის განზრახვანი და დასწყევლა ლაღიაშვილიც და ის ერიც, რომელმაც ეს ტერორისტი წარმოშვა. სწორეთ ამ უკანასკნელმა ფაქტმა, — ექსარხოსის მიერ ქართველი ერის შეურაცყოფამ, — ააღელვა დიმ. ყიფიანი და იგიც მეტად გამოვიდა თავისი ერის ინტერესების დასაცავად. ამ საბაბმა დაუკავშირა დიმ. ყიფიანის საქმე იმ დიდ რეოლუციონურ მოძრაობას, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობაში წარმოებდა და რომელიც მიმართული იყო შავი რეაქციის წინააღმდეგ, მაგრამ დ. ყიფიანის ხმის ამაღლება და ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრება არ მომბადარა შემთხვევით: როგორც დავინახეთ იგი უკვე 80-იანი წლებიდან მეთაურობდა იმ ლეგალურ ეროვნულ ოპოზიციას, რომელსაც ქართველი გაბატონებული წრეები აწარმოებდენ დონდუკოვ-კორსაკოვის რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ, ლაღიაშვილის გალესილმა მახვილმა წინააღმდეგობა საზოგადოებრივ ძალთა შორის უმწვერვალესამდე გაამწვავა, საზოგადოებრივი კრიზისი თავის გახრწნის პერიოდში შეეიდა: რეაქციის შემდეგი განვითარებისათვის მსხვერპლი იყო საჭირო; რევოლუციონურ-ოპოზიციონურ ახალგაზრდობის მხრივ რეაქციონურ პოლიტიკას მსხვერპლად შეეწირა თავდადებული ახალგაზრდა — პირველი რევოლუციონერი ტერორისტი საქართველოში — ი. ლაღიაშვილი; ხოლო ეროვნულ ოპოზიციონური მოძრაობის მხრივ დონდუკოვ-კორსაკოვის რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ მსხვერპლად შეეწირა ძველი მოღვაწე დიმ. ყიფიანი.

## 5

როგორც მკითხველმა დაინახა, 80-იან წლებში ამიერ-კავკასიაში გამეფებულმა რეაქციონურმა დიქტატურამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებში: თუ მოწავლე-ახალგაზრდობაში და რადიკალურად განწყობილ ინტელიგენციაში ამ უკმაყოფილებამ აშკარა რევოლუციონური სახე მიიღო მთელი რეაქციონური რეჟიმის წინააღმდეგ, სამაგიეროთ ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეები დააფრთხო აგრესიულ-რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ და ამ ოპოზიციის მეთაური დ. ყიფიანი ლეგალურ გზით შეუდგა თავდაცვის წარმოებას. ჩვენ უკვე გავიცანით, თუ 80-იან წლების პირველ ხანებში როგორი თავგამოდებით იცავდა დ. ყი-

ფიანი ქართულ ენასა და ქართულ სკოლას რეაქციის თავდასხმისაგან. იგი მაშინ დარწმუნებული იყო, რომ პრესისა და პროპაგანდის საშუალებით დაარწმუნებდა ინოვსკის თავის სასწავლო „გეგმების უგუნურებაში და აიძულებდა მას დაბრუნებოდა სწორ გზას. დ. ყიფიანის პირველი ხანების ბოძოლამ თავისი ნაყოფი ვერ გამოიღო. წინააღმდეგ 1884—86 წლებში რეაქცია უფრო გამძვინარდა და რუსიფიკატორულ-აგრესიული პოლიტიკაც უფრო მძლავრი გახდა. 1884—85 წლებში გამოცემულმა სამრევლო სკოლების დებულებამ და სასწავლო ხასიათის „განკარგულებებმა უფრო მწვავე მდგომარეობაში ჩააყენა ქართული სკოლები; ადგილობრივი ხელისუფლების „განკარგულებები „ სამსახურში აღარ იღებდენ ქართველებს, სასტიკად სდევნიდენ არა რუსულულ ელემენტებს და სხვ. ნიკ. ყიფიანი გადმოგვცემს „საქართველოს დედა-ქალაქის სასწავლებლებში ას მოსწავლეთაგანში ათიც არ იყო ქართველი... მიზეზი ის იყო, რომ ქართველ ბავშვებს შვიდი რვა წლისას და რუსს ბავშვსა იმავე ხნისას გიმნაზიაში შესასვლელი ეგზამენის დროს რუსული წერა-კითხვის და გამოთქმის ცოდნა ერთნაირად მოეთხოვებოდათ, რასაკვირველია, შვიდი და რვა წლის ბავშვებში რუსულის წერა კითხვაში და გამოთქმაში რუსი ბავშვი ყოველთვის აჯობებდა ქართველ ბავშვსა... ამიტომ საქართველოს დედა-ქალაქის სასწავლებლებში რუსი ყმაწვილი მეტი შედიოდა, ვიდრე ქართველი და ასს მოსწავლეში სამოცზედ მეტი რუსი იყო, ათიოდე ქართველი, და ოცდაათამდინ სომეხთა ტომი.“[1] ასეთს პირობებში დ. ყიფიანმა თავისი სამოღვაწეო ტაქტიკა შეიცვალა. რაკი მისმა მოლაპარაკების, წერილებმა და დარიგებებმა ვერ გასჭრა და ვერ შეაცვლევინა პოლიტიკა ადგილობრივ ხელისუფლებასა და მის აგენტებს, დიმ. ყიფიანი აშკარა ბრძოლის მეთოდზე გადავიდა დონდუკოვ კორსაკოვისა და მისი თანაშემწეების მიმართ. და მოიწადინა ცენტრალური ხელისუფლებისათვის, ე. ი. ალექსანდრე III და მისი მინისტრებისათვის ეცნობებინა ის უმსგავსოებანი, რომელსაც დონდუკოვ-კორსაკოვის რეჟიმი ჰქმნიდა საქართველოში. დ. ყიფიანი ბოლომდე იყო დარწმუნებული იმაში, რომ ის რეჟიმი რომელიც საქართველოში განხორციელდა 80-იან წლებში ნაყოფი იყო მხოლოდ დონდუკოვ-კორსაკოვისა და მისი თანამშრომლების საკუთარი საქმიანობისა, ცენტრალური მთავრობა ამ საქმეში არ ერია: დ. ყიფიანი ჰფიქრობდა და საესებით დარწმუნიბული იყო იმაში, რომ ცენტრში ამ უმ გაესოებას დაწვრილებით გააგებინებდენ, მაშინ ადგილობრივი ხელისუფლება შეიცვლებოდა, და კვლავ ძველი დამოკიდებულება იქნებოდა აღდგენილი. დ. ყიფიანი სრულიად არ ფიქრობს მას, რომ ადგილობრივი მთავრობა მხოლოდ „ტახტის“ პროგრამას ანხორციელებდა ცხოვრებაში; იგი კვლავ დარწმუნებული იყო, იმაში, რომ „ტახტსა“ და „სამშობლოს“ შორის შეუძლებელია რაიმე წინააღმდეგობა არსებობდეს; წინა-

[1] ნიკ. ყიფიანი; „დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელი დღენი“, „თემი“, № 95, 1912 წ.

ალმდეგობა შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების უგუნურმა პოლიტიკამ. დ. ყიფიანიც თავკამოდებით ცდილობს აცნობოს „ტახტს“ საქმის ვითარება და ალაგმოს დონდუკოვ-კორსაკოვის საქმიანობა. 1885 — 6 — 7 წლების ბრძოლა დონდუკოვ-კორსაკოვსა და დ. ყიფიანს შორის საინტერესო ეპიზოდს წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. უკვე 70 წლის მოხუცი მოღვაწის ენერგია, თავდადებულება და გაბედულობა გაკვირვებას იწვევს. დ.-კორსაკოვი დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი, მის განკარგულებაში იყო მთელი კავკასიის მართველობის სახელმწიფოებრივი აპარატი, იგი მოქმედებდა ტახტისა და დიდი სახელმწიფოს სახელით; დ. ყიფიანი ასეთს აპარატს მოკლებული იყო, სამაგიეროთ მის მხარეზე იყო ფართო საზოგადოების მორალური დახმარება. ამ უსწორმასწორ ბრძოლაში დ. ყიფიანი დამარცხდა. რეაქციამ გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებულ ძალას მორალური სიმტკიცე გამოეცალა ქვეშიდან.

1885 წ. დ. ყიფიანი აირჩიეს ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღვრად. ამ თანამდებობის მიღება დ. ყიფიანისათვის დიდ მასალებს და ორგანიზაციულ დახმარებებს წარმოადგენდა. ამ გზით დ. ყიფიანმა საგრძნობლად გაიმაგრა ზურგი და უფრო ენერგიული ბრძოლის წარმოებას შეუდგა დ.-კორსაკოვის წინააღმდეგ. საზოგადოებაც დიდი თანაგრძნობით შეხვდა, ყიფიანის წინამძღოლად არჩევას. ეს ერთგვარი დემონსტრაციაც იყო ადგილობრივ ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მიმართული. 1885 წ. ილია ჭავჭავაძე სწერს ამ ამბავის გამო დ. ყიფიანს: „სიხარულით მოვილოცნია თქვენი მარშალად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენი ქვეყნისათვის საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი, რომ თქვენი სურვილნი ისე აღსრულდნენ, როგორც თვენ და ჩვენც თქვენთან ერთად სასოებით დავნატრობთ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოთ ჩვენთვის. დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადაემატება. მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ, რომ გარემოებამაც ხელი მოგიწყოთ და სურვილი თქვენი აღგასრულებინოთ“. [1] აქვე მოვიყვანოთ დ. ყიფიანის პასუხიც: „ჩვენი საზოგადოების ყველა წევრისათვის სასიქადულოა წიგნის მიღება თქვენებრი წევრისაგან და რაც თქვენგან გუშინ წიგნი მივიღე, ამისთანა წერილისათვის მადლობა ხომ სწორეთ გულის სიღრმიდან არის ამოსაღები და შემოსაწირავი. გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა და გულდამშვიდებული მოველი ხეობიდან გამოხმაურებას. მაშინ იმისი იმედიც მექნება, რომ საზოგადოებას საწუხრად მაინც არ დაურჩეს ჩემი წინ წამოყენება და არც თქვენ დაგანანებინოთ აგრეთი მხურვალე მოლოცვა.“

დ. ყიფიანმა თავისი არჩევის მეორე დღესვე დაიწყო შეტევის წარმოება დონდუკოვ-კორსაკოვის წინააღმდეგ; ეს შეტევა უფრო ფართო მაშ-

[1] სიძველეთა მუზეუმი, № 5232.

ტაბითა და ფართო გეგმებით იქნა დაწყებული დ. ყიფიანის მიერ. მისი იმერეთის თავად აზნაურობის წინამძღოლად არჩევის რამდენიმე დღის შემდეგ ცნობა მოვიდა, რომ საქართველოში მოდის დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, როგორც ვიცით, ეს მთავარი 1862-82 წლების განმავლობაში განაგებდა კავკასიას, როგორც მეფის მოადგილე. მას დ. ყიფიანი კარგად იცნობდა. 1864-70 წლებში დ. ყიფიანი ტფილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა წინამძღოლი იყო, ხოლო 1876-79 წლებში ტფილისის ქალაქის თავი და ამ ხანებში დ. ყიფიანს ბშირად უხდებოდა შეხვედრა მეფის მოადგილესთან სხვადასხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საკითხების გამო. დ. ყიფიანმა გადასწყვიტა ესარგებლა დიდი მთავრის საქართველოში ჩამოსვლით და გაეცნო მისთვის ადგილობრივი ხელისუფლების მაკნე პოლიტიკის შედეგები. იგი დახვდა ბათომში დიდ მთავარს და გააცილა ბორჯომამდე. უნდა აღინიშნოს, რომ თავად-აზნაურობა აღფრთოვანებით შეეგება მიხეილ რომანოვს; ამით ამ წოდებამ და ინტელიგენციამ გამოსთქვა ის უკმაყოფილება, რომელიც საქართველოში იყო გამეფებული დ—კარსაკოვის რეჟიმით. ნიკ. ყიფიანი სწერს: „გზაში სუყველა სტანციებში დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი. სუფსაში გურიის თავად-აზნაურობა დახვდა თავისი მაზრის მარშლიანა, რიონის სტანციაში ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობა და მისი მარშალი; ყვირილის შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობა და მისი მარშალი. დიმიტრი ყიფიანმა წარუდგინა დიდს მთავარს თითო-თითო მაზრის თავად-აზნაურობა და დიდმა მთავარმა ყოველ მარშალს რამოდენიმე სიტყვით მიჰმართა... სუყველგან, ესე იგი, იმერეთში, ქართლში და თვით თბილისში დიდი ოვაციებით ეგებებოდა ხალხი და საზოგადოება კავკასიაში მეფის მოადგილედ ნამყოფს. ცხადად სჩანდა, რომ ეს უწინდელი მთავარ-მართველი ახლანდელზედ (ე. ი. დონ.-კორსაკოვზე. ს. ხ.) უკეთესად მიაჩნდა ყველას და იმისი მართებლობა, რაც უნდა იყოს უწინდელთან შედარებით მჯობი ეჩვენებოდა დიდსა და პატარას, რომ ამ შეხვედრამ, სჩანს შთაბეჭდილება მოახდინა. ეს დონ.-კორსაკოვის საიდუმლო მოხსენებიდანაც მტკიცდება.

დ. ყიფიანმა ხელმეორედ ინახულა მიხეილ ნიკოლოზის-ძე რომანოვი ბორჯომში და ვრცლად გააცნო ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილი იყო საერთოდ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ადგილობრივ მთავრობის პოლიტიკის წყალობით, დ. ყიფიანი გაბედულად გმობდა დონ.-კარსაკოვის სისტემას და მისი მოღვაწეობის მავნე შედეგებს. განსაკუთრებით შეეხო დ. ყიფიანი განათლების საკითხში არსებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკის შედეგებს და ამხელდა ამ სისტემის მავნე შედეგებს. მიხ. ნიკოლომის-ძეზე მოხსენებამ მწვავე შთაბეჭდილება მოახდინა. იმავე დროს იგი მიიწვიეს სადილზე ქუთაისის ქალაქის გამგეობამ; 5 ოქტომბერს გაიმართა საპატივსაცემო ვახშამი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდენ დონ.-კარსაკოვის სისტემის მგმობელნი. ქუთაისის ქალაქის თავმა ლ. ასათიანმა,

გუბერნატორის ნებადაურთველად, წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც აღნიშნა თვით დიდი მთავრის ღვაწლი კავკასიაში მისი მეფის ნაცვლობის დროს. ასათიანი ამბობდა: „თქვენი ბრწყინვალების 18 წლის მართვა ჩვენი მხარისა წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის თანდათანობით შეერთებისა და გაერთიანების პერიოდს საერთო სამშობლო-რუსეთთან, სამწუხაროდ ჩვენი ღრმა რწმენით არა ამ მიზნისაკენ მიეყვანართ შემდეგი დროის წყობილებას, რომელიც მეტად ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას“.[1]

თავის სიტყვაში დ. ყიფი ნმა ვრცლად გადაშალა შექმნილი პირობების სურათი და ბოლოს მიჰმართა მიხეილ ნიკოლოზის-ძეს თხოვნით: „თქვენო უმაღლესობავ, რადგან თქვენ მოგვეპყარით თქვენი უავგუსტესი ყურადღება რომლის მიმართაც ჩვენ ებედავთ, ხომ არ ინებებთ ნება დამრთოთ მე მოგაწვდინოთ ცნობები აღნიშნულ ფაქტების შესახებ და ხომ არ ინებებთ მიგვითითოთ თუ როგორი გზით მოგაწოდოთ“.[2] ამ შეკითხვაზე მ. ნ. რომანოვმა დადებითად უპასუხა და გზებიც უჩვენა, თუ როგორ მოეწოდებიათ მისთვის ეს ცნობები. მანვე განუცხადა ყიფიანს, რომ იმპერატორი მოწყალებით უყურებს საქართველოს და არ მოაკლებს მათ თავის ყურადღებას, მასთანვე ნება დართო გადაეცა ეს ცნობა თავადაზნაურობისათვის. დ. ყიფიანმა დასწერა სიტყვა-სიტყვით მისი საუბარი ბორჯომში მიხეილ ნიკოლოზის-ძესთან და გაავრცელა საზოგადოებაში.[3]

ამ ფაქტებისათვის დონდუკოვ-კორსაკოვს არ შეეძლო თავისი ყურადღება არ მიექცია, იგი ნათლად ხედავდა, რომ ეს აშკარა დემონსტრაცია იყო მისი მართველობის წინააღმდეგ მიმართული. მისთვის სწორედ ის წარმოადგენდა საფრთხეს, რომ დ. ყიფიანმა შესძლო კავშირის გაბმა ცენტრთან, რომ ყველა ამ გამოსვლებში ჩათრეული იყო დიდი მთავარი. ამ გარემოებას შეეძლო პირადათ მისი მდგომარეობისათვის მიეყენებინა რაიმე საფრთხე. საჭირო იყო აშკარა ბრძოლა დ. ყიფიანის წინააღმდეგ და მისი სახელის გატეხა ცენტრში. ამ მიზნით იგი ვრცელ მოხსენებას აგზავნის მინისტრისადმი და ვრცლად ასწერს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ახლანდელმა დემონსტრაციებმა მოახდინეს საზოგადოებაზე. მოხსენებაში დონ.-კორსაკოვი სხვათა შორის სწერს:

„მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მობრძანებას გასულ შემოდგომაზე კავკასიაში, სამწუხაროდ არასასიამოვნო შედეგები მოჰყვა ადგილობ-

[1] იხ. ცენტრარქივი: Дело канцелярии главноначальствующего гражданской частью на Кавказе: По поводу некоторых заявлений по учебному делу, деланных Кут. губ. предводителем дворянства Д. С. С. КИПИАНИ и о высочайшем выговоре полученном им; здесь же об увольнении от должности и высылке на жительство в Ставрополь (1885-1887 г. г.) № 457.

[2] ასეთ სართულებს ატარებს ის საქმე, რომელშიაც მოიპოვება დოკუმენტები დ. ყიფიანისა.

[3] იქვე ბრძოლის შესახებ დონ.-კორსაკოვის წინააღმდეგ.

რიეი ხელისუფლების პრესტიჟისათვის. ყველა ელემენტი რომელიც არ უთანაუგრძპობდა აქ დამკვიდრებულ მართველობის ახალ წესს... ცდილობდა ამ თუ იმ საშუალებით მიეღწია მისი იმპერატორობითი უდიდესობის ცნობამდე მათი უკმაყოფილება კავკასიის მართველობაში მომხდარ ცვლილებათა პირობების წესახებ და ეჩვენებია არ არსებული შევიწროება, რომელიც ვიდომდა ბიმართული არის ადგილობრივ მკვიდრთა წინააღმდეგ. იმ უმაღლესმა ყურადღებამ, რომელიც **დიდ**ნა **თავადმა** გამოიჩინა ამ **გვარ განცხადებათა** მოსმენის მიმართ და აგრეთვე იმ ერთ შეხედვით წვრილმანმა, ბაგრამ მაინც ყურადღება მიპყრობილმა გარეგნობამ, რომ მისმა უმაღლესობამ გაიარა რა რამოდენინეჯერ, ტფილისით, არ ინება ენახა მთავარმართებელი, რამაც დაბადა მცხოვრებლებში სხვადასხვა ჭორები, მათ შორის მთავარმართებლის უახლოეს დროში მოხსნის შესახებ, ამას რასაკვირველია, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა უკანასკნელის ავტორიტეტის დაცემაზე. ამის შედეგი იყო სწორედ ისეთი გამოსვლები, როგორც სიტყვა ქუთაისის ქალაქის თავისა (ასათიანის ს ხ.), ტფილისის საბჭოს მიერ დიდი მთავრის მოწვევა მთავარმართებლის დაუკითხავად და ბოლოს, უშუალო მიმართვა მის უმაღლესობისადმი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, რომელიც არ დაკმაყოფილდა თავისი უადგილო განცხადებებით ბორჯომში და გაავრცელა დიდ თავადთან წარმოებული საუბრის ასლი ქუთაისის გუბერნიაში, რითაც ხელი შეუწყო სამწუხარო ფაქტს ქუთაისის გიმნაზიაში".[1]

დონდუკოვ-კორსაკოვის არგუმენტაციამ გასჭრა: ცენტრში დ. ყიფიანის მოქმედება არა კანონიერად და დაუშვებლად სცნეს — თვით ალექსანდრე III გაეცნო დონდუკოვ-კორსაკოვის მოხსენებას და ბრძანა ყიფიანისათვის გაკიცხვა გამოეცხადებინათ. 1885 წ. დეკემბრის 13-ს განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი სწერს დონდუკოვ-კორსაკოვს:

„ხელმწიფე იმპერატორმა, წაიკითხა რა თქვენი ბრწყინვალების მოხსენება ბის იმპ. უმაღ. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ამა შემოდგომაზე ყოფნის შესახებ კავკასიაში, ბრძანა, რომ დიდ მთავარს სრულიად საფუძვლიანად უთქვამს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, რომ ხელმწიფე იმპერატორი საესებით დარწმუნებულია ქართველების ერთგულებაში ტახტისადმი და რომ, თავის მამის და პაპის მსგავსად, არ მოაკლებს მათ თავის წყალობას, და რაკი ყოველივე ეს უტყუარია, დიდ მთავარს სრული უფლება ჰქონდა დაევალებინა მისთვის ყველას საყურადღებოთ გადაეცა ეს, მაგრამ დიდი მთავრის მიერ თქმული სიტყვები სრულიად არ ავალებდნენ ბ-ნ ყიფიანს ჩაწერას იმ სიტყვებისას, რომელნიც კერძო ლაპარაკში იყვნენ გამოთქმულნი ბორჯომში, არ ავალებდნენ ამ სიტყვების წერილობით გავრცელებას და წერილობით ოფიცია-

[1] იქვე, № 457, ფვ. 76—77.

ლურად გადაცემას დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში. ხელმწიფე იმპერატორი, სცნობს რა ბ—ნ ყიფიანის ამ გვარ მოქმედებას უადგილოდ, თქვენ ბრწყინვალეებას ავალებს გამოუცხადოს მას შესაფერი გაკიცხვა. (Сделать ему должное внушение.)"[1]

ამ რიგად ამ პირველ მნიშვნელოვან შეტაკების დროს დ. ყიფიანი სასტიკად დამარცხდა: მისმა ხელმა ბრძოლისამ მიხანს ვერ მიაღწია; იგი დარწმუნეული იყო, რომ იმპერატორი მოწყალებით მოისმენდა ქართველ თავად აზნაურთა წინამძღოლის ცნობებს და გაკიცხვას დონდუკოვ-კარსაკოვს გამოუცხადებდა, რადგან ჭეშმარიტება და სიმარლე მის მხარეზე იყო; დ. ყიფიანი დარწმუნებული იყო რომ დონ.-კარსაკოვი იმპერატორის დაუკითხავად აწარმოებდა საქართველოში რუსიფიკატორულ პოლიტიკას, საკმარისი იყო ეს გაეგო იმპერატორს, რომ მას მთავარი შესაფერისი განკარგულება მოყოლოდა. მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო, დონ.-კარსაკოვის ნაცვლად თვით დ. ყიფიანმა მიიღო „გაკიცხვა", ამ გარემოებას საბოლოოდ უნდა დაედუმებია დ. ყიფიანი და ყოველგვარი მოქმედების ხალისი უნდა მოესპო. მაგრამ ვერც ამ დიდმა დამარცხებამ გასტეხა სამოცდა ათი წლის მოხუცი; იგი ბრძოლის ფრონტს არ სტოვებს და კვლავ დაუცხრომლად იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ.

1885 წ. 17 დეკემბერს დონ.-კარსაკოვი „გაკიცხვის" ბარათს უგზავნის ყიფიანს და თან წინადადებას აძლევს, რომ მან დიდმოვარისათვის გადაცემულ ცნობების დასამტკიცებელი ფაქტები წარმოადგინოს შვილებში ქართველებისა და ქართულ ენის დევნის შესახებ.[2] ამ რიგად დონ.—კარსაკოვი თავდაცვიდან უკვე გადმოვიდა თავდასხმაზე და ნიადაგს ამზადებდა დ. ყიფიანის საბოლოო გასანადგურებლად; მას უდიდესი არგუმენტი აქვს ხელში დ. ყიფიანის დასამარცხებლად: იმპერატორის ბრძანება დ. ყიფიანის გაკიცხვის შესახებ. მთავარმართველს აინტერესებს ის, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ყიფიანზე გამგებელ მართველის ბრძანებითი წინადადება: იგი უგზავნის რა ა. მ. სმეკალოვს ყიფიანისადმი გაგზავნილ თავის წერილის კოპიოს, კონფიდენციალურად ატყობინებს: „რადგან აღნიშნულ ჩემს წინადადებას არა აქვს კონფიდენციალური ხასიათი და შეგიძლიათ იგი გააცნოთ საზოგადოებაში, ამიტომ მე გთხოვთ თქვენ, თავის დროზე და სრულიად გულახდილად, მაცნობოდ იმ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც იგი (წინადადება) მოახდენს როგორც ადგილობრივ საზოგადოებაზე, ისე თვით ბ-ნ ყიფიანზე..."[3] დ. ყიფიანი დამარცხდა, მაგრამ გამარჯვებულ მართველს ჯერ კიდევ რაღაც შიში აქვს და საიდუმლო გზებით ცდილობს გაიგოს დ. ყიფიანის განწყობილება. რას ფიქრობდა იგი? 30 დეკემბრის თარიღით, დ. ყიფიანი ატყობინებს დონ.-კარსაკოვს, რომ იგი განუსაზ-

[1] იქვე. გვ. 2—3; არ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტ II, გვ, 171—2.
[2] იქვე, გვ. 6.
[3] იქვე, გვ. 7.

ღვრილი კმაყოფილებით (безграничною покорностью и благоговейным смирением) ღებულობს იმპერატორის გაკიცხვას.[1] ხოლო 1886 წ. 8 იანვრის თარიღით დ. ყიფიანი ვრცელ პასუხს უგზავნის დონ. - კორსაკოვს მის შეკითხვაზე სწავლა განათლებისა და ქართულ ენის მდგომარეობის შესახებ. ეს წერილი ძვირფას ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს 80-იანი წლების საზოგადოებრივი მდგომარეობის შესასწავლად და თვით დ. ყიფიანის მოღვაწეობის დასახასიათებლად. წერილი ამტკიცებს, რომ დ. ყიფიანი არ გატეხილა, რომ მას იარაღი არ დაუყრია და კვლავ აპირებდა ბრძოლის გაგრძელებას. ეს დოკუმენტი ღირსია, რომ იგი მოყვანილი იქნეს აქ მთლიანად.

„17 დეკემბრის შეკითხვით თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა დაწვრილებით მომეხსენებია თქვენთვის იმის შესახებ თუ რამ მაიძულა დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოზის-ძეს რომ მოვახსენე, ის, რაც მოვახსენე. ამიტომ 30 დეკემბრის ჩემი მოხსენების შესავსებლად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მაშინ მე ორგვარი ფაქტი მქონდა მხედველობაში:

1) დაბრკოლებანი სახელმწიფო სამსახურის დროს და 2) სახალხო განათლების საქმეში უცნაური მოვლენანი. ის რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში მართლაც ახდენდნენ შეუფერებელ განკარგულებებს, ეს თქვენმა ბრწყინვალებამ თვითონ კეთილ ინება და მითხრა ლაპარაკის დროს 23 ოქტომბერს ტფილისში. ხოლო შემდეგ სავსებით გამოირკვა, რომ ეს განკარგულებანი საკუთრივ ქართველებს არ ეხებოდნენ. ამიტომ ამ ფაქტების შესახებ კითხვა, განსაკუთრებით თქვენი შეკითხვის შემდეგ, სავსებით უკუგდებულად მიმაჩნია. და თუ ვიხსენიებ ამ ჟამად მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიბრძანებთ ამის გამო განმარტება მოგახსენოთ. სრულიად სხვანაირია მეორე ხასიათის ფაქტები. ამის შესახებ მე ვწერდი 11 ოქტომბერს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ეს ჩემი წერილი თქვენს ბრწყინვალებას მიაჩნია უსაფუძვლო წერილად და არ შესაფერ ოფიციალურ მიწერ მოწერაში და შემლახველ იმ პირის ღირსებისა, რომელთანაც იგია მიწერილი. მაგრამ ვბედავ და მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას კანონით განსაზღვრულ ჩემი თანამდებობის ღირსების დაცვის გულისთვის: ბ—ნმა მზრუნველმა თითონ მომმართა და მთხოვა განმარტება იმ საკითხის გამო, რომელიც მას ჩემზე მიუწერიათ და მთხოვა განმარტება ისეთის კილოთი, რა კილოთიც თავადაზნაურთა წინამძღოლს, გარდა სენატისა, არავის არ აქვს უფლება ელაპარაკოს, ჩვენი სამსახურის მდგომარეობა კი იმნაირია, რომ იგი არ ჰგულისხმობს ერთის დამოკიდებულებას ან ხელქვეითობას მეორისაგან. თუ რომ მე ამაში ვცდები და სწორედ არ მესმის ჩემი თანამდებობის ღირსება თუმცა არა მგონია, რომ ეს ასე იყოს,—არის სხვა მიზეზიც, რის გამო პასუხი არ გამიცია ბ—ნ მზრუნველისათვის. მე საჩიერით კი არ მომმართეს, რომელსაც არც კი განვიხილავდი, არამედ იმ გვარ ცნო-

[1] იქვე, გვ. 8.

ბებით რომელთა გამო (9 ტომის კანონკრებ. 10 პას. 293 სტ. მიხედვით) გულგრილობა არ უნდა გამოეჩინა. ცნობები ამგვარია:

ა) 1881 წელს იანვარში ყოფილ კავკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული იყო სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით სახალხო სკოლებში სწავლა ორი წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი, მაგრამ 1885 წელს ეს გეგმა გაუქმებულ იქნა არა იმ პირით, ვისაც ნამესტნიკის შემდეგ ჰქონდა ჩაბარებული მმართველობის უფლება, არარედ ადგილობრივ სამოსწავლო დაწესებულებებით. ბ) 1885 წელს ივნისში სამაზრო პოლიციის განკარგულებით, რომელიც იმავ სამოსწავლო მმართველობიდან მომდინარეობდა სოფლის საზოგადოებათ გამოუცხადეს, რომ ვისაც სურს თავისი შვილი სოფლის ნორმალურ სკოლაში მიაბაროს, სამშობლო ენაზე წერაკითხვა წინდაწინვე სახლში უნდა ასწავლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი სკოლაში მიღებული არ იქნებაო, გ) ერთ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ადგილობრივ მკვიდრისათვის იყო დაარსებული, ამ მკვიდრთა შვილებს 15 აგვისტოდან აღარ იღებენ. და იღებდნენ იქ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სტავროპოლის გუბერნიიდან, და გზის ხარჯსაც თვით სასწავლებლები იხდიდა, დ) ერთ საშუალო სასწავლებელს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ სასწავლებლის პანსიონში, რომელიც ადგილობრივ თავად-აზნაურთა შვილებისათვის იყო დაარსებული, მიიღონ სამსახურ გათავებულ სალდათის შვილები. ყველა ამ ცნობების შემოწმება იყო საჭირო. უამისოდ მათ მე ვერავითარ მსჯელობას ვერ მივ ეიმდი. მაშასადამე, დაბალებული არ ვიყავი მეცნობებინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის. ეხლა კი, როდესაც ყველა ამ ხასიათის საკითხს ეკონომიურობით უყურებენ, შემოწმების იმედი სრულიად დამეკარგა, თქვენი ბრწყინვალების საყურადღებოდ ვახსენებ ყველა ამას მხოლოდ თქვენი ბრძანების მიხედვით. ხოლო ჩემს თავზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ყოველი ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ შეიძლია მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართული ენის დევნისა. მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში, და იქ ყველას ესმის ეს ენა, ამ ჟამად კი იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ—მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით, ისე რომ გავიგეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აპარლებისა, ფშავ ხევსურისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მრავალტანჯული მართლმადიდებელი საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა და ერთგულება დაიმსახურა? მე ჩემ წმინდა მოვალეობად ვსთვლი ბუდამ ამ მდგომარეობის და ერთგულობის გრძნობაზე ვიდგე (неуклонно стоять за эту

благодарность и верность) და სწორედ რომ არ მესმის, რატომ მიწყრებიან ამის გულისთვის (и только недоумеваю когда негодуют на меня за это).[1]

მართლაც და დ. ყიფიანისათვის გაუგებარი იყო თუ რათ უცხადებდენ მას გაკიცხვას: იგი უერთგულესი მომხრე იყო რუსეთის ტახტისა და რუსეთის თვითმპყრობელობის; ამ შეკნებიდან მას არასოდეს არ მოუსურვებია გადახვევა; როდესაც იმ ჟამად იბრძოდა ქართული სკოლისა და ქართული ენისათვის უარყოფდა იანოვსკის სასწავლო გეგმებს, გმობდა დონდუკოვ-კარსაკოვის პოლიტიკას — ამ შემთხვევაშიაც რუსების ტახტის ერთგულება და სამსახური მბედველობიდან არ გამოპარვია: იგი გრძნობდა რომ ასეთი შეუფერებელი პოლიტიკით ადგილობრივ ხელისუფლებას შეეძლო დიდი უკმაყოფილება გამოეწვია ქართველ საზოგადოებაში და გამოეხლიჩა „ტახტსა“ და „სანშობლოს შორის ერთგულებისა და მორჩილების შეგნება. მაგრამ განვაგრძოთ შემდეგი ბრძოლის ეტაპების მოყოლა დ. ყიფიანის და ადგილობრივ ხელისუფლების შორის.

1886 წ. 11 თებერვალს მთავარმართებლის კანცელარიის წინადადებით სამოსწავლო ოლქის მზრუნავი იანოვსკი ვრცელ პასუხს სწერს დ. ყიფიანის წერილზე.[2] ამ წერილში იანოვსკი ანბობს:

„რაც შეეხება იმ კითხვას, თუ როგორ მიზეზებს შეეძლო წარმოეშვა უკმაყოფილება მცხოვრებთა განსაკუთრებულ ნაწილში აქაური სამოსწავლო უწყების გაკარგულებათა მიმართ, ჩემი ღრმა რწმენით, ეს უკმაყოფილება არის შედეგი რამოდენიმე პირის აგიტაციისა, რომელთაც სურთ ჩააყენონ აქაური სამოსწავლო დაწესებულებანი ისეთს პირობებში, რომელიც შეესაბამება მათ ვიწრო ნაციონალურსა და ანტისახელმწიფოებრივ მისწრაფებებს. ეს პირები სკოლასა და ეკლესიას უყურებენ როგორც იარაღს თავიანთი მიზნების მისაღწევად“ განაკუთრებით მომავალში. ყიფიანის მსგავსი ქართველი პატრიოტები მიისწრაფიან ასიმილიაცია უყონ საქართველოს, სამეგრელოსაც, აფხაზეთსაც და სვანეთსაც, ამიტომ ისინი, თუმცა თავად-აზნაურთა წოდებას ეკუთვნიან და თითქოს ვალდებული იყვენ თავიანთი თავად-აზნაურული მატერიალური და გონებრივი ინტერესებისათვის ეზრუნათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველაზე უფრო მიისწრაფიან ქართული ხალხური განათლების გავრცელებისაკენ და ყოველი ძალლონით ცდილობენ ხელი შეუშალონ ამ მხარეში რუსული განათლების გავრცელებას, რომელსაც მცხოვრებნი დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან. ეს აგიტატორები ამჟამად ჩვენთვის სრულიად არ წარმოადგენენ საფრთხეს, რადგან ისინი საკმაოდ მცირე რიცხვიანი არიან და სრულიად უმნიშვნელო ხნეობრივი გავლენა აქვთ მცხოვრებთა მასაზე. მაგრამ აქედან კიდევ არ გამომდინარეობს ის, რომ მთავრობამ არ უნდა მიიღოს ახლავე შესაფერისი ზომები ასეთი პირების წინააღმდეგ, რომ თავიდან აიცდინოს, დაბ-

[1] იქვე, გვ. 11 — 12, ჯორჯაძე — გვ. 168 — 70

[2] იქვე, გვ. 16 — 19.

რკოლებანი მომავალში.[1] 23 აპრილს დონ.-კორსაკოვმა გრაფ ტოლსტოის გადაუგზავნა დ. ყიფიანის წერილი და იანოვსკის პასუხი ამ წერილზე. ამრიგად ერთხელ კიდევ წარსდგა უმაღლეს ხელისუფლების სამჯაროს წინაშე ის საკითხები, რომელიც დავას იწვევდა ადგილობრივ მთავრობასა და დ. ყიფიანს შორის; მართალია დ. ყიფიანის ვრცელ წერილს თან ქონდა დართული უფრო ვრცელი ცენტრალურად გაშოქებული პასუხი იანოვსკისა, მაგრამ ფაქტები დ. ყიფიანის მიერ მოყვანილი მაინც ურყევი იყო; წერილიდან მაინც ნათლად სჩანდა რომ ადგილობრივი ხელისუფლება აგრესიულ და რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდა საქართველოში. მაგრამ აქაც დ. ყიფიანს შემოხვევამ აო გაუმართლა იმედები: მისი რწმენა, რომ ცენტრალური ხელისუფლება დაჰგმობდა დონდუკოვ-კორსაკოვის სამოღვაწეო გეგმებს ერთხელ კიდევ დამარცხდა და ერთხელ კიდევ ნათელი გახდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება „ტახტის“ კარნახითა და მისი გეგმებით მოღვაწეობდა. 25 აპრილს გრ. ტოლსტოი უპასუხებს დონ.-კორსაკოვს, რომ იგი საესებით ეთანხმება იანოვსკის მოსაზრებებს და დ. ყიფიანის ბრალდებები არავითარი ყურადღების ღირსად არ მიმაჩნიაო.[2]

ამრიგად დ. ყიფიანი დამარცხდა მეორედ და დამარცხდა ყოველ ფრონტზე. პირველ ხანებში იგი ცდილობდა ადგილობრივი ხელისუფლება დაერწმუნებია კურსის შეცვლაში, მაგრამ დადებით შედეგს რომ ვეღარ მიაღწია, — ბრძოლა გამოუცხადა მას და აპელაციისათვის უმაღლეს ხელისუფლებას მიმართა, მაგრამ აქაც ორჯერ წარდგენილი საკითხი დ. ყიფიანის დამარცხებით დამთავრდა — იგი ვერ ახსნა ვერც დიდი მთავრის, ყოფილი მეფის მოადგილის ჩარევამ საქმის ვითარებაში. გზა და საშუალებანი რომლითაც დ. ყიფიანი იბრძოდა თავისი მიზნებისათვის სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა. მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ ის არის აღსანიშნავი, რომ დიმ. ყიფიანი გულს არ იტეხდა, ზნეობრივად მტკიცედ იდგა თავის პრინციპიალურ საფუძვლებზე და კვლავ იმედოვნებდა—დრო მოვა და გაიგებენო. მაგრამ იმ მომენტში საქმის ვითარება სხვა გზით წავიდა: საზოგადოებაში და სასწავლებლებში გამეფებულმა სასტიკმა რეჟიმმა საქართველოში გამოიწვია პირველი რევოლუციონური — ტერორისტულ აქტის მოხდენა: მამაც ი. ლაღიაშვილის აღესილმა ხანჯალმა პირველად დაანთხია 80-იან წლების ერთი ჯალათის სისხლი, მაგრამ აქ მოხდა ის, რამაც დ. ყიფიანის საქმე გადააწყნა ლაღიაშვილის საქმეს: როგორც ვწერდით საქართველოს ექსარხოსმა პავლემ დასწყევლა ის ქვეყანა, რომელმაც ასეთი ბოროტი პიროვნება (ლაღიაშვილი) წარმოშვა.[3] ამაზე შორს იმ პერიოდში

[1] იქვე, კავკასიის სასწავლო მხრუნველის კ. იანოვსკის წერილი, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 29.

[3] ნიკ. ყიფიანი ასე გადმოგვცემს ეკზარხოსის სიტყვას: „დაიწყევლოს სამუდამოდ შენი მკვლელიცა და ის ოჯახიცა, რომელმაც შობა იგიო, დაიწყევლოს ის წრე და ის ერიო

საზოგადოების შეურაცყოფა ვეღარ წავიდოდა — ასე ფიქრობდა მაშინდელი საზოგადოება და უწინარეს ყოვლისა თვით დ. ყიფიანი. რეაქცია გაშიშვლდა და თუ დღემდე ფარულად აკეთებდა თავის საქმეს, ახლა მისი შავი განზრახვანი აშკარა შეიქმნა. დ. ყიფიანი კვლავ ამხედრდა, იგი აღარ მოერიდა იმ შეურაცყოფას და დამარცხებას, რომელიც აგერ ახლა გადაიტანა და 8 ივნისის თარიღით სასტიკი წერილა მისწერა ექსარხოსს.

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მოიღეთ მწყემსთმთავრული მოწყალება და თუ, გატაცებული დაუჯერებელის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება. მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დაწყეველეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან. იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცყოფობით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახული გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდვილეს სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით. თუ ყოველივე ეს, უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემრაცხყოფელი შეურაცყოფილ ქვეყნიდან დაუყონებლივ იქმნას გაყვანილი. ამას ვიგახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყსოისა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან ააცილოს ქვეყანას რაიმე ახალი დიდი შეცოდება. ხოლო თუ ყოველივე ეს ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენის მწყემსმთავრულის ხელით.

თქვენი მაღალსამღვდელოების მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი.

8 ივნისს 1886 წელს სად. მიხაილოვი“. [1]

ამრიგად დ. ყიფიანმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადასდგა: იგი ახლა ილაშქრებს იმ ტრიუმვირატის ერთ-ერთ ბოძისაკენ, რომელიც შავ რეაქციას ქრისტიანობის დროშის ქვეშ და საეკლესიო აპარატით ატარებდა; როგორც დავინახეთ, დ. ყიფიანმა ბრძოლა სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისაგან დაიწყო, შემდეგ მკვეთრ შეტევაზე გადავიდა მთავარ მართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის წინააღმდეგ, ახლა უფრო მძლავრი იერეშით ექსარხოს პავლეზედ მივიდა: იგი გადაჭრით მოითხოვდა ექსარხოსს დაეტოვებია საქართველო, რომ ქვეყანას ასცდეს რაიმე ახალი შეცოდება, ეს უკვე მუქარა იყო, რომელსაც ვეოას შემთხვევაში ვერ აპატიებდა მას ადგილობრივი ხელისუფლება; დონდუკოვ-კორსაკოვი მომენტს ეძებდა დ. ყიფიანის საბოლოო გასანადგურებლად, იგი თითქოს გრძნობდა, რომ დ. ყიფიანის დამორჩილება არც ისე ადვილი საქმე იყო, რომ იგი საფრთხეს წარმოადგენდა იმ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების დროს, რომელსაც იგი ისახავდა თავის მთავარ დანიშნულებად. მომენტი უკვე დადგა და ლეგალური

---

რომელმაც დაბადა და ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელიო“, („თემი“ № 95 1912 წ.)

[1] იქვე, გვ. 30.

ოპოზიცია განადგურებული უნდა იქნეს. რევოლუციონური ოპოზიცია მან სასტიკი რეპრესიებისა და „ოხრანკის“ საქმიანობით ჩააქრო: ახალგაზრდა მოწაფეები გამოდევნა სასწავლებლებიდან, ლაღიაშვილი კატორღაში გაგზავნა, რევოლიუციონური ორგანიზაციები გაანადგურა. ახლა ჯერი ლეგალურ ოპოზიციაზე მოდგა და დონდუკოვ-კარსაკოვიც მთელი თავისი მძიმე წონიანი აპარატით ამოქრავდა.

ექსარხოსი თავის პასუხში სწერს:

მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ.

„თქვენი აღმატებულებისაგან ჩემდამი 8 ამა ივნისს მოწერილ უცნაურ წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეცკის გასვენების დროს დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“ № 199, რაც შეეხება უკუნურ (нелепых) ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემ ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.“[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ექსარხოსმა ვერ გაბედა მთელი თავისი სიტყვის გამოქვეყნება და იგი მხოლოდ შერბილებით იქნა დაბეჭდილი გაზ. „კავკაზში“, მაგრამ დიმ. ყიფიანის „უცნაური წერილის“ პასუხი მარტო ამით ვერ ამოიწურებოდა: თუ ერთი ხრივ, დ. ყიფიანის ენერგიულ გამოსვლას ახფრთოვანებით შეეგებენ ქართველი საზოგადოება, მეორე მხრივ, რეაქცია კბილებ დალესილი შეუდგა მის განადგურებას. 1886 წ. 25 ივნისის თარიღით დონდუკოვმა შეატყობინა შინაგან საქმეთა მინისტრს დ. ყიფიანის გალაშკრების ამბავი ექსარხოს წინაალმდეგ და მოითხოვა მისი ადმინისტრატიული წესით დასჯა. დონდუკოვის ვრცელ წერილში აწერილი იყო დ. ყიფიანის უარყოფითი მოღვაწეობა და ბოლოს იგი სწერდა:

„ბ-ნ ყიფიანისათვის ამ საქმის გამო გამოცხადებული უმაღლესი გაკიცხვას აუცილებლად უნდა შეეგნებია, რომ მისთვის მინდობილი გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღვრის საპატიო თანამდებობა, აიძულებს მას, ვინემ სხვა ვინმეს, იყოს უფრო წინდახედული თავის მოქმედებაში და არ გადავიდეს იმ საზღვრებიდან, რომელსაც კანონი მიუთითებს მისი პირდაპირ მოვალეობების შესახებ. სამწუხაროთ ყიფიანა სხვანაირად ესმის თავისი როლი... ბ-ნ ყიფიანს ამ შემთხვევაშიაც, ცხადია, სურდა ეთამაშა როლი მართლ-მორწმუნე ქართველ პატრიოტისა, რომელიც გამოდის დასაცავად ვითომდა შეურაცყოფილ თავისი სამხობლოს სახელისათვის, და ამით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმსახურებს თავის თანამემამულეთა თვალში, ეს იმითაც მტკიცდება სხვათა შორის, რომ ბ-ნ ყიფიანი შეეცადა გაევრცელებია ქართველ საზოგადოებაში თავისი წერილის ასლი ექსარხოსადმი“.

შემდეგ დონდუკოვს მოყავს რა ცნობები ყიფიანის წარსულ მოღვაწეობიდან ტენდენციურად გაშუქებული, იგი დაასკვნის, რომ დ. ყიფიანი აგრ-

[1] იქვე, გვ. 31.

ძელებდა რა სადაც კი შემთხვევა ეძლეოდა, თავის თავის ვიწრო ნაციონალური პატრიოტად წარმოდგენას, და, ფარავდა, რა ამას მთავრობისადმი ერთგულებას გარეგან გამოხატულებაში, ეწეოდა აგიტაციას მთავრობის მიზნების წინააღმდეგ, ბ-ნმა ყიფიანმა წარსულში არა ერთხელ დაიმსახურა უკმაყოფილება დიდი მთავრისა ყოფილი მეფის მოადგილისა:

„წლებმა და წარსულმა გამოკდილებამ ვერ დაახშკეს ბ ნ ყიფიანის ავადმყოფური მისწრაფება ითამაშოს როლი ქართველი ეროვნების პირველი დამცველისა და მოიპოვოს პოპულიარობა ადგილობრივ თავად-აზნაურთა ოპოზიციონურად (фронтирующей) განწყობილ ნაწილში.

ყიფიანის ამ სუსტ მხარეებს მე არ მივცემდი განსაკუთრებულ მნიშვნელობაა რომ მას არ ეშიროს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობა და რომ მას, ამ თანამდებობაზე დამტკიცების დღიდან, არ დაეწყო ერთობ აშკარად და მკვახედ აგიტაციის წარმოება ამჟამად მომქმედი... თანახმად მისი უმაღლესობის სურვილისა, მართველობის სისტემის წინააღმდეგ და განსაკუთრებით კი სასწავლო უწყების მიერ დასახულ ამოცანათა წინააღმდეგ, უკანასკნელი გამოსვლა ბ-ნ ყიფიანისა კი, რომელიც მიმართულია ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენლის გავლენის დამხობისაკენ... მაიძულებს მე განვაცხადო, რომ არა მარტო შემდეგი დარჩენა ბ. ყიფიანისა თავად აზნაურთა წინამძღვრის თანამდებობაზე, არამედ იმ მცხოვრებთა შორისაც კი, რომელნიც მასში ხედავენ ყალბად გაგებულ მათი ინტერესების დამცველს, მე მიმაჩნია საზიანოდ მთავრობისათვის“. [1]

ბოლოს დონდუკოვი სთხოვს მინისტრსს, რათა დიმ. ყიფიანი გადასახლებული იქნეს ადმინისტრატიული წესით სტავროპოლში. რამოდენიმე დღის შემდეგ დონდუკოვმა მეტად სასიხარულო ბრძანება მიიღო: პლეევე ატყობინებდა მას, რომ იმპერატორმა შეიწყნარა მისი წინადადება და დ. ყიფიანი გადასახლებული უნდა იქნას სტავროპოლში. [2]

ამრიგად, დონდუკოვ-კარსაკოვმა უმაღლეს გამარჯვევას მიაღწია ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლთან ბრძოლაში. მან ყოველ ფრონტზე და ყოველ საკითხში დაამარცხა „თავხედი ყიფიანი“ და ბოლოს ადმინისტრატიული წესითაც გადაასახლა სტავროპოლში. დ. ყიფიანი უკვე ბორკილებ დადებულია, თანამდებობიდან გადაყენებულია, იმპერატორის მიერ გაკიცხული და ბოლოს უნდა მოსკილდეს ქართველ საზოგადოებას და გადაასახლონ სტავროპოლში. მაგრამ დონდუკოვ-კარსაკოვს მაინც რაღაც არ ასვენებს; მას თითქოს ყიფიანის აჩრდილი კვლავ ელანდება, კვლავ ფიქრობს მდგომარეობის გართულებაზე და მიტომ წინასწარ აშზადებს ნიადაგს დ ყიფიანის გადასახლების შესახებ. მას სურს დაარწმუნოს თავისი თანამშრომლები დ. ყიფიანის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში და 22 აგვისტოს თარიღით იგი ვრცელ წერილში ახასიათებს დ. ყიფიანის უარ-

[1] იქვე, გვ. 32—34.

[2] იქვე, გვ. 35.

ყოფით მოლვაწეობას და წინადადებას აძლევს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს სისრულეში მოიყვანოს იმპერატორის ბრძანება.[1] გადასახლება რაღაც მიზეზის გამო ბრკოლდებოდა და 16 სექტემბერს დონდუკოვი სთხოვს ტფილისის გუბერნატორს „მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ბ ნ ყიფიანის გამგზავრების დროს ქვეშხეთიდან არ მოხდეს რაიმე უწესოება (безпорядки) ან დემონსტრაციები, ხოლო წამყვან ოფიცერს ან მოხელეს წინადადება მიეცეს რომ ყიფიანი სტავროპოლში წაყვანისას წარუდგინოს უშუალოდ იქაურ გუბერნატორს.“[2]

ასე განვითარდა დ. ყიფიანისა და ადგილობრივი ხელისუფლების ბრძოლა 80-იან წლებში. დ. ყიფიანი დამარცხდა, დონდუკოვ-კარსაკოვმა გაიმარჯვა, მაგრა ბრძოლა ამით არ დამთავრებულა, ამ ბრძოლის უკანასკნელ ეტაპს ჩვენ შემდეგ თავში გავეცნობით. დონდუკოვ-კარსაკოვმა გაანადგურა თავისი მოწინააღმდეგენი; მან ადვილად აღმოფხვრა კრამოლა. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ სასტიკად დაამარცხა ლეგალური ოპოზიცია. მაგრამ ეს გამარჯვება დონდუკოვ-კარსაკოვს ვერ ჩაეთვლება აქტივში: უკვე მთელი რუსეთის მაშტაბით რევოლიუციონური მოძრაობა დამარცხებული იყო და რეაქციონური დიქტატურა მძვინვარებდა; საქართველოს რევოლუციონური მოძრაობა სუსტი და განუვითარებელი იყო რამდენიმე აქტიურად მომქმედ ახალგაზრდა, გამოუცდელ მოწაფის დამარცხება და განადგურება სრულიად იოლი საქმე იყო. აქ დონდუკოვ-კარსაკოვი ადვილად ახერხებდა მტრის დამარცხებას. საფრთხესა და სიძნელეს იგი ფართო საზოგადოებრივ ოპოზიციაში ხედავდა, რომელსაც იმ ხანებში დიმ. ყიფიანი ხელმძღვანელობდა. მაგრამ ეს ფართო საზოგადოებაც უძლური და პასიური იყო: ის სოციალური ფენა, რომელსაც დ. ყიფიანი ეყრდნობოდა ტახტის ერთგულებაში ხედავდა თავის არსებობის წყაროს და ამიტომ გადამჭრელი ბრძოლის წარმოება მას არ შეეძლო. იგი უბრალო სიტყვიერი პროტესტით კმაყოფილდებოდა; თავად-აზნაურობის გარდა, საზოგადოების მეორე საგრძნობ ფენას ინტელიგენცია წარმოადგენდა: იგიც უორკანიზაციო და პასიური იყო; სხვა სოციალური ფენა ამ ბრძოლის დროს არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო. ასეთ პირობებში დონ-კარსაკოვისათვის ადვილი იყო მტრის დამარცხება; მაგრამ თუ ბრძოლა გაჭიანურდა ეს უნდა მიეწეროს იმ დიდ სახელს, რომლითაც დ. ყიფიანი სარგებლობდა საზოგადოების და მართველობის წრეებში. დიდ მთავართან კავშირის გამბით დ. ყიფიანმა თავზარი დასცა დონ.-კარსაკოვს. მაგრამ ტლანქმა ფიზიკურმა ძალამ მაინც თავისი გაიტანა და დამარცხებულ დ. ყიფიანს სტავროპოლი მიუჩინეს საცხოვრებლად. მართალია დ. ყიფიანი დამარცხდა უსწორმასწორ ბრძოლაში, მაგრამ მორალურად მან გაიმარჯვა: მისი ავტორიტეტი და სახელი მეტის მეტად გაიზარდა ქართველ საზოგა-

[1] იქვე გვ. 38.
[2] იქვე, გვ. 61.

დოებაში. სწორედ ამ ბრძოლის ნაყოფია ის დიდი სახელი რომლითაც დღემდე სარგებლობს დ. ყიფიანი ჩვენში. დ. ყიფიანისადმი ამ დიდ თანაგრძნობას სრული გულწრფელობას გამოხატავს იმ ხანებში მისდამი გაგზავნილი მოსკოვის სტუდენტთა წერილი. მოვეყავ ეს წერილი მთლიანად.

ღირს—პატივცემულო ბატონო დიმიტრი.

ჩვენ ყოვლად დამაშინებელ და სასტიკ დროში, როცა განუკიცხველად ბატონობენ მჩაგვრელი ძალნი და სდევნიან ყოველსავე რასაც ცოტაც არის ამჩნევია დამოუკიდებულობის ნიშან-წყალი, როცა ასეთს იშვიათს მოვლენას წარმოადგენს მოქალაქობრივი ვაჟკაცობის გამოჩენა და პირთვნელი გაბედული სიტყვა, სიხარულით და იმედით შესცქერის ყოველი ქართველი იმ დიდაკ საქებსა და პატიოსანს თავ-გამოდებას, რომელიც გამოიჩინეთ ეჭსარხოს პავლესადმი მიმართულ წერილში. ამ შემთხვევაში თქვენ ღირსეულად აღასრულეთ თქვენი კაცური მოვალეობა, ვითარცა საქართველოს ერთი კუთხისაგან რჩეულმა წინამძღვარმა და დაუფარავად გამოსთქვით მთელი ქართველების დაფარული გრძნობა. თუმცა, მართალია პირველის შეხედვით თქვენმა სიტყვამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს და დიდი უსიამოვნებაც შეგამთხვიათ, მაგრამ თვით ის, რაც მოხდა, ამტკიცებს, რომ სამართლიანად აღელვებულის გრძნობით განატყორცნი ისარი არ ასცდენია მიზანს. თქვენი ქცევა ამშვენეის თქვენს ჭაღარა გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვსთქვათ პოეტთან ერთად, რომ „თუმცა აწმყო არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია". ეკვი არ არის რომ ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოლევია თქვენისთანა მოხუცევე არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს", პოეტისა არ იყოს.

გვაქვს რა პატივი მოგახსენოთ ჩვენი უგულითადესი თანაგრძნობა დამონებით, მოწიწებით და ულრმესად თქვენი პატივის მცემელნი მოსკოვში მოსწავლე ქართველნი." [1]

6

ზემოდ მოყვანილი ფაქტებიდან ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ როგორი სახით განვითარდა საქართველოში ის მწვავე ბრძოლა, რომელიც რეაქციასა და ოპოზიციონურ-რევოლუციონურ ძალთა შორის სწარმოებდა. რეაქციამ შესძლო თავისი მოწინააღმდეგეთა განადგურება: მოწაფეთა რევოლიუციონური ორგანიზაციების აღმოფხვრა. ლაღიაშვილი საქმის შესახებ კავკასიის საბჭოდრო-საოლქო სასამართლომ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „ბრალდებული, ტფილისის სასულიერო სემინარიიდან გამორიცხული, მღვდლის შვილი იოსებ იაკობის ძე ლაღიაშვილი, არა სრულ წლოვანების გამო, ვინაიდან დაბადებიდან ის არ არის სრული 21 წლის, ყველა

[1] „მიწერ-მოწერა დიმიტრი ყიფიანთან"—„სახალხო გაზეთი", № 665, 1912 წ. ცენზურულ პირობების გამო წერილი აქ დამახინჯებულად არის დაბეჭდილი—ხელნაწერი არის სიძველეთა მუზეუმში, № 5232.

ლირსების ჩამოხდის შემდეგ, გაიგზავნოს მადნებში სამუშაოდ ოცი წლით". ამაზე უფრო უსასტიკესი დადგენილების გამოტანა შეუძლებელი იყო ლა-ლიაშვილის საქმის გამო. სამხედრო სასამართლო თავის დადგენილებაში ჰფიქრობდა შიშის ზარი დაეცა საზოგადოებისათვის. როგორც დავინახეთ დ. ყიფიანი დონ.-კორსაკოვის წინადადებითა და თვით იმპერატორის დასტურით გადააყენეს მარშლობიდან და ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს საცხოვრებლად სტავროპოლში. ამით რეაქციამ თავიდან მოიშორა ამაყი და გაბედული ოპოზიციონერი. საზოგადოების სულიერი დაცემა უდავო იყო; დ. ყიფიანის დაპატიჟრება და გადასახლება უხმოდ ჩატარდა, მის შესახებ ხმის ამოღება ვერავინ გაბედა. მაგრამ სტავროპოლში უკვე მზადდებოდა ახალი თავდასხმა დ. ყიფიანზე, რომელსაც არ შეეძლო არ გამოეწვია დიდი აღშფოთება ქართველ საზოგადოებაში.

დ. ყიფიანის ცხოვრება სტავროპოლის ტყვეობის პერიოდში არავითარ შესანიშნავს არ შეიცავს, როგორც მაშინდელი დოკუმენტებითა და მისი კერძო წერილებით მტკიცდება—დ. ყიფიანი ცხოვრობდა მარტოდ მორჩილების სიმშვიდისა და იმედის გრძნობებით გამსჭვალული: მას სჯეროდა, რომ ბოლოს და ბოლოს ცენტრალური მთავრობა გაიგებდა საქმის ვითარებას და სიმართლისათვის შებრძოლსა და უდანაშაულოდ დასჯილ 72 წლის მოხუცს. პატივითვე დააბრუნებდენ თავის სამშობლოში. ერთ თავის კერძო წერილში დ. ყიფიანი სწერს: „მანამდისინ საქმე არ აიხსნება და მათემატიკურად არ დამტკიცდება, რომ ერთ მთავარს სიცრუის მოხსენება გაუკეთეს, ვის რა ეთქმის. ამ დამტკიცებას ორი გზის მეტი არა აქვს: ერთი — საზოგადოებისაგან მიმავალი და მეორე—პირად ჩემგან. ორივე გზით სიარული ერთსა და იმავე დროს რომ არ შეიძლება,—ამიტომ ვაცლი პირველ გზაზედ მოძრაობას".[1] მაგრამ დ. ყიფიანი მთელი თავისი არსებით წინააღმდეგი იყო პატიება ეთხოვათ ვისმესთვის: იგი დამნაშავედ არ გრძნობდა თავს და ამიტომ არ ფიქრობდა ქედი მოეხარა ვისმეს წინაშე; იგი ჭეშმარიტებასა და სამართლიანობისათვის იბრძოდა, ერთხელაც არ გადაუხვევია ტახტის ერთგულების შეგნებისათვის და ამიტომ ნურც ნურავინ მოსთხოვს მას მოკრძალებით ქედის მოხრასა და პატიების თხოვას. დ. ყიფიანი სტავროპოლის ტყვეობაშიაც მტკიცედ და შეურყეველად იდგა თავის პრინციპებზე. იმედი კვლავ ენერგიით ავსებდა. მის მესამე წერილში იგი იწერება: „ჩემი საქმე ღვთით კარგათ მოდის. ჯერ ერთი გადააბრძანეს; მერე მეორე. იმედია რომ მესამესაც თან მიაყოლებენ და მაშინ გაწმენდილი იქნება ჰაერი."[2]

მაგრამ თუ თვითონ დიმ. ყიფიანი არ ცდილობდა აღეძრა თხოვნა სადაც ჯერ იყო, სამაგიეროთ მისი ოჯახობა და მთელი საზოგადოება დაინტერესებული იყო მისი განთავისუფლებით. 1887 წ. დ. ყიფიანის მეუღლე

[1] სიძველეთა მუზეუმი, № 5232.

[2] იქვე.

ნინო ყიფიანისა განცხადებას ეგზავნის შერემეტიევსა და თხოვს გააგებინოს, თუ როგორი გზით გამოითხოვოს ქმრის დაბრუნება სამშობლოში.[1] შერემეტევი ატყობინებს, რომ ჯერჯერობით ნიადაგი არ არის მომხადებული და ისევ თვით დონდუკოვ-კარსაკოვის საშუალებით უნდა იქნეს იგი გამოთხოვილი[2]. რასაკვირველია, თვით დ. ყიფიანი არავის მოსწერდა წერილს დონდუკოვ-კარსაკოვისთვის ეთხოვათ მისი განთავისუფლების შესახებ. მაგრამ საქმეში ჩაერია ჩვენთვის უკვე ცნობილი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე და სთხოვა დონდუკოვს აღეძრა შუამდგომლობა დ. ყიფიანის დაბრუნების შესახებ საქართველოში. ამის შესახებ თავის კონფიდენციალურ მოხსენებაში დონდუკოვი სწერს:

„ხუთი კვირის ადრე ყიფიანის სიკვდილისა, მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, ჩემთან პირადი შეხვედროისას ბორჯომში, დაბეჯითებით მთხოვა აღმეძრა შუამდგომლობა რათა მოეხსნათ ყიფიანისაგან მისჯილი სასჯელი, მისი მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო. ვინაიდან იმ დროს მე მიმაჩნდა ყოველი ნაბიჯი ამ მიმართულებით არა დროულად და უხერხულად, მე უარი ვსთქვი დიდი მთავრის სურვილის შესრულებაზე და მის უმაღლესობას დაუსახელე ამის მიზეზები.

დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რომ მე მივიღე გენერალ-ლეიტენანტ შებეკოსაგან, ხელმწიფე იმპერატორის რეზოლიუციის შესასრულებლად, ყიფიანის ცოლის უქვეშევრდომილესი დეპეშა, რომელშიაც ის შუამდგომლობდა ნება დაერთო მისი ქმრის სამშობლოში დაბრუნებაზე. ამ შუამდგომლობის გამო მე ვაცნობე გენერალ-ლეიტენატ შებეკოს, ხელმწიფე იმპერატორისათვის მოსახსენებლად, რომ ვცნობ რა ამ დროულად ყიფიანის სამშობლოში დაბრუნებას ნაადრევათ, მე ვგონებ მისი ხვედრის შემსუბუქება უნდა დაუკავშიროთ ხელმწიფე იმპერატორის კავკასიაში მოსალოდნელ ჩამოსვლას, თუ მის უდიდებულესობას ეს არ მოესურვება, მაშინ შესაძლოთ მიმაჩნია ყოველ შემთხვევაში არა უადრეს მომავალი წლისა, ნება დაერთოს ყიფიანს დაბრუნდეს ტფილისის გუბერნიაში, იმ აუცილებელი პირობით, რომ გამოუსვლელად იცხოვრებს თავის სოფელში, პოლიციის თვალ-ყურის დევნების ქვეშ.[3].

როგორც ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, დონდუკოვი წინააღმდეგი იყო ყიფიანის დაბრუნებისა საქართველოში. იგი მთელი თავისი ენერგიით ებრძოდა ამას და ცდილობდა სხვადასხვა მიზეზებიც მოეყვანა ამის დასასაბუთებლადაც. ცხადია, დონდუკოვი და მისი თანაშემწეები დაშინებული

[1] ცენტრარქივი № 475.

[2] იქვე.

[3] ცენტრარქივი:- Дело канцелярии Главнаначальствующего на Кавказе; О беспорядках при погребении бывшего Кутаисского Губернского предводителя дворянства Д. С. Кипиани, № 549, вз. 25—32. 1887 წ.

იყენენ დიმ. ყიფიანის სასტიკი ოპოზიციით და არ უნდოდათ დიდი მოწინააღმდეგისათვის კელავ მიეცათ მოქმედების საშუალება. ეს ნათლად ჩანს დონდუკოვის კონფიდენციალურ წერილიდან ტოლსტოისადმი. ერთერთ მიზეზად როგორც ნიკ. ყიფიანი გადმოგვცემს, ისიც აღუნიშნავს, რომ „ვინაიდგან ახლა კავკასიის მხარეში კაცები ჯარში გაყვანა მხადდებაო, ეპოებ, რომ დიმიტრი ყიფიანის შინ დაბრუნება დაბრკოლებას მოგვეცესო და სანამ კაცების ჯარში გაყვანა არ გათავდება სჯობს სტავროპოლში დარჩეს“... „მაგრამ პეტერბურგში გადასწყვეტ ნების მიცემა დიმიტრი ყიფიანისათვის შინ დაბრუნებისა, როდესაც მოვიდა ეს ამბავი თბილისში, დიმიტრი ყიფიანი აღარ იყო: წინა დღით უცნობის უღმერთო ხელმა მოუსპო სიცოცხლე“.[1]... პირველი და ეგმთავრესი კითხვა ეს არის: ვინ მოკლა დ. ყიფიანი? პოლიტიკური საბაბი ხომ არ ედგა მას სარჩულად? „ივერიაში“ ვკითხულობთ: „უბედური დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, როგორც ეტყობა ძინარეა მოკლული. თავში დაუცია რაღაც რამ მძიმე და რგვალი. თავისა და პირისახის ნახევარი მხარეზე ძვლები სულ დამტვრეული აქვს. დაკვრის უშალ განუტეეებია სული“.[2] შემდეგ ახალ ამბავში ვკითხულობთ: „გამოძიება ერთ საოცარ ამბავს მიადგა თურმე. როგორც ამბობდენ დიმიტრისთან ძლიერ ხშირად დაიარებოდა ერთი საეჭვო კაცი, რომელსაც ნაცრისფერი პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრისა და მოსვენებას არ აძლევდა მოხუცსა, თავაზიანმა მოხუცმა დიღხანს ითმინა, მასპინძლობას არ აკლებდა, მაგრამ რომ გაუჭირდა საქმე, ვეღარ მოითმინა და უთხრა: აღარ შეშიძლიან მომეტებული, თუ შეიძლებოდეს, მომასვენეთ, ნუღარ მაწუხებთო. გამომძიებლებმა დიდი ეჭვი მიიტანეს ამ კაცზე და საჭიროდ დაინახეს მისი გამოკითხვა, — მაგრამ ვერას ღონისძიებით ვერ იპოვეს. შემდეგ დიდი გამოკითხვისა ნახეს სტავროპოლის ერთი მცხოვრებელი, რომელიც თურმე იცნობს ნაცრისფერი პალტოიან კაცსა. ჰკითხეს ამ მცხოვრებელსა მაგრამ ამითაც ჯერ ვერაფერს გახდენ, იმიტომ, რომ ეს მცხოვრებელი თურმე ამბობს, რომ ვერ ვიტყვი იმის ვინაობასა, რადგან მეშინია მეც არ მომკლანო“. შეიძლება ინტერესს არ იყოს მოცლებული ერთი პატარა კორესპოდენცია სტავროპოლიდან გამოგზავნილი „Новое обозрение“-ს მისამართით კორესპოდენციის ავტორი ა. სურინი სწერს: „დიმ. ყიფიანის ტრაგიკულმა ისტორიამ სტავროპოლის მცხოვრებლებზე მეტად მძიმე, დამაღონებელი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც კი ხმა გავრცელდა ქალაქში ამ სამწუხარო ამბების შესახებ ყველა აღელდა, ყველამ დაიწყო საუბარი ამის შესახებ, და დღემდე ყველგან ჯერ კიდევ ამაზე ლაპარაკობენ. მგონებ მთელი ქალაქი მივიდა შემთხვევის ადგილას. მთელი ჯგუფები დილა ადრიანად დაწყებული შუადღემდე დღევანდლამდე ბინაში და მის ახლოს, სადაც ეს გამოუცნობი (загадочное) ბოროტ-მოქმედება მოხდა. ბინა, სადაც ცხო-

[1] ნიკ. ყ ფიანი: „დიმ. ყიფიანის უკანასკნელი დღენი“ — გაზ, „თემი“, № 95, 1912 წ.
[2] „ივერია“, 1887, ოქტომბრის 29.

ვრობდა განსვენებული და სადაც მოხდა ეს ნხეცური მკვლელობა, ნაკლებად იწვიდა შიშს პირადი საფრთხის შესახებ". განსვენებული ცხოვრობდა ქალაქის ცენტრში, გუბერნატორის სახლის ახლო, და იმავე ეზოში სადაც მოთავსებულია აქთიაქი, სადაც ბლომად ცხოვრობდენ მოხელენი, მცხოვრებნი და მოსამსახურენი. გარდა ამისა პატარა შესავალი და ჭიშკარი ამ გზაში საღამოს 10 საათიდან ყოველთვის იკეტებოდა, და ვისაც გასვლა და შემოსვლა უნდოდა უნდა გაეღო საპარადო შემოსასვლელი, სადაც კარებს ყოველთვის დარაჯობდა მეეზოვე. სტავროპოლში ყოფნის პერიოდში, განსვენებულს ძლიერ უმნიშვნელო ფულის რესურსები ჰქონდა... ასე რომ ამ მხრივაც იგი სავსებით უზრუნველყოფილი იყო: მის ირგვლივ მყოფ პირებს უნდა სცოდნოდათ, რომ მას არა აქვს ფულის რაიმე მნიშვნელოვანი თანხა. რომლისათვისაც შესაძლებელი ყოფილიყოს მისი მოკვლა. უკანასკნელმა გარემოებამ აზრი დაბადა, ხომ არ არის ეს მკვლელობა გამოწვეული შურისძიების (мести) ნიადაგზე და რომ გატაცება უმნიშვნელო თანხისა, რომელიც განსვენებულს ჰქონდა, და საათის შეიძლება ჩადენილი იყო იმ მიზნით, რომ დაეფარათ ნამდვილი ბოროტ-მომქმედნი და მათი მიზნები. დღემდე გამოძიებამ ვერ შესძლო ვერც ბოროტ-მოქმედების ჩამდენელთა აღმოჩენა ვერც რაიმე საბუთს წააწყდა".[1] ეს კორესპოდენცია, შეიძლება დ. ყიფიანის საქმის სრულიად უცნობ ავტორისა, საინტერესოა იმ მხრივ რომ მაშინვე თვით სტავროპოლის საზოგადოებაში გარკვევით შემუშავებულია აზრი, რომ დ. ყიფიანი პირად ინტერესებზეა და შურისძიებისათვის იყო მოკლული. რასაკვირველია მათ არ ესმოდათ, რომ ეს შურისძიება პოლიტიკური ხასიათისა იყო და პირდაპირ მომდინარეობდა იმ პირებიდან, რომელნიც რეაქციონურ დიქტატურის წარმომადგენელნი იყვნენ კავკასიაში. მაგრამ ის, რაც გაუგებარი იყო სტავროპოლელებისათვის, გასაგები და ნათელი იყო ქართველი საზოგადოებისათვის: მათ იცოდენ, რომ დ. ყიფიანი პოლიტიკურ ნიადაგზედ იყო მოკლული. დიმ ყიფიანის მკვლელობა რომ პოლიტიკური ხასიათის აქტი იყო, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა იმ ჟამამდე როგორც საქმის ვითარებიდან ირკვევა, წინაალმდეგ ადგილობრივი მთავრობის სურვილისა, უმაღლესი განკარგულებით დ. ყიფიანი დაბრუნებული უნდა ყოფილიყო საქართველოში. დონდუკოვის აგენტებმა ეს თავიანთ დამარცხებად ჩასთვალეს, მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა კვლავ ბრძოლის გაგრძელება დ. ყიფიახთან და ამიტომ არჩიეს მისი ფიზიკურად მოსპობაც. ასე დაუკავშირდა დ. ყიფიანის განთავისუფლების საქმეს, მისი ფარულად მოკვლის საქმე. ეს იყო შავი რეაქციის ტერროროისტული აქტი, პოლიტიკური ხასიათის ღონისძიება შეუდრეკელი ოპოზიციონერის თავიდან მოსაცილებლად. ამით რეაქციამ თავისი მოღაწეობა

[1] ეს წერილი აღმოჩნდა ნ. ნიკოლაძის არქივში, რომელიც იმ ხანებში „Новое обозрение"-ს რედაქტორი იყო. წერილი როგორც სჩანს ცენზურას არ გაუშვია დასაბეჭდათ, იგი გასწორებულია რედაქტორი მიერ და მომზადებულია დასაბეჭდათ,

თავის შესაფერ ლოლიკურ დასკვნამდე მიიყვანა: მან გამოიყენა პოლიტიკური რეაქციის ყოველი ღონისძიება და საშუალებანი თავისი მიზნების მისაღწევად.

დ. ყიფიანი ამ შავი რეაქციის მსხვერპლი გახდა. მაგრამ შავი რეაქციის ტერორისტულ აქტს თავისი შესაფერისი პოლიტიკური შედეგებიც მოყვა: მან ხელი შეუწყო საზოგადოების გამოფხიზლებასა და პოლიტიკური თვითცნობიერების განვითარებას; დ. ყიფიანის მკვლელობას არ შეეძლო უხმოდ ჩაეარა; იგი პოლიტიკური ხასიათის აქტი იყო და აშკარად მიმართული ყოველგვარ სახის ოპოზიციონურ მოძრაობის წინააღმდეგ. იმ ხანებში ქართველი საზოგადოება დ. ყიფიანს თავის მეთაურად სთვლიდა რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ მისი ვერაგულად მოკვლას დიდი აღშფოთება უნდა გამოეწვია საზოგადოებაში. გაზ. „ივერიის“ მოწინავეში ეკითხულობთ: „ყველა სწუხს, ყველა ჰგლოვობს, ყველა მისტირის უკან დიმიტრი ყიფიანსა: დიდი თუ პატარა, ყრმა თუ ხნიერი, სწავლული თუ უსწავლელი, მაღალი თუ დაბალი, ნაცნობი თუ უცნობი, მახლობელი თუ შორეული — ყველანი ერთად და თვითეული ცალკე ჰგრძნობს რომ რაღაც დააკლდა, რაღაც დაეკარგა, რაღაც ძარღვი ჩაწყდა გულში... რით აიხსნება იგი საიდუმლოება, რომ ჩვენი სული და გული ჰკვნესის და იხუთება დიმიტრი ყიფიანის დაკარგვის გამო?.. ცხადია, რა კაცი იყო დიმიტრი ყიფიანი. იგი იყო გულთა-სრული კაცი... იგი იყო კაცი ხასიათისა... ყოველი დიდებული საქმე რითაც კი კაცობრიობა ჰქადაგობს და თავს იწონებს, ქმნილია ხასიათიან კაცთა მიერ და არა ვისმე სხვისაგან. ამიტომაც ხასიათის კაცის წინაშე ყეფლა უნებლიეთ თავს იხრის მოწიწებით და სასოებით; ამიტომაც ყველა დიდი და პატარა, უკან მისტირის, როცა ამისთანა კაცი მიდის უკან დაუბრუნებლად და სამუდამოდ“.[1] ეს წერილი დაწერილი მძიმე ცენზურულ პირობებში მაინც გარკვევით მიგვითითებს იმ საერთო მწუხარებას, რომელიც დ. ყიფიანის დალუპვამ გამოიწვია და იმასაც, რათ გლოვობდა საზოგადოება მას: დიმ. ყიფიანში იგი ხედავდა საზოგადოების ინტერესების გაბედულ დამცველს მტკიცე ხასიათისა და მოუდრეკელი ნებისყოფის პიროვნებას. ვალ. გუნია თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „ხალხის აღშფოთებას, მის აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. მთელი საქართველო სდუღდა სამართლიანის გულის წყრომით, ყველა აღვსილი იყო მართებელის შურისძიებით... ხალხი დიდი თუ პატარა აშკარად გრძნობდა, რომ დიმიტრი ყიფიანის სახელთან რაღაც არა ჩვეულებრივი ხდება და თანდათან თვალი ეხილებოდა მთავრობის ვერაგობაზე.“[2] მაგრამ განსაკუთრებულის სიძლიერით ეს უკმაყოფილებისა და პროტესტის გრძნობა დ. ყიფიანის დამარხვის დროს გამომჟღავნდა. მთავ-

[1] გაზ. „ივერია“, № 227, 1887 წ. წერილი ხელმოუწერელია და იგი ეკუთვნის ი. ჭავჭავაძეს.

[2] ვალ. გუნია „დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა“, „ლომისი“ № 11, 1922 წ.

რობა ცდილობდა დიმ. ყიფიანის ჩამოსვენება და დამარხვის პროცესია უხმაუროდ ჩატარებულიყო, წინასწარ იღებდა ზომებს, რომ პროცესია რაც შეიძლება მცირე რიცხოვანი ყოფილიყო და არ მიეღო მას პოლიტიკურ-დემონსტრატიული ხასიათი. მაგრამ, მეორეს მხრივ, საზოგადოების აღშფოთებული გრძნობა გამოსავალს ეძებდა, იგი ცდილობდა პროცესია ფართო დემონსტრაციად გადაექცია და ამით გამოეთქვა თავისი პროტესტი საქართველოში გამეფებულ რეჟიმის წინააღმდეგ, იმ აშკარა და ფარული რეაქციონური ტერორის წინააღმდეგ, რომელიც გამეფდა ამიერ-კავკასიაში დონდუკოვ-კარსაკოვისა და. მისი თანამშრომლების ხელმძღვანელობით. თავისი საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობით ეს დემონსტრაცია პოლიტიკური ხასიათისა იყო, მხოლოდ იმ ფორმაში შესძლო საზოგადოების ხელმძღვანელმა ძალებმა თავისი პროტესტის გამოცხადება. ასე უყურებდენ ამ დემონსტრაციას მაშინდელი მმართველებიც. პოლიციისათვის არ იყო დაფარული, რომ საზოგადოება აღშფოთებული იყო დ. ყიფიანის ტრაგიკული დაღუპვით, ის გრძნობდა, რომ მისი ფიზიკური მოსპობა ეს გაგრძელება იყო იმ პოლიტიკისა და რეჟიმის, რომელიც გამეფებული იყო მაშინდელ საქართველოში. ამიტომ მთავარმართებელის ბრძანებით მთელი ადმინისტრაცია ფეხზედ იქნა დაყენებული და წინასწარ იქნა შემუშავებული ზომები დემონსტრაციის საწინააღმდეგოდ. თვით დონდუკოვ-კარსაკოვი შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშებს უგზავნიდა და კონფიდენციალურად ატყობინებდა საქმის ვითარებას. მაგრამ ავალაპარაკოთ ამ პროცესის შესახებ ტფილისის გუბერნატორისა და თვით დონდუკოვ-კარსაკოვის საიდუმლო მიწერ-მოწერები: ამ დოკუმენტებიდან ნათელი გახდება საქმის ვითარების შინაარსი და მისი მნიშვნელობა. 8 ნოემბერს 1887 წ. ტფილისის გუბერნატორის საიდუმლო მოხსენებაში მთავარ მართებელის სახელზე ეკით, ხულობთ: „ამავე დროს გავიგე, რა, რომ განსვენებულ ყიფიანის პირისუფალთ განზრახვა აქვთ კუბო დაატარონ სხვადასხვა რაიონების ეკლესიებში, ხოლო ერთს მათგანში (ანჩიხატის ეკლესიაში) დასტოვონ მთელი ღამით, მე უბრძანე პოლიცმეისტერს განუცხადოს პროცესიის ხელმძღვანელთ რომ ასეთი ხეტიალი განსვენებულის გვამისა, დაშვებული არ იქნება, და რომ კუბო აუცილებლად უნდა იქნეს წაღებული პირდაპირ აღნიშნულ მონასტერში (მამადავითის). ეს განკარგულება ეცნობა ეპისკოპოს ალექსანდრესაც როველიც დროებით მართავს საქართველოს ექსარხატს, რომ შესაფერისი განკარგულება გაეცათ სასულიერო უწყებისათვისაც. ამრიგად, განსვენებულის ნამდვილი და ყალბი თაყვანის მცემლებისაგან გამზადებული სრულიად უწესო დემონსტრაცია (Неприличная демонстрация) მოხსნილი იქნა და მე ვფიქრობდი, რომ ახლობელნი პირისუფალნი განსვენებულისაგონს მოელენ და აღარ დაუშვებენ, რომ ცხედარი მათი ახლობელი ადამიანისა გამხდარიყო სათამაშოდ არა კეთილსაიმედო ადამიანთა ხელში, რომელთაც სურდათ ესარგებლათ მისი დამარხვით მთავრობისადმი თავიანთი

მტრული გრძნობების გამოსამჟღავნებლად. სამწუხაროთ, ჩემი მოლოდინი არ გაამართლა; განიცადეს რა მარცხი პირველ თავიანთ განზრახვაში, ყიფიანის პროცესიის ხელმძღვანელებმა გადასწყვიტეს მოეწყოთ მანიფესტაცია სხვა ფორმით და ამ განზრახვით აუწყეს პოლიცმეისტერს, რადგან, ვითომ-და ძნელი არის პირდაპირი გზით კუბოს ატანა სასაფლაოზე, ამიტომ მათ განზრახვა აქვთ გაატარონ ის მთელს ქალაქში, გოლოვინის პროსპექტით, თქვენი ბრწყინვალების სასახლესთან გავლით, ერევნის მოედნით და ლაბარატორული ქუჩით, ჩემი სახლის ახლოს; ამრიგად მათ სურდათ ყოველგვარ მიზეზის გარეშე გაევლოთ რამოდენიმე ზედმეტი ვერსი, მაგრამ გარკვეული მიზნით სახალხოთ გამოეყენათ განსვენებული, როგორც ნაციონალური იდეისათვის წამებრივი სიკვდილით დალუპული. გავიგე რა ასეთი განცხადების შემოტანა, მე თანახმად თქვენი ბრწყინვალების მიერ მიღებულ ინსტრუქციისა, ვუბრძანე პოლიცმეისტერს განკარგულება მოეხდინა, რომ პროცესიას არ შეეცვალა თავისი ბუნებრივი გზა და წასულიყო წინად განსაზღვრული მიმართულებით—ქაქავაძის, გრიბაედოვისა და დავიდოვის ქუჩებით. მიუხედავად ჩემი ასეთი კატეგორიული ბრძანებისა, დამკრძალავი კორტეჟი, მუსიკითა და საიდგანღაც მოგროვილ, ნაციონალურ კასტუმებში გამოწყობილ ახალგაზრდებით, გაემართა, პოლიციის პროტესტის წინააღმდეგ, მოვლილი გზით, სასახლის გვერდით ჩავლით მცხოვრებთა დაბალი ფენების აშკარა მოხიბვლით, რომელთათვისაც არ შეიძლება დაფარული დარჩენილიყო გუბერნიის აღმასრულებლის განკარგულება.

„მივაკუთნებ რა აღნიშნულ მოვლენას იმ ფაქტა წყებას, რომელთაც აქვთ მნიშვნელობა განსაკუთრებულ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრების მოვლენებში, და რომელიც არ უნდა დარჩეს დაუსჯელი ყოველ შემთხვევაში მთავარ დამნაშავეთათვის მაინც“ და სხვა. [1]

ჩვენთვის საინტერესო არ არის ყველა იმ დეტალების გადმოცემა, რომელიც დ. ყიფიანის დამარხვის დროს მოხდა ადმინისტრაციასთან შეტაკების სახით, აღსანიშნავია მხოლოდ ის დიდათ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ამ დამარხვამ დემონსტრაციის ხასიათი მიიღო და შეატაკა ერთი მეორეს საზოგადოება და პოლიცია. [2] თავის კონფიდენციალურ მოხსენებაში გრ. დ. ტოლსტოისადმი დონდუკოვ-კარსაკოვი დ. ყიფიანის დამარხვის შესახებ სწერდა:

„ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე სანამ ცხედარს ტფილისში ჩამოასვენებდენ პოლიციამ გაიგო, რომ გარდაცვალებული ყიფიანის ნათესავებს განზრახვა ჰქონდათ ჩამოეტარებიათ ცხედარი ტფილისის უმთავრეს

[1] Дело канцеляріи Главноначальника гражданскою частью на Кавказе: О беспорядках при погребении бывшего Кутаисского Губернского представителя дворянства Д. С. Кипиани и проч. 1887 г. № 519.

[2] ამ ფაქტებს ეხება თავის მოგონებებში ვალ. გუნია: იხ. „ლომისი“, 11, 1912 წ. და „თემი“, № 96, 1912 წ.

ეკლესიებში და ერთ მათგანში დაეტოვებიათ ის მთელი ღამით. ტფილისის გუბერნატორმა, რომელმაც ამაში სამართლიანად დაინახა უადგილო მანიფესტაცია, პოლიცმეისტერის საშუალებით გააფრთხილა დასაფლავების ხელმძღვანელნი, რომ განზრახულ ეკლესიებში ცხედრის ტარება, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელი დამარხვის წესი, დაშვებული არ იქნება და რომ კუბო უნდა მიტანილ იქნეს პირდაპირ მონასტრის გალავანში, სადაც განზრახულია დასაფლავება. მაშინ დასაფლავების ხელმძღვანელებმა ხელი აიღეს რა თავდაპირველ განზრახვაზე გადასწყვიტეს გაემართათ მანიფესტაცია სხვა სახით და ამ მიზნით განუცხადეს პოლიცმეისტერს, რომ ვინაიდან, ვითომც და, უახლოესი გზით სასაფლაოზე კუბოს ატანა ძნელია, მათ განზრახვა აქვთ კუბო გაატარონ მთელ ქალაქზე. ყველა უმთავრეს ქუჩებზე და მოედნებზე, რომლითაც ისინი ყოველივე საპიროების გარეშე, იგრძელებდენ გზას რამოდენიმე ვერსით. დავინახე რა ამაში ახალი განზრახვა რათა დასაფლავებისათვის მიეცათ დემონსტრაციული ხასიათი, მე მივანდე გუბერნატორს მოეხდინა განკარგულება, რომ დასაფლავების პროცესიას გაევლო პოლიციის მიერ წინდაწინ ნაჩვენებ უახლოესი გზით ვაგზლიდან მამადავითის მონასტრამდე; აგრეთვე დავავალე ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს დასწრებოდა და საფლავებას და თუ პროცესიის ხელმძღვანელნი მოინდომებდენ გადაეხვიათ ნაჩვენებ გზიდან, მოეწოდებია ისინი, რათა აესრულებინათ სისწორით მათთვის გამოცხადებული პოლიციის განკარგულება. მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი განკარგულებები შესრულებული იქნა სისწორით, მიცვალებულის ნათესავებმა, მისმა ძმისწულმა ტფილისის ნატარიუსმა დავით ყიფიანმა და სიძემ თავადმა ლორთქიფანიძემ, უარი განაცხადეს პოლიციის მოთხოვნის ასრულებაზე, გენერალ მაიორ იანოვსკის განუცხადეს რომ გასვენებაზე მთავრობა არ არსებობს, არამედ ყველაფერს განაგებს ყიფიანის ქვრივი, რომ პროცესია უფრო ადრე დაბრუნდება უკან, ვინემ წავიდოდეს ნაჩვენები გზით. ამის შემდეგ პროცესია მუსიკითა და ნაციონალურ კოსტუმებში გამოწყობილი ახალგაზრდობით, გაემგზავრა, პოლიციის პროტესტის წინააღმდეგ, მიხვეულ-მოხვეული გზით, ქალაქის მთავარ ქუჩებზე გავლით, დანიშნულ სასაფლაოსაკენ, სადაც ცხედარი მიაბარეს მიწას, ქართველი პოეტის და ნაფიცი სასაფლაოს ორატორის წერეთელის მოკლე სიტყვის შემდეგ; რომელიც შესანიშნავი იყო მარტოოდენ განსვენებულის პირადი ხასიათისა და საზოგადოებრივი დამსახურების განდიდებით. გენერალ-მაიორ იანოვსკისა და პროცესიის ხელმძღვანელთა შორის მომხდარი უთანხმოების გაგების შემდეგ ხელათვე მიატოვეს სამგლოვიარო პროცესია მანამდე მასში მონაწილეებმა: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, ქალაქის თავმა და სხვ. პირებმა, რომელნიც სარგებლობენ საზოგადოებაში ასე თუ ისე თვალსაჩინო მდგომარეობით, უკანასკნელთაგან დარჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი და საკმაოდ მრავალ-რიცხოვანი ხალხის

გროვა შესდგებოდა, უმთავრესად, ქართველი ახალგაზრდობისაგან და ჩვეულებრივი ყოველგვარი ქუჩის სანახაობის კონტიგენტისაგან. პროცესიის მსვლელობის დროს საზოგადო წესიერება არ ყოფილა დარღვეული.

ტფილისის გუბერნატორმა, მიიჩნია რა აღწერილი შემთხვევა გამონაკლისის ხასიათის მოვლენათ, რომელმაც არ უნდა ჩაიაროს დაუსჯელად, ყოველ შემთხვევაში, უმთავრეს დამმაშავეთათვის, მთხოვა რომ ნება დამერთო დაუყონებლივ დაეპატიმრებია და გადაესახლებია ტფილისიდან ნოტარიუსი ყიფიანი, რომელიც, პოლიციის ცნობით, იყო უმთავრესი მიზეზი მომხდარი უწესრიგობისა.

ვინაიდან არ ვიზიარებდი ზისერმანის შეხედულებას, რომ მომხდარი ფაქტი იყო განსაკუთრებული მნიშვნელობის, მე არ ვსცანი შესაძლებლად დამეკმაყოფილებია მისი შუამდგომლობა, რადგან ამგვარი განსაკუთრებული ზომების მიღება იქნებოდა პოლიტიკურ მოვლენის შეუფერებელ სიმაღლეზე აყვანა ისეთი ფაქტის, რომელიც არსებითად უმნიშვნელო იყო როგორც თავისი განზრახვით ისე შედეგებითაც. ნამდვილად ეს საქმე იყო რამდენიმედ ცუდათ განწყობილ პირთა ცდა, რომ გამოეწვიათ საზოგადოებრივი გაკიცხვა, გარდაცვალებული ყიფიანის მთავრობის მიერ დასჯის გამო; ეს იყო ცდა, რომელმაც ვერ გაიმარჯვა, ვინაიდან ქართული საზოგადოების უფრო კონსერვატიულმა ელემენტებმა ის არ მოიწონეს, მაგრამ რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნილებათა არ შესრულებას. ცხადია რომ აქ არ არის საფუძველი განსაკუთრებული ზომების მიღებისათვის და რამდენადაც ამ საქმეს ნაკლები შედეგები მოჰყვება, იმდენად უმნიშვნელო იქნება მისი გავლენა აქაურ საზოგადოებაზე.

ამ მოსაზრებათა გამო, მე მივიჩნიე სასარგებლოდ დავკმაყოფილებულიყავით დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემით ჩვეულებრივი წესით, პოლიციის კანონიერი მოთხოვნილების არ შესრულებისათვის, რაც შესრულებულია პოლიციის მიერ შედგენილ ოქმის საუბნო მომრიგებელ მოსამართლისადმი გადაცემით.

ყველა ამის შემდეგ, თუ თქვენი ბრწყინვალება დაინახავს აუცილებლად, რომ დამნაშავეთა მიმართ მივმართოდ ადმინისტრატიულ ზომებს, მაშინ, ჩემის აზრით, ნოტარიუს ყიფიანსა და თავად ლორთქიფანიძეზე, რომელთაც გამოიჩინეს ამ საქმეში არაკეთილსაიმედო აზრები, უნდა დაწესდეს პოლიციის აშკარა მეთვალყურეობა, მათ საცხოვრებელ ადგილზე".

ცხადია, რომ დონდუკოვ-კარსაკოვი ცდილობდა მომხდარი ფაქტის მნიშვნელობის შესუსტებას; მას არ სურდა ის ფაქტი, რომელშიაც მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, დიდ პოლიტიკურ მოვლენად გადაექცია. მაგრამ დონდუკოვის კონფიდენციალური წერილი ვერც თვითმპყრობელობის თვალში შეარყევდა იმ უდავო ფაქტს, რომ დ. ყიფიანის ტრაღიკულად დაღუპვამ გააღრმავა უკმაყოფილება საზოგადოებასა და თვითპყრობელობის შორის. რომ მისი დაკრძალვის დროს მოხდა იმ პერიოდისათვის მეტად

მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაცია საქართველოში გამეფებულ სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ; უნდა აღვნიშნოთ რომ ისტორიულად ეს საზოგადოების უკმაყოფილების პირველი დემონსტრაცია იყო საქართველოში.

მაგრამ ახლა დრო არის ისტორიული შეფასება გაუკეთოდ დ. ყიფიანის მოღვაწეობას და ბრძოლას 80-იან წლებში. როგორც მკითხველმა უკვე დაინახა, 80-იანი წლები მკაცრი რეაქციისა და რეაქციონური დიქტატურის რეჟიმს გამოხატავდა საერთოდ მთელს რუსეთში და კერძოთ— ამიერ-კავკასიასა და საქართველოში. მაგრამ აქ ამ რეჟიმმა დამატებით აშკარად მიიღო რუსიფიკატორული და აგრესიული პოლიტიკის ხასიათი. რეაქცია ებრძოდა არა მარტო ანტი-სახელმწიფოებრივ მოძრაობას, არამედ ძირშივე ანადგურებდა ყოველივე ნაციონალურს, სპობდა ქართული კულტურის ყოველგვარ ფორმას. ამ რეაქციურმა რეჟიმმა რადიკალური ინტელიგენცია და მოწინავე-ახალგაზრდობა სტიქიურ ბრძოლის მეთოდებიდან გაბედულად გადავიდა ორგანიზაციულ ბრძოლის საშუალებებზე და სწორედ ამ მოძრაობის შედეგი იყო ლაღიაშვილის ტეროორისტული აქტი, მაგრამ ფართო საზოგადოებას ბრძოლის საშვალება გამოცლილი ჰქონდა ხელიდან: არალეგარული გზით ბრძოლა მას არ შეეძლო და არც სურდა; პრესა სასტიკი რეჟიმით ენა აკრული იყო; საზოგადოებრივი დაწესებულებანი — ხელფეხ შეკრულნი, სხვა საშუალება კი არ არსებობდა ფართო საზოგადოების პროტესტის გამოსაცხადებლად.[1] უფრო მეტი, ვ. გუნიას გადმოცემით, — „საზოგადოება დაიძრა, საზოგადოებრივი აზრი და ნებისყოფა შიშმა მოიცვა, მორალური დაქსაქსვა და გაწი-მაწიობა აშკარად გამოიხატა მაშინდელ ბანკობიაში, უაზრო და უიდეო ბრძოლაში. ყოველ ფრონტზე გარუსებისა და გადაგვარების დროშა ფრიალებდა...“[2] აი ასეთს პერიოდში იკისრა დ. ყიფიანმა ბრძოლის წარმოება ლეგალური გზით დონდუკოვ-კარსაკოვის და იანოვსკისა და სხვათა აგრესიულ რუსიფიკატორულ პოლიტიკის წინააღმდეგ; მან გამოიყენა თავად აზნაურობის ორგანიზაცია ოპოზიციური ბრძოლის საწარმოებლად და ეროვნული კულტურის დასაცავად. **ისტორიულ ობიექტურად** დ. ყიფიანის ბრძოლა ქართული სკოლის, ქართული ენის და კულტურის დასაცავად 80-იან წლებში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ჩვენი საზოგადოების უახლოეს ისტორიაში. ობიექტურად ეს ბრძოლა პოლიტიკურ ხასიათის ბრძოლად გადაიქცა და უფ-

[1] აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტელიგენციის ზოგიერთმა წრეებმა სცადეს 80-იან წლებში საზღვარ გარეთის პრესისა და სახელმწიფოებისათვის მიემართათ. ცნობილია გ. წერეთელმა, დ. მიქელაძემ და გ. შერვაშიძემ—ნ. ნიკოლაძის პირადი გადმოცემით,—მემორანდუმი გაუგზავნეს 1885 წ. გლადსტონს, რომელშიაც მოითხოვდენ საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის ბატონყმობისაგან და ინგლისის მართველობაში გადასვლას. ეს რასაკვირველია, საინტერესო ფაქტია, მაგრამ ამ გზით ბრძოლას იმ ხანებში არ შეეძლო შესაფერისი ნაყოფის გამოღება.

[2] ვ. გუნიას მოგონება—„ლომისი“, № 11, 1922 წ.

სკრული გათხარა საზოგადოების მოწინავე წრეებსა და თვითმართველობის შორის. თვით დ. ყიფიანის ტრაღიკულად დაღუპვამ,—რომელიც შავი რეაქციის ფარული ტერორისტული აქტის ნაყოფი იყო, — და მისი გასვენების დროს მომხდარმა ამბებმა ობიექტურად ერთგვარი რევოლუციონური როლი ითამაშა, უფრო ნათელჰყო მთავრობის ვერაგული პოლიტიკა და ხელი შეუწყო ახალთაობის ინტელიგენციის პოლიტიკურ გამოფხიზლებას. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პერიოდში, როდესაც სოციალურ კლასთა შეგნება ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო, რომელსაც დაჩაგრული კლასები, — საზოგადოებრივი ცხოვრების მოუმწიფებლობის გამო, — მხოლოდ სტიქიურ-ეკონომიურ ხასიათის ბრძოლებში გამოხატავდენ თავიანთ ჯერ კიდევ მოუმწიფებელ უკმაყოფილებას, ზემოთ აღნიშნულ საზოგადოებრივ ხასიათის მოვლენებს საკმაოდ დიდი პოლიტიკური ხასიათის ფაქტორის როლი შეეძლო ეთამაშა და ხელი მოეწყო საზოგადოებრივი კლასების გამოფხიზლებისათვის. და სრულიად არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ 1887 წ. ქართველმა ასოთ ამწყობებმა დ. ყიფიანის ცხედარი გვირგვინით შეამკეს შემდეგი საგულისხმიერო ზედწარწერით: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება“.[1] თუ ზოკადად შევხედავთ საკითხს — ეს გამოხატავდა ჩვენი მუშათა კლასის შეუგნებლობას, რადგან მან გვირგვინით შეამკო იმ პირის ცხედარი, რომელიც პროლეტარიატს „პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობას“ უწოდებდა და რომელიც მის კლასიურ მტერს წარმოადგენდა ბაგრამ ისტორიულად თუ განვიხილავთ საკითხს ეს ფაქტი სხვა რამის მაჩვენებელი იყო; ეს იყო იმის მაჩვენებელი რომ ჩვენი მუშათა კლასი სტიქიურ-ეკონომიურ ბრძოლიდან პოლიტიკურ ცხოვრებისაკენ იყურებოდა, რომ მასაც აინტერესებდა ჩვენი ცხოვრების საზოგადოებრივ ფონზე მომხდარი ამბები და ჩუმ პროტესტს გამოსთქვამდა სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ. ამრიგად დ. ყიფიანის ენერგიულმა ბრძოლამ ადგილობრივ ხელისუფლების წინააღმდეგ და მისმა ტრაღიკულად დაღუპვამ ისტორიულ ობიექტურ პირობების გამო ხელი შეუწყო ჩვენი პოლიტიკური აზროვნების გამოცოცხლებას, საზოგადოების თვალში თვითმართველობის პრესტიჟის დაცემისა და მისი ვერაგული პოლიტიკის გამოაშკარავებას. რასაკვირველია, სუბიექტიურად თვით დ. ყიფიანს ასეთი მიზნები არ ჰქონდა დასახული: იგი ერთი წუთითაც არ ფიქრობდა ცარიზმის საფუძვლების შერყევასა და ტახტისადმი ერთგულების შეგნების მოსპობას ქართველ საზოგადოებაში, როგორც დავინახეთ, დ. ყიფიანის ერთენულ-პოლიტიკური აზროვნებას ორი ძირითადი საფუძველი ედვა სარჩულად: რუსეთის ტახტისადმი ერთგულება და სამშობლოსადმი სიყვარული. ამ პოლიტიკურ პროგრამის საფუძვლებზე ბოლომდე ურყევად იდგა დიმ. ყიფიანი, როდესაც იგი ებრძოლა დონდუკოვის რეჟიმს — მას ამ შემთხვე-

[1] იხ. ვ. გუნიას დასახელებული მოგონება.

ვაში უნდოდა თვითმპყრობელობისა და სამშობლოს შორის აღმოჩენილი წინააღმდეგობა მოესპო, მთელი დანაშაული აღნიშნული საქმისა ადგილობრივ მთავრობის უხეშ პოლიტიკისათვის დაებრალებია და ამით აღედგინა ათეული წლობით შემუშავებული ძველი პოლიტიკური პრინციპის მთლიანობა.

მაგრამ ისტორიამ დ. ყიფიანის მოლოდინი არ გააპართლა. იგი ფიზიკურად დამარცხდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბრძოლაშია — და ეს სრულიად მოსალოდნელი იყო იმდენად. რამდენადაც 80-იან წლებში დ. ყიფიანს ამ ბრძოლის დროს აღარ ყავდა აქტიური დამხმარე საზოგადოებრივი ძალა,— თავად-აზნაურობა, როგორც ასეთი, იმ პერიოდში უკვე მოტეხილი იყო და მთავრობის შემყურე.— დ. ყიფიანის ეს დამარცხება მის ზნეობრივ გამარჯვებას უდრიდა. მაგრამ დ. ყიფიანმა მეორე ნაირი დამარცხებაც განიცადა: 80-იანმა წლებმა მისი სამოღვაწეო პროგრამა ფერფლად აქცია, მისი ეროვნულ-პოლიტიკური. პრინციპი საანის შერთვით დაემსხვრია: „ტახტმა“ აღარ დაინდო „სამშობლო“, მათი ერთ „პროგრამაში“ მოთავსება შეუძლებელი შეიქნა; ეს ყველაზე უფრო მწვავე პოლიტიკური დამარცხება იყო დ. ყიფიანისათვის; ეს მთელი მისი ცხოვრების ტრაგედია იყო, რადგან ხუთი ათეული წლის განმავლობაში ტანჯვით შემუშავებული და თითქოს ბევრჯერ ნაცადი პრინციპი 80-იან წლების რეაქციამ დაუნდობლად გაანაგა. და დ. ყიფიანის თავდადებული ბრძოლა 80-იან წლებში ამ რომანტიული პოლიტიკის უკანასკნელი რაინდის უკანასკნელი ბრძოლა იყო.

## პირთა სახელების საძიებელი


აბას-მირზა 116.
აბაშიძე, გიორგი 18.
— ივანე 18, 19.
— კიტა 30, 50, 55, 76.
— როსტომ 18.
— სიმონ 18.
— ქაიხოსრო 18.
აბხაზი, ილია 148.
ავალიანი, სიმონ 8, 109, 111, 122, 130, 139, 140, 146, 148.
ავთანდილოვი, გ. 50.
ავთანდილოვი, ზ. 57, 58, 59, 62, 72, 73, 74, 75.
აკაკი, ნ. წერეთელი, აკაკი.
ალექსანდრე ბატონიშვილი 10, 11, 61.
ალექსანდრე ეპისკოპოსი 258.
ალექსანდრე მეორე 3, 85, 94, 122, 205, 206, 207.
ალექსანდრე მესამე 192, 203, 205, 206, 242.
ალექსიშვილი, ე. 187.
Alter, პროფ. 138.
ამილახვარი, სარდალი 8.
ანდრონიკოვი, რამაზ 148.
ანტონ კათალიკოსი 29.
არაგვისპირელი, შ. 233, 234.
არღუთაშვილი, მოსე 199.
არშრუნი, ი. 95.
ასათიანი, ლ. 240, 241, 242.
ალამაჰმად-ხანი 4.
ალმაშენებელი, დავით 223.

---

ბაგრატიონი, პეტრე 199.
ბაგრატიონ-მუხრანსკი 11.
ბაგრატ მეფე 17.
ბარათაშვილი, ნიკ. 34, 179, 180.
ბარიატინსკი 26, 81, 86, 87, 122, 211.
ბარნაბიშვილი, ივანე 231.
ბარნოვსკი, ნ. 163.
ბებუთოვი, ვასილ 199.
ბელინსკი 230.
ბერანჟე 234.
ბლუაშვილი, ლაზარა 102.
— სიმონ 102.
Бороздин, К. 85, 86.

---

გამეზოვი 179.
Гагебилов, А. С. 61.
განი 116.
გელეიშვილი, ბ. 121, 122, 123, 126, 130.
გერცენი 87, 193.
გიორგაძე, გრ. 130, 207, 208, 220.
გიორგი XIII 9, 51.
გლადსტონი 262.
გოგებაშვილი, იაკობ 94, 95, 224, 228.
გოგიაძე გ. 17, 18.
გოხალიშვილი, გ. 61.
გოლოვინი 1[illegible].
გომართელი, ივ. 2, 18.
გორგასლანი, ვახტანგ 223.
გულია, ვალერიან 26, 257, 259, 262.

---

დადიანისა, ეკატერინე 85.
დადიანი, ნიკ. 85, 86.
დავითი, მეფე 9.
დარსკი, უ. 210.
დიმიტრი ბატონიშვილი 51, 52, 53.
დობროლიუბოვი, ნ. 230.
დოდაშვილი, სოლომონ 3, 50, 53, 54, 56, 57, 58, 59, 62, 63, 64, 65, 67, 71, 74, 179.
დონდუკოვ-კორსაკოვი 32, 198, 209, 228, 230, 235, 237, 239, 240, 241, 242, 243, 244, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 258, 259, 261.
Джавахов, И. 51, 67.

Евецкий О. 7.
ეკატერინე მეორე 9.
ელიოზოვი 234.
ერეკლე მეორე 9.
ერისთავი, გიორგი 3, 50, 52, 58, 60, 61, 72, 73, 81, 179, 181, 199.
ერისთავი, დიმიტრი 52, 227.
ერისთავი, დ. გ. 227.
ერისთავი, ელიზბარ 50, 52, 53, 54, 56, 57, 58, 68, 76.
Эсадзе, С. 82.

ჭაჩნაძე, რ. 148.
ვახტანგ მე-VI 20, 41, 43, 185, 223.
ვეიდენბაუმი 92.
ვიკი, ლეი 179.
ვოდოვი 163.
ვოიცეხოვიჩი, სენატორი 201.
ვორონცოვი, მ. ს. 11, 26, 32, 43, 44, 81, 108, 109, 110, 112, 115, 116, 117, 118, 120, 191, 192, 195, 196, 209.
ვრანგელი, ბარონი 215.

Зиссерман К. 14, 123, 261.

ზამარ იულონის ასული 54.
„ზერგდალეულნი“ 1.
თუთბერიძე, თომა 231.
თულაშვილი, ე. 94.
თუმანიშვილი, მ. 96, 97, 123, 125, 126, 180.
თუმანოვი, ი. დ. 95.
თურქესტანიშვილი, ივ. 187.

Иваненко, В. 8, 14, 35, 50, 110, 116, 117.
ინგოროყვა, პ. 51, 54, 64.
ოსელიანი, პლატონ 3, 4, 9, 44, 89, 187.
ქაკაბაძე, ს. 4.
Каладесь, Х. 44.
კალაძე, რ. 1.
კარაკოზოვი 204.
კარბელაშვილი, პ. 59.
კასი-მულა 57.
კატკოვი, მ. 130, 147, 192, 193, 195, 197.
კეზელი, დავით 220.
კერესელიძე, ივ. 181.
კიკნაძე, ფილადელფოს 59, 60, 61, 67, 72, 74.
კრუზენბერგი 122.
კუვშინსკი 220.
კუხიანიძე, კონსტანტინე 231.

ლადინსკი, პ. ა. 118.
ლავლეი 232.
ლავროვი, კ. ლ. 204.
ლანგთემური 223.
ლაღიაშვილი, იოსებ 207, 230, 231, 232, 233, 234, 235, 237, 247, 249, 252, 262.
ლეონიძე, სოლომონ 9.
ლორთქიფანიძე, ანტონ 212, 213, 260, 261.
ლორთქიფანიძისა, ელენე 212, 213.
ლორის-მელიქოვი, გრაფი 98, 211.
ლორის-მელიქოვი, მ. ტ. 199.

Макаров, А. 95.
მამაცაშვილი, იოსებ 3, 50, 58, 59, 62, 67, 72, 73, 74.
მამაცაშვილი, კონსტანტინე 3, 130, 141, 142, 145, 179.
მამაცაშვილი, მ. 161, 164, 165.
მამაცაშვილი, ქრ. 130.
მამულოვი 103.
მატინოვი 96.
მაჩაბელი, ივანე 60, 169, 170, 227, 228.
მელიქიშვილი, ლევან 180, 199.
მენაბდე, ნესტორი 231.
მესხი, ს. 11, 96, 97, 166, 198, 222, 223.
მეუნარგია, იონა 6, 50, 63, 77, 90, 220.

მეჩნიკოვი, ს. 14, 15.
მინგრელსკი, ნ. 83, 88.
მიტჩელი 29, 178, 183.
მიქელაძე, დ. 262.
მიქელაძე, ვლ. 83.
მიხეილ ნიკოლოზის ძე, დიდი მთავარი 92, 104, 214, 215, 218, 240, 241, 244, 254.
მოლიერი 178, 183.
მოლოდინაშვილი, გ. 187.
მოსეშვილი, ბართლომე 231.
მურავიოვი 26, 81.
მუხრანბატონი, თეიმურაზ 69.
მუხრანსკი, გიორგი 118.
მუხრანსკი, ივანე 61, 90, 91, 92, 134, 146.
მკედლიშვილი, ნიკოლოზ 232.

---

ნადირშაჰი 223.
ნეველროვი 222.
ნეჩაევი 204.
ნიკოლაი, ბარონი ა. 181, 211.
ნიკოლაძე, ნ. (ნ. აგრეთვე რიონელი) 84, 159, 167, 168, 178, 256, 262.
ნიკოლოზ I 14, 30, 35, 75, 77.

---

ომერ—ფაშა 81,82.
ორბელიანი, ალექსანდრე 3, 10, 34, 50, 53, 54, 56, 57, 58, 59, 68, 69, 73, 76, 152, 153, 179.
ორბელიანი, გრიგოლ 3, 6, 28, 31, 32, 34, 50, 59, 64, 74, 90, 92, 125, 146, 156, 179, 180, 199, 220.
ორბელიანი, დიმიტრი 50, 52, 199.
ორბელიანი, ვახტანგ 3, 34, 50, 52, 56, 57, 58, 59, 62, 73, 75, 179, 180.
ორბელიანი, მამუკა 58.
ორლოვსკი, გუბერნატორი 159.
ოქროპირ ბატონიშვილი 51, 53, 54, 55, 56, 58.

პაველ, ეგზარხოსი 229, 230, 235, 236, 237, 247, 248, 252.
პატარიძე, სოლო 217.
პესჩუროვი, პ. 211, 212.
პეტრიძე, მ. (ა. უმიკაშვილი) 11.
პეტრიწი, ი. 223.
პლევე 250.
პობედონოსცევი 203.
პოლიევექტოვი, მ. 51.
პროველიშვილი, იოსებ 232.
პუგაჩოვი 15.
Пурцеладзе, Д. 129.

---

ურდანია, ნ. 167.
ურუკოვსკი 163.

---

რაზმაძე, სოლომონ 2, 50, 59, 61, 67, 72, 179.
რილეევი, დეკაბრისტი 64.
რიონელი (ნ. აგრეთვე: ნიკოლაძე ნ.) 122, 130, 147, 193.
Розен, А. 64.
რტიშჩევი 116.
რუსთაველი, შოთა 223.

---

ხახოკია, თ. 230, 231, 235.
ხემევსკი 62.
ხიდამონიძე, ნესტორ 231.
ხმიტენსი, ვას. ი. 118, 119.
Соколов, А. 10, 11.
სტეფანოვი, ი. სტ. 230, 232, 234, 235.
სტრელეცკი, უ. 210.
სულხანოვი, ალექსანდრე 15.
სურინი, ა. 255.

---

Тер-Мосесян 116.
ტოლსტოი, გრაფი დ. 202, 242, 247, 255, 259.
Толстой Вл. 11, 103.
Тулаев, Вахтанг 91.
Туманов, Г. 97.

უხნაძე, ზაქარია 231, 233.
უმიკაშვილი, პეტრე (ჰ. პეტრიძე) 11.

ფალავანდიშვილი, იესე 56, 61, 62.
ფალავანდოვი, ზ. 67.
ფანცხავა, რომანოზ (ხომლელი) 230.
ფარნაოზ ბატონიშვილი 52.
ფელიეტი, ოქტავ 183.
ფეოდოროვი 21, 22, 25.
ფურცელაძე, ანტონ 1, 90, 91, 159.
ფურცელაძე, ბარბალე 19.

ქართლელი, ბაქარ (ნ. აგრეთვე: ყიფიანი დ.) 28, 31, 46.

ყიფიანი, დავით 168, 260, 261.
ყიფიანი, დიმიტრი (ნ. აგრეთვე: ქართლელი, ბაქარ) 1—3, 12, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 58, 59, 60, 61, 62, 63, 65, 66, 67, 70, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 107, 108, 109, 110, 111, 112, 114, 115, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 128, 130, 131, 132, 133, 134, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 187, 188, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 199, 200, 201, 202, 203, 208, 209, 210, 211, 214, 215, 217, 218, 219, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228, 229, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 261, 262, 263, 264.
ყიფიანი, კოტე 18, 50.
ყიფიანი, ნიკოლოზ 19, 21, 81, 91, 94, 96, 100, 212, 213, 238, 240, 247, 255.
ყიფიანისა, ნინო 81, 254, 260.
ყიფიანი, ქაიხოსრო 21.
ყიფიანი, ქოჩო 18, 19, 20, 21.
ყორლანაშვილი, გ. 187.
ყორლანოვი, ანტ. 96, 97.

შანიძე, აკ. 187, 188, 189, 190.
შაპოვალოვი 234.
შაჰბაზი 223.
შეპეკო, გენ. ლეიტ. 254.
შერემეტიევი 254.
შერვაშიძე, ალექსანდრა 82.
შერვაშიძე, გ. 262.
შერვაშიძე, მიხეილ 82.
შექსპირი, უ. 178, 179, 182, 183.
შიპულინი 22.

ჩადუნელი, შაქრო 217.
ჩაიკოვსკი 204.
ჩევკინი 30, 77.
ჩერნიშევი 117.
ჩერნიშევსკი, ნ. 129, 230.
ჩინგისხანი 223.
ჩიკვაიძე, როსტომი 232.
ჩიტაძე, გრიგოლ 231.
ჩიქვილაძე, ზოტიკე 231, 233, 235, 236.

ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე 52.
ჩუბინაშვილი, დ. 3, 186, 187, 188.
ჩუდეცკი, სემინარიის რექტორი 230, 235, 236, 249.

ცაგარელი. ალ. 186, 187.
ციციანოვი, პ. 23, 24, 199.
ციციშვილი, გრ. 92.
ცხაკაია, მიხეილ 232.
ცხვედაძე, ნიკოლოზ 210—211.

წერეთელი, აკაკი 91, 99, 172, 260.
წერეთელი, გიორგი 89, 153, 154, 183, 262.

ჭავჭავაძე, ალექსანდრე 34, 179, 199.
ჭავჭავაძე, დ. 146.
ჭავჭავაძე, ილია 121, 130, 151, 166, 167, 168, 171, 175, 176, 177, 183, 224, 239, 257.
ჭავჭავაძე, გენ.-მაიორი 54.
ჭილაშვილი 61, 116.
ჭიჭინაძე, ზაქარია 58, 100, 181.
ჭრელაშვილი, სტ. 221.

ხახანაშვილი, ალექსანდრე 50, 59, 65, 96.
ხახუტაშვილი, ნიკ. 232, 233.
ხრიკაძე, ივანე 217.
ხუნდაძე, სიმონ 129.

ჯანგომეჩაშვილი, ივანე 217.
ჯიბლაძე 236.
ჯორჯაძე, არჩილ 1, 2, 30, 51, 63, 80, 83, 86, 90, 96 102, 105, 132, 133, 159, 160, 163, 230, 243, 246.
ჯორჯაძე, ბარბალე 122.

ჰამზად-ბეგი 57, 61,
ჰიუგო, ვ. 183.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


გვ.

## თავი პირველი

1. დიმიტრი ყიფიანის ეპოქა. 1— 16

## თავი მეოთხე

2. დიმიტრი ყიფიანის პიროვნება და მისი სოციალ-პოლიტიკური სოფლმხედველობა . 17— 48

## თავი მესამე

3. 1832 წლის შეთქმულება და დიმიტრი ყიფიანი . . 49— 77

## თავი მეოთხე

4. დიმიტრი ყიფიანი საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამსახურში. 78— 99

## თავი მეხუთე

5. ბატონყმობის საკითხი და დიმიტრი ყიფიანი. . 100—151

## თავი მეექვსე

6. დიმიტრი ყიფიანის საბანკო პოლიტიკა . . 152—177

## თავი მეშვიდე

7. დიმიტრი ყიფიანის ლიტერატურული მოღვაწეობა. . . 178—202

## თავი მერვე

8. 80-იანი წლები და დიმიტრი ყიფიანი. . 203—264

# შეცდომების გასწორება

| გვ. | ზევ. | ხტრ. ქვევ. | | დაბეჭდილია | | უნდა იყოს |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | — | 6 | — | ესრეთცა | — | ესრეთაცა |
| 10 | — | 18 | — | ვეხებთ | — | ვეხებით |
| „ | — | 7 | — | неплем | — | неплом |
| „ | — | 3 | — | არეულობას | — | არეულობის |
| 15 | 14 | — | — | კონსოლიდციასა | — | კონსოლიდაციასა |
| 16 | 1 | — | — | გარდაეიქცა | — | გარდაიქცა |
| 24 | 8 | — | — | дворлянских | — | дворянское |
| „ | 9 | — | — | участвляемое | — | уготовляемое |
| 25 | — | 7 | სქოლ. | შენებული | — | აშენებული |
| 27 | 1 | — | — | ევრობის | — | ევროპის |
| „ | 10 | — | — | გვიამებობდა | — | გვიამებოდა |
| „ | — | 5 | — | ღირსჰყობს | — | ღირსჰყოფს |
| 30 | — | 14 | — | ინდივიდიალობის | — | ინდიეიდუალობის |
| 31 | — | 5 | — | არის—შემდ. ჩასამატებ. | | — რომ |
| 32 | 3 | — | — | ადვილად „ „ „ | | — კი |
| „ | — | 4 | — | საქართველოსადმი „ | | — არ |
| 33 | 16 | — | — | დამთავრებული | — | დაუმთავრებელი |
| 39 | 1 | — | სქოლ. | о чем | — | О том |
| „ | „ | — | „ | сословиах. | — | сословиях |
| 40 | 4 | — | — | იხეოდა | — | იხევდა |
| 42 | 8 | — | — | გააჩნია | — | გააჩნდა |
| „ | „ | — | — | პატივისცემა | — | პატივსაცემი |
| 44 | 15 | — | — | в цели | — | цели |
| „ | — | 3 | სქოლ. | пятдесять | — | пятьдесят |
| 49 | — | 15 | — | წლებში შემდ. ჩასამატ. | — | კლავ პირისპირ |
| 55 | — | 11 | — | шапкаме | — | шапками |
| 67 | 1 | — | სქოლ. | социальные | — | социальное |
| 72 | — | 2 | „ | сочинеппя | — | сочинения |
| 84 | — | 1 | „ | Тифлиский | — | Тифлисский |
| 85 | — | 2 | „ | Мингрелский | — | Мингрельский |
| „ | — | „ | „ | князеиськи | — | княжеский |
| 89 | 3 | — | „ | значены | — | значеними |
| „ | „ | — | „ | дварнаиства | — | дворнаиства |
| 94 | „ | 8 | — | დაემორჩილებოდნენ | — | დამორჩილებოდნენ ან |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 95 | 2 | | სქოლ. | ირწუნი | — | არწრუნი |
| 96 | — | 1 | „ | словестной | — | словесности |
| 97 | 1 | — | „ | характиристики | — | Характеристики |
| 103 | 17 | — | — | ტაშერის | — | ტაშირის |
| 104 | 1 | — | — | იმით | — | იმათ |
| „ | 9 | — | — | ყალაური | — | ყარაული |
| 106 | — | 14 | — | კომლთა | — | კომლითა |
| 110 | 2 | — | „ | Акти | — | Акты |
| „ | 4 | 1 | „ | Акти | — | Акты |
| 113 | 3 | — | — | ხალხის—შემ. ჩასამატ. | | (черни) |
| 114 | 1 | — | სქოლ. | удаляить | — | удалять |
| „ | 1 | — | „ | владии | — | владения |
| 116 | 3 | — | „ | Ипапинко | — | Ипинсенко |
| „ | — | 1 | „ | Акти | — | Акты |
| „ | — | „ | „ | обегах | — | о бегах |
| 117 | 1 | „ | „ | Акти | — | Акты |
| 118 | — | 3 | „ | мисня | — | Мнения |
| „ | — | 2 | „ | сословя | — | сословия |
| „ | — | 1 | „ | бексому | — | бекскому делу |
| 119 | 2 | — | „ | мисние | — | мнение |
| 122 | 2 | — | სქოლ. | крестяи | — | крестьян |
| „ | „ | — | „ | грузиы | — | Грузин |
| 123 | 2 | — | „ | Зикерман | — | Зиссерман |
| 126 | 12 | — | — | შესათანხმეელი | — | შესათანხმებელი |
| „ | 1 | — | სქოლ. | устройсну | — | устройству |
| 127 | 14 | — | — | მივაჩეჩებთ | — | მივაჩემებთ |
| 130 | 5 | — | — | ბაგეგავაძე | — | ნ. ბაგეგავაძე |
| „ | 6 | — | სქოლ. | დ. ყიფიანის | — | დავით ყიფიანის |
| „ | — | 7 | „ | существация | — | существования |
| 139 | 2 | — | „ | крестлиский | — | крестьянский |
| 140 | — | 2 | — | მიქეცეა | — | მიექცევა |
| 142 | — | 1 | სქოლ. | შემდეგ უნდა ჩაემატ. | | თვით |
| 152 | — | 4 | — | აღარც | — | რაღაც |
| 153 | — | 1 | — | ყველმა | — | ყველამ |
| 160 | — | 3 | — | ვეტყვით | — | ვიტყვით |
| 163 | 14 | — | — | გადაბრით | — | გადაბრათ |
| 169 | 1 | — | სქოლ. | „დროშაში“ | — | „დროებაში“ |
| 171 | 9 | — | — | აგდებდა | — | აგდება |
| „ | 12 | — | — | გულკეთილობა | — | გულკეთილობისა |
| 172 | — | 12 | — | მოეწყობლიე | — | მიგვლებიყო |
| 174 | 7 | — | — | გადაგვიშლის | — | დაგვიშლის |
| „ | 9 | — | — | ანკმა | — | ბანკმა |
| 175 | — | 7 | — | მეთაური | — | მეთაურად |
| „ | — | 2 | — | ვალის | — | კაცის |
| 179 | 8 | — | — | ლეი ეიციისა | — | ლეიეეიციისა |
| 182 | 3 | — | — | და | — | ან |
| „ | 7 | — | — | აბრის | — | აბრით |
| „ | 11 | — | — | მიზანშეწონილნი | — | მიზანშეწონილი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 183 | 5 | — | — | თურმენური | — | თურქმენული |
| 185 | 7 | — | — | გაახდილობინებდა | — | გაახდილობინებდა |
| „ | 18 | — | — | უდრტუნველად | — | უდრტვინველად |
| „ | — | 7 | — | იპყრობოდა | — | იპყრობდა |
| „ | — | 2 | — | ჯულის მღებლის | — | რჯულის მდებლის |
| 191 | 2 | — | — | к достижении | — | შემ. ჩასამატ.—цеан |
| 193 | 5 | — | — | სასტიკა | — | სასტიკი |
| 194 | — | 17 | — | იკითხეთ | — | იკითხავთ |
| 201 | | 2— | — | გადმოეტანა | — | გადმოეტანათ |
| 203 | 8 | — | — | დიქტატორისა | — | დიქტატურისა |
| 207 | 5 | -- | — | ნაროდნიკებმა | — | ნაროდნიკულმა |
| 212 | 18 | -- | — | მხედველობაში | — | შემ. ჩასამატ.—რომ |
| „ | — | 16 | — | რიმელთა | — | რომელიც |
| „ | — | 3 | — | მიიღო | — | მიიღოთ |
| 214 | — | 16 | — | შეკრებითა | — | ჯერებითა |
| „ | — | 15 | — | მხარზე | — | მხარეზე |
| „ | — | 14 | — | ყოველმიზეზოს გარეშე | | ყოველ მიზეზს გარეშე |
| 215 | 20 | — | — | ბეშთისა | — | ბეშეთისა |
| 223 | — | 3 | — | დროშას | — | -დროებას- |
| „ | 2 | — | — | მის | — | მ ის |
| 227 | 10 | — | — | Кайкопская | — | Катковская |
| 228 | 16 | — | — | მორიდებულადღა | — | მოურიდებლად ღა |
| „ | „ | — | — | ეირიანი | — | ვარიანი |
| 230 | 4 | — | — | პროგრამ | — | პროგრამა |
| 231 | — | 9 | — | გ. ჩიქველაძის | — | ხ. ჩიქვილაძის |
| „ | 11 | — | — | გ. ჩიქვილაძე | — | ხ. ჩიქვილაძე |
| 232 | — | 10 | — | სტეპანიჩი | — | სტეპანიჩი |
| 234 | — | 3 | — | отечественные | — | отечественные |
| 238 | — | 17 | — | მოლაპარაკების | — | მოლაპარაკებამ |
| 243 | — | 17 | — | შვილებში | — | სკოლებში |
| 244 | 1 | — | — | კმაყოფილებით | — | მორჩილებით |
| 245 | 14 | — | — | მკვიდრისათვის | — | მკვიდრიათვის |
| 249 | 19 | — | — | ახურთოვანებით | — | აღურთოვანებით |
| „ | — | 17 | — | გალაშკრების | — | გალაშკრებს |
| 251 | 7 | — | — | წაყვანისას | — | ჩაყვანისას |
| 252 | 3 | — | — | გულწრფელობას | — | გულწრფელობით |
| „ | — | 14 | — | მოხუცივე | — | მოხუცი |
| „ | — | 11—12 | — | დამონებით | — | დაეშთებით |
| 253 | — | 17 | — | გაუკეთეს | — | გაუბედეს |
| 254 | 11 | — | — | სიკვტილსა | — | სიკვდილსა |
| 256 | 6 | — | — | გზაში | — | ეზოში |
| „ | — | 9 | — | ეამამდე | — | ეამიდან |
| 257 | — | 5 | — | მართებელის | — | მართებულის |
| 261 | 4 | — | — | აღწერელი | — | აღწერილი |
| 262 | 8 | — | — | საგროოდ | — | საერთოდ |